K 90-890
3

ერ. ბურჭულაძე

ყირიმის ომი და საქართველო



ი. ი. ბურჯულაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყირიმის ომი
და
საქართველო

სახელმწიფო გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო"
თბილისი
1960

ეროვნული
ბიბლიოთეკა

К 90.890

შესავალი

1853—1856 წლების ყირიმის ომამდე ხალხთა ისტორიაში იშვიათი იყო მოვლენა, რომელსაც გამოეწვიოს მთელი კაცობრიობის, ყველა ქვეყნის ისტორიკოსთა და პუბლიცისტთა ესოდენ მძაფრი ინტერესი. ამ ომის ისტორიის შესწავლას ჯერ კიდევ დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე მიეძღვნა მრავალი წიგნი, მეცნიერული გამოკვლევა, საყურნალო სტატია, ბროშურა, მდიდარი მეშუარული მასალა. აღნიშნულ თემას ფრიად მნიშვნელოვანი შრომები მიუძღვნეს საბჭოთა ისტორიოგრაფიის ცნობილმა წარმომადგენლებმა. ყირიმის ომის გარშემო გამოქვეყნებული დიდძალი ლიტერატურა მეტ-ნაკლები მოცულობით და სიღრმით ეხება თემის ყველა მხარეს, არკვევს და აშუქებს ომის პოლიტიკურ, დიპლომატიურ და სამხედრო-სტრატეგიულ პრობლემებს. მაგრამ რუსულ და უცხო ენებზე არსებულ ამ მდიდარ ლიტერატურაში არ მოიძებნება ნაშრომი, რომელიც ობიექტურად, მიუდგომლად აშუქებდეს ყირიმის ომის პერიოდში ამიერკავკასიისა და საქართველოში შექმნილ ვითარებას. თვით ფაქტიური მასალაც კი, რომელიც ძველი სკოლის ისტორიკოსებს ტენდენციურად შეუგროვებიათ და გამოუყენებიათ, მკითხველში სრულ უნდობლობას ბადებს. ამ მასალებისა და დოკუმენტების ანალიზით ცხადი ხდება, რომ თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლები ან მთლიანად უვლიან გვერდს საომარი კამპანიის მწვავე და რთულ მომენტებს, ანდა, თუ ეხებიან, უხეშად აყალბებენ ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს,

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხოლო ზოგჯერ არარსებული ამბების შეთხზვა-მოგონებასაც კი არ ერიდებიან. რევოლუციამდელი ისტორიკოსები ყოველმხრივ ჩქმალავენ ამიერკავკასიის მოსახლეობისა და, განსაკუთრებით, ქართველი ხალხის დამსახურებას თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში, სახელს უტეხენ მოსახლეობას, ამცირებენ, აფუჩეჩებენ ამიერკავკასია-თურქეთის საომარი ასპარეზის როლსა და მნიშვნელობას.

საომარი მოქმედების არე 1853—1856 წლებში ძლიერ გაფართოვდა და მეტ-ნაკლები გაფთრებით მიმდინარეობდა იმპერიის მრავალ სანაპირო მიჯნასა და ზოლში. ბრძოლები და შეტაკებები გაიშალა ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამთავროთა ტერიტორიაზე, ფინეთის ყურეში, ყირიმში, თეთრი ზღვის სანაპიროზე, წყნარ ოკეანეში (კამჩატკის პეტროპაველოვსკთან) და ამიერკავკასია-თურქეთის საზღვრების გასწვრივ. მოკავშირეებს გადაწყვეტილი ჰქონდათ დაექსაჭსათ რუსეთის შეიარაღებული ძალები, არევ-დარევა შეეტანათ მთელს იმპერიაში, შეერყიათ იგი მორალურად და დაესუსტებინათ მატერიალურად ისე, რომ მას აღარ ჰქონებოდა წინააღმდეგობის გაწევის უნარი. თურქეთში განლაგებული საფრანგეთის ჯარებისადმი გამოქვეყნებულ თავის პროკლამაციაში ნაპოლეონ მესამე ქედმაღლურად აცხადებდა: „ჩვენი მტრები, რომელნიც გაფანტულნი არიან ფინეთიდან კავკასიამდე, შიშითა და ძრწოლით ცდილობენ ამოხსნან, თუ რომელი პუნქტისაკენ მიმართავენ ინგლისი და საფრანგეთი თავიანთ დარტყმებს“ [1].

თავისთავად იგულისხმება, რომ საომარი კამპანიის გაერცელებამ რუსეთის იმპერიის საზღვრების სხვადასხვა პუნქტში არსებითად განაპირობა ომის ცალკეულ უბნებზე საომარი კამპანიის ფორმისა და შინაარსის თავისებურება, ომის წარმოების საშუალებათა და ტაქტიკის თვალსაჩინო სხვადასხვაობა. ამავე გარემოებამ ღრმა ბეჭედი დასვა ომის საერთო მსვლელობას, განსაზღვრა თვითეული ფრონტის ინდივი-

---

[1] Материалы для истории Крымской войны. Сборн. под редакцией Дубровина. СПБ, 1871 г., стр. 242. Ср. „Северная пчела“, 2854, № 190.

დუალური ხასიათი, განაპირობა ომში მონაწილე ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობის სპეციფიკური როლი, ადგილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნიშვნელობა.

საომარი მოქმედება თურქეთთან 1853 წელს არსებითად ამიერკავკასიის საზღვრებზე დაიწყო, ხოლო 1856 წლის თებერვალ-მარტში აქვე გაისმა ყირიმის ომის უკანასკნელი გასროლაც. ყირიმის ომი ფაქტიურად 1853 წლის 16 ოქტომბერს[1] დაიწყო, როდესაც ქართველთა მცირერიცხოვანი, მაგრამ მამაცი ლაშქარი, რუს მეომრებთან ერთად, შეკვეთილში (ნიკოლაევსკის საგუშაგო) გმირულად დაუზვედა თურქთა მრავალრიცხოვანი ბრბოების მუხანათურ თავდასხმას. ომი დამთავრდა სახელოვანი რუსი ჯარების მიერ ყარსის აღებით და ომერ-ფაშას დემორალიზებული საექსპედიციო არმიის სამეგრელოდან გაქცევით.

საქართველო და ამიერკავკასია ხსენებულ ომთან დაკავშირებული დიდი კონფლიქტის დაწყებისთანავე მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში მოექცა. იმდროინდელი დიპლომატები და სტრატეგები ამიერკავკასიას ომში დუნაის სამთავროების თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. თავის კონფიდენციურ მოხსენებაში „უზენაესი ხელმწიფის" სახელზე საიმპერატორო კანცელარიის მესამე განყოფილების მოხელე 1853 წლის ოქტომბრის დამდეგს წერდა: „ხმა გავარდა, რომ რუსების მიერ დუნაის სამთავროების დაკავების საპასუხოდ, თურქები ჩვენი ამიერკავკასიის სამფლობელოებს დაიკავებენო"[2].

მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლები კ. მარქსი და ფ. ენგელსი ალმოსავლეთის საკითხის გარშემო დაწერილ თავიანთ მრავალრიცხოვან სტატიებში არაერთხელ აღნიშნავდნენ, რომ აზიის საკითხზე დიდ სახელმწიფოთა შორის ატეხილ დავასა და კონფლიქტებში საქართველოს სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ. ჯერ კიდევ ყირიმის ომის ოფიციალურად დაწყებამდე, 1853 წლის ოქტომ-

---

[1] თარიღები ყველგან მითითებულია ძველი სტილით.

[2] Ленинградский инст-т Востоковедения, рукоп. Отд. разр. 2, оп. III, Ф. 13 (ქვემოთ იხ. შემოკლებით ЛИВ).

ბერში, „ნიუ-იორკ ტრიბუნში“ მოთავსებულ სტატიაში კ. მარქსი წერდა: „ამჟამად ჩვენს ყურადღებას ერთნაირად იპყრობს დუნაის სანაპიროები, სადაც რუსეთმა ხელთ იგდო ევროპის ორი ბელელი, და კავკასია, სადაც რუსეთის წინაშე დგას საქართველოს დაკარგვის საფრთხე“ [1]. მარქსის მითითება მკაფიოდ გვიჩვენებს, თუ რაოდენ ცხოველ ინტერესს იჩენდნენ ევროპის ხალხები საქართველოსადმი, რომელიც მიაჩნდათ ფრიად მნიშვნელოვან სამხედრო-სტრატეგიულ საკვანძო პუნქტად დასავლეთსა და აღმოსავლეთის შორის. ალიარებდენ რა ამიერკავკასიის ფართო საერთაშორისო რეზონანსს, მარქსის სიტყვები ამავე დროს თვალსაჩინოდ აშკარავებენ მტაცებლურ გეგმებს, რომელსაც იმ დროს ინტენსიურად ამუშავებდნენ მსოფლიო ბატონობის მაშინდელ ევროპულ პრეტენდენტთა სამინისტროების კულუარებში.

ყირიმის ომის მთავარ მიზეზს წარმოადგენდა არა მოჩვენებითი დავა და უთანხმოება „წმინდა ადგილების“ გარშემო, არამედ ის შეურიგებელი ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის ანტაგონიზმი, რომელიც გაინასკვა დიდ სახელმწიფოთა შორის ბალკანეთსა და ახლო აღმოსავლეთის ზონაში გასული საუკუნის შუახანებში. ომი წარმოადგენდა აგრესიულ სახელმწიფოთა პოლიტიკის პირდაპირ გაგრძელებას ეგრეთწოდებული „აღმოსავლეთის საკითხის“ გადაჭრისათვის, საკითხისა, რომელიც გამოხატავდა სრუტეებისათვის ბრძოლის გადახლართვას თურქეთში და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გავლენისათვის ბრძოლასთან.

მიმდინარეობდა გაფანტრებული ბრძოლა ბატონობისა და გავლენის სფეროებისათვის ერთის მხრით ინგლისს, საფრანგეთსა და თურქეთს, ხოლო მეორე მხრით მეფის რუსეთს შორის.

მეფის რუსეთის მთავარ მეტოქედ და მოწინააღმდეგედ აღმოსავლეთში და შავი ზღვის აუზში იმ დროს ითვლებოდა კაპიტალისტური ინგლისი. მას კარგად ჰქონდა წარმოდგენილი თურქეთისა და მისი სრუტეების უდიდესი მნიშვნელობა აღ-

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. IX, стр. 534, Партиздат, М. 1933 г.

მოსაელეთთან ურთიერთობაში და მიისწრაფოდა ყოველმხრივ შეესუსტებინა რუსეთის გავლენა ამ მიმართულებით. ეს პროგრამა ყველაზე სრულად არის გამოხატული პალმერსტონის წერილში ჯონ როსელისადმი (1854 წლის მარტი). „ჩემს გულითად ოცნებას, — წერდა იგი, — რუსეთთან მოახლოებული ომის გამო წარმოადგენს შემდეგი: შეეციისათვის ალანდიის კუნძულებისა და ფინეთის დაბრუნება. ბალტიის ზღვაზე რუსეთის ზოგიერთი გერმანული ოლქის პრუსიისათვის დათმობა. პოლონეთის სამეფოს აღდგენა, როგორც ბარიერისა გერმანიასა და რუსეთს შორის. ვალახეთისა და მოლდავეთის და აგრეთვე დუნაის შესართავების გადაცემა ავსტრიისათვის.... ყირიმი, ჩერქეზეთი და საქართველო უნდა იქნან ჩამოცილებული რუსეთისაგან; ყირიმი და საქართველო უნდა გადაეცეს თურქეთს, ხოლო ჩერქეზეთი უნდა გახდეს დამოუკიდებელი, ან იგი გადავიდეს თურქეთის პროტექტორატის ქვეშ"[1].

პალმერსტონი იქვე მიუთითებდა თურქების „წმინდა მოვალეობაზე", იმ „დიდმნიშვნელოვან როლზე", რომელიც მათ უნდა შეესრულებინათ ინგლისის ბურჟუაზიის ინტერესებისათვის. ამავე დროს სულთანის თავის მხარეზე გადმობირების მიზნით, პალმერსტონი აშინებდა მას რუსეთის მეფის მოსალოდნელი თავდასხმით, აღუთქვამდა დაცვასა და მფარველობას, ტერიტორიულ გაფართოებას საქართველოს ხარჯზე.

ინგლისელ კოლონიზატორთა აგენტის ლაურენს ოლიფანტის გადმოცემით, ინგლისის ხელისუფალნი „დიდი ხანია გულისყურს მიაპყრობდნენ კავკასიის ყელს". მათ განსაკუთრებით აინტერესებდათ საქართველოს ბედი. ინგლისელი სტრატეგები, მისი გადმოცემით, მიისწრაფოდნენ, რათა რუსეთის წინააღმდეგ გადამწყვეტი დარტყმა სწორედ ამ „მგრძნობიარე პუნქტში" მოეწყოთ და „ჩამოეგლიჯათ რუსეთისაგან ოთხი მჭიდროდ დასახლებული პროვინცია: იმერეთი,

---

[1] Guedalla, Palmerston. London, 1926, p. 360—361. Ср. „Дипломатическая история", т. I, стр. 447, 455, 1941 г.

სამეგრელო, გურია და აფხაზეთი" და ისინი „საკუთრად ლორდ კლარენდონისათვის მიერთმიათ"[1].

ავტორი თავის ჩანაწერებში „მიმზიდველი" ფერებით ხატავს იმ სარგებლობას, რისი მოტანაც შეუძლია ინგლისისათვის საქართველოს შავი ზღვის რაიონებს.

ლაურენს ოლიფანტი თავის დღიურში მეპატრონის პონორით გეგმავს ჯერ კიდევ „მოუკლავი დათვის" გატყავებას, ვარაუდობს თუ რამდენად ხელსაყრელი იქნებოდა საქართველო ინგლისისათვის სამეურნეო, პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით. იგი მეტისმეტად აზვიადებს „ამიერკავკასიის პლაცდარმის" როლს და მზად არის ამ უკანასკნელის პოლიტიკური მნიშვნელობა ყირიმზე მაღლა დააყენოს. „პოლიტიკური უპირატესობა, — წერდა ოლიფანტი, — რასაც ჩვენ მივიღებდით რუსების განდევნით ამიერკავკასიიდან, გაცილებით მეტი მნიშვნელობისა იქნებოდა, ვიდრე ის, რომლის მიღებაც შეგვეძლო მსგავსი წარმატების შედეგად ყირიმში"[2].

ოლიფანტი ცდილობს დაასაბუთოს საქართველოს და მთელი ამიერკავკასიის პლაცდარმის „გადამწყვეტი როლი" რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. „ჩვენ არ შეგვიძლია ფინეთის იმედი გვქონდეს, — მსჯელობს იგი, — რადგან ჩვენი მოქმედების მეოხებით, ფინელები ჩვენს წინააღმდეგ ავიმხედრეთ". შეუძლებელია იმედის დამყარება პოლონეთზედაც, რადგან „ჩვენ ამ ქვეყნის რევოლუციური ელემენტების მოწინააღმდეგენი აღმოვჩნდით. ბესარაბიას რუსეთის პროვინციად დარჩენა უწერია სამარადისოდ. ყირიმის გადაქცევა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ უაზრობა იქნებოდა, რადგან თაერიდის ნახევარკუნძული რუსეთის იმპერიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს".

რუსეთის ვრცელი იმპერიის განაპირა ქვეყნიდან, ოლიფანტის აზრით, რჩება მხოლოდ ამიერკავკასია, სადაც „მსგავსი დაბრკოლებანი არ არსებობს". ამიტომ ეს მხარე, მისი

[1] The Trans-Caucasion of the Turkish army under Omer-pasha. By Laurens Olifant. London. 1856, p. 26.

[2] L. Olifant, Jbid., p. 224, 225.

აზრით, შეიძლებოდა გამხდარიყო, ერთი მხრით, რუსეთის წინააღმდეგ ძირგამომთხრელი მუშაობის ძირითადი კერა, ხოლო მეორე მხრით, „ყველაზე ეფექტური ბარიერი აღმოსავლეთის მიმართულებით რუსეთის აგრესიის შესაკავებლად". ქართველი ხალხის მფარველად, რომელიც, ოლიფანტის აზრით, „მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე კეთილშობილსა და გულად ერს წარმოადგენს, უნდა გახდეს დიდი ბრიტანეთი". ავტორი, გამოხატავს რა თავის თანამემამულეთა ყველაზე ონავარი წრეების მიდრეკილებებს, დაყინებით ურჩევს ლონდონის სტრატეგებს მეტი სიმტკიცე და თანმიმდევრობა გამოიჩინონ ამ მიმართულებით[1].

კავკასიაში ინგლისის ბერეუანიის ფართო დაპყრობით გეგმების შესახებ დაწერილებით მოგვითხრობს აგრეთვე ინგლისის ოფიციალური წრეების წარმომადგენელი და მზვერავი ჩარლზ დუნკანი[2].

უტყუარი ისტორიული დოკუმენტებისა და მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების მკაფიო მითითებათა შემდეგ საამოლიან ეჭვსა და გაოცებას იწვევს ისტორიკოსთა, მათ შორის საბჭოთა მკვლევარების ერთი ნაწილის მტკიცება, რომ საქართველო-თურქეთის საზღვარზე (მცირე აზია) მიმდინარე საომარი კამპანია აღმოსავლეთის ომის დროს თითქოს სერიოზულ ხასიათს არ ატარებდა და ამდენად მისი შესწავლა აუცილებლობის ღირსიც არ არისო. აღმოსავლეთის ომის პერიოდში ამიერკავკასია-თურქეთის ფრონტის როლისა და მნიშვნელობის შეუფასებლობაში, ომში ქართველი და ამიერკავკასიის სხვა ხალხების როლისა და მნიშვნელობის დამცირებამიფუჩეჩებაში მთელი თავისი ძალით ამსახავ ძველი, ცარისტული ისტორიოგრაფიის სოციალურ-კლასობრივი და პოლიტიკური ავლადიდება, რომლის ნაშთებიც, საწუხაროდ, ჯერ კიდევ იჩენს თავს ჩვენს ისტორიულ ლიტერატურაში.

საყოველთაოდ ცნობილია ის ჭეშმარიტება, რომ 1853—1856 წლების აღმოსავლეთის (ყირიმის) ომის ძირითად

---

[1] Ibid., p. 226.

[2] A campaign with Turks in Asia. By charles Duncan. London, 1855. vol. I. p. 5,8.

ცენტრს ყირიმი წარმოადგენდა (ამიტომაც ეწოდა მას ყირიმის ომი). ომის მთელი ბედ-იღბალი, საბოლოო ბრძოლაში სწორედ იქ უნდა გადაწყვეტილიყო და გადაწყდა ქალაქ. 1854—1855 წლებში, რუსეთის იარაღის დიდების ქალაქის—ლეგენდარული სევასტოპოლის ზღუდეებთან რუსეთის სახელოვანი არმია 349 დღის განმავლობაში გმირულად უმკლავდებოდა ოთხი სახელმწიფოს გააფთრებულ შეტევას. მთელი ევროპა, სევასტოპოლის ეპოპეის დროს, აღტაცებითა და გაოცებით აღევნებდა თვალყურს რუსი ხალხის საუკეთესო შვილების პ. ნახიმოვისა და ვ. კორნილოვის, ვ. ისტომინისა და ე. ტოტლებენის, კოშკასა, დარია სევასტოპოლსკაიას და სხვათა საკვირველ ვაჟკაცობას, სახელოვან რუს მეზღვაურთა და არმიის ჯარისკაცთა მასობრივი თავდადებისა და სასწაულებრივი გმირობის აქტებს. ამ ბრძოლებში რუსი გმირების მხარდამხარ იბრძოდნენ უკრაინელი ხალხის სახელოვანი შვილები — ვასილ ჩუმაჩენკო და ფედორ ზაიკა, ივან დემჩენკო, ივნატ შევჩენკო და ბევრი სხვა, რომელთა სახელები ამშვენებს ყირიმის ომის ისტორიის ფურცლებს [1]. ამ დიდმნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტის აღნიშვნა არ უნდა ჩრდილავდეს საქართველოსა და ამიერკავკასიის საზღვრებთან გაშლილი ბრძოლების მნიშვნელობას. ისტორიული ფაქტები და დოკუმენტები ნათლად ადასტურებენ, რომ ამიერკავკასიის საომარი კამპანია თურქების წინააღმდეგ დიდად უწყობდა ხელს როგორც ყირიმისა და სევასტოპოლის, ისე სხვა საომარ ასპარეზებზე გმირულად მებრძოლ მოძმეებს.

ისტორიული ჭეშმარიტების აღსადგენად საჭიროა აღინიშნოს, რომ რუსეთის ყოფილი იმპერიის განაპირა ქვეყნები, მათ შორის საქართველოსა და ამიერკავკასიის ხალხები, ყირიმის ომის პერიოდში სრულიად თავისებურ პირობებში აღმოჩნდნენ. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ამიერკავკასია-თურქეთის საზღვრებზე გაჩაღებულმა ბრძოლებმა, რომლებიც თავის მასშტაბითა და მნიშვნელობით საგრძნობლად ჩამოუვარდებოდა ყირიმის კამპანიას, არსებითი გაელენა მოახდინეს ყირიმის ომის საერთო მსვლელობასა და შედეგებზე.

[1] Материалы для истории Крымской войны. Вып. 5, стр. 202.

დუნაიზე და ყირიმში შექმნილ დაძაბულ ვითარებაში რუსეთის იარაღის ძლევამოსილი გამარჯვებები ამიერკავკასიის საომარ ასპარეზზე იმისი საწინდარი გახდა, რომ რუსეთი შედარებით უზარალოდ გამოვიდა პარიზის საზღვო მოლაპარაკებიდან. ქართულ ლაშქარს, როგორც რუსეთის რეგულარული არმიის დამხმარე ძალას, წილად ხვდა რუს ჯარისკაცებთან ერთად გაეზიარებინა როგორც ომის მძიმე ტვირთი და მსხვერპლი, წარუმატებლობისა და დამარცხებათა სიმწვავე, ისე ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვებებით გამოწვეული სიხარული. საქართველომ, მთელი ამიერკავკასიის ხალხებთან ერთად, თვალსაჩინო როლი შეასრულა აგრესორის (თურქეთის) უკუქცევასა და განადგურებაში. ამავე დროს ამიერკავკასიის საზღვრებზე მოპოვებული სამხედრო წარმატებანი შეუძლებელია განხილულ იქნას როგორც თავისთავადი, როგორც სხვა საომარ ასპარეზთაგან განცალკევებული და გამოთიშული პროცესი. ეს გამარჯვებები განპირობებული იყო იმ გიგანტური ბრძოლებით, რომელთაც რუსეთის ძლევამოსილი არმიები დუნაის გასწვრივ და სახელოვანი სევასტოპოლის კედლებთან ეწეოდნენ.

ომის დასაწყისშივე საქართველოს ლაშქრობამ (მილიციამ) მკაფიოდ გამოავლინა მის მიწა-წყალზე შემოჭრილ მტერთან ბრძოლისა და მასზე გამარჯვების ერეული ნება[1]. რუსეთის მაბალი ჯარების მხარდამხარ ქართველობამ ზედიზედ აგება გამანადგურებელი დარტყმები თურქთა ურდოებს აწყურთან და ახალციხესთან. მტრის მოთარეშე ავაზაკური ბრბოები ქვეყნის სასაზღვრო ზღუდეებზე სასტიკ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ ადგილობრივი შეიარაღებული რაზმების მხრივ. საერთოდ, ომის პირველი თვეები ამიერკავკასიის მთელს საბრძოლო ასპარეზზე აღინიშნა მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალების სასტიკი დამარცხებით. რუსულმა იარაღმა კვლავ ბრწყინვალე წარმატებები მოიპოვა. 1853 წლის შემოდგომაზე ჩვენს საზღვრებზე განცდილმა რამდენიმე მარცხმა დიდად შეარყია მოწინააღმდეგის ნებისყოფა, ხოლო რუსეთის საზოგადოებრიობას მხნეობა და იმედი შეჰმატა.

[1] Е. В. Тарле, Крымская война, т. 1, 1944, М.—Л., стр. 247.

როგორც ე. ვ. ტარლე გადმოგვცემს „კავკასიის ბრწყინვალე კამპანიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მოვლენების შემდგომ განვითარებაში. სინოპის გამარჯვებასთან ერთად, კავკასიის ამ კამპანიამ გამოიწვია ოპტიმიზმისა და მხნეობის ახალი მოზღვავება“ [1].

ეს თავდაპირველი სამხედრო წარმატებანი საქართველოსა და ამიერკავკასიის საზღვრებზე საომარი მოქმედების შემდგომ მსვლელობაში ახალი შესანიშნავი გამარჯვებებით დაგვირგვინდა (ბაშკადიკლარის, კურიუკ-დარას, ჩოლოქის, ბაიაზეთისა და სხვა გამარჯვებანი). ამიერკავკასიის სამხედრო კამპანიის დასკვნით აქტს წარმოადგენდა რუსეთის ჯარების მიერ ყარსის ციხე-სიმაგრის აღება და გამანადგურებელი დარტყმება ომერ-ფაშას საექსპედიციო კორპუსზე, რის შედეგადაც თურქეთის ვაიმხედართმთავარი იძულებული გახდა პანიკურად დაეხია უკან და გაენთავისუფლებია საქართველოს მიწა-წყალი.

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომის ნაწილს, რომელიც საფუძვლიანად არის გადამუშავებული. ავტორის მიზანია საარქივო მასალებსა და სხვა პირველწყაროებზე დაყრდნობით უჩვენოს ფართო მკითხველ საზოგადოებას საქართველოს ვითარება ყირიმის ომის პერიოდში, განსაზღვროს მისი ადგილი და მნიშვნელობა დიდ სახელმწიფოთა ბრძოლაში ე. წ. აღმოსავლეთის საკითხის გადაჭრისათვის. ფრიად მნიშვნელოვანია ვუჩვენოთ, რომ მთელ ამიერკავკასიას, კერძოდ საქართველოს, რომელიც საერთაშორისო ინტერესთა შეჯახებების გეოგრაფიულ კვანძში მდებარეობს, მუდამ განსაკუთრებული ადგილი ეკავა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალების ხელში ჩაგდებისა და პოლიტიკური თუ სამხედრო-სტრატეგიული ბატონობის მოპოვების მიზნით გაჩაღებულ კონფლიქტებში.

ამიერკავკასია-თურქეთის საზღვარზე საომარი კამპანიის მსვლელობის გაშუქება დაუშვებელი იქნებოდა მოგვეწყვიტა ქვეყნის საშინაო ვითარების შესწავლისაგან.

---

[1] Е. В. Тарле, Крымская война, т. 1, 1944, М.—Л., стр. 247.

შეუძლებელია გავიგოთ და ავხსნათ რუსული იარაღის ძლევამოსილებისა და წარმატებათა ჭეშმარიტი მიზეზები ამიერკავკასიის ასპარეზზე, თუ არ იქნა გათვალისწინებული როლი, რომელსაც ყირიმის ომის წლებში ასრულებდნენ საქართველოს მოსახლეობა და მისი მილიცია, აზერბაიჯანისა და სომხეთის ხალხთა მამაცი შვილები. ასევე შეუძლებელია ავხსნათ და გავიაზროთ ქართველი ხალხის საბრძოლო-პატრიოტული აღმავლობა, თუ არ იქნება შესწავლილი ის სპეციფიკური პირობები, რომელნიც ასაზრდოებდნენ ხალხის ამ საბრძოლო განწყობილებას გასული საუკუნის შუა პერიოდში. შრომის ავტორმა მიზნად დაისახა შეძლებისდაგვარად გამოერკვია, აეხსნა და განესაზღვრა ხალხთა მასების საბრძოლო აღმავლობისა და გამარჯვებისადმი შეუდრეკელი მისწრაფების წანამძღვრები.

აღმოსავლეთის ომი საქართველოსა და ამიერკავკასიის ხალხებს, ისევე როგორც რუსეთის ჯარების კავკასიის მთავარსარდლობას, მოულოდნელად დაატყდა თავს. საომარი მოქმედების დაწყებისას ამიერკავკასიას უცხოელი დამპყრობელნი თვლიდნენ დარტყმის ყველაზე ხელსაყრელ პუნქტად, რუსეთის იმპერიის ყველა სხვა პუნქტთან შედარებით. რუსეთთან შეერთების შემდეგ ყირიმის ომამდე საქართველო თითქმის არასოდეს არ ჩავარდნილა ესოდენ სახიფათო და თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში.

თურქეთი, გამხნევებული და გაძლიერებული ევროპული დიდი სახელმწიფოების მოკავშირეობით, წახალისებული თავისი მოჩვენებითი „წარმატებებით" დუნაიზე, ინტენსიურად ამდენდა თავისი მრავალრიცხოვანი რეგულარული და ირეგულარული ჯარების დისლოკაციას ჩვენი საზღვრების გასწვრივ. მტრის შემტევი კორპუსები და რაზმები დამკვრელ მუშტებად გროვდებოდნენ ბათუმთან და გურიის საზღვრების გასწვრივ, ახალციხესთან და ახალქალაქთან, ალექსანდროპოლთან და ერევნის გუბერნიის საზღვრებთან.

ინგლისისა და საფრანგეთის აგენტები და ჯაშუშები, მოწინააღმდეგე მხარის რეზიდენტები და მათი გულშემატკივარნი ქვეყნის შიგნით მოხერხებულად იყენებდნენ ხელსაყრელ

ვითარებასა და ადგილობრივი ადმინისტრაციის სიფხიზლეს მოდუნებას, აბამდნენ პოლიტიკური ინტრიგების ქსელს, ეწეოდნენ ძირგამომთხრელ მუშაობას. ისინი აქტიურად ეწყობდნენ ხელს ჩვენს საზღვრებთან მიმდგარ თურქეთის დამკვრელ რაზმებს ოპერაციების წარმატებით დაგვირგვინებაში.

შამილი და მაჰმად-ემინი კავკასიის მთებში ინტენსიურად აგროვებდნენ თავიანთი მიურიდების მრავალრიცხოვან რაზმებს და უცდიდნენ ხელსაყრელ მომენტს, რათა ზურგიდან ჩაეცათ მახვილი რუსეთის ჯარებისათვის.

სპარსეთის მთავრობა ანგარებიან ვაჭრობას ეწეოდა ინგლისის სარდლობასთან ამიერკავკასიის დანაწევრებისა და დამონების ვარაუდით, აწყობდა პოლიტიკურ და დიპლომატიურ კომბინაციებს, ამზადებდა პირობებს, რათა ხელსაყრელი ვითარების დროს მოეწყო ლაშქრობა ამიერკავკასიის ხალხების წინააღმდეგ. ირანელი აგრესორები არ ერიდებოდნენ არავითარ საშუალებას, რათა დაეპყროთ ამიერკავკასიის სასიცოცხლო ცენტრი — ქალაქი თბილისი. ჩვენი ქვეყანა აღნიშნულ მომენტში უდიდესი საფრთხის წინაშე იმყოფებოდა, მას ყოველი მხრიდან ემუქრებოდნენ: მარცხენა და მარჯვენა ფლანგიდან, პირდაპირი ფრონტით და ზურგიდანაც.

მეომარ მხარეთა ძალები და შესაძლებლობანი ოდნავადაც არ იყო თანაბარი. თურქეთს და მის მოკავშირეებს გააჩნდათ მნიშვნელოვანი უპირატესობა როგორც ჯარების რაოდენობის, ისე საბრძოლო-ტექნიკური აღჭურვილობის მხრივ. საქართველოსა და საერთოდ ამიერკავკასიის საომარ ასპარეზზე განლაგებული რუსეთის რეგულარული არმია ომის დაწყებიდან მის დასრულებამდე თითქმის ყველაფრის მწვავე ნაკლებობას განიცდიდა: მცირე იყო რეგულარული არმიის რიცხვი, სუსტი იყო მათი შეიარაღება, საკმაო არ იყო საჭურველი, მწვავედ იგრძნობოდა სურსათ-სანოვაგის ნაკლებობა. ისტორიკოსი ტარლე, ყირიმის ომის შესახებ თავის ცნობილ გამოკვლევაში ეხება რა ამიერკავკასიის საზღვრების დაცვას, სავსებით სამართლიანად აღნიშნავს ამ მხრივ „სრულიად უნუგეშო მდგომარეობას" [1].

---

[1] Е. В. Тарле, „Крымская война", т. 1, 1944, М.—Л., стр. 247.

ამიტომ საკვლევით შეუსაბამოდ მოჩანს ის გარემოება, რომ ყირიმის ომის გარშემო არსებულ მრავალრიცხოვან ლიტერატურაში არ არსებობს ნაშრომი, რომელიც დამაჯერებლად ახსნიდა და განმარტავდა ერთი შეხედვით პარადოქსულ, მაგრამ არსებითად რეალურ ფაქტს: როგორ მოხდა, რომ რუსეთის მკერრიცხოვანმა ჯარებმა, რომლებიც უკიდურესად არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ თავდაცვის კავკასიის ფრონტზე, ასე ბრწყინვალედ შეძლეს მოწინააღმდეგის მოზღვავებული ჯარების არა მარტო შეკავება, არამედ მათი ზედიზედ დამარცხება და საზღვრებიდან უკუგდებაც.

მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ეს სამხედრო წარმატებანი ამიერკავკასიის ასპარეზზე დაემთხვა მეფის არმიების ერთგვარ წარუმატებლობის მომენტს დუნაიზე — ოლტენიცესთან და ჩეტატთან.

მიუხედავად რუსეთის არმიის, რუსი ჯარისკაცთა და ოფიცრების სწორუპოვარი გმირობისა, უმაღლესი სარდლობის დანაშაულებრივი მოქმედების გამო მეფის არმიების გიგანტური დაწოლა დუნაის საომარი ასპარეზის ცალკეულ პუნქტებში ომის დასაწყისში წარმატებით ვერ დაგვირგვინდა. ამ გარემოებამ, ვ. ხ. გრაბეს გადმოცემით, „სასახლე და საზოგადოება დიდად დააღონა და საგონებელში ჩააგდო“ [1]. ასეთ ვითარებაში სამხედრო მინისტრი დოლგორუკოვი კავკასიის სამხედრო სარდლობას თბილისში საგანგაშო ხასიათის წერილებით მიმართავდა: „ჩვენ თქვენზე ვამყარებთ იმედებს, რადგან დუნაის მხრიდან სანუგეშო არაფერია“ [2]. ამიერკავკასიის საომარი ასპარეზი, ოფიციალური წყაროების მიხედვით, ცენტრალური მთავრობის ყურადღების ცენტრში იდგა და აქ შექმნილი სამხედრო-სტრატეგიული ვითარება მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ყირიმის ომის საერთო მსვლელობაზე.

მეფის თვითმპყრობელობის ოფიციალური ისტორიოსე-

---

[1] „Русский архив“, 1891, кн. 6, стр. 167.
[2] „Русский архив“, 1889, кн. 9, стр. 90.

ბი, რომლებიც შეგნებულად ამახინჯებდნენ ისტორიულ ფაქტებს, ყველა სამხედრო წარმატებას საქართველოსა ამიერკავკასიის საზღვრებზე მხოლოდ და მხოლოდ მეფის სასახლის გენერლებსა და მხედართმთავრებს მიაწერდნენ. ისინი ჩქმალავდნენ ომში სახელოვანი რუსი რეგულარული არმიის ჯარისკაცთა მასობრივ გმირობას და ამავე დროს სრულიად „ივიწყებდნენ" ადგილობრივი მოსახლეობის, ამიერკავკასიის სახალხო მილიციისა და პარტიზანების გმირულ საბრძოლო ღვაწლს.

ასე აშუქებს საკითხს ცნობილი სამხედრო ისტორიკოსი გენერალ-ლეიტენანტი მ. ი. ბოგდანოვიჩიც, რომლის სიტყვებით კავკასიის არმიის თითქოს მარტოოდენ „მეთაურთა გამოცდილებამ და თაოსნობამ... გადაარჩინა ყველაფერი"[1]. დაახლოებით ამავე შეხედულებას იზიარებს პოლკოვნიკი დე-საჟეც[2]. ზოგიერთი მათგანი, ჯიუტი ფაქტების ზეგავლენით, იძულებულია აღიაროს „ომებში ნაწრთობი კავკასიის მამაცი ჯარისკაცების" გმირული საქმეები და მათთან ერთად აქა-იქ, კანტიკუნტად, ნაძალადევად და უხალისოდ, მოიხსენიოს „ადგილობრივი მილიციის", ადგილობრივ პარტიზანთა, „ობივატელურ ყარაულთა" საბრძოლო ეპიზოდები. ისტორიული სინამდვილისადმი ძველი ბურჟუაზიული სკოლის მკვლევართა არაობიექტური, ტენდენციური დამოკიდებულება საკმაოდ ცხადი და აშკარა ხდება პირველად წყაროებთან გაცნობისა და მათი ჯეროვანი ანალიზის დროს. მათი პოლიტიკური პოზიცია რეაქციულია, კვლევითი მეთოდი — უვარგისი, ხოლო მეთოდოლოგია — ყალბი.

ისტორიული ფაქტები და დოკუმენტები უცილობლივ მოწმობენ, რომ კავკასია-თურქეთის საზღვრებთან ყირიმის ომის დროს გაიმარჯვა არა ნიკოლოზ პირველის სასახლის კარზე აღზრდილმა და განებივრებულმა სარდლობამ, არამედ რუსმა ჯარისკაცმა და რუსული იარაღის ძლევამოსილებამ.

---

[1] М. И. Богданович, „Восточная война" 1853—1856 гг. СПБ, 1876, т. 1, стр. 252.

[2] Акты Кавказской Археологической Комиссии, т. II, стр. 449—450 (ქვემოთ იხ. შემოკლებით АКАК).

ისევე, როგორც სევასტოპოლის გმირულ დაცვაში, ამიერკავკასიის საომარ ასპარეზზე მოპოვებულ გამარჯვებებშიც მთავარსა და გადამწყვეტ როლს რიგითი ჯარისკაცები, ხალხთა მასები ასრულებდნენ. განთქმული მე-4 ბასტიონის დაცვის მონაწილის ლ. ნ. ტოლსტოის ცნობილი სიტყვები სევასტოპოლის შესახებ კარგად ასახავს ამიერკავკასიაში შექმნილ მდგომარეობასაც: „დიდხანს დარჩება რუსეთში სევასტოპოლის ამ ეპოპეის დიადი ნაკვლევი, რომლის გმირი რუსი ხალხი იყო“ [1].

რუსეთის საჰელოვანი ჯარების ბრწყინვალე გამარჯვებანი თურქეთის დიდად მომეტებულ ძალებზე ტრადიციულ მოვლენად იქცა. საკმარისია აღინიშნოს თუნდაც რუსეთის ჯარების შესანიშნავი გამარჯვება არპაჩაისთან გრაფ გუდოვიჩის მეთაურობით 1807 წლის 17 ივნისს, ანდა გრაფ პასკევიჩ-„ერევანსკის“ სარდლობით მოწყობილი ორი ბრწყინვალე კამპანია 1828 — 1829 წლებში, რასაც შედეგად მოჰყვა ახალციხის, ახალქალაქის და ყარსის აღება (1828 წ.). განსაკუთრებით აღსანიშნავია 1829 წელს ერზრუმის სწრაფი აღება.

საგულისხმოა, რომ გრაფ პასკევიჩის 1828—1829 წლების ლაშქრობებში თურქეთის წინააღმდეგ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოს და ამიერკავკასიის სხვა ხალხთა ადგილობრივი შენაერთებიც. კავკასიის სამხედრო ისტორიის ანალებში მკაფიოდ არის ასახული, რუსეთის ჯარებთან ერთად, ქართველ მოლაშქრეთა მამაცობისა და თავდადების შესანიშნავი ნიმუშები თურქებთან ბრძოლების დროს [2], ამ დროიდან ადგილობრივი ფაქტორის როლი გარეშე მტრებთან ბრძოლაში წლითიწლობით იზრდებოდა და ძლიერდებოდა. ასეთ ვითარებას განაპირობებდა კონკრეტულ-ისტორიული ცვლილებანი ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ, ეს განსაკუთრებით ითქმის ყირიმის ომის პერიოდში შექმნილ კონკრეტულ ვითარებასთან დაკავშირებით.

---

[1] Л. Н. Толстой, соч., т. 2, стр. 124.

[2] История военных действий в Азиатской Турции в 1828 и 1829 годах, ч. I и II, Варшава, 1843.

საქართველოს პარლამენტის მრავალეროვნული ბიბლიოთეკა

მარქსიზმ-ლენინიზმი მოითხოვს, რათა კონკრეტულ-ისტორიულ ასპექტში იქნეს შეფასებული არა მარტო ცალკეული ომი, არამედ თვითეული ომის ცალკე ეტაპიც. ამასთან საჭიროა ზუსტად აღირიცხოს ის კონკრეტული თავისებურებანი, რომლებიც ერთ ქვეყანას სხვებისაგან განასხვავებენ განვითარების გარკვეულ, ისტორიულ მონაკვეთში. მარქსისტული თეორიის უთუო მოთხოვნას ყოველგვარი სოციალური საკითხის გარჩევის დროს, — მოუთითებს ვ. ი. ლენინი,— წარმოადგენს მისი ჩასმა განსაზღვრულ ისტორიულ ჩარჩოებში, ხოლო შემდეგ, თუ ლაპარაკია ერთ ქვეყანაზე... იმ კონკრეტულ თავისებურებათა აღრიცხვა, რომლებიც ამ ქვეყანას სხვებისაგან განასხვავებენ ერთი და იმავე ისტორიული ეპოქის ფარგლებში [1].

1828—1829 წლების ომებისა და ყირიმის ომს შორის განვლილი მეოთხედი საუკუნე შეიცავდა ფრიად მნიშვნელოვანი პერტურბაციების ხანას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზედაც. დიდი ცვლილებანი განიცადა მებრძოლი მხარეების შეიარაღებული ძალების ორგანიზაციამ და არმიების საბრძოლო აღჭურვილობამ. „არაფერი ისე არ არის დამოკიდებული ეკონომიურ პირობებისაგან, როგორც არმია და ფლოტი, — წერდა ფ. ენგელსი. — შეიარაღება, შემადგენლობა, ორგანიზაცია, ტექნიკა და სტრატეგია პირდაპირ დამოკიდებულებაში იმყოფებიან წარმოებისა და კავშირის საშუალებათა განვითარების მოცემულ დონესთან" [2].

1828 წელს ომის დაწყების დროს თურქეთის შეიარაღებული ძალების ორგანიზაცია, როგორც ცნობილია, სერიოზულ კრიზისს განიცდიდა. სულთანი მახმუდი, რომელმაც 1826 წელს ბარბაროსულად გაიარა შესრი აჯანყებულ იანიჩართა შენაერთებს, ის-ის იყო შეუდგა ახალი თანამედროვე ტიპის არმიის ჩამოყალიბებას. იმდროინდელი თურქეთის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეების — სტროგანოვისა და

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 20, გვ. 482.

[2] К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. XIV, стр. 170.

კატოდისტრიის აზრით, „არასოდეს არ ყოფილა პორტა ისეთ სახიფათო მდგომარეობაში, როგორც 1827—1828 წლებში“[1]

საზღვაო ფლოტის უჭონლობა (1827 წლის 8 ოქტომბერს ნავარინთან კატასტროფის გამო), ფინანსების ჭაოტური მდგომარეობა, შინაგანი სოციალ-პოლიტიკური არეულობა და სხვა მანკიერებანი, რომლებიც იმ დროს გამეფებული იყო თურქეთში, ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენდა რუსეთის არმიისათვის, რამაც მნიშვნელოვნად გაუადვილა მას ელვისებური დარტყმებით გაენადგურებინა მოწინააღმდეგე. სულ სხვა ვითარება იყო 1853—1856 წლების აღმოსავლეთის ომის დროს. ახლა რუსეთის მხარე, განსაზღვრული აზრით, სრულიად არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა. საქმე იმაშია, რომ მეოთხედი საუკუნის პერიოდში თურქეთის არმიამ მნიშვნელოვანი ცვლილებანი განიცადა. ახლა ომში უკვე მონაწილეობდა ევროპულ ყაიდაზე საკმაოდ გაწვრთნილი და სათანადოდ შეიარაღებული რეგულარული, დისციპლინირებული და ბრძოლის უნარიანი თურქეთის არმია. „ამქამად თურქებს, — საიდუმლოდ წერდა თავ. ბებუთოვი გენ. ბარიათინსკის 1853 წელს, — ჰყავთ რეგულარული ქვეითი ჯარიც, კავალერიაც, შესანიშნავი არტილერიაც. ახლანდელი თურქები უკვე არ გვანან 1828 — 1829 წლების თურქებს“[2]. ომის სხვა მრავალრიცხოვანი მონაწილენიც ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ იმ დროს თურქეთის თითქმის ყველა გვარეობის ჯარები უკვე საკმაოდ მაღალ დონეზე იდგნენ.

თურქეთის არმიას, რომელიც ევროპულ ყაიდაზე იქნა ორგანიზებული. პრუსიის გენერალური შტაბის ოფიცრის ფონ მოლტკეს (შემდეგში გრაფი და ფელდმარშალი) მიერ, იმ დროს ძირითადად უკვე მოეპოვებოდა თანამედროვე არმიის ყველა დამახასიათებელი ნიშანი. სპეციალისტების ცნობით თურქეთის არმია ყირიმის ომის დროს საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო, ამავე დროს სამხედრო-ტექნიკური

---

[1] „Восточная война“, СПБ, 1876, т. 1, стр. 6.

[2] Центральный Государственный Исторический Архив Груз. ССР, (ЦГИАГ) фонд. 1087, дело 472, Л. 143.

აღჭურვილობის მხრივ მაღალ დონეზე იდგა. თურქეთის ქვეითი ბატალიონების მეოთხედზე მეტი შტუცერებით [illegible] შეიარაღებული, გადაყვანილი იყვნენ გაშლილ საბრძოლო სისტემაზე და გამოირჩეოდნენ ზუსტი დამიზნებითი სროლის ოსტატობით[1]. „საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე თურქეთის არტილერიამ, — წერს რუსი სამხედრო ისტორიკოსი, — მისი მატერიალური ნაწილი უპირატესად ინგლისში იყო დამზადებული. ოფიცრები და მოსამსახურე პერსონალი თავის მოვალეობას კარგად ასრულებდნენ და მათი დიდი უმრაველესობა ქვემეხებთან იღუპებოდა. ქვეითი ჯარიც სათანადოდ იყო გაწვრთნილი და ადამიანი ძნელად დაიჭერებდა, რომ ეს ჯარი ძირითადად ახალგაზრდა წვევამდელებისაგან შედგებოდა"[2].

ამრიგად, რუსეთის კავკასიის რეგულარული კორპუსისა და ამიერკავკასიის მშვიდობიანი მოსახლეობის პირისპირ აღმოსავლეთის ომის დროს იდგა საკმაოდ ძლიერი ძალა, რომელსაც სამხედრო-ტექნიკური აღჭურვილობის მხრივ გარკვეული უპირატესობაც კი მოეპოვებოდა. გარდა ამისა საერთაშორისო პოლიტიკური კონიუნქტურაც ყირიმის ომის პერიოდში თვალსაჩინოდ აძლიერებდა თურქეთის პოზიციას.

XIX საუკუნის შუა წლებში საერთაშორისო ასპარეზზე ძალთა მნიშვნელოვანი გადაჯგუფება მოხდა. თუ მეოთხედი საუკუნის წინ თურქეთს უბდებოდა რუსეთთან პირისპირ შებმა უშუალო მოკავშირეებისა და სხვათა დახმარების გარეშე,

---

[1] აღსანიშნავია, რომ ყირიმის ომის დროს რუსეთის იმპერიას შეეძლო თანამედროვე თოფებით შეეიარაღებინა თავისი არმიის ბოლოდ 4 პროცენტი, მაშინ, როდესაც საფრანგეთის არმიაში ასეთი თოფით შეიარაღებულთა რიცხვი 33 პროცენტს უდრიდა, ინგლისის არმიაში კი — 50 პროცენტს. რუსეთის არმიის ძირითადი მასა უპირატესად შეიარაღებული იყო გლუვლულიანი დამკვრელ ხახმახიანი თოფებით. რომელთა სამიზნე უმოძრაო იყო. გასროლილი ტყვია 300 ნაბიჯზე ძლივს აზიანებდა სამიზნეს, ხოლო ნიშანში მოხვედრის კარიუდი 30 — 40 პროცენტს არ აღეწევებოდა.

(იხ. ლ. გორევი „1853 — 1856 წლების ომი", 1955 წ. ეგ. 15).

[2] А. М. Зайончковский, „Восточная война 1853—1856 гг. в связи с соврем. политической обстановкой", СПБ, 1908., т. II, стр. 280.

1853 — 1856 წლებში თურქეთი რუსეთთან ბრძოლაში ძლავრ ევროპულ სახელმწიფოთა კოალიციის ეფექტურ დახმარებას ეყრდნობოდა[1]. მეფის რუსეთი კი ფაქტიურად სრულიად იზოლირებული აღმოჩნდა. შექმნილი რთული და მწვავე მდგომარეობა განსაკუთრებული სიმძლავრით იგრძნობოდა ამიერკავკასია-თურქეთის სათმარ ასპარეზზე.

კავკასიის მეფისნაცვალი ვორონცოვი დამაჯერებლად ამტკიცებდა პასკევიჩ-ვარშავსკის მოძველებულ და დოგმატურ „დირექტივებს" კავკასიის დაცვის შესახებ. თავის პასუხში პასკევიჩის შენიშვნების გამო ვორონცოვი მართებულად მიაქცევდა სამხედრო მინისტრის ყურადღებას შეცვლილი ვითარებისადმი, იმოწმებდა კონკრეტულ ფაქტებს, რომლებიც ნათელყოფდნენ ქვეყნის დაცვის სიძნელეს და სირთულეს XIX საუკუნის ოცდაათ წლებთან შედარებით. მეფისნაცვლის მტკიცებით საქართველოს და ამიერკავკასიის სასაზღვრო ხაზი წინათ უფრო მოკლე იყო, ხოლო მისი ლანდშაფტი — უფრო ხელსაყრელი დაცვისათვის და გაცილებით ნაკლები რაოდენობის დამცველ ჯარებს მოითხოვდა.

საგულისხმოა ის დახასიათება, რომელსაც ვორონცოვი თურქეთის არმიას აძლევს. მისი დაკვირვებით თურქეთის არმია თავისი შინაგანი სტრუქტურით და შეიარაღებით უკანასკნელ მეოთხედ საუკუნეში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ამჟამად ოტომანთა არმია, — წერს იგი, — შეესებულია ევროპული ოფიცრებით, ბრძოლისუნარიანია და შედარებით უკეთ არის დისციპლინირებული. ამიტომ შეუძლებელია იმედი ვიქონიოთ, რომ ადვილი იყოს მასზე ჩვენი გამარჯვებაო. ვორონცოვი უკუაგდებს პასკევიჩის მცდარ ვარაუდს, თითქოს შესაძლო იყოს ყარსის აღება 10 — 15 დღის განმავლობაში. „ყარსი,—წერს ვორონცოვი,—ამჟამად უკვე შესანიშნავად არის გამაგრებული ინგლისელი ინჟინრების მიერ და მუშაობა მისი შემდგომი გაძლიერებისათვის კვლავ გრძელდება".

---

[1] მხედველობაშია მიხაღები ის გარემოება, რომ XIX საუკ. 20-იან წლებში რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ომებში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ თურქეთისა და ირანის დასავლეთელი „მეგობრები" — ინგლისი და საფრანგეთი.

სპარსეთი, — განაგრძობს ვორონცოვი, — რომელიც დაბეჭავებული და დაუძლურებული იყო წინანდელ ომში თურქეთთან, ამჟამად უკვე ძალას წარმოადგენს, ხოლო მისი ორგოფული პოლიტიკა, რომელსაც „ინგლისი ასულდგმულებს, ჩვენთვის განსაზღვრულ საფრთხეს წარმოადგენს“ [1].

ვორონცოვს განსაკუთრებით ფრიად დიდ საგონებელში აგდებდა ქვეყნის შიგნით შექმნილი მდგომარეობა. საქმე ეხებოდა მეფის არმიის ზურგში შამილისა და მაჰმად-ემინის ძირგამომთხრელ მოქმედებას. „1828 — 1829 წლების თურქეთის ომის დროს, — წერდა ვორონცოვი სამხედრო მინისტრს, — ფელდმარშალ გრაფ პასკევიჩს შესაძლებლობა ჰქონდა დიდი რაოდენობით გაეწვია ჯარები დაღესტნიდან და კავკასიის ხაზიდან, ხოლო მთიელებმა იმ დროს სათანადოდ ვერ გამოიყენეს ეს ხელსაყრელი შემთხვევა, რათა მოეწყოთ გამოხდომა ჩვენი საზღვრების წინააღმდეგ. ეს იმიტომ მოხდა, რომ მაშინ მათ შორის არ არსებობდა ის ერთიანობა, რომელიც ამჟამად არსებობს და არ ჰყავდათ შამილისა და მაჰმად-ემინის მსგავსი წინამძღოლები, რომელნიც თვალყურს მიაპყრობდნენ გარეშე მოვლენების მსვლელობას და შეძლებდნენ მრავალრიცხოვანი ძალების შეგროვებას განსაზღვრული მიზნისათვის“ [2].

აღსანიშნავია, რომ ფრიად საჭოქმანო და საბიფათო მდგომარეობაზე, ქვეყნის შიგნით, რაც დაკავშირებული იყო მთიელთა მოძრაობასთან, ყურადღებას ამახვილებდა აგრეთვე ბევრი ოფიციალური სამხედრო ისტორიკოსიც. „კავკასია, — წერს ა. მ. ზაიონჩკოვსკი, — წარმოადგენდა ისეთ საწვავ მასალას, რომლითაც უეჭველად უნდა ესარგებლათ და ისარგებლებდნენ კიდეც ჩვენი მტრები“[3].

---

[1] Московский Центральный Государственный Военно-исторический архив (ქვემოთ იხ. შემოკლებით ЦГВИАМ), фонд 69, д. 26, лист 5640—5645; см. также М. П. Щербинин, Биография кн. М. С. Воронцова, СПБ, 1858, стр. 55.

[2] ЦГВИАМ, ф. 69, п. 26, л, 5645.

[3] А. М. Зайончковский, „Восточная война 1853—1856 гг.“, СПБ, 1908, т. II, стр. 196.

პირველი შეხედვით კავკასიის კორპუსის რეგულარული ძალები საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჩანდა. არსებითად ქართველ-რების აბსოლუტური უმრავლესობა მთიელთა წინააღმდეგ სალაშქროდ იყო განკუთვნილი. მეფისნაცვალი ვორონცოვი გადაჭრით უარყოფდა შამილისა და მაჰმად-ემინის წინააღმდეგ განლაგებული რეგულარული რაზმების რიცხვის თუნდაც ოდნავ შემცირებას. ეს შინაგანი ფრონტი მას გაცილებით უფრო სახიფათოდ და საშიშრად ეჩვენებოდა.

უნდა ითქვას, რომ იმდროინდელი ადგილობრივი მთავრობის ეს პოზიცია არ იყო საფუძველს მოკლებული. ამას თვით ოფიციალური ისტორიკოსიც ადასტურებს. მაგალითად, ზაონჩკოვსკი წერს, რომ სამხედრო მოქმედებათა ხასიათი კავკასიის ფრონტზე ყირიმის ომის დროს „განისაზღვრებოდა მთელი ჩვენი მდგომარეობით ამ ქვეყანაში და დამოკიდებული იყო იმ ბრძოლისაგან, რომელსაც ჩვენ მთის ტომებთან ვაწარმოებდით"[1].

კავკასიის მთებში შექმნილი დაძაბული მდგომარეობის გამო ამიერკავკასია-თურქეთის საზღვრების დაცვის საქმე ფრიად მძიმე პირობებში აღმოჩნდა. ეს საზღვარი ომის დასაწყისში თითქმის დაცლილი იყო რეგულარული ჯარების ნაწილებისაგან. საკმარისია აღინიშნოს, რომ ჩვენს აზიურ საზღვარზე, რომლის სიგრძე იმ დროს 550 კილომეტრს აღემატებოდა, დაწესებული იყო სულ რამდენიმე ერთმანეთისაგან დიდად დაშორებული სასაზღვრო დაცვის პუნქტი[2].

კავკასიის მეფისნაცვალი განგაშს ტეხდა და დროულად აფრთხილებდა ცენტრალურ მთავრობას შექმნილი მდგომარეობისა და მოსალოდნელი საფრთხის გამო. იგი გარკვევით მოახსენებდა პეტერბურგს, რომ იმ უმნიშვნელო ძალებს, რომლებიც საზღვრებზეა განლაგებული, არამცთუ ძალა არ შესწევთ შეაკავონ გარეშე მტრის ჯარების დაწოლა, არამედ საკორდონო ხაზის დაცვასაც კი ვერ ახერხებენ ჩვეულებრივი კონტრაბანდისტებისა და გარეშე ჭურდბაცაცთა ბრბოების თავდასხმებისაგან.

---

[1] А. М. Зайончковский, „Восточная Война 1853—1856 гг.", СПБ, 1908, т. II, стр. 196.

[2] ЦГИАГ, ф. 14, д. 805, л. 18.

მართალია, ომის დასაწყისში და შემდეგშიაც საქართველოში და ამიერკავკასიაში დაიწყეს მაშველი ძალების შემოტანა (მე-13 ქვეითი დივიზია და სხვა შენაერთები), რატომდაც კავკასიის კორპუსის შიდა შენაერთების გარკვეული გადაჯგუფებაც, მაგრამ ამას ოდნავადაც არ შეეძლო არსებითად შეეცვალა დანაკლისი და მიახლოებით მაინც გაეთანაბრებია ჯარების რიცხვი მოწინააღმდეგის შეიარაღებულ ძალებთან. სწორედ ასეთმა ვითარებამ აიძულა გრაბე თავის დღიურში (1854 წლის 23 იანვარს) სასოწარკვეთილებით აღენიშნა, რომ საერთოდ მთელი კავკასია და განსაკუთრებით კი საქართველო ნამდვილად სასიკვდილო საფრთხის წინაშე იმყოფებაო[1].

საგულისხმოა, რომ ომის მსვლელობაში არცთუ იშვიათი იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც დასავლეთ საქართველოს საომარი ასპარეზის ამა თუ იმ სექტორზე არ რჩებოდა რეგულარული არმიის ნაწილები. ადგილობრივი საარდლობა სხვადასხვა (ზოგჯერ გაუმართლებელი) მოსაზრებითა და მოტივით ტოვებდა ბრძოლის მოწინავე ხაზს, ხსნიდა ჯარს და გადაჰყავდა იგი ზურგში, უფრო „კეთილმოწყობილ პოზიციაზე“[2]. ასეთ ვითარებაში საკუთარი ძალების ამარა მიტოვებული ქართველთა ლაშქარი (მილიცია), წარმოადგენდა მოწინააღმდეგის ერთადერთ შემაკავებელ ძალას და საქართველოს მილიციის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ზოგჯერ თვეობით ბრწყინვალედ იცავდა სასაზღვრო ზღუდეებს, მამაცურად ულობავდა გზას აგრესორს და, ხშირად კონტრშეტევაზე გადასული, სასტიკად სჯიდა მოწინააღმდეგეს მის საკუთარ ტერიტორიაზე.

თავისთავად ცხადია, რომ მეფის თვითმპყრობელობის ოფიციალურ ისტორიოგრაფიას არ შეეძლო ობიექტურად განეხილა და შეეფასებინა ომში ქართველი მოსახლეობის როლი და მნიშვნელობა, არ შეეძლო ეხილა და ეგრძნო, მეცნიერულად აეხსნა და განემარტა პატრიოტული ამოძრავება ქართველი ხალხისა, რომელიც ამიერკავკასიის სხვა მოძმე ხალხებთან ერთად, დიდი რუსი ხალხის ხელმძღვანელობით სამ-

[1] Н. Барсуков, Жизнь и труды М. П. Погодина, СПБ, 1899, кн. XIII, стр. 36.

[2] АКАК, т. XI, стр. 141.

კედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაება თავისი ისტორიული მტრების წინააღმდეგ. უტყუარი ფაქტები და დოკუმენტები მოლიანად ამბათილებენ თავადაზნაურულ-ბურჟუაზიულ ისტორიკოსთა და სამხედრო მწერალთა მიერ შეთხზულ უნიადაგო ზღაპრებსა და ცილისწამებას ადგილობრივი მოსახლეობის, ქართველთა მილიციისა და პარტიზანთა მისამართით. არქივებიდან ამოკრეფილი მასალა ნათლად ადასტურებს ამიერკავკასიის საომარი ასპარეზის უდიდეს მნიშვნელობას, მჭერმეტყველურად მოგვითხრობს მთელი ქართველი ხალხისა და მისი მილიციის სასიქადულო საგმირო საქმეებზე თურქებთან ბრძოლაში.

ძველი რევოლუციამდელი ისტორიოგრაფიისაგან განსხვავებით, წინამდებარე ნაშრომი ყირიმის ომში ქართველი ხალხის აქტიურ მონაწილეობას და ამ საომარ ასპარეზზე მოპოვებულ ბრწყინვალე გამარჯვებებს განიხილავს ქვეყნის შიგნით შექმნილ ვითარებასთან განუყრელ კავშირში, როგორც ხალხის რადიკალურად შემობრუნების მკაფიო მაჩვენებელს, როგორც დიდი ძვრებისა და გარდატეხის მაუწყებელს საქართველოს და მთელი ამიერკავკასიის ხალხთა სოციალურ-ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, რაც საქართველოს რუსეთთან შეერთებით იყო განპირობებული. რუსეთთან საქართველოს შეერთებას, იმ დროის რუსეთის თვითმპყრობელურ-მემამულური რეაქციული რეჟიმისა და კოლონიური პოლიტიკის მიუხედავად, უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის ისტორიაში. ეს ისტორიული აქტი წარმოადგენდა რუსეთისა და საქართველოს მთელი ადრინდელი ეკონომიური და კულტურული განვითარების კანონზომიერ შედეგს, რუსი და ქართველი ხალხების მრავალსაუკუნოვან პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ურთიერთობათა შედეგს. საქართველოს რუსეთთან შეერთება იქცა იმ ნიშანსვეტად, რომელმაც განაპირობა ჩვენი ქვეყნის შემდგომი პროგრესი, განსაზღვრა ქართველი ხალხის მთელი შემდგომი მოქმედება, მისი ბრძოლის ხასიათი გარეშე დამპყრობლებისა და შინაური სოციალურ-კლასობრივი მტრების წინააღმდეგ. ამ ისტორიული შემობრუნების აზრს

თანდათანობით ღრმად წვდებოდა და ითვისებდა ჩვენი ქვეყნის ფართო საზოგადოებრიობა, ეგუებოდა მას, მიჰყვებოდა ახალ კურსს და მიმართულებას.

ვ. ი. ლენინი გვაძლევს ფასდაუდებელ მეთოდოლოგიურ მითითებას იმის შესახებ, რომ საერთო-ნაციონალური მოძრაობის დროს „აუცილებელია ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა კლასის იმ სხვადასხვა ინტერესთა ზუსტი ანალიზი, რომლებიც ერთმანეთს ხვდება განსაზღვრული, შეზღუდული საერთო ამოცანების ნიადაგზე"[1]. აქედან გამომდინარე, ძნელი არ არის ახსნილ იქნეს მიზეზი „ქართველთა სულის აღტკინებისა", რასაც ყირიმის ომის პერიოდში ხაზგასმით აღნიშნავდა თვით რუსეთის მოწინავე წრეები.

ქართველი ხალხის საერთო საბრძოლო აღმაფლობას აღმოსავლეთის ომის დროს ხელს უწყობდა, უწინარეს ყოვლისა, ის გარემოება, რომ ქართველმა ხალხმა 1853 — 1856 წლებში საკუთარ მიწა-წყალზე განიცადა მტრის თავდასხმა, მისგან აწიოკება და გაპარტახება. თურქი აგრესორების სახით ქართველობა ხედავდა თავის დაუძინებელ ისტორიულ მტერს, რომელმაც მას არაერთგზის დაატეხა თავს აუტანელი ტანჯვა-წვალება და უბედურება, რომელიც სრული განადგურებით ემუქრებოდა მის არსებობას. მტერი მიისწრაფოდა ჩამოეშორებინა საქართველო და მთელი ამიერკავკასია მოძმე რუსეთისაგან, ფეხქვეშ გაეთელა ქვეყნის უძველესი და მდიდარი კულტურა, დაემცირებინა და ღირსება აეხადა ქართველი ხალხისათვის, წაებილწა მისი წმიდათა წმიდა ქერა და ოჯახი. თავსმოხვეულმა ომმა ქართველ ხალხში უსაზღვროდ გააღვივა მტრისადმი "ზიზღისა და შურისძიების გრძნობა, განამტკიცა მასში შეუპოვრობა და გამარჯვებისადმი მისწრაფების უდრეკი ნებისყოფა. იგი იძულებული გახდა ხელში აეღო იარაღი და, დიდ რუს ხალხთან ერთად, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმულიყო დამპყრობთა წინააღმდეგ საკუთარი მიწა-წყლის, ოჯახისა და ღირსების დასაცავად.

მაგრამ საქართველოს მშრომელი ხალხის პატრიოტიზმი აღნიშნულ ომში შეზავებული იყო მისი სოციალური და

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზ., ტ. 12, გვ. 498.

ეროვნული მზაგერელების წინააღმდეგ სიძულვილის გრძნობებთან. საქართველო, როგორც უძველესი და მაღალი კულტურის, გმირული ტრადიციების ქვეყანა რუსეთთან შეერთების შემდეგ, კი არ გაითქვიფა დიდსა და ძლიერ ერში, კი არ ჩამოვიდა ისტორიული ავანსცენიდან, პირიქით, მან მტკიცედ შეინარჩუნა თავისი ისტორიული თვითმყოფობის საუკეთესო ნიშნები, დადებითი ტრადიციები.

რუსეთთან შეერთების შემდეგ, დიდი რუსი ხალხის ბელშეწყობით და რუსეთის მოწინავე პროგრესული აზრის ცხოველმყოფელი ზეგავლენით, ქართველობამ შემდგომ განავითარა და გაამდიდრა ეს ტრადიციები. ამავე დროს, აქტიურად უწევდა რა წინააღმდეგობას მეფის მთავრობის ულმობელ და მომაკვდინებელ რუსიფიკატორულ პოლიტიკას, ქართველმა ხალხმა განსაცვიფრებელი ალღო, სიმტკიცე და სიცოცხლისუნარიანობა გამოავლინა. ყველაზე მკაფიოდ ეს დადასტურდა ყირიმის ომის დროს.

დიდი რუსი ხალხის დახმარებით, ქართველი ხალხის ბრძოლამ საძალხო-განმათავისუფლებელი ომის ხასიათი მიიღო. ომმა ღრმა ბეჭედი დაასვა მთელი ხალხის მატერიალურ და სულიერ ცხოვრებას. ომის წარმოების ეერაგულმა მეთოდებმა, ძალადობამ და ტირანიამ, რასაც თურქი დამპყრობლები მიმართავდნენ ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ, ქართველი ხალხი მოთმინებიდან გამოიყვანა, აიძულა ოგი შეუბრალებლობა გამოეჩინა მტრის ურდოების წინააღმდეგ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი მეომრების გაალფთრება თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ, ოდნავადაც არ იყო ფანატიკური და უაზრო; პირიქით, საქართველოს საძალხო ლაშქრის მორალურ-ზნეობრივი უპირატესობა განპირობებული იყო საკუთარი ქვეყნისა და ღირსების დაცვის კეთილშობილური ამოცანებით. ეს უპირატესობა წარმოადგენდა მტერზე გამარჯვების დიდმნიშვნელოვან ფაქტორს და საწინდარს.

ყირიმის ომის პერიოდში ჩვენს ქვეყანაში, ლ. ნ. ტოლსტოის სიტყვებით რომ ვთქვათ, უძლეველი ძალით აღიმართა „საძალხო ომის კეტი", რომელიც სასტიკად მუსრავდა და

ანადგურებდა საქართველოს მიწაწყალზე შემოჭრილ თურქ-ბარბაროსებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურქეთის ჯარების დამარცხებებმა დიდად შეაშფოთა ინგლისისა და საფრანგეთის მმართველი წრეები. 1853 — 1856 წლების ომში რუს ჯარებთან ერთად ქართველთა ლაშქრის მონაწილეობამ ჩაფუშა ევროპის დიპლომატებისა და სტრატეგების აგრესიული გეგმები რუსეთის მიმართ. კრახი განიცადა ინგლისელი, ფრანგი და თურქი დამპყრობლების ცდამ — ფარისევლური მაქინაციებით შეერყიათ ქართველი ხალხის გადაწყვეტილება, დაეპირისპირებიათ იგი მოძმე დიდი რუსი ხალხისათვის.

მრავალრიცხოვანი ისტორიული საარწმუნო დოკუმენტი მკაფიოდ ასახავს რუსი და ქართველი ხალხის საბრძოლო თანამეგობრობას. ჩვენს წინაშე მთელი სიდიადით არის განსახიერებული ხალხთა ისტორიული მეგობრობის ღრმა ფესვები, მეგობრობისა, რომელიც საერთო მტრებთან სასტიკი ბრძოლების ჭურაში გამოიცადა და გამოიწრთო, რომელიც მტკიცედ შეიკრა და შედუღაბდა საშობლოს ღირსებისა და დიდებისათვის ერთად დაღვრილი სისხლით.

ჩოლოქის პლაცდარმთან ბრწყინვალე გამარჯვების გამო კავკასიის არმიის მთავარსარდლის სახელზე გაგზავნილ რელაციაში გენერალ-ლეიტენანტი, თავ. ანდრონიკაშვილი წერდა: „ქართლ-კახეთის, იმერეთისა და გურიის მხედრები — ჭვეითნი და ცხენოსნები — რუს ჯარისკაცთა ჩამოყალიბებული მწყობრის ღირსეული თანამოლაშქრენი იყვნენ. ისინი მოწინააღმდეგისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდნენ არა მარტო მტრის უკან დახევის დროს, არამედ თვით გამარჯვების მოპოვებამდე. მილიციელთა (ქართველ მოლაშქრეთა — ე. ბ.) ხმლები წარმატებით მოქმედებდა ჯარისკაცთა ხიშტებთან ერთად[1].

ცნობილი სამხედრო ავტორიტეტები და გამოჩენილი სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ საქართველოს ლაშქარს ჰქონდა კარგი სამხედრო დისციპლინა და წესრიგი. მილიციის რაზმები ოსტატურად სარგებლობენ არმიის სამ-

[1] АКАК, т. X., стр. 32.

ხედრო წესებით, თავიანთი რიგების სიმწყობრე მათ გამოცდილი რეგულარული ჯარის მრისხანე სახეს აძლევს. ამასვე კუთრებით ქებით იხსენიებდა ქართველთა ლაშქარს კავკასიის ოლქის გენერალ-ადიუტანტი ნ. ნ. მურავიოვი. იგი აღტაცებული იყო „საქართველოს მოსახლეობის მუდმივი მზადყოფნით — ეკვეთოს მტერს". მურავიოვი მაღალ შეფასებას აძლევდა სახალხო მილიციას, რომელიც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „არ კმაყოფილდებოდა ბრძოლის ველზე მარტოოდენ მამაცობითა და გმირობით. იგი ამასთან ერთად ასრულებდა სამხედრო დისციპლინის ყველაზე მკაცრ წესებსაც" [1].

რუსეთის იმპერიის მთელი მოსახლეობა აღტაცებით და სიმპათიით ადევნებდა თვალყურს ქართველი ხალხისა და მისი სახელოვანი ლაშქრის გმირულ ბრძოლებს თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ. რუსი ხალხის მოწინავე ადამიანებთან ერთად სხვა მოძმე ხალხებიც თანაგრძნობას უწევდნენ გარეშე მტრის წინააღმდეგ ამხედრებულ ქართველებს, ამხნევებდნენ მათ, მიესალმებოდნენ ქართველი მოსახლეობის ერთგულებას და ურყევ შეგობრულ კავშირს დიდ რუს ხალხთან. უკრაინელი პოეტი ვანენკო პატრიოტული ენთუზიაზმით გამთბარი სტრიქონებით ადიდებდა მტრის წინაშე ქედმოუხრელ ქართველ ხალხს:

Вачте Грузію—вона
Серцем щирим ратує,
Бо Росії вірна[2].

იმ გამანადგურებელმა დარტყმებმა, რომლებიც ყირიმის ომის წლებში განიცადა თურქთა ლაშქარმა საქართველოს და მთელი ამიერკავკასიის საზღვრებთან, დიდად შეასუსტა მოწინააღმდეგის ნებისყოფა, გატეხა მისი ქედმაღლობა. ამ წარმატებებმა მაღალი სიმპათიის გრძნობები გამოიწვია რუსეთის საზოგადოებაში, გააცხოველა მასში ოპტიმიზმი, გააძლიერა ომში გამარჯვების რწმენა. თავის წერილებში მ. პ.

---

[1] ЦГВИАМ, ф. 69, оп. 28, л. 7268.
[2] ЦГВИАМ, ф. 69, оп. 1, 20, л. 452.

პავლოდინისადმი შევირიოვი ალტაცებით მიესალმებოდა საომარი კამპანიის ბრწყინვალე მსვლელობას კავკასიაში, იმოწმებდა გენერლების ანდრონიკაშვილისა და ბებუთოვის მიერ მოპოვებულ შესანიშნავ გამარჯვებებს ახალციხესთან, ბაშკადიკლართან და თვლიდა, რომ კავკასიის კამპანია ფრიად მნიშვნელოვან როლს შეასრულებს მოვლენების შემდგომ განვითარებაშიო[1].

1853—1856 წლების ომი წარმოადგენდა ქართველი ხალხის თავისებურ შემოწმებას ქვეყნის ისტორიული შემობრუნების ფრიადმნიშვნელოვან ეტაპზე. ეს მძიმე ომი თითქოს მოწოდებული იყო კვლავ საფუძვლიანად გადაესინჯა და შეემოწმებინა ხალხთა მასების მორალური სიმტკიცე, მისი მრწამსი და ორიენტაცია. ქართველობამ ომის მკაცრი გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარა. ხანგრძლივ და სისხლისმღვრელ ბრძოლებში ერთხელ კიდევ თვალნათლად დადასტურდა ქართველების შეუპოვრობა და ქედმოუხრელობა მტრის წინაშე, მისი შეუდრეკლობა და გამძლეობა. ომმა ნათელყო აგრეთვე ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების მაღალი დონე, მოსახლეობის მორალური უპირატესობა და კეთილშობილება, ნდობა, სიყვარული და ერთგულება რუსეთის მოძმე ხალხისადმი. მამაცი მილიციისა და სახალხო ლაშქრის სახით ქართველმა ხალხმა ომში კვლავ გამოავლინა მაღალი რაინდული სულისკვეთება, იშვიათი სიმტკიცე და გაბედულება, ყველა ის კეთილშობილური თვისება, რითაც მარად ბრწყინავდა ისტორიაში ქართველი მამულიშვილის სახელი.

წინამდებარე წიგნში ავტორი შეეცადა გამოერკვია საქართველოს და ქართველი ხალხის როლი 1853—1856 წლების ყირიმის ომში, მზის სინათლეზე გამოეტანა ამ საკითხზე არსებული მდიდარი საარქივო მასალა და სხვა მრავლისმეტყველი საისტორიო დოკუმენტები, გაეანალიზებინა ისინი და მიეწოდებინა მკითხველი საზოგადოებისათვის. „იმისათვის, რომ გავიმარჯვოთ, — გვასწავლის ლენინი, — უნდა გავიგოთ

---

[1] Н. Барсуков, жизнь и труды М. П. Погодина, СПБ, 1899, кн. XIII, стр. 118.

ძველი ბურჟუაზიული სამყაროს მთელი ულრმესი ისტორიული
რია"[1].

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

დასასრულ ორიოდე შენიშვნა წიგნის კომპოზიციური წყობისა და მისი ცალკეული თავის შესახებ. ავტორმა საჭიროდ ჩათვალა მეორე თავის სახით მოეცა საქართველოს სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიური ვითარების, ისტორიული ფონის ზოგადი მიმოხილვა ყირიმის ომის პერიოდში. ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ავტორს თითქოს ჰქონდეს განზრახვა მოგვცეს საკითხების სრულიად ახალი და დამოუკიდებელი გადაწყვეტა. საბედნიეროდ, ჩვენი ისტორიის საკითხები იმდენად კარგად, მარქსისტულად არის გაანალიზებული და გამუშავებული ამ უკანასკნელი წლების ქართულ საისტორიო ლიტერატურაში, რომ ავტორს შეეძლო მასზე დაყრდნობით თავისი საკუთარი განზოგადოებანი და დასკვნები მოეცა. ჩვენი პრეტენზია ამ შემთხვევაში აღნიშნულის ფარგლებს არ სცილდება.

როგორც მკითხველი დაინახავს, წიგნის შინაარსი, ბოლო თავის გამოკლებით, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გადმოგვცემს ისტორიულ მოვლენათა (საომარი მოქმედების) განვითარებას. ნაშრომში სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მის უკანასკნელ, მეექვსე თავს (ქართული სახალხო ლაშქარი — მილიცია).

ქართულმა სახალხო მილიციამ, როგორც აღინიშნა, იშვიათი გმირობისა და მამულიშვილობის ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერა აღმოსავლეთის ომის ისტორიაში. ამიტომ, გასაგებია, რომ მილიციის მამაცურ ბრძოლათა ეპიზოდებს საპატიო ადგილი დაეთმო წიგნის მთელ სიერცეზე. მაგრამ ავტორს საკითხი ჩვენი სახალხო ლაშქრის შესახებ საზოგადოდ სპეციალურად შესწავლის ღირსად მიაჩნია. მისი ისტო-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 30, გვ. 555.

რის ძირითადი პერიპეტია კი ყირიმის ომის ისტორიას უკავშირდება. რომ არ გადაგვეტვირთა ნაშრომის ცალკეული თავები ფაქტიური მასალით, რაც დაამძიმებდა თხრობისა და წაკითხვის დინამიურობას, ჩვენ გადავწყვიტეთ ეს მასალა დამოუკიდებელ ნაწილად გამოგვეყო. ვფიქრობთ, რომ ზოგიერთი უხვრცელობის მიუხედავად, იგი საერთოდ შეესაბამება შრომის მიზანდასახულობას და მისი ფარგლებიდან არ გამოდის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი პირველი

დამპყრობთა გეგმები და ვარაუდები საქართველოში

ამიერკავკასია თავისი მდებარეობით დასავლეთისა და აღმოსავლეთის გზაჯვარედინზე მუდამ ასრულებდა დიდმნიშვნელოვან როლს დიდ სახელმწიფოთა შორის გაჩაღებულ ეკონომიურ და სამხედრო-პოლიტიკურ კონფლიქტებში. ეს შეიძლება განსაკუთრებით ითქვას საქართველოს შესახებ, რომელიც როგორც ორი კონტინენტის შემაერთებელი ხიდი, აზიისა და ევროპის საკვანძო პუნქტი, არასოდეს არ ყოფილა გამოთიშული მსოფლიო-ისტორიულ პროცესებისაგან. ამავე დროს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ამბები გარდუვალად ამჩნევდა თავის კვალს საქართველოს ცხოვრებაზე.

სავაჭრო გზებისა და საგარეო ბაზრებისათვის დაუცხრომელმა მეტოქეობამ და ბრძოლამ უკიდურესად გაამწვავა მეფის რუსეთის ურთიერთობა ბურჟუაზიული ევროპის ყველა ძირითად ქვეყანასთან. ხმელთაშუა ზღვისა და შავი ზღვის აუზის პრობლემები და სრუტეები, რომელნიც არა მარტო აღმოსავლეთის ბაზრების სავაჭრო გზებს წარმოადგენენ, არამედ, მარქსის დახასიათებით, „პირველი რანგის სამხედრო პოზიციებადაც" ითვლებოდნენ, ევროპის ყველა დიდ სახელმწიფოს აღელვებდა [1]. ინგლისელებთან ერთად შავ ზღვაში თავისუფალი მიმოსვლის საკითხით განსაკუთრებით იყვ-

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. IX, стр. 384.

ნენ დაინტერესებულნი საფრანგეთისა და ავსტრიის მმართველი წრეები. ამრიგად, XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნაზე ევროპისა და აზიის ქვეყნებს შორის საერთაშორისო ურთიერთობათა ხასიათს და ძირითად მიმართულებას განსაზღვრავდა სამი დიდი სახელმწიფოს: ინგლისი-საფრანგეთ-რუსეთის მძაფრი კოლონიური მეტოქეობა. წინა აზიაში გაჩაღდა ის ხანგრძლივი და შეურიგებელი ბრძოლა, რომელიც ისტორიაში ცნობილია „დიდი თამაშის“ სახელწოდებით.

„აღმოსავლეთის საკითხი“, რომელიც ოთხი საუკუნის განმავლობაში არ მოშორებია ევროპის დიპლომატიისა და პოლიტიკის სცენას, თავის განსაკუთრებულ სიმძაფრეს აღწევს 1848 წლის რევოლუციების დამარცხების შემდეგ. ყირიმის ომი წარმოადგენდა ერთ-ერთ რგოლს „აღმოსავლეთის საკითხის“ გადაჭრისათვის დიდ სახელმწიფოთა შორის ამტყდარი ხანგრძლივი და დაუნდობელი ბრძოლების ჯაჭვში. ეს საკითხი იმ დროს წარმოადგენდა დიდ ქვეყნებს შორის საშეურნეო-პოლიტიკური და სტრატეგიული გაყოფის უზრუნველყოფისათვის ბრძოლის საკითხს აზიის კონტინენტზე. ამავე დროს, ეს იყო საკითხი ოტომანთა იმპერიასთან დაბრკოლებულებისა, იმ იმპერიასთან, რომელიც კ. მარქსის სიტყვებით რომ ითქვას, „ლეგიტიმისტური ევროპის სნეულ ადგილს“ წარმოადგენდა.

„აღმოსავლეთის საკითხის“ ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენდა, დასავლეთ ევროპის მთავარ სახელმწიფოებთან ერთად, მეფის რუსეთის ბრძოლა მომაკვდავი თურქეთის „მემკვიდრეობისათვის“ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. თავისთავად ცხადია, რომ მეფის მთავრობის საგარეო პოლიტიკა ამ რაიონში მთლიანად ემსახურებოდა რუსეთის ბატონყმური სახელმწიფოს ანგარებიან მიზნებს, მაგრამ იგივე პოლიტიკა ობიექტურად ისტორიულ-პროგრესული შედეგებით ხასიათდებოდა. რუსეთის არმიების დარტყმებმა მნიშვნელოვნად დაასუსტა ოსმანთა სახელმწიფო, რის შედეგადაც ამობოჭრილა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თურქეთის ბიჯრ ჩაგრულ ხალხებს შორის. ამავე დროს ბალკანეთის ნახევარკუნძულის მოსახლეობას კარგად ესმოდა,

რომ მათ არ შეეძლოთ საკუთარი ძალლონით მოეშორებინათ თურქეთის უღელი. აქედან გასაგებია, რომ ისინი, [illegible] კეთრებით სლავი ხალხები, დახმარებას რუსეთისაგან მოელოდნენ, რუსებს თავიანთ მხსნელად და განმათავისუფლებლად სახავდნენ.

ამრიგად, „აღმოსავლეთის საკითხის“ ძირითად ღერძს, წინააღმდეგობათა მთავარ საკვანძო პუნქტს, თავდაპირველად, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი რაიონი, ევროპის თურქეთი, ანუ ბალკანეთის ნახევარკუნძული წარმოადგენდა. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისა და, უწინარეს ყოვლისა, ინგლისის პოლიტიკა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მიმართული იყო ოტომანთა იმპერიის „მთლიანობისა და დამოუკიდებლობის“ შენარჩუნებისაკენ. ეს იდეა უაღრესად რეაქციული ხასიათისა იყო, რადგან, კ. მარქსის სიტყვებით რომ ითქვას, Status Guo-ს შენარჩუნება „პორტის ქრისტიან ქვეშევრდომთათვის მოასწავებდა მათი ჩაგვრის გამარადისებას თურქეთის მხრივ“ [1]. სლავურ და კავკასიის ხალხების მოსისხლე მტრის — თურქეთის ფეოდალურ ძალმომტაცური მონარქიის შენარჩუნების დროშით, ინგლისელი და ევროპის სხვა დამპყრობლები ყოველნაირად ცდილობდნენ შეენიღბათ თავიანთი მტაცებლური კოლონიალური გეგმები. ისინი ობიექტურად ხელს უწყობდნენ შუასაუკუნეობრივი დესპოტიის გამარადისებას, ბოჭავდნენ სლავური და

---

[1] 1853 წლის მარტში დაწერილ სტატიაში „ეროვნებანი თურქეთში“ კ. მარქსი წერდა: „თურქეთი ლეგიტიმისტური ევროპის სნეულ ადგილს წარმოადგენს. ლეგიტიმისტური მონარქისტული სისტემის ესესტრობა საფრანგეთის პირველი რევოლუციის დროიდან პოულობს თავის გამოხატულებას ერთ დებულებაში: შენარჩუნებულ იქნას Status Guo! ეს... აღასტურებს სიცოცხლეს, ხელმძღვანელ სახელმწიფოთა უუნარობას — წინ წასწიოს პროგრესის საქმე ანუ ცივილიზაცია.

შენარჩუნებულ იქნას თურქეთში Status Guo! ასეთივე უფლებით შეიძლება შეეცადო, რომ ერთსა და იმავე დონეზე შეაჩერო ცხენის ლეშის ლპობა, რათა არ დაეშვა მისი სრული გახრწნა. თურქეთი იხრწნება და იგი სულ უფრო მეტად გაიხრწნება, ვიდრე იარსებებს ახლანდელი სისტემა „ევროპული წონასწორობისა“ და „Status Guo“.

К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. IX, стр. 372—373.

კავკასიის ხალხთა სოციალ-პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურული პროგრესის საქმეს.

ისტორიული განვითარების პროცესში მსოფლიო ასპარეზზე სამეურნეო-პოლიტიკურ ცვლილებათა კვალდაკვალ მნიშვნელოვნად შეიცვალა დიდი სახელმწიფოების ერთიერთ წინააღმდეგობათა სამხედრო-სტრატეგიული და პოლიტიკურ-გეოგრაფიული ასპექტები, ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივდა ახალი პრობლემები, ახალი ამოცანები, გაინასკვა ანტაგონიზმების ახალი კვანძები.

დიდ სახელმწიფოებს შორის შეურიგებელი ანტაგონიზმის ზრდისა და ჰეგემონობისათვის ბრძოლის ისტორიაში XIX საუკუნის პირველ ნეოთხედში საერთოდ ორი პერიოდი ალინიშნება: პირველი პერიოდი მოიცავს დაახლოებით 1805—1809 წლებს, როდესაც მცირე აზიაში გაბატონებული მდგომარეობა ეკავა საფრანგეთს, ხოლო ინგლისის პოზიციები ამ რაიონში შედარებით შესუსტებული იყო. ამ ეტაპზე საფრანგეთის სახელმწიფო, პირადად ნაპოლეონ ბონაპარტე, აზიაში თავისი პოზიციების განმტკიცების მიზნით, ერთობ დიდ ინტერესს იჩენს მთელი ამიერკავკასიისა და განსაკუთრებით საქართველოს მიმართ. პარიზის დიპლომატია ამ დროს საქართველოს საკითხს განიხილავდა ეითომდა მისი ირანისა ან თურქეთისათვის „დაბრუნების" თვალსაზრისით, არსებითად კი საქართველოს საკითხში საფრანგეთის დიპლომატიის ისარი გაცილებით შორს იყო დამიზნებული. უტყუარი ისტორიული დოკუმენტები თვალნათლივ მოწმობენ, რომ საფრანგეთის აგენტებს, თვით ნაპოლეონ პირველს შეჰიდრო კავშირი ჰქონდა დამყარებული ანტირუსულად განწყობილ ქართველ მსხვილ ფეოდალებთან, განსაკუთრებით ემიგრანტ ბატონიშვილებთან, რომლებიც თავს უცხო საბელმწიფოებს აფარებდნენ.

1806 წელს ბატონიშვილმა ალექსანდრემ განაცხადა, რომ ფრანგები საქართველოდან რუსების განდევნის მიზნით ბაბახანს დიდძალ დამხმარე ჯარების მიცემას შეპირდნენო. ერთ-ერთი აგენტი თავრიზიდან იტყობინებოდა: „სპარსეთის შაჰს და ბატონიშვილ ალექსანდრეს სისტემატურად მოსდით

ფრანგებისაგან როგორც ადამიანები, ისე წერილები [illegible] შესახებ, რომ ფრანგები შესძლებენ რუსების განდევნას [illegible] ქართველოდან". როგორც წყაროები მოწმობენ, თვით ბატონიშვილი ალექსანდრე ფიქრობდა პარიზში გამგზავრებას, რათა უშუალოდ მოლაპარაკებოდა საფრანგეთის მთავრობას [1]. პარიზთან უშუალოდ იყვნენ დაკავშირებულნი აგრეთვე იმერეთის ფეოდალებიც. ირკვევა, რომ თვით მეფე სოლომონ მეორეც კი არსებითად საფრანგეთის ცნობილი საიდუმლო აგენტის ნიკოლოზის ინტრიგების ქსელში იყო გახვეული.

ქართველ ფეოდალებს განსაკუთრებით გაუძლიერა იმედები 1807 წელს დადებულმა საფრანგეთ-ირანის ხელშეკრულებამ (ფინკენშტეინის ხელშეკრულება) და „ნაპოლეონის დაპირებამ, რომ საქართველო ირანს „დაუბრუნდებათ". მაგრამ ნაპოლეონის აღმოსავლეთის პოლიტიკა, როგორც ცნობილია, არასოდეს არ იყო მკვიდრი, თანმიმდევრული და თავისთავადი. ეს პოლიტიკა არსებითად საფრანგეთის იმ გენერალურ ხაზს ექვემდებარებოდა, რომელსაც ნაპოლეონი თვით ევროპაში ატარებდა.

ტილზიტის ზავის (1807) შემდეგ საფრანგეთის პოზიციები აზიაში მნიშვნელოვნად შეირყა. ამიერიდან თურქეთისა და ირანის მთავრობები ნაპოლეონ პირველს უკვე აღარ უცქერდნენ სრული ნდობით. შექმნილი სიტუაცია მოხერხებულად გამოიყენა ინგლისის დიპლომატიამ და სულ მალე მან ხელთ იგდო ახლო აღმოსავლეთში ჰეგემონობა. 1809 წლიდან დაწყებული ამ რაიონში ინგლისის გავლენა დღითიდღე ძლიერდებოდა და ფართოვდებოდა. დაძაბული მეტოქეობა და ბრძოლა საფრანგეთისა და ინგლისს შორის ბოლოს და ბოლოს ამ უკანასკნელის სრული გამარჯვებით დამთავრდა.

ინგლის-რუსეთის წინააღმდეგობა, რომელმაც ჯერ კიდევ XVIII საუკუნის დასასრულს იჩინა თავი, განსაკუთრებით გამწვავდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში. ინგლისის ბურჟუაზიის სავაჭრო და სამხედრო-სტრატეგიული ინტერე-

---

[1] АКАК, т. III, стр. 65, 69.

[2] АКАК, т. II, стр. 886; т. IV, стр. 338; т. VII, стр. 753.

სები, მისი ანექსიონისტური მისწრაფება ახლო და შუა აღმოსავლეთისაკენ დიამეტრულად უპირისპირდებოდა შეფის რუსეთის „სასიცოცხლო" ინტერესებს. დიდი ბრიტანეთის „ლომს" განსაკუთრებით მოსვენებას უკარგავდა. რუსეთის ცარიზმის მიერ დარდანელისა და ბოსფორის სრუტეების ხელში ჩაგდების საფრთხე. ამავე დროს ინგლისის კაპიტალის შეურყეველი ბატონობა წინააზიაშიც უშუალო საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

„რა დაემართებოდა ინგლისის ვაჭრობის უმნიშვნელოვანეს არტერიას, — ჰგოდებდა პალმერსტონი, — რომელიც გადის გერმანიაზე დაბლა დუნაით გალიციაში და შავი ზღვით ტრაპეზუნტამდე? რა მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ უაღრესად მოხერხებული გზები ინდოეთისაკენ — ძველი გზა ალექსანდრიით, კაიროზე და სუეცზე გავლით და ახალი გზა ევფრატით და ტიგროსით?»[1] ინგლისის ბურჟუაზიას და მთავრობას არ შეეძლო გულგრილად ეცქირათ იმ წარმატებებისათვის, რომელსაც რუსეთის პოლიტიკა წლითიწლობით აღწევდა მთელს კავკასიაში. აღსანიშნავია, რომ რუსეთის საგაჭრო და პოლიტიკური გავლენის ზრდას აშიერკავკასიაში განსაკუთრებით ეწყობდა ხელს ირანისა და თურქეთის მმართველი წრეების დესპოტური პოლიტიკა ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ.

ინგლისის ბურჟუაზია დაუფარავი შიშითა და ძრწოლით ადევნებდა თვალყურს რუსეთის საგაჭრო-ეკონომიური და პოლიტიკური გავლენის ზრდა-გაფართოებას ირანში, შუა აზიასა და იმ ქვეყნებში, რომლებიც ინგლისის ოსტ-ინდოეთის საკუთრებას ესაზღვრებოდნენ. ინგლისის აგრესიული წრეების ანექსიონისტური გეგმების განხორციელებისათვის, რომლებშიც ნაკარაუდევი იყო ახლო და შუა აღმოსავლეთის დაპყრობა, ახალი ბაზრების და მაგისტრალური გზების ხელში ჩაგდება, საქართველოს და მთელი კავკასიის ფრიადმნიშვნელოვანი სამხედრო-სტრატეგიული პოზიციების შემოერთებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა

[1] ЦГВИАМ, фонд ВУА, дело 496, лист 381.

ჰქონდა. ამიტომ აღმოსავლეთში ინგლისის პოლიტიკის ლეიტმოტივს წარმოადგენდა მთელი თავისი ძალებისა და სურსების წარმართვა ახლო აღმოსავლეთში რუსეთის გავლენის გაზრდის წინააღმდეგ. გადაეღობა მისთვის ახლო აღმოსავლეთისაკენ მიმავალი გზა, აღეკვეთა ხმელთაშუა ზღვასა და აზიაში რუსეთის გაჭრის საფრთხე, ორივეთარი გზით არდაეშვა ამ ახალი და ძლიერი მეტოქის გაძლიერება მისი ბატონობის სფეროებში. ინგლისის ბრძოლა ჰეგემონობის მოპოვებისათვის წინააზიაში მოასწავებდა თურქეთისა და ირანის გადასვლას მის სრულ მორჩილებაში, მათ გადაქცევას ინგლისის აღმოსავლეთის პოლიტიკის ბრმა იარაღად.

რუსეთის აღმოსავლეთის პოლიტიკის დედაარსი, რაც მისი ეკონომიური განვითარებისა და საგარეო ვაჭრობის ზრდის შედეგი იყო, მდგომარეობდა იმაში, რომ მოეპოვებინა თავისუფალი და შეუზღუდავი გასასვლელები საშხრეთის ზღვებზე და აზიის ბაზრებზე. აქედან გასაგები უნდა იყოს რუსეთის დიპლომატიის განუხრელი ინტერესი კავკასიის ყელისადმი: იგი წარმოადგენდა იშვიათ სტრატეგიულ პოზიციას, რომლის როლი და მნიშვნელობა დღითი-დღე იზრდებოდა. რუსეთის მთავრობას მშვენივრად ესმოდა, რომ კავკასიაში მომაგრება უზრუნველყოფდა მის ჰეგემონობას კასპიისა და შავ ზღვაზე, განამტკიცებდა მის პოზიციებს საშხრეთ-აღმოსავლეთის რაიონებში. „შავსა და კასპიის ზღვებზე ბატონობა, — წერდა რუსი საშხედრო ისტორიკოსი რ. ს. ფადეევი, — ან, უკიდურეს შემთხვევაში, ამ ზღვების ნეიტრალიტეტი წარმოადგენს სასიცოცხლო ინტერესს მთელი საშხრეთ რუსეთის ნახევრისათვის, ოკიდან ყირიმამდე, სადაც სულ უფრო და უფრო იყრის თავს იმპერიის მთავარი ძალები, როგორც პირადი, ისე მატერიალური. საბელმწიფოს ეს ნახევარი, შეიძლება ითქვას, შექმნილია შავი ზღვით“ [1].

ისტორიის ინგლისელი ფალსიფიკატორები, ინგლისელ დამპყრობთა კალმოსნები თავიანთ „გამოკვლევებში“ ცდილობენ ინგლის-რუსეთის წინააღმდეგობის ძირითად მიზეზად გამოაცხადონ მხოლოდ რუსეთის ცარიზმის მისწრაფება

[1] Р. Фадеев. Шестьдесят лет Кавказской войны, 1889 г., т. I, стр. 5—6.

ელთ ჩაეგდო სამხედრო-სტრატეგიული პოზიციები და საზღვაო კომუნიკაციები. ისტორიის ბურჟუაზიულმა ფალსიფიკატორებმა შეთხზეს ცალმხრივი ვერსია, თითქოს XIX საუკუნის დასაწყისშივე ინგლის-რუსეთის კონფლიქტების შთავარი წყარო მხოლოდ რუსეთის ინდოეთში შეჭრის საფრთხე ყოფილიყო. საკითხისადმი მსგავსი მიდგომა დაუსაბუთებელია და ტენდენციურობის ბეჭედს ატარებს. ნამდვილად, საყოველთაოდ არის ცნობილი ის ფაქტი, რომ თავის მდიდარი სამფლობელოს, „ინდოეთის თვალმარგალიტის" დაცვის საბაბით ინგლისი თვით მიმართავდა ფართო დაპყრობით პოლიტიკას, იგი თანმიმდევრობით აწარმოებდა აქტიურ შეტევას „შიდა აზიაზე ორი მხრიდან: ინდოეთიდან და შავი ზღვიდან" [1].

ინგლისის დიპლომატიას კარგად ესმოდა მთელი ამიერკავკასიის და კერძოდ საქართველოს როლი და მნიშვნელობა თავისი მიზნებისათვის. თავიანთი დაპყრობითი გეგმების განსახორციელებლად ინგლისელები აზიელ „მეგობრებთან", სულთანთან და შაჰთან ერთად შეუდგნენ ფართო ღონისძიებათა დასახვას. უწინარეს ყოვლისა თურქეთი, ირანი და მათი შეზობელი ქვეყნები მოიცვეს ჯაშუშების ფართო ქსელით, რომლის სათავეშიც იდგნენ ფრიად გამოცდილი „სპეციალისტები". ისინი მჭიდრო კავშირს ამყარებდნენ იმ ქართველ ფეოდალებთანაც, რომელნიც უკმაყოფილონი იყვნენ საქართველოს რუსეთთან შეერთებით და საშშობლოდან გადახვეწილნი ირანისა და თურქეთის მთავრობების სტუმართმოყვარე კალთას ეფარებოდნენ.

ინგლისის საელჩო კონსტანტინოპოლში ფაქტიურად რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრად გადაიქცა. ირანში ანტირუსული მოქმედების კერა თავრიზში იმყოფებოდა, ხოლო ერევანსა და ახალციხის საზღვრებთან აქტიურად მოქმედებდა ინგლისელთა აგენტურის რამდენიმე ოპერატიული შტაბი. ამ მხრივ საგულისხმოა თურქი მაიორის ოსმანბეის ჩანაწერები: „ინგლისელები არაფერს ზოგავდნენ, — წერდა იგი, — ოღონდ შთაეგონებინათ კავკასიელებისათვის

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. IX, стр. 383.

არაკეთილგანწყობილება რუსეთისადმი და ჩაებათ ისეთ ომში რუსებთან. ინტრიგების მთავარი შტაბი კონსტანტინოპოლში იყო"[1].

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთოდ ცნობილია, რომ რუსეთთან საქართველოს შეერთების მუდამ ხელს უშლიდა და ართულებდა ინგლისის დიპლომატია. ინგლისისა და თურქეთის აგენტები შავი ზღვის სანაპიროზე განუხრელად მიისწრაფოდნენ გაეტარებინათ თავიანთი კოლონიზატორული პოლიტიკა. ამავე დროს, ინგლისის დაზვერვა ემყარებოდა იმ შეთქმულ ქართველ ფეოდალ-არისტოკრატებს, რომლებიც ოცნებობდნენ ფეოდალურ-მონარქისტული „ნაციონალიზმის" განხორციელების შესახებ. მაგრამ ინგლისელები როდი ჯერდებოდნენ მარტოოდენ ადგილზე შეგროვებულ ჯაშუშთა კონტიგენტებს, — ისინი დასტობით გზავნიდნენ კავკასიაში ისეთ დაოსტატებულ აგენტებს, როგორიც იყვნენ დავით ურკარტი და კაპიტანი ლაიონსი, „ჟურნალისტი" ედმუნდ სპენსერი, კაპიტანი მორანინგი, ურკარტის ძმისშვილი ოფიცერი სტიუარტი, განთქმული დივერსანტები დ. ბელი, ლონგვორტი და მრავალი სხვა[2]. ყველა ისინი ჯერ კიდევ ყირიმის ომამდე ასრულებდნენ წარმატებით მათზე დაკისრებულ ბნელ საქმეებს, აწყობდნენ მთებში იარაღის გადაზიდვას, ეწეოდნენ ანტირუსულ პროპაგანდას, ამხედრებდნენ მოსახლეობას რუსების წინააღმდეგ და სხვ.

მეტად დამახასიათებელია, რომ XIX საუკუნის დასაწყისში, ურთიერთ ქიშპობისა და წინააღმდეგობის მიუხედავად, ინგლისი და საფრანგეთი დროდადრო ნახულობდნენ საერთო ენას და აღწევდნენ „საერთო" თანამშრომლობას მათთვის საშიში კონკურენტის, ახალგაზრდა და მზარდი რუსეთის წინააღმდეგ. ამ ორი ევროპული „მოკავშირის" მთავარ საბრძოლავს წარმოადგენდა ირანისა და თურქების გაერთიანებული ძალების წარმართვა მათი საერთო მეტოქის წინააღმდეგ. მაგრამ ინტერესთა შეურიგებლობა ამ ქვეყნებს ში-

---

[1] „Кавказский Сборник", ч. II, Тифлис, 1877, стр. 206.
[2] Журн. „Красный Архив", 1940, № 5, стр. 204, 211.

რის დიდად აბრკოლებდა შეთანხმებულად მოქმედების ბოლომდე განხორციელებას.

ინგლისის ჰეგემონიის გაძლიერებას აღმოსავლეთში ფრიად მნიშვნელოვანი ცვლილებები და ძალთა გადაჯგუფება მოჰყვა. ამიერიდან ირანისა და თურქეთის საგარეო პოლიტიკას არსებითად ინგლისის დიპლომატია წარმართავდა. ინგლისელები არათუ აქტიურად უჭერდნენ მხარს ირანისა და თურქეთის პრეტენზიებს საქართველოს დანაწევრებისა და მათზე გადაცემის შესახებ, არამედ პირდაპირ აქეზებდნენ მათ ამ მიმართულებით [1].

სხვისი ხელით ნარის გლეჯას დაჩვეული ინგლისის ბურჟუაზია ადრე შეუდგა თავისი პოზიციებისა და გავლენის განმტკიცებას კონსტანტინოპოლში. თავისი „შორს დამიზნების“ პოლიტიკის განხორციელება ინგლისმა იმით დაიწყო, რომ 1809 წელს თურქეთთან დასდო მეტად ხელსაყრელი ხელშეკრულება, რაც უდავოდ ინგლისური დიპლომატიის დიდი წარმატება იყო. ინგლისელები ენერგიულად განაგრძობდნენ თურქეთის პროვოკაციულ წასისინებას რუსეთის წინააღმდეგ, აგულიანებდნენ მათ და მოუწოდებდნენ ხელთ ჩაეგდოთ დასავლეთ საქართველო და შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროები. 1811—1812 წლის მოლაპარაკების დროს ინგლისელები ურჩევდნენ სულთან მაჰმუდ მეორეს არ წაულიყო ოდნავ დათმობაზედაც კი კავკასიის საზღვრების საკითხში. ადმირალი ჩიჩაგოვი ამის გამო აღნიშნავდა: ინგლისი იმდენად იყო შეშფოთებული „რუსეთის კავკასიაში დამკვიდრებით“, რომ აშკარად ივიწყებდა იმ უდიდეს საფრთხეს, რომელიც მას ნაპოლეონ ბონაპარტეს მხრივ ემუქრებოდა [2].

1809 წლის 12 მარტს ირანთან დადებული ხელშეკრულებით ინგლისი კისრულობდა ვალდებულებას „უზრუნველეყო ირანი სუბსიდიებით და სხვა ყველა სახის დახმარებით იმ რაოდენობით, რამდენიც საჭირო იქნებოდა ირანის მტრე-

---

[1] АКАК, т. IV, стр. 698—700; т. V, стр. 727.

[2] „Отечественная война и русское общество“, Москва, 1911, т. II, стр. 120.

ბის წინააღმდეგ ომის წარმატებით საწარმოებლად". ხელშეკრულება განახლებულ იქნა 1814 წლის 25 ნოემბერს, „ეგ ითვალისწინებდა „მარადიულ ზავს ინგლისსა და ირან შორის". ამ ხელშეკრულების ძალით უნდა გადასინჯულიყო რუსეთ-ირანის საზღვრები, რომელიც დადგენილი იყო 1813 წელს გულისტანის საზავო ხელშეკრულებით. ეს შეთანხმება მიმართული იყო რუსეთის და მთელი ამიერკავკასიის წინააღმდეგ. ინგლის-ირანის ახალი ხელშეკრულება ითვალისწინებდა ირანისათვის სამხედრო დახმარებას, ჯარებითა და ფულით უზრუნველყოფას, რუსეთისაგან საქართველოსა და აზერბაიჯანის ჩამოცილებას, მათი ირანისათვის „დაბრუნებას" და სხვა გარანტიებს [1].

1813 წლიდან თურქეთმა, ინგლისელი აგრესორების შთაგონებით, არა ერთხელ მოითხოვა რუსთა ჯარების გაყვანა დასავლეთ საქართველოდან. იმავე ინგლისელ ემისართა ინიციატივით თურქები ზედიზედ აწყობდნენ დივერსიებს გურია-სამეგრელოსა და აფხაზეთის სასაზღვრო რაიონებში, აღვივებდნენ ქიშპობასა და უთანხმოებას ქვეყნის შიგნით ქართველ ფეოდალურ არისტოკრატებს შორის. რუსეთის ელჩი თურქეთში, სტროგანოვი ამის შესახებ გარკვევით მიუთითებდა, რომ საქართველოს მიმართ თურქეთის მტრული გამოხდომები და მისი მმართველი წრეების ყველა რევანშისტული მოთხოვნები „მოშურნე სახელმწიფოების, განსაკუთრებით ინგლისის შთაგონებით" არის განპირობებული [2].

ინგლისელ დამპყრობთა ინტერესები დასავლეთ საქართველოსა და კავკასიის სანაპირო ზოლისადმი ძლიერდებოდა ცენტრალურ და წინა აზიის ქვეყნებისაკენ მათი ექსპანსიონისტური მისწრაფების გაძლიერების კვალდაკვალ. ამის პარალელურად ძლიერდებოდა და ინტენსიური ხდებოდა რუსეთის ცენტრიდანული პოლიტიკაც. რუსეთის ცარიზმი, ერთი მხრივ, ენერგიულად განაგრძობდა წინსვლას შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროებისაკენ, თანაც სა-

---

[1] „Дипломатический словарь", М., 1948, т. 1, стр. 102.

[2] АКАК, т. V, стр. 736.

მედოდ ამაგრებდა, განამტკიცებდა თავის სტრატეგიულ პოზიციებს შავი ზღვის კავკასიის სანაპიროებზე, უზრუნველყოფდა დასავლეთ საქართველოს საზღვრების უშიშროებას და მის საზღვაო კომუნიკაციებს სამხრეთ რუსეთის ნავსადგურებთან. მეორე მხრივ, ცარიზმი თანმიმდევრულად ეუფლებოდა ამიერკავკასიის შიდა ოუზს — კასპიის ზღვას, რომელიც სოლივით იჭრება კავკასიასა, აზიის თურქეთსა, სპარსეთსა და შუა აზიის ქვეყნებს შორის. კავკასიის და ამიერკავკასიის ყელზე დამკვიდრებით მეფის რუსეთი მტკიცედ დაუკავშირდა მთელი მუსლიმანური აზიის სამყაროს. რუსეთის სამხედრო მოღვაწე და ისტორიკოსი კავკასიის მცოდნე რ. ფადეევი მართებულად მიუთითებდა, რომ „რუსეთისათვის კავკასიის უღელტეხილი წარმოადგენს რუსეთის ნაპირებიდან აზიის კონტინენტის გულში გამავალ ხიდს და კედელს, რომლითაც გადატიხრულია შუა აზია მტრული ზეგავლენისაგან, აგრეთვე მოწინავე სიმაგრეს, რომელიც იცავს ორ ზღვას — შავსა და კასპიის ზღვებს. ამ ქვეყნის დაკავება წარმოადგენდა უპირველესი მნიშვნელობის სახელმწიფოებრივ მოთხოვნილებას“ [1].

ინგლისის მთავრობა თავისი გამოცდილი აგენტების მეშვეობით, სხვადასხვა მაქინაციებით ცდილობდა რუსეთის პოზიციების შესუსტებას. იგი მიისწრაფოდა სპარსეთის შაჰისა და თურქეთის სულთანის დახმარებით შეეჭრილიყო ამიერკავკასიაში, განედევნა იქიდან რუსთა ჯარები, დაეპყრო ადგილობრივი ბაზრები და ხელთ ეგდო სავაჭრო-სატრანზიტო გზები სპარსეთის ყურიდან შავი ზღვის სანაპირომდე. ამავე დროს ინგლისელი აგენტები აქეზებდნენ სპარსეთის რევანშისტულ წრეებს რუსეთის წინააღმდეგ, გამოდიოდნენ ომის გაჩაღების ინიციატორებად და სულისჩამდგმელებად.

საქართველოს საკითხმა იმდენად არსებითი და სერიოზული ხასიათი მიიღო, რომ ამიერიდან თვით შაჰის ტახტის სიმტკიცე და ირანის ყოფნა-არყოფნის საკითხიც რამდენადმე ამ „პრობლემის“ გადაჭრას უკავშირდებოდა. ეს გარემოება კარგად ესმოდა თვით ალექსანდრე ბატონიშვილსაც. 1809

---

[1] Г. А. Фадеев, Шестьдесят лет... т. 1, стр. 16.

წელს თავის წერილში თაგაურელებისადმი იგი სხვათა შორის წერდა: „დარწმუნებული იყავით, რომ შაჰს გადაწყვეტილი აქვს ირანის მთელი ძალა და სიმტკიცე საქართველოსათვის ბრძოლას შეალიოს. თუ ირანის ხელმწიფე ვერ მოახერხებს თავი გაართვას საქართველოსათვის დავას, მაშინ იგი ვერ შეძლებს ირანის შენარჩუნებასაც, ამის საშუალებას მას არ მისცემენ“ [1].

გულუბრყვილობა იქნებოდა ირანისა და თურქეთის 1804—1813 და 1826—1829 წლების აგრესიულ გამოსვლებში არ დაგვენახა ინგლისისა და ნაწილობრივ საფრანგეთის კაპიტალის წაქეზებული ხელი. მაგრამ ინგლისის დიპლომატია მუდამ ოსტატურად ნიღბავდა თავის ავანტურისტულ და პროკოკაციულ მოქმედებას.

კავკასიის ჯარების მთავარსარდალი, გენერალი ტორმასოვი თავის 1811 წლის 9 მარტის მიმართვაში აცნობებდა რუმიანცევს, რომ სპარსეთი ომს რუსეთის წინააღმდეგ აწარმოებს არა საკუთარი ძალებით, არამედ ინგლისის დახმარებით. შემდეგ იგი ახასიათებს ინგლისელთა პოლიტიკის თავისებურებას, რომელთანაც შედარებით „მაკიაველიზმი სრულებით არაფერს ნიშნავს“ [2]. თავისთავად ცხადია, რომ ირანისათვის „ზრუნვის“ საბაბით, ინგლისის ხელისუფალთ უღრესად ბირადი, ეგოისტური მიზნები ამოძრავებდა. ინგლისის მისწრაფება ამიერკავკასიისაკენ, საქართველოში გაბატონებისაკენ იმითაც აიხსნებოდა, რომ რუსეთთან ომის შემთხვევაში ეს რაიონი მას სამხედრო-სტრატეგიულ პლაცდარმად გამოადგებოდა. სწორედ ამ მიზნისათვის ეწადა მას საქართველოში ბაგრატიონთა დინასტიის რესტავრაცია.

ინგლისმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსეთ-თურქეთის 1828 — 1829 წლების ომის წარმოშობაში. მაგრამ, აქეზებდა რა თურქებს რუსეთის წინააღმდეგ, ამავე დროს მას, ავსტრიასთან ერთად, სერიოზული შიში ჰქონდა, რომ რუსეთის ჯარების გამარჯვებანი ხელს შეუწყობდა ბალკანეთის ხალხებს თავისუფლების მოპოვებაში. ამიტომ

[1] АКАК, т. III, стр. 74.
[2] АКАК, т. IV, стр. 752.

ინგლისელები ყოველნაირად უშლიდნენ ხელს რუსეთის გაძლიერებას. მიუხედავად ამისა ინგლისისა და ავსტრიის დიპლომატიის ვარაუდებმა მარცხი განიცადეს, 1828 — 1829 წლების ომში რუსებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს.

შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის მმართველობის წინააღმდეგ მიმართული საზოგადოებრივი ზეგავლენების მრავალი გამოსვლა და ამბოხება საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში ინგლის-საფრანგეთისა და მათი აგენტურის მუშაობის პირდაპირი ნაყოფი იყო. აქ ფართოდ დაირხა ხმა ინგლისის „განუზომელი სიმდიდრის“ შესახებ, იმის შესახებ, რომ ინგლისმა თითქოს თვითონ „იკისრა საქართველოს მფარველობა და იგი არ დახოგავს თავის ოქროსა და ძალ-ღონეს იმისათვის, რომ მიაღწიოს საქართველოს განთავისუფლებასო“. ხმა დადიოდა, რომ შაჰთან და სულთანთან ერთად, საქართველოზე სალაშქროდ ინგლისელი გენერლები და მინისტრები მოეშურებიანო, რომ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებს აფხაზეთისა და სამეგრელოს გასწვრივ ინგლისის „ეძლეველი ფლოტი“ უახლოვდებაო. ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ ლონდონში საბოლოოდ გადაწყდა დივერსიის მოწყობა ერთდროულად მოლდავეთში, ყირიმში და საქართველოში[1]. ალექსანდრე ბატონიშვილი ერთ-ერთ თავის პროკლამაციაში საქართველოსადმი პირდაპირ აცხადებდა, რომ იგი „მიემართება საქართველოში სამი დიდი სახელმწიფოს — ირანის, პორტის და ინგლისის ხაზინით და ძალებით აღჭურვილი“. სხვა პროკლამაციაში ეკითხულობთ: „ახალციხესთან ახალი ძალები მოვიდნენ. ფოთის სიმაგრე აღებულია და მასში ინგლისის ჯარი ჩადგაო“[2].

ამრიგად, ინგლისის აგენტურა ოსტატურად იყენებდა რუსეთით უკმაყოფილო ქართველ არისტოკრატებს თავისი მიზნებისათვის. ათასგვარი ხრიკებით, ჭორებითა და ყალბი ინფორმაციებით ცდილობდნენ ინგლისელები შეერყიათ რუსეთის მზარდი გავლენა და ძლიერება.

---

[1] П. Г. Бутков, „Материалы для новой истории Кавказа“, СПБ, 1869, ч. 3, стр. 395–396.

[2] АКАК, т. IV, стр. 127; т. VI, ч. 2, стр. 851.

უნდა აღინიშნოს, რომ დიდ სახელმწიფოთა შორის არსებულ საერთაშ. კონკურენციაში და დიპლომატიურ ბრძოლაში, პირველ ხანებში, გამარჯვება მეფის რუსეთს ერგო. ამ მიმართულებით განსაკუთრებით გადამწყვეტი ნაბიჯები გადადგა ნიკოლოზ პირველმა რუსეთ-სპარსეთისა (1826—1828 წწ.) და რუსეთ-თურქეთის (1828—1829 წწ.) ომების პერიოდში. თურქმანჩაის ხელშეკრულებით (1828 წ.) სპარსეთში დაარსდა რუსეთის მთელი რიგი საკონსულოები. ამავე დროს რუსეთმა სპარსეთში „ეპირატესი მფარველობის" მქონე სახელმწიფოს უფლება მოიპოვა. ადრიანოპოლის ტრაქტატით (1829 წ.) რუსეთიდან თურქეთში შეზიდული საქონელი თავისუფლდებოდა ყოველგვარი საშინაო საბაჟო გადასახადისაგან, რაც მანამდე დიდად ბოჭავდა რუსეთის ვაჭრობას ოტომანთა იმპერიასთან. ორივე ზემოაღნიშნული ხელშეკრულება ფართო პერსპექტივას უქმნიდა რუსეთ-სპარსეთისა და რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის განვითარებას როგორც საგაჭრო-ეკონომიური, ისე პოლიტიკური ცხოვრების დარგში.

ამ პერიოდში სპარსეთის მესვეურებმა გადაჭრით შეაქცევეს ზურგი ინგლისელებს და სიმპათიით მოეკიდნენ რუსებს. სპარსელი ვაჭრები დასავლეთ ევროპის მრეწველობის ნაწარმსაც კი რუსეთის ბაზრების (ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობა) მეშვეობით იძენდნენ. ინგლისის ერთ-ერთი ფირმის აგენტი 1834 წელს თავის მოხსენებით ბარათში შეშფოთებით აღნიშნავდა, რომ სპარსეთის მთელი ვაჭრობა რუსი ვაჭრების ხელშია მოქცეულიო. მისივე გადმოცემით არა მარტო რუსეთის პროდუქცია, არამედ უცხოეთის საქონელიც კი, კერძოდ, გერმანული ნაკეთობანი ლაიპციგის ბაზრობიდან, სპარსეთში რუსი ვაჭრების მეშვეობით აღწევდა. სპარსეთში ერთადერთ ოქროს ფულს (მონეტა) რუსული იმპერიალი[1] წარმოადგენდა, ხოლო „რუსული ვაჭრობისა და რუსი ვაჭრების ტრადიციები და ჩვეულებანი ის ნორმებია, რომლებსაც ყველა ქვეყნის კომერციული წარმომად-

[1] იმპერიალი — თხუთმეტმანეთიანი ოქროს ფული.

გენლები ემორჩილებიან"[1]. გასაგებია, რომ რუსეთის საგაჭრო-ეკონომიური წონისა და გავლენის ზრდასთან ერთად, თეირანში დიდად გაძლიერდა რუსეთის საერთო პოლიტიკური წონა და გავლენა.

რადიკალურად შეიცვალა თურქეთის მმართველი წრეების ორიენტაციაც. ოტომანთა იმპერია თითქმის მთლიანად ექცევა რუსეთის არა მარტო კომერციულ, არამედ სამხედრო-სტრატეგიული მოქმედების სფეროშიაც. „შეიძლება ითქვას, რომ, — აღნიშნავდა აღმოსავლეთის საკითხების კარგი მცოდნე, გერმანელი ისტორიკოსი თეოდორ შიმანი, — რუსეთმა აღმოსავლეთ ევროპაში უდიდესი სარგებლობა მიიღო ადრიანოპოლის ზავიდან (1829 წ.). მან დაამყარა მეგობრული ურთიერთობა თურქეთთან, რომლის კომპასსაც ამჟამად პეტერბურგის მაგისტრატი წარმართავს"[2].

რუსეთის საბაჟო-საგაჭრო და სამხედრო-სტრატეგიული სფერო წინააღმდეგობაში ფართოდ გაიშალა და გავრცელდა. მან ფაქტიურად თავისი კონტროლის სფეროში მოაქცია შავი და კასპიის ზღვების თითქმის ყველა რაიონი. საგრძნობლად შეირყა და შოიშალა ინგლისის პოზიციები, სპარსეთში და, მეტწილად, თურქეთში. რუს კომერსანტებს სერიოზულად ჰქონდათ გადაწყვეტილი განედევნათ ინგლისელი ვაჭრები თვით ტრაპიზონიდან.

უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულება (1833 წ.) ინგლის-რუსეთის ურთიერთდამოკიდებულებაში მძაფრი შეტრიალების ნიშანსვეტად იქცა. ორ სახელმწიფოს შორის არსებული ეკონომიური ანტაგონიზმი ამიერიდან მწვავე პოლიტიკურ კონფლიქტად გადაიზარდა. ატმოსფერო ისე დაიძაბა, რომ უნკიარ-ისკელესის[3] ხელშეკრულების დადებისთანავე ნიკო-

---

[1] ЦГВИАМ, дело 33/493, л. 241.

[2] Theodor Sichiemann, Geschichte. Russlands under Kaiser Nicolaus I., т. II. стр 395.

[3] უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულება თურქეთსა და რუსეთს შორის საბოლოოდ ხელმოწერილ იქნა კონსტანტინოპოლში 1833 წ. 8 ივლისს. იგი განსაზღვრავდა თავდაცვითი კავშირის პირობებს მეფის რუსეთსა და სულთანის თურქეთს შორის. ხელშეკრულებას ახლდა დამატება — ფარული სტატია, რომლის თანახმად სულთანი ვალდებულებას კისრულობდა მეფის მოთხოვნით ჩაეკეტა დარდანელის სრუტე, რუსეთის გარდა, ყველ-

ლოზ პირველი თავის ერთ-ერთ წერილში (გრაფ პასკევიჩის სახელზე) დაუფარავად წერდა ინგლისთან ომის გარდუვალობის შესახებ. მეფე, არსებითად, კიდევაც შეუდგა ომისათვის მზადებას. საეკრო-სატრანზიტო მაგისტრალისათვის (ლაიპციგი — ფრანკფურტი — ოდესა — რედუტ-კალე — თბილისი ერევანი — ნახჭევანი — თავრიზი) ბრძოლა ახალ, მწვავე ფაზაში შევიდა. ამ ბრძოლასა და დაძაბულობაში მკაფიოდ ისახებოდა საქართველოს, ამიერკავკასიისა და მთელი კავკასიის როლი და მნიშვნელობა. მოპირდაპირე მხარეთა აზრით, კავკასიის ყელისათვის ბრძოლაში უნდა გადაწყვეტილიყო „დიდი აზიის" მსოფლიო-ისტორიული საკითხი.

საქართველოს დედაქალაქი — თბილისი მთელი ამიერკავკასიის შუაგულს, მის საკვანძო პუნქტს წარმოადგენდა. კ. მარქსის დახასიათებით, თბილისი — „ეს რუსეთის ძალაუფლების ცენტრალური პუნქტი იყო აზიაში"[1]. საქართველოს დედაქალაქი ითვლებოდა თვითმპყრობელობის არა მარტო მართვა-გამგეობის ცენტრად, არამედ იგი იყო ამიერკავკასიის ტოპოგეოგრაფიული და სტრატეგიული კვანძიც, მატერიალურ და კულტურულ საშუალებათა ძირითადი შემაკავშირებელი. თბილისში თავს იყრიდა უმნიშვნელოვანესი სამხედრო-სტრატეგიული გზები ჩრდილოეთიდან (რუსეთი), სამხრეთიდან და დასავლეთიდან (სპარსეთი და თურქეთი). რუსეთის სარდლობას და დიპლომატიას კარგად ესმოდათ, რომ მხოლოდ ამ ხელსაყრელი პლაცდარმიდან შეიძლებოდა განხორციელებულიყო თავრიზის, ბაიაზეთის, არზრუმისა და ტრაპიზონის მიმართულებებით შეღწევა, რომ ეს პუნქტები

ლა ქვეყნის სამხედრო გეგმებისათვის. ამიერიდან შავი ზღვის აუზი ოსმალეთის „რუსეთის ტბად" გადაიქცა. უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულებამ წონასწორობიდან გამოიყვანა ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები და მათი ცხარე პროტესტები გამოიწვია.

1841 წელს ლონდონის კონფერენციაზე ინგლისმა და საფრანგეთმა მიიღეს სპეციალური კონვენცია, რომელიც ყველა სახელმწიფოს, პირველ რიგში რუსეთს, უკრძალავდა სამხედრო გემების სრეტეებში გატარებას. ამრიგად, უნკიარ-ისკელესის ტრაქტატისაგან გამომდინარე უპირატესობანი რუსეთისათვის გაბათილებული იქნა.

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. X. стр., 555.

უმოკლეს და უადრესად ხელსაყრელ შარაგზებზე მდებარეობდნენ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. გრაფ ბესტუჟევი თავის მოსაზრებებში მეორე აზიის მიმართულებით შეტევითი ოპერაციების მიზანშეწონილობის შესახებ, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ბაიაზეთის დაკავება დიდ ზარალს მიაყენებდა ინგლისის ვაჭრობას, რადგან ამით „ხაიშლებოდა სატრანზიტო გზა ტრაპიზონიდან არზრუმსა და თავრიზზე გაელით თეირანისაკენ“ [1]. გასაგებია, რომ მეფის რუსეთი ცდილობდა განემტკიცებინა თავისი პოზიციები იმ მიმართულებით, სადაც კოლონიური ინგლისის „სასიცოცხლო ცენტრები“ მდებარეობდნენ.

ბათუმიც ორიენ მოწინააღმდეგე ბანაკის ყურადღების ცენტრში იყო. მხარეებს კარგად ესმოდათ ბათუმის როგორც საეკონომო, ისე სამხედრო-სტრატეგიული და პოლიტიკური მნიშვნელობა. ფ. ენგელსი ამ საკითხის გამო ჯერ კიდევ 1853 წლის ნოემბერში, ომის დასაწყისიდანვე, წერდა: „საომარი მოქმედების ასპარეზის გასაღებს აზიაში ორივე მხარისათვის წარმოადგენს... ბათუმი, და თუ მხედველობაში მივიღებთ ამას, აგრეთვე მის (ბათუმის — ე. ბ.) მნიშვნელობას ვაჭრობისათვის, არ უნდა გვიკვირდეს, თუ რატომ ცდილობდა მეფე დაეპყრო იგი. ბათუმი წარმოადგენს საომარი ასპარეზის გასაღებს მთელი აზიური თურქეთისათვის, რადგან იგი (ბათუმი— ე. ბ.) ბატონობს სანაპიროდან ქვეყნის შიგნით მიმავალ ერთადერთ გზაზე, რომლითაც შესაძლებელია თურქეთის ყველა პოზიციისათვის გვერდის აცილა არზრუმის წინ. ორი ფლოტიდან ის გახდება ბათუმის ბატონ-პატრონი, რომელიც შავ ზღვაში თავის მოწინააღმდეგეს განდევნის უკან, საკუთარ ნავსადგურებში“ [2]. აღმოსავლეთის ომის პერიოდში, 1855 წელს, თავის სტატიაში, „თურქეთის საკითხი“, მარქსი წერდა: „რუსეთს ყარსის დაკავებასთან ერთად, რომ... ბათუმიც აეღო, მას შესაძლებლობა ექნებოდა შეეწყვიტა ტრაპიზონის მეშვეობით ვაჭრობის წარმოება ინგლისსა და სპარსეთს შორის, შეექმნა თავისთვის საკუ-

---

[1] ЦГВИА. фонд 1087, дело 472, лист 142.

[2] Ф. Энгельс, Набр. военные произв., М., 1936, т. II, стр. 31.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაციონ ბაზა როგორც ინგლისის, ისე მცირე აზიის წინააღმდეგ"[1].

აყედან გამომდინარე, ადვილი ასახსნელია მეფის ხელისუფალთა მთელი დაინტერესება ამიერკავკასიისა და საქართველოს საკითხით; სავსებით გასაგები ხდება კავკასიის სარდლობის, მთავარმართებლებისა და მეფის ნაცვალთა მთელი ჯაპანწყვეტა გამოენახათ ქვეყნის მართვის „რაციონალური" ფორმები, დაეშოშმინებინათ მოსახლეობა და თავის გარშემო შემოეკრიბათ საზოგადოების „წამყვანი" ფენები. „ვიდრე ქართველები ჩვენთან ერთად ძმურად დგანან, — წერდა რ. ა. ფადეევი, — რაც უნდა მოხდეს, შეუძლებელია კავკასიის არმიის განდევნა ქვეყნიდან, რომელიც ესოდენ მამაცი ხალხითაა დასახლებული; და ვიდრე ჩვენ მტკიცედ ვდგავართ საქართველოში, არავითარი დროებითი წარუმატებლობა მოსაზღვრე მუსლიმანებთან საშიშროებას არ წარმოადგენს და ყოველთვის ადვილად გამოსწორდება.

ამ თვალსაზრისით ადვილად შეიძლება შეფასდეს საქართველოს გულწრფელი ერთგულების მნიშვნელობა სახელმწიფოსათვის"[2].

როგორც აღინიშნა, ინგლისელი კოლონიზატორები მიისწრაფოდნენ კავკასიისა და ამიერკავკასიის პრობლემა უშუალოდ დაეკავშირებინათ ინდოეთის სამფლობელოების საკითხთან. რუსი ჯარების, ისე როგორც რუსი ნეგოციანტების ყოველგვარი საეჭვო აქტი, მათი თვითეული მოძრაობა ახლო აღმოსავლეთისა და შუა აზიისაკენ, ინგლისელებს სურდათ ბრიტანეთის „თვალმარგალიტის" — ინდოეთის წინააღმდეგ მიმართულ მუქარად წარმოედგინათ, ინგლისის „სასიცოცხლო ინტერესების" ხელყოფად გაესაღებინათ. რუსების წარმატებანი აზიაში იწვევდა ინგლისელ ვაჭართა შეშფოთებას, ახელებდა ინგლისის დიპლომატიის მესვეურებს. საქმე ისაა, რომ ინგლისელებს არ სურდათ შერიგებოდნენ რუსეთის დამკვიდრებას საქართველოსა და ამიერკავკასიაში. მათ ძილს უფრთხობდა რუსეთის სახელოვანი არმია, რომელიც საქართ-

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. IX, стр. 400—401.
[2] Р. А. Фадеев, тамже, т. II, стр. 157.

ველოსა და მთელ ამიერკავკასიაში იყო განლაგებული, რომელიც ხელს უშლიდა ინგლისელ დამპყრობლებს განეხორციელებინათ თავიანთი კოლონიზატორული გეგმები. მეფის ისტორიკოსის სიტყვებით, ინგლისს დიდად აშინებდა რუსეთის პოზიციების გაძლიერება ამიერკავკასიის ქვეყნებში, რადგან ეს გარემოება ეწინააღმდეგებოდა ინგლისის ინტერესებს. ამიტომ „იგი მთელი ძალ-ღონით ცდილობდა წინააღმდეგობა გაეწია რუსეთის პოლიტიკის წარმატებისათვის. ინგლისი ფარულ მონაწილეობას ღებულობდა სპარსეთის ყველ: დიპლომატიურ მოქმედებაში"[1].

ჩვენს მიზანს ამ შემთხვევაში არ შეადგენს სპეციალურად გამოვიკვლიოთ და გავაშუქოთ ინგლისელთა ექსპანსიური გეგმები და ვარაუდები საქართველოსა და კავკასიის მიმართ, საჭიროა მხოლოდ გაკვრით აღინიშნოს, რომ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ინგლისელ მზვერავთა ჯაშუშურ მოქმედებას, ინგლისის აგენტების მეხანათური ხრიკებს საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ ინგლისელი აგენტი და დიპლომატი, გენერალი ჯონ მალკოლმი, რომელსაც სპეციალური მისია ჰქონდა დავსრებული ინდოეთსა და სპარსეთში, 1800 წელს ენერგიულად მოქმედებდა საქართველოს წინააღმდეგაც. თეირანში ჩასვლის უმალ 1799 წ. მალკოლმმა სპარსეთის შაჰთან დასდო სპეციალური ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა ფართო პოლიტიკურ და სამხედრო თანაშრომლობას სპარსეთსა და ინგლისს შორის. ეს ხელშეკრულება სპარსეთის შაჰს აქცევდა უბრალო იარაღად ინგლისელი აგენტურისტების ხელში რუსეთისა და ამიერკავკასიის წინააღმდეგ. მალკოლმის ეგრეთწოდებულ „ისტორიულ" ნაწარმოებებში სპარსეთის შესახებ თვალსაჩინოდ აისახა ინგლისელ დამპყრობთა მისწრაფებანი და ინტერესები ჩვენი საშობლოს მიმართ[2].

ირკვევა, რომ ჯონ მალკოლმმა, რომელიც ოსტინდოეთის კომპანიის ამოფარებით მოქმედებდა „გირვანქა სტერლინგის

---

[1] Утверждение русского владычества на Кавказе, т. IV, ч. I, стр. 35.

[2] History of Persia, London, 1815; Sketcher of Persia, 1826.

ერიშებით", არა მარტო ძირი გამოუთხარა ნაპოლეონის პოლიტიკას აღმოსავლეთში, არამედ პირველ ხანებში სერიოზული საფრთხე შეუქმნა თვით რუსეთის წარმატებებსაც [illegible]

ინგლისის აგენტურა ირანსა და თურქეთში დიდი წარმატებით განაგრძობდა რუსეთის წინააღმდეგ ძირგამომთხრელ მოქმედებას. ჯერ კიდევ მალკოლმის პარალელურად ირანში „ნაციონალურ" მუშაობას ეწეოდა აზიისა და აღმოსავლეთის საქმეთა „სწორუპოვარი" სპეციალისტის, ინგლისის მთავრობის მიერ ოფიციალურად მოელენილ ჰარფორდ ჯონსის მისია, რომელსაც შემდეგ ინგლისელი „ელჩის" ხარისხი მიანიჭეს.

ამიერკავკასიის ხელისუფლება გენერალ ციციანოვის სახით საფუძველიან ეჭვებს გამოთქვამდა კავკასიაში პირველი ინგლისელი კოლონისტების (შოტლანდიელი ბრონტონისა და პატერსონის) ძირგამომთხრელი საქმიანობის გამო. გამოირკვა, რომ მათი ინტერესები დიდად სცილდებოდა ჩრდილოეთ-კავკასიაში მცხოვრებ მთიელთა „გაქრისტიანების" ოცნებებს, რა საბაბითაც ისინი კავკასიაში დასახლდნენ.

1811 — 1812 წლებში დიდი წარმატებით მოქმედებდა ინგლისური დაზვერვა თვით თბილისში, სადაც ვითომცდა გენერალ რტიშევთან საშვილობო მოლაპარაკების საბაბით, მოელინებული იყო განთქმული ზვერავი რობერტ გორდონი. 1811 წელსვე ლონდონიდან ირანს ჩამოვიდა ცნობილი ჯაშუში ვილიამ მონტისი, რომელიც აბას-მირზამ მოავლინა ამიერკავკასიისა და კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროს ვითომდა „მეცნიერული შესწავლისათვის". მონტისი ორი ათეული წლის განმავლობაში წარმატებით ეწეოდა ძირგამომთხრელ საქმიანობას ამიერკავკასიის ხალხების წინააღმდეგ.

ცნობილი გახდა, რომ ალანდუზის ბრძოლაში, რომელიც მოწყობილ იქნა ინგლისელთა დივერსიის შედეგად, მონაწილეობას იღებდნენ ინგლისელი ოფიცრები და ინსტრუქტორები. 1812 წლის 20 ოქტომბერს აქ ხელთ ჩაიგდეს თერთმეტი ინგლისური ზარბაზანი, რომელთა ლულებზე წარწერილი იყო ინგლისის მეფის მიძღვნა ირანის შაჰისადმი. საერთოდ, ინგლისის მთავრობის საგარეო პოლიტიკაში საქართველოს და ამიერკავკასიის საკითხი ამ დროს ერთ-ერთი მთავარი

და ძირითადი პრობლემა იყო. ამ პრობლემის გადაჭრას ინგ-
ლისის დიპლომატია სწირავდა არა მარტო უდიდეს ინ-
ნეს, არამედ ფრიად წარმოუდგენელი სიდიდის ...
დოკუმენტალურად არის დამტკიცებული, რომ ინგლისელმა
ლორდებმა და სახელმწიფო ხაზინამ თავიანთი მუხანათური
გეგმების განსახორციელებლად დიდ ენერგიასთან ერთად
დიდძალი ოქროც დახარჯეს. დადასტურებულია, რომ ირანში
მალკოლმის ელჩობის დროს საქართველოსა და ამიერკავკასი-
აში თავისი ზრახვების შესრულებას ინგლისის მთავრობამ 75
მილიონი მანეთი მოახმარა. თავის მოხსენებაში პეტერბურგის
მთავრობისადმი გრაფი პასკევიჩი ამის გამო წერდა, რომ ინ-
გლისის მთავრობამ, რომელმაც ესოდენ დიდი მსხვერპლი უკ-
ვე გაიღო, „არ დაიშურებს კიდევ რამდენიმე მილიონს,
ოღონდ შეაიარაღოს ჩვენს წინააღმდეგ სპარსეთი და მისცეს
მას სახსრები წარმატებით მოქმედებისათვის"[1].

1807 წელს ნაპოლეონ ბონაპარტესა და ალექსანდრე პირ-
ველის დროებით დაახლოებასთან დაკავშირებით, ინგლისელი
რეაქციონერები, თავიანთი სპეციალური დესპანის ლორდ
ჰარფორდის მეშვეობით, ყოველნაირად ცდილობდნენ მო-
ეწყოთ სპარსთა ლაშქრობა საქართველოს წინააღმდეგ[2]. ინგ-
ლისელები აქეზებდნენ სპარსელებს რუსეთის წინააღმდეგ,
ისინი ცდილობდნენ შუღლი და მტრობა გაეღვივებინათ მათ
შორის. სპარსეთში მყოფი ინგლისელი დესპანი მირ-მუსტაფა
ხანისათვის გაგზავნილ წერილში ცდილობდა „ემხილებინა"
ცარიზმი, რომელმაც, მისი სიტყვებით, მეფე ერეკლეს საბე-
ფო მოტყუების გზით რუსი ჯარების მთავარ ბანაკად გარდა-
იგი ურჩევდა მირ-მუსტაფა ხანს აქედან გაეკეთებინა საჭირო
დასკვნები და ხელი აეღო რუსეთის სახიფათო ორიენტაციი-

---

[1] АКАК, т. VII, стр. 667.

[2] АКАК, т. III, стр. 446. იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინა
სპარსეთის ამიერკავკასიაზე თავდასხმა, გუდოვიჩმა 1808 წლის 25 მარტს
ალი-მირზას გაუგზავნა ერეკლი ეპისტოლე, რომელშიც მოაგონებდა ხანს,
რომ პოლიტიკური ურთიერთობის 250 წლის განმავლობაში რუსეთს
თავისი მოკავშირეობით არა ერთხელ მოუტანია სპარსეთისათვის სარგებ-
ლობა (იქვე, გვ. 457).

ზე[1]. ინგლისის დიპლომატია მეთოდური სისტემატურობით ეწეოდა შეუერიგებელ ბრძოლას რუსეთ-თურქეთის ბუქარესტის საამშვიდობო ტრაქტატისა და რუსეთ-სპარსეთის გულისტანის საამშვიდობო ხელშეკრულების ჩასაშლელად.

ალექსანდრე პირველს კარგად ესმოდა ინგლისის მუხანათობა და აგრეთვე სპარსეთის მესვეურთა ორპოზიცია. რუსეთის მეფე სპეციალური ინსტრუქციით აფრთხილებდა გენერალ ერმოლოვს, თვალყური ედევნებინა ინგლისელთა ნაქინაციებისათვის სპარსეთში ამიერკავკასიის წინააღმდეგ და საჭირო ზომები მიეღო მათ აღსაკვეთად[2].

მეფის რუსეთის განუხრელი წარმატებანი ამიერკავკასიისა და შუა აზიისაკენ უფრო და უფრო აღრმავებდა უფსკრულს ორ სახელმწიფოს შორის, სულ უფრო აფთრებდა ინგლისის მესვეურთ. ეს უკანასკნელნი გაწიწმატებითა და განრისხებით ადევნებდნენ თვალყურს მოვლენების განვითარებას საქართველოსა და ამიერკავკასიაში. ინგლისელი ჩარლზ დუნკანი თავის კორესპონდენციებში, რომელიც გამოქვეყნდა ლონდონში 1855 წელს ორ წიგნად, აზიურ-თურქეთში საომარი კამპანიის შესახებ ფრიად დამახასიათებელ სტრიქონებს წერდა: „რუსეთმა დაიარსა თავისი დომინიონი ამიერკავკასიის ტერიტორიაზე იმიტომ, რომ მიზნად ჰქონდა განეხორციელებინა თავისი პატივმოყვარე სურვილები — წინ წაეწია ინდოეთისაკენ. ამიტომაც იგი ინარჩუნებდა თავის ძალაუფლებას ამ პროვინციებში უმაგალითო სისხლისა და მატერიალური ხარჯების ფასად. დაუსრულებელმა ომებმა მის სუსტსა და სასოწარკვეთილებამდე მისულ მეზობლებთან — თურქებთან და სპარსეთთან, რუსეთს შესაძლებლობა მისცა არა მარტო დაესაკუთრებინა მნიშვნელოვანი სივრცის სტრატეგიულად ძვირფასი ტერიტორია, არამედ, ამასთან ერთად, აღმოსავლეთის მოსახლეობის შთაბეჭდილებიან გონებაში მან დანერგა კიდევაც რუსეთის უძლეველობის მტკიცე რწმენაც. რუსეთის გავლენა იმარჯვებს სპარსეთში და იგი გვემუქრება უფრო შორს, ინდოეთში გავრცელებით... უდავოა, რომ მორალური გამარ-

---

[1] АКАК, т. V, стр. 577.

[2] АКАК, т. VI, ч. II, стр. 126.

ყვება, რომელიც რუსეთმა მოიპოვა აღმოსავლეთში, ისევე დაინტუპველია დიდი ბრიტანეთის ინტერესებისათვის, ვინაიდან მისი მოკავშირის — თურქეთის მთავრობისათვის. ბრიტანეთის იმპერია მართავს ინდოეთს არა მარტო ფიზიკური ბელისუფლებით, არამედ მორალური ძალითაც, და თუ ეს ძალა დაკნინებულ იქნება რუსეთის ინტრიგებით და ჩვენი არმიების ძლიერებისადმი ეჭვის აღძვრით, შედეგები დამღუპველი აღმოჩნდება"[1]. ინგლისის იმპერიალიზმის ერთ-ერთი ყველაზე აგრესიული მოღვაწე ჯორჯ-ნატან კერზონი აშკარად აღიარებდა, რომ „მისი იმპერია" მთელი საუკუნის განმავლობაში ებრძოდა რუსეთს აღმოსავლეთში ბატონობისათვის. „ინგლისის მიზანი იყო და ამჟამადაც რჩება ამოცანა: შორ მანძილზე შევაჩეროთ რუსეთი ინდოეთის საზღვრებიდან"[2].

ადვილი გასაგებია, რომ რუსეთთან ბრძოლის დროს კაპიტალისტური ინგლისის გეგმებსა და ვარაუდებში მუდამ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა კავკასიის მხარეს, განსაკუთრებით კი საქართველოს და მთელ ამიერკავკასიას. საქართველოს, რომელსაც ევროპის დიპლომატები, მარქსის გადმოცემით, „რუსეთის პოლონეთად" თვლიდნენ, რუსეთის მტრების აზრით ფრიად თვალსაჩინო როლი უნდა ეთამაშა აზიაში ინგლისის პოზიციების განმტკიცების საქმეში[3]. რუსეთის მტრები შემდეგნაირად მსჯელობდნენ: რუსეთი მიჯაჭვულია კავკასიაზე და მას არ შეუძლია თავისუფლად გამოიყენოს საკუთარი ჯარები, რომ ამიერკავკასიაში, კერძოდ კი საქართველოში, რუსეთის წინააღმდეგ არსებობსთ უკმაყოფილება. ამიტომ მათი აზრით საჭირო იყო ხელსაყრელი პირობების გამოყენება, რუსეთისათვის გადამწყვეტი დარტყმის მიყენება მის „ყველაზე მგრძნობიარე პუნქტში[4].

ინგლისის ბურჟუაზია განუხრელად მიისწრაფოდა თავის კოლონიად გაეხადა კავკასიის მხარე — ეს „საიმედო ბარიერი" აღმოსავლეთისაკენ რუსეთის შესაკავებლად. ამასთან დამ-

---

[1] Charles Duncan, Jbidem, p. 108.
[2] Curson Q. N. British government in Judia, Vol. 1, 1925.
[3] К. маркс и Ф. Энгельс, соч., т., X, стр. 555.
[4] ЦГВИАМ, ф. 69, л. 5038, л. 5.

პყრობლები დაუფარავად იცხადებდნენ, რომ მათ გადაწყვეტილი აქვთ საქართველოში მტკიცედ და ხანგრძლივად დამკვიდრება. აქედან მათ ესახებოდათ ერთობ მომხიბლავი „ჭრელი ზონტები“: დიდ ბრიტანეთს, როგორც „მსოფლიო საბელსნის“ და „წამყვან საზღვაო საბელმწიფოს“, შეეძლო ხელთ ეგდო აღმოსავლეთის გასაღები, ჩაეკეტა გზები თავის მეტოქეთათვის და, დასასრულ, საბოლოოდ აღეკვეთა „ჩრდილოეთიდან მომდინარე საშიში გავლენა“ [1]. ინგლისელთა ვარაუდები უფრო შორს მიდიოდა: ისინი ოცნებობდნენ იმაზე, რომ შავი ზღვის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროებზე გაბატონებით განეხორციელებინათ თავიანთი განუყოფელი ჰეგემონია აზიურ თურქეთზე, გზა შეეკრათ რუსეთის ფლოტისათვის შავი ზღვის აუზში და შემდეგ გამაგრებულიყვნენ იმიერ კასპიის მხარეში, არალის ზღვისა და ამუ-დარიის იქითაც კი... თავრიზის ინგლისელმა კონსულმა აღმოსავლეთის ომის პერიოდში (1854 წ.) თავის მეგობარ სპარსელ მოღვაწეს პირად საუბარში გაანდო საკუთარი მთავრობის გულისნადები და განზრახვები ამ საგანზე: „ინგლისს რომ მოეხერხებინა ამიერკავკასიის ტერიტორიაზე დამკვიდრება, — განაცხადა კონსულმა, — და თან მცირეოდენი ფლოტიც გაეჩინა კასპიის ზღვაზე, მაშინ რუსეთის ყოველგვარ ცდას — შეელწია მცირე აზიაში, ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღებოდა“ [2].

თითქმის 1840 წლამდე გრძელდებოდა რუსეთის ვაჭარ-კომერსანტების მონოპოლიური ბატონობა შუა აზიისა და ახლო აღმოსავლეთის მიმართულებებით. რუსეთის საგაჭრო-ეკონომიურ ძალასთან ერთად იზრდებოდა მისი პოლიტიკური წონა და გავლენა აზიის ქვეყნებში. „1840 წლამდე, — აღნიშნავდა კ. მარქსი, — რუსები თითქმის განსაკუთრებულ მონოპოლიას ფლობდნენ უცხოეთის პროდუქტების ვაჭრობაზე ამ ოლქებში. რუსეთის საქონელი აღწევდა ინდამდე და ზოგ ადგილას სარგებლობდა უპირატესობით ინგლისის საქონელთან შედარებითაც კი. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ავღანელთა

[1] ЦГИАГ, ф. 29, д. 2502, л. 302.
[2] Charles Duncan, Jbid.

ომამდე და სინდისა და პენჯაბის დაპყრობამდე ინგლისელთა ვაჭრობა შიგა აზიაში არარაობას წარმოადგენდა"[1]

დამახასიათებელია, რომ აგრესიულად განწყობილი ინგლისელი პუბლიცისტები და სტრატეგები, ღრმად შეშფოთებულნი რუსეთის წარმატებებით აზიაში, მისნურად წინასწარმეტყველებდნენ ომის გარდუვალობას რუსეთსა და ინგლისს შორის. ისინი კიცხავდნენ თავიანთ ხელისუფალთ და ბრალს დებდნენ მათ გაუბედაობასა და სიბეჯეში. აგრესორები მეთოდურად და სისტემატურად ამუშავებდნენ საზოგადოებრივ აზრს მილიტარისტულ ყაიდაზე. ცნობილი ინგლისელი მზვერავი-„ჟურნალისტი", რუსეთის მოსისხლე მტერი დავით უოკარტი ცინიკური გულახდილობით წერდა: „საკითხი მოიცავს მთელი ჩვენი კომერციული ურთიერთობის სვეროს თურქეთსა, სპარსეთსა და ლევანტთან. სამნახევარი მილიონი გირვანქა სტერლინგი ყოველწლიურად ხმარდება ამ ვაჭრობას; საქმე ეხება აგრეთვე 25 ათასი ტონა წყალწყვეის ჩვენს საავაჭრო ფლოტს". სხვა სტატიაში იგივე ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს საქართველოს როლსა და მნიშვნელობას და კიდევ უფრო შავი საღებავებით ხატავს ინგლისის მომავალ პერსპექტივებს: „საქართველო ჩვენი პროდუქტებისათვის,' რომლებიც გერმანიის ბაზრებიდან გაჰქონდათ, — წერს უოკარტი, — წარმოადგენდა დიდ შარაგზას სპარსეთისა და ცენტრალური აზიისაკენ. რუსეთმა ჩვენ გადაგვიჭრა ეს გზა, თუმცა მან ვერ შეძლო ჩვენთვის წაერთმია ის შემოსავლელი გზა თურქეთის მხრით, რომელიც ამ ცოტა ხნის უკან გაიხსნა. კასპიის ზღვა, რომელიც შორეული წარსულიდან ეკუთვნოდა იმ სახელმწიფოს, სადაც თავისუფალი ვაჭრობა არსებობდა, მას შემდეგ, რაც იგი რუსეთს დაუქვემდებარდა, დაკარგულია ინგლისის საქონლისათვის. რუსეთმა ახლახან წაართვა თურქეთს ტერიტორია, რომელიც სულ რამდენიმე მილით არის დაცილებული ჩვენი გზიდან, რომელიც სპარსეთში მიდის, ხოლო მისი (რუსეთის — ე. ბ.) გაელენა თურქეთში იქითკენ იყო და არის მიმართული, — და წარმატებითაც, — რომ ამ ქვეყნის

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, соч., том IX, стр. 383.

რესურსები ესარგებლა გახადოს ჩვენთვის, ხელი შეგვიშალოს იმაში, რომ უფრო იაფად მივიღოთ ამ ქვეყნის სხვადასხვა სახის ნედლეული, ვიდრე რუსეთიდან ვიღებთ"[1]. ინგლისი ადვილი გასაგებია ის დაძაბულობა და განგაში, რომელიც ინგლისში ატყდა.

მაგრამ რუსეთის დიპლომატიისა და მისი საგაჭრო-კომერციული წარმატებანი აღმოსავლეთში ხანგრძლივი არ აღმოჩნდა. ინგლისმა გამოიყენა მთელი თავისი პოლიტიკური მანქანა და გადამწყვეტ შეტევაზე გადაეიდა რუსეთის წინააღმდეგ. უკვე 1841 წლის ლონდონის კონვენცია სრუტეების შესახებ იქცა უდიდესი პოლიტიკური შემობრუნების ნიშანსვეტად. ლონდონის კონფერენციაზე ინგლისმა და საფრანგეთმა მიაღწიეს სრუტეების რეჟიმის ისეთ საერთაშორისო რეგლამენტაციას, რომლითაც ყველა სახელმწიფოს სამხედრო გემებს, მათ შორის რუსეთის სამხედრო ფლოტსაც, ეკრძალებოდა ბოსფორსა და დარდანელში შესვლა. სრუტეების მიმართ რუსეთი კარგავდა იმ უპირატესობას, რომელიც მან უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულებით მოიპოვა, შავი ზღვა მისთვისაც კარდახშული აღმოჩნდა. ინგლისი გამარჯვებას ზეიმობდა, მაგრამ მოპოვებული პირველი წარმატება მას მხოლოდ დასაწყისად მიაჩნდა. ინგლისი ენერგიულად შეუდგა ძირგამომთხრელ მუშაობას რუსეთის საგაჭრო მონოპოლიის წინააღმდეგ მთელს ახლო აღმოსავლეთში. კ. მარქსი და ფ. ენგელსი დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს და აღნიშნავდნენ ინგლისის ბურჟუაზიის დაშპყრობლური პოლიტიკის წარმატებებს შუა აზიის ქვეყნებში[2]. ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად და დიპლომატიური ინტრიგების წყალობით ინგლისის ბურჟუაზიამ XIX საუკუნის შუა პერიოდში შეძლო რუსეთის კომერციის შედარებით შეკვიწროება აზიაში და

---

[1] იხ. პროკოფიევის „რუსეთის ისტორია", ტ. 4, გვ. 37—38, 1924. აღსანიშნავია, რომ ის „შემოსავლელი გზა" (შავი ზღვით და ტრაპიზონზე გავლით), რომელზედაც მიუთითებს ეკარტი და რომელიც 40-იან წლებში დიდად ხელსაყრელი აღმოჩნდა ინგლისელი ვაჭრებისათვის, ამ უკანასკნელთა სავალალოდ მალე რუსების კონტროლ ქვეშ მოექცა.

[2] К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. IX, стр. 383.

გეგმაზომიერად შეუდგა მის განდევნას თავის სამფლობელოთა ახლომახლო რაიონებიდან. „საკვაჭრო ბრძოლის ველი რუსეთისა და ინგლისს შორის, — წერდა მარქსი, — ნელია ინდიდან ტრაპიზონზე და რუსეთის ვაჭრობა, რომელიც წინათ აღმოსავლეთში ინგლისის სამფლობელოების საზღვრებამდე აღწევდა, ამჟამად თავისი საკუთარი საბაჟო საზღვრების დაცვით ირის შეზღუდული. ეს ფაქტი უდიდეს როლს ასრულებს როგორც აღმოსავლეთის საკითხის გადასაჭრელად, ისე იმ როლის შესაფასებლად, რომელსაც მასთან დაკავშირებით რუსეთი და ინგლისი ითამაშებენ. ეს ქვეყნები არიან და მუდამ იქნებიან მოწინააღმდეგენი აღმოსავლეთში“ [1].

ინგლის-რუსეთის წინააღმდეგობანი აზიაში, რასაკვირველია, არ განისაზღვრებოდა მხოლოდ ადგილობრივი, ვიწრო გეოგრაფიული ჩარჩოებით, იგი საკმაოდ სცილდებოდა სპარსეთისა თუ შუა აზიის სხვა რაიონების ფარგლებს. წარმოებდა ბრძოლა მაგისტრალური გზების, ბაზრებისა და სამხედრო-სტრატეგიული პლაცდარმებისათვის. მოპირდაპირე მხარეებმა მშვენიერად იცოდნენ, რომ კასპიის ზღვასთან მისელა მხოლოდ შავი ზღვით შეიძლებოდა [2]. მართებულად წერდა სამხედრო ისტორიკოსი ფადეევი, რომ შავი ზღვა იმ საკუმელს წარმოადგენს, რომლითაც საშხრეთ რუსეთში ჰაერი და სინათლე შემოდის. აქედან უშუალოდ გამომდინარეობდა პირველხარისხოვანი ამოცანა: განმტკიცებულიყვნენ შავი ზღვის აუზში, უზრუნველეყოთ თავიანთი პოზიციები ახლო და შუა აღმოსავლეთის მესამველელ პუნქტში. როგორც ცნობილია, შავი ზღვის გასაღების როლს მუდამ ასრულებდა სრეტენები და კონსტანტინოპოლი, რომელიც, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ „ოქროს ხიდია აღმოსავლეთისა და დასავლეთის შორის“ [3]... კ. მარქსი დიდად აფასებდა ამ მაგისტრალური გზის მნიშვნელობას, ხოლო კონსტანტინოპოლი და ტრაპიზონი მიაჩნდა მთავარ ბაზრებად შიდა აზიის, ტიგროსისა და ევფრატის მიდამოების, სპარსეთისა და თურქესტანის საქარავნო ვაჭრო-

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. IX, стр. 383—384.
[2] Тамже, стр. 182.
[3] Тамже, стр. 441.

ბისათვის[1]. ამრიგად, ინგლის-რუსეთის ანტაგონიზმი, რომელიც თავს იჩენდა მრავალ გეოგრაფიულ პუნქტში, საბოლოო ანგარიშით, მთელი თავისი კონცენტრიული ძალით, ერთ კვანძში — კონსტანტინოპოლსა და სრუტეებში — იბლართებოდა. ინგლისი თანმიმდევრულად ახორციელებდა რუსი ვაჭრების განდევნის პოლიტიკას თურქეთს, სპარსეთსა და შუა აზიის რაიონებიდან; თანდათან იჭრებოდა ბუხარისა და კოკანდის ბაზრებზე, ცდილობდა თავის ხელში მოექცია ნიჟეგოროდის გაზრობის საგაჭრო ჭალი, მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ძირფესვიანად ჩაეშალა რუსეთის მთელი საგარეო ვაჭრობა ამ მხარეში, გაექარწყლებინა მისი ეკონომიური და პოლიტიკური გავლენა აზიის ქვეყნებში. ინგლისელთა მოქმედება ეუფრო შორსაც მიდიოდა, — მათ იწყეს რუსთა საგაჭრო-ეკონომიური პოზიციების მიტაცება თვით ამიერკავკასიაშიც. ცნობილი რუსი სტატისტიკოსი კ. არსენიევი გადმოგვცემს, რომ „ინგლისის ვაჭრები, რომლებიც დამკვიდრდნენ მცირე აზიაში და დაიკავეს ყველა საგაჭრო პოსტი ტრაპიზონიდან სპარსეთის დედაქალაქამდე, მთლიანად დაეუფლენ ვაჭრობას, სპარსეთთან, თავისი ფაბრიკატებით გააავსეს. და წალეკეს ჩვენი ამიერკავკასიის მხარე“[2].

ზემოაღნიშნული გეოგრაფიული პუნქტების მნიშვნელობა სულაც არ ამოიწურებოდა ევროპა-აზიის მაგისტრალის მარტოოდენ საგაჭრო-სატრანზიტო როლით. კონსტანტინოპოლი და სრუტეები ამავე დროს პირველხარისხოვანი სტრატეგიული პუნქტებიც იყო. კ. მარქსი მიუთითებდა, რომ „დარდანელისა და ბოსფორის საგაჭრო მნიშვნელობა მათ, იმავე დროს, ხდის აგრეთვე პირველი რანგის სამხედრო პოზიციებადაც, ე. ი. ისეთ პოზიციებად, რომელთაც ყოველ ომში გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება“[3]. აქედან ცხადი უნდა იყოს კონსტანტინოპოლისა და სრუტეების საკითხის პირველხარის-

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. IX, стр. 383.
[2] Журн. „Министерства внутренних дел“, 1844, № 7.
[3] К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. IX, стр. 384.

ხოვანი მნიშვნელობა მეფის რუსეთისათვის[1]. აღნიშნული ნაკითხის ხელსაყრელი გადაწყვეტა რუსეთს უდიდეს ტერიტორიულობას მისცემდა, ხოლო ასეთი პერსპექტივა თუ სასიკეთილო ლახვარს არ ჩასცემდა, „უდიდეს დარტყმას მაინც მიაყენებდა ბრიტანეთის ძლევამოსილებას როგორც ვაჭრობის მხრივ ისე პოლიტიკურად"[2].

დიდ სახელმწიფოთა ხანგრძლივი სამეფურნეო-პოლიტიკური ინტერესების ჭიდილი და შეურიგებელი წინააღმდეგობანი ჭაფური საომარი კონფლიქტების წინამორბედი იყო. ამბების განვითარება მთელი თავისი კანონზომიერებით გარდუვალს ხდიდა ახალ დიდ ომს.

ამჟარა იყო, რომ სახელმწიფოთა კონფლიქტში საქართველო და ამიერკავკასია გარეშე მაყურებლის როლში ვერ დარჩებოდა. მით უმეტეს, რომ საეკონომიური, პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული წინააღმდეგობანი არსებითად აღნიშნულ გზაჯვარედინზე გაინასკვა. ამიტომ ბუნებრივია, რომ აქ უნდა მომხდარიყო „გორდიას ნასკვის" გახსნა (დიპლომატიური საშუალებით) ან, უკიდურეს შემთხვევაში, მისი ხმლით გაკვეთა (ომის გზით). საქართველოს როლი და ადგილი მომწიფებულ კონფლიქტში სრულიად განსაკუთრებული იყო. შემთხვევითი არ იყო ის, რომ ინგლისის საგარეო პოლიტიკის გამოჩენილი ხელმძღვანელი, აღმოსავლეთის ომის ერთ-ერთი ინიციატორთაგანი ლორდი პალმერსტონი 1854 წელს წინადადებას იძლეოდა ჯარები თავდაპირველად გადაესხათ არა ყირიმის ნახევარკუნძულზე, არა სევასტოპოლში, არამედ საქართველოს სანაპიროებზე, და მხოლოდ ნაპოლეონ მესამის ენერგიულმა წინააღმდეგობამ შეაცვლევინა ინგლისის მთავრობას მისი პირვანდელი გეზი. აქ პირველად გამომჟღავნდა ის ბზარი, რომელიც მალე დაუსრულებელ მტრობად და ქიშპობად გადაიქცა ევროპელ „მოკავშირეებს" შორის. საქმე ისაა, რომ საფრანგეთს სრულიადაც არ სურდა გაეთავი-

[1] აღნიშნულ საკითხზე იხ. ი. ბ. სტალინის შენიშვნები ფ. ენგელსის სტატიის გამო: „რუსეთის ცარიზმის საგარეო პოლიტიკა" (журн. „Большевик", Июнь, 1941).

[2] К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. IX, стр. 384.

სუფლებინა ინგლისი ინდოეთის მიმართ რუსეთის მხრიდან. სალოდნელ საფრთხისაგან, რომელიც მას, ფრანგების აზრით, ემუქრებოდა ამიერკავკასიიდან და სპარსეთიდან. ამიტომაც ნაპოლეონ III გადაწყვიტა განაცხადა უარი ჯარებით დასმარებოდა ინგლისს ამიერკავკასიის ბლოკადარმზე. ინგლისსა და საფრანგეთს შორის ამ შეუერიგებელი წინააღმდეგობითა და ჭიშპობით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ყირიმის ომის პერიოდში საფრანგეთის სარდლობა და დიპლომატია პასიურობას იჩენდნენ ამიერკავკასიის ამბებისადმი, ხოლო ზოგჯერ ფარულად ხელსაც კი უშლიდნენ ინგლისელებს მათი ზრახვების განხორციელებაში.

ინგლისელი კოლონიზატორების წინაშე იდგა საამაგი ამოცანა, რომელიც ერთ გენერალურ სტრატეგიას ემსახურებოდა: ჯერ ერთი, გზა დაეხშოთ რუსეთისათვის შავი ზღვისა და სრუტეებისაკენ; მეორე, შეერთებოდნენ კავკასიის მთებში შამილსა და მაჰმად-ემინს და მათთან ერთად გაერთიანებული ფრონტით ემოქმედნათ რუსეთის წინააღმდეგ, და ბოლოს, გადაეჭრათ საქართველო და ამიერკავკასია დაესაყრდენ პუნქტად, საიდანაც იდეალად შეიძლებოდა სრული ჰეგემონიის მოპოვება ტრაპიზონზე და თურქეთის სხვა მოსაზღვრე რაიონებზე. აქედან ინგლისელებს ესახებოდათ უსაზღვრო პერსპექტივა — ძლევამოსილად გაჭრილიყვნენ კასპიის ზღვის სანაპიროზე და თავიანთი გავლენის სფეროში მოექციათ მთელი სპარსეთი და შუა აზიის ქვეყნებიც.

თავისი გენერალური საბრძოლო ამოცანის განსახორციელებლად ინგლისი განსაკუთრებულ ენერგიას, თანმიმდევრობასა და მოქნილობას იჩენდა: მიზნის მისაღწევად იგი არ ერიდებოდა არავითარ ღონისძიებას, არ ზოგავდა არავითარ საშუალებას. განსაკუთრებით იყენებდა ოქროს. ინგლისური დიპლომატიის რთული მექანიზმი, ოსტატურად მოფიქრებული პოლიტიკის ჭადრაკული სელა ყველა კონტინენტზე, ოკეანეებსა და ზღვებზე ერთ ძირითად მიზანს ექვემდებარებოდა: შეევიწროებინათ და განედევნათ რუსეთი ბალკანეთიდან, ახლო და შუა აღმოსავლეთიდან, საქართველოდან და მთელი კავკასიიდან, რუსეთის ჰეგემონიის ძირის გამოსათხრელად

ამოქმედდა დიდი ბრიტანეთის აგენტურის ფართოდ განშტოებული ქსელი, მისი ჯაშუშობის რთული სისტემა ამიერკავკასიისა და კავკასიის პლაცდარმზე, ახლის ბვეყნებში.

რუსეთის ყველაზე აქტიური და ფანატიკური მოწინააღმდეგე, რომელმაც ჯერ კიდევ ყირიმის ომამდე დიდი ენერგია შეალია რუსეთის გავლენის შესუსტებას წინააზიაში და შავი ზღვის სრუტეების ზონაში, იყო დავით უერკარტი. მას ეკუთვნის დიდძალი შრომები „აღმოსავლეთის საკითხის" გარშემო. მისი ძირითადი ეკონომიური იდეა გამოხატავდა ინგლისის აგრესიული ბურჟუაზიის მისწრაფებას: გადაექცეთ თურქეთი პურისა, ხოლო კავკასია ნედლეულის წყაროდ. მისი მთავარი პოლიტიკური იდეალი იყო რუსეთის განდევნა შავი და კასპიის ზღვების სანაპიროებიდან და ინგლისის განუყოფელი ბატონობის განმტკიცება ამ მხარეში.

1836 წელს უერკარტი დანიშნული იქნა ინგლისის საელჩოს მდივნად კონსტანტინოპოლში. მაგრამ ეს დანიშვნა მხოლოდ ფორმალური იყო. ფაქტიურად იგი, როგორც ინგლისის მთავარი მზვერავი, სათავეში ჩაუდგა ჯაშუშობის ფართო ქსელს თვით თურქეთში, ირანსა და კავკასიის მთებში. მისი ხელმძღვანელობით შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს მოსახლეობაში ანტირუსულ აგიტაციას ეწეოდა კაპიტანი ლაიონსი. ამასთან დაკავშირებით ბარონი როზენი ნესელროდს სწერდა: „ჩვენ შევიტყვეთ, რომ კაპიტან ლაიონსს, მის რაზდენიმე თანამგზავრთან ერთად, რომელთა შორის იმყოფება ინგლისის საელჩოს მდივანი პორტასთან, გადაწყვეტილი აქვს გასული წლის მაგალითისამებრ, კვლავ მოაწყოს დაზვერვითი მოგზაურობა შავ ზღვაზე. ინგლისის სამხედრო გემების გამოჩენას ადიგესა და აფხაზეთის ნაპირებზე არ შეუძლია არ მოახდინოს ზეგავლენა მთიელებზე...

ლაიონსი მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა სეფერ-ბეისთან, რომელიც კონსტანტინოპოლიდან შთააგონებდა მოსახლეობას რუსეთის სიმაგრეებზე თავდასხმას, მან აღუთქვა ადიგელებს დახმარება ინგლისისა და საფრანგეთის მხრით[1].

ცნობილი ინგლისელი მზვერავები ფ. ლონგვორტი, ოლი-

[1] АКАК, т. VIII, стр. 891—892.

ფანტი, სპენსერი, მეთორი სტიუარტი, ბეილი, ბრანტ[illegible]
ნია, ფრანგი მზვერავები — სტეიერი (ბათუმელი [illegible]),
მოდიეი, სენ-ჟერი, შამპოასო და სხვები ჯერ კიდევ ადმო-
საელეთის ომის დაწყებამდე მოქმედებდნენ აქტიურად კავკა-
სიის მთებში, საშურზაყანოს ხეობაში და სამეგრელოში, ქო-
ბულეთის სანჯაყის მიდამოებსა და გურიაში. მტრის აგენტები
შენიღბულად თუ აშკარად დაძრწოდნენ ქალაქებსა და სოფ-
ლებში, საფუძვლიანად სწავლობდნენ საქართველოსა და მთე-
ლი კავკასიის გეოგრაფიულსა და ტოპოგრაფიულ ვითარებას,
ეცნობოდნენ სიმაგრეებსა და საზღვრებს, მოსახლეობის შე-
მადგენლობას, მის მორალურსა და პოლიტიკურ გაწყობილე-
ბას. რუსეთის მტრებს, კონტრაბანდის გზით, უბვად შემოპ-
ქონდათ ხომალდებით იარაღი და ყოველგვარი საბრძოლო,
სისტემატურად ამარაგებდნენ იარაღით შამილსა და მაჰმად-
ემინს. თბილისში სამხედრო ხელისუფლების ორგანოები რე-
გულარულად ღებულობდნენ ცნობებს იმის შესახებ, რომ
უბიზებმა და ზთის სხვა ტომებმა თურქეთის გემების კონტრა-
ბანდისტებისაგან შეიძინეს ფნიშენელოვანი რაოდენობის
ტყვიაწამალი[1]. „ამქამად, — წერდა მთავარი შტაბის უფროსი
კავკასიაში 1848 წ., — მდგომარეობა ჩვენთვის მით უფრო
ფნიშენელოვანი და საბიფათოა, რომ... უცხოეთის საბელაწი-
ფოების ბევრი ენერგია შეეცდება შემოიღწიოს არა მარტო გუ-
რიის სამხელეთო საზღვრებით, არამედ ზღვითაც, აბხაზეთში
და სხვა ადგილებში, რათა გამოიწვიოს არეულობა და შფო-
თი"[2]. უცხოეთის აგენტები უკავშირდებოდნენ საქართველოში
მცხოვრებ საკუთარ თანამემამულეებს, რომლებიც ადგილობ-
რივ ხელისუფალთა სიბრაზის წყალობით, ეიოთმდა „კულტუ-
რული" და „საწარმოო" მოღვაწეობის სამაბით, ეწეოდნენ
ანტირუსულ ძირგამომთხრელ მუშაობას[3]. აშკარა შეთანაქისა

[1] ЦГИАГ, Военный архив, дело 53, л. 1—2.

[2] ЦГИАГ, Военный архив, дело 54, л. 2—3.

[3] შეფის მოხელეთა ეგრეველესობა ნამდვილ სიბრაზეს ინენდა უცხო ძვეყნების აგენტურის გამოღლინებისა და მათი აღაგმვის საქმეში. ეს უკანასკნელნი ქვეყნის შიგნით, ზოგჯერ წლების განმავლობაში სრულიად დაუსჯელად თარეშობდნენ და ეწეოდნენ ძირგამომთხრელ გაშეშურ მუშაობას. უცხოეთის ეზვერავის პირწავარდნილ ტიპს წარმოადგენდა გრა-
5. ე. ბერეულაძე

და იარაღის შემოზიდვის გარდა ინგლის-საფრანგეთის აგენტები აწყობდნენ მსხვილი პოლიტიკური ხასიათის დივერსიებსაც: აღვივებდნენ სიძულვილის გრძნობას რუსების წინააღმდეგ მთელ მოსახლეობაში, ფუშავდნენ მთიელების სამშვიდობო მოლაპარაკებას რუსი ჯარების სარდლობასთან, იწვევდნენ პროვოკაციულ სამხედრო კონფლიქტებს საკორდონო ხაზებზე, აწყობდნენ მარიონეტული „ჩერქეზთა სახელმწიფოს" შექმნის ინსცენირებას და სხვ. მათი საშუალებით ხდებოდა ახალი აგენტებისა და ჯაშუშების, ანტირუსული პოლიტიკის პროპაგანდისტთა კადრების შეგროვება, გაწვრთნა და ინსტრუქტირება. ევროპის აგენტურის გარდა, ამავე აგენტების ხელმძღვანელობით საქართველოსა და ამიერკავკასიაში მოქმედებდნენ ოტომანთა თურქეთისა და შაჰის სპარსეთის ჯგუფები.

1853 — 1856 წლების აღმოსავლეთის ომის პერიოდში დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ინტერესი „აკეთილგანწყობილება" საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის მიმართ კიდევ უფრო გაიზარდა. გაფართოვდა უცხოეთის აგენტურის მოქმედების არე ქვეყნის შიგნით და მის მისადგომებზე. უფრო ინტენსიური გახდა ჯაშუშობა და დივერსიული აქტები. საისტორიო დოკუმენტები თვალსაჩინოდ ხდიან იმ ზემმარიტებას, რომ თურქეთის სახელმწიფოებრივ მანქანას, მთელ საგარეო პოლიტიკას და სტრატეგიას, მის არმიასა და ფინანსებს ომის დასაწყისში და ომის მსვლელობის დროს ინგლისი წარმართავდა. თავის წერილში ბარონ ბრიუნოვისადმი გრაფი ნესელროდე, ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე მართებულად წერდა: „არა სელთანი აბდულ-მეჯიდი, არამედ ლორდი რედკლიფი მეფობს თურქეთში"[1].

აკადემიკოსმა ე. ბ. ტარლემ თავის კაპიტალურ გამოკვ-

ფი რუსმარდეკი სამეგრელოში. ბარონი შტეინი (ფერსეთ-ფაშა) გრაფ რუსმარდეკს სწერდა: „მეფე ფაეგდებულ უნდა იქნას თერგსა და ყუბანს იქით. ასეთი გადაწყვეტილება იქნა მიღებული საბოლოოდ დიდ სახელმწიფოთა საბჭოში". АКАК, т XI, стр. 241, Ср. Н. Н. Муравьев. В-йна за Кавказом в 1855 г. т. II, СПБ, 1877, стр. 389.

[1] „Вестник Европы", 1898 г., Апрель, стр. 581.

ლეგამი ყირიმის ომის შესახებ ნათელჰყო ლორდ ჩედლეფის პოლიტიკური ინტრიგები, მისი დიპლომატიური ჩხირკედელაობა, რაც მიმართული იყო ომის დაჩქარებისაკენ. ისტორიული ფაქტებისა და დოკუმენტების საფუძველზე ისტორიკოსმა ულმობლად ამხილა რედკლიფი, როგორც რუსეთის შეურიგებელი მტერი, როგორც აღმოსავლეთის ომის ერთ-ერთი მთავარი გამჩაღებელი[1].

1853 წლის მარტის დამლევს ბრიტანეთის დესპანის სახით კონსტანტინოპოლში ჩავიდა სტრეტფორდ კანინგი. მას იცნობდნენ როგორც რუსეთის დაუძინებელ მტერს და ანექსიონისტური ტენდენციების მატარებელს თურქეთის მიმართ. თურქეთში მისი გამგზავრების დროს ინგლისის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელობაში მოხდა ცვლილება: საგარეო საქმეთა სტატ-მდივნის (საგარეო საქმეთა მინისტრის) პოსტი ებერდინის კაბინეტში მოხუცი ლორდის როსელის ნაცვლად ლორდმა კლარენდონმა დაიკავა. ეს უკანასკნელი პალმერსტონის დამქაში იყო, იმ პალმერსტონისა, რომელმაც თავის ანექსიონისტურ პროგრამაში „საქართველოს პრობლემა" ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილზე წამოსწია. სტრეტფორდი, რომელიც 1853 წლიდან სტრეტფორდ-რედკლიფად იწოდებოდა, ლორდმა კლარენდონმა თურქეთში მოქმედების განუსაზღვრელი რწმენებით აღჭურვა და მან წარმატებით შეასრულა დაკისრებული მისია: ოსტატურად გამოიყენა ქედმაღალი და თავნება რუსი თავადის მენშიკოვის დიპლომატიური ოსტატობა, დაჩქარა თურქეთსა და რუსეთს შორის ომის ხანძრის გაჩაღება[2]. ამასთან დაკავშირებით, უადგილო არ იქნება, დავიმოწმოთ რამდენიმე უტყუარი საბუთი. თავის გამოსვლაში 1854 წლის 31 მარტს, ინგლისის პარლამენტის ქვედა პალატის წევრმა ბრაიტმა განაცხადა: „ფაქტები მოწმობენ, რომ თურქეთი შეგულიანებული იყო ინგლისის მიერ წინააღმდეგობა გაეწია რუსების მოთხოვნილები-

---

[1] Е. В. Тарле. Крымская война. т. 1. 1944. М. Л.

[2] როგორც ცნობილია, ლორდმა რედკლიფმა აშკარა სიყალბესაც მიმართა: მან პროვოკაციულად გადააკეთა და დაამახინჯა მენშიკოვის მიერ თურქეთისათვის გადაცემული დეპეშის ტექსტი.

სათვის"[1]. თავისი მტკიცების დასადასტურებლად ბრეტმა მოუწოდა თავის კოლეგებს — პალატის წევრებს, გაცნობიერებულ ნენ ლორდ სტრეტფორდის დეპეშებს, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ „ინგლისის დესპანი თავიდან ბოლომდე ყველაზე ძლიერი საშუალებებით აქეზებდა თურქეთს უკუეგდო თვით მცირეოდენი დათმობებიც კი რუსეთის მიმართ". თავის სიტყვაში ბრაიტი მკაფიო არგუმენტებით განაგრძობდა ინგლისის დესპანის პროვოკაციული და ავანტიურისტული მოქმედების მხილებას: „ლორდი სტრეტფორდი, — ამბობდა ბრაიტი, — დაჟინებით მოითხოვდა თურქეთისაგან შეურიგებლობას, პირდებოდა სულთანს, რომ ინგლისი არათუ მოიწონებს მის გადაწყვეტილებებს, არამედ რუსეთთან ომის შემთხვევაში აღმოუჩენს მას შეიარაღებულ დახმარებას. იმავე წუთიდან, როცა მიცემული იქნა ეს დაპირება, ომი გარდუვალი გახდა"[2]. ყოველივე ამის შემდეგ, ცხადია, აღმოსავლეთის ომის მთავარი გამჩაღებლების საკითხის გადაწყვეტა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს.

სტრეტფორდ-რედკლიფს, რომელიც თურქეთში მოქმედებდა მისი შეფების — ლორდ კლარენდონისა და პალმერსტონის დირექტივებით, კარგად ესმოდა საქართველოსა და ამიერკავკასიის მნიშვნელობა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. იმისათვის, რომ მოემზადებინა და განეხორციელებინა გენერალური დარტყმა ამ პლაცდარმზე, მისი მოთხოვნით, ინგლისის მთავრობა შეუდგა ბრიტანეთის სამხედროს ოფიცრობისა და სამხედრო ინჟინერთა ჯგუფების გადასროლას მცირე აზიის საბრძოლო ზონაში, აქვე წარმოებდა ემიგრაციაში მყოფ ე. წ. „თავისუფალ პოლონელთა" კონტიგენტის კონცენტრირებაც.

კონსტანტინოპოლში პოლონელი ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლებად ითვლებოდნენ მიხეილ ჩაიკოვსკი — „ჩაიკა", რომელსაც მინიჭებული ჰქონდა ფაშას ხარისხი და შემ-

---

[1] „Северная пчела", 1854, №№ 78, 79, ср.: „Материалы для истории „Крымской войны", сб., под ред. Дубровина, СПБ, 1871, стр. 17—18.

[2] Т а м ж е.

დეგში „სადიკ-ფაშად“ იწოდებოდა, ზედლინსკი, ანუ „ხელიმ-შაფა“, ლაპინსკი ანუ „ტეფიკ-ბეი“, ვერეშინსკი ანუ „ჭკონსკი“, ბოლესლავ ვისლოგლავსკი, ვინოკენტი რაევსკი, ფრანც სტოკი, ზამოისკი, ვასოევიჩი, ბეში და სხვები[1], უნგრელ ემიგრანტებს შორის ალსანიშნავია გეორგი კმეთი, იოჰან ბანდიუ, შტეინი, ტუკონი, ტალმაირი და სხვები. მათ უმრავლესობას მიღებული ჰქონდათ თურქეთის ქვეშევრდომობა და ისლამის სარწმუნოება. ისინი დიდ როლს ასრულებდნენ თურქეთის არმიაში და მაღალი სამხედრო ჩინები ჰქონდათ.

ინგლისის გენერალური შტაბის ემისრები ხელმძღვანელობდნენ მობილიზაციის საქმეს თურქეთის არმიაში, ამზადებდნენ ჯარისკაცებსა და ოფიცერთა კადრებს, ამუშავებდნენ სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხებს, სათავეში ედგნენ საველე სამეგრეების აგებას და ხელმძღვანელობდნენ ყველა საფორტიფიკაციო სამუშაოს სასაზღვრო-სანაპირო ზოლებში. ბრიტანეთის ოფიცრობა და სხვა მოხელეები თურქეთის სრულ ბატონ-პატრონებად გრძნობდნენ თავს. ისინი ოტომანთა იმპერიის ერთი კუთხიდან აწყდებოდნენ მეორეს, შედიოდნენ თურქეთის სამსახურში, ღებულობდნენ ფაშობის ტიტულებს, ადგენდნენ რეგულარულ და ირეგულარულ სამხედრო შენაერთებს, ენერგიულად აუმჯობესებდნენ მათ სამწყობრო და სალაშქრო მზადყოფნას. ერთ-ერთი თურქი ოფიცერი თავის მოგონებაში, რომელიც რუსულ ჟურნალში დაიბეჭდა, აღნიშნავს, რომ საომარი კამპანიის დროს მცირე აზიაში თურქეთის არმიის დასაჩქარებლად და გასამხნევებლად გადმოსროლეს უცხოური ლეგიონის რამდენიმე შენაერთი, რომლებიც „ინგლისური ოქროს საშუალებით იქნენ დაკომპლექტებულნი“[2]. ფაქტიურად მთელი საომარი მოქმედების ხელმძღვანელობა კავკასია-თურქეთის ასპარეზზე დაკისრებული ჰქონდა გენ. გიუონს. იგი ითვლებოდა ანატოლიის არმიის შტაბის უფროსად. თურქების თვალის აბეზეის მიზნით მან მიიღო ისლამი და ქურშიდ-ფაშას მაღალი ტიტული. გენ. გიუონს მხარს

---

[1] АКАК, т. X, стр. 242. ср.; ЦАВП МИД. Первый департамент, д. 1, л. 1—156.

[2] „Кавказский сборник“, 1877, т. II, стр. 208.

უმწვეანებდნენ გენერლები ქმეტი და კოლმანი, ბრიტანეთის სამსახურის პოლკოვნიკი მეფრეი და ინგლისის გენერალურ-შტაბის ბევრი სხვა წარმომადგენელი[1]. ჯარების ორგანიზაციისა და ომის წარმოების ბრიტანული „სტილი" მკაფიოდ იგრძნობოდა არა მარტო ანატოლიის საომარი ასპარეზის მიგნებზე, არამედ მთლიანად კავკასიის საზღვაო-სახმელეთო საზღვრების გასწვრივ.

ისტორიული ფაქტები და დოკუმენტები ნათლად ადასტურებენ ინგლისელი აგენტების უდიდეს აქტივობას შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე ჯერ კიდევ აღმოსავლეთის ომამდე. თავიანთ მრავალრიცხოვან მოხსენება-რელაციებში ცენტრალური მთავრობის სახელზე ყირიმის ომის დასაწყისში და მის მსვლელობაში კავკასიის კორპუსის მთავარსარდლები მ. ს. ვორონცოვი, გენერალი რეადი და გენერალ-ადიუტანტი ნ. ნ. მურავიოვი არა ერთხელ აღნიშნავდნენ ევროპელი ოფიცრობის მოქმედების გააქტიურებას თურქეთ-საქართველოს საზღვრებზე.

„ჩვენმა მზვერავმა, — წერდა ომის დასაწყისში თავადი ვორონცოვი სამხედრო მინისტრს, — ქაქეთში (გურია—ე. ბ.) ნახა ერთი ემიგრანტი, რომელიც დურბინდით ათვალიერებდა ჩვენს პოზიციებს, კერძოდ, ოზურგეთის პოზიციის და ექიდნის სიმაღლეებს, სადაც ჩვენ ავაგეთ დროებითი სიმაგრე. შემოწმების შემდეგ ემიგრანტმა განაცხადა, რომ დამხმარე ძალების მოსვლის შემდეგ მას ვანზრახავ აქვს რეგულარული ქვეითი ჯარის ათი ბატალიონით და 15 ქვემეხით დაიკავოს ეს პოზიცია[2]". იმავე პერიოდში გურიის რაზმის უფროსი თავის ბატაკში წერდა: „გუშინ მზვერავებმა გვაცნობეს, რომ უცხოელი ინჟინერი, რომელსაც თურქები მაჯარს უწოდებენ, ათვალიერებდა ჩვენს პოზიციებს. ამას გარდა მზვერავებმა სერასკირ სელიმ-ფაშას სახლში ნახეს ერთი წვერიანი ინგლისელი,

---

[1] „Воспоминание офицера Кавказской армии", СПБ, 1857 г., стр. 32.

[2] ЦГИАГ, фонд, 1087, д. 472, л. 533.

გენერლის ეპოლეტებით, ყველზე მას დიდი ალმასის ჯვარი მკი-
და. ამ გენერალს ფაშა დიდი პატივისცემით ეპყრობოდა"[1].

თავადი ბებუთოვი პატაკში, რომელიც 1854 წლის 8 ივ-
ვარს კავკასიის ჯარების მთავარსარდალს გაუგზავნა, მოახსე-
ნებდა, რომ დადასტურებული ცნობებით, ამიერკავკასიის
საზღვრების მთელ ზოლში ევროპის მრავალრიცხოვანი აგენ-
ტები და უცხო გენერლები იმყოფებოდნენ, და რომ მათი
აქტივობა დღითი დღე იზრდებოდა[2]. ერთ-ერთ საომარ ინ-
ფორმაციაში, რომელიც მოსკოვის ისტორიულ არქივში ინა-
ხება, ვკითხულობთ: „დაკავებულია დიდი საპალნიანი ჭარავა-
ნი, დატვირთული ბრინჯით, მედიკამენტებით და იარაღით;
ჭარავანი ინგლისის აღმოსავლეთ საფლობელოებიდან მოდი-
ოდა. ტყვედ წამოყვანილი არიან ინგლისელები"[3].

როგორც ითქვა, ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე ინგლისელე-
ბი უხვად ამარაგებდნენ იარაღითა და საჭურველით თავიანთ
მოკავშირეებს — თურქეთსა და შამილს. ომის დაწყების შემ-
დეგ ასეთი ოპერაციები, ცხადია, უფრო გაბშირდა. 1853 წლის
შემოდგომიდან ევროპიდან მოსულ გემებს თურქეთის ნავსად-
გურებში განუწყვეტელ ნაკადად შეჰქონდათ დიდძალი იარა-
ღი და საჭურველი, სურსათ-სანოვაგე. შეჰყავდათ ჯარებ-ს
კონტიგენტები. 1853 წლის 30 დეკემბერს გურიის რაზმის
უფროსი მთავარსარდალს ატყობინებდა: „დღეს შუადღის
12 საათზე, თურქეთის ყველა მოწინავე საგუშაგოზე, ზღვაზე,
ბათუმისა და ჩურუქ-სუს პირდაპირ გაისმოდა თოფებისა და
ქვემეხთა სროლა. სალუტი აუწყებდა ფლოტისა და ჯარების
წოსვლას, სურსათ-სანოვაგის მოტანას. მზვერავებმა გვაცნო-
ბეს რომ რვა გემმა მოიყვანა ჯარი და მოიტანა სურსათი. ეს
გემები, როგორც გვაცნობეს, ინგლისელებს და ფრანგებს მი-
უკუთია. მსურდა რა დამედგინა ფლოტის მოსვლის ფაქტი, მე
გავგზავნე ჩემი ადიუტანტი ჩ. შჩერბაკოვი გურიანთის სიმაგ-
რესთან, საიდანაც მან დურბინდის საშუალებით დაინახა 5

---

[1] ЦГИАГ, фонд, 1087, д. 472, л. 56.

[2] ЦГВИАМ, д. 5416, л. 302.

[3] Центральный Госуд. Историч. Архив, Москвы (ქვემოთ იხ. შემოკლებით: ЦГИАМ), 1 экз., дело 89, л. 30.

ორთქლის გემი და 4 იალქნიანი ხომალდი. ამასთან ერთად გადგენთ მის მიერ დამზადებულ ბრიფლინგს ამ გემების ფანტაზიაზე. ბის შესახებ შავი ზღვის ლაზისტანის სანაპიროზე"[1].

უცხოელი ოფიცრები დიდი ვაი-ვაგლახით ცდილობდნენ დაერიბნათ, განემტკიცებინათ და გაემზნეებინათ ოსმალთა ჯარები, რომელნიც ახალციხესთან, ბაშკიდიკლართან, ჩოლოქთან და კურიუკდარასთან განცდილი მძიმე მარცხის შემდეგ სასოწარკვეთილი და დემორალიზებული იყვნენ. „საარწმუნო ცნობებით, — მოახსენებდა გენერალი მურავიოვი სამხედრო მინისტრს 1855 წლის 11 მარტს, — ქობულეთში ჩამოვიდა ორი ინგლისელი კომისარი. ერთი მათგანი გაემგზავრა აჭარაში და წესრიგში მოჰყავს ცნობები რუსი ტყვეების შესახებ; მეორე დარჩა ჩერეკ-სუში (ქობულეთი), რათა ხელმძღვანელობა გაუწიოს ქობულეთის სანჯაყის საშინაო მმართველობას. თურქეთის მოხელეები, როგორც მზვერავები ამტკიცებენ, ყველაფერში ეთანამშრომლებიან ინგლისელ კომისრებს და სიტყვაშეუბრუნებლად ასრულებენ მათ დარიგებებს"[2]. გამოჩენილი ინგლისელი სამხედრო სპეციალისტები აშენებდნენ ახალს და ამარაგებდნენ ოსმალთა ძველ ციხე-სიმაგრეებს, ინგლისელები ედგნენ სათავეში დაცვის მთელ ორგანიზაციას. „ყარსის კედლებთან, რეტრაშამენტებს იქით, — წერდა გენ. მურავიოვი ერთ-ერთ მოხსენებაში, — რომლებიც ოსტატურად იყო აღმართული ინგლისელ ინჟინერ-პოლკოვნიკის ლეკის მიერ, იდგნენ და გენერალ ვილიამსის ენერგიულ ნებისყოფას ემორჩილებოდნენ თურქთა ჯარები"[3].

---

[1] ЦГВИА, Ф. 1087, д. 472, л. 51.

[2] АКАК, т. XI, стр. 473.

[3] ინგლისელი პოლკოვნიკი ვილიამსი, ლორდ სტრეტფორდის მოთხოვნით, 1854 წლის ზაფხულში გაგზავნილ იქნა მცირე აზიაში, მან შეძლო მოკლე ვადაში საკუთარ ხელში აეღო ანატოლიის არმიის მთელი ხელმძღვანელობა. ფორმალური დაბრკოლების გადალახვისა და თურქთა თვალის ახვევის მიზნით (მისი ქრისტიანული სახელის დასაფარავად) ვილიამსს ებოძა ფერიკის ტიტული. ამიერიდან მას ფერიკ-ვილიამ-ფაშა ეწოდებოდა. იგი მდგომარეობის სრული ბატონ-პატრონი გახდა. ბის სიტყვაშეუბრუნებლივ მორჩილებდნენ თურქეთის ადგილობრივი სარდლები და სანჯაყის ხელისუფალნი. ვილიამსი ნიშნავდა და ითხოვდა

ბრიტანეთის ხელისუფალთა ინსტრუქციებით ინგლისის აგენტები და დივერსანტები საქართველოში და მთელ [illegible] სიის ხაზზე განაგრძობდნენ დიდი ენერგიისა და [illegible] ხარჯვას, რათა წაერთმიათ რუსეთისათვის შავი ზღვის სანაპირო სიმაგრეები, რომლებიც ევროპელ დამპყრობთ ხელს უშლიდა გაევრცელებინათ მოსახლეობაში კონტრაბანდისტული საქონელი, მოემარაგებინათ იარაღითა და თოფის წამლით შამილი და მაჰმად-ემინი, გადაესხათ დეტაჩტი მათ დასახმარებლად. უცხოელები აბამდნენ შპიონაჟის ქსელს, აწყობდნენ პროვოკაციებს, აქეზებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას და ცდილობდნენ აემხედრებინათ იგი რუსული მმართველობის წინააღმდეგ. უცხოეთის აგენტები თხზავდნენ და ავრცელებდნენ ქართველ მოსახლეობაში და სხვა მოსაზღვრე ოლქებში მანიფესტებსა და პროკლამაციებს. ფურცლებს თვალსაჩინო ნაწილი შედგენილი იყო საკმაოდ მახვილგონიერად, ისინი ნავარაუდევი იყვნენ გავლენა მოეხდინათ ხალხის ფსიქიკაზე, შეერყიათ მისი სულიერი წონასწორობა, უნდობლობა გამოეწვიათ რუსი ხალხისადმი. მტრები მაღალფარდოვანი დაპირებებით ცდილობდნენ მოეხიბლათ და გადაებირებინათ ქართველი მთავრები — დადიანი, შერვაშიძე, დადეშქელიანი და სხვა გავლენიანი თავადაზნაურობა, როგორც, მაგალითად, გურიელები. დამპყრობლები ცდილობდნენ დემაგოგიური ხერხებით თავის მხარეზე მიეზიდათ თვით მშრომელი გლეხობაც, აემხედრებინათ ისინი რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ. ფანდარმთა კორპუსის ოლქის უფროსი თბილისიდან 1854 წლის 13 მარტს თავის პეტერბურგელ შეფს მოახსენებდა: „ჩვენში გაჩნდა დაბეჭდილი მოწოდებები, რომლებიც მოსახლეობას მოაგონებს წინანდელ დამოუკიდებლობას, მათ წინამძღოლთა მებრძოლ სულისკვეთებას და მოუწოდებს აჯანყებისაკენ. იქვე ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ამჟამად ყველაზე ხელსაყრელი დროა, რათა გადაგ-

---

ოფიცრებს, აჭილდოებდა ან პასუხისგებაში აძლევდა მათ. „ლორდი სტრეტფორდი კონსტანტინოპოლში, გენერალი ვილიამსი ყარსში, — ეი ვინ განაგებდა თურქეთის ბედიღბალს", — განაცხადა თბილისში ყოფნის დროს ტაქტიკოფილმა ალი-ფაშამ.

დებულ იქნას მეფის რუსეთის საძულველი უღელი[1]". გენერალ-მაიორი იერიევი გრაფ ორლოვისადმი 1855 წლის 31 ოქტომბერს გაგზავნილ პატაკში მოახსენებდა: „შევატყობ, რომ იმერ-ფაში თავისი მრჩეველების (ინგლის-საფრანგეთის აგენტურის. — ე. ბ.) წაქეზებით ეერცელებს პროკლამაციებს, რომლებითაც მოუწოდებს იმერლებს, მეგრელებსა და გურულებს შეუერთდნენ ოსმალებს. საბატონო გლეხებს ისინი განთავისუფლებას პირდებიან"[2].

იმ მიზნით, რომ თავის სასარგებლოდ განეწყოთ და თავისკენ მიეზიდათ ქართველი მოსახლეობა, ინგლის-საფრანგეთის აგენტ-რეზიდენტები არაფერს არ ერიდებოდნენ. გურიის რაზმის უფროსი თავის მოხსენებაში მთავარსარდლისადმი ამის გამო წერდა: „ინგლის-საფრანგეთის რეზიდენტები ქობულეთში არ იშურებენ მთელ თავიანთ ძალღონეს იმისათვის, რომ თავისკენ მიიზიდონ გურულებისა და მეგრელების ნდობა და სიმპათიები, თურქებს ებრძანათ, არავითარ შემთხვევაში არ მიაყენონ რომელიმე ჩვენგანს შეურაცხყოფა, პირიქით მოამარაგონ ისინი ყველაფრით. ამ მიზნით ბათუმში შემოზიდეს დიდძალი საქონელი და მარილი. გაცემულია ბრძანება, რათა დაბრუნებულ იქნას სამშობლოში თურქების მიერ წაყვანილი ყველა ტყვე. ბევრი მათგანი უკვე დაბრუნდა"[3].

ინგლისელ კოლონიზატორთა საეჭვო „ზრუნვა" ადგილობრივი მოსახლეობისათვის, რა თქმა უნდა, შორს იდგა ჭეშმარიტად ჰუმანურ კეთილშობილებისაგან. დამპყრობთა ეს „რაინდული სულგრძელობა" საკუთრივ უთავსდებოდა წვრილი მედუქნისა და ხარბი მევახშის ანგარებიან პრაქტიკას. საარქივო დოკუმენტები პირუთვნელად მოწმობენ, რომ ინგლისელები, რომელნიც თავიანთ პროკლამაციებსა და მოწოდებებში მაღალ ჰუმანურ იდეებზე გაჰკიოდნენ, იმავე დროს, ადგილთა და სასწორით შეიარაღებულნი, გაცხოველებულ ვაჭრობას ეწეოდნენ. ინგლისელები ყიდდნენ ჩითეულს, სხვადასხვა ღილებსა და მევრ სხვა წვრილმან საგანს. ამავე დროს

---

[1] ЦГВАМ, III отд., 1 эксп., д. 89, л. 7—8.
[2] Тамже, л. 23, л. 18.
[3] АКАК, т. XI, стр. 189.

თურქეთთან ერთად ინგლისელებიც ვაჭრობდნენ „ცოცხალი და ლამაზი საქონლით“ — გურული, იმერული, მეგრელი, ფოთელი გონებითა და ბიჭებით. აი, რას გვიამბობს გურიაში ინგლისელებისა და თურქების მოქმედების შესახებ 1854 წლის ომის თანამედროვე და მაშინდელი ამბების მნახველი: „თურქ ჯარისკაცებს კვალდაკვალ მოჰყვნენ ინგლისელი ვაჭრები. მათ შემოიტანეს დიდძალი საქონელი, გამართეს ბაზრები და ცდილობდნენ მიეზიდათ მოსახლეობა მოჩვენებითი სიიაფით. თავის მხრივ, თურქებიც არ ისხდნენ უსაქმოდ. ისინი იშერდნენ ლამაზ გოგონებსა და ბიჭებს, რომელთაც დიდ პარტიებად გზავნიდნენ კონსტანტინოპოლში“[1]. იქვე ლაპარაკია იმის შესახებ, რომ თურქეთის მთელი ეს „ოპერაციები“ ინგლისელთა თვალწინ და მათი მოწონებით ხდებოდაო.

ფაქტები საკმაებით ადასტურებენ ინგლისელ „ცივილიზატორთა“ აქტიურ მონაწილეობას ამ სამარცხვინო ოპერაციებში. დადასტურებულია, რომ 1854 წლის დასაწყისს შავ ზღვაში მოკავშირეთა ესკადრებისა და, პირველ რიგში, ინგლისის გემების გამოჩენის პირველი შედეგი ის იყო, რომ ქართველი გოგო-ბიჭებით დატვირთულ თურქთა გემებს და ბავშვებს შავ ზღვაში თავისუფალი ცურვის უფლება მისცეს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მეფის მთავრობაც კი სასტიკ ზომებს იღებდა ადამიანებით მოვაჭრეთა წინააღმდეგ. აღშფოთებულმა ვორონცოვმა, რომელმაც შეიტყო მოკავშირეთა საძრახი მოქმედება, სასწრაფოდ მიიღო საათანადო ზომები. მისი დავალებით პეტერბურგის გაზეთში დაიბეჭდა სტატია, რომელიც საქვეყნოდ ამხილებდა „ცოცხალი საქონლით“ მოვაჭრეთა ზნე-დაცემულობას[2]. ტყვეებით ვაჭრობაში ინგლისელების მონაწილეობას ადასტურებს აგრეთვე სხვა დოკუმენტებიც. 1855 წლის 26 ოქტომბერს ათუხაზეთიდან იუწყებოდნენ: „სუხუმ-კალეს რეიდზე მოვიდა ინგლისის გემი „კენგურუ“, რომელიც ვაჭრობს ადამიანებით (ტყვე, მონა-კაცებით და მონა-ქალე-

---

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 1000, იხ. მამალეიშვილის ხელნაწერი.

[2] მთლიანად ამ საქმის გარშ. იხ. Journal de St.. Petersbourg, № 304, 1854 წ. 12 იანვარი, აგრეთვე: „Кавказъ“, 1856, № 7, „Русский вестник“, 1864, кн. XI, стр. 54.

ბით). ადამიანებით ამ საშარცხვინო და საძრახო ვაჭრობის მონაწილენი არიან ინგლისელი შკიპერები, რომლებსაც გადაჭ-ყავდათ ეს ცოცხალი საქონელი"[1]. ცხადია, ეს ფაქტები არ გაიკვირვებს იმას, ვინც მოიგონებს, რომ ბრიტანეთის იმპერიის მთელი ისტორია, მისი წარმოშობა და განვითარება, მისი მატერიალური ძალა და დოვლათი კოლონიების ბარბაროსული ძარცვისა და მონების ყიდვა-გაყიდვით მიღებულ მოგებაზე იყო დამყარებული. ლონდონელმა ყაჩაღმა ვაჭრებმა ჯერ-კიდევ ადრე დაიმსახურეს „ზღვის ქოფაკთა" ტიტელი.

ქართველ ხალხს, რომელსაც არასოდეს მოუხრია ქედი დამპყრობთა და მოძალადეთა წინაშე, არც ამ შემთხვევაში ჰქონდა სხვა გამოსავალი, გარდა შეურიგებელი ბრძოლისა. ქართველობა ერთსულოვნად აღდგა მოსისხლე მტრის წინააღმდეგ. ხელი მოჰკიდა იარაღს და რუსეთის რეგულარული ჯარების მხარდამხარ საომარ-სასიცოცხლო ომი გაიჩაღა უცხოელი დამპყრობლების, „ცოცხალი ბორკილთა" მოვაჭრე ბარბაროსების წინააღმდეგ. „ტყვეებით ვაჭრობა, — სამართლიანად წერდა გაზ. „კავკაზის" კორესპონდენტი, — წარმოადგენს თურქებისაღმი იმ სიძულვილის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს, რომლითაც გამსჭვალულია თვითეული გურული... სულით მებრძოლს და ამაყ გურულს არ შეუძლია აპატიოს თურქებს ასეთი დამცირება; მას სძულს ისინი და აღმფოთებით იგონებს იმ დროს, როცა ქედმაღალ, ზვიად თურქობას, შეეძლო ისე ეთარეშნა გურიაში, როგორც თავის საკუთარ მიწა-წყალზე"[2].

ფრიად დამახასიათებელია, რომ საავაჭრო სპეკულაცია, კონტრაბანდისტობა, გამოძალვა, ყალბი ფულის მოჭრა და სხვა თაღლითობა სულაც არ შეადგენდა ინგლისის მარტოოდენ პროფესიული მაკლერებისა და საავაჭრო „წოდების" მონოპოლიას. ყოველგვარ ასეთ მაქინაციებთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ინგლისის ოფიცერთა წრეებიც, მათ შორის ფრიად მაღალი სამხედრო თანამდებობის პირნიც. ნამდვილი

---

[1] ЦГВИАМ, ф. ВУА. л. 6662, з. 12.

[2] Газ. „Кавказ", 1853, № 77.

საგარეო საქმეთა მრჩეველი შჩერბინინი თბილისიდან ლორის-შვილოვისადმი 1855 წლის 28 ნოემბერს გაგზავნილ მიმართვაში წერდა: „ამ ცოტა ხნის წინათ ქალაქ ყარსში მნიშვნელოვანი რაოდენობით შეხიდეს შაქარი. ამის გამო მის მაღალმატებელებას (მთავარსარდალს გენ. მურავიოვს — ე. ბ.) სურს იცოდეს: ვის ეკუთვნის ეს შაქარი — გენერალ ვილიამსს, თუ ინგლისის სხვა ოფიცრებს, რომლებიც ტყვეებად იმყოფებიან ჩვენთან?"[1]. ყარსის გადაცემის შემდეგ გენერალი მურავიოვი სამხედრო მინისტრს პეტერბურგში მოახსენებდა: „ყარსში ძალიან ბევრია შაქარი, ეს საქონელი მოუმარაგებიათ კონტრაბანდისტებს. ამბობენ, ამ ნაწარმის უდიდესი ნაწილი გენ. ვილიამსმა შეისყიდაო"[2].

რუსეთის მთავარსარდლობა საგანგებოდ მართებულად სდებდა ბრალს გენ. ვილიამსს და მის თანამშრომლებს — ინგლისის ოფიცრობას — კონტრაბანდისტობაში, სპეკულაციაში, გამოძალვასა და სხვა ანგარებიან მოქმედებაში. „თავრიზსა და სხვა ქალაქებში, — წერდა გენერალ მურავიოვს რუსეთის კონსული სპარსეთიდან, — ძალიან დიდი რაოდენობით გაჩნდა ყალბი ნაბეღვარიმპერიალი. ამ ნაბეღვარიმპერიალის გახერხვისას შეგნით აღმოჩნდა თავისებური ლითონის ფირფიტა, რომელსაც შემოკრული აქვს ოქროს სიფრიფანა შრე... დამახასიათებელია, რომ თბილისიდან მიღებულ ფულებში მსგავსი ყალბი მონეტა არ გვხვდება, ასეთი მოდის თეირანიდან. ეს გარემოება, სუფთა ნაკეთობა და აგრეთვე მისი გამოჩენა ომის დროს, საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ იგი შემოაქვთ ინდოეთიდან და ინგლისელი ოსტატების ნახელოვნებიაო"[3].

თურქეთის მონათვაჭრებთან თანამეგობრობით ინგლისელი ვაჭარ-სპეკულანტებისა და ფულის გამყალბებელთა სამარცხვინო ლაშქრობის ისტორიას საქართველოსა და ამიერკავკასიაში პირუთვნელად მოგვითხრობს იმდროინდელი მრა-

---

[1] АКАК, т. XI, стр. 439.
[2] Тамже, стр. 594.
[3] АКАК т. XI, стр. 594—595.

ვალი დოკუმენტი. ამ დოკუმენტების მცირე ნაწილის გაცნობაც კი საკმაოდ ნათელს ჰფენს მტრის მორალური ავლა-დიდებას, მის სიმდაბლეს. „ომი მხოლოდ-ღა დაიწყო, — წერდა ერთი თანამედროვე, — და ინგლისელების „საგმირო საქმეები" უკვე აამაყარეებენ მათ მედუქნურ მისწრაფებებს. ფლოტი მიცურავს და მას უკან კარჭაპებით თან მისდევს ინგლისელი ვაჭარი. ინგლისელი ყველაფრით ვაჭრობს..., იმითაც კი, რაც მის მოწინააღმდეგეს ესაჭიროება. აქ უკვე აღარაა ლაპარაკი დიდების მო

ინგლისელი მტაცებლები თავიანთი ექსპანსიონისტური მისწრაფებების დროს საქართველოს ტერიტორიაზე, სტრატეგიულ ამოცანებთან ერთად, მთავარ ადგილზე კომერციის „მალალ" მოსაზრებებს აყენებდნენ. ამ მიმართულებით მათ განსაკუთრებული პერსპექტივები ეხახებოდათ. ლიერენს ოლიფანტი, ბრიტანელ კომერციოიაკორთა მესვეური, თავის დღიურებში საქართველოს შესახებ გულახდილად ოცნებობდა იმ „ახლო მომავალზე, როცა ინგლისელი ვაჭრები მოახერხებდნენ, ბოლოსდაბოლოს, რუსთა საკაჭრო მონოპოლიის ლიკვიდაციას და საქართველოს სანაპიროებზე შექმნიდნენ მალალ-მომგებიან ბაზარს ინგლისელი მრეწველებისა და კომერსანტებისათვის'.

შეუნელებელი მეტოქეობისა და ანტაგონიზმების მიუხედავად ინგლისისა და საფრანგეთის მმართველი წრეები XIX საუკუნის პირველ ნახევარში მაინც გამოდიოდნენ „შეერთებული" ძალებით „საერთო მტრის" — რუსეთის წინააღმდეგ. მათი „თანამშრომლობა" უფრო ინტენსიური გახდა გასული საუკუნის შუაწლებში.

ბალმერსტონის ცნობილ პროგრამას, რომელიც ითვალისწინებდა რუსეთის განდევნას ბალკანეთიდან, ყირიმის ნახევარკუნძულიდან და კავკასიის ყელიდან, საკუთარი იზიარებდა საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონ მესამე. საფრანგეთის ბურჟუაზიას ამავე დროს ამოძრავებდა კოლონიურ-დაპყრო-

---

ამწარებენს ინგლისის იმდროინდელი ბურჟუაზიის ფიზიოგნომიას, გვიჩვენებს კომერციისა და ინგლიზიანობაზე დამყარებული მორალის მთელ სისასტიკეს და ვულგარობას.

ბურჟუაზიული ინგლისის ისტორიაში ეს ის პერიოდი იყო, როდესაც დიდმა გერმანელმა პოეტმა, კრიტიკოსმა და პუბლიცისტმა ჰ. ჰაინემ მაღლერებისა და შანკირების მისამართით, გამგმირავი ასარი სტყორცნა: „ინგლისს დიდი ხანია ზღვა შთანთქავდა, რომ პირის ღებინებისა არ ეშინოდესო".

(ლედი ტომსონის წერილი ლონდონიდან კაპიტან ჰენრის ტომსონის სახელზე, რომელიც გენერალ ვილიამსის ადიუტანტად ითვლებოდა, ხელში ჩაუვარდა გენერალ ბაკლანოვის საპატიტო რაზმებს 1855 წლის 13 ნოემბერს ღამით. წერილი ინახება მოსკოვის ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში. საქმე № 33 — 493, ფურცელი 101 — 102).

[1] L. Olif hant, Jbid. p. 216.

ბითი ინტერესები ეგვიპტესა და სირიაში. ინგლის-საფრანგეთის საეკონომიური მისწრაფებები ორგანულად დაუწყვიმოდა და ეხლართებოდა სამხედრო-პოლიტიკურ ინტერესებს. ამ გარემოებამ განაპირობა ორი სახელმწიფოს დროებითი სამხედრო ბლოკის შექმნა ყირიმის ომის დროს.

დროებითი ბლოკი და თანამშრომლობა ოდნავადაც ვერ ჩრდილავდა იმ წინააღმდეგობებს, რომლებიც შინაგანად ღრღნიდა ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობას. ლონდონის მთავრობა მთელი თავისი ძალლონით განაგრძობდა საფრანგეთის ბურჟუაზიული პოზიციების შესუსტებას თურქეთსა და ეგვიპტეში, ხოლო საფრანგეთის დიპლომატია ყოველნაირად უთხრიდა ძირს ინგლისის პოლიტიკას მსოფლიოს ყველა კუთხეში.

ლუი ნაპოლეონი, რომელმაც 1851 წლის 2 დეკემბრის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, თავი მემკვიდრეობითი იმპერატორად გამოაცხადა, მშვენივრად გრძნობდა მისი ხელისუფლების უმყაოობას. თავისი მეფური გვირგვინის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის იგი, მარქსის მოხდენილი თქმით, მეტად „ძლიერსა და დამაჯერებელ არგუმენტს" საჭიროებდა, ანუ სხვა სიტყვებით რომ ითქვას, მეორე იმპერიის გოროზი მესაკე ხსნას, მისივე „დიდი ბიძის" მსგავსად, ძლევამოსილ ომებსა და მჭუხარე წარმატებებში ხედავდა. მას მხოლოდ ომებით და ავანტიურებით შეეძლო დაეკმაყოფილებინა ფრანგი ხალხისათვის მის მიერ სისხლით გათელილი რესპუბლიკის დაკარგვის სიმწარე და სასოწარკვეთილება. ახლად მოვლენილ ბონაპარტეს სერიოზულად სწამდა, რომ იგი მოწოდებულია ქვეყანას პირველი იმპერიის დიდება დაუბრუნოს, შემოიმტკიცოს კოლონიები, უზრუნველყოს საფრანგეთის განუხრელი ბატონობა ევროპის კონტინენტზე და თავისი სახელი უჭკნობი შარავანდედით შემოსოს. საერთოდ, ამ „ჯუჯა ნაპოლეონს" „დიდი ნაპოლეონის" დაფნის გვირგვინი მოსვენებას არ აძლევდა და ახალ-ახალი ავანტიურებისაკენ მიაქანებდა. „ნაპოლეონს ესაჭიროებოდა ომი, — წერდა ისტორიკოსი, — მას ესაჭიროებოდა იგი, რათა შეიქციოს საფრანგეთი და დააშინოს ევროპა. ეს თავშეუკავებელი

მოთამაშე არ ეკუთვნოდა იმ ადამიანთა რიცხვს, რომელნიც ეკან იხევენ მსგავსი ავანტიურისაგან"[1].

ალსანიშნავია, რომ საფრანგეთსა და რუსეთს შორის მოვარდნილ წინააღმდეგობასა და მტრობას რამდენადმე ამწყაევებდა აგრეთვე ამ ორი ქვეყნის მონარქთა ურთიერთშელილი და ანტიპათია. ცნობილია, რომ ნიკოლოზ პირველის ქედმაღლურ დამოკიდებულებასა და ცინიზმს მუდამ წონასწორობიდან გამოჰყავდა განდიდების მანიით შეპყრობილი „მონარქი-უზურპატორი".

ნიკოლოზ პირველი თავდაპირველად დარწმუნებული იყო, რომ მოსალოდნელ ომში მის ინტერესებს დაიცავდნენ პრუსიის მეფე და ავსტრიის იმპერატორი, რომელთაც მან 1848 — 1849 წლებში აბობოქრებული რევოლუციების ჩაქრობით ესოდენ „დიდი ამაგი" დასდო. რუსეთის იმპერატორის მოლოდინი არ გამართლდა. ავსტრიამ და პრუსიამ არა თუ უარი თქვეს ომში რუსეთის მეფის დახმარებაზე, მათ თავიანთი „უფროსი ძმისათვის" ხელსაყრელი ნეიტრალიტეტიც კი უარჰყვეს. ინგლისისა და საფრანგეთის მიერ რუსეთისათვის ომის გამოცხადების შემდეგ ავსტრიამ და პრუსიამ 1854 წლის 20 აპრილს ბერლინში ხელი მოაწერეს „საკავშირო" ხელშეკრულებას, რომლის მახვილიც, არსებითად, მიმართული იყო რუსეთის წინააღმდეგ. მალე, 1854 წლის 2 დეკემბერს, ავსტრიამ დასდო ოფიციალური ხელშეკრულება ინგლისთან და საფრანგეთთან კავშირის შესახებ.

ამრიგად, მეფის რუსეთის გარშემო რკალი შეიკრა. ვითარება ისე მოეწყო, რომ ევროპის უძლიერეს კოალიციასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში რუსეთს სრულიად განმარტოებულს მოუხდა შებმა.

ინგლისს, საფრანგეთსა და თურქეთს 1855 წლის იანვარში შეუერთდა სარდინიის სამეფოც, რომელმაც მოკავშირეების დასახმარებლად სევასტოპოლის ზღუდეებთან ლაშარმორის 15 ათასიანი კორპუსი გაგზავნა. სარდინიის პრემიერ-მინისტრი კავური ცდილობდა კოალიციაში თავისი მონაწი-

[1] А. Добидур, Дипломатическая история Европы, т. II, Москва, стр. 90.

ლეობის მიღებით მოეპოვებინა დიდ სახელმწიფოთა მხარდაჭერა იტალიის გაერთიანებისათვის ბრძოლაში, რომელიც ამ დროს მიმდინარეობდა სავოის დინასტიის ხელმძღვანელობით.

იმ გაიფთრებულ წინააღმდეგობასა და მეტოქეობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა დიდ სახელმწიფოებს შორის წინა აზიასა და ახლო აღმოსავლეთში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მთელი ამიერკავკასიისა და კერძოდ საქართველოსათვის. რუსეთის მოქიშპე ქვეყნების — ინგლისისა და საფრანგეთის, ირანისა და თურქეთის მმართველ წრეებს, მათ სტრატეგებს კარგად ესმოდათ საქართველოსა და მთელი კავკასიის მნიშვნელობა რუსეთისათვის. ამიტომ, ახლო აღმოსავლეთში თავიანთი ეკონომიური და პოლიტიკური გაელენის განმტკიცების მიზნით, მათ გადაწყვიტეს თავიანთი ოვრიშები და დარტყმები ამ „გადამწყვეტ უბანზე“ ეწარმოებინათ.

საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ ანტირუსული კოალიცია მტკიცედ იყო დარწმუნებული იმაში, რომ რუსეთთან ომში იგი ბრწყინვალე გამარჯვებებს მოიპოვებდა. ასეთი ყალბი წარმოდგენა დაფუძნებული იყო აგენტურის ცალმხრივ ცნობებზე, იმაზე, რომ თითქოს მთელი ქართველი ხალხი „მოუთმენლად მოელოდა თავიანთ ევროპელ კეთილისმყოფელთ“, თითქოს გარედან პირველი დარტყმისთანავე მთელი ქართველი ხალხი „ერთსულოვნად აღდგებოდა რუსეთის მმართველობის წინააღმდეგ და მხარში ამოუდგებოდა თავიანთ განმათავისუფლებელთ“. ომერ-ფაშას ამალაში მყოფი ინგლისელი ოლიფანტი, რომელიც თურქეთის მუშირის მთავარ მრჩეველადაც ითვლებოდა, თავისი კორესპონდენციებში იძულებული იყო აღენიშნა ქართველი მოსახლეობის „არასასურველი“ დამოკიდებულება თურქებთან. მაგრამ ამავე დროს იგი ცდილობდა თავისი თავი და სხვებიც დაერწმუნებინა იმაში, რომ აღგილობრივი ხალხი თითქოს „მოუთმენლად მოელის ინგლისელთა და ფრანგთა ძალების მოსვლას“[1].

---

[1] L. Olifant, Ibid., p. 146.

მისი მტკიცებით, ინგლისელმა დამპყრობლებმა თავიანთი სტრატეგიული ამოცანის გადასაწყვეტად მაქსიმალურად უნ[illegible] და გამოიყენოს თურქეთი, ხოლო გამარჯვების ნაყოფ[illegible] მთლიანად ინგლისელებმა უნდა ისარგებლონ. „ჩვენი საერთო გეგმის შესრულებისა და გამარჯვების შემდეგ", — ცინიკურად აცხადებდა ოლიფანტი, ინგლისს უკვე „ევრაფერი შეუშლის ხელს დაიკმაყოფილოს თავისი სურვილები, რადგან შეუძლებელია იმის წარმოდგენა, რომ თითქოს თურქეთი გაბედავდეს ჩვენს წინააღმდეგ ხმის ამოღებას" [1].

ევროპელი დამპყრობლები კარგად ხედავდნენ იმ სიძნელეებს, რომლებიც ამ პერიოდში რუსეთის წინაშე აღიმართა კავკასიაში. შამილის აქტიური მოქმედება მთელს ჩრდილო კავკასიაში და მაჰმად-ემინისა ჩერქეზეთში — ევროპელ აგრესორებს დასახული მიზნების წარმატებით დაგვირგვინების ილუზიებს უძლიერებდა. როგორც აღნიშნავდა თავის რელაციაში რუსი გენერალი, ევროპელი მოწინააღმდეგენი მიისწრაფოდნენ „აემხედრებინათ რუსების წინააღმდეგ მთის მოსახლეობა, აერ-დაერიათ და დაექსაქსათ რუსთა რეგულარული ჯარების მოქმედება, მოესპოთ მათთვის მანევრირების უნარი, წაერთმიათ თავიანთი ძალების გადაჯგუფებისა და თურქეთის სახღვრებთან ჯარების გადასროლის საშუალება" [2].

მაგრამ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების, ისევე, როგორც ირანისა და თურქეთის მმართველი წრეების, ვარაუდებმა საქართველოში და მთელს ამიერკავკასიაში სრული კრახი განიცადა. ირანისა და თურქეთის, როგორც მათი დასავლეთელი „მეგობრების", მუხანათური ზრახვები ზიზღით უკუაგდო როგორც ქართველმა ისე ამიერკავკასიის ყველა ხალხმა. არ გამართლდა მტრის ვარაუდი და იმედები ადგილობრივი რეაქციული ფეოდალებისადმი. ისინი გარიყული აღმოჩნდნენ ხალხთა მასებისაგან.

---

[1] L. Olifant ibid.
[2] ЦГВИАМ, Ф. ВУА, д. 59—53, л. 30.

საქართველოს და მთელი ამიერკავკასიის მოსახლეობა კიდევ უფრო მტკიცედ დაირაზმა დიდი რუსი ხალხის გარშემო. მოძმე ხალხების მჭიდრო კავშირმა და მეგობრობამ ნიადაგი შეუქმნა მტრების ძირგამომთხრელ პროპაგანდას, დაამსხვრია მათი იერიშები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი მეორე

საქართველო ყირიმის ომის პერიოდში

საქართველოს რუსეთთან შეერთება, რაც XIX საუკუნის დამდეგს განხორციელდა, წარმოადგენდა უდიდეს მოვლენას ქართველი ხალხის ცხოვრებაში, მკვეთრ მობრუნებას ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. მაშინდელი საქართველოსათვის, რომელიც ისტორიული ავბედობის შედეგად დალუპვის პირას იდგა, ერთმორწმუნე რუსეთთან შეერთების გარდა სხვა გზა არ არსებობდა. წვრილ სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებულ ფეოდალურ-ბატონყმურ ქვეყანას, 'რომელიც უცხოელთა თავდასხმებისა და ფეოდალური შინა ომების წყალობით განადგურებამდე მივიდა, დამოუკიდებლობის ნაშთების გარდუვალი დაკარგვა მოელოდა. XVIII საუკუნის დასასრულს საქართველო მძიმე ეკონომიურ და სოციალ-პოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა. მას არ გააჩნდა უნარი საკუთარი შინაგანი ძალებით დაეძლია ეს კრიზისი, უკუეგდო მოზღვავებული გარეშე მტრების დაწოლა, უზრუნველეყო თავისი არსებობა. ქვეყანას სულთანის თურქეთის ან შაჰის სპარსეთის მხრივ სრული შთანთქმა ემუქრებოდა. აი რატომ აღმოჩნდა ქართველი ხალხის ისტორიული გადაწყვეტილება, განხორციელებული ერეკლე მეორის შორსმჭვრეტელი პოლიტიკით, ერთადერთი სწორი და დროული. რუსეთთან საქართველოს შეერთება წარმოადგენდა ამ ქვეყნებისა და მთელი ამიერკავკასიის მოძმე ხალხების ისტორიული განვითარების კანონზომიერსა და აუცილებელ შედეგს, ეს აქტი

ისტორიულად გარდუვალი მოვლენა იყო. იგი სავსებით უპასუხებდა საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებს. ამიტომ მან სრული მოწონება და მხარდაჭერა ჰპოვა ქართველი ხალხის ფართო მოსახლეობის მხრივ. მიუხედავად იმ დროინდელი რუსეთის თვითმპყრობელურ-შემამჭულური რეაქციული რეჟიმის კოლონიური პოლიტიკისა, რუსეთთან საქართველოს შეერთებას უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის შემდგომი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული განვითარებისათვის. რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართველი ხალხის ბედი სამუდამოდ დაუკავშირდა დიდი რუსი ხალხის ბედს.

დიდმა რუსეთმა იხსნა ქართველი ხალხი ფიზიკური განადგურებისაგან, გადაარჩინა ქვეყანა უცხოელ დამპყრობთა მიერ მიტაცებისაგან, რითაც შეიქმნა აუცილებელი წანამძღვრები საქართველოს მშვიდობიანი არსებობისა და განვითარებისათვის.

რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში გაერთიანებით, სამუდამოდ გაქრა საქართველოს დანაწევრებისა და დამონების საფრთხე ისეთი ჩამორჩენილი აზიური სახელმწიფოების მხრივ, როგორიც იყვნენ ირანი და თურქეთი. საქართველო თითქმის ალდგენილ იქნა თავის ისტორიულ საზღვრებში. მიიღო რა ამიერკავკასიის გასწვრივ ფრიად ხელსაყრელი სტრატეგიული საზღვრები, რუსეთმა უზრუნველყო საქართველოს ტერიტორიის დაცვა გარეშე მტრების შემოსვრისაგან.

ამიერიდან ზღვარი დაედო ფეოდალთა ურთიერთ ქიშპობასა და შინაბრძოლებს. „მეტროპოლიის ყაიდის" რუსული ცენტრალიზებული მმართველობის დამკვიდრებით, საქართველოში ბოლო ეღებოდა შუასაუკუნეობრივი პარტიკულარიზმს, ქვეყნის ეკონომიურსა და პოლიტიკურ დანაწევრებას. ყოველივე ამან ერთგვარად საფუძველი შეუყარა ბატონყმურ სისტემას. კაპიტალისტური განვითარების გზაზე მდგომი რუსეთის პოლიტიკურ-ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ორბიტში მოქცევის შედეგად მნიშვნელოვანი გარდატეხა დაიწყო საქართველოს სახალხო მეურნეო-

ბის განვითარებაში. მიუხედავად უაღრესად ძნელი, [illegible] და თავისებური პირობებისა ქართველ ხალხს მიეცა [illegible] შესაძლებლობა ხორცი შეესხა თავისი ეროვნული იდეალ-ძიებების პოტენციური საწყისებისათვის.

რუსეთთან შეერთება საქართველოსათვის იყო ერთადერთი შესაძლო გზა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებისა და ეროვნული კულტურის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის. ამიერიდან ქართველი ხალხის კულტურა, რუსეთის მოწინავე საზოგადოებრივი აზრისა და კულტურის ცხოველმყოფელი ზეგავლენით, იწყებს ზრდასა და განვითარებას. თავის მხრივ ქართველი ხალხის კულტურა, მისი მძლავრი სულიერი ნაკადი ღირსშესანიშნავ კვალს ტოვებდა რუსი მწერლების, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეთა შემოქმედებითს სამყაროზე. მტკიცდებოდა ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული თანამეგობრობა რუს და ქართველ ხალხებს შორის.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შედეგად რუსული მოწინავე აზრისა და რუსული კულტურის საუნჯენი ქართველი ხალხის კუთვნილებაც გახდა. პუშკინი, გრიბოედოვი, ლერმონტოვი, ტოლსტოი გადაიქცნენ ქართველი ხალხის მშობლიურ, უსაყვარლეს პოეტებად და მწერლებად; რადიშჩევი, დეკაბრისტები, ბელინსკი, პეტრაშეველები, გერცენი— იდეურად ასულდგმულებდნენ ქართველი საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლებს.

ქართველი ხალხის მოწინავე შვილები მხურვალედ მიესალმნენ ამ უდიდეს მობრუნებას თავისი სამშობლოს ისტორიაში. სახელგანთქმული ქართველი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი, იწინებდა ერეკლე II-ის ფხიზელ და შორსმჭვრეტელ პოლიტიკას თავის პოემაში — „ბედი ქართლისა", ხოლო ლექსში — „საფლავი მეფის ირაკლისა", კიდევ უფრო მკაფიოდ ალნიშნავდა საქართველოს რუსეთთან შეერთების პროგრესულობას, რუსი და ქართველი ხალხების ძმური დაახლოების ყველაზე ცოცხალ შედეგებს. პოეტი უდიდესი მოკრძალებითა და პატივისცემით მიმართავს დიდ ქართველ მოღვაწეს, მეფესა და მხედართმთავარს:

„აჰა, აღსრულდა ხელმწიფური აწ ახრი შენი,
და ვსჭამთ, ნაყოფსა, მისგან ტაბილსა აწ შენნი ძენი.

. . . . . .

სადაც აქამდინ ხმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი,
მუნ საშშვიდობო მოქალაქის ბართავს აწ ხელი"[1].

თავის სტატიაში „ასი წლის წინად", რომელიც ი. ჭავჭავაძემ რუსთა ჯარის თბილისში შემოსვლის ასი წლისთავს უძღვნა, ღრმა ანალიზის საფუძველზე დაასაბუთა რუსეთთან საქართველოს შეერთების ისტორიული გარდუვალობა და პროგრესულობა. ამ ისტორიულ აქტს, რომელმაც იხსნა საქართველო აზიის ბარბაროსების მიერ წალეკვისაგან, ი. ჭავჭავაძე ერთადერთ სწორსა და სამართლიან აქტს უწოდებს. იგი თვლის, რომ მეფე ერეკლეს მიერ გადადგმული შორსმჭვრეტელური ნაბიჯი წარმოადგენს იმ წინაპართა ოცნების განხორციელებას, რომლებიც ჯერ კიდევ მრავალი საუკუნის წინათ ცდილობდნენ დიდ რუს ხალხთან დაახლოებას და მისგან აქტიური დახმარების მიღებას. ი. ჭავჭავაძის აზრით, რუსეთთან შეერთებამ საქართველო და ქართველი ხალხი იხსნა გარეშე მტრების დაუსრულებელი თავდასხმებისაგან, შეუქმნა მას მშვიდობიანი ცხოვრებისა და შემოქმედებითი შრომის პირობები, თავისი მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარების შესაძლებლობა. „ამ ღირსშესანიშნავი დღიდან, — წერდა ი. ჭავჭავაძე, — საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა, შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდდა დიდის ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და ოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან, დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლშვილზე, გაქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო სამინელ და შემაძრწუნებელ სახსოვარადღა დაგვრჩა. დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარი

[1] ნ. ბარათაშვილი, თხზ., სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1945, გვ. 36.

ცხოვრებისა.... დაიდვა საზღვარი მშვიდობის მყოფელ ცხოვრებისა"[1].

რუსეთთან შეერთების უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა მოძმე სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხებისათვისაც. რუსეთთან შეერთებამ მათ შესაძლებლობა მისცა თავი დაეღწიათ უცხოელთა თავდასხმებისაგან, გადაარჩინა ისინი თურქეთისა და სპარსეთის მონობისაგან, შეუქმნა პირობები ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის. რუსეთთან შეერთების შედეგად კავკასიისა და ამიერკავკასიის ხალხებმა, ისევე როგორც სხვა ხალხებმა, მიიღეს შესაძლებლობა მჭიდროდ დაახლოებოდნენ დიდ რუს ხალხს, უწინარეს ყოვლისა, ქვეყნის მოწინავე ძალებს და პროლეტარიატს, ამას კი უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა ყველა ამ ხალხისთვის.

აღვნიშნავთ რა ამ უდიდეს კმაყოფილებას, რომლითაც ქართველი ხალხი შეეგება რუსეთთან მჭიდროდ დაახლოებასა და მასთან შეერთებას, შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ქვეყნის ცხოვრებაში ამ ისტორიული შემობრუნებისადმი თითქოს თანაბარი დამოკიდებულება გამოეჩინა ქართველი საზოგადოების ყველა ფენას, ყველა წოდებას. რუსეთთან შეერთების საკითხში სრულიად განსხვავებულ პოზიციებზე იდგნენ, ერთი მხრით, ქართველი თავადაზნაურობა და კერძოდ მაღალი არისტოკრატია, მეორე მხრით, პროლეტარული გლეხობა. ქართველი ფეოდალების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც თავისი მატერიალური და უფლებრივი პრივილეგიების მოსალოდნელი გაუარესების დაუფარავი შიში ამოძრავებდა, აქტიურად გამოხატავდა თავის უკმაყოფილებას რუსეთთან შეერთების გამო. იგი იმთავითვე შეუდგა სათანადო თადარიგს, რათა შეენარჩუნებინა ძველი პრივილეგიები, აღედგინა ბაგრატიონთა დინასტიის ტრადიციული მმართველობა. ქართველი უმაღლესი არისტოკრატიის ნაშიერი—ალექსანდრე ბატონიშვილი—ადრევე ჩაება ანტირუსულ საქმიანობაში, იგი აქტიურად მონაწილეობდა ხან ირა-

[1] ი. ჭავჭავაძე. თხზ., ტ. II, გვ. 498, 1941.

ნისა თუ თურქეთის, ხან საფრანგეთისა და ინგლისის, მიერ მოწყობილ ავანტიურებში, უცხოეთის აგენტებთან ერთად ეწეოდა პოლიტიკურ ინტრიგებს თავისი საშშობლოს და რუსეთის წინააღმდეგ.

ამავე დროს ქართველი საზოგადოების პროგრესული ნაწილი — მშრომელი მასები, რუსეთთან შეერთებით მოელოდა თავისი ბეჩავი ცხოვრების შემსუბუქებას, ქვეყანაში განუწყვეტელი არეულობისა და კინკლაობის ლიკვიდაციას, წესრიგის დამყარებას. მათ იმედი ჰქონდათ, რომ რუსეთის მტკიცე ძალაუფლება და მისი უძლეველი ჯარი დაიცავდა მათ ოჯახებს და ცოლშვილს გარეშე მტრების განუწყვეტელი თავდასხმებისაგან, რომ შეიქმნებოდა ხელსაყრელი პირობები მშვიდობიანი ცხოვრებისა და სამეურნეო საქმიანობისათვის. ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ რუსეთზე გულაყრილი მემამულეებისა და ბატონიშვილების ძირგამომთხრელმა ინტრიგებმა ვერ პოვეს თანაგრძნობა ხალხთა მასებში. ემიგრანტი ბატონიშვილების მიმართ ქართველი ხალხის მძულვარებას მოწმობს ალექსანდრე ბაგრატიონის 1815 წ. 22 აპრილის წერილი ქიზიყელებისადმი. ნაპოლეონ ბონაპარტეს ელბიდან დაბრუნებით და მისი დახმარების მოლოდინით წათამაშებული ბატონიშვილი სასტიკად კიცხავს ქართველ ხალხს, უყიჟინებს მათ ორგულობას, უსაყვედურებს რუსებისადმი ერთგულებას. იგი მოუწოდებს ქართველებს დაემორჩილონ მას, მიბაძონ „დაღესტნელთა მაგალითს", მაგრამ ვინც ასე არ მოიქცევა, მათ „სასტიკათ დასჯით" ემუქრება. „დაღესტნელები, — წერს იგი, — მზად არიან საქმით გვიჩვენონ ერთგულება და ჩვენთან ერთად მზად არიან წამოვიდნენ სალაშქროდ საქართველოზე"[1]. მაგრამ ბატონიშვილის ვერავითარმა მუდარამ და მუქარამ ვერ გაქრა ქართველ ხალხზე. ქართველობამ ზიზღით შეაქცია ზურგი რუსეთთან საქართველოს შეერთების ყველა მოწინააღმდეგეს.

შეცდომა იქნებოდა გვემტკიცებინა, თითქოს მეფის

[1] АКАК, ტ. V, გვ. 377.

თვითმპყრობელობას და მის დამჭაშებს საქართველოსა ამიერკავკასიის მიმართ კეთილმეგობრული და მეგობრული ზრახვები ამოძრავებდათ. ცარიზმის მკაცრი სოციალ-პოლიტიკური რეჟიმი და ნაციონალ-კოლონიური ჩაგვრის პოლიტიკა, მძიმე ტვირთად დააწვა, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს მშრომელ-მოსახლეობას. ყოველმხრივ იმადლიერებდნენ რა ქართველ თავადებსა და აზნაურებს, თვითმპყრობელობის სატრაპები, მხეცურად უსწორდებოდნენ მშრომელებს. მეფის ხელისუფლება სრულიადაც არ ფიქრობდა ქვეყანაში არსებული ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის შეცვლას. პირიქით, მისი ხელშემწყობით ფეოდალური ექსპლოატაცია და მემამულეების მხრივ ყმა გლეხობის შეიწროება კიდევ უფრო გაძლიერდა. მეფის მოხელეები აბუჩად იგდებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, უხეშად თელავდნენ მის ეროვნულ კულტურასა და ტრადიციებს. დიდპყრობელური მართვა-გამგეობის პოლიტიკური მეთოდები, უღირსი ბიუროკრატი მოხელეების აღვირახსნილობა, უდიერი და უკანონო მოპყრობა მკვიდრი მოსახლეობის მიმართ, განუწყვეტელი ბოროტმოქმედებანი და დანაშაულებანი, ცხადია, ხელს უშლიდა მოსახლეობის დაახლოებას ახალ ხელისუფლებასთან. ყმა გლეხების გაძლიერებული და შეუბრალებელი ექსპლოატაცია აღიზიანებდა მოწინავე ქართველობას, იწვევდა მათ შორის საწინააღმდეგო რეაქციას, მშრომელი მასების პროტესტებს.

მებატონეების თვითნებობისა და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართულმა გლეხთა მასების გამოსვლებმა, მეფის მთავრობა აიძულა დროდადრო გაეტარებინა საქართველოში ზოგიერთი ღონისძიება, რომელიც რამდენადმე ზღუდავდა მოხელეების უსაზღვრო თავგასულობას, რამდენადმე „აწესრიგებდა" და არბილებდა მემამულეებისა და ყმა-გლეხების ურთიერთ დამოკიდებულებას. ასე მაგალითად, აკრძალულ იქნა ყმა-გლეხებით ვაჭრობა, რომელიც ქართველ მემამულეთა შორის ფართოდ იყო გავრცელებული; გაუქმდა მოურავობა; სასამართლო ორგანოებმა იწყეს „თავისუფლების მაძიებელი" ყმა-გლეხების საჩივრების განხილვა.

განსაკუთრებულ შემთხვევაში ყმა-გლეხებს ნება ეძლეოდათ გამოესყიდათ თავიანთი თავი გაკოტრების გზაზე მყოფი მებატონისაგან და სხვა. ეს ღონისძიებანი უკეთეს შემთხვევაში გულისხმობდნენ მცირეოდენ დათმობასა და პირობით კომპრომისს მოსახლეობის მიმართ და უნდა ითქვას, რომ, ეს სრულიად უმნიშვნელო ღონისძიებანიც კი საკმაო აღმოჩნდა იმისათვის, რათა გაჩენილიყო რაღაც „ფრონდას" ტენდენციების მაგვარი ქართველ დიდგვაროვან მემამულეთა შორის. თავადაზნაურობა მეფის მთავრობის ასეთი უმნიშვნელო რეფორმებსაც კი მტრულად შეხვდა.

მაგრამ გარდა რეაქციული და კონსერვატული თავადაზნაურობისა საქართველოში იყვნენ შორსმჭვრეტელი და პროგრესული ეროვნული ძალები, რომელნიც ცხოვრებას უფრო რეალური თვალებით უცქეროდნენ. ამ პროგრესულ ქართველობას შეუძლებელია არ დაენახა, არ ეგრძნო ორი რუსეთის არსებობის ფაქტი, მათ შორის არსებული განსხვავება და წინააღმდეგობა. ქვეყნის მოწინავე ძალები, კიცხავდნენ მემამულე-მებატონეთა რუსეთს, მეფის სატრაპთა რუსეთს, რომელიც უკან წევდა ქვეყანას, ყინავდა საზოგადოების წინსვლას. ისინი მიესალმებოდნენ მოწინავე რუსეთს, დემოკრატიულ ძალთა და მშრომელი ხალხის რუსეთს, რომელსაც თვალები დიდებული მერმისისაკენ მიეპყრო და საზოგადოებას ზედნიერი მომავლისაკენ მიეჭანებდა.

რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული განვითარება თავისებური გზით წარიმართა. სწრაფი ტემპით ხდებოდა კლასობრივ ძალთა გადაჯგუფება, იცვლებოდა ქვეყნის სამხედრო და სამოქალაქო-ადმინისტრაციული მმართველობა. ამის შესაბამისად იცვლებოდა საზოგადოების ცალკეული ფენების, წოდებების, კლასების თანაფარდობა ქვეყნის შიგნით, ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება რუსეთის ხელისუფლებასთან.

მმართველობის ისტორია საქართველოში XIX საუკუნეში შეიძლებოდა დაგვეყო გარკვეულ პერიოდებად. პირველი

პერიოდი მოიცავს დაახლოებით ოთხ ათეულ წელს. ეს პერიოდი ხასიათდება განსაკუთრებით იმით, რომ ქვეყნის მმართველობის ყველა ბერკეტი ამ დროს ძირითადად თავმოყრილია რუსეთის სამხედრო ხელისუფლებისა და უწყებების ხელში. მთელი ძალაუფლება და სამოქალაქო ცხოვრება ამ პერიოდში ფაქტიურად სამხედრო კანონებზე, სამხედრო-ადმინისტრაციულ რეჟიმზე იყო მორგებული. მეორე პერიოდი, რომელიც XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან იწყება და გრძელდება 60-იან წლებამდე, ხასიათდებოდა იმით, რომ ამ დროს იწყება და ძირითადად მთავრდება კიდეც საქართველოსა და ამიერკავკასიაში სამოქალაქო წესებისა და სამოქალაქო მმართველობის შემოღება, მისი გავრცელება. სამოქალაქო მმართველობის ორგანოები და სამოქალაქო მოხელეები ამ პერიოდში ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეს ეუფლებიან და თავს სრულ უფლებამოსილად გრძნობენ.

სამხედრო წესებისა და სამხედრო დიქტატურის, ხიშტისა და მათრახის მკაცრი რეჟიმი ქვეყანაში მძეინვარებდა XIX საუკუნის თითქმის მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში, თუმცა რუსეთ-თურქეთის 1828—1829 წლების ომის დამთავრების შემდეგ ცარიზმი ცდილობდა მმართველობის სამხედრო სისტემის შეცვლას სამოქალაქო მმართველობის სისტემით. ამ ცდებს არსებითი ხასიათის შედეგი არ მოჰყოლია.

მეფის მოხელეები და სატრაპები, უხეშად თრგუნავდნენ, ფეხით თელავდნენ მკვიდრი მოსახლეობის ადათებსა და ტრადიციებს, მიისწრაფოდნენ დაენერგათ ქვეყანაში სამოქალაქო მმართველობის ახალი წესები იმპერიის ოლქების „მისაბაძი ნიმუშის მსგავსად". მაგრამ ცხადი იყო, რომ კოლონიური ბატონობის განმტკიცებისათვის ცარიზმს საქართველოში უნდა ეძია მტკიცე სოციალური დასაყრდენი. ამით უნდა აიხსნას მეფის ხელისუფლების „მათრახისა და ტყვილი კვერის" თავისებური პოლიტიკა, მისი მისწრაფება დიდმპყრობლურ-კოლონიური ჩაგვრა მოქნილად, მაგრამ მჭიდროდ დაეკავშირებინა თავადაზნაურულ-ბატონყმური უფლე-

ზების განმტკიცებასთან. მეფის ხელისუფლება გაურბოდა საქართველოში არსებული სოციალური ურთიერთობის ძირეულ რღვევას, მას არ სურდა შეეტანა რაიმე არსებითი ცვლილება ფეოდალებსა და ყმა გლეხებს შორის არსებულ ურთიერთობაში.

წაართვა რა პოლიტიკური ძალაუფლება ადგილობრივ ფეოდალების მაღალ ფენას — სამეფო საგვარეულოს და მსხვილ ქართველ არისტოკრატიას, ცარიზმი ამავე დროს ცდილობდა არ შეხებოდა ქართველი თავადაზნაურობის სხვა პრივილეგიებს. პირიქით, იგი აქტიურად უჭერდა მხარს მის დაცვას, მთელ ძალღონეს ახმარდა მის შენარჩუნებასა და განმტკიცებას. ასე მაგალითად, ადგილობრივი თავადაზნაურობა მოზიდულ იქნა სამხედრო და სამოქალაქო სამსახურში; ფართოდ დაინერგა მათი შვილების განწესება ახლად გახსნილ სასწავლებლებში (თავადაზნაურთათვის პირველი კეთილშობილთა სასწავლებელი თბილისში გაიხსნა 1802 წელს); ქართველ თავადაზნაურობას მრავალი პრივილეგია მიენიჭა, მათ აძლევდნენ ჩინებსა და ჯილდოებს. მაგრამ, ამასთან ერთად, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „ადგილობრივ ელემენტთა" მმართველობის აპარატში შეყვანა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა: ეს ახლად „გამომცხვარი" ადგილობრივი მოხელეები არსებითად არ სარგებლობდნენ რეალური უფლებებით. ისინი ფაქტიურად არავითარ როლს არ თამაშობდნენ მმართველობის აპარატში, რუსული ენის უცოდინარობის გამო.

აქედან გასაგები ხდება ქართველი მსხვილი რეაქციული არისტოკრატიის უკმაყოფილება. თავიანთი პოლიტიკური პრივილეგიების დაკარგვით შეშფოთებულნი, ამ ფეოდალური არისტოკრატიის ცალკეული წარმომადგენლები უკავშირდებოდნენ გარეშე სახელმწიფოების აგენტურას, მათთან ერთად ეწეოდნენ ძირგამომთხრელ მუშაობას, რათა ჩამოეშორებინათ საქართველო რუსეთისაგან, აღედგინათ ფეოდალური სამეფო, უზრუნველეყოთ თავიანთი ყმაგლეხების განუკითხავი ჩაგვრისა და ექსპლოატაციის უფლებანი. ქვე-

ყანაში მწიფდებოდა ფეოდალურ-მონარქიული შეთქმულება რუსეთის ადგილობრივ ხელისუფალთა წინააღმდეგ.

ქართველი გლეხობა თავიდანვე ორმაგი ჩაგვრის ქვეშ აღმოჩნდა. უმკაცრესი პოლიციური ტერორი და ბიუროკრატიზმი, ხელისუფალთა სრული თვითნებობა და თავგასულობა, მოხელეებს შორის გავრცელებული მექრთამეობა და სხვა ბოროტმოქმედებანი შეერთებული იყო ადგილობრივ თავადაზნაურთა თავაშვებულობასთან, ექსპლოატაციასთან. აუტანელი ჩაგვრა და წამება, რომელიც საქართველოს მშრომელებს დაატყდა თავს, აღაშფოთებდა მათ, იწვევდა მათ სასტიკ პროტესტს, მწიფდებოდა საერთო სახალხო ქარიშხალი მჩაგვრელების წინააღმდეგ.

სოციალური და ეროვნული ჩაგვრის მძიმე უღელი იწვევდა საქართველოს მშრომელი მასების გააფთრებას საკუთარი მჩაგვრელების—ადგილობრივი მემამულეებისა და მეფის მოხელეების წინააღმდეგ. მეფის მთავრობა ქართველი თავადაზნაურობის დახმარებით სასტიკად ახშობდა მასების გამოსვლებს. ხალხის გამოსვლები მაინც არ წყდებოდა. ერთი და იგივე მიზეზები ერთსა და იმავე შედეგს ბადებდა. შეუწყვეტელ ჩაგვრასა და ტანჯვა-წამებას ხალხიც შეუწყვეტელი ბრძოლით უპასუხებდა. გლეხთა სტიქიური აჯანყებანი პერიოდულად იფეთქებდა ქვეყნის ხან ერთ, ხან მეორე კუთხეში.

მთავარმმართველის პოსტზე ახლად დანიშნული თავადი ციციანოვი საქართველოს ყოფილ მმართველს კოვალენსკის „უსაყვედურებდა": „თქვენ შეურაცხყავით ისინი (ქართველები) თქვენივე მოქმედებით და იმ ზომამდე შეაძულეთ მმართველობა, რომ მე ვნახე რუსული მმართველობის წინააღმდეგ აზრების საშინელი მერყეობაო"[1]. ამან, ცხადია, ხელი არ შეუშალა თავად ციციანოვს თვითონაც ეჩვენებინა ნიმუში თავისი ყურმოჭრილი სამსახურისა სამხედრო-ფეოდალური რეჟიმისადმი, ყოფილიყო მეფის თვითმპყრობელო-

[1] АКАК, т, 11. стр. 20.

ბის უერთგულესი დამჭაში საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

მარკიზ პაულუჩი თავის 1812 წლის 26 მარტის „ქვემდებარდომილეს-მოხსენებაში, კახეთის გლეხთა აჯანყებას ჰეშმარიტ „რევოლუციას“ უწოდებს და ცდილობს „ობიექტურად“ გამოარკვიოს მისი გამომწვევი მიზეზები. ყურადღების ღირსია პაულუჩის დასკვნები „მოხელეების მიერ ჩადენილი ათასობით სისაძაგლეების“ შესახებ, რომლებსაც „ისინი აკეთებენ ხალხის საზიანოდ და ხაზინის გასანადგურებლად“. ადგილზე მომუშავე მოხელეების დანაშაულებრივი ქმედებანი გამოიხატებოდა მათ უზნეო საქციელში, ფართოდ გავრცელებულ მექრთამეობასა და ბიუროკრატიზმში. მეორე მხრით, პაულუჩს კახეთის „რევოლუციის“ ერთ-ერთი გამომწვევ მიზეზად მიაჩნია „ადგილობრივი თავად-აზნაურთა უკმაყოფილება, რომლებმაც აქ რუსეთის მთავრობის შექმნისა და, განსაკუთრებით, ხაზინისათვის საეკლესიო მამულების გადაცემის წყალობით თავიანთი უფლებების დიდი ნაწილი დაკარგესო“ [1].

უნდა აღინიშნოს, რომ ქართული უმაღლესი არისტოკრატიის პოზიცია ერთგვაროვანი არ ყოფილა: მისი ერთი ნაწილი ცარიზმის ერთგულ მსახურად იქცა, ხოლო მეორე ნაწილი ჯერ კიდევ განაგრძობდა მეფის რეჟიმისადმი შეურიგებელ, მტრულ პოზიციაზე დარჩენას. პოლიტიკურ ასპარეზიდან ჩამოცილებული ქართველი თავადაზნაურობის ზედა ფენა, დიდხანს განაგრძობდა საქართველოს სამეფო ტახტისა და თავისი დაკარგული უფლებების აღდგენაზე ოცნებას. ამიტომ ის ხშირად მოქმედებდა რუსეთის ხელისუფლების საწინააღმდეგოდ.

ალექსანდრე ბატონიშვილი თავის ძმებთან ერთად იყო ყოველგვარი ანტირუსული მაქინაციებისა და ინტრიგების სულისჩამდგმელი. ივი შეიდრო კავშირში იმყოფებოდა ქვეყნის გარეშე ძალებთან და აქტიურად ეწეოდა ძირგამომთხრელ მოქმედებას რუსული მმართველობის წინააღმდეგ საქარ-

[1] АКАК, т. V, стр. 81.

თველოში. ცნობილია, რომ დაეით ბატონიშვილი ხატზე შეჩ-
ვენებითა და ტეროორით ემუქრებოდა გარსევან ჭავჭავაძეს
იმისათვის, რომ მან 1783 წელს ხელი მოაწერა გეორგიევს-
კის ტრაქტატს. რუსეთთან შეერთებით უკმაყოფილო ქართ-
ველი ფეოდალები საშინლად ლანძღავდნენ და წყევლიდნენ
მეფის ელჩს, მას მოდალატეს და საშშობლოს უნამუსო გამ-
ყიდველს უწოდებდნენ[1].

თავადი ორბელიანი გარსევან ჭავჭავაძეს გარეწარად და
„რუსეთის აგენტად თვლიდა საქართველოს დამონების საქმე-
ში“[2], ალსანიშნავია, რომ მიხეილ ვორონცოვის მეფისნაცვ-
ლობის წლებშიც კი ბევრი თავადი ჯიუტად განაგრძობდა
ანტირუსულ პლატფორმაზე დგომას.

ქართველი არისტოკრატიის იდეურ-პოლიტიკური სიჭრ-
ელე და სხვადასხვაობა შეიმჩნეოდა საქართველოს რუსეთთან
შეერთების პირველი დღეებიდანვე. გენერალი ენორინგი,
რომელიც ალექსანდრე I-მა საქართველოში გამოგზავნა
„მოსახლეობის რუსეთის ქვეშევრდომად შესვლის ნამდვილი
სურვილის შესახებ ადგილზე ცნობების შესაგროვებლად“,
თავის 1801 წლის 28 ივლისის უქვეშევრდომილეს პატაკში
წერდა: „მე ვერ გავბედავ ვამტკიცო, რომ იმპერიასთან სა-
ქართველოს შეერთებას ყველა უმაღლესი წოდების ადამია-
ნი ან წინათ, ან ახლა გულგრილად უყურებდეს. ქართველ
თავადაზნაურობაში ნახევარი მაინც აღმოჩნდება თავისი
მეფისა და მმართველობის ძველი წესის მოსურნე. მათ
სურთ შეინარჩუნონ მემკვიდრეობითი უფლებანი, მიიღონ
პატივი და დიდება და მათთან დაკავშირებული შემოსავალი;
ესენი, ერთის მხრივ, მოტყუებულნი ბატონიშვილების მიერ
ხალო, მეორე მხრივ, საეჭვო ცვლილებებით დამფრთხალ-

---

1 მასალები საქართველოს ისტორიისათვის, ნაკვეთი II, თბილისი, 1937, გვ. 27.

2 იქვე. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი, წერაქეთხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდი, № 1656 — 1662.

ნი, საქართველოში ჩემი ყოფნის დროს თავიანთ ბილეგებს მდუმარედ ინახავდნენ"[1].

ამრიგად, ფეოდალური არისტოკრატიის თვალსაჩინო ნაწილი საქართველოში მეფის რუსეთის მმართველობის დამყარების დროიდან ოფიციალური ხელისუფლების საწინააღმდეგო ბანაკში აღმოჩნდა. მისდევდა რა თავის ვიწრო წოდებრივ მიზნებს, ქართველი თავადაზნაურობა, ეწინააღმდეგებოდა ყოველისა, ცდილობდა აღედგინა საქართველოს სამეფო ტახტი და დაებრუნებინა თავისი დაკარგული პოლიტიკური უფლებები და პრივილეგიები. ქართველ ფეოდალთა ეს ჯგუფი ათეული წლების მანძილზე აქტიურად მოქმედებდა რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ. ბევრი მათგანიც კი, რომლებიც წინათ ე. წ. „რუსულ პარტიას" ეკუთვნოდა, ახლა მკვეთრად შებრუნდა რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ. ჯერ კიდევ გარსევან ჭავჭავაძე თავისი ელჩობის დროს აღნიშნავდა ეგრეთწოდებულ ძველი, რუსოფილურად განწყობილი თავადაზნაურული წრეების გარკვეულ მობრუნებაზე[2] და გულგატეხილობას.

„საერთოდ, ყველა თავადი ჩოლოყაშვილები მონაწილეობდნენ ამბოხებაში და ამიტომ, ისინი მის იმპერატორობითი უდიდებულესობის ერთგულებაში არ არიან საეჭვონი", — აუწყებდა მარკიზ პაულუჩი პოლიკის მინისტრს 1812 წლის 3 აპრილს[3]. იმავე პაულუჩის უქვეშევრდომილეს პატაკში ნათქვამი იყო აგრეთვე, „ადგილობრივი თავადაზნაურობის საერთო უკმაყოფილების შესახებ, რომლებმაც აქ რუსული მმართველობის შექმნით... დაკარგეს თავიანთი უფლებების მეტი ნაწილი"[4]. 1812 წ. კახეთის აჯანყების დროს ბევრი ადგილობრივი თავადი, მათ შორის რაფიელ ერისთავი, ივანე ჯორჯაძე და სხვ., ჩაბმული იყო საერთო სახალხო მოძრაობაში და მეფის ჯარებთან „ბრძოლას" ეწეოდა[5].

---

[1] АКАК, т. X, стр. 30—31.
[2] тамже, т. II, стр. 363.
[3] тамже, т. VII, стр. 107.
[4] тамже, т. V, стр. 81.
[5] тамже, т. V, стр. 84—85.

ფრიად რთული სიტუაციის შედეგად რუსეთის თვითმპყრობელური რეჟიმის დამკვიდრების პირველ პერიოდში საქართველოს საზოგადოებრივი მოძრაობაც სრულიად თავისებურ ელფერს ატარებდა. ქართველი ფეოდალები, მოხერხებულად სარგებლობდნენ ფართო მასების უკმაყოფილებით და აღშფოთებით, რაც გაბატონებული საშხედრო რეჟიმის სისასტიკით იყო გამოწვეული. ისინი ცდილობდნენ მოეწყოთ სახალხო აჯანყებები, საკუთარი ინტერესების შესაბამისად წარემართათ მთელი მოძრაობა. რეაქციონერი ფეოდალები, გარეშე ძალების დახმარებით, ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ რუსეთის ძალაუფლებისათვის საქართველოში, აღედგინათ ბაგრატიონთა ტახტი და დაებრუნებინათ „დაკარგული სამოთხე". მაგრამ დაქსაქსულობის, უსუსურობისა და მკირერიცხოვნობის გამო, ქართველ არისტოკრატიას ენარი არ შესწევდა დამოუკიდებლად, საკუთარ ძალასა და რესურსებზე დაყრდნობით ემოქმედნა, ამიტომ თავისი რეტროგრადული მიზნების განსახორციელებლად იგი მიმართავდა გლეხთა ფართო მასების ენერგიას — მათი ამოქმედების უველაზე მძაფრ მომენტებში. ასე მოხდა 1804 წელს მთიულების, ხევსურების, მოხევეებისა და ოსების აჯანყების დროს; 1809 წელს — ქსნის ხეობის მოსახლე გლეხთა მღელვარების დროს; 1812 წელს — კახეთის გლეხობის აჯანყების დროს; 1819—1822 წლებში — იმერეთის გლეხთა ისტორიული გამოსვლების პერიოდში[1], XIX საუკუნის 20—30-იან წლებში — გლეხთა მასობრივი მოძრაობის დროს და სხვ.

ეს გამოსვლები და მოძრაობანი ორსებითად ორმხრივ ხასიათს ატარებდა: ხალხთა მასების პროგრესული, განმათავისუფლებელი მოძრაობა მიმართული როგორც საკუთარი მემამულეების, ისე თვითმპყრობელობის უღლის წინააღმდეგ ზოგჯერ ეკავშვებოდა ქართველი ფეოდალების რეაქციულ ბრძოლას დაკარგული პრივილეგიებისა და ფეოდალური სა-

[1] იხ. ნ. მახარაძე. საქართველოს და კავკასიის ისტორიის მასალები, ხე. XXII შეკ. ტფილისის ისტორიის ინსტიტუტის გამოცემა, თბილისი, 1942.

ქართველოს აღდგენისათვის. ამრიგად, მშრომელი კლასის ხობის ბრძოლა მჩაგვრელების წინააღმდეგ, მათი გამოსვლების მკაფიო ანტიფეოდალური ხასიათი, ზოგჯერ, რამდენადმე იჩქმალებოდა. შეურიგებელი კლასობრივი ანტაგონიზმი, რაც ამ გამოსვლების ძირითად მამოძრავებელ ძალას, მთავარ კანონზომიერებას შეადგენდა, ზოგჯერ, გამოსვლების „ერთიან ნაკადში" ითქვიფებოდა, მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ მოჩვენებითი იყო. არსებითად კი, ცხადია, ქართველი გლეხობის პროგრესული, განმათავისუფლებელი ბრძოლა და ქართველი თავადების ფეოდალურ-მონარქიული მოძრაობა ერთი საერთო ხაზით ვერ წარიმართებოდა. კლასობრივ-ანტაგონისტური უფსკრული ორ სოციალურ ძალას შორის ერთობ დრმა იყო და, ამიტომ, მათ შორის არსებული შეურიგებელი წინააღმდეგობა ადრე თუ გვიან მაინც თავს იჩენდა. ფრიად დამახასიათებელია, რომ საქართველოს მშრომელ მოსახლეობას, რომლებიც ქედმოუხრელნი იყვნენ მჩაგვრელებისა და მოძალადეთა მიმართ, არასოდეს არ მოსვლიათ ფიქრად რუსი ხალხისა და საქართველოს რუსეთთან შეერთების წინააღმდეგ გამოსვლა. პირიქით, ერთი მუჭა ფეოდალურ-მონარქისტების გამოკლებით, ქართველი ხალხი მაღალი შეგნებითა და აღფრთოვანებით შეხვდა ამ ისტორიულ აქტს. საქართველოს მშრომელები ყოველთვის მგზნებარედ მიესალმებოდნენ რუს თანამოძმეებს, ყოველთვის აშკარად და ეულწრფელად გამოხატავდნენ თავის დიდ ნდობასა და სიყვარულს დიდი რუსი ხალხისადმი. ჯერ კიდევ 1802 წელს რუსი მოხელე კორნეევი თელავის მაზრიდან ასე უპატაკებდა საქართველოს მაშინდელ მთავრობას: „შეუძლებელია არ გაგიზიაროთ ჩვენი კმაყოფილება იმის გამო რომ უბრალო ხალხს ყველგან რუსეთის ერთგულად ეხედავთ" [1].

გლეხობის გამოსვლები, ცხადია, არ შეიძლებოდა ყოფილიყო და არც ყოფილა მოწყვეტილი „საკუთარი" მჩაგვრელების, ქართველი მემამულეებისა და თავადაზნაურობის წინააღმდეგ ბრძოლისაგან. კლასობრივი ანტაგონიზმი და ში-

[1] АКАК, т. II, стр. 308.

ნაურ მტრებთან ბრძოლა არასოდეს არ შეწყვეტილა. ეპოქის-
მის საშხედრო-ფეოდალური და დესპოტური ხელისუფლების
წინააღმდეგ გლეხთა გამოსვლები ყოველთვის იყო გამსჭვა-
ლული შეურიგებელი სოციალური და კლასობრივი ბრძო-
ლის სულისკვეთებით. მშრომელთა პროგრესულ-განმათავი-
სუფლებელი მოძრაობა მჭიდროდ იყო შერწყმული და გადა-
ნასკვული სოციალურ და კლასობრივ ბრძოლასთან. ამით
უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ საქართველოს სხვადასხვა
კუთხეებში აჯანყებულ გლეხებთან სისხლიან ანგარიშსწო-
რებაში მეფის მთავრობა, როგორც წესი, იმავე ქართველ
თავადიშვილებს იშველიებდა. კერძოთ, 1812 წლის კახეთის
გლეხთა აჯანყების ჩაქრობაში აქტიურ მონაწილეობას
ღებულობდნენ ქართველი თავადები და აზნაურები, როგორც
მაგალითად, თავადი ბაგრატიონ-მუხრანსკი, სოლომონ ავა-
ლიშვილი, აზნაური ქაიხოსრო გამყრელიძე და სხვ.

თავადი ბაგრატიონ-მუხრანსკი დიდი სიხარულის გრძნო-
ბით მოახსენებდა ხელისუფლებას, რომ „მეამბოხეთა ყველა
სოფელი ცეცხლს მიეცა“ [1]. დამახასიათებელია ისიც, რომ
მთავრობის რეპრესიული ზომებიც წმინდა კლასობრივი პო-
ზიციიდან იქნა გატარებული: რეპრესიები და სასჯელი მთე-
ლი თავისი სიმკაცრით, მხოლოდ აჯანყებაში მონაწილე გლე-
ხობას დაატყდა თავს, ხოლო თავადები და აზნაურები ამ
შემთხვევაშიც პრივილეგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.
ეს წარმოადგენდა კლასობრივ შეურისძიებას გლეხობის წინა-
აღმდეგ, რომელთაც აჯანყების მსვლელობაში გაბედეს ხე-
ლი აღემართათ თვითმპყრობელური მმართველობის უკეთ-
მართობისა და საძულველ მემამულეთა საკუთრების წინა-
აღმდეგ.

XIX საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისიდან საქართვე-
ლოს მშრომელი მასების მოძრაობის ფორმები და ხასიათი
რამდენადმე შეიცვალა. ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერ-
თობის გამწვავებისა და რეაქციური კრიზისის მომწიფე-

[1] О. П. Маркова. Восстание в Кахетии 1812 г., Москва, 1951, стр. 312.

ბის ყველაზეაკვალ გლეხთა შეიარაღებული აჯანყებანი საქ-
ართველოში კლასობრივად კიდევ უფრო იხვეწება, [illegible]
ბა უპირატესად სოციალური და კლასობრივი ბრძოლის
ფორმაში ვლინდება[1]. მშრომელი გლეხობის გამოსვლებისა
და ბრძოლის სიმძიმის ცენტრი ამიერიდან უმთავრესად ბა-
ტონყმური ჩაგვრის წინააღმდეგ, ქართველი თავადებისა და
აზნაურების წინააღმდეგ წარიმართა. სოციალური და კლა-
სობრივი ბრძოლის გაშწვავება ქვეყნის შიგნით, ცხადია,
სრულიად არ გამორიცხავდა ხალხის მასების მოქმედებას მე-
ფის თვითმპყრობელობის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ;
არ აბრკოლებდა მათ ქედს მეფის მოხელეების ბიუროკრატიზ-
მის, თვითნებობისა და მრავალგვარ ბოროტმოქმედებათა წი-
ნაშე. ხალხის მასების ბრძოლის დიალექტიკა სწორედ იმაში
მდგომარეობდა, რომ ამჟამადაც გლეხთა კლასობრივი ბრძო-
ლა განუყრელად იყო დაკავშირებული საქართველოში მეფის
დამჭაბთა თვითნებობის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძო-
ლასთან.

თავისთავად ცხადია, გლეხთა იმდროინდელ გამოსვლებ-
სა და აჯანყებებს, ისტორიული ობიექტური მიზეზების გა-
მო, არ შეეძლო თავისი მიზნისათვის მიეღწია, რადგან გლეხ-
თა აჯანყებანი შეიძლება წარმატებით დაგვირგვინდეს მხო-
ლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი დაკავშირებულნი არიან
მუშათა აჯანყებებთან, და თუ გლეხთა აჯანყებებს მუშათა
კლასი ხელმძღვანელობს.

1832 წლის შეთქმულება წარმოადგენდა საქართველოს
ფეოდალურ-მონარქიული ნაციონალიზმის აქტიური გაბრძო-
ლების, კულმინაციურ მწვერვალს, ანტირუსული გამოსვლის
თავისებურ აპოთეოზს.

ანტირუსულად განწყობილმა ერთმა მუჭა შეთქმულ
ფეოდალთა ჯგუფმა რომელიც დაკავშირებული იყო ირანისა
და ინგლის-საფრანგეთის აგენტებთან, გადაწყვიტა ესარ-

---

[1] გერეთის აჯანყება 1841; გამოსელა ქეიშეთში 1848; შორაპანში — 1854; სვანეთში — 1855; საშვერელოში — 1857; ბალდადსა და ამაღლებაში — 1857; გერეთში — 1862 და ა. შ.

გებლა 1832 წლის დეკემბრის თავადაზნაურთა ყრილობით, მოეწყო დარბაზობა, მოეწვია „ზეიმზე" გელენიანი [illegible] მოხელეები და ერთბაშად გაეკლიტა ისინი, არც ისაკბილ[illegible] ლები უნდა დავნდოთ, რომლებიც შეეცდებოდნენ წინააღმ-დეგობის გაწევას. ეს უნდა გამხდარიყო საერთო ოჯახუების დასაწყისი. მაგრამ, ხალხის მასებისაგან მოწყვეტილი ფეო-დალურ-არისტოკრატიული შეთქმულება იმთავითვე სრული მარცხისათვის იყო განწირული. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, მიუთითებდა ცნობილი ქართველი ისტორიკოსი აკად. ი. ჯავახიშვილი, რომ ი. ფალავანდიშვილის მიერ გაკეთის მი-უხედავად შეთქმულებას არ შეიძლებოდა რაიმე წარმატება ჰქონოდა... საქმე ისაა რომ საახელდობრ ამ წლებში დაიწყო ხელახლა ქართველი გლეხობის ძლიერი მოძრაობა ბატონ-ყმური დამოკიდებულებებისაგან განთავისუფლებისათვის.

ი. ბ. სტალინი, ახასიათებდა რა ქართველი არისტოკრა-ტიის ფეოდალურ-მონარქიულ „ნაციონალიზმს" XIX საუკუ-ნეში, წერდა: „იყო ჩვენში, მაგალითად, ეგრეთწოდებული თავადაზნაურობის ნაციონალური საკითხი", როცა — „სა-ქართველოს რუსეთთან შეერთების" შემდეგ — ქართველმა თავადაზნაურობამ იგრძნო, თუ რა საზარალო იყო მისთვის ძველი პრივილეგიებისა და ძლიერების დაკარგვა, რომლებიც მას ქართველი მეფეების დროს ჰქონდა, იტაცდრობა „უბ-რალო ქვეშევრდომობა" და მოინდომა „საქართველოს განთავისუფლება". ამით მისუნდოდა „საქარ-თველოს" სათავეში ქართველი მეფეები და თავადაზნაურობა დაეყენებია და, აშკვა-რად, მათთვის გადაეცა ქართველი ხალხის ბედიღბალი! ეს იყო ფეოდალურ-მონარქიული „ნაციონალიზმი", ვერც ერთი შესაძრნეელი კვალი ვერ დაამჩნია ამ „მოძრაობამ" ქართველების ცხოვ-რებას, ვერც ერთი ფაქტით ვერ ისახელა მან თავი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თავად-აზნაურობის ზოგიერთ

შეთქმულებას რუსი მმართველების წინააღმდეგ კავკასიაში"[1].

1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ ქართველ თავადაზნაურთა უმაღლესი წოდების დიდი ნაწილი შეუდგა თავისი ძველი პოზიციის საფუძველიან გადასინჯვას, მან მკვეთრად იბრუნა პირი რუსეთის თვითმპყრობელობისაკენ, ფიცი დასდო, რომ ამიერიდან არ უღალატებდა „უქვეშევრდომილეს" გრძნობებს, „აწ და მარადის" რწმენითა და სიმართლით, ერთგულად და თავდადებით ემსახურებოდა რუსეთის სამეფო ტახტს.

XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებში ქვეყნის სამოქალაქო მართვაგამგეობის საქმეში არ არსებობდა მტკიცე წესრიგი და გარკვეულობა. ქვეყნის აღმასრულებელ ორგანოებში გამეფებული უთავბოლობა, მძაფრ სოციალურ ურთიერთობათა ფონზე ზოგჯერ სრულ ქაოსში გადასული, კიდევ უფრო აღრმავებდა ასედაც დაძაბულ მდგომარეობას. ცენტრალური ხელისუფლების ცოტად თუ ბევრად შორსმჭვრეტელ წარმომადგენლებს არ შეიძლებოდა შეუმჩნეველი დარჩენოდათ, რომ ასეთ ვითარებაში შესაძლო იყო მეფის მთავრობა კავკასიაში გარიყული დარჩენილიყო. კოლონიური ბატონობის უზრუნველსაყოფად კი ცარიზმს საქართველოში მტკიცე სოციალური დასაყრდენი ესაჭიროებოდა. მთავრობის წარმომადგენლები ჩაუფიქრდნენ შექმნილ მდგომარეობას. ისინი შეუდგნენ „ბოროტების ფესვების" ძებნას და იწყეს სათანადო ზომების მიღება.

ჯერ კიდევ გრაფი პასკევიჩი თავის მოხსენებით ბარათში ხელმწიფისადმი 1829 წლის მაისში, წერდა, რომ მან „აღმოაჩინა" მმართველობის მანკიერებანი ამიერკავკასიაში, გამოაშკარავა უწესობანი და ბოროტმოქმედებანი, რომელნიც „დიდი ხანია დამკვიდრდა და ჩვეულებად იქცა ამ მხარეში". ხედავდა რა „ბოროტმოქმედების ძირს" თვით სამოქალაქო ნაწილის მმართველობის შეუსაბამო ხასიათში, პასკევიჩი, თავის „უქვეშევრდომილეს მოხსენებაში" ითხოვ-

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 32 — 33.

და სენატორთაგან შემდგარი რევიზიის დანიშვნას, რათა „ერთხელ და სამუდამოდ გაეხსნათ ბოროტება და მოეგვარებინა უწესრიგობა“ [1].

ამ შეამდგომლობის საფუძველზე, 1829 წლის შემოდგომაზე ამიერკავკასიაში მოვლინებულ იქნენ სენატორები: გრაფი კუტაისოვი და მეჩნიკოვი. რევიზიის მასალებმა გამოავლინეს სამოქალაქო მმართველობის მდგომარეობის უბადრუკი სურათი, გამოააშკარავეს ქვეყანაში დამყარებული წესების სრული უვარგისობა, გასაოცრად გავრცელებული ბოროტმოქმედებანი, კორუპცია, თანამდებობის პირთა უსაზღვრო თვითნებობა, საქმის გაჭიანურება და მექრთამეობა [2]. თავიანთ მოხსენებაში სენატორებმა დაწვრილებით აღნიშნეს ოფიციალურ სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალთაგან ადგილობრივი მოსახლეობის ჩაგვრისა და ძარცვის ყოველად უხამსი ფორმები; ისინი მიუთითებდნენ იმაზე, რომ პოლიციის ბოქაულები მართავენ პროვინციებს „არა როგორც მთავრობის მოხელეები, არამედ როგორც მემამულეები საკუთარ მამულებს“ [3].

საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი ზავილეისკი მის მიერ წარმოებული რევიზიის საფუძველზე 1829 წლის 23 ოქტომბერს „უქვეშევრდომილესად“ აცნობებდა ცენტრალურ მთავრობას, რომ „საქართველოს უმაღლესი მთავრობის აღმასრულებელი ექსპედიციის საქმეები აღმოჩნდა სრულიად უწესრიგო და უადრესად მოუვლელი. უწესრიგობის ერთი მიზეზთაგანი და არასწორ მოქმედებათა უმთავრესი საბაბი, — წერდა იგი, — არის ქართული და რუსული კანონების არევა“ [4]. იგივე ზავილეისკი 1830 წ. 2 თებერვალს გრაფ პასკევიჩს აუწყებდა „ბოქაულებისა და მოხელეთა თვითნებობისა და წარმოუდგენელ ბოროტმოქმედებათა შესახებ, რომელთაც მცხოვრებლები მოთმინებიდან გამოჰყავდათ“: „ყველასათვის აშკარაა ის ზიანი, რომელიც თვითნე-

---

[1] АКАК, т. VII, стр. 35.
[2] АКАК, т. VII, стр. 31—35; т. VIII, стр. 2—11.
[3] АКАК, т. VII, стр. 41.
[4] АКАК, т. VII, стр. 24.

ბური განკარგულებებიდან, ბოქაულებისა და სხვა უფროსების აურაცხელი ბოროტმოქმედებებიდან მომდინარეობდა. მოხელეები, რომლებიც დარწმუნებული იყვნენ იმაში, რომ მათი უკანონო მოქმედებანი დაუსჯელი დარჩებოდა, თავს გავიდნენ და თვითეული მათგანი, მიიღებდა რა თანამდებობას, თავისთავს სრულ უფლებამოსილად თვლიდა სასტიკად შეეიწროებინა ხალხი, რადგან წინასწარ იცოდა, რომ მას ამისათვის პასუხისგებაში არ მიიყვანდნენ. ხალხი კი, რომელიც ხანგრძლივი წლების განმავლობაში უსასტიკეს ტანჯვა-წამებას განიცდიდა ადგილობრივ მოხელეთაგან, ვერ ხედავდა უმაღლეს მთავრობაში მისი უფლებების დაცვასა და მართლმსაჯულებას. პირიქით, მისი შეეიწროებისადმი მათგან მუდამ გულგრილობასა და წაყრუებას ხედებოდა"[1].

მეფის ცენტრალური მთავრობა არა თუ არ ებრძოდა, არაშედ, პირიქით, ხელსაც კი უწყობდა ადგილობრივი მოხელეების თვალშეებულობას. ამიტომ გასაგებია, რომ ყველა ამ რევიზიებსა თუ ბოროტმოქმედებათა კანონურ „მხილებებს" არ მოაქონდათ არსებითი შედეგები. სხვადასხვა კომისიებისა და ექსპედიციების ყველა ჭაპანწყვეტა რჩებოდა „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა".

1830 წლის აპრილში პასკევიჩის ინიციატივით შემუშავებულ იქნა ამიერკავკასიის ადმინისტრაციული რეფორმის პირველი პროექტი. ეს პროექტი ითვალისწინებდა საამოქალაქო მმართველობის განკალკევებას სამხედრო მმართველობისაგან, ქართული კანონებისა და ადათების გაუქმებას და მათ ნაცვლად რუსული კანონების შემოღებას. პასკევიჩის რეფორმა მოწოდებული იყო ჩვენი ქვეყანა ორგანულად შეერწყა რუსეთთან, იძულებული გაეხადა ადგილობრივი მცხოვრებნი, რათა მათ რუსულად „ელაპარაკათ, ეაზროვნათ და განეცადათ"[2].

---

[1] АКАК, т. VII, стр. 32.

[2] АКАК, т. VII, стр. 37—38; ср. „Колониальная политика российского правительства в Азербейджане 40—60 гг. XIX в.", М.—Л. 1936, ч. I, стр. 245.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ პასკევიჩის პროექტს იმ დროს განხორციელება არ ეწერა.

საქართველოსა და ამიერკავკასიაში მომხდარი ამბებით შეშფოთებული ნიკოლოზ პირველი 1840 წლის 21 მარტს გენერალ გოლოვინს სწერდა: „ჩემს განკარგულებაში არსებული ყველა ცნობა ამიერკავკასიის შესახებ მარწმუნებს, რომ ამიერკავკასიის მხარის კეთილმოწყობისათვის... გვაკლია მტკიცე სამოქალაქო მმართველობა, რომელიც დაეფუძნებოდა შიდა გუბერნიების მმართველობის საერთო საწყისებს და წარილმანებში შეესაბამებოდა კავკასიის მცხოვრებთა განსაკუთრებულ ეროვნებასა და სამოქალაქო ყოფა-ცხოვრებას". იმპერატორი წინადადებას იძლეოდა: „მხარის სამოქალაქო მოწყობაში არსებული უთანაბოლობისა და დაბნეულობის თავიდან ასაცილებლად... სამოქალაქო მმართველობის საქმეები დაუყოვნებლივ გამოიყოს სამხედრო საქმეებისაგან, ხოლო ყველა ის პირველი ხანის საქმიანობა, რომელიც ამჟამად კავკასიის ცალკე კორპუსის შტაბში წარმოებს, დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს სამოქალაქო საშმართველოს, ამის შემდეგ შეიზღუდოს კორპუსის შტაბის მოქმედების არე მარტოოდენ სამხედრო უწყების კუთვნილი საქმეებით[1], ეს უმაღლესი სამეფო დირექტივა, კავკასიის სამოქალაქო-ადმინისტრაციული მმართველობის სისტემაში მობრუნების დასაწყისში გახდა.

ამიერკავკასიის სამოქალაქო და ადმინისტრაციულ-სასამართლო მოწყობის სენატორ განის რეფორმა მოწოდებული იყო — ცხოვრებაში გეტარებინა მეფის დირექტივა[2]. მაგრამ ამ რეფორმამ გამოცდას ვერ გაუძლო. თავისთავად ცხადია, სენატორ განის პროექტი თავიდან ბოლომდე დიდმპყრობელურ-შოვინისტური და რუსიფიკატორული სულით გაჟღენთილი აღმოჩნდა. ახალი დაწესებულებები შეიქმნა რუსეთის შიდა დაწესებულებათა ტრაფარეტის მიხედვით. ვახტანგ VI-ის

---

[1] АКАК, т. X, стр. 23.

[2] Полное собрание Законов Российской Империи (იქ ქვემოთ შემოკლებით ПСЗРИ), II, т. XV, № 18, стр. 368, „Учреждение для Управления Закавказским краем".

კანონები, რომლებიც ე. ი. ივანენკოს აზრით, თითქოს „დაფუძნებული იყო ქრისტიანული ეთიკისა და სამართლიანობის ბუნებრივ გრძნობაზე"[1], შეიცვალა ხალხისათვის სრულიად უცხო იმ დროინდელი რუსეთის იმპერიის კანონებით. განის რეფორმებმა მბოლოდ შეცვალა ადგილობრივი ფეოდალური არისტოკრატიის თვითნებობა მეფის მოხელეთა თვითნებობით. რეფორმის შედეგებმა, ახალმა დაწესებულებებმა და ახალმა წესებმა ადგილობრივი არისტოკრატიის საერთო უკმაყოფილება გამოიწვია.

ამიერკავკასიასა და საქართველოში ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა. ალექსანდრე ჭავჭავაძემ, საქართველოს ცნობილმა პოეტმა, მაშინ მთავარმმართველობის საბჭოს წევრმა და დიმიტრი ორბელიანმა, რომელიც იმ დროს გუბერნიის წინამძღოლად ითვლებოდა, სასტიკად გაილაშქრეს განის რეფორმის წინააღმდეგ. „გენერალ-მაიორი თავ. ჭავჭავაძეს, — გადმოგვცემს დიმ. ყიფიანი, — მაშინ საბჭოს ერთადერთ წევრს გამბედაობა ეყო გადაწყვეტილების წინააღმდეგ (ლაპარაკია განის რეფორმებზე— ე. ბ.) პროტესტით გამოსულიყო და განემარტა ეახტანგის კანონების ისტორიული და დოგმატური მნიშვნელობა. ამან თვით განი და მისი მომხრეებიც მიიყვანა მათთვის არასასიამოვნო აღიარებამდე, რომ მათ შემაძრწუნებელი შეცდომა დაუშვეს"[2].

თვითმპყრობელობის ოფიციალური ისტორიოსი საქართველოსა და ამიერკავკასიაში განის რეფორმების შემოღების შემდეგ შექმნილ მდგომარეობას ასე ახასიათებს: „ახალმა დაწესებულებებმა საერთო მოთქმა-მოთქმა და მღელვარება გამოიწვია. გურიაში, ოსეთსა და ბელაქანში არეულობა დაიწყო. ყაჩაღთა ბანდები ყველგან თავისუფლად დათარეშობდნენ. ცნობილი დამნაშავე ფორმალური დამამტკიცებელი საბუთების უქონლობის გამო, სასამართლოდან გამართლებული გამოდიოდა; ნაბრძანები იყო, რომ სასამართლოს მიერ გამართლებულნი იმავე ფორმალობათა შესრულებამდე, ციხეში და-

---

[1] В. Н. Иваненко, „Гражданское Управление Закавказья", Тифлис, 1901, стр. 302.

[2] „Русская старина", 1886, кн. V, стр. 616—617.

ექვემდებარებათ. ჩოდა ხალხი, ჩოდნენ მოხელეები, სასოწარკვეთილებამდე მივიდა თვით გოლოვინი, მაგრამ მათ აუცილებლობას არავინ აქცევდა. მმართველობის ახალი ხასიათი შეეხო მოსახლეობის ამა თუ იმ ფენაში ყველაზე ფესვებგადგმულ ისტორიულ კანონსაც კი. ქართველი თავადაზნაურობა ჩოდა, რომ მთავრობის მიერ მემამულეებსა და გლეხებს შორის ურთიერთობის შესახებ ჩატარებული გამოკვლევა უღრეესად ტენდენციურად წარმოებდა და ადმინისტრაციის მოხელეები აქეზებდნენ გლეხებს არ დამორჩილებოდნენ თავიანთ მფლობელებს. თავადაზნაურობა უცხადებდა ჩერნიშევს, რომ ასეთმა მდგომარეობამ ყველგან მღელვარება გამოიწვია და გლეხებმა ამჟარად დაიწყეს წინააღმდეგობის გაწევა. ისინი უარს აცხადებდნენ შეესრულებინათ მემამულეთა ყველაზე კანონიერი მოთხოვნაც კი. ალებისა და ბეგების მრავალრიცხოვანი წოდება მაჰმადიანთა პროვინციებსა და თათართა დისტანციებში ჩოდა იმაზე, რომ მთავრობამ მათ წაართვა სოფლების მემკვიდრეობითი მართვის უფლება; მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამდა სახაზინო ადგილ-მამულთა და ტყეებით ჩვეულებისამებრ სარგებლობის შეზღუდვის გამო"[1].

შექმნილი მდგომარეობის გამო სახელმწიფო საეკლესიოთა მინისტრი კისელევი მკაცრად გმობდა გენის კანონებს. იგი ალნიშნავდა, რომ მთელი უწესრიგობა სამოქალაქო მმართველობაში, რასაც ადგილი ჰქონდა კავკასიაში, გამოწვეული იყო აქ რუსეთის შიდა იმპერიის კანონების ნაჩქარევი შემოღებით. მისი აზრით თვითეული ქვეყნის კანონი ხალხის ცხოვრების პირობებისაგან უნდა გამომდინარეობდეს და შეესატყვისებოდეს ყველა მის მოთხოვნას და ურთიერთობას[2].

ნიკოლოზ I-ის მიერ თბილისში მოვლინებული სახელმწიფო მდივანი პოზენი თავის მოხსენებაში ალნიშნავდა რა არასახარბიელო მდგომარეობას ამიერკავკასიის მხარეში, უთავბოლობის მიზეზად ის მიაჩნდა, რომ თვით დაწესებულებე-

---

[1] АКАК, т. IX, стр. 130—140; ср. Е. Есадзе, Историческая записка об Управлении Кавказом, т. 1, стр. 77—78.

[2] Журнал Комитета об устройстве Закавказского Края, 1840 г., № 20.

ბი, რუსეთის გუბერნიებიდან აქ გადმოტანილი, არ შეეფერებ-
ბა მცხოვრებთა მოქალაქეობრივობის განვითარების დონეს. [illegible]
მოეპოვებათ სულ სხვა წარმოდგენანი რწმენა, ჩვეულებანი
და ცხოვრების ნირი. კავკასიაში მოსახლე ტომები იმდენად
განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ მათ მიმართ არ უნდა
ყოფილიყო გამოყენებული მმართველობის ერთნაირი წესი
და სასამართლო". განსაკუთრებით საგულისხმოა პოზენის
შემდეგი მოსაზრება: ერთიანობა უნდა მდგომარეობდეს ხელ-
ისუფლების ერთიანობასა და მიზნის ერთიანობაში, მაგრამ
არაბც და არაბც საშუალებათა ერთიანობაში, რომელმაც ამ
მიზანთან უნდა მიგვიყვანოს[1].

პოზენის მოხსენებამ ერთობ შეაშფოთა ნიკოლოზ I. იმპე-
რატორმა მას ასეთი რეზოლუცია წააწერა: „წარუდგინეთ ეს
პატაკი მინისტრთა კომიტეტს, რათა ყველანი დარწმუნდნენ
ბარონ განის შეუწყნარებელ უსაფუძვლობაში. მისმა ქედმაღ-
ლობამ მთავრობა შეცდომაში შეიყვანა და გვაიძულებს დაუ-
ყოვნებლივ შევუდგეთ სულ ცოტა ხნის წინათ დამტკიცებულ-
ის შეცვლას"[2]. ამრიგად, განის რეფორმამ საქართველოსა
და ამიერკავკასიაში სრული მარცხი განიცადა.

XIX საუკუნის პირველი ორმოცი წელი კავკასიაში გავიდა
არა მარტო განუწყვეტელ საომარ მოქმედებათა ვითარებაში,
არამედ აგრეთვე სამოქალაქო-ადმინისტრაციული და სასა-
მართლო მმართველობის წესრიგისა და ნორმების განუწყვე-
ტელ ძიებასა და ცვალებადობაში. ერმოლოვიც, პასკევიჩიც,
როზენიც, გოლოვინიც, განიც ათეული წლების მანძილზე
ამაოდ ამუშავებდნენ, თხზავდნენ ახალ-ახალ პროექტებსა და
გეგმებს, ამ მიმართულებით ადგენდნენ სხვადასხვა მოსაზრე-
ბებს, წინადადებებს, მიმართავდნენ ექსპერიმენტებს. ერთი
პროექტი ან წინადადება იცვლებოდა მეორით, ერთი კანონი
მეორეს უთმობდა ადგილს. სახელმწიფო დიდძალ სახსრებს
ახმარდა სხვადასხვა კომისიასა და კომიტეტს, ექსპერტებსა და
ექსპედიციებს. ამ ნიადაგზე არა ერთ მთავარ მართველსა და

---

[1] Русская старина, 1900 г., № 1 (январь), стр. 42—46, записки графа Корфа.

[2] „Утверждение русского владычества на Кавказе", т. XII, стр. 302

მთავარსარდალს მოსვლია მარცხი, დაუკარგავს პირადი პრესტიჟი და რეპუტაცია. ბევრი მათგანი ერთიმეორის მიყოლებით ჩამოდიოდა სცენიდან, — საქმე მაინც არ იცვლებოდა. საქართველო, ისევე როგორც მთელი კავკასია, კვლავინდებურად რჩებოდა ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის ყურადღების ცენტრში.

განის რეფორმების ჩაშლის შემდეგ, ხელისუფალნი რამდენიმე წლის განმავლობაში კვლავ განაგრძობდნენ დაწყებულ საქმეს. კვლავ და კვლავ იწერებოდა ახალ-ახალი რეცეპტები, ტარდებოდა ახალი ექსპერიმენტები უფრო „რაციონალურ" კანონმდებლობათა დასანერგავად. გოლოვინმა და ნეიდგარდტმა, „განსაკუთრებულ კომიტეტთან" ერთად, სამეფო კანცელარიის VI განყოფილების აქტიური ხელისშეწყობით თითქოს ამოწურეს მთელი თავისი ძალები და შესაძლებლობანი, მაგრამ მმართველობის სისტემის ნამდვილი გარდაქმნის საქმეში რაიმე არსებითი შედეგი მაინც ვერ მიიღეს. აშკარად იგრძნობოდა, რომ ძველი ყალიბის ადმინისტრატორები და კანონმდებლები დიდად ჩამორჩნენ შეცვლილი და განვითარებული ცხოვრების დონეს, ისინი ვერ ჩაწვდნენ ახლად ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივ ურთიერთობას. აქედან ადვილად აიხსნება მათი განზრახვის სრული შეუსაბამობა მდგომარეობასთან და მათ მიერ გატარებული ღონისძიებების მარცხს გარდუვალობა.

კ. მარქსი გვასწავლის, რომ „ეკონომიური საფუძვლის ცვლილებასთან ერთად მთელი უზარმაზარი ზედნაშენიც შეტნაკლები სიჩქარით გადატრიალდებაო"[1]. ქვეყნის ისტორიულ განვითარებაში ახალმა პირობებმა, მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა ქართველი ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაში რუსეთთან შეერთების შემდეგ, შექმნეს გადატრიალების წინამძღვრები „მთელს უზარმაზარ ზედნაშენში".

XIX საუკუნის შუაპერიოდი საქართველოში ისე, როგორც მთელს ამიერკავკასიაში, ფრიად მნიშვნელოვანი ძვრებით აღინიშნა. ქვეყნის საშეურნეო, სოციალურ-პოლიტიკურ

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. 1, თბილისი, 1950, გვ. 407.

ცხოვრებაში ღრმა ცვლილებები იწყებოდა. ქვეყნის შიგნით ფეოდალურ-ბატონყმური რეჟიმის დესპოტიზმისა და მეფის თვითმპყრობელობის რეაქციულ-კოლონიური პოლიტიკის მიუხედავად საქართველოს წიაღში იზრდებოდა და გზას იკაფავდა კაპიტალისტური ურთიერთობა. ღრმავდებოდა ნატურალურ-პატრიარქალური მეურნეობის რღვევის პროცესი. ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის მთელი სისტემა კრიზისს განიცდიდა. მიუხედავად მეფის თვითმპყრობელობის შემაფერხებელი და დამამუხრუჭებელი კოლონიური პოლიტიკისა, საქართველო მნიშვნელოვანი ნაბიჯით მიემართებოდა წინ — პროგრესის გზაზე. საქართველოს სამეურნეო განვითარება, რომელიც ჯერ კიდევ რუსეთთან შეერთებისთანავე დაიწყო, ნელა, მაგრამ განუხრელად მიდიოდა წინ. კაპიტალიზმის ელემენტების გაძლიერება საშინაო ბაზრით, ეკონომიური და კულტურული ცენტრების შექმნა, სასაქონლოფულადი ურთიერთობის განვითარება, ქალაქებისა და ქალაქის მოსახლეობის ზრდა თანდათანობით არღვევდა ქართული სამთავროებისა და სხვადასხვა კუთხეთა კარჩაკეტილი ცხოვრების იდილიას, აჩქარებდა ერთიანული გაერთიანების პროცესს. განვითარების სწორედ ეს რთული ისტორიული პროცესი დაედო საფუძვლად ქართველი ბურჟუაზიული ერის ჩამოყალიბებას.

რუსეთის თვითმპყრობელობამ ამ დროისათვის ძირითადად დაამთავრა საქართველოსა და ამიერკავკასიის პოლიტიკური დაპყრობა. ამიერიდან მეფის ხელისუფალთა ძირითადი ამოცანა მხარის ეკონომიური დაპყრობა და ათვისება გახდა. ეს პროცესი კი, როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებს, XIX საუკუნის 90-იან წლებშიც არ იყო დასრულებული[1].

გასაგებია, რომ ეს ისტორიული ამოცანა შეუძლებელია აზოლირებული და თვითკმარი ყოფილიყო. ცარიზმის ეკონომიური პოლიტიკა საქართველოსა და ამიერკავკასიაში მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქვეყნის პოლიტიკური მმართვე-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 703.

ლობის საერთო სისტემასთან, პირველი მეორის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის თვითმპყრობელობის ეკონომიურმა პოლიტიკამ საქართველოსა და ამიერკავკასიაში XIX საუკუნის პირველ ნახევარში, შეიძლება ითქვას, ძირითადად განვითარების სამი საფეხური გაიარა. პირველ საფეხურად შეიძლება მიჩნეულ იქნეს გასული საუკუნის პირველი მეოთხედი. ამ პერიოდში მეფის მთავრობა ამიერკავკასიაში ძირითადად სამხედრო-სტრატეგიულ მიზნებს ისახავდა. სამეურნეო ცხოვრების წარმართვის საქმეში იგი ამ დროს შედარებით ნაკლებ ინტერესს იჩენდა და თითქმის იშვიათად ერეოდა მის ეკონომიურ ცხოვრებაში. ამიტომ ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში პირველ სამ ათეულ წლებში დიდმნიშვნელოვანი გარდატეხები და ცვლილებები არ მომხდარა.

1826 — 1828 წწ. რუსეთ-ირანის ომისა და თურქმენჩაის 1828 წლის 10 თებერვლის საზავო ხელშეკრულების შემდეგ, აგრეთვე რუსეთ-თურქეთის ომისა და განსაკუთრებით ადრიანოპოლის 1829 წლის 2 სექტემბრის ზავის დადების შემდეგ ცარიზმის ძირითადი მიზანი თითქოს მიღწეული ჩანდა: მისი სამხედრო-სტრატეგიული მდგომარეობა ამიერკავკასიაში მტკიცე და ურყევი გახდა, მეფის რუსეთმა ფეხი მტკიცედ შედგა აზიაში. ამიერიდან ცარიზმი შეუდგა მთელ რიგ ეფექტურ ღონისძიებათა გეგმაზომიერად გატარებას ამიერკავკასიის ეკონომიური ათვისებისათვის. ხელისუფალთა სამეურნეო საქმიანობის პოლიტიკა მიმართული იყო იქეთკენ, რათა საქართველო და მთელი ამიერკავკასია მეფის რუსეთის ნამდვილ კოლონიად გადაექცინათ. მეფის ხელისუფლებამ მტკიცედ გადაწყვიტა მთელი ამიერკავკასია გაეხადა არა მარტო ნედლეულის ბაზად რუსეთის მეტროპოლიის მრეწველობისათვის, არამედ საერთო ბაზრადაც. ცარიზმის ეკონომიური მიზანსწრაფვის ამოსავალ პუნქტს შეადგენდა მთელი ამიერკავკასიის სამეურნეო ცხოვრების გარდაქმნა რუსეთის ახალგაზრდა მრეწველობის ინტერესების შესაბამისად.

რუსი ვაჭრები რუსეთის სამრეწველო ნაწარმის შემოზიდვის გაძლიერებასთან ერთად, იწყებენ საქართველოსა და ამი-

ერკავკასიიდან მეტროპოლიისათვის აუცილებელი ნედლეულის ამოქაჩვას, ეზიდებიან ცენტრალურ რუსეთში ბამბას, თამბაქოს, ენდროს, აბრეშუმის ნედლეულს, ტყავსა და სხვა მასალას.

ამ მიმართულებით მეფის ხელისუფლება გაბედულად შეუდგა რუსეთის ოფიციალური სწავლული ეკონომისტებისა და ფინანსისტების — თვითმპყრობელობის ერთგული მსახურების მიერ შემუშავებული წინადადებებისა და პროექტების განხორციელებას. ეკონომისტები და ფინანსისტები თითქმის ერთსულოვნად ცდილობდნენ დაესაბუთებინათ საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის მხარის „რუსეთის ინდოეთად" გადაქცევის აუცილებლობა და მიზანშეწონილობა. გასაგები უნდა იყოს, რომ მეფის მთავრობის (ისევე, როგორც მისი გულმოდგინე მსახურებს და „კაზიონური სწავლულების") ანგარიშში სრულებითაც არ შეიძლებოდა შესულიყო ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებელი საშეურნეო ინიციატივისა და საწარმოო ძალთა განვითარების ამოცანები. პირიქით, ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლები ყველაფერს აკეთებენ, რათა დაემუხრუჭებინათ და ჩანასახის ფორმაში გაეყინათ ადგილობრივი წარმოების დონე. მაგრამ ისტორიის ობიექტური განვითარების შეჩერება შეუძლებელი აღმოჩნდა.

ჯერ კიდევ 1827 წელს საიმპერიო მინისტრის, კანკრინის ინიციატივით რუსეთის იმპერიის საკანონმდებლო დებულებაში — „ამიერკავკასიის პროვინციების ფინანსიური ნაწილის მოწყობის შესახებ", თავისი ასახვა პოვა შემდეგმა ფორმულამ: „ამიერკავკასიის პროვინციებს შეიძლება ეწოდოს რუსეთის კოლონია, რომელმაც საამხრეთის ბუნების ნაყოფით სახელმწიფოს სარგებლობა უნდა მოუტანოს"[1].

საქართველოს მთავარსარდალი გრაფი პასკევიჩი საკუთარი იზიარებდა საქართველოსა და ამიერკავკასიის მიმართ მეფის სხვა კოლონიზატორთა თვალსაზრისს. თავის მიმართვებსა და წერილებში პასკევიჩი კატეგორიული წინააღმდეგი იყო, რომ ჩვენს ქვეყანაში ფაბრიკებისა და ქარხნების ადგილობრივ და-

[1] ПСЗРИ, т. II, 1827, № 1013, стр. 347.

მაარსებლებს რაიმე უპირატესობა მისცემოდათ. იგი განსაკუთრებით გამოყოფდა საქართველოს, როგორც კოლონიას, რომელიც, მისი აზრით, მოწოდებული იყო მიეწოდებინა მასალა (აბრეშუმი, ბამბა და სხვ.) ჩვენი ფაბრიკებისათვის, ხოლო რუსეთიდან სამაგიეროდ მანუფაქტურის ნაწარმი მიეღო. პასკევიჩის აზრით საქართველოში მანუფაქტურული წარმოების განვითარება შეასუსტებდა ამ ქვეყნის კავშირს რუსეთთან[1]. ანალოგიურად მსჯელობდა მეფის თვითმპყრობელობის ბევრი სხვა მოხელეც. „როგორც რუსეთის კოლონიას, — წერდა ვიშესლავცევი, — ამიერკავკასიას მანუფაქტურული წარმოება არ უნდა ჰქონდეს, მარტოოდენ მისი კლიმატის წარმოქმნილ ნედლეულსაც კი... შეუძლია საკმაოდ გაამდიდროს ჩვენი ქვეყანა"[2].

ეკონომიური პოლიტიკის რამდენადმე შეცვლის მიუხედავად, მომდევნო მმართველობის დროს ცარიზმის ძირითადი მიზანდასახულობა საკვლევით რჩებოდა ძალაში. „თუ მრეწველობის სული, ხალხის საქმიანობის ეს ძლიერი ბერკეტი, — წერდა კოლოდეევი ვორონცოვის მეფისნაცვლობის დროს,— მზრუნველი მთავრობის ხელშეწყობით უფრო განვითარდა ამიერკავკასიის მხარის მწარმოებლებში, მაშინ ეს ქვეყანა, რომელიც რუსეთს ამარაგებს მრავალი კოლონიური ნაწარმით, გადაიქცევა ჩვენი ქვეყნის უმდიდრეს კუთხედ"[3]. კოლოდეევი თავის თანამოაზრეებთან ერთად ამიერკავკასიის მწარმოებელთა წინაშე უმთავრეს ამოცანად აყენებდა — „ადგილობრივი კოლონიური ნედლეულით" რუსეთის ფაბრიკებისა და ქარხნების მომარაგებას. ცხადია, რომ მსგავსი ეკონომიური „თეორიები", შეხამებული იყო მეფის ხელისუფალთა გარკვეულ პრაქტიკულ კურსთან საქართველოსა და ამიერკავკასიაში. იგი მჭიდროდ იყო გადანასკვული ცარიზმის მიერ ადგილობრივ მკვიდრთა ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრის ნაცად პოლიტიკასთან. „ცარიზმი განაპირა მხარეებში განზრახ ნერგავდა

---

[1] „Сын отечества", 1835, № 38, стр. 44—45.

[2] АКАК, т. VII, стр. 140.

[3] Колодеев, „Обзор действий наместничества Кавказского края", 1851 г., стр. 95.

პატრიარქალურ-ფეოდალურ ჩაგვრას იმისათვის, რომ მასებ[illegible] მონობასა და უმეცრებაში ჰყოლოდა... ცარიზმი ავიწროებდ[illegible] ზოგჯერ კი პირდაპირ აუქმებდა ადგილობრივ სკოლას, თეატრს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს იმისათვის, რომ მასები სიბნელეში ჰყოლოდა. ცარიზმი ახშობდა ადგილობრივი მოსახლეობის საუკეთესო ადამიანთა ყოველივე ინიციატივას. ბოლოს, ცარიზმი ჰკლავდა განაპირა მხარეების ხალხთა მასების ყოველგვარ აქტივობას"[1].

XIX საუკუნის პირველი ნახევრისათვის, განსაკუთრებით, ლონდონის 1841 წლის კონფერენციის შემდეგ, მეფის რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობა რამდენადმე შეირყა. იგრძნობოდა ინგლის-რუსეთის წინააღმდეგობათა მკვეთრი გამწვავება საერთაშორისო ასპარეზზე.

აღმოსავლეთის საკითხის „გადაჭრისათვის" შეურიგებელი ბრძოლა თავის კრიტიკულ სტადიაში შევიდა. 1841 წლის ლონდონის კონფერენცია, რომელმაც უნკიარ-ისკელესის 1833 წლის შეთანხმება შეცვალა, მოასწავებდა ინგლისის დიპლომატიის გარკვეულ წარმატებას. ამას დაემატა რუსეთისათვის მთელი რიგი არახელსაყრელი გარემოებანი: რუსეთ-ირანის ურთიერთობის გამწვავება და რუსეთის საზიანოდ ინგლის-ირანის 1841 წლის საკავშრო ხელშეკრულების დადება, მეფის ჯარების მძიმე ბრძოლები შამილისა და მაჰმად-ემინის წინააღმდეგ და სხვ.

დაძაბული ვითარება ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ, განსაკუთრებით ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონში მეფის რუსეთის წინაშე აყენებდა ამოცანას ერთხელად ემოქმედნა ამიერკავკასიაშიც, რადგან ეს უკანასკნელი მართებულად მიიჩნდა საკვანძო პუნქტად აზიისა და ევროპის ურთიერთობაში. დღის წესრიგში დგება ამიერკავკასიაში გატარებული პოლიტიკური კურსის შეცვლის ამოცანა. საჭირო იყო ქვეყნის ადმინისტრაციული, სამოქალაქო და ეკონომიური პოლიტიკის უფრო მოქნილი ფორმებისა და მეთოდების გამონახვა, რათა შექმნილი დაძაბული ვითარება შენელებუ-

---

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 388.

ლიყო. ამ მიზნით მეფის თვითმპყრობელობამ უფრო მჭიდროდ შემოიკრიბა ადგილობრივი თავადაზნაურობა და ყველაფერი ამიერკავკასიაში. საჭირო იყო მოსახლეობის დაბალი ფენებისადმი უფრო მოქნილი და ელასტიური პოლიტიკის გატარება. ამას მთელი კატეგორიულობით მოითხოვდა შექმნილი ვითარება და ისტორიული მოვლენების განვითარება.

როგორც უკვე აღინიშნა, ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მიუხედავად, რუსეთთან შეერთებამ საქართველოში, ობიექტურად, უდიდესი დადებითი შედეგები გამოიწვია. XIX საუკუნის შუა პერიოდში საქართველოსა და ამიერკავკასიაში ამ კეთილმყოფელმა შედეგებმა მნიშვნელოვანი ძალით იჩინეს თავი. ქართველი საზოგადოების თითქმის ყველა კლასი და წოდება განიცდიდა ამ ახალი ძვრების საერთო პროცესს, თვითეული მათგანი ისტორიული შემობრუნების წინაშე იდგა. ქართველი ხალხი ამ დროისათვის უკვე ეზიარა რუსი ხალხის მოწინავე მატერიალური და სულიერი კულტურის საუნჯეებს. იგი მტკიცედ დაირაზმა და შემჭიდროვდა დიდი რუსი ხალხის გარშემო. ქართველი საზოგადოებრიობის კონსოლიდაციის ეს პროცესი მეტად თავისებურად და სხვადასხვა არხით მიიმართებოდა. საქართველოს ფეოდალური არისტოკრატიული წოდება, თავადები და აზნაურები, ხელისუფლების მიერ ყოველგვარი პრივილეგიებითა და მატერიალური სიკეთით მომადლიერებული, თითქოს „ივიწყებს" რუსეთის მთავრობის მიერ ძველად მიყენებულ „შეურაცხყოფას". „რუსული წესებისადმი" უნდობლობისა და მტრობის გრძნობა, რომლითაც წინათ ქართველი არისტოკრატის გარკვეული წრეები იყენენ გამსჭვალულნი, იცვლება ერთგულ-ქვეშევრდომული გრძნობით. ქართველ თავადაზნაურთა შორის წარმატებით ინერგება მეფის ტახტისადმი, რუსული კანონებისა და ადათ-წესებისადმი მოკრძალების, პირმოთნეობის და შემგუებლობის სულისკვეთება.

მეორე მხრით, ამ პერიოდისათვის, ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილი, მშრომელი მასები ორგანულად დაუახლოვდენ დიდი რუსი ხალხის პროგრესულ ძალებს, მჭიდროდ

დაუკავშირეს მათ საკუთარი ბედი, თავისი აწმყო და ჭეშმარიტი მის გიგანტურ ბრძოლას უკეთესი მერმისისათვის.

კავკასიის მეფისნაცვლის პოსტზე მ. ს. ვორონცოვის დანიშვნა დაემთხვა საქართველოში შექმნილ სრულიად თავისებურ ვითარებას. ამიტომ ვორონცოვის სახელს დაუკავშირდა რუსეთის თვითმპყრობელობის პოლიტიკის გარკვეული მობრუნება მხარეში. თავადი ვორონცოვის მეფისნაცვლობის პერიოდი შეიძლება ჩაითვალოს ლირსშესანიშნავ ეტაპად საქართველოს XIX საუკუნის ისტორიაში. „ყველა მეფისნაცვალი მანამდე და მის შემდეგ იჩრდილება მის წინაშე"[1], — წერს რ. ა. ფადეევი. ფადეევის ეს სიტყვები, განსაზღვრული აზრით, უდავოდ შეიცავს ჭეშმარიტების ელემენტებს.

ვეხებით რა ვორონცოვის პოლიტიკას, ცხადია, უნდა ვიგულისხმოთ მეფის მთავრობის საერთო პოლიტიკური ხაზი ამიერკავკასიაში და არა ვორონცოვის ვიწრო პირადი, სუბიექტური ტენდენციები.

მეფის 1844 წ. 27 ნოემბრის ბრძანებაში მ. ს. ვორონცოვი დანიშნა კავკასიის მეფისნაცვლად და კავკასიის ცალკე კორპუსის მთავარსარდლად. ამასთან იგი აღჭურვილი იქნა განუსაზღვრელი უფლებით ქვეყნის მართვის საქმეში.

როგორც ცნობილია, ამიერკავკასიის მხარის მმართველობის 1840 წელს დაწესებული სისტემით მთავარმართებელს მიენიჭა იმპერიის გუბერნიების გენერალ-გუბერნატორის თანაბარი უფლებები და ფუნქციები, ადგილობრივი მმართველობის სხვადასხვა დარგები და ცალკეული უწყებები დაექვემდებარა სათანადო სამინისტროებს. თავადი ვორონცოვის კავკასიის მეფისნაცვლად დანიშვნით საქართველოსა და ამიერკავკასიის მმართველობის ყველა ნაწილი და დარგი ამოღებულ იქნა სამინისტროთა უწყებიდან და უშუალოდ მეფისნაცვალს დაექვემდებარა; მასვე მიენიჭა უფლება ადგილზე გადაეწყვიტა ყველა საქმე, რომელსაც წინათ საიმპერიო მი-

---

[1] Р. А. Фадеев, Шестьдесят лет Кавказской войны (Письма с Кавказа), 1889, т. 1, стр. 24.

ნისტრები წყვეტდნენ. 1845 წლის 30 იანვრის სამეფო რესკრიპტში ვორონცოვის მისამართით ნათქვამი იყო: „დაგიბრუნებ
ოთ რა თქვენ კავკასიაში ჯარების მთავარსარდლის ხელმძ
თან ერთად მხარის სამოქალაქო ნაწილის მთავარი ხელმძღვა-
ნელობაც ჩემი მოადგილის ხარისხით, საჭიროდ ჩავთვალე
სამსახურის სასარგებლოდ გავაძლიერო უფლებანი, რომელ-
ნიც აქამდე სამოქალაქო ნაწილის მთავარმმართველს ჰქონდა
მიცემული, ამიტომ აღმჭურვილი სრული ნდობით თქვენი პი-
როვნებისადმი ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. კავკასიის სამოქალაქო მმართველობის საერთო შემად-
გენლობას შეუერთდეს კავკასიის ოლქიც და ამ საფუძველზე,
კავკასიის საოლქო ხელმძღვანელობამ ყველა საქმეზე, რომე-
ლიც მის ხელისუფლებას ეკუთვნება, სამინისტროსადმი მიუ-
მართავად, თქვენ მოგმართონ...

2. თქვენ ნება გეძლევათ ადგილზევე გადაწყვიტოთ ყველა
საქმე, რომელიც აქამდე, არსებული წესის მიხედვით, კავკა-
სიის მხარის მთავარ სამმართველოსაგან გადასაწყვეტად სამი-
ნისტროებს წარედგინებოდა.

3. ამიერკავკასიის მხარის სამოქალაქო სამმართველოს
უფროსი იქნება თქვენს ნაცვლად შედმივ თავმჯდომარედ
მთავარმმართველობის საბჭოში. თქვენ განსაზღვრავთ ადგილ-
ზე, თუ სახელდობრ რომელი საქმეები შეიძლება გადაწყვი-
ტოს თვით საბჭომ და რა საქმეების გადასაწყვეტად უნდა
ითხოვოს მან თქვენი ნებართვა.

4. გარდა ამისა, თქვენ ნება გეძლევათ, როცა საჭიროდ
დაინახავთ, მიიღოთ ადგილზე შექმნილი ვითარების შესაფე-
რი ყველა საჭირო ზომა, და მომახსენოთ პირდაპირ მე, რო-
გორც თქვენი მოქმედების, ისე იმ მიზეზების შესახებაც,
რომლებმაც თქვენი მოქმედება გამოიწვიოს"[1].

მეფისნაცვლის წოდების შემოღება, თავადი ვორონცოვის „უსაზღვრო ნდობით" და უფლებებით აღჭურვა იმ დროისა-

---

[1] АКАК, т. X, стр. 2.

თვის სრულებით უპრეცედენტო იყო. ეს გამოწვეული იყო განსაკუთრებული ვითარებით, რომელიც იმ დროს საქართველოსა და ამიერკავკასიაში შეიქმნა. მხარის მართვის ყველა სფეროში თავად ვორონცოვს მიენიჭა საიმპერიო მინისტრების ძალაუფლება და უფლებამოსილება. მალე მინისტრების ყოველგვარი ჩარევა ადგილობრივ საქმეში, გარდა ფინანსთა მინისტრისა, მთლიანად შეწყდა, მათ განკარგულებებს ამიერიდან ანგარიშს აღარავინ უწევდა.

ახალი მმართველის წინაშე მდგარი ამოცანები საკმაოდ ცხადი იყო. მეფის მთავრობამ, თავისი ადრინდელი ტლანქი ნაციონალურ-კოლონიზატორული პრაქტიკით, ანტიხალხური უხეში დესპოტური მართვის ხერხებით მიზანს ვერ მიაღწია. გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ მმართველობის სამხედრო-დესპოტური მეთოდებით შორს წასვლა შეუძლებელი იყო. საჭირო იყო მოქმედების ტაქტიკის შეცვლა და მოსახლეობის სხვადასხვა ფენების მიმართ შემდგომი სისტემატური, ფრთხილი და მოქნილი ზემოქმედების მეთოდის გამოყენება. საკითხი ეხებოდა ცარისტული პოლიტიკის არა რაიმე პრინციპულ ცვლილებას, არამედ იმას, რომ შეცვლილიყო ალიარებული პოლიტიკის მარტოოდენ ფორმა და მეთოდები რუსიფიკატორული მიზნების უფრო ეფექტურად მიღწევისათვის. ამრიგად, მოწოდებული იყო რა განეხორციელებინა მემკვიდრეობითი, ძველი ნაცადი პოლიტიკური კურსი, თავად ვორონცოვს ევალებოდა გამოეძებნა, შეერჩია, გამოეცადა მართვა-გამგეობის ახალი გზები და საშუალებანი. „მას, — წერს ისტორიკოსი ივანენკო ვორონცოვის მისიის გამო, — კარგად ესმოდა, რომ რუსეთის მთავარი ინტერესები იმ დროისათვის მდგომარეობდა მხოლოდ იმაში, რომ ეს ახალი ქვეშევრდომები ურღვევი კვანძებით შემოეკავშირებინა, მიეღწია იმისათვის, რომ დაეიწყებინათ თავისი ტომი, მთავრობა და მის ნაცვლად შეეყვარებინა რუსეთის მონარქის მწყალობელი და მზრუნველი ხელი; დაერწმუნებინა ადგილობრივი ხალხი იმაში, რომ მათი ბედნიერება და სიკეთე ის იქნება, თუ ისინი უკუაგდებენ ფუჭს, განუხორციელებელ ოცნებას და ისე შე-

ეთვისებიან თავის დედინაცვალს როგორც საკუთარ ჭეშმარიტ დედას"[1].

ამ ამოცანის განხორციელებისათვის თავადი ვორონცოვი საჭიროდ თვლიდა, უწინარეს ყოვლისა, შეეცვალა დამოკიდებულება ადგილობრივ მოსახლეობასთან. გრაფ სოლოგუბის სიტყვებით, ვორონცოვს სწამდა, რომ „ხიშტებით შეიძლება წინ წასვლა, მაგრამ ხიშტებზე ჯდომა შეუძლებელია"[2].

მეფისნაცვლის ვორონცოვის მოღვაწეობის ხასიათს ჩვენს ქვეყანაში კარგად ასახავს მისი მოხსენება ნიკოლოზ პირველისადმი: „ყოველგვარი ცვლილება და ყოველგვარი სიახლე, რომელიც ცვლის საუკუნეობრივ წესებს, საერთოდ, მეტისმეტად ძნელია, მეტადრე აქაურ მხარეში. ამიტომაც საჭიროა მსგავს შემთხვევაში დიდი სიფრთხილით მოქმედება. იძულებითი ზომები ერა თუ სიკეთეს არ მოიტანს, არამედ შეიძლება მათ ძალიან ცუდი შედეგებიც მოჰყვეს"[3], ეცნობი რა ლონისძიებებსა და კანონებს, რომლებიც შედარებით მოკლე დროში გატარდა ვორონცოვის მთავარმმართველობის დროს, ადვილად დარწმუნდებით, რომ მან დიდი ენერგია და ძალ-ღონე შეალია საქართველოსა და ამიერკავკასიის რუსეთის იმპერიასთან სრული შერწყმის საქმეს, სამეურნეო ცხოვრებისა და მაღალი წოდების კულტურის ღონის რამდენადმე ამაღლების საქმეს[4]. მსგავს ღონისძიებებს, მეფისნაცვლის მიზანდასახულობის მიუხედავად, ობიექტურად არ შეეძლო არ მოეხდინა დადებითი გავლენა მხარის საერთო მდგომარეობასა და განვითარებაზე.

კავკასიის მხარეში მოღვაწეობის პერიოდში (1845 — 1854 წწ.) ვორონცოვი, წინამორბედთაგან განსხვავებით, ძალიან მოხერხებულად და ელასტიურად ახორციელებდა თა-

---

[1] В. Н. Иваненко, „Гражданское Управление Закавказья", 1901, стр. 348.

[2] საქართველოს ლიტ. მუზეუმი, ხელნაწ. ფ. № 2019, ფ. 7.

[3] АКАК, т. X, стр. 843.

[4] Отчет М. С. Воронцова за 1845—1851 гг. и его всеподданнейший рапорт от 22 сентября 1852 г; АКАК, т. X, стр. 875—904. ср. ПСЗРИ, т. т. XX—XXX.

ვის ღრმად მოფიქრებულ პროგრამას. იგი თანმიმდევრობით ახდენდა ქვეყნის მმართველობის გარდაქმნას. უმაღლესი და-ადგილობრივი მართვაგამგეობის ორგანიზაციის, აგრეთვე ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ-სტრუქტურული მოწესრიგების ხაზით გატარებულ იქნა საჭირო რეორგანიზაცია და მნიშვნელოვანი ცვლილებები. თუ 1840 წლის დებულებით ამიერკავკასია იყოფოდა საქართველო-იმერეთის გუბერნიად და ყასპიის ოლქად, მ. ვორონცოვმა იგი პირველად 4 გუბერნიად დაპყო (თბილისის, ქუთაისის, შემახიის და დერბენდის)[1]. რომელთაგან შემდეგ გამოიყო მეხუთე (ერევნის) გუბერნია[2]. ქვეყნის ასეთი ადმინისტრაციული დაყოფა დასაბუთებული იყო არა მარტო გუბერნიის ხელისუფლებისა და სასამართლოსადმი მოსახლეობის დაახლოების მიზანშეწონილობით, არამედ, აგრეთვე, სურვილით — შეექმნათ რაც შეიძლება მსხვილი ცენტრები, რომლებსაც შეეძლებოდათ „საამსახური გაეწიათ განათლებისა და კულტურის გავრცელების საქმეში"[3].

მის მიერ გატარებულ ადმინისტრაციულ რეფორმებს ვორონცოვმა საფუძვლად დაუდო როგორც გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ნიშნები, ისე საზოგადოების გაბატონებული წრეების ეკონომიური ინტერესები, რის შედეგად მალე თვალსაჩინო ეფექტს მიაღწია[4].

ვორონცოვმა გაატარა აგრეთვე მნიშვნელოვანი ღონისძიებები ყველაზე აშკარა „უკანონობისა" და თვითნებობის აღმოსაფხვრელად, შეებრძოლა თანამდებობის პირთა შორის გავრცელებულ სხვადასხვა ბოროტმოქმედებისა და მტაცებლობის ეპიდემიას. იგი ვარაუდობდა, რომ უკანონობა და მექრთამეობა მოსახლეობის თვალში სახელს უტეხს მეფის ადმინისტრაციას, უნდობლობას ბადებს სახელმწიფო მოხელეებისადმი და ხელს უშლის მთავრობის პოლიტიკის წარმატებით გატარებას, აბრკოლებს საქართველოსა და ამიერკავკასიის შერწყმას რუსეთის იმპერიასთან.

---

[1] см. В. Н. Иваненко, „гражд. Упровл.", Указ, от 14 декабря 1846 г.

[2] Указ, от 9 июня 1849 г.

[3] Указ, от 9 июня 1849 г.

[4] АКАК, т: X, стр. 883.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის მოხსენებაში მეფისადმი მ. ვორონცოვი ხატოვანად ჩვეულებრივ ალნიშნავდა რუს მოხელეთა კონტინგენტის უხეირო შერჩევასა და გამოყენების პრაქტიკას. „ამიერკავკასიის მხარის მართვის დაწყების შემდეგ მე განცვიფრებული ვიყავი, — წერდა ვორონცოვი, — სხვადასხვა უწყების იმ მოხელეთა სიმრავლით, რომლებიც ადგილსა და თანამდებობებს ეძებდნენ. 1840 წ., ამიერკავკასიის მხარის გარდაქმნის დროს... რუსეთიდან გამოწვეულ იქნენ მოხელეები. დროის სიმცირე და მათი აუცილებელი საჭიროება შეუძლებელს ხდიდა მკაცრი ყურადღება მიქცეოდა მოხელეთა შერჩევას. ამის გამო საბელმწიფო დაწესებულებანი აივსო ისეთი ადამიანებით, რომ მთავრობამ საჭიროდ მიიჩნია საშსახურიდან გაეთავისუფლებია ისინი. ამისგან დამოუკიდებლად, ყოველდღიურად იზრდება ადგილობრივ მკვიდრთა რიცხვი, რომელთაც განათლება მიუღიათ გიმნაზიებსა და რუსეთის სხვა სასწავლო დაწესებულებებში და, რომლებიც ცდილობენ ადგილის მიღებას. მხედველობაში მაქვს რა ეს გარემოებანი, მე განკარგულება გავეცი, განსაკუთრებული საჭიროების გარეშე არ ხდებოდეს მოხელეთა გამოწვევა რუსეთიდან"[2]. ვორონცოვის სწორედ ამდაგვარმა ზომებმა შემდეგში საბაბი მისცა დიდმპყრობლურ დერეფანმორდებს „ემხილებინათ" ვორონცოვი ისეთ „მომაკვდინებელ დანაშაულში" როგორიცაა: „ადგილობრივ მცხოვრებლებისადმი მიკერძოება", „ქართველოფილობა" და სხვ.[3].

---

[1] ვორონცოვისათვის ცნობილი იყო ის ფაქტი, რომ რუსეთიდან საქართველოში ხვეულებრივ იგზავნებოდნენ რეპუტაცია შელახული მოხელეები, რომელთაც ერეკებოდნენ ცენტრალური ქალაქების დაწესებულებებიდან და, რომელნიც ითვლებოდნენ გამოუსწორებელ მიფერაცტებად ან ხაზინის ტვირთად, ეწოდნენ მეკრთამეობას და ლოთობას.

[2] АКАК, т. X, стр. 843.

[3] ბელეკ შიშკოვი ერმოლოვისადმი გაგზავნილ წერილში თავის თავს „უბედურ მწირად" თვლის, რომელიც ბედმა „არაკეთილმოსურნე საქართველოს ნაპირებზე" გარიყა. შიშკოვი დაუზოგავად ესხმის თავს ვორონცოვს, რომელსაც იგი „რუსებისაგან განდგომილად" მიიჩნია. მისი აზრით „ყველა ადგილობრივი მცხოვრები, რომელთაც თავადი მფარველობს და სწადია მათი ტალახიდან ამოთრევა, ბაინც უხეში და გაუნათ-

ყოველმხრივ იზიდავდა და ახალისებდა რა რუსეთის კაბინეტსა და რუს მეწარმეებს ამიერკავკასიის მხარეში, თავადმა ვორონცოვმა ძალიან ბევრი გააკეთა აგრეთვე აღმოსავლეთ პირთა კერძო სამეურნეო ინიციატივისა და წამოწყების გაღვივების საქმეში. განსაკუთრებით აქტიურად და ერთგულად უჭერდა იგი მხარს თავისუფალ ვაჭრობას.

დამახასიათებელია, რომ 1843 წელს, ე. ი. ორა წლით ადრე თავადი ვორონცოვის კავკასიაში მეფისნაცვლად დანიშვნამდე, ფინანსთა სამინისტროს მოხელე, გაგემეისტერი საფუძვლიანად აკრიტიკებდა აგრძალვითის სატარიფო სისტემას, რომელიც მეფის მთავრობამ 1831 წელს დააწესა. ამბობდა რა 1831 წლის სატარიფო სისტემის ნაკლს, რამაც რუსეთის ვაჭრობა ირანსა და ამიერკავკასიაში დიდად დააქვეითა, ფინანსისტი გაგემეისტერი თავის წერილში აღნიშნავდა, რომ მისი მიზანი იყო საქართველოსა და მთელ ამიერკავკასიაში რუსეთის ისეთი კოლონიის შექმნა, რომელიც ნედლეულით მოამარაგებდა მის სამრეწველო საწარმოებს. „ეს მიზანი, — წერდა ავტორი, — სხვაგვარად არ შეიძლება მიღწეულ იქნას, თუ არა ხელოვნური საშუალებებით. ამიტომ, ნაცვლად იმისა, რომ მხარეს ბუნებრივი გზით განვითარების საშუალება მისცემოდა, იგი გადააქცევს პოლიტიკურ და სამრეწველო საცდელ ფერმად...., გადაწყვეტს კავკასიის მხარე რუსეთის კოლონიად გადაექცეთ".[1] ამიერკავკასიაში მყოფ მეფის ბიუროკრატთა არაგონიერი და საშიში მოქმედების წინააღმდეგ მიმართულ მეფის ჩინოვნიკთა ამ პირველ „კეთილგონიერულ ხმას" ხელი ჩასჭიდა მ. ვორონცოვმა და მის მიერ დასახული

ლებელნი რჩებიან, ბოლის ყაჩაღებადაც იქცევიან და თავისივე თანამემამულეებს ძარცვავენ". იგი მოთქვამს თავის ხვედრზე და აცხადებს, რომ ალარ შეუძლია კვლავ დარჩეს საქართველოში; იგი თავის გადაწყვეტილებას იმით ასაბუთებს, რომ სურს განთავისუფლდეს ყველა აქტური ფილანტროპიული იდეებისა და „მაღალგონიერი" შეხედულებებისაგან". იხ. Центральный Государственный исторический архив, Москва, (იხ. ქვემოთ შემოკლებით ЦГИАМ), д. № 89, л. 16—17.

[1] ციტირებულია მ. კ. როდკოვის ნაშრომიდან. იხ. Историч. записки АН СССР, 1946, № 18, стр. 105.

პროგრამის შესაბამისად შეეცადა პრაქტიკული მოღვაწეობისა
საგნად გაეხადა იგი.

მეფისნაცვალი საქართველოში აქტიურად იზიდავდა რუს ვაჭრებსა და მეწარმეებს, აარსებდა მათთვის სხვადასხვა კომპანიებსა და კორპორაციებს.

1847 წელს თავადი ვორონცოვის მხარდაჭერით რუსი მეფაბრიკეებისა და მექარხნეებისგან დაფუძნებულ იქნა საა-ქციო კომპანია „რუსეთის მანუფაქტურული კომპანიების ამიერკავკასიის დეპო". ცნობილი რუსი მრეწველები[1] ბაშბის, შალისა და აბრეშუმის მანუფაქტურების, თუჯის, ბრონეულისა და მინის ქარხნების მფლობელნი თბილისში აარსებენ თავიანთ საცალო მაღაზიებს. 1848 წელს წარმატებით დაიწყო მოქმედება თბილისში მეორე საავაჭრო კომპანიის კანტორამ „ამიერკავკასიის საბითუმო ვაჭრობის საზოგადოების" სახელწოდებით, რომელსაც ასულდგმულებდნენ მოსკოვისა და ივანოვოს მეფაბრიკეები. საქართველოში წარმოიშვა მრავალრიცხოვანი ბაზრები. წვრილი სახელოსნოებისა და კუსტარული სარეწაოების გვერდით, ჩნდება საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის პირველი კერები. 1850 წელს თბილისში გაიხსნა მექანიკური და თუჯჩამოსასხმელი ქარხნები.

ვორონცოვი ზრუნავდა ქვეყანაში ახალი გზების გაყვანაზე, ძველი საავაჭრო გზების გაუმჯობესებაზე, მდ. მტკვარისა და თერგზე ხიდების მოწყობაზე, ჩდინარე მტკვარზე, შავსა და კასპიის ზღვებზე გემთმიმოსვლის სწორ ორგანიზაციაზე და სხვ. ვორონცოვმა მიაღწია იმას, რომ ერთი მხრით მეტიდროდ და საქმიანად დაკავშირა ამიერკავკასიის ქალაქები და ოლქები ერთმანეთთან, მეორე მხრით კი — საქართველო, და

---

[1] რუსი მეფაბრიკეების მიერ თბილისში საავაჭრო დეპოს დაწესების შესახებ აქტს ხელი მოაწერეს ისეთმა გამოჩენილმა რუსმა ვაჭარ-მრეწველებმა, როგორიც იყვნენ მოსკოვის პირველი გილდიის ვაჭარი და კალაჯარი სიმონ ლეპეშკინი; ვაჭარი და მეფაბრიკე ივანე ბარანოვი, მოსკოვის პირველი გილდის ვაჭრები და მეფაბრიკეები ნ. კ. და ი. პროხოროვები; მანუფაქტურის მრჩეველი კასილ ესაბეევი; მეფაბრიკე მიხეილ ზოლოგინი, პირველი გილდიის ვაჭარი ივანე მალცევი და სხვა(АКАК, т. X, стр. 189, იხ. ეფროსი მდივნის ვრანჩენკოს 1847 წლის 18 ივნისის მიმართვა თავ. ვორონცოვისადმი და მისი დანართი).

საერთოდ ამიერკავკასია მთელ რუსეთთან და განსაკუთრებით, მის დიდ ქალაქებთან.

რუსეთთან ამ მჭიდრო კავშირ-ურთიერთობის შედეგად გამოწვეული ჩვენი ქვეყნის საერთო ეკონომიური პროგრესი ქალაქების ზრდა-განვითარება და მოსახლეობის რიცხვობრივი მატება, საბაზრო ურთიერთობათა განვითარება კეთილმყოფელ კვალს ამჩნევდა ქართულ სოფელს და სოფლის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას.

მ. ვორონცოვი ზრუნავდა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. კავკასიის მიწების გამოკვლევის გატარების შემდეგ, იგი ღებულობს ზომებს მსხვილი მემამულური ლატიფუნდიების აღდგენისა და მათი ახლებურად მოწყობისათვის. მ. ს. ვორონცოვის მიერ 1850 წელს დაარსებული „ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება" მოწოდებული იყო ხელი შეეწყო მეწარმეთათვის ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანების შეძენისა და გამოყენების საქმეში, თესლის ახალი ჯიშების გავრცელებაში, სოფლის მეურნეობაში გაუმჯობესებული აგროტექნიკის დანერგვაში, მეცნიერული ცოდნის გავრცელებასა და მის პრაქტიკაში გამოყენებისათვის. დრო და დრო ეწყობოდა სასოფლო სამეურნეო გამოფენები. ასეთი და სხვა ამგვარი ღონისძიებანი სოფლის მცხოვრებთ ითრევდა ახალი სამეურნეო ურთიერთობის ფერხულში. სამეურნეო საქმიანობის გარკვეული კულტურული ფორმები თანდათანობით იკაფავდა გზას საქართველოს სოფელში. 60-იანი წლების დასაწყისში სასოფლო-სამეურნეო გაზეთი „გუთნის დედა" ყურადღებას ამახვილებდა სოფლად ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანებით მომარაგებაზე და სხვ. კორესპონდენტები წერდნენ ახალი ტიპის მიწათმოქმედი ფერმერების გაჩენის შესახებ, რომელთაც თავიანთი მეურნეობა მოაწყვეს კაპიტალისტურ საწყისებზე. აგრეთვე იუწყებოდნენ, რომ როგორც თბილისში, ისე მის გარეთ ეწყობა ახალი ფაბრიკები და ქარხნები, რომლებიც „არ შეარცხვენდნენ ევროპის ქვეყნებსაც კი"[1].

ეგრეთწოდებული „პრიკაზის" დაწესებით ვორონცოვმა

---

[1] „გუთნის დედა", 1863, № 1.

მემამულეებს მისცა „ფულის შოვნის“ შესაძლებლობა, რაც აუცილებელი იყო ფუფუნების საგნებისა და რუსეთის ფაბრიკა-რიკებისა და ქარხნების პროდუქციის შესასყიდად. მთელი ეს წამოწყება ემსახურებოდა როგორც რუსეთის მრეწველობისათვის გასაღების ბაზრის გაფართოების მიზნებს, ისე სასაქონლო ფულადი ბრუნვის დაჩქარებას, ობიექტურად კი ამიერკავკასიის ხალხების რუსეთთან უფრო მჭიდროდ დაახლოებასა და კონსოლიდაციის ამოცანებს.

მიუხედავად იმისა, რომ სასაქონლო-ფულადი მიმოქცევის სფეროში ჯერ კიდევ ქართველთა ეროვნული ბვედრითი წილი უმნიშვნელო იყო, ეკონომიური განვითარების რკინის კანონმა საქართველოში მაინც გაიკვლია თავისი ისტორიული საქმე. მსოფლიო სავაჭრო კაპიტალისტური კავშირების სისტემაში საქართველოსა და ამიერკავკასიის ჩაბმისა და მისი ეკონომიური ცხოვრების განვითარების ტემპებს კარგად ახასიათებს შემდეგი ციფრობრივი მონაცემები: შემოტანილი და გატანილი საქონლის საერთო ღირებულება 1822 წელს შეადგენდა 1289108 მანეთს; 1830 წელს — 3092084 მანეთს; 1836 წელს — 4252954 მანეთს; 1840 წ. — 5941998 მანეთს; 1860 წელს — 7368084 მანეთს; 1870 წელს — 15388718 მანეთს[1].

უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით გურიასა და სამეგრელოში, სასაქონლო ფულადი ურთიერთობა განვითარდა გაცილებით უფრო სწრაფად, ვიდრე ქვეყნის სხვა რაიონებში. ერთი რუსი ოფიცრის სიტყვით, XIX საუკუნის 40-იან წლებში „გურიაში ბევრია თურქეთისა და რუსეთის ქვეშევრდომები, რომლებიც იქ მუდმივად ცხოვრობენ და ვაჭრობას ეწევიან, — მოსახლეობას ვაჭრობის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია... იგი (ვაჭრობა) გაძლიერდა მას შემდეგ, რაც უცანასკნელ წლებში ტრაპიზონში შეიქმნა ინგლისის კომპანიები, რომლებმაც თავიანთი ფაქტორიები გაიჩი-

---

[1] Н. Шавров, „Обзор производительных сил Кавказского наместничества“, 1880, стр. 343, ср. „Кавказский календарь“ за 1879 г. стр. 3, 42, 45.

ნეს ბათუმში, ე. ი. ჩვენი საზღვრიდან 30 ვერსის დაშორებით"[1].

მ. ვორონცოვის მეფისნაცვლობის დროს საქართველოში ტარდება მთელი რიგი ღონისძიებები მაღალი წოდების განათლებისა და კულტურის დონის ამაღლების მიზნით. იხსნება სასწავლებლები ქართველ არისტოკრატთა შვილებისათვის. ადგილობრივ თავადაზნაურულ — ინტელიგენციის ფართოდ გაეხსნა გზა ცენტრალური უმაღლესი სასწავლებლისაკენ. თბილისში იხსნება საჯარო ბიბლიოთეკა, არსდება ახალი სტამბა და გამოსვლას იწყებს „ცისკარი", „კავკაზი" და „კავკასიის კალენდარი". ამ წლებში თბილისში აშენდა თეატრის შშვენიერი შენობა, სადაც, იტალიური საოპერო დასის გვერდით, დიდი წარმატებით დგამდნენ თავის წარმოდგენებს ქართველ და რუს მსახიობთა პროფესიონალური ჯგუფები. ვორონცოვის დროს შეიქმნა „გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება", შედგენილ იქნა ტოპოგრაფიული რუკები და გამოანგარიშებული იქნა განსხვავება კასპიისა და შავი ზღვის დონეს შორის.

მეფისნაცვალმა ყურადღება მიიქცია ჯანმრთელობის დაცვის საქმესაც. მისი შუამდგომლობით 1847 წელს კავკასიაში მოვლინებულ იქნა სახელმოხვეჭილი რუსი ჭირურგი პიროგოვი.

თავისთავად ცხადია, რომ მ. ს. ვორონცოვის მთელი პრაქტიკული მოღვაწეობა მკაფიოდ გამოხატავდა მეფის თვითმპყრობელობის საერთო რუსიფიკატორულ პოლიტიკას „ინოროდცებისადმი", მაგრამ აღებული კურსი ობიექტურ — ისტორიულად უდაოდ უპასუხებდა საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის საერთო ინტერესებს, პროგრესის ამოცანებს.

ძნელი დასანახი როდია, რომ კერძო სამეურნეო ინიციატივისათვის ხელის შეწყობა და ფაბრიკა-ქარხნების მსგავსი საწარმოების გაჩენა, გზების გაყვანა და ცალკეული სამეურნეო ობიექტების ერთმანეთთან დაკავშირება, საგარეო ვაჭრობის ზრდა, სოფლის-მეურნეობის მანქანა-იარაღებით რაბდენადმე აღჭურვა და სხვ. ხელს უწყობდა ნატურალურ — კარჩაკეტი-

[1] ციტირებულია გ. ვ. ხაჭაპურიძის ნაშრომის მიხედვით. იხ. მისი „Очерки", стр. 35.

ლი მეურნეობის რღვევასა და კაპიტალისტურ ურთიერთობათა წარმოქმნას, მიიგს აძლევდა ქვეყნის საწარმოთა [illegible] შემდგომ განვითარებას.

უდავოა, რომ სასწავლებლებისა და კულტურული დაწესებულების მომრავლება, ახალგაზრდობისათვის რუსეთის ცენტრალური ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებისაკენ გზის გახსნა, ადგილობრივ პერიოდულ გამოცემათა გაჩენა, ქართული და რუსული თეატრები და სხვ. მაღლა წევდა ხალხის კულტურული განვითარების დონეს.

თავისთავად ცხადია, რომ მეფისნაცვალი, უწინარეს ყოვლისა, მოწოდებული იყო მტკიცედ გაეტარებინა ცარიზმის პოლიტიკური ხაზი, შეესრულებინა რუსეთის მეფის, ნიკოლოზ პირველის „ნაკაზი", რომელმაც იგი უმაღლესი ნდობით, განსაზღვრული უფლებებით აღჭურვა. ვორონცოვი, უწინარეს ყოვლისა, მოწოდებული იყო „რწმენითა და სიმართლით" სამსახური გაეწია მეფის რუსეთისა და რუსულ იარაღისათვის. მასზე დაკისრებულ მისიას მეფისნაცვალი წარმატებით ასრულებდა. გასაგებია ისიც, რომ თვით ვორონცოვი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა ქართველი თავადაზნაურობის მიმართ, რომელიც ძირითად დასაყრდენად მიიჩნდა. ეს თავისი დროისათვის საკმაოდ კანონზომიერი მოვლენა იყო.

რას წარმოადგენდა ქართველი საზოგადოებრიობა XIX საუკუნის პირველ ნახევარში? ცნობილია, რომ თვითეულ ისტორიულ ეპოქაში საზოგადოებრივი წყობილების ფიზიონომიას განსაზღვრავს მატერიალური დოვლათის წარმოების წესი. როგორიც არის წარმოების წესი, ისეთივეა თვით საზოგადოება, მისი იდეები და დაწესებულებანი. მაგრამ, როგორც მარქსიზმი გვასწავლის, რაკი წარმოების მთავარ ძალას მატერიალური დოვლათის მწარმოებლები, მშრომელები წარმოადგენენ, საზოგადოების ისტორია, უწინარეს ყოვლისა, არის თვით მშრომელი მასების ისტორია, ხალხთა ისტორია. ხალხთა მასები, ახორციელებენ რა მატერიალური დოვლათის წარმოებას, ამით უზრუნველყოფენ საზოგადოების ცხოვრებას, მის განვითარებას. მაგრამ, ცნობილია ისიც, რომ ყველა ექსპლოატატორულ საზოგადოებაში ხალხს მხოლოდ მატერია-

ლური დოვლათის მწარმოებლის როლი აქვს მიკუთვნებული. პოლიტიკური ბატონობა, ხელმძღვანელი და წამყვანი როლი ანტაგონისტური ფორმაციის ყველა სფეროში ექსპლოატატორებს ეკუთვნის.

აქედან გასაგებია დიდი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის გულისტკივილი იმის შესახებ, რომ „ჩვენი" ქართლის ცხოვრება" ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა[1].

სწორედ ამ ჭეშმარიტებას, კერძოდ იმ ფაქტს, რომ ექსპლოატატორულ საზოგადოებაში ადგილი აქვს ფართო მასების, მშრომელი ხალხის ნამდვილი როლის მიჩქმალვას, მათ განრიდებას საზოგადოებრივი ცხოვრების ავანსცენიდან, არა ერთხელ აღნიშნავდნენ ხაზგასმით მარქსიზმის კლასიკოსები.

როგორც აღნიშნული იყო, ქართველი თავადაზნაურობა მეფის მთავრობის ხელშეწყობით თავიდანვე სარგებლობდა მრავალნაირი პრივილეგიებითა და უპირატესობით. მაგრამ ვორონცოვის მოსვლამდე, მაღალი წოდების წარმომადგენელთა დიდი უმრავლესობისათვის ბევრი რამ საეჭვო და გაუგებარი იყო. რუს მოხელეთა მოქმედება მათ შორის ეჭვსა და უნდობლობას ბადებდა, რომელიც დროდადრო მტრობაში გადადიოდა.

მ. ვორონცოვმა კარგად გაითვალისწინა ქართველი „ქეთილშობილი წოდების" მნიშვნელობა რუსეთის ტახტისათვის და მტკიცედ გადაწყვიტა ადგილობრივი თავადაზნაურობის „მოშინაურება". მან მიზნად დაისახა შეეცვალა მისი პოლიტიკური მრწამსი და ორიენტაცია, საბოლოოდ განეფინტა ქართული სამეფო ტახტის რეტავრაციის უნიადაგო ოცნება.

ვორონცოვი მიხვდა, რომ ამის განხორციელებისათვის საჭირო იყო შეუდრეკელი და თანმიმდევრული, მაგრამ ამავე დროს მოქნილი და ფრთხილი სისტემატური მოქმედება. პასკევიჩის პოლიტიკისაგან განსხვავებით, იგი თვლიდა, რომ რუსეთის თვითმპყრობელობის ინტერესებისათვის უკეთესია ადგილობრივი ელემენტების არა იზოლირება, არამედ მათი კიდევ უფრო დაახლოება ხელისუფლებასთან, არა ხელის კერა, არამედ ქართველი თავადაზნაურობის სამხედრო და სახელ-

---

1 ი. ჭავჭავაძე, ნაწერების კრებული, ტ. V, 1927, გვ. 201.

მწიფო სამსახურსა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში ფართოდ მიზიდვა. მისი აზრით, იმისათვის, რომ ქართველი თავადაზნაურობა მჭიდროდ მიეჯაჭვა რუსეთთან და ისინი თვითმპყრობელური რეჟიმის საიმედო დასაყრდენად გადეხადა, აუცილებელი იყო მათთან უადრესად ფიქიხი დანოკიდებულება, მიალერსება და კომპრომისებზე წასვლა. ვორონცოვი ამ მხრივ მეტად ორიგინალური „თეორიის" ანვითარებდა: „ყველგან, სადაც ხალხი მოქალაქეობრიობის დაბალ საფეხურზე იმყოფება, — სწერდა ის სამხედრო მინისტრ ჩერნიშევს, — მთავრობისათვის შეუდარებლად ძნელია იმოქმედოს მთელ მასებზე, ვიდრე ერთ წოდებაზე, რომელიც შედარებით უფრო განათლებულია და, მაშასადამე, მეტი გავლენით სარგებლობს... აქ კი (კავკასიაში — ე. ბ.), ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობის გამო, უფრო მეტი სიძნელეები არსებობს. ამიტომაც საჭიროა არათუ ხელვყოთ მაღალი წოდების უფლებები, არამედ მთელი ძალღონით უნდა ვეცადოთ მათ დაცვას; მხოლოდ არისტოკრატიულ საწყისებს შეუძლია დაბლიოს ის დემოკრატიული მიმართულება, რომელიც ერთობ განვითარდა და ღრმად გაიდგა თავისი ფესვები დაღესტანში და რომლის წინააღმდეგ, საბოლოოდ, დღემდე, გარდა იარაღისა, არავითარი სხვა საშუალება არ ყოფილა დაპირისპირებული[1].

მ. ვორონცოვმა დაიწყო იმით, რომ გენერალი ლადინსკი ჩამოაცილა სამოქალაქო ნაწილის სამმართველოს უფროსის თანამდებობას და მის ადგილზე თავადი ვ. ო. ბებუთოვი დანიშნა. მეფისნაცვალმა ანგარიში გაუწია იმას, რომ ქართველი მეფეების დროს თბილისის „ქალაქისთავის" თანამდებობა მემკვიდრეობით ეკუთვნოდა თავადი ბებუთოვის ჩამომავალთ. ვორონცოვი აგრეთვე ვარაუდობდა, რომ ბებუთოვის პიროვნება, ერთი მხრით, „თბილისელი სომხების პატიმოყვარეობას ეამებოდა", ხოლო მეორე მხრით, „ქართველი არისტოკრატია ამაში დაინახავდა მეფის (ქართველი მეფის — ე. ბ.) მმართველობის წესების აღდგენას"[2]. ქართველი მაღალი არისტოკრა-

---

[1] АКАК. т. X, стр. 7.

[2] „Русская старина", 1877, кн. III стр. 233. ვ. ო. ბებუთოვი, რომელიც ცნობილი, გაქარიელებული სომები იყო.

ტების გულის მოსაგებად, ვორონცოვმა მიიღწია აგრეთვე თბილისის სამხედრო გუბერნატორად ერეკლე II-ის შვილიშვილის გენერალ-მაიორის თავად ივანე მალხაზის-ძე ანდრონიკაშვილის დანიშვნას, რომელიც იმ დროს პატიოსან და პირდაპირ ადამიანად ითვლებოდა, აგრეთვე გამოირჩეოდა თავისი ბუნებრივი ნიჭითა და საქმეთა სიმამაცით.

საერთოდ ქართველი თავადაზნაურებისადმი ყურადღების გაძლიერებაზე და კერძოდ იმერეთისა და გურიის მაღალი წოდების მდგომარეობის გაუმჯობესებასა და უფლებების განმტკიცებაზე ვორონცოვის ზრუნვას თვალსაჩინოდ მოწმობდა ის ფაქტიც, რომ მისი ხელშეწყობით თბილისის თავადაზნაურთა მაგალითისამებრ იმერეთისა და გურიის თავადაზნაურობამ 1850 წელს შექმნა ქუთაისის თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებული [1].

მ. ვორონცოვი იძულებული გახდა ჩაეტარებინა ქართველი თავადებისა და აზნაურების წოდებრივი უფლებების შემოწმება და მათი ამ უფლებებში ხელახლად დამტკიცება. სიყალბისა და ფალსიფიკაციის გამოვლინებასთან დაკავშირებით ეს საკითხი მთავრობისათვის ერთობ საჩოთირო, თანაც დიდმნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ქართველი თავადაზნაურობის უფლებების განსაზღვრის საკითხის გამო დ. ყიფიანი გადმოგვცემს: „წინათ, ქართლ-კახეთსა ან იმერეთში დინასტიურ მეფეს არ შეეძლო პირადად არ სცოდნოდა თავისი თავადები და აზნაურები, შეუძლებელია არ არსებულიყო, სხვათა შორის, ეთიკეტიც, რაც მცირე არისტოკრატიულ საზოგადოებებს ახასიათებს. ამიტომ თავადაზნაურობის წერილობით საბუთებზე ჩვენს ქვეყანაში არას დროს არ უნდა აღძრულიყო ლაპარაკი. მაგრამ გარემოებანი შეიცვალა, ჩვენი მეფე ახლა სრულიად რუსეთის იმპერატორია, რომელსაც არ შეუძლია პირადად იცნობდეს ყველა თავის თავადსა და აზნაურს. საქართველოს თავადაზნაურთ ავტორიტეტულად განუმარტეს, რომ პეტერბურგში სენატის გეროლდიის წინაშე ვინც ვერ დამტკიცებდა სადეპუტატო საკრებულოს მეშვეობით თავის თავადობას ან აზნაურობის ღირსების უფლებას, ის მოხარკე წოდებაში

[1] ПСЗРИ, II, т. XXV, № 204, стр. 707.

ოქნებოდა გადარიცხული. ეს საშინელ საფრთხედ გადაიქცა მათთვის. შეეცადნენ თავიდან აეცილებინათ საფრთხე, რა საშუალებითაც არ უნდა ყოფილიყო და აამუშავეს ყოველი ღონისძიება: თხოვნები თუ ფული, რაც კი გააჩნდათ, ძველებური ოქროსი თუ ვერცხლის საამქაელი ოქროსა, ოღონდ კი როგორმე მიეღოთ წერილობითი საბუთი; და აი გამოჩნდა გაყვითლებული დოკუმენტები; გაანეითარდა ბოროტმოქმედებანი და ფალსიფიკაციები"[1].

სიყალბისა და ფალსიფიკაციის მთელი ეს ისტორია, რომელიც ჯერ კიდევ ერმოლოვის დროს დაიწყო, თვით ვორონცოვამდე გრძელდებოდა და ბოლოს, მეფისნაცვალმა ვორონცოვმა ნიკოლოზ I-თან პირადად შეხვედრისას ვოზნესენსკში 1846 წელს შეძლო ამ საკითხის ადგილობრივ თავადაზნაურთა სასარგებლოდ გადაწყვეტა. 1850 წელს საბოლოოდ იქნა მიღებული დადგენილება იმის შესახებ, თუ ვინ მიეკუთვნებოდა ამ მაღალ წოდებას, დამტკიცებულ იქნა თავადაზნაურთა წოდებრივი უფლება-პრივილეგიები[2].

ვორონცოვმა 1846 წელს მიიღწია უმაღლესი რესკრიპტის გამოცემას, რომლითაც ძლიერდებოდა ხანების საგვარეულოს, ალების, ბეგების და მელიქების წოდებრივ-ქონებრივი უფლებები ამიერკავკასიის, მაჰმადიანურ, თურქულ და სომხურ დისტანციებში (პროვინციებში). „აუცილებელია დაუბრუნდეს ალებსა და ბეგებს, — წერდა თავადი ვორონცოვი მეფეს. — შეცდომით და ჩვენთვის დიდად საზიანოდ მათთვის ჩამორთმეული მიწები"[3].

მთელი რიგი კანონების ძალით, რომლებიც ვორონცოვის მეფისნაცვლობის პერიოდში გამოიცა[4], მაჰმადიანმა და სომეხმა უმაღლესმა წოდებამ მიიღო მსხვილი მიწის საკუთრება. ამ პერიოდში ამიერკავკასიაში მომხდარ ძვრებში ფრიად მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენდა ისიც, რომ სომეხი და მაჰ-

---

[1] დიმიტრი უიფაანი, მემუარები, თბილისი, 1930, გვ. 30—31.

[2] АКАК, т. X, стр. 17.

[3] Тамже.

[4] Царский манифест от 6 декабря 1846 г., законы от 20 апреля 1847 г., от 23 декабря 1847 г., от 8 декабря 1851 г.

მადიანი გლეხების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ამ დრო-მდე „თავისუფალი მოსახლეობის“ კატეგორიას ეკუთვნოდა, ვორონცოვის „ლოცვა-კურთხევით“ მებატონეებს დაუქვემდებარეს და ყმებად გადააქცეს. ამ პროვინციების ქვედა ფენები, საქართველოს და სხვა საქრისტიანო ოლქების გლეხობის მსგავსად, ამიერიდან გადაიქცნენ გაუგონარი ექსპლოატაციისა და აღვირახსნილი ძარცვის ობიექტად.

მაჰმადიანური არისტოკრატიის მიმართ ვორონცოვის მიერ გატარებულმა პოლიტიკამ დაუყოვნებლივ გამოიღო თავისი ნაყოფი. მომადლიერებული აღებისა და ბეგების მთელი წოლება 1853 — 1856 წწ. ყირიმის ომის ყველაზე კრიტიკულ დღეებში ერთსულოვნად აღსდგა მეფის რუსეთის დასაცავად. მაჰმადიანური არისტოკრატია აქტიურად ჩაება რუსეთის მტრების საწინააღმდეგო ბრძოლაში.

ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი თავის მემუარებში მიუთითებს, რომ მეფისნაცვლის მიერ მომადლიერებული ბეგები და აღალარები 1853 — 1856 წწ. ომში აქტიურად იცავდნენ ქრისტიანულ რუსეთის და იბრძოდნენ ერთმორწმუნე თურქების წინააღმდეგ[1].

მაგრამ, ცნობილია, რომ 1853 — 1856 წწ. სამამართ მოქმედებებში უფრო ცხოველმყოფელი მონაწილეობა მიიღო აზერბაიჯანის მშრომელმა მოსახლეობამ. მშრომელი მაჰმადიანობა მჭიდროდ დეირაზმა რუსი ხალხის გარშემო და ქართველ და სომეხ ხალხებთან, რუს ჯარისკაცებთან ხელიხელჩაკიდებული სამკვდრო-სასიცოცხლო ომს აწარმოებდა თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ. მაჰმადიანურ დისტანციებში უდიდესი წარმატებით მიმდინარეობდა კავკასიის ქვეითი და ცხენოსანი მილიციის შეკრება. კრახი განიცადა თურქეთისა და ინგლის-საფრანგეთის აგენტების მრავალგზის ცდებმა — მოეწყოთ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ანტირუსული გამოსვლები და აჯანყებები. სხვადასხვა სამხედრო ჯილდოები, რომლებიც ომის წლებში უხვად ერგოთ აზერბაიჯანელ მეომრებს, თვალსაჩინოდ მეტყველებდა აზერბაიჯანელი ხალხის დიდ დამსახუ-

---

[1] დ. ყიფიანი, მემუარები, თბილისი, 1930, გვ. 62.

რებაზე ყირიმის ომის წლებში, მის მაღალ საბრძოლო ღირსებასა და გმირულ თავდადებაზე[1].

თავადმა ვორონცოვმა ყურადღება მიაქცია ქართველ შებატონეთა და გლეხთა ურთიერთდამოკიდებულების მოწესრიგების საკითხს. მეფისნაცვალი საქართველოში წოდებათა შორის ურთიერთობის საკითხს ისე, როგორც ყველაფერს, თავისი მონარქისტული თვალთახედვით უდგებოდა. „საქართველოში, ისევე როგორც რუსეთში, — წერდა ის თავის პატაკში, — თავადაზნაურობის ბატონყმური უფლება გლეხებზე ძველიდანვე არის დაწესებული; მაგრამ აქ თავადაზნაურთა უფლებას აქვს უფრო ფეოდალური თვისებები, ვიდრე ბატონყმური. ძველი დროის ველური ადათების მეოხებით შეძლებული თავადების უფლებები იმდენად განუსაზღვრელი იყო, რომ ხშირად გლეხის თვით არსებობას ემუქრებოდა. რუსული მმართველობის შემოღებით ასეთი უფლებები და ჩვეულები დაუყოვნებლივ იქნა მოსპობილი“[2].

სოციალური პოლიტიკის დარგში ვორონცოვმა მემამულეებისა და გლეხობის ურთიერთდამოკიდებულება ძირითადად რუსული კანონების ტრაფარეტით განსაზღვრა. ამავე დროს იგი ცდილობდა „ანგარიში გაეწია“ ადგილობრივი ადათ-წესებისათვისაც. მეფისნაცვლის ღონისძიებანი მთლიანად უპასუხებდა გაბატონებული კლასების ინტერესებს, კიდევ უფრო აძლიერებდა მშრომელთა ჩაგვრას, ამძიმებდა მათ ექსპლოატაციის უღელს[3].

მეფისნაცვალი მოთმინებით და გეგმაზომიერად განაგრძობდა ცენტრალური მთავრობის გეზის გატარებას, არ ზოგავდა თავის ძალებსა და ორგანიზატორულ ნიჭს ქართველი არისტოკრატიის უფლებებისა და პრივილეგიების დაცვისა და განმტკიცებისათვის, საზოგადოების მაღალი სოციალური ფენების კიდევ უფრო ამაღლებისა და კონსოლიდაციისათვის. იგი

[1] დოკუმენტები და მასალები ყირიმის ომში აზერბაიჯანელი ხალხის მონაწილეობის შესახებ. АКАК, т. XI, №№ 508, 610, 643, 648; т. XII, № 319, Газ. „Кавказ“, 1853, № 63, 1854 г. № 79, 1855 г. №№ 6, 12, 75, 79, 81, 82, 83, 88, 89.

[2] АКАК, т. X, стр. 379, 878.

[3] АКАК, т. X, стр. 25—26, 37, 40—45.

საკმაო ალლოს და ინტერესს იჩენდა აგრეთვე ალმაცალი კლასის, ადგილობრივი ახალგაზრდა ბურჟუაზიის, მიმართულ ცდილობდა მისი პოზიციების განმტკიცებას.

გასწორია რა მშრომელი გლეხობა მემამულეთა საძიძგნად, მეფის მთავრობა ყოველნაირად ცდილობდა ძირშივე ჩაეკლა და ჩაეხშო ყმა-გლეხების პროტესტები და ანტიფეოდალური მოქმედებანი. ადგილობრივი ადმინისტრაცია ფხიზლად ადევნებდა თვალყურს ყმა-გლეხობის ყოველგვარ „საეჭვო" მოქმედებას. საბოლოო ევზეკუციას დაავალეს მკაცრად გასწორებოდნენ ყველას, ვინც გაბედავდა მთავრობის განკარგულების დარღვევას[1]. გარდა იმ განუსაზღვრელი უფლებამოსილებისა, რომლითაც ეორონცოვი აღიჭურვა, მას დამატებით მიენიჭა ისეთი დესპოტური უფლებები, როგორც იყო, მაგალითად: 1) „ცუდი საქციელის მქონე აზიელების" უვადოდ გაგზავნა რუსეთის შიდა გუბერნიებში პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ; 2) „ყოფაქცევაში სახელგატეხილ მკვიდრთა" სასამართლოს გარეშე 5 წლით პატიმართა ასეულებში გაგზავნა; 3) „ადგილობრივ უფროსების უშუალო შეხედულებისამებრ" ანა თუ ის პირის ჩარიცხვა უვადო პატიმართა ასეულებში და სხვ.[2].

ეორონცოვის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა, როგორც აღნიშნული იყო, გარკვეული კლასობრივი მიზანსწრაფვით იყო გამსჭვალული. უწინარეს ყოვლისა მეფისნაცვალმა შეამდგომლობა აღძრა, რათა გაეფართოებინათ „საპატიო ოჯახების" ახალგაზრდობის რიცხვი, რომლებიც მოსკოვისა და პეტერბურგის სასწავლებლებში უნდა გაგზავნილიყო საბელმწიფოს ხარჯზე. „1843 წლიდან თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის უმაღლესი წესის შესაბამისად, — წერდა ეორონცოვი ნიკოლოზ პირველს, — ორივე დედაქალაქის ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში საბელმწიფო ხარჯზე იზრდებოდა რამდენიმე ახალგაზრდა, რომლებიც ამ ქვეყნის მკვიდრნი არიან. თქვენმა იმპერატორობითი უდიდებულესობამ

---

[1] ი. ჯაგანიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 31.

[2] ПСЗРИ, II, 1844, № 17, 652а; т. XXIII, № 22547, т. XXV, № 24321.

ინება კადეტთა კორპუსებში გურიის თავადაზნაურობის ბავშვთა ალსაზრდელად დაეტკიცებია 10 ვაკანტური ადგილი ოცდაათიდან, რომელიც ამიერკავკასიის სამეფო ოჯახებისათვის გამოიყო.

მე ვთხოვე სამხედრო მინისტრს, ეშუამდგომლა თქვენს წინაშე, ზემოთ აღნიშნულის გარდა, საუკეთესო გვარებიდან კიდევ 10 მცირეწლოვანი იმერელი ბავშვის კადეტთა კორპუსში გაგზავნის შესახებ"[1].

ვორონცოვის სახელთან არის დაკავშირებული უმაღლესი წოდების მკვიდრთა სისტემატურად გაგზავნა დედაქალაქის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, თბილისის გიმნაზიის, ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტისა და თბილისის „წმინდა ნინოს" სასწავლებლის შექმნა, სკოლების დაარსება ოსების, თუშებისა და ხევსურებისათვის, მთელი რიგი სასკოლო შენობების აგება და სხვ.[2].

საჭიროა აღინიშნოს, რომ ვორონცოვის მიერ საქართველოსა და მთელს ამიერკავკასიის მხარეში მოფიქრებულად გატარებული პოლიტიკა თვალსაჩინო წარმატებით დაგვირგვინდა. მის მთავარ „დამსახურებას" წარმოადგენს ქართველი თავადაზნაურულ-ფეოდალური წოდების მტკიცედ დარაზმვა მეფის რუსეთის მთავრობის ირგვლივ. თავისი მოქნილი რუსიფიკატორული პოლიტიკის მეთხებით ვორონცოვმა შეძლო ღრმად ჩაენერგა საზოგადოების მაღალი ფენისათვის ერთგულ-ქვეშევრდომული გრძნობები, მტკიცედ დაეკავშირებინა ქართველი თავადაზნაურობა მეფის თანამპყრობელობასთან. მეორე მხრით, ასევე ელასტიური და შემპარავი პოლიტიკით მან შესძლო გლეხთა მასების ერთგვარი დეზორიენტირება, მოსალოდნელი მღელვარების ჩაქრობა. მაგრამ ეს დროებითი და გარდამავალი მოვლენა იყო.

---

[1] АКАК, т. X, стр. 855.

[2] ვორონცოვის ოფიციალური მოხსენების თანახმად, ამ სკოლების წინაშე იდგა ამოცანა „ამ ნახევრად ველურ მცხოვრებთა ბავშვები აღეზარდა ქრისტიანული ღვთისმოსავობის სულისკვეთებით, ჩაენერგათ მათში პატრიოტიზმი—ერთგულება ჩვენი მთავრობისადმი, იხ. АКАК, т. X стр. 855—856.

ამიერკავკასიაში ვორონცოვის მმართველობის სისტემის მეტად საინტერესო დახასიათებას, რომელიც მისი მოღვაწეობის პირველ პერიოდს ეხება, ჩვენ ვპოულობთ იმდროინდელ პეტერბურგის გაზეთის ერთ-ერთი კორესპონდენტის წერილში: „ვორონცოვის მმართველობა ძალიან მკაცრია, — წერს ის, — მე ძალიან ვტყუვდებოდი ამ დიდად თავაზიანი თავადის შეფასებაში ვიდრე მას ახლოს გავიცნობდი. მე არ შემეძლო მეფიქრა, რომ მას აქ მთელი ხელისუფლება რკინის ხელებში ეჭირა.

მიუდგომელმა მეთვალყურემ უნდა აღიაროს მისი დამსახურება იმაში, რომ იგი ოსტატურად შეუდგა საქმეს... თავისი საამმართველოს ყოველი ნაწილი მას ხელში უჭირავს, Sfrongly in hand, როგორც ინგლისელები იტყვიან; მან ყველას აგრძნობინა, რომ იგი აქ სრული მბრძანებელია და შიშთან ერთად ყველას მისდამი სიყვარულიც ჩაუნერგა"[1].

დახასიათების ავტორს რამდენადმე სწორად შეუცვნია ვორონცოვის მოქნილი და შემპარავი მოღვაწეობის არსი, მიმხვდარა, რომ გარეგნულად „თავაზიანი თავადი" არსებითად რკინის ხელით ახორციელებდა თავის პოლიტიკას. მაგრამ, ცხადია, უცხოელ ავტორს არ სურდა და არც შეეძლო ჩაწვდომოდა მეფისნაცვლის პოლიტიკის სოციალურ არსს, გაეგო მისი მთელი მოღვაწეობის ქვესაფუძველი და მიზანდასახულობა.

ვორონცოვის მმართველობის სისტემის შეფასებაში საინტერესოა ავრეთვე მეორე უცხოელი აგენტის, ომერ-ფაშას ინგლისელი მრჩეველის ლაურენს ოლიფანტის დაკვირვება. იგი ცდილობდა პასუხი გაეცა იმ ჰეშმარიტებისათვის, თუ რით უნდა აიხსნას ქართველების დარაზმულობა, ნდობა და სიყვარული რუსეთისადმი, ზიზღი, მტრობა და შეურიგებლობა გარეშე დამპყრობლების — თურქეთისა და ინგლის-საფრანგეთისადმი.

„საქართველოში არსებული მშვიდობიანი ვითარების ნამდვილი საიდუმლოება, — წერდა იგი თავის დღიურებში 1855

---

[1] ЦГИАЛ, კავკასიის კომიტეტის ფონდი. № 268, აღწ. 8, საქმე 348-ბ. ფურცელი 1—2.

წელს, — უნდა ვეძიოთ თავად ვორონცოვის საგანმანათლებლო პოლიტიკაში. მისი ხანგრძლივი მმართველობა, მისი პოლიტიკა — შეერიგებინა ადგილობრივი მოსახლეობა ამოსკოვის მთავრობასთან, წარმატებით დაგვირგვინდა. მან ხელი შეუწყო ქვეყნის რესურსების განვითარებას. ამ პროვინციის (ლაპარაკია საქართველოზე — ე. ბ.) მაგალითი ნათელყოფს თავად ვორონცოვის მმართველობის სისტემის კეთილსასურველ გავლენას, რომელსაც რუსეთის იმპერიაში ბადალი არ მოეპოვება"[1]. ლ. ოლიფანტმა სწორად გაიგო ვორონცოვის პოლიტიკის ძირითადი მიზანი — ადგილობრივი თავადაზნაურობის დაახლოება და შერწყმა მეფის ხელისუფლებასთან.

ვორონცოვის ადმინისტრაციულ-სამეურნეო საქმიანობას ალტაცებაში მოჰყავდა ქვეყნის გაბატონებული წრეების დიდი უმრავლესობა. მეფისნაცვლის საქმეებით კიდევ უფრო ალფრთოვანებულნი იყვნენ პეტერბურგის ხელისუფლების მადალი მოხელეები.

ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია კავკასიაში და კერძოდ საქართველოში ვორონცოვის მოღვაწეობისა და ამ მოღვაწეობის შედეგების შესახებ ვალაპარაკოთ თვით მისი თანამედროვენი, თვალითმნახველნი და ამბების უშუალო მონაწილენი. ამ ვხრივ საინტერესოა სამხედრო ისტორიკოსის დე-საცეს „ჩანაწერები".

„კავკასიაში საზოგადოებრივი ცხოვრება, — წერდა ის 1855 წელს, — უფრო და უფრო ვითარდება; ჩვენ გვაქვს თეატრი, ოპერა, შეკრებილობა, ჟურნალები და საჯარო ბიბლიოთეკა. გზის უშიშროება და ფოსტის მოწყობა იძლევა იმპერიის შიდა ქალაქთან მოხერხებული კავშირის შესაძლებლობას. შავი ზღვით ვაჭრობა ჩვენ დასავლეთთან გვაახლოებს.

მაგრამ ყველაზე მეტად ჩვენ განცვიფრებული ვართ საქართველოში ცივილიზაციის წარმატებებით. თბილისი, ეს ქალაქი, რომლის მოსახლეობა ნახევარი საუკუნის უკან ლეკების, თურქებისა და სპარსელების შიშით თრთოდა, რომელშიც

---

[1] L. Oliffant, Jbidem, p. 193.

ანიერ ქოხმახებს დუქნები ამშვენებდა, ეს თბილისი ახლა მიმზიდველი რუსული ქალაქი გახდა, საუცხოო ნაგებობებით და ხეივნებით, მტკვარზე ჩინებული ხიდით. ქართველი ხალხი ხელმწიფის ერთგულია. თავადაზნაურთა შორის ჩვენ უკვე ვხვდებით ჩვენი მამაცი არმიის რიგებში გმირობით განთქმულ სახელებს. ახალი თაობა უმთავრესად იზრდება კორპუსებსა, გიმნაზიებსა და უნივერსიტეტებში. მრეწველთა კლასი შედგება არა საკოდავ მედუქნეებისაგან, იგი უკვე მდიდართა, განათლებულ სოვდაგართა კლასია. რა ჯადოქრულ ძალას შეეძლო მოეხდინა ასეთი საოცარი გადატრიალება და ისიც ასე ჩოქლე დროში? აქ, უდავოდ, მთელი თავისი სისრულით გამოვლინდა თავადი ვორონცოვის ადმინისტრაციული ნიჭი. მან მოიცვა ქვეყნის ყველა მხარე, როგორც მატერიალური, ისე სულიერი. ერთის მხრივ, სოფლის მეურნეობა, სამშენებლო ხელოვნება, მიმოსვლის საშუალებანი, ვაჭრობა, მეორეს მხრივ — ყურადღება ქართველი თავადაზნაურობისადმი, რომელთაც იგი აქეზებდა სამხედრო სამსახურისადმი, აძლევდა მათ საშუალებას აღზრდილიყვნენ ჩვენს სასწავლებლებში, საიდანაც გამოდიოდა როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო განათლებით აღჭურვილი ახალი თაობა. კავკასიას უკვე აქვს თავისი გეოგრაფიული საზოგადოება, თავისი ობსერვატორია... სოფლის მეურნეობა, განსაკუთრებით წინ წავიდა მეცხვარეობა, მეაბრეშუმეობა, ფართო მასშტაბით ვითარდება თევზის სარეწი, მეღვინეობა, თამბაქო, ენდრო... კავკასიის მთის წიაღს შეეხო სამთომადნო საქმე, ხოლო ალაგირის ქარხანა უკვე იძლევა მნიშვნელოვანი ოდენობის სპილენძსა და ტყვიას. პირველად ბევრი ეჭვისა და დაეჭვების საგანი იყო მტკვარზე გემით მიმოსვლის საქმე. ახლა კი კარჭაპები მიხვეჩურის გადასასვლელამდე მიცურავენ. ნუთუ საჭიროა ვილაპარაკოთ იმ ხიდების სარგებლობაზე, რომლებიც მოწყობილია ჩვენს მოწინავე ხაზებზე, მთავარ გზებსა და მტკვარზე.

მე მხოლოდ ზოგადად მიმოვიხილე თავადი ვორონცოვის მოღვაწეობა, — ძაკვნის დეტალები, — თავის დროზე მიუდგომელი ისტორიკოსი, შეასწავლის რა ამ შესანიშნავი დროის მასალებს, დაინახავს, როგორ ნაყოფიერად ემსახურებოდა ინპე-

რატორსა და რუსეთს ჩვენი იარაღის ღირსების საქმეს, კავკასიაში 74 წლის მეფისნაცვალი“ [1].

დე-საჟეს მსგავსად საქართველოსა და ამიერკავკასიაში თავად ვორონცოვის მოღვაწეობას დიდ შეფასებას აძლევდა სოლოგუბიც. მისი სიტყვით თბილისი, რომელიც ჯერ კიდევ 30-იან წლებში როგორც გარეგნულად, ისე ხალხის ყოფა-ცხოვრების ხასიათის მიხედვით ტიპიურად აზიური ქალაქების რიცხვს მიეკუთვნებოდა, 50-იანი წლების დასაწყისში, მეფისნაცვლის ჰეცადინეობის წყალობით, ძირფესვიანად გარდაიქმნა. „ქოხმახებს შორის, — წერდა იგი, — 1851 წლის აპრილში თამაშევის შენობაში გაიხსნა ახალი თეატრი, მტკვრის ხრამიან ნაპირზე სწრაფად იხრდება ლამაზი შენობები, შენდება ეკლესიები, ბობოქარ მდინარეზე იგება ქვის ხიდები, სწორდება მოედნები, ჩნდება მთელი რიგი ბულვარები, მთელი უბნები, ყოველ დღეს ახალ-ახალი წარმატება მოაქვს. ახლა ერთ წელიწადში მეტი კეთდება, ვიდრე წინათ მთელს საუკუნეში კეთდებოდა. ამასთან უწყვეტ მოძრაობაში ფართოვდება მხარის გონებრივი მოთხოვნილებანიც, ნათლდება მისი ყოველდღიური ყოფა...

ერევნის მოედანზე აიგო მშვენიერი შენობა დუქნების თითი იარუსით. ეს შენობა... შეიცავს თეატრს. მრეწველობამ და ხელოვნებამ ხელიხელ ჩაჭიდებული დაიწყო თანაცხოვრება, — მრეწველობა ხელს უწყობს ხელოვნებას, ამიტომ იყო, რომ თეატრი დუქნების ხარჯზე იქნა აგებული. ვაჭრობა და ესთეტიკური დატკბობა ერთად შეერთებულა ამ ახლად წარმოქმნილი განათლების ტაძარში“ [2].

ვორონცოვის მოღვაწეობის ამ გაზვიადებულ ხოტბასა და ქებადიდებას რომ თავი დავანებოთ, მაინც შეუძლებელია არ დავინახოთ ის გიგანტური პროგრესული შედეგები, რაც მოყვა რუსეთთან საქართველოს შეერთებას და რომელიც ობიექტურად ასე მკაფიოდ გამოვლინდა რეფორმამდელ საქართველოში ვორონცოვის მმართველობის პერიოდში. დიდი რუსეთის მფარველობით ქვეყანამ არა მარტო მშვიდობა და

---

[1] АКАК, т. XI, стр. 450—451.
[2] ი ბ ი დ ., გვ. 897—898.

უმიშროება მოიპოვა, იგი ამასთანავე სწრაფად წავიდა ალბერ-
ძინების გზით — აშენდა და დაშენდა მისი ქალაქები, 1836 წ.
საკუთრებით თბილისი, გაუმჯობესდა მიმოსვლის საშუალებანი, განვითარდა ქვეყნის საწარმოო ძალები, ფართოდ გაიშალა აღებმიცემობა, კომერციული საქმიანობა, სამრეწველო მოღვაწეობა, შედარებით ამაღლდა ხალხის კულტურული დონე.

1851 წლის დასასრულს თბილისში მყოფი დიდი რუსი მწერალი ლევ ტოლსტოი ერგოლსკაიას სწერდა: „თბილისი ძალზე ცივილიზებული ქალაქია. იგი ძალიან ჰგავს პეტერბურგს და კიდეეაც აღწევს მიზანს. არის რუსული თეატრი და იტალიური ოპერა, რომლებითაც მე ვეაინტერესებ"[1].

ცნობილი ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა თავის მოგზაურობის დროს პირადი შთაბეჭდილებების აღწერისას წარმოგვიდგენს რეფორმამდელი პერიოდის დასასრულის თბილისის საინტერესო სურათებს. საყურადღებოა დიუმას მიერ თბილისის ქარვასლის აღწერა. „ეს ქარვასლა, — გადმოგვცემს დიუმა, — წარმოადგენს საინტერესო სანახაობას. მის ყველა ალაყაფის კარებში შედიან და გამოდიან აქლემებით, ცხენებით და ვირებით აღმოსავლეთისა და ჩრდილო-ევროპის ყველა ერის წარმომადგენლები — თურქები, სომხები, სპარსები, არაბები, ინდოელები, ჩინელები, კალმიკები, თურქმენები, თათრები, ჩერქეზები, ქართველები, მეგრელები, ციმბირელები და ღმერთმა იცის კიდევ ვინ. თვითეულს თავისი კოსტუმი აქვს, თავისი იარაღი, თავისი ხასიათი და თავისი ფიზიონომია, განსაკუთრებით კი თავისი ენა"[2]. იმდროინდელი თბილისი, მნახველების გადმოცემით, ყოველმხრივ შეცვლილი და განვითარებული გამოიყურება: უკვე აღარ მოსჩანს ნაპირებზე ღობეებ გავლებული ვიწრო და მრუდე ქუჩები, ისინი შეუცვლია შედარებით უფრო განიერსა და სწორ ქუჩებს: და ფასადებს, დაუნგრევიათ მთელი რიგი ძველი სახლები და ჭოხმახეპიანი უბნები,—მათ ადგილზე აუშენებიათ

[1] იხ. ა. გაწერელია, ლ. ტოლსტოი, ომი და მშვიდობა, 1940.

[2] А. Дюма. Кавказ, изд. II, 1860, стр. 443.

ახალი, სრულიად თანამედროვე სახლები[1]. ერთი სიტყვით, საქართველოს დედაქალაქში ცხოვრება მთელი ძალით სწევდა.

განსაკუთრებული დიდი წარმატებით დაგვირგვინდა მეფისნაცვლის ძირითადი მისია: მან დაამშვიდა ქართველი არისტოკრატია, მოახდინა თავადაზნაურთა ძალების კონსოლიდაცია, ალუდგინა მათ რწმენა მეფის რუსეთისადმი, გაღვივა მათში ერთგულებისა და სიყვარულის გრძნობა რუსეთის მონარქისადმი, ამავე დროს საზოგადოების წამყვანი ძალები ახალი ორიენტაციით წარმართა, შეამჟიდროვა ქვეყანა საიმპერიო დროშის გარშემო.

მ. ს. ვორონცოვის ენერგიული მისწრაფების ნამდვილი ტრიუმფი იყო პირველი უქვეშევრდომილესი მიმართვა, რომელიც მაღალი პათოსით მიიღო ქართველმა თავადაზნაურობამ 1848 წლის 24 აპრილს. ქართველი თავადაზნაურობის ანალოგიური მიმართვები რუსეთის იმპერატორისადმი არა ერთგზის განმეორებულა შემდეგშიც, სხვადასხვა ფორმებსა და ვარიანტებში, განსაკუთრებით ყირიმის ომის წლებში. გამოთქვამდა რა თავის ერთგულ ქვეშევრდომულ გრძნობებს რუსი გვირგვინოსნის წინაშე, ქართველი თავადები და აზნაურები თავის საზეიმო მიმართვაში წერდნენ: „ჩვენ, ქართველები, ნაშიერნი ძველი ქრისტიანული ხალხისა, გარშემორტყმულნი ჩვენდამი მტრულად განწყობილი ხალხებით, — დიდხანს, მრავალი საუკუნის განმავლობაში ვებრძოდით მათ ჩვენს საზღვრებზე და მხოლოდ ამ საუკუნის დასაწყისში გველირსა დამშვიდება რუსეთის მფარველობის ქვეშ. თუ ჩვენ გადაკურჩით მძიმე, ხანგრძლივ გამოცდას და შევინარჩუნეთ ისეთივე მტკიცე რწმენა, როგორიც გვიანდერძეს ჩვენმა წინაპრებმა საქართველოს მეფობის საუკეთესო დროს, თუ ჩვენ ხელი არ ავიღეთ მართლმადიდებლობიდან, თუ ჩვენ შევინარჩუნეთ ჩვენი კეთილშობილება და კეთილი სახელი, — ყველა ჩვენთაგანისათვის ნათელია, რომ ამით ჩვენ დავალებული ვართ თვითმპყრობელობისა და ხელისუფლების ერთმმართველობისაგან... ახლა ჩვენ ვსარგებლობთ სრული

[1] АКАК, т. XII, стр. 1334.

საშინაო მყუდროებით, მშვიდად ვეწევით ჩვენს საოჯახო საქმეებს, მტერთან ვიბრძვით არა ჩვენს სახლში, არამედ მათ მიწაწყალზე, ჩვენ ვზრდით ჩვენს შვილებს და როდი გვაშინებს, არაფერ გვახარებს კიდეც მათი მომავალი; ჩვენმა მართლმადიდებლობამ, ჩვენმა საერთო ცხოვრებამ დიდი ხანია არ იცის საშიშროება. რამ მიგვიყვანა ჩვენ აქამდე? ქრისტიანულ სამყაროში მართლმადიდებელისა და დიდი მონარქიის თვითმპყრობელობამ და ერთმმართველობამ... დღე არ გაიელის, რომ ყოველმა ჩვენთაგანმა არ დაინახოს ჩვენი რუსთელმწიფის ჩვენზე მაღალი ზრუნვის დამამტკიცებელი საბუთი; დღე არ გაიელის რომ ჩვენი კეთილდღეობისათვის არ დაიღვაროს რუსის სისხლი, გრძნობითა და საკუთარ ეროვნებით ჩვენი ძველი ძმების სისხლი; ყოველი ჩვენთაგანი გრძნობს ჩვენი რუსი თვითმპყრობელი მონარქისა და მთელი მისი უფლებისა სახლობის სუფთა, წმინდა სიყვარულსა და გულწრფელ ერთგულებას. ჩვენი სიკეთე მეფის გულშია... ჩვენ ვგრძნობთ ყველა ამას...»[1] ეს იყო ქართველი თავადაზნაურობის წარმომადგენელთა პირველი პოლიტიკური დეკლარაცია, პირველი პოლიტიკური დოკუმენტი, რომელიც ასახავდა მათი ჭეშმარიტად ერთგულებისა და სიყვარულის გრძნობებსა და მისწრაფებას რუსეთის თვითმპყრობელობის მიმართ.

საქართველოში საქმის ამგვარი კეთილმყოფელური შემობრუნებით უაღრესად კმაყოფილმა ნიკოლოზ I მისთვის მირთმეულ მიმართვას საკუთარი ხელით დაწერა: „გულწრფელი მადლობა კეთილშობილური გრძნობებისათვის". მეფე ზეიმობდა. ზეიმობდა ქართველი თავადაზნაურობაც. მაგრამ საზეიმო განწყობილებას ყველაზე მეტად და ყველაზე ძლიერად განიცდიდა თვით ვორონცოვი, რომელმაც თავისი ხანგრძლივი შრომის პირველი და მწიფე ნაყოფი მოიმკა.

ქართველ ფეოდალთა ძირითადი მასა უსიტყვოდ იდგა რუსეთის მეფისა და ვორონცოვის მხარეზე. მაგრამ ფეოდალური წოდების ძველ გვარეულობაში გამოირჩეოდნენ ისე-

[1] АКАК, т. X, стр. 26 (№ 29).

თებიც, რომელთაც არ სურდათ ფარხმალი დაეყარათ და ისევ განაგრძობდნენ რუსეთის მთავრობისადმი მტრულ მოქმედებებზე დგომას. მათ შორის ყველაზე თვალსაჩინო ფიგურა-ყოფილ თავადი ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი. მის ჩანაწერებში, რომელიც საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში ინახება, ვორონცოვის მოღვაწეობის დახასიათება მოცემულია ბუქი სალებავებით, მაგრამ მართებულად. ძველი ბაგრატიონთა დინასტიის ქედმოუხრელი თაყვანისმცემელი და გულშემატკივარი ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი დიუზოგავად ესხმოდა თავს მეფისნაცვალს, ამხილებდა მის პირმოთნეობასა და მელაქუდობას. „მის მიზანს, საბოლოო ანგარიშში, — წერდა იგი, — ქართველთა მოტყუება და გაბრიყვება წარმოადგენსო". მისი აზრით, თუ ძველი მთავარმმართველები ჩვენ უფრო დესპოტური სისასტიკით გვაწამებდნენ, ან გვატყუებდნენ, თავადი ვორონცოვი იმასვე სიბოროტის უფრო მოქნილად, გაიძვერულად და „კარგი საქმეებით": ჩინ-მედლებისა და ჯილდოების გაცემით, ალერსით, გ. ერისთავის კომედიების დადგმით, ყურნალ „ცისკრის" გამოცემით და სხვ. ნამდვილად კი მეფისნაცვლის მთელი პოლიტიკის დეფეაირსს თვალთმაქცობა და ვერაგობა წარმოადგენსო. მეორე მხრით, ჯამბაკურ-ორბელიანი შეუბრალებლად კიცხავდა ის ქართველობას, რომლებიც „თავად ვორონცოვის გაიძვერული გამარუსებელი პოლიტიკის" მსხვერპლნი გახდნენ, ბრიყვულად წამოეგნენ მის შხამიან ანკესზე და „საქართველო დალუპვის კარამდე მიჰყვანთო"[1].

დამახასიათებელია, რომ თავად ჯამბაკურ-ორბელიანის „მამხილებელ" სიტყვებს ამ დროს თვით თავადაზნაურთა წრეებშიც კი უკვე არავინ აქცევდა ყურადღებას. მეტიც, მეფისნაცვლისა და რუსეთის მთავრობის სხვა ოფიციალური მოხელეების პოლიტიკით უკმაყოფილო ელემენტების გამოხდომებს გასული საუკუნის 40-იან და 50-იან წლებში ოფიციალურ საზოგადოებაში არათუ გულგრილად ხვდებიან, ისინი საწინააღმდეგო რეაქციასაც იწვევენ. ხოლო მათ ქადაგებას

---

[1] საქ. სსრ მუზეუმი, წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების ფონდი, № 662.

„არქაულად", „ძველ მოდად" ან „შეშლილთა ნაბოდვარადაც" ნათლავენ.

რეფორმამდელი პერიოდის ქართველ თავადაზნაურობის წრეებში მონახდარი გადაჯგუფების შესანიშნავ დახასიათებას გვაძლევს ი. ბ. სტალინი: „ქართველი თავადაზნაურობა, — წერს ი. ბ. სტალინი, — ორ ჯგუფად გაიყო. ერთმა მათგანმა უარყო ყოველივე „ნაციონალიზმი" და ხელი გაუწოდა რუსეთის თვითმპყრობელობას, რომ სამაგიეროდ მიეღო მისგან თბილი ადგილები, იაფფასიანი კრედიტი და სასოფლო-სამეურნეო იარაღები, რომ მთავრობას უზრუნველეყო იგი სოფლის „ბუნტოვშჩიკებისაგან" და სხვ. ხოლო მეორემ — უფრო სუსტმა ჯგუფმა ქართველი თავადაზნაურობისამ — დაიმეგობრა ქართველი ეპისკოპოსები და არქიმანდრიტები და, ამგვარად, კლერიკალიზმის ყალთას შეაფარა ცხოვრებისაგან დევნილი „ნაციონალიზმი". ეს ჯგუფი... მოწიწებით ელის სასწაულს, რომელმაც უნდა განახორციელოს მისი ბატონყმურ-მონარქიული „სურვილები"[1].

ამრიგად, ქართველი თავადაზნაურობის დიდი უმრავლესობა მტკიცედ და ურყევად დადგა რუსეთის მხარეზე, აქტიურად ჩაება იმპერიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ფერხულში. უკვე ცხადი გახდა, რომ აზიაში ახალი სამხედრო კრიზისის შემთხვევაში მათი მხარდაჭერა მთავრობისადმი უზრუნველყოფილად შეიძლებოდა ჩათვლილიყო. რაც შეეხება ამ წოდების მეორე, რუსეთისადმი შეურიგებელ მიმდინარეობას, იგი, მცირე რიცხოვნებისა და იზოლაციის მეოხებით მოკლებული იყო რაიმე ორსტბით გავლენას საზოგადოებაში და ამდენად ცარიზმისათვის საშიშ ძალას ალარ წარმოადგენდა.

საქართველოს და ქართველი საზოგადოების დახასიათება 1853 — 56 წლების აღმოსავლეთის ომის პერიოდისათვის სრული არ იქნებოდა თუ არ განვიხილავდით ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებას, საზოგადოების სხვადასხვა ფენების ფსიქოლოგიურ განწყობილებასა და იდეალებს. ქართველი ინტელიგენციის სულიერ სამყაროს აღნიშნულ პერიოდში რელიეფურად გამოსახავდა იმ უსუსურობის, დაქვეითებისა

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 33.

და ცხოვრებიდან გაქცევის ტენდენციები, რომელიც დამახასიათებელი იყო იმდროინდელი რუსეთისათვის და რასაც განაპირობებდა ნიკოლოზ პირველის ჯოხის რეჟიმი.

როგორც ცნობილია, ევროპის 1848 წლის რევოლუციებით ისედაც ნირწამხდარი რუსეთის იმპერატორი დიდად აღაშფოთა, როცა პეტერბურგში აღმოჩენილ იქნა უტოპიური სოციალიზმის იდეებით გატაცებული, თავისთავად სრულიად თვინიერი და უვნებელი პეტრაშეველთა ჯგუფი. პანიკით შეპყრობილმა გვირგვინოსანმა მიიღო მისგან დამოკიდებული „ყოვლისშემძლე“ ზომები, რათა საიმედოდ გადაღობა გზა რევოლუციური იდეებისათვის რუსეთში. სრული ძალით ამოქმედდა მათრახი, ხიშტი და საბრძოლველები. სასტიკი რეპრესიები დაატყდა თავს პრესას და პროგრესული აზრის მესვეურს — ინტელიგენციას. საუნივერსიტეტო განათლება და სამეცნიერო მუშაობა ნამდვილ ინკვიზიციურ კონტროლს დაექვემდებარდა. შავი რეაქციისა და ობსკურანტიზმის თავაშვებულებას კარგად განასახიერებდა თვით განთქმული ობსკურანტი და ბნელეთის მოციქული თავადი შირინსკი-შიხმატოვი, რომელსაც გადაეცა მთელი განათლების საქმე. პირქუში რეაქცია ალვირახსნილად თარეშობდა ქვეყნის ყველა კუნჭულში, ცხოვრების ყველა უბანზე და უმოწყალოდ ჰყინავდა, ახშობდა ყოველივე ცოცხალს, პროგრესულს.

ასეთ ვითარებაში საზოგადოების მოწინავე ადამიანთა თვალსაჩინო ნაწილი ერთგვარმა გულგრილობამ, უიმედობამ და აპატიამ შეიპყრო. ჟურნალები და გაზეთები გაუფერულდნენ. თვით ისეთ ჟურნალსაც კი, როგორიც იყო „სოვრემენიკი“, რომელმაც ამ დროისათვის უკვე დაკარგა თავისი იდეური ხელმძღვანელი—ბელინსკი, წაერთვა მისთვის ჩვეული მებრძოლი ხმა, ჟურნალი იწყებს თავისი გვერდების დათმობას ცხოვრებიდან განყენებულ და იდეურად მდარე სტატიებისათვის. ეს ის პერიოდია, რომლის შესახებაც თავის წერილში გრანოვსკისადმი ჰერცენი სწერდა: „ბევრი წესიერი ადამიანი მოიცვა სასოწარკვეთამ და ისინი გულგრილად, ჩლუნგი სიმშვიდით შეჰყურებენ იმას, რაც ხდება. სასოწარკვეთილებამ და აპატიამ მოიცვა საზოგადოების ფართო წრეები. ნაცვლად

აზრთა გაცვლა-გამოცვლისა და დავისა ფილოსოფიურ, მეცნიერულ და პოლიტიკურ საკითხებზე, რაც ჩვეულებრივი მოვლენა იყო ორმოციან წლების სალონებში, ახლა ბაჩქრის თამაშია გაჩაღებული და საპირიტიზმით არიან გატაცებულნი".

ნ. ჩერნიშევსკი თავის წერილში, რომელიც ცნობილ ისტორიკოს ნ. ი. კოსტომაროვს გაუგზავნა 1853 წელს, განცვიფრებით აღნიშნავდა იმ წარმოუდგენელ აპატიასა და სასოწარკვეთას, რომელმაც იმ დროს შეიპყრო პეტერბურგის მოწინავე რუსი ინტელიგენციის ფართო წრეები[1]. ანალოგიური მდგომარეობა არსებობდა საქართველოსა და მთელს ამიერკავკასიაში აღმოსავლეთის ომის წინ, უპირატესად კი ომის მსვლელობის პერიოდში.

როგორც ცნობილია, პირველმა ქართველმა ეროვნულმა თეატრმა საქართველოს მოწინავე კულტურის ისტორიაში სრულიად განსაკუთრებული პროგრესული როლი შეასრულა, ხოლო ჟურნალმა „ცისკარმა" ძვირფასი განძი შეიტანა ქართველი ხალხის კულტურის სალარობში იმით, რომ ქართველ მკითხველს ფართოდ გააცნო გამოჩენილი ქართველი პოეტების დ. გურამიშვილის, ნ. ბარათაშვილის, ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის და სხვ. გამოჩენილ მწერალთა ნაწარმოებები. ჟურნალმა ქართველობა აზიარა რუსეთისა და სხვა ქვეყნების პოეზიის, პროზისა და დრამატურგიის შედევრებს. მიუხედავად ამისა, აღმოჩნდა რომ ეს კულტურული გამოცოცხლება და აღორძინება ჯერ კიდევ არ ემყარებოდა მტკიცე და გამძლე სოციალ-პოლიტიკურსა და იდეურ საწყისებს.

მხედველობიდან რომ გაეუშვათ ის უსიამოვნო ფაქტი, რომ სულ მალე, თურქეთ-რუსეთის ომის დაწყების პირველ წლებშივე, ეროვნულ თეატრთან ერთად ქართულმა ჟურნალმა „ცისკარმაც" შესწყვიტა თავისი არსებობა (ჟურნალი თეატრზე ადრე დაიხურა), საკმარისია გავეცნოთ ჟურნალის გამოშვებული ნომრების შინაარსს, იგი დაახლოებით მაინც წარმოგვიდგენს ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილის სულიერსა და გონებრივ-იდეურ ავლადიდების, ადამიანი

[1] Центр. Гос. литературный архив, ф. № 1, Н. Г. Чернышевского, ед. хран. 410.

იფიქრებს, რომ ქართველთა საუკეთესო ინტელიგენციას თითქოს პირი წყლით ჰქონდა გავსილი, ანდა იგი „დუმილით შეთქმულების“ გზას დაადგომოდა. რომ არაფერი ითქვას სრულ ინდიფერენტიზმზე ცოცხალ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მწვავე საკითხებისადმი, ფილოსოფიურ და მეცნიერულ-თეორიული პრობლემებისაგან განზე განდგომაზე, ქართველ მოღვაწეებს სრული გაყინვა, გაუგონარი გულგრილობა და უხალისობა ეჩინებათ თვით მხატვრული ლიტერატურისა და ლიტერატურული კრიტიკის სფეროშიც.

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალა ცხადყოფს ადგილობრივი ინტელიგენციის იდეური უსუსურობის მთელ ტრაგიზმს, მისი გონებრივ-შემოქმედებითი ენერგიის დაქვეითებასა და შემოქმედებითი იმპულსების სიჩლუნგეს. ასეთი განწყობილება ომის დაწყების შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა.

ომის პერიოდში ჟურნალში ვერ უპოვია ადგილი ცოტად თუ ბევრად შესამჩნევ ორიგინალურ ნაწარმოებს. მისი ნომრები მთლიანად ავსებულია უცხოური წყაროებიდან ნათარგმნი მასალებით. გვერდს ვერ ავლიდა რა მიმდინარე საომარი მოქმედების ყველაზე საჭირბოროტო საკითხს, „ცისკარი“ ცდილობდა შეენარჩუნებინა გარეშე მაყურებლის „პოზა“, საგარეო და საშინაო საქმეებისადმი გულგრილი დამოკიდებულება. მართალია, ზოგჯერ ჟურნალის გვერდებზე გვხვდება კრიტიკული ან ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ძიებანი, მაგრამ უფრო ხშირად გვერდი აქვს ავლილი თანადროულობის მწვავე საკითხებს. საერთოდ რომ ითქვას, „ცისკარი“ ამ პერიოდში ერთობ მშვლედ და ღარიბად გამოიყურება, იგი მარტოოდენ მსუბუქი ლექსებისა და მოთხრობების კრებულად გადაქცეულა. ჟურნალი უფრო მეტად განკუთვნილი იყო ობივატელური წრეებისათვის. მის ფურცლებზე უპირატესად იწერებოდა კულინარიის სხვადასხვა საკითხებზე.

1854 წელს შეწყდა ჟურნალ „ცისკრის“ გამოცემა. ამის მიზეზს, უსახსრობასთან ერთად, წარმოადგენდა დიდმპყრობელი შოვინისტების ის „ჯვაროსნული ლაშქრობა“ ქართული კულტურის წინააღმდეგ, რომელიც გაჩაღდა „მოლიბერალი“ მეფისნაცვლის ვორონცოვის კავკასიიდან წასვლის შემდეგ.

გენერალ მურავიოვის ლოცვა-კურთხევით ქართული მხატვრული ჟურნალის დახურვას თან მოყვა ქართული ეროვნული თეატრის ლიკვიდაციაც, რომელიც ეროინცოვის მმართველობის უკანასკნელ პერიოდში დამსახურებული პოპულარობით სარგებლობდა.

ყოველწლიური მხატვრული კრებულის სახით, მთავრობის ოფიციოზის „კავკაზის" რედაქტორ ვერდერევსკის ხელმძღვანელობით 1855 წლის მაისში თბილისში გამოვიდა სალიტერატურო ალმანახის პირველი წიგნი „ზურნალ" სახელწოდებით. ალმანახის გამოცემის მიზანი, მისი რედაქტორის განცხადებით, მდგომარეობდა იმაში, რომ „დაეკმაყოფილებინა მოთხოვნილება ამიერკავკასიისა და, განსაკუთრებით, თბილისის საზოგადოებისა, რომელსაც სურს ჰქონდეს ადგილობრივი მსუბუქად საკითხავი კრებული". მისი შინაარსი არ უნდა ყოფილიყო შემოფარგლული პატარ-პატარა ბელეტრისტული სტატიებით, როგორიც თავსდებოდა აქაურ მეტად სერიოზულ გაზეთ „კავკაზის" სამეცნიერო-ლიტერატურულ ფელეტონებში. „ბევრი იქნება მსურველი, — წერდა ვერდერევსკი, — წაიკითხოს უფასო, მოზრდილი ბელეტრისტული შრომები, როგორიცაა რომანები, მოთხრობები, დრამები, კომედიები და სხვ. ნაწარმოებები. მეორეს მხრივ, — განაგრძობდა ალმანახის გამომცემელი, — ბევრ აქაურს და, განსაკუთრებით, ადგილობრივ ნიჭიერ ადამიანს ასეთი კრებულის გარეშე... ხშირად არა აქვს საშუალება ბეჭდოს თავისი ნაწარმოებები და, მაშასადამე, მოკლებულნი არიან შესაძლებლობას დახედოვნდნენ თავიანთ ლიტერატურულ განათლებაში, ანდა მიიღონ ცხოვრებისათვის აუცილებელი საშუალება ლიტერატურული შრომებისათვის საზღაურის მიღების გზით"[1].

ნ. ჩერნიშევსკიმ სერიოზული მნიშვნელობა მისცა რედაქტორ ვერდერევსკის ამ მრავლის ალმთქმელ დეკლარაციას. დიდი რუსი განმანათლებელი და რევოლუციონერ-დემოკრატი მხურვალე თანაგრძნობით და სიხარულის გრძნობით გა-

[1] АКАК, т. XI, стр. 753.

მოეხმაურა თბილისში ალმანახ „ზურნის“ გამოცემას. ამასთან დაკავშირებით იგი „სოვრემენიკში“ წერდა: „ჩვენ გვიხარია, რომ თბილისის მკვიდრ მცხოვრებთ შორის ჩნდებიან ადამიანები, რომელთაც აქვთ მიდრეკილება ლიტერატურული მოღვაწეობისადმი. გაიცლის კიდევ რამდენიმე წელი და ზოგიერთი მათგანი კიდევ უკეთესად დაწერს; სხვებმა კი, შესაძლებელია, მართლაც დიდებული ნაწარმოებები შექმნან. ამ თვალსაზრისით ჩვენ მივესალმებით ქართული რომანტიკის გამოჩენას“[1].

რედაქტორ ვერდერევსკის ყალბი დეკლარაციების მიუხედავად, ალმანახმა „ზურნამ“ ვერ გაამართლა ნ. ჩერნიშევსკის კეთილშობილური მოლოდინი. მან ვერ შეძლო გამხდარიყო ადგილობრივ „მკვიდრთა ნიჭის ნამდვილი ამსახველი“, ვერც „თბილისის მკვიდრ მცხოვრებთა ლიტერატურული მიდრეკილებების გაშლა-განვითარებისა და მხატვრული დახელოვნების ორგანოდ“, როგორც ამას მოელოდა ჩერნიშევსკი. ალმანახის პირველი წიგნის შინაარსი მთლიანად ეაშკარავებს ვერდერევსკებისა და სოლოგუბების ჭეშმარიტ მიზანსა და „ზრუნვის საგანს“.

უადრესად შეზღუდული იყო ალმანახის ლიტერატურულ თანამშრომელთა წრე და, რაც მთავარია, მათ შორის ყველაზე მკრთალად მოჩანს „ადგილობრივ მკვიდრთა“ ჭეშმარიტი წარმომადგენელი. ასე, მაგალითად, ალმანახში მოთავსებული 20 ლექსიდან ექვსი ეკუთვნოდა თვით რედაქტორ ვერდერევსკის, ხუთი — პ. შიშკოვს; სამი ლექსი და ერთი დიდი სტატია — გრაფ ვ. ა. სოლოგუბს; ორი ლექსი ს. გრანკინს და მხოლოდ ერთი ლექსი ეკუთვნოდა ამიერკავკასიის ჭეშმარიტად მკვიდრის კალამს, სახელგანთქმულ აზერბაიჯანელ ფილოსოფოსს, პოეტსა და დრამატურგს მირზა ფატალი ახუნდოვს.

საჭიროა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი ლექსების უმრავლესობა არსებითად წარმოადგენს მხოლოდ „საპარადო მიძღვნებს“ სამსახურებრივი იერარქიის პრინციპის მიხედვით, შეიცავს თანამდებობის პირთა უსაზღვრო ხოტბას და პანეგი-

---

[1] „Современник“, 1855 г., № 7.

რიკს, გაეღენთილია ფარისეველობითა და გულისამრევი მლიქვნელობით. გრაფ სოლოგუბის ლექსი მიძღვნილია გენერალ-გუბერნატორ მ. პ. კოლუბაკინისადმი; პ. შიშკოვს თავისი „მუზის ნაპერწკლები“ თვით გრაფ სოლოგუბისათვის შეუწირავს; სხვათა „პოეტური შედევრების“ ობიექტები ან ანონიმურია, ან ინიციალების საბურველს ეფარება. უსაგნობის, უიდეობის, ცხოვრებიდან განდგომისა და სრული უაზრობის დადი აზის ალმანახში დაბეჭდილ თითქმის ყველა „სტატიას პროზაში“. თუმცა გარეგნულად ისინი შემკულნი არიან ხიზილ-პიპილებით, მაგრამ შინაარსობლივად სრულ სიცარიელეს წარმოადგენენ. ფ. ახუნდოვის ლექსი მათ შორის ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენს.

კანონიერად ისმის საკითხი: ეს ყველაფერი ხომ არ მოასწავებს იმას, რომ იმ დროის მოწინავე და მოაზროვნე ქართველობამ, მისმა ინტელიგენციამ — მწერლებმა და პოეტებმა, საზოგადოებრივმა მოღვაწეებმა თითქოს ნამდვილად დაკარგეს თავისი შემოქმედებითი ნიჭი და იმდენად დაკნინდნენ, რომ მათ დაეშრიტათ იდეურ-მხატვრული სალარო, დაუშთათ საზოგადოებრივ პოლიტიკური ინტერესი მიმდინარე მოვლენებისა და საგნებისადმი. სრულიადაც არა! პირიქით, ისტორიული ფაქტები სრულიად საწინააღმდეგოს მეტყველებენ.

საგულისხმოა, რომ ოფიციალური ანგარიშის თანახმადაც კი მხოლოდ ერთ, 1854 წელს, ქართველ ავტორებს ქართულ ენაზე კავკასიის საცენზურო კომიტეტში გასასინჯველად და გამოსაცემად შეუტანიათ რვა ნაწარმოები; იმას გარდა სხვადასხვა თხზულებანი 10 წიგნის რაოდენობით; 1853 წლიდან გამომცემლობას განუხილავი და დაუბეჭდავი დაუტოვებიათ 48 ქართველი ავტორის თხზულება — 50 ტომის მოცულობით. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ოფიციალური ცენზურა თავის ანგარიშში გამოსაცემ წიგნთა შორის „პოლიტიკურ თხზულებებსაც“ მოიხსენიებს[1].

თავისთავად ცხადია, რომ ოფიციალური მოხსენება სათვალავში არ ღებულობს იმ სხვა მრავალრიცხოვან ნაწარმოებებს, რომელთა განხილვაც საცენზურო კომიტეტს ზედმე-

[1] АКАК, т. XI, стр. 756.

ტად მიაჩნდა და რომელთა ავტორებიც პოლიტიკურად „საეკ-
ვოთა კატეგორიას“ მიეკუთვნებოდნენ.

ირკვევა, რომ საცენზურო კომიტეტში გამსახილველად შემოსული ხელნაწერებიცა და თხზულებებიც ცხრაკლიტულში რჩებოდა. ნიკოლოზის დროინდელი დრაკონული ცენზურა, რომელიც თრთოდა „დროის მავნე სულის“ გამოვლინების წინაშე, საკმაოდ წინდახედული იყო იმისათვის, რომ თავი დაეზღვია და ძირშივე აღეკვეთა „დანაშაულებრივი კრამოლის“ წარმოშობის ყოველგვარი შესაძლებლობა. მეფის ადგილობრივ სატრაპებს ცეცხლზე მეტად ეშინოდათ ადგილობრივი ადამიანების გონებრივი ძალისა და ნიჭის განვითარებისა. ცარიზმის იეზუიტური ცენზურა ყოველნაირად ეწინააღმდეგებოდა და აფერხებდა თავისუფალი აზრის გაღვიძების ნიშანწყალს, რკინის ხელით ახშობდა ხალხური შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებას. მხოლოდ პირველში რეაქციისა და ბნელეთის მოკიჭულობის ეპოქაში, როდესაც ბარბაროსულად იხშობოდა თავისუფლებისმოყვარე, პროგრესული აზრის ყოველგვარი ფამოხატულება, როდესაც იდევნებოდნენ ამ მოწინავე აზრის დიადი მებაირახტრენი, დიდი რუსი ხალხის საამაყო შვილები — ჰერცენი და ბელინსკი, ჩერნიშევსკი და დობროლუბოვი, მხოლოდ ასეთი ვითარების დროს შეიძლებოდა ჰქონოდა ადგილი ისეთ „უმაღლეს ბრძანებულებას“, რომელიც საერთო ცენზურას უმკვიდებარებდა სასულიერო ბნელეთის მოკიჭულობას. „ხელმწიფე იმპერატორმა, — ვკითხულობთ იმ დროის სახალხო განათლების მინისტრის ცირკულარულ წერილში, — ინება: გაცემულ იქნას განკარგულება საცენზურო უწყებისადმი, რომ საერო ცენზურა დაუკავშირდეს სასულიერო ცენზურას“[1]. შავი რეაქციის თარეშმა ამ პერიოდში ყოველგვარი საზღვარი გადალახა, ცოცხალი შემოქმედებითი აზრი რკინის არტახებით შებოჭეს, ისეთი მებრძოლი ორგანოც კი, როგორიც რუსული ჟურნალი „სოვრემენნიკი“ იყო, ამ დროს, როგორც აღინიშნა, იძულებული გახდა დროებით ჩამოშორებოდა ცხოვრებისა და ეპოქის მოჯისცემას.

---

[1] АКАК, т. XI, стр. 755.

გასაკვირი როდია, რომ ქართული მხატვრული ლიტერატურა სახის ლიტერატურული პროდუქცია არსებულ [illegible] თვიდან თვემდე ილევა და კნინდება რაოდენობრივად და ხარისხობრივადაც. ასე მაგალითად, თუ 1853 წელს კავკასიის საცენზურო კომიტეტის პორტფელში ოფიციალური ცნობებით რჩებოდა განუხილველი და, მაშასადამე, გამოუცემელი ქართველ ავტორთა 48 თხზულება 50 ტომზე მეტი რაოდენობით, 1854 წელს იმავე კომიტეტის განკარგულებაში განსახილველად შემოვიდა სულ 18 თხზულება, ხოლო 1855 წელს იმავე ცნობით საცენზურო კომიტეტის განკარგულებაში განსახილველად წარმოდგენილ იქნა სამი თხზულება[1].

რეფორმის წინა პერიოდში რეაქციის თავაშვებულობისა და მეფის ჯალათების თვითნებობის ხანაში, მათრახის, ხიშტისა და სახრჩობელების ბატონობის ბნელ წლებში მოწინავე ქართველი ინტელიგენცია მოჯადოებულ წრეში აღმოჩნდა, იგი დეპრესიაში ჩავარდა, მოდუნდა, დაშლისა და დაბნეულობის პროცესს განიცდიდა. თითქმის ყველა ავტორის, მწერლის, პოეტისა თუ დრამატურგის შემოქმედება დეკადენტური უნაყოფობის გზით მიიმართებოდა, დაქვეითდა მათი შემოქმედებითი ენერგია, ქართველ ინტელიგენციის თავის ძალებისადმი ერთგვარი ურწმენობა და სულიერი აპატია დაეუფლა.

რომელიღაც უცნობი ლიტერატურული კრიტიკოსი „კავკაზის" ფურცლებზე 1855 წლის 22 იენისს აჩჩეედა ივანე კერესელიძის იმავე წელს გამოქვეყნებულ პოეტურ ნაწარმოებს, რომლის სათაური იყო „მწყემსის სიყვარული". კრიტიკული სტატიის ავტორი, თავისი პირდაპირი თქმის გარდა ეხება ქართული ლიტერატურის მთელ რიგ აქტუალურ საკითხებს. ჯერ-ერთი, იგი აღიარებს, რომ თანამედროვე „ქართული ლიტერატურა.., იმყოფება საშუალო მიძინებისა და უმოძრაობის მდგომარეობაში". ქართული კულტურის ისტორიული წარსულისა და ჩვენი კულტურის მოღვაწეთა ფრიად მცდარ დახასიათებასთან ერთად, სტატიის ავტორი ზოგჯერ მაინც ახლოს დგას ჭეშმარიტებასთან, განსაკუთრებით მაშინ, როცა ცდილობს ახსნას იმ დროის ინტელექტუალური

---

[1] АКАК, т. XI, стр. 756.

უძრაობისა და დაქვეითების მიზეზები. „შეცდომა იქნებოდა აგვეხსნა პროგრესის ასეთი მკვეთრი უქონლობა მოღვაწეთა უყოლობით, — წერს სტატიის ავტორი. — მოღვაწენი არიან, მაგრამ არაა ცხოველმყოფელი წყარო და საფუძველი, არაა ლიტერატურული მიმართულება, რომელიც შეესაბამებოდეს თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნებს, რომელიც შესძლებდეს გამოხატოს თანამედროვე იდეები, აზრები და გრძნობები".

„ქვეყანა, რომელიც 15 საუკუნის განმავლობაში სულ სხვადასხვა საწყისების ბრძოლის ასპარეზი იყო, — განაგრძობს ავტორი, — ქვეყანა, რომელშიც ახლაც ყოველი გლეხი ამავე დროს მეომარია, სადაც გუთნის დედა და მწყემსი არასოდეს არ იცილებს ხანჯალს, — ასეთი ქვეყანა... შორსაა არკადიულობისაგან, რომელიც ოქროს საუკუნეს მოგვაგონებდა".

იმავე სტატიის ავტორი ივ. კერესელიძეს უძრახავს მისი ნაწარმოების უსიცოცხლობასა და სიუჟეტის არარეალურობას, უკიდინებს მშვიდსა და საოცნებო იდილიით გატაცებას, რაც საკმაოთ შეუთავსებელია „თანამედროვე განვითარების მშეუზარე ეპოქასთანო". სტატიის ავტორის აზრით, კერესელიძემ „თავისი ნაწარმოებისათვის აირჩია ყალბი საფუძველი, რომელიც სრულიად არ შეესაბამება მისი გმირების ცხოვრებას"[1].

კრიტიკული სტატიის ავტორის საყვედური და შენიშვნები ივ. კერესელიძის მისამართით, მეტ-ნაკლებად შეიძლება გაერცელდეს რეფორმის წინადროის ქართველი თავადაზნაურული ინტელიგენციის მთელ თაობაზე. როგორც ითქვა, XIX საუკუნის შუა ხანებში ამ ინტელიგენციის ერთი ნაწილი სრულიად დადუმდა და უიმედობაში გადაიჩეხა; მეორე ნაწილი კი მისტიკიზმმა გაიტაცა, დაიწყო ლრუბლებში მსუბუქად ნაეარდი და ფანტასმაგორიებს გამოედევნა; მესამენი წვრილმან რამეებს ჰკიდებდნენ ხელს, ისინი თხზავდნენ თავის შესაქცევად უსაგნო, უიდეო ნაწარმოებებს ობივატელ მკითხველთა მოსახმარებლად.

1853 — 1856 წწ. აღმოსავლეთის ომის პერიოდში ჩვენს ქვეყანაში ფაქტიურად არ არსებობდა არც ერთი ბეუდვითი ორგანო, რომელიც ცოტად თუ ბევრად სწორად ასახავდა

[1] Газ. „Кавказ", 1855, № 48.

თანამედროვე ქართველი საზოგადოების, მისი კლასებრივ [illegible] წოდებების ნამდვილ გრძნობებს, აზრსა და განწყობილებებს. [illegible] მეფის ცენზურამ, რომელიც ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკასთან ერთად გულმოდგინედ იცავდა ფეოდალურ-ბატონყმურ რეჟიმს, მოახერხა ბეჭდვითი სიტყვის დარგში საიმედოდ დაეხურა ხალხის უკმაყოფილების გამოსახვის ყველა ხვრელი, აღმოეფხვრა დემოკრატიული აზრის ყოველგვარი გამოვლინება და უზრუნველეყო ფართო გასაქანი შავრაზმული რეაქციისა და ბნელეთის მოციქულობისათვის.

ვორონცოვის ღრმად მოფიქრებული ცარისტული პოლიტიკა ქართველი თავადაზნაურობის მიმართ მთელი ძალით გამოვლინდა აღმოსავლეთის ომის კრიტიკულ დღეებში. დამახასიათებელია, რომ ქართველი საზოგადოების უმაღლესი წრეების თვალში ვორონცოვის სახე ნათლად და მიმზიდველად იხატებოდა. გამოჩენილმა ქართველმა პოეტმა აკაკი წერეთელმა ყოფილი მეფისნაცვლის ხსოვნას მიუძღვნა მთელი პოემა, თავის ნაწარმოებში „ჩემი თავგადასავალი" ა. წერეთელი აღნიშნავს, რომ ქართველობა პატივისცემით ეპყრობოდა ვორონცოვის სახელსო. პოეტის სიტყვით, ქართველ თავადაზნაურულ ინტელიგენციაში სავალდებულო წესად იქცა, რომ რუსეთში მგზავრობის დროს გაეცალა ყირიმში და ენახა ვორონცოვის ქვრივი. პოეტს, რომელსაც პირადად მოუხდია ტრადიციული მოვალეობა და სტუმრებია ოდესაში ვორონცოვის ქვრივს, მოყავს ამ უკანასკნელის სიტყვები: „განსვენებულ თავადს,—განაცხადა მან,—გატაცებით უყვარდა ქართველები, დიდი პატივისცემით ეპყრობოდა მათ წარსულს და მათი მომავლისაც დიდი იმედი ჰქონდა. იგი ხშირად ამბობდა, რომ „ეს პატარა საქართველო დიდი რუსეთის მრავალფერად ქარგაში ყველაზე უმშვენიერესი და უმტკიცესი ოქრო-ქსოვილი იქნებაო! ჩვენ მხოლოდ ვალდებული ვართ მივეშველოთ იგი თავის ნებაზე, ვუწინამძღვროთ და გარედან ხელი შევუწყოთო"[1].

უნდა ითქვას, რომ ქართველი ინტელიგენციის გარკვეული

---

[1] ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ., პ. ინგოროყვის რედაქციით, ტ. IV, თბილისი, 1948, გვ. 55.

ნაწილის ანალოგიურ შეხედულებას გამოხატავდა აგრეთვე გაზეთი „ივერიაც", რომელიც თავის მოწინავეში 1893 წლის 8 მაისს არ ზოგავდა მაღალფარდოვან ეპითეტებს ვორონცოვის პატივსაცემად; გაზეთი ქება-დიდებით მოსავდა ყოფილი მეფისნაცვლის სახელს, აღნიშნავდა „ვორონცოვის, როგორც სახელმწიფოებრივი მოღვაწის, მაღალ ნიჭიერებას და სიბრძნეს, მის დაუღალავ მზრუნველობას ქვეყნისათვის და სიყვარულს ქართველ ერისას"[1].

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ვორონცოვმა თავისი პოლიტიკით დიდად შეუწყო ხელი ქართველი ხალხის კონსოლიდაციის პროცესს, ადგილობრივი მოსახლეობის რუსეთთან დაახლოების საქმეს. არ არის გასაკვირი, რომ მეფის მთავრობის მიერ მოსადლიერებული ქართველი თავადაზნაურობა თურქეთთან ომის დროს ერთსულოვანი დარაზმულობით აღსდგა თავის ქვეყანაში მეფის თვითმპყრობელობის რეჟიმისა და წესების დასაცავად[2]. მაგრამ რუსეთისა და რუსული მმართველობის დაცვას, რუსეთის მხედრობასთან ერთად ხელიხელჩაკიდებულ ბრძოლას გარეშე მტრების წინააღმდეგ კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში ობიექტურად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა თვით მშობლიური ქვეყნის — საქართველოს და ქართველი ხალხის დასაცავად, მისი შემდგომი წინსვლისათვის. ამავე დროს უგუნურობა იქნებოდა, რომ იგივეობის ნიშანი დაგვესვა რუსეთ-თურქეთის ომში მონაწილე ქართველ თავადაზნაურობასა და საქართველოს მშრომელ ხალხს შორის, თანაბრად შეგვეფასებინა ამ ორი ძალის როლი და მნიშვნელობა. განსაკუთრებული იყო მათი დამოკიდებულება ომისადმი, ისევე, როგორც განსხვავდებოდა მათი დამოკიდებულება თვით რუსეთისადმი. დიდი რუსი ხალხისადმი, სულ სხვადასხვა იყო ომში მათი როლი, მასში მონაწილეობის ქვესაარსი, ხასიათი და მასშტაბები.

---

[1] გაზ. „ივერია", 1893 წლის 8 მაისი, № 95.

[2] ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ფონდი 5, საქმე 1509, 1513, 1514 (დოკუმენტები ხატავენ სამეგრელოს დედოფლის ეკატერინე დადიანის რუსეთის ჯარებისათვის ხელშეწყობ ღონისძიებებს).

ქართველი თავადაზნაურობა სამხედრო ლაშქრობაში თითქმის ერთიანად აბამდა თავიანთ ყმა-გლეხებს, ციხრალებდა და ამარაგებდა მათ თავიანთი შეხედულებისამებრ. ეს გარემოება, ცხადია, სრულებითაც იმას არ ნიშნავდა, თითქოს ომის დროს შეწყდა კლასობრივი წინააღმდეგობა და ანტაგონიზმი წოდებებს შორის, თითქოს ქართველი გლეხობა ომში ჩაბმული იქნა ავტომატურად როგორც ინერტული და უსახო მასა. რამდენადაც თურქი გარეშე დამპყრობლების წინააღმდეგ თავდაცვითმა ბრძოლამ მიიღო ფართო ხასიათი, მებრძოლთა ძირითად მასას წარმოადგენდა გლეხობა და აგრეთვე ქალაქის ღარიბი მოსახლეობა. ისტორიული დოკუმენტები მკაფიოდ მოწმობენ, რომ ქართველი მშრომელი ხალხი, განსაკუთრებული ენთუზიაზმით ჩაება თურქ დამპყრობლებთან ბრძოლაში. დამახასიათებელია, რომ საბრძოლო ლაშქრობაში თანასნობა ხშირად გლეხთა დაბალ მასებს ეკუთვნოდა. ერთ-ერთი საარქივო დოკუმენტი, რომელიც შედგენილია 1854 წლის იანვარში, მოწმობს, რომ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებ საბელმწიფო გლეხს გიგო გაბიანს მისმა მეზობლებმა მიანდვეს მოთხოვოს საგუბერნიო ხელისუფლებას იარაღი, რომელიც აუცილებელია „თურქი ავაზაკების წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად"[1]. ანალოგიური მასალა, რომელიც ადასტურებს რუსეთის რეგულარულ ჯარებთან ერთად ქართველი გლეხობის აქტიურ და შეგნებულ მონაწილეობას თურქი აგრესორების წინააღმდეგ ბრძოლაში, ბევრ სხვა საარქივო პირველწყაროებშიც გვხვდება.

საჭიროა ხაზი გაესვას შემდეგ გარემოებას: როგორც ისტორიული მასალა მოწმობს, არისტოკრატიის ზედაფენებისაგან განსხვავებით, ქართველი მდაბიო, მშრომელი ხალხი გარეშე დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლას ეწეოდა არა ანგარებით, არა თავის გამოჩენის, სახელისა და ჩინ-მედლების მისაღებად, არამედ თავისი ქვეყნის, თავისი კერისა და ოჯახის გადასარჩენად. იგი ჯეროვნად აფასებდა რუსი მხედრობის უდიდეს ღვაწლს გარეშე მტრისაგან ქვეყნის დაცვის

---

1 საქართველოს ცენ. ქუთაისის ფილიალი, საქმე 469(3967), 407(19).

საქმეში, ენდობოდა მას და ერთსულოვნად ირაზმებოდა ბრძ. უძლეველი დროშების გარშემო.

ქვეყნის ობიექტურ-ისტორიული განვითარება თავის გარდუვალ საქმეს ასრულებდა. ახალი ცხოვრება, ახალი ურთიერთობანი მტკიცედ იდგამდა ფესვებს და ულმობელი ნაბიჯით მოდიოდა ძველის შესაცვლელად, გვიდა თავისი გზიდან ყოველგვარ დაბრკოლებას, სძლევდა წინააღმდეგობას. მიუხედავად სისხლიანი ომის მრისხანე ამბებისა, რომელიც ქართველი საზოგადოების ყოველი წოდებისა და კლასის ძალებსა და საშუალებებს ნთქავდა, ამ საზოგადოების შიგნით კლასობრივი ბრძოლა 1853 — 1856 წწ. ომის მთელ მანძილზე ერთი დღითაც კი არ შეწყვეტილა. კლასობრივი კონფლიქტებისა და შეჯახებების გამწვავება როგორც მილიციის რიგებში, ისე მთელ ქართველ საზოგადოებაში ნათლად მოწმობდნენ ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების კრიზისის მომწიფებას, მოწმობდნენ იმას, რომ მალე დადგებოდა გადამწყვეტი კლასობრივი ბრძოლისა და რევოლუციური ქარიშხლის მომენტი. წიგნის მომდევნო თავები გვიჩვენებს ქართველ საზოგადოებაში არსებული შინა კლასობრივი წინააღმდეგობებისა და კონფლიქტების კონკრეტულ ფაქტებს აღმოსავლეთის ომის პერიოდში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი მესამე

საომარი მოქმედების დასაწყისი

ყირიმის ომის წინ კავკასია-თურქეთის საზღვარი მდინარე ჩოლოქის შესართავიდან და შეკვეთილის საგუშაგოდან არარატამდე მიჰყვებოდა. სასაზღვრო ხაზი, რომლის სიგრძე დაახლოებით 530 ვერსს აღწევდა, თავისი რელიეფით და ადგილმდებარეობით ოდნავადაც არ იყო ხელსაყრელი ამიერკავკასიის თავდაცვისათვის. სასაზღვრო ზოლი 20 ვერსის მანძილზე, შავი ზღვის ნაპირებიდან მდინარე ჩოლოქის სათავეამდე, მიჰყვებოდა მდინარის კლაკნილებს. ეს ზოლი, რომელიც გაქცეული იყო აჭარის მაღალი მთის თხემების გასწვრივ, გურიას ჰყოფდა აჭარისაგან. ღუნდა აღინიშნოს, რომ თურქეთთან საზღვარი ამ მონაკვეთზე, ადრიანოპოლის ტრაქტატით (1829 წ.), ზუსტად დადგენილი არ იყო. ამიტომ იმ დროს აქ ერთიანი და გაბმული საკორდონო ხაზი ჯერ კიდევ არ არსებობდა. აქა-იქ გაფანტული და ერთობ სუსტი ყაზახთა სამზირები, რომელთა დანიშნულებაც იყო უპირატესად კონტრაბანდისტებისა და მძარცველთა ბრბოებისაგან თავდაცვა, ოდნავ თუ მოგვაგონებდა აქ სასაზღვრო ხაზის ნიშანწყლის არსებობას.

აჭარის მთები, რომლებიც ნაწილობრივ მაღალი ყინულებით იყო დაფარული და მნიშვნელოვანწილად გაუვალი იყვნენ, ახალციხის მაზრის საზღვრებთან დაბლდებოდნენ და იკვეთებოდნენ არდაგანიდან ახალციხისა და ურაველის ხეობისაკენ მიმავალი გზებით. აქედან დაწყებული სასაზღვ-

რო ზოლი მიპყვებოდა მდინარე მტკვრის ხეობას. [illegible] გასწვრივ გადიოდა ყარსიდან და ორდაგანიდან ახალქალაქამდე [illegible] გაელით თბილისში მიმავალი გზები. შემდეგ საზღვარი სცილდებოდა რა მთებს, მიპყვებოდა მდინარე არპაჩაის (არაქსის შენაკადი), რომელიც წარმოადგენდა ალექსანდრეპოლის ბუნებრივ საზღვარს თურქეთის მხრიდან. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ზოლი წარმოადგენდა მთელი სასაზღვრო ხაზის ყველაზე ღია და ბუნებრივად დაუცველ ნაწილს ორივე მხრით, რადგან ყარსიდან მიმავალი რამდენიმე გზა, რომლებიც სჭრიდნენ მდინარე არპაჩაის, ადვილად გასასვლელი ფონებით, მიემართებოდნენ, ერთი მხრით ალექსანდროპოლისაკენ, ხოლო მეორე მხრით — ერევნის ვაკეებისაკენ. რუსეთის სარდლობა ამ ვაკეებს საგანგებით მართებულად თვლიდა „აზიის თურქეთის ღია კარებად", რადგან აქედან თურქეთის საზღვრებში შესასვლელი არპაჩაიზე გადასვლით მუდამ ღია იყო ზაფხულშიც და ზამთარშიც. რაც შეეხება სასაზღვრო ხაზს, არაქსს იქით, თანდათან იწევდა მაღლა და მთის თხემებით აღწევდა არარატის მწვერვალებამდე. არარატიდან კი სპარსეთის სასაზღვრო ხაზი იწყებოდა[1].

ამიერკავკასიის მთელი სასაზღვრო ადგილმდებარეობის უსწორმასწორობა და დასერილი ხასიათი მოწინააღმდეგეს ფრიად ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა. ეს ითქმის როგორც რუსი ჯარების შეტევითი მოქმედების შეკავების, ისე ჩვენს საზღვრებში მტრის მიერ მოულოდნელად შემოჭრის თვალსაზრისითაც. ამავე დროს, სასაზღვრო ხაზის დიდ ნაწილზე საომედო თავდაცვითი სიმაგრეების მტკიცე დასაყრდენი პუნქტებისა და კომუნიკაციების უქონლობა შეტად აძნელებდნენ ქვეყნის თავდაცვის ორგანიზებას.

ამა თუ იმ ქვეყნის თავდაცვის საქმეში საბრძოლო გზებს მუდამ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. შეუძლებელი იქნებოდა მკაფიოდ წარმოგვედგინა 1853 — 1856 წლების ომის მსვლელობა, მისი თავისებურება და სიძნელეები საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თუ ზოგადად მაინც არ გავეცანით

[1] ЦГИАГ, фонд 1087, д. 336, стр. 186—188, А. Зайончковский, „Восточная война 1853—1856 гг." СПБ, 1908 г. т. I. ч. I, стр. 197. 11. ტ. ბერძენიძე.

საკითხის ამ მხარეს. გასაგები უნდა იყოს თუ რა მდგომარეობა გვექნებოდა იმ დროს კავშირურთიერთობისა და საქმიანობისა ველო გზების მხრივ ისეთ „პროვინციებში", როგორიც იყო საქართველო და ამიერკავკასიის სხვა ქვეყანა, თუ მთელი რუსეთის იმპერიის უსაზღვრო ტერიტორიაზე 1853 წლისათვის რკინიგზების საერთო სიგრძე მხოლოდ 979 ვერსს შეადგენდა, ხოლო გზატკეცილებისა — 1855 წლისათვის ხუთი ათასს არ აღემატებოდა. იმპერიის მთელი ეს ვეებერთელა სივრცე იმ დროის დაფარული იყო უმთავრესად პრიმიტიული და დაუმუშავებელი გზებითა და ბილიკებით[1].

ამ მხრივ ფრიად საავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა საქართველო და მთელი ამიერკავკასია. საკმარისია ითქვას, რომ ძირითადი სამაგისტრალო გზა, რომელიც წარმოადგენდა ამიერკავკასიის მხარის ერთადერთ დამაკავშირებელ საშუალებას იმპერიის ცენტრთან—საქართველოს სამხედრო გზა—იყო მეტად უბადრუკ მდგომარეობაში. თავის ერთ-ერთ ბრძანებაში თავადი მ. ს. ვორონცოვი შესჩივოდა სამხედრო მინისტრს იმის გამო, რომ საქართველოს სამხედრო გზა დაშლილია და პეტერბურგთან კავშირი არ არსებობს[2].

რომ არაფერი ითქვას რკინიგზის შესახებ, საქართველოში ისევე, როგორც მთელს ამიერკავკასიაში, არ არსებობდა არც ერთი გზატკეცილი. შავი ზღვის სანაპიროს კავშირი ქვეყნის ცენტრთან, ისევე როგორც დასავლეთ საქართველოს ურთიერთობა აღმოსავლეთ საქართველოსთან, წარმოებდა იმერეთის — ამ ერთადერთი, მეტად პრიმიტიული სამხედრო გზით. ქ. ქუთაისიდან ეს ძირითადი „მაგისტრალი" იყოფოდა შტოდ და მიემართებოდა ერთი ახალდაბისაკენ, მეორე ოზურგეთისაკენ. ამათგან გზის პირველი შტო, რომელიც გაივლიდა ბალდადს და ზეკარის ულელტეხილს, მოძრაობის შესაძლებლობას აძლევდა მსუბუქად შეიარაღებულ ქვეითა ჯარს ისიც მხოლოდ 2 თვის განმავლობაში—ზაფხულის დასასრულისათვის. ოზურ-

---

[1] А. Зайончковский, „Восточная война", 1853 — 1856 гг., СПБ, 1908 г. т. 1. стр. 723—724.

[2] АКАК, т. X, стр. 755.

გეთისაკენ მიმავალი გრუნტის გზა კი წვიმიან ამინდში თითქ-
მის გაუვალი იყო.

სამიმოსვლო გზების ასეთი ბეჩავი მდგომარეობა ხელს
უშლიდა ხელს ფრიადმნიშვნელოვან სამხედრო ღონისძიებათა
განხორციელებას. „სამიმოსვლო გზებს სურამსა და ქუთაისს
შორის" — წერდა გენერალი მურავიოვი სამხედრო მინისტრს
1855 წლის 21 აპრილს, — ოდნავ თუ შეიძლება გზები ეუ-
წოდოთ. იგი თითქმის გაუვალია ცუდ ამინდში[1]. გურიის რა-
ზმის უფროსი გენერალი ბაგრატიონ მუხრანსკი თავის ბა-
ტაკში გენერალ რეადის სწერდა: „იმერეთის სამხედრო საფოს-
ტო გზა, დაწყებული სურამიდან თვით სორტიანის ბანაკამდე,
რომელიც გაწოლილია ყოველგვარ გრუნტზე, უამინდობის
დროს ქმნის დიდ დაბრკოლებას ამ ტრაქტით მგზავრებს. გა-
სულმა ზამთარმა დაგვანახვა, რომ ოთხთვალათი მგზავრობა
იმერეთის სამხედრო გზაზე არა თუ მეტად ნელა წარმოებს,
არამედ იგი ძნელიცაა, იმ ზომამდე ლლის საფოსტო ცხენებს,
რომ ისინი სრულიად უვარგისნი ხდებიან და იხოცებიან, ბორ-
ბლები ტალახში იფლობიან, ოთხთვალები ტყდებიან. ამის
შედეგად მიმოსვლა შეუძლებელი ხდება". შემდეგ გენერალი
მურავიოვი მოახსენებს სამხედრო მინისტრს მის მიერ გატა-
რებულ ღონისძიებებზე, კერძოთ, ეტლებით მგზავრობის ნა-
ცვლად ცხენით მგზავრობის მოწყობის შესახებ[2].

გავეცნოთ კიდევ ერთ ცნობას, რომელიც მკაფიოდ გად-
მოგვცემს სამიმოსვლო გზების იმ დროის „თვალწარმტაც
მომხიბვლელობას". „დეკემბერში მე მომიხდა, — წერს გაზეთ
„კავკაზის" კორესპონდენტი 1854 წელს, — ქუთაისიდან ოზურ-
გეთში გამგზავრება. ძნელია გადმოგცეთ რაც მე ამ მგზავ-
რობის დროს განვიცადე. ჩემი ცხენი მუცლამდე ეფლობოდა
ტალახში, ხოლო ჩემი ფეხის წვერები, რამდენსაც არ ვუფრ-
თხილდებოდი, ისე ხნავდნენ წყლით გაჟღენთილ მიწას, რო-
გორც ვეთანი ყანას... კაზაკური ბედაური ყველა ნაბიჯზე ბორ-
ძიკობდა და ვერ ნახულობდა რა ტალახში მტკიცე დასაყრ-
დენს, ყოველ წუთს მზად იყო თავქვე უფსკრულში გადაჩეხი-

[1] АКАК, т. XI, стр. 331.
[2] АКАК, т. XI, стр. 814—815.

ლიყო. რაღა ითქმის კიდევ დამტვრეულ ხიდებზე გადასვლის შესახებ, როდესაც ცხენი წინაფეხებით მკერდამდე ეფერებოდა ბინძურ ორმოში, ხოლო უკანა ფეხებით ოდნავ იკიდებდა თაეს დამპალ ფიცრებზე". შემდეგ კორესპონდენტი მკითხველს უხატავს მეურმე გლეხების მუშაობის ფრიად შემაძრწუნებელ სურათებს, რომ მეურმეები დღედაღამეში ვერ ახერხებდნენ 4 ვერსზე მეტის გავლას". დასასრულ ავტორი დასძენს, რომ „უამინდობამ საომარი მოქმედებაც შეაჩერაო" [1].

უვარგისი გზებისა და საერთოდ, იმის გამო, რომ არ იყვნენ საომარ მზადყოფნაში საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა პუნქტებში განლაგებული ჯარები, მათი მხედართმთავრები და მათთან ერთად ადგილობრივი მოსახლეობაც აუწერელ სიძნელეებს და პირდაპირ უბედურებას განიცდიდნენ. უგზოობა ამუხრუჭებდა ჯარების მოძრაობას, მათ გადაჯგუფებას, ამურბებდა არტილერიის, ალალის, საერთოდ, სიმძიმეების გადაზიდვას, დამოლოს, უგზოობა, უამინდობა ამურხებდა საომარ მოქმედებას, ხოლო ზოგჯერ მთლიანად აჩერებდა მას.

თურქეთის არმიას შეტევითი მოქმედებისათვის ჰქონდა რამდენიმე დიდად ხელსაყრელი პლაცდარმი, ესენი იყვნენ: არდაგანი, ყარსი და ბაიაზეთი. თურქეთის აზიური ფაშალიყების ეს უმთავრესი ქალაქები და საკმაოდ მძლავრი სიმაგრეები ამავე დროს წარმოადგენდნენ კვანძებს ყველა იმ გზებისა, რომლებიც საქართველოს და მთელი ამიერკავკასიის პირდაპირ ცენტრისაკენ მიემართებოდნენ. შავი ზღვის სანაპიროზე თურქეთის არმიის შესაკრებ პუნქტებად და ბაზისათვის ხელსაყრელ ტრამპლინებად (საქართველოში შემოჭრისათვის) ითვლებოდა ტრაპიზუნდი და ბათუმი. გასაგებია, რომ თურქეთის სარდლობას, ვითარების მიხედვით, სრული შესაძლებლობა ჰქონდა გამოეყენებინა თვითეული მათგანი საომარი მიზნებისათვის.

XIX საუკუნის შუახანებამდე თურქეთთან ომების დროს საქართველოს დასავლეთი ნაწილი, ანუ საომარი ასპარეზის მარჯვენა ფრთა, შეორეხარისხოვან უბნად ითვლებოდა, თუმ-

---

[1] „Кавказ", 1854, № 6.

ცა სანაპირო გზა, რომელიც მიემართებოდა ბათუმიდან ბორ-
ჯომამდე ადგილებით ქობულეთის სანჯაყით — გერმანიდან
ერთობ მოხერხებული იყო თურქების შემოტევისათვის, მაგ-
რამ მისი წარუმატებლობის შემთხვევაში მათ საფრთხეც
ემუქრებოდა. საქმე ისაა, რომ გულად ლაზებს, რომლებიც
სანაპირო მთების გასწვრივ ესახლნენ, ირიდრად ეპატრონებო-
დათ თურქთა ბატონობა, ხოლო გერმის მოსახლეობა მუდამ
მზად იყო საკვლდრო-სასიცოცხლოდ შებმოდა მის ისტორიულ
მტერს — თურქეთს. ამიტომ, თურქებიც, გასაზღვრულ დრო-
მდე, ცდილობდნენ თავი აერიდებინათ კონფლიქტისათვის,
რათა უგუნური რისკით ხიფათში არ ჩაეგდოთ თავიანთი ჯა-
რები. ასე იყო წინად, როდესაც საბჭოდრო ისტორიკოსის რ.
ფადეევის სიტყვით, „ერთი ან ორი ბატალიონი, მილიციასთან
ერთად საკმაო აღმოჩნდებოდა ხოლმე ამ საზღვრის დასაცა-
ვად"[1]. მაგრამ ყირიმის ომის პერიოდში ვითარება ძირფესვი-
ანად შეიცვალა.

ირდაგანიდან საქართველოში, როგორც თქვა, ორი გზა
მიდიოდა: ერთი — პირდაპირ ახალციხემდე და შემდეგ ბორ-
ჯომის ხეობაში; მეორე — ახალქალაქამდე და იქედან ისევ
ახალციხისაკენ და ასე შემდეგ. ახალქალაქიდან წალკისაკენ
გზა მიდიოდა ლიხისჯვარის ქედით, ძნელად გადასავლელი
ეღელტეხილებით. რაც შეეხება ყარსიდან ალექსანდროპო-
ლამდე გაშლილ ვაკეებს, ისინი ყველაზე ღია და სახიფათო
ადგილებს წარმოადგენდნენ, თუმცა შედარებით კარგად გა-
მართული ალექსანდროპოლის ციხე-სიმაგრე (გუმბრი) რამდე-
ნადმე ანაზღაურებდა რუსთა თავდაცვის ბუნებრივი ფაქტო-
რების ნაკლოვანებას.

ალექსანდროპოლს იქით გაჭიმული იყო მაღალი ქედი, რო-
მელიც ავრეთვე უღელტეხილებით იყო დასერილი, ხოლო
მას იქით თბილისისაკენ ორი გზა მიემართებოდა — ერთი —
ამბალოდან, დილიჟანის ხეობით და მდინარე აქსტაფის ველე-
ბით, ხოლო მეორე — ჯემალ-ოღლუ, შულავერით და ა. შ.
რა თქმა უნდა, ეს გზები მოწინააღმდეგის არმიის მოძრაო-
ბისათვის არ იყო თანაბრად მოხერხებული და ხელსაყრელი.

---

[1] С. Федеев, იხ. დასახ. შრომა, გვ. 17.

იმ დროის სამხედრო-სტრატეგიული ავტორიტეტების [illegible] ვიწრო ხეობებსა და გადასასვლელებზე იოლი იქნებოდა მოწინააღმდეგის არმიების შეკავება, შედარებით მცირერიცხოვან რაზმებითაც კი [1].

თურქებს ბაიაზეთიდან თუ ყარსიდან უფრო ადვილად შეეძლოთ შეღწევა ერევნის ვაკეზე. თუმცა შესაძლებელი იყო შედარებით მცირერიცხოვანი ძალებით დაკავებულიყო ამ გზის ის ადგილი, რომელიც გოქჩის ტბის ნაპირებზე და დილიჯანის ფრიალო ქედის უღელტეხილებით მიიკლაკნებოდა. ამრიგად ადგილმდებარეობისა და ტოპოგრაფიული მონაცემების საფუძველზე მოწინააღმდეგის შემოსევა განსაზღვრული მიმართულებებით იყო მოსალოდნელი: ბათუმის მხრიდან — გურიისაკენ (ქ. ოზურგეთი); არდაგანიდან—ახალციხის მაზრაში; ყარსიდან — ალექსანდროპოლისაკენ. გარდა ამისა თვითეული ამ პუნქტთაგანი, როგორც შაგალითად, ყარსი, ბაიაზეთი, ყაგიზმანი თურქებს გამოადგებოდათ. როგორც შესანიშნავი ტრამპლინი ერევნის გუბერნიის ტერიტორიაზე თავდასხმისათვის.

ყოველ შემთხვევაში, ყველა სპეციალისტი მტრებისა თუ მოკეთეთა ბანაკიდან, ერთსულოვნად აღიარებდნენ, რომ მოწინააღმდეგის მთავარი სტრატეგიული დარტყმა ვერ ასცდება თბილისს — ამიერკავკასიის მხარის მთავარ გასაღებს და მის დედაგულს. ყველასათვის ცხადი იყო ის ჭეშმარიტება, რომ ქალაქ თბილისის დაუფლება სწყვეტდა იმ საკითხს, თუ ვინ დარჩებოდა ამ ქვეყნის ნამდვილი ბატონპატრონი. ამ გარემოებამ განაპირობა მოწინააღმდეგეთა ორივე მხარის მთელი ჭაპანწყვეტა. მტრის მთავარ სტრატეგიულ მიზანს, მის საბუოვარ ოცნებას შეადგენდა საქართველოს დედაქალაქის დაპყრობა.—ხოლო მშობლიური ქალაქის გადარჩენა მუხანათი მტრის ხელყოფისაგან, იქცა ყოფნა არ ყოფნის საკითხად, წმიდათაწმიდა მოვალეობად როგორც ქართველი ხალხისათვის, ისე ამიერკავკასიისა და მთელი რუსეთის მოძმე ხალხებისათვის. თბილისის დაცვა ადგილობრივი ოფიციალური ხელისუფლე-

---

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 336, л. 92.

ბის მიერ, გამოცხადებულ იქნა ყველაზე საპატიო და პირველ-ხარისხოვან ამოცანად.

✓თბილისი წარმოადგენდა მთელი კავკასიის საერთო-მარ-თვა-გამგეობის ცენტრს — „აზიაში რუსების ძალაუფლების ცენტრალურ პუნქტს“ [1], იგი ითვლებოდა აგრეთვე რუსეთის მატერიალური საშუალებების „მთავარ საწყობ პუნქტად“ კავკასიაში. გარდა ამისა თბილისი სტრატეგიული თვალსაზ-რისითაც წარმოადგენდა მთავარ საკვანძო პუნქტს, სადაც თავს იყრიდა ამიერკავკასიის ტერიტორიული ორგანიზმის სასი-ცოცხლო არტერიები. აქედან ამბავია, რომ თბილისის ხელში ჩაგდების შემთხვევაში მოწინააღმდეგეს ადვილად შეეძლო გაეთიშა, დაეშალა კავკასიის კორპუსის დამოუკიდებლად მომქმედი რაზმები, ყველანი ერთად და ცალ-ცალკე მოე-წყვიტა რუსეთისაგან. ამიტომ უდაოდ სწორი იყო რუსი საბ-ხედრო ისტორიკოსი როცა წერდა: „არა მარტო პირდაპირი, არამედ არაპირდაპირი დაცვა თბილისისა, რომელიც კეტავს საზღვრებიდან მისკენ მიმავალ გზების შესართავს, წარმოად-გენდა უპირველეს სტრატეგიულ ამოცანებლობას“ [2]. ✓

• არსებულ ბუნებრივ-ტოპოგრაფიულ პირობებში, ერთიანი საომარი მოქმედების განუყოფელი ფრონტის არსებობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო, ამიტომ სასაზღვრო ხოლის გან-საზღვრული მონაკვეთი, საიდანაც მთავარი გზა იწყებოდა, ამავე დროს ცალკეულ საომარ ასპარეზად ითვლებოდა, ხო-ლო აქ მოქმედი საბჭედრო ნაწილი მეტნაკლებად დამოუკი-დებელ ერთეულს წარმოადგენდა. როგორც აღინიშნა, ურთი-ერთ ოპერატიული კავშირი და ურთიერთთანამოქმედება, ამი-სათვის საჭირო გზების უქონლობის გამო, გამორიცხული იყო. ამრიგად, თვითეული რაზმი, თვითეული ქვედანაყოფი საომა-რი მოქმედების ცალკეულ ასპარეზზე არა თუ დამოუკიდებ-ლად მოქმედებდა, არამედ მათვე აწვა პასუხისმგებლობის სრული ტვირთიც ამ მოქმედებისათვის, წარმატებისა თუ წარუ-მატებლობისათვის, გამარჯვებისა თუ დამარცხებისათვის. ასე-

---

[1] К. Маркс Ф. Энгельс, соч., 1933, т. X, стр. 555.

[2] Р. Фадеев, Шестьдесят лет Кавказской войны, 1869 г., т. II, ч. 2, стр. 78.

თი იყო ვითარება ამიერკავკასიაში საომარი მოქმედების დაწყების წინ.

„თურქეთის საზღვრებთან ამიერკავკასიის უახლოესი წილების ერთმანეთისაგან მთებით გათიშულობა, — ამბობდა 1860 წ. წაკითხულ ლექციებში აღმოსავლეთის ომის შესახებ პოლკოვნიკი რომანოვსკი, — იყო იმის მიზეზი, რომ საზღვრების საიმედოდ დაცვის მიზნით საჭიროდ იქნა ცნობილი შეექმნათ განსაკუთრებული რაზმები გურიაში, ახალციხეში, ახალქალაქში, ალექსანდროპოლსა და ერევანში. მათ შორის ალექსანდროპოლის შენაერთი, რომელიც იმყოფებოდა ყარსის გზაზე, სადაც თურქებმა თავი მოუყარეს თავის უმთავრეს ძალებს, აღიარებულ იქნა ძირითად შენაერთად, მასში იგზავნებოდა ჯარების დიდი რაოდენობა"[1]. უნდა აღინიშნოს, რომ სხვა დამოუკიდებელი საომარი უბნების როლი და მნიშვნელობა მათი ხასიათის თავისებურებებისა და ტაქტიკურ-სტრატეგიული თვალსაზრისით ოდნავადაც არ იყო თანაბარი. თვითეული მათგანის შინაარსს და სპეციფიურობას, მათ წინაშე მდგარ ტაქტიკურ და სტრატეგიულ ამოცანებს განსაზღვრავდა განსხვავებული გეოგრაფიული, ბუნებრივ-ტოპოგრაფიული, კლიმატური და სხვა ფაქტორები. ამის მიხედვით თვითეული რაზმის წინაშე სრულიად კონკრეტული ამოცანა იდგა.

ავიღოთ, მაგალითად, გურიის რაზმი. იგი როგორც ამას პოლკოვნიკი უსლარი აღნიშნავდა, სრულიად განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა — სრულიად დამოუკიდებელ ერთეულს წარმოადგენდა, მის წინაშე დიდად პასუხსაგები ამოცანები იდგა და თავის მოქმედებაში იგი თავიდან ბოლომდე თვით აგებდა პასუხს[2]. პოლკოვნიკ უსლარს, რომელიც ითვლებოდა გურიის რაზმის შტაბის უფროსად გენერალ ბაგრატიონ-მუხრანსკის სარდლობის დროს ჰქონდა სრული შესაძლებლობა შედარებით სრულყოფილად მოეხაზა დასავლეთ საქართველოს ამ საომარი ასპარეზის საერთო

---

[1] Полк. Романовский. „Кавказ и Кавказская война", СПБ 1860, стр. 152.

[2] АКАК, т. XI, стр. 231.

მდგომარეობა და ხაზგასმით აღენიშნა ამ პლაცდარმზე მოქმედი რაზმის ფრიად საპატიო და საპასუხისმგებლო როლი.

ცნობილია, რომ თურქეთთან ადრინდელ ომებში რუსეთის ფლოტის სრული ჰეგემონობა შავი ზღვის აუზში მტკიცედ უზრუნველყოფდა აფხაზეთის, სამეგრელოს და გურიის სანაპიროთა უშიშროებას, ამიტომ ეს პროვინციები ხშირად საომარი მოქმედების გარეშე რჩებოდნენ. სულ სხვა ვითარება იყო აღმოსავლეთის ომის ინგლის-საფრანგეთის მძლავრი ესკადრების შავ ზღვაში შემოჭრის შემდეგ. მთელი ეს სანაპირო უეღრესად საბედისწერო მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამისდამიხედვით გურია-სამეგრელო-იმერეთის საომარ ასპარეზს სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა. მეორეხარისხოვნიდან იგი პირველხარისხოვან ფაქტორად იქცა, იგი გახდა უმნიშვნელოვანესი ზღუდე და დასაყრდენი ყველაზე უფრო საშიშ მხრიდან არა მარტო საქართველოსათვის, არამედ მთელი ამიერკავკასიისათვისაც. ამ გარემოებამ განსაზღვრეს კიდეც შემდგომში გაშლილი საომარი მოქმედების ხასიათი და მნიშვნელობა შავი ზღვის მთელ სანაპიროზე თვით აფხაზეთისა და სამეგრელოს, გურიის და იმერეთის ტერიტორიებზე. თუ ანატოლიის საბრძოლო ასპარეზზე, მდგომარეობის შესაბამისად, ეწყობოდა ახალციხის, ახალქალაქის, ერევნისა და ალექსანდროპოლის რაზმების მოქმედებათა კოორდინაცია, თუ აღნიშნულ ნაწილებს შეეძლოთ შედარებით ადვილად და ოპერატიულად შეერთებულიყვნენ და შემდეგ კვლავ დანაწევრებულიყვნენ, — გურია-იმერეთის რაზმი აბსოლუტურად მოკლებული იყო ამ უპირატესობას, იგი მუდამ დამოუკიდებლად და განცალკევებით მოქმედებდა.

გურია-იმერეთის პლაცდარმზე მოქმედ რუსეთის არმიას, ანატოლიის საომარი ასპარეზისაგან განსხვავებით, არ მოეპოვებოდა რაიმე ხელშემწყობი პირობები თურქეთის წინააღმდეგ კონტრშეტევის მოსაწყობად. აჭარისა და ლაზისტანის მთების სარტყლის გაუვალი კედელი, ისევე, როგორც იმ

დროს მიუვალად აღიარებული ციხის-ძირის სიმაგრე[1], რომელიც ჯერ ისევ ბათუმის სანჯაყის მთავარ გასაღებად ითვლებოდა, გამორიცხავდა რუსეთის არმიისათვის შეტევითი ოპერაციების წარმატების ყოველგვარ შესაძლებლობას. ამის გამო რუსეთის სარდლობა იძულებული იყო დროებით გადადედო მისი კანონიერი მისწრაფება — შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ერთ-ერთი საუკეთესო ნავსადგურის ხელში ჩაგდების განხორციელება. ეს მწვავე, მაგრამ ჯერ კიდევ გადაუჭრელი ამოცანა, კვლავ დღის წესრიგში რჩებოდა. არსებული ვითარების დროს, როცა ჰეგემონობა შავ ზღვაზე მოწინააღმდეგის ხელში გადავიდა და ბათუმი თურქეთის არმიის დასაყრდენ პუნქტად იქცა, ამ ნავსადგურის დაკავება და მისი შენარჩუნება თითქმის შეუძლებლად და ავანტურისტულ ნაბიჯადაც კი ჩაითვლებოდა. ამიტომ საკუთარი გონივრულად გამოიყურება მეფისნაცვლის თავადი ვორონცოვის მიერ დაკავებული პოზიცია სამხედრო მინისტრ თავად დოლგორუკოვთან მიმოწერის დროს.

ჯერ კიდევ 1853 წლის ზაფხულში აღმოსავლეთის ომის დაწყების წინ, სამხედრო მინისტრმა პირდაპირ დააყენა კავკასიის მეფისნაცვლის წინაშე ბათუმის ხელში ჩაგდების საკითხი, თან ამ უკანასკნელს წინადადება მისცა დაემუშავებინა ამ ამოცანის განხორციელების კონკრეტული ღონისძიებანი. იმავე წლის 31 ივლისს თავის საპასუხო ბარათში თავადი ვორონცოვი თავის მინისტრს აცნობებდა, რომ განსაზღვრულ ვითარებაში და სათანადო პირობების დაცვისას აღნიშნული სიმაგრის აღება კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ „მარტოოდენ სახმელეთო საშუალებებით და განსაკუთრებით, იმ ძალებით, რომლებიც ჩემს განკარგულებაში იმყოფება, ბათუმის აღებაზე ფიქრიც კი არ შეიძლება... თუნდაც, რომ აიღონ იგი ფეხოსნებმა — შავ ზღვაში უცხოეთის ფლოტების შემოერის შემთხვევაში — ისინი ვერ შესძლებენ მის შენარჩუნებასო"[2].

---

[1] გენერალ პასკევიჩის მიერ 1829 წელს ციხის-ძირის სიმაგრის წინააღმდეგ მოწყობილი იერიშის წარუმატებლობა იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო დავიწყებული.

[2] АКАК, т. X, стр. 755.

როგორც მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ ნათელჰყო, კავკასიის მეფისნაცვლის ყველაზე უსიამოვნო მოლოდინი სავსებით გამართლდა. ბათუმის აღების ვარაუდი კვლავ გადაიდო.

ზემოთქმულიდან მაინც ცხადი ხდება, რომ გურია-სამეგრელო-იმერეთის საომარი პლაცდარმი, ანუ, როგორც მას ჩვეულებრივ უწოდებდნენ, „რიონის მხარე", მთავარსარდლობის მიერ განიხილებოდა როგორც თავდაცვითი ხასიათის მქონე საომარი ასპარეზი. მაგრამ თავისი საზღვრების კონფიგურაციის თვალსაზრისით „რიონის მხარე" ომის განმავლობაში არ წარმოადგენდა რაღაც უძრავსა და ერთსახოვანს. ასე მაგალითად, თუ ომის დასაწყისში მის თავისებურებასა და მნიშვნელობას განსაზღვრავდა გურია-ქობულეთის საზღვრის ზოლი, რომელიც პერპენდიკულარულად ებჯინებოდა შავი ზღვის სანაპიროს, ომერ-ფაშას მეთაურობით თურქეთის საექსპედიციო კორპუსის სამეგრელოში შემოჭრის შემდეგ ამ ასპარეზმა სრულიად ახალი სახე მიიღო.

გურია-ქობულეთის საზღვარი გაჭიმული იყო თითქმის 25 ვერსზე სოფელ ქაქუთიდან შეკვეთილის ცნობილ საგუშაგომდე (მდინარე ჩოლოქის შესართავთან). ადგილმდებარეობა მეტწილად მთაგორიანი იყო. შავი ზღვის სანაპირო ხაზი შეკვეთილიდან ანაკლიამდე, რაც შეადგენდა 55 ვერსის სიგრძეს, მოპირდაპირეს უქმნიდა მეტად მოხერხებულ პირობებს სადესანტო ოპერაციებისათვის ისეთ შესანიშნავ პუნქტებში, როგორიც იყო ფოთი, რედუტ-კალე (ყულევი), ანაკლია და სოხუმი. თავისთავად ცხადია, ყველა ისინი არ წარმოადგენდნენ ისეთ მოხერხებულ და შედარებით კეთილმოწყობილ საპორტო პუნქტებს, როგორიც იყო სოხუმის ნავსადგური. ამასთან აღსანიშნავია, რომ ცოტად თუ ბევრად მოხერხებული გზა, რომელზედაც მტრის სადესანტო ჯარებს შეეძლოთ მოძრაობა ქვეყნის შიგნით, მხოლოდ რედუტ-კალეს გააჩნდა. ამიტომაც სწორედ ამ სასაზღვრო პუნქტს, რომელიც ითვლებოდა ხმელეთის გასაღებად, მიაქცევდნენ განსაკუთრებულ ყურადღებას გარეშე მტრებიც და ადგილობრივი სარდლობაც.

ომერ-ფაშის მიერ ოფხაზეთისა და სამურზაყანოს დაპყრობის შემდეგ, თავდაცვის ხაზი მდინარე ინგურზე გადმოვიდა და „რიონის მხარე“ ამიერიდან წარმოადგენდა ერთმანეთისადმი პერპენდიკულარულად მიმართულ საომარ ასპარეზს, რომელთაც მიეწინავდა: გურია-ქობულეთის საზღვარი, შავი ზღვის სანაპირო და მდინარე ინგურის ზოლი. ეს უკანასკნელი 65 ვერსის სიგრძეზე ანაკლიიდან ჯვარამდე გაზაფხულზე და ზაფხულში წყალდიდობის პერიოდში წარმოადგენდა შესანიშნავ ბუნებრივ თავდაცვითს ხაზს.

„ტყეების, ჭაობების და ხშირ მდინარეებს შორის, — წერდა სამხედრო რუსი ისტორიკოსი, — გულადი ქრისტიანული მოსახლეობა, ერთგული ერთმორწმუნე რუსეთისა, წარმოადგენს ისეთ თავდაცვითს ძალას, როგორიც ჩვენ არ გაგვაჩნია ამიერკავკასიის სხვა პუნქტებში და, რომელიც კარგად გამოყენების დროს, მოწინააღმდეგისათვის რეგულარულ ჯარებზე უფრო საშიშარი იქნება“[1].

ახალციხის საომარი ასპარეზი მისი ახალქალაქის განშტოებასთან ერთად, მჭიდროდ იყო დაკავშირებული იმ მომქმედი რაზმების ჯგუფთან, რომლებიც შეადგენდნენ კავკასიის არმიის ერთიან და განუყოფელ სტრატეგიულ ფრონტს. ეს საომარი ასპარეზი ფაქტიურად მოქცეული იყო ალექსანდროპოლის, ანუ ე. წ. ანატოლიის მთავარი კორპუსის მოქმედების რადიუსში. ახალციხის რაზმის მოქმედების არეს შეადგენდა მთავარი კორპუსის მარჯვენა ფრთა. თუმცა მკვეთრი ბუნებრივი გამიჯნულობა და ურთიერთ კავშირის განხორციელების დიდი სიძნელეები უკარნახებდა კორპუსის მთავარსარდლობას შეექმნათ სხვადასხვა, დამოუკიდებლად მომქმედი სამი საომარი ასპარეზი — ახალციხის, ალექსანდროპოლისა და ერევნის სექტორებში[2]. მაგრამ ეს რაზმები

---

[1] Р. Фадеев, там же, т. II, стр. 19.

[2] ალექსანდროპოლის ცხენ-სიმაგრე დაშორებული იყო ახალციხიდან 120 ვერსით, მათ ერთმანეთისაგან თიშავდა საკმაოდ მიუდგომელი ჩილდირის მიების განშტოებანი; მიუხედავად ამისა მთავარი საომარი ფრონტის რადიუსში არ არსებობდა ისეთი გადაულახავი დაბრკოლება, როგორიც იყო იმ დროს ახალციხესთან.

დამოუკიდებელი მოქმედებით ყოველთვის ვერ აღწევდნენ
მიზანს და განუწყვეტლივ ურთიერთ კავშირისა და თანმიმდევრ
მედებისაკენ მიისწრაფოდნენ. ეს გარემოება, ცხადია, ოდნა
ვადაც არ ჩრდილავდა თვითეული ამ ასპარეზის წინაშე
მდგარ ინდივიდუალურ ამოცანებს და მით განსაკუთრებულ
დანიშნულებას.

ახალციხის გზას თავისთავად დიდმნიშვნელოვანი სტრა
ტეგიული მნიშვნელობა ჰქონდა: იგი წარმოადგენდა საკმაოდ
მოხერხებულ და შედარებით მოკლე გზას თურქეთის საზღვ
რებიდან თბილისამდე. ამავე დროს, ამ გზის უპირატესობა
სწორედ ის იყო, რომ იგი გვერდს უქცევდა საქართველოს
დედაქალაქს ზურგიდან და ეერთდებოდა რუსეთთან დამა
კავშირებელ მაგისტრალურ ძარღვს — საქართველოს სამ
ხედრო გზას. ამრიგად, შეტევაზე გადმოსულ მოწინააღმდეგეს
შესაძლებლობა ჰქონდა, უწინარეს ყოვლისა, მოეწყვიტა
თბილისიდან დასავლეთ საქართველოში მოქმედი რაზმი და
მეორე, რაც მთავარია, მოეწყვიტა საქართველოს დედაქალა
ქი—კავკასიის ყველა კომუნიკაციების ცენტრი, თვითრუსეთი
საგან. ამ მიმართულებით არსებობდნენ მტრისათვის ხელშემ
შლელი ფაქტორებიც, რომლებიც რამდენადმე აუფასურებ
დნენ მისთვის ესოდენ ხელსაყრელ პერსპექტივებს. ასეთები
იყვნენ: მთაგორიანი ადგილმდებარეობა, თურქების დასაყრ
დენი პუნქტის — არდაგანის და მისი მიდამოების ძლიერ
უსწორმასწორო და სერ-ღარეებიანი რელიეფი, ისეთი მოხერ
ხებული გზების უქონლობა, რომლებიც შესაძლებელს გახ
დიდნენ არტილერიის, ალაღისა და სხვა სიმძიმეების გადატა
ნას და სხვ.

ახალციხის მაზრის დაცვის საქმე ფაქტიურად თავმოყრ
ილი იყო ახალციხის სიმაგრესთან და აგრეთვე მდინარე აწყუ
რის საგუშაგოებთან, რომლებიც ჰკეტავდნენ ბორჯომის ხე
ობიდან გასასვლელს. ამ უკანასკნელს განსაკუთრებული მნიშ
ვნელობა ენიჭებოდა, რადგან იგი დარაჯად ედგა ბორჯომის
ხეობაში მოძრაობას და კონტროლს უწევდა სტრატეგიულ
გზაზე მისასვლელებს. „აწყურის ციხე-სიმაგრე,—წერდა გე-

ნერალი ნ. ნ. მურავიოვი თავის დღიურებში—ფრიად შესანიშ-ნავია თავისი ადგილმდებარეობით. იგი საკუთარ კეტავს შეს-ასვლელს და გამოსასვლელს საქართველოდან თუ ქართლი-დან... ეს სიმაგრე აგებულია ციცაბო კლდის შვერილსა და მის მწვერვალზე, რომლის ძირში და წყალს გადმა მდებარეობს ორი წინა სამზირი: ერთი მათგანი ქვის გალავნით არის შე-ჩორაგული. კლდის მწვერვალიდან ქვაში გაკეთებულია წყალ-თან მისასვლელი ფარული ხვრელები, რასაც დაბლა იცავს ბლოკჰაუზები თუ სათოფურები. აქედან მტკვრის ტოტიდან წყალს იღებენ"[1]. ამრიგად, ადვილად აიხსნება ის, თუ რატომ იყო, რომ თურქები, რომლებიც ცდილობდნენ გაჭრას ბორ-ჯომის ხეობისაკენ, ასეთი თავგანწირვით უტევდნენ, უწინა-რეს ყოვლისა, აწყურის გამაგრებულ კვანძს, მიისწრაფოდნენ დაეძლიათ ეს გადაულახავი დაბრკოლება და აქედან გზა ქართლის დედაგულისაკენ გაეკაფათ.

მცველი გარნიზონით უზრუნველყოფილი თვით ახალცი-ხის ციხე-სიმაგრე წარმოადგენდა აქ მოქმედი რაზმეულის დასაყრდენ პუნქტს. მაგრამ ახალციხის სასაზღვრო ზოლი, მის მიღმა მდებარე თურქეთის ტერიტორიის ბუნებრივ-ტოპოგ-რაფიული პირობების გამო, აქ მოქმედი ჯარისათვის ოდნავად-აც ვერ გამოდგებოდა შეტევითი მოქმედების გამოსავალ პუნქტად. თუმცა ახალციხიდან არზრუმისაკენ არდაგანით მიემართებოდა საკმაოდ პირდაპირი და მოკლე გზა, მაგრამ იგი მძიმედ აღჭურვილი ჯარის ნაწილებისათვის თითქმის გა-უვალად ითვლებოდა. ახალციხის სამხრეთით მდებარე მიუდ-გომელი მთის ჯაჭვის გამო.

მიუხედავად იმისა, რომ ახალციხის რაზმის სტრატეგიუ-ლი მიზნები, მისი მოქმედების ბუნებრივ ვითარებათა გამო, ერთობ შეზღუდული იყო, მის წინამე მაინც დიდი ამოცანე-ბი იდგა. მას ეკალებოდა უკუნებელეყო ჩვენი სახლვრების და-საცავად მდებარე რაიონი, სადაც მდინარე პოსხოვ-ჩაის სა-თავეს კვეთდა ბათუმ-არდაგანის მთის ბილიკი. აღნიშნული

---

[1] „Русский архив", кн. 1, 1894, стр. 5.

ბილიკი, რომლის გავლა ადვილად შეეძლო მსუბუქად შეიარაღებული ჯარის ნაწილებს, აჭარის ხეობას არდაგანსა და ყარსს უკავშირებდა. ეს გზა მოწინააღმდეგეს შეეძლო გამოეყენებინა ამ ორი სიმაგრის პირდაპირი ხაზით კავშირისათვის შავი ზღვის სანაპიროსთან და თურქეთის ევროპულ ნაწილთან. ახალციხის რაზმის წინამე იდგა მეორე პირველხარისხოვანი ამოცანაც — ხელსაყრელი ვითარების დროს აეღო ახალციხის სამხრეთით მდებარე ციხე-სიმაგრე არდაგანი — თურქეთის ახალციხის ფაშალიყის ძირითადი ცენტრი. არდაგანის დაკავებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შემტევი რუსეთის ჯარებისათვის. ეს კარგად ჰქონდა გათვალისწინებული რუსეთის იმპერატორს და ამიტომ დაჟინებით მოითხოვდა ადგილობრივ საარდლობისაგან მის განხორციელებას.

ახალციხეს ექვემდებარებოდა და მისი სამოქმედო ასპარეზის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა ახალქალაქი, რომელიც ახალციხიდან 40 ვერსით არის დაშორებული. ამიტომ ეს ყველაზე მოკლე გზა, რომელიც თურქეთის საზღვრებს აახლოებდა თბილისთან, ახალქალაქის საომარ ასპარეზს ფრიად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. იმ შემთხვევაში, როცა თურქები ახალციხის საკმაოდ ძლიერი რაზმის შიშით შეეცდებოდნენ თავი აერიდებინათ დიდი შეტევისათვის, მათ რჩებოდათ შესაძლებლობა ახალქალაქის გზით გადაესროლათ თბილისისაკენ პატარ-პატარა მფრინავი ბრბოები და თვალსაჩინო ზიანი და შეშფოთება მიეყენებინათ საქართველოს დედაქალაქის მიდამოებისათვის... ახალქალაქის საბრძოლო პუნქტი აგრეთვე იცავდა იმ გზას, რომელიც მიემართებოდა არდაგანიდან ახალქალაქით და ორლოვკით წალკამდე — და, შემდეგ თბილისამდე. აქედან გამომდინარეობდა ახალქალაქის მცირე რაზმის ფრიად საპატიო დანიშნულება: ერთი მხრით, დაეცვა სასაზღვრო ხაზი, უვნებელეყო თბილისისაკენ მიმავალი გზები, აღეკვეთა, მოესპო მოწინააღმდეგის სადივერსიო ბრბოების თარეში ჩვენს ტერიტორიაზე და, მეორე მხრით, იმყოფებოდა რა ახალციხისა და ალექსადროპოლის რაზმების კომუნიკაციებზე, მას ევალებოდა უზრუნველეყო მათ შორის

განუწყვეტელი კავშირი და ურთიერთობა, ფეხიბლიანი ... ბინა თვალყური მტრის ყოველგვარი მაქინაციებისა ... მიელო საჭირო თადარიგი. ახალქალაქის პატარა რაზმი თავის ძირითადი დანიშნულებით, ცხადია, მხოლოდ და მხოლოდ თავდაცვითი ხასიათისა იყო.

ალექსანდროპოლის საომარი ასპარეზის წამყვან მნიშვნელობას, უწინარეს ყოვლისა, განსაზღვრავდა ის გადამწყვეტი სტრატეგიული მნიშვნელობა, რომელიც ენიჭებოდა ამ ციხე-სიმაგრიდან მიმავალ გზებს, ერთი მხრივ, ყარსისა და არზრუმისაკენ, მეორე მხრივ — თბილისისაკენ. თურქეთისაკენ გაწოლილი გზა, რომელიც ებჯინებოდა საზღვარზე მდებარე მძლავრ ციხე-სიმაგრეს, მუდამ წარმოადგენდა ერთადერთ ნაცად საოპერაციო მაგისტრალს, რომლითაც რუსეთის ძლევამოსილი არმიები არა ერთგზის შეჭრილან აზიის თურქეთის სიღრმეში. მეორე მხრივ, ალექსანდროპოლი დაკავშირებული იყო თბილისთან რამდენიმე, იმ დროისათვის საუკეთესო, გზით, რომლებიც მცირე კავკასიის სარტყელზე გადიოდნენ. თბილისიდან ალექსანდროპოლისაკენ მიდიოდა 3 გზა, თუმცა ჯარებს სრული ალბურვილობით მხოლოდ ორი მათგანის — დილიჟანისა და ბეზობრალის მაგისტრალების გადალახვა შეეძლოთ. პირველი გზაც, თავისი კეთილმოწყობით, წარმოადგენდა ყველაზე საუკეთესოს, თუმცა იმავე დროს იგი ყველაზე შორიც იყო, მისი სიგრძე თბილისიდან თურქეთის საზღვრამდე 275 ვერსს აღწევდა; მეორე გზა თითქმის 100 ვერსით მოკლე იყო პირველზე, მაგრამ კეთილმოწყობის მხრივ დიდად ჩამორჩებოდა პირველს.

ალექსანდროპოლის კორპუსი, რომლის წინ იდგა თურქეთის ანატოლიის არმიის მთავარი ძალები, იცავდა უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობის მაგისტრალს თბილისსა და ყარსს შორის, ასრულებდა განსაკუთრებული მნიშვნელობის ფრიად საპასუხისმგებლო ამოცანას. ამავე დროს, ალექსანდროპოლის კორპუსი, ცხადია, არასოდეს არ ითვლებოდა მხოლოდ როგორც თავდაცვითი ძალა. ისე, როგორც თურქეთთან თითქმის ყველა ომში, 1853 — 1856 წლების აღმოსავლეთის ომის დროსაც ალექსანდროპოლის კორპუსი მოწო-

დებული იყო საჭირო შემთხვევაში დაეწყო გენერალური შეტევა თურქეთის არმიების წინააღმდეგ. ასეთი იყო უმაღლესი მთავარსარდლობის დირექტივა პეტერბურგიდან.

ერევნის მაზრა, რომელიც დაცილებული იყო ალექსანდროპოლიდან ალაგეზის მთით, აგრეთვე სპეციალური საომარ ასპარეზს წარმოადგენდა. იგი ებჯინებოდა რა სპარსეთის საზღვარს, წარმოადგენდა თურქეთის წინააღმდეგ მოქმედი კორპუსის უკიდურეს მეშარცხენე ფლანგს. ერევნის რაზმის მოქმედების მასშტაბი ომში უმთავრესად განისაზღვრებოდა საზღვრების უშიშროების დაცვით, მაგრამ მის წინააღმდეგ აღმართული იყო თურქეთის ისეთი მნიშვნელოვანი პუნქტიც, როგორიც ბაიაზეთის ციხე-სიმაგრე იყო. ერევნიდან ბაიაზეთამდე არარატზე გავლით მიიმართებოდა საკმაოდ რიგიანი გზა, მათ შორის იყო იგდირი და ჩინგილის უღელტეხილი. ამრიგად, რაზმის წინ მდებარეობდა ბაიაზეთისაკენ გაშვერილი ფრიად მნიშვნელოვანი საოპერაციო ხაზი. მასვე შეეძლო გაეშალა შეტევითი ოპერაციები კაგიზმანის წინააღმდეგ. აღმოსავლეთის ომის წლებში, ერევნის სახელოვან რაზმს, თავისი გამარჯვებებით არა ერთხელ უსახელებია კავკასიის კორპუსი და დაუმშვენებია ამიერკავკასიის სამხედრო ისტორიის ფურცლები[1].

ვაჯამებთ რა ომის წინადროინდელ საომარ ასპარეზთა მოკლე დახასიათებას ამიერკავკასია-თურქეთის ფრონტზე, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს მხარეს ამ დროს მტრის თავდასხმის წინააღმდეგ მეტისმეტად სუსტი თავდაცვითი საშუალებანი გააჩნდა. ქვეყნის სასაზღვრო ხაზი მის მრავალ პუნქტში ერთობ ადვილად ხელმისაწვდომი იყო მოწინააღმდეგისათვის. საზღვრის ფართოდ გაშლილ ხაზზე თბილისის მიმართულებით შეტევაზე გადმოსულ თურქებისათვის, შეეძლო რამდენიმე გზა გადაელობა სამ ციხე-სიმაგრეს: ახალციხისას, რომელიც იცავდა ყარსიდან არდაგანზე და ბორჯომის ხეობისაკენ მიმავალ გზას, ალექსანდროპოლის სიმაგ-

---

[1] იხ. გენერალ-მაიორ ლიხუტინის ჩანაწერები ერევნის რაზმის საომარი მოქმედების შესახებ: „Русские в Азиатской Турции в 1853—1856 гг.", СПБ., 1863.

რეს, რომელიც პირდაპირსა და მოხერხებულ გზას [illegible]
და ყირსიდან თბილისისაკენ მოლაშქრე თურქეთის [illegible]
და ერევნის ციხე-სიმაგრეს, რომელსაც შეეძლო თვალსაჩინო
შემკავებელი როლი ეთამაშა ბაიაზეთიდან და აგრიდაგიდან
დაძრულ ჯარების წინააღმდეგ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ
ამ საქმე „სიმაგრე ციტადელის" ფაქტიური მდგომარეობა ოდ-
ნავ თუ შეესაბამებოდა მათ დანიშნულებას და მქუხარე სა-
ხელს. ომის თანამედროვე სამხედრო სპეციალისტის ჩვენებით
თვით ალექსანდროპოლიც კი, რომელიც წარმოადგენს ჩვენს
მთავარ დასაყრდენ პუნქტს ანატოლიის წინააღმდეგ, მრის-
ხანედ მხოლოდ გარეგნულად მოსჩანდა, სინამდვილე-
ში მას არ შეეძლო ხანგრძლივად შეეკავებინა მტრის რამდე-
ნადმე მნიშვნელოვანი ძალები, რადგანაც „მას უშვნდნენ არ-
ბაჩის თურქეთის სანაპიროს საკომანდო მაღლობებიდან, იყო
სუსტად შეიარაღებული და გააჩნდა მეტად მცირე რაოდენო-
ბის კაზემატირებული ნაგებობანი" [1].

ფრიად საეჭვალო მდგომარეობაში იმყოფებოდა ერევ-
ნის ციხე-სიმაგრე. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ნიკოლოზ
პირველმა ერევანში ყოფნის დროს 1837 წლის ოქტომბერში,
დათვალიერა რა ქალაქის სიმაგრეები, მოიგონა გრაფ პასკე-
ვიჩის მკვეხარა რეალიები „ერევნის მიუვალ ციხე-სიმაგრე-
თა" დაპყრობის შესახებ და ირონიით შენიშნა: „ეს ციხე-სი-
მაგრე კი არა — უბრალო თიხის ქოთანია" [2]. უნდა აღინიშ-
ნოს, რომ იმ დროიდან, როდესაც რუსეთის იმპერატორმა თა-
ვისი თვალებით იხილა ეს „თიხის ქოთანი", მის მთავრობას
თითიც კი არ გაუნძრევია მის გასაუმჯობესებლად. კიდევ მე-
ტი, ერევნის სიმაგრე 1853 — 1856 წლებს ომის პერიოდისა-
თვის კიდევ უფრო დაიშალა და თავისი დანიშნულებისათვის
სრულიად შეუფერებელი გახდა [3].

ახალციხის „ციხე-სიმაგრის" შესახებ აღმოსავლეთის

---

[1] ЦГИАГ, ф, 1187, д. 441, л. 7.

[2] А. М. Зайончковский. Восточная война 1853—1856 гг, СПБ, 1908, т. II, ч. 1, стр. 207—208.

[3] იხ. გენერალ ბებუთოვის ბატალი თავად მ. ს. ვორონცოვისადმი, 1853 ნ. 1 სექტემბერი.

ომის თანამედროვე, პოდპოლკოვნიკი ალექსიანოვი წერდა: „აღნიშნული სიმაგრე წარმოადგენდა ძველისძველ ... ქული წარმოშობის ნაგებობას, მისი აღჭურვილობა და შეიარაღება მეტის მეტად სუსტი და პრიმიტიული იყო და, რაც მთავარია, მას თავისი მდებარეობებით არ შეეძლო თავი აერიდებინა მტრის დაშენისაგან პოსხოვ-ჩაის მოწინააღმდეგე ნაპირის მიდამოების მაღლობებიდან, რომელიც სიმაგრიდან მხოლოდ ზარბაზნის გასროლის მანძილზე მდებარეობდა"[1]. საქმის მცოდნე სპეციალისტების გადმოცემით რუსეთის მხარის ე. წ. „ციხე-სიმაგრეები" თურქეთის საზღვარზე, სრულიად არ შეეფერებოდნენ თავიანთ პირდაპირ დანიშნულებას — გზა გადაეღობათ შემტევი მოწინააღმდეგის ჯარებისათვის, ან უკუექციათ ისინი. საპაგიეროდ ისინი თვალსაჩინო სამსახურს გაუწევდნენ შეტევაზე გადასულ რუსეთის არმიას, როგორც დასაყრდენი პუნქტები ან ჩვეულებრივი „სამხედრო საწყობები".

თავიანთი ციხე-სიმაგრეთა უმრავლესობით თურქებიც ვერ დაიტრაბახებდნენ. ანატოლიის არმიის მთავარი დასაყრდენი პუნქტი — ყარსის ციხე-სიმაგრე, რომელიც მდებარეობდა არზრუმიდან ამიერკავკასიაში სალაშქროდ უმოკლეს გზა-ჯვარედინზე, თუმცა 1828—29 წლების ომის შემდეგ მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს, მაგრამ ჯერ მაინც რჩებოდა ნატურალურად „აზიური" ტიპის სიმაგრედ. აღმოსავლეთის ომში ყარსმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა. ივი თითქმის ზედ საზღვარზე, თურქეთის არმიის ფართო სტრატეგიული ფრონტის ცენტრში მდებარეობდა, უშუალოდ ემუქრებოდა ამიერკავკასიას და თან საომედო დასაყრდენ პუნქტადაც ითვლებოდა. „ყარსის ციხე-სიმაგრე,—წერდა ფუად-ფაშა ლორდ კლარენდონს ინგლისში, — წარმოადგენს ჩვენი აზიური საზღვრების გასაღებს. ალაჰმა გვაშოროს უბედურება, რომ აღნიშნული ციხე-სიმაგრე რუსებს ჩაუვარდეს ხელში.

---

[1] ЦГИАГ, ф. 1187, д. 441, л. 16.

ეს უწინარეს ყოველისა, დაემუქრებოდა არზრუმს, შემდეგ [illegible] მთელს ანატოლიას. შეუძლებელია ამაში ეჭვი შეიტანოთ [illegible]

არზრუმის ციხე-სიმაგრეს, როგორც მთელი ანატოლიის უმთავრეს ცენტრს, განსაზღვრული აზრით, არ ჰქონდა სერიოზული მნიშვნელობა. არდაგანისა და ბაიაზეთის ძველისძველ სიმაგრეებს, რომლებსაც 1828—1829 წლების ომის შემდეგ, არ განუცდიათ რაიმე არსებითი ვაუმჯობესება, არ გააჩნდათ შესაძლებლობა ეწარმოებინათ ხანგრძლივი და შეუპოვარი თავდაცვა. ბათუმი, რომელიც იმ დროინდელ საზღვრიდან, შეკვეთილის საგუშაგოდან დაახლოებით 28 ვერსით იყო დაშორებული, გამაგრებული იყო მხოლოდ ხმელეთის მხრიდან თხრილებით და მესრებით, რასაც ცხადია, რაიმე სერიოზული თავდაცვითი დირებულება არ გააჩნდა.

თუ შეეჯამებთ ჩვენს ვანკარგულებაში არსებულ ცნობებს მოპირდაპირე მხარეთა მთავარი საბრძოლო ციხებსტიონების მდგომარეობის შესახებ, თვალცხადი ხდება, რომ ამიერკავკასია-თურქეთის ზოლში განლაგებული ციხე-სიმაგრეები თავიანთი მოწყობილობითა და შეიარაღებით, გამძლეობით და სიმტკიცით არა თუ შორს იდგნენ სრულყოფისაგან, არამედ მათ წინაშე მდგარ ელემენტარულ მოთხოვნილებასაც კი ვერ აკმაყოფილებდნენ. მაგრამ, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ ნაპოლეონ ბონაპარტემ მოსწრებულად შენიშნა, რომ „ციხე-სიმაგრეები, ისევე, როგორც ზარბაზნები თავისთავად არაფრის მაჭნისია, ისინი საქმეს როდი აკეთებენ. საქმე ომაშია, რომ მათ კარგად მართავდნენო". ამრიგად საქმე ცოცხალ ადამიანებს ეხებოდა, რასაც ამბების შემდგომი განვითარებით გავეცნობით.

იმისათვის, რომ რამდენადმე მაინც სრულყოფილად წარმოვიდგინოთ მდგომარეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში ომის დაწყების წინ, საჭირო იქნება გავარკვიოთ ქვეყნის თავდაცვის საქმის ვითარება, ჩვენი საზღვრების დაცვის საქმეში, დაშვებული დაუდევრობანი, გაეცნოთ რეგუ-

---

[1] „Военный сборник", 1861, № 3, стр. 50.

ლარული სამხედრო ნაწილების რაოდენობას, მათ განლაგებასა და გამოყენების ხასიათს.

კავკასიის კორპუსის ძალები, ერთი შეხედვით, კოლოსალურად გამოიყურებოდა: 1853 წლის შემოდგომისათვის ეს ძალები საერთოდ შეიცავდა 127 1/2 ბატალიონ ქვეით ჯარს, მესანგრეთა ორ ბატალიონს, დრაგუნთა 10 ესკადრონს, 50 პოლკს, 2 ასეულ კაზაკებს, 23 ბატარეას 232 ხარბაზნით. ამ სიაში არ არის შეტანილი საგარნიზონო არტილერია, ცხენოსანი მილიცია, მუშათა სამხედრო როტები და სხვები[1].

უნდა ითქვას, რომ მეფის მთავრობის ადგილობრივი ორგანოები და, პირველ რიგში, კავკასიის კორპუსის სარდლობა ამ კრიტიკულ მომენტის პირველ ეტაპზე მთავარ საფრთხედ თვლიდნენ არა იმდენად თურქებს, ირანელებს და მათ ზურგს უკან ამოფარებულ ევროპელ დამპყრობლებს, რამდენადაც შამილის მეთაურობით ამხედრებულ მთიულებს. „საომარი მოქმედების ხასიათი კავკასიის ჯაბარეზზე 1853—1855 წლების აღმოსავლეთის ომის დროს, — წერდა ომის ისტორიკოსი — განისაზღვრებოდა მთელი ჩვენი მდგომარეობით ამ ქვეყანაში და დამოკიდებული იყო იმ ბრძოლაზე, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებდით მთის ტომთა წინააღმდეგ"[2]. ამ მიზეზით უნდა აიხსნას, რომ ადგილობრივი სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალნი გადაჭრით უარყოფდნენ მოეხდინათ რაიმე გადაჯგუფება ჯარების არსებულ განლაგებაში და შამილის წინააღმდეგ გამიზნული სამხედრო შენაერთები თურქეთის საზღვარზე გადაესროლათ.

ომის დაწყების დროს კავკასია-თურქეთის საკმაოდ გრძლად გაჭიმული საზღვარი „გამაგრებული" იყო აქა-იქ გაფანტული მცირერიცხოვანი და უმნიშვნელო საგუშაგოებით, სადაც დონის კაზაკთა სულ რამდენიმე პოლკი იმყოფებოდა. ეგრეთწოდებულ „სტრატეგიულ-საკომუნიკაციო" პუნქტებში, შეტანაკლებად მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებსა და სხვადასხვა გამაგრებულ ადგილებში გარნიზონების სახით განლაგებული იყო სულ 14 საბაზო ბატალიონი, იქვე იდგ-

---

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 336, л. 15.

[2] М. Зайончковский, там же, т. II, ч. 1, стр. 196.

ნენ აგრეთვე 4 მოქმედი პოლკი, მესანგრეთა ერთი ბატალიონი, 6 ¾ ბატარეა და ადგილობრივი მილიციის [illegible] რაზმეული[1]. აღსანიშნავია, რომ რუსეთის რეგულარული ჯარის ბევრი შენაერთი განლაგებული იყო თურქეთის საზღვრებიდან ასეთ დაშორებულ პუნქტებში როგორიცაა: მანგლისი, თეთრი წყარო, გომბორი, მუხრანი და სხვ., ისინი იქ „ფრიად მნიშვნელოვან“ სამხედრო მოვალეობას ასრულებდნენ, მაგრამ, ცხადია, რომ მათ სრულიად არაფერი აკავშირებდათ თურქეთის ფრონტის მოწინავე ხაზთან. მიუხედავად იმისა, რომ ომის მსვლელობაში ცენტრალურ რუსეთიდან და სხვა რაიონებიდან კავკასიის ფრონტის დასახმარებლად ახალი რეზერვები იქნენ გადმოსროლილი (მაგ., მე-13 დივიზია და სხვ.), თურქეთის საზღვარზე თვით ომის დამთავრებამდე რეგულარული ჯარების მაინც დიდი ნაკლებობა იგრძნობოდა. აღმოსავლეთის ომის მონაწილე რ. ფადეევი სავსებით მართებულად წერდა, რომ „შინაგანი მოწინააღმდეგის შეკავების აუცილებლობა იმ ზომამდე ნთქავდა კავკასიის კორპუსის მთელ ძალებს, რომ თურქების წინააღმდეგ ომის ბედი, რომელთანაც დაკავშირებული იყო კავკასიის ბედიც, უნდა გადაეწყვიტა 1853 წელს—ცხრა, ხოლო 1854 წელს — ჩვიდმეტ ბატალიონს“[2].

აქედან გასაგებია, რომ რუსეთის ადგილობრივი სარდლობა იძულებული იყო რეგულარული ჯარების დანაკლისი ადგილობრივი მოსახლეობისაგან შეგროვებული ლაშქრით (მილიციით) შეევსო. ქართულმა მილიციამ აღმოსავლეთის ომის დროს თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ღირსეულად შეასრულა თავისი მოვალეობა. მეტიც, კავკასიის კორპუსის სარდლობა აღნიშნული ომის პერიოდში ქართული მილიციის შენაერთებს წარმატებით იყენებდა მთიელების გამოხდომების ასალაგმავადაც.

თურქეთის სარდლობას დიდად ამხნევებდა კავკასიაში შექმნილი სიტუაცია: შამილისა და მიურიდიული მოძრაობის გაძლიერება, რეგულარული ჯარების სიმცირე, ქვეყნის ტე-

---

[1] ЦГИАГ, ф. 1187, д. 336, л. 18.

[2] Р. Фадеев, Шестьдесят лет Кавказской войны, т. II, ч. II, стр. 46.

ტიტორიული სიმორე რუსეთისაგან. მოწინააღმდეგეს იერ-ზიას უღვიძებდა აგრეთვე ამიერკავკასიაში მცხოვრებ[illegible] მორწმუნე მაჰმადიანთა თვალსაჩინო რაოდენობა, [illegible]ია და ჯამუშთა ფართო ქსელის წყალობით, თურქეთის მმართველ წრეებს აძ შეიძლებოდა აძ სცოდნოდათ მოწინააღმდეგის კორპუსის შეიარაღებისა და აღჭურვილობის დონე, სამხედრო ორგანიზაციისა და ტაქტიკის თავისებურებანი.

საერთოდ, რომ ითქვას, რუსეთის არმია XIX საუკუნის შუა ხანაში ატარებდა გაბრწნის გზაზე დამდგარი ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების ყველა ნიშანს. ქვეყნის ეკონომიურ, პოლიტიკურ და ტექნიკურ ჩამორჩენილობას თან სდევდა სამხედრო საქმის ჩამორჩენილობა და დაკნინება. სამხედრო უწყების კონსერვატიზმი, ეძრაობა და რუტინა ბოჭავდა ტექნიკური ახრის პროგრესს, ხელს უშლიდა არმიის შეიარაღებას ახალი მიღწევების საწყისებზე. ამ მხრივ მეფის არმია თვალსაჩინოდ ჩამორჩებოდა კოალიციური არმიების დონეს.

კავკასიის კორპუსის რეგულარული ჯარები თავისი ორგანიზაციის სპეციფიკითა და ტაქტიკური გაწვრთნილობით არსებითად არაფრით განსხვავდებოდნენ საერთო-საიმპერიო შეიარაღებული ძალებისაგან, რომლის ორგანულ ნაწილსაც ესენი შეადგენდნენ. არმიის დაკომპლექტება ჩვეულებრივად 1831 წლის სარეკრუტო გაწვევის წესით წარმოებდა[1]. კორპუსის და მისი ქვედანაყოფების საერთო სტრუქტურა მათი შემადგენლობა და იერარქია, აგრეთვე, ძველებურად დარჩა. კავკასიის ჯარების შეიარაღების წყაროს წარმოადგენდა რუსეთის არმიის საერთო სამხედრო არსენალი. ამავე დროს აძ შეიძლება მხედველობაში აძ იქნას მიღებული ის გარემოებაც, რომ ცხოვრების ადგილობრივმა სპეციფიკამ, საბრძოლო მოქმედებისა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების თავისებურმა პირობებმა ლრმა ბეჭედი დასვეს „კავკასიელებს". ამავე გარემოებებმა გამოიმუშავეს და განამტკიცეს მათში ის თვისებები და ხასიათი, რომლებიც

[1] ПСЗР.I, 1849, т. XXIV, стр. 23/556; 1852, т. XXVII, стр. 25918.

თვალსაჩინოდ განასხვავებდნენ მათ იმპერიის სხვა რაიონებში და ოლქებში განლაგებულ მათივე მოძმეებისგან. განუწყვეტელმა საბრძოლო განგაშმა, რაც მთაში საბრძოლველებულ მიეურიდიული მოძრაობის შედეგი იყო, დაუსრულებელმა ლაშქრობამ და ექსპედიციებმა, მუდმივად მზად ყოფნის აუცილებლობამ კავკასიაში მყოფ ჯარისკაცებსა და ოფიცრებში გამოიმუშავა და განამტკიცა შესანიშნავი თვისებები — მაღალი სამხედრო ოსტატობა, იშვიათი ამტანობა და ხასიათის სიმტკიცე, ტაქტიკური მოქნილობა და ინიციატივა, გაბედულობა, ურთიერთგამტანობა, და უმტკიცესი საბრძოლო შემჭიდროება. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ნიკოლოზ პირველის დამაჩლუნგებელი სისტემა, კონსერვატიზმი და რუტინა, ცხადია, კავკასიაშიც იჩენდა თავს, რაც უარყოფით დაღს ასვამდა ჯარისკაცისა და ოფიცრის სამწყობრო მომზადებას, ხელს უშლიდა მათ მიერ სამხედრო მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევების დაუფლების საქმეს. „სამწყობრო მეცადინეობა მხოლოდ ხანგამოშვებით წარმოებდა, — წერდა თანამედროვე სამხედრო ისტორიკოსი, — ხოლო სროლას და გაფანტული მწყობრის საქმეს ყურადღებას თითქმის სრულიად არ აქცევდნენ"[1].

კავკასიის კორპუსის გარკვეულ უპირატესობათა მიუხედავად, ნიკოლაევშჩინის დამპალი რეჟიმის გამხრწნელი გავლენა მაინც თვალსაჩინოდ მოქმედებდა არა მარტო ცალკეულ ჯარისკაცსა და შენაერთებზე, არამედ კამპანიის მთელ ორგანიზაციაზედაც. რიგითი მებრძოლის საყოფაცხოვრებო პირობები, ისევე, როგორც ადგილობრივ საინტენდანტო „წესები" არაფრით არ განსხვავდებოდნენ საერთოდ იმ დროს რუსეთის არმიაში გაბატონებული წესებისაგან. უბრალო ჯარისკაცი აქ, როგორც ყველგან რუსეთის იმპერიაში, საბრალოს, ყველასაგან მივიწყებულს, შეიწროებულსა და დაჩაგრულ არსებას წარმოადგენდა. რუსი ჯარისკაცის ქვება, მისი ჩაცმა, მკურნალობის საქმე ავადმყოფობისა ან დაჭრის დროს ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა იდგა,

---

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 441, л. 10.

არმიის უმაღლეს სარდლობაში ფართოდ იყო გავრცელებული ყოველგვარი ბოროტმოქმედება: ამორალიზმი, ტაცება და ხაზინის ქურდობა, მექრთამეობა, ამასთან ბოროტმოქმედებათა დიდი წილი მთელი თავისი სიმძიმით უბრალო ჯარისკაცს ატყდებოდა თავს. კავკასიელ ჯარისკაცს დაკისრებული ჰქონდა სხვადასხვა სახის სრულიადაც „არა სამხედრო" ვალდებულებანი: სრულიად უფასოდ ასრულებინებდნენ მრავალრიცხოვანი სიმაგრეების საალმშენებლო სამუშაოებს, აკეთებინებდნენ ულრან ტყეებს, აკეთებინებდნენ მთებში გზებს, ხიდებს და სხვ.

დეზორგანიზაცია, რუტინა და დამყაყებულობა, ცალკეულ უფროსთა ერთი მეორის წინააღმდეგობის შემცველი უაზრო განკარგულებები დიდად ვნებდა საქმეს. 1853 წლის 25 ოქტომბერს ქანდარმთა პოლკოვნიკი შერბაჩევი შეშფოთებით უპატაკებდა თავის პეტერბურგელ შეფს: „ნიკოლაევის სიმაგრის (ლაბარაკია „შეკვეთილზე" — ე. ბ.) აღებასთან დაკავშირებით თბილისიდან გურიის გასამაგრებლად გზავნიან სასწავლო ბატალიონს, რომელსაც არ გააჩნია აღალი, მომარაგებას ეზიდებიან ხარებიანი ურმებით"[1]. მეტად დამახასიათებელია, რომ იმ დროს, როდესაც გურიის „გადასარჩენათ" საომარი მოქმედების მოწინააღმდეგე ხაზზე სარდლობის განკარგულებით იგზავნებოდა სასწავლო, ომში სრულიად გამოუცდელი ბატალიონი და ისიც წარღვნის დროინდელი ქართული ურმებით, იმავე დროს თბილისში აღლუმისათვის, ე. ი. საზეიმო „საჭიროებისათვის" სტოვებდნენ ჩინებულად გაწვრთნილსა და შეიარაღებულ პირველხარისხოვან ჯარებს.

ქანდარმთა პოლკოვნიკი წერდა, რომ თბილისში მყოფი ნავაგინის პოლკი, რომელიც აქ ჩამოსული იყო ბრძოლის მოწინააღმდეგე ხაზზე გასაგზავნად, „დატოვეს თბილისში საგუშაგოებზე გამოსაყენებლადო"[2].

ანალოგიური ფაქტები ერთობ ბევრი იყო. იყვნენ გულშემატკივრებიც, რომელნიც უთავბოლობისა და დანაშაუ-

---

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 441, л. 58.
[2] ЦГИАГ, ф., 1087, д. 44, л. 59.

ლებრივი მოქმედების გამო სინანულს გამოთქვამდნენ,

-
ლო ზოგჯერ განგაშსაც ტეხდნენ, სწერდნენ ამის შესახებ
თავიანთ პატაკებსა და მოხსენებებში. „გურიაში მეტად ბევ-
რია რეგულარული ჯარი, — წერს უცნობი მოხელე თბილი-
სიდან პეტერბურგში, — გზავნიან აქედან უკანასკნელ სას-
წაული ბატალიონსაც კი, უადგილოდ და უკარგებოდ". შემ-
დეგ ავტორი დაასკვნის, რომ ისინი, თავიანთი გამოუცდელო-
ბის გამო ბრძოლაში ვერ გამოდგებიან და იძულებულნი იქ-
ნებიან თავი ბინებს შეაფარონო"[1]. აქედან აშკარა ხდება,
რომ ადგილობრივი სარდლობა, ხელისუფლებასთან ერთად,
ან ვერ ხედავდა სერიოზულ საფრთხეს თურქეთის მხრიდან
და ამიტომ უდარდელად ეკიდებოდა საზღვრების დაცვის
საქმეს, ანდა მიაჩნდა რა მთავარ საფრთხედ შამილი და კავკა-
სიის მთიანეთის მიფრიდები, სარდლობა საერთოდ დიდ
ნდობას იჩენდა ქართველი ხალხისადმი: საზღვრების დაცვას
და ქვეყნის გადარჩენის ამოცანას უმთავრესად ადგილობრივ
მოსახლეობას აკისრებდნენ. უთუოდ ასე უნდა აიხსნას კავ-
კასიის სარდლობის საქციელი, რადგან ერთი მხრით იგი
გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა ჩრდილო კავკასიაში მოქმე-
დი ჯარების ოდნავ შესუსტებას, ხოლო, ამავე დროს, დიდად
არ იწუხებდა თავს ჩვენი საზღვრების გამაგრებისათვის,
ზოგჯერ კი შესაძლებლად თვლიდა გაუწვრთვნელი და სრუ-
ლიად გამოუსადეგარი „ბატალიონები" გაეგზავნა ამიერკავ-
კასიის ყველაზე საბიფათო ფრონტზე.

ეეხებით რა ჯარების შეიარაღების საკითხს, შეუძლებე-
ლია არ აღინიშნოს განთქმული ქართული ცივი იარაღი, რომ-
ელიც ესოდენ დიდი პოპულარობით სარგებლობდა კავკასიაში
მყოფ მებრძოლებს შორის. ეს იყო ეგრეთწოდებული ჯე-
ვარდნის („ბულატი") ხმალი და ხანჯალი, რომელიც ომის
პერიოდში მტკიცედ შეეიდა კავკასიის ჯარების შეიარაღების
არსენალში.

აღსანიშნავია, რომ საუკეთესო ხმალ-ხანჯლის დამზადე-
ბის ტრადიცია უმაღლესი ხარისხის რკინისაგან ქართველ

[1] ЦГИАГ, ф. 1087, п. 44, л. 59.

ოსტატებს საუკუნეების მანძილზე მოყვებოდა. ძველი საქართველო განთქმული ყოფილა მსოფლიოში საუკეთესო ხარისხის ჯვარდნის წარმოებით. „შუა საუკუნეებში ფოლადის წარმოება, — წერს პროფ. ვ. გუგუშვილი, — თვით რუსეთშიც არ იყო მოგვარებული. მხოლოდ საქართველოში და ამიერკავკასიის ზოგიერთ რაიონში იყენენ დახელოვნებული ფოლადის იარაღის კეთებაში. ამიერკავკასია ინდოეთთან და ახლო აღმოსავლეთთან (ირანი, სირია) ერთად ასეთ იარაღს აწვდიდა დასავლეთ ევროპას"[1].

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის მთელ იმპერიაში ჰქუნდა პირველხარისხოვანი ხმლისა და სატევრის გამოჩენილი თბილისელი ოსტატის გიორგი ელიავარაშვილის სახელი, რომელიც ბრწყინვალედ განაგრძობდა სახელოვან წინაპართა დიდ ტრადიციებს. მის მიერ დამზადებული ფოლადი თავისი ხარისხით მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო ნიმუშს ეტოლებოდა. მეფის მთავრობამ მაღალი ჯილდოთი აღნიშნა უბადლო ქართველი ოსტატის წარმატება. კავკასიის კორპუსის ოფიცერთა შემადგენლობა უდიდეს ინტერესს იჩენდა ე. წ. „აღმოსავლეთურ" იარაღისადმი, რომელსაც თბილისში ამზადებდნენ. „რუსი ოფიცრები ხალისით იძენდნენ ქართულად ნაქედ ხმლებს, რომლის მოქნევით შეიძლებოდა თოფის ლულის გადაკვეთა და ჯავშნის გაპობა". ეს იარაღი, გადმოგვცემს ყირიმის ომის მონაწილე, ყველას ათცებდა[2]. თანამედროვენი მოგვითხრობენ იმის შესახებ, რომ თბილისში არსებობდა კარგად მოწყობილი სახელოსნოები, რომლებშიც განთქმული ქართველი ოსტატები „ნამდვილი ფოლადისაგან საუკეთესო ხმლებსა და ხანჯლებს ამზადებდნენო"[3]. ახალციხეში მუშაობდა ცივი იარაღის განთქმული ოსტატი ვინმე ბრუნსოზოვი (ზედმეტ სახელად „უცხვირო") „ჩვენ ყველა გაგვაოცა ჩვენი ოფიცრების საბრძოლო შეიარაღებამ, —

---

[1] ვ. გ ე ბ ე ბ ე ბ ი ლ ი. იხ. საქ. მეცნ. აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, VII, 1953, გვ. 372.

[2] ЦГИАГ, ф. 1087, д. 1062, л. 17.

[3] იქვე.

გადმოგვცემს ომის თანამედროვე, — მათ უმრავლესობამ უკვე შეუძენიათ ადგილობრივი ნაკეთობის ხმლები"[1]

თურქეთის რეგულარული არმია, რომელიც ევროპის კორპუსის პირისპირ იდგა, ორგანიზებული იყო „ევროპული ნიმუშის" მიხედვით. ცნობილია, რომ ოტომანთა ჯარების ევროპულ ყაიდაზე გარდაქმნა დაიწყო ჯერ კიდევ 1826 წელს სულთან მაჰმუდ II დროს. შეიარაღებული ძალების ძველი ორგანიზაცია გაუქმებულ იქნა, იანიჩრებს ამ დროისათვის უკვე წართმეული ჰქონდათ ყოველგვარი პრივილეგიები. 1828 — 1829 წლებში რუსეთთან წარმოებულმა ომმა კარგა ხნით შეაჩერა დაწყებული რეფორმა. მისი გატარება თურქეთის მთავრობამ მხოლოდ 1836 წელს განაახლა. ეს მუშაობა მინდობილი ჰქონდა პრუსიის გენერალური შტაბის ახალგაზრდა ოფიცერს ფონ-მოლტკეს, რომელიც შემდეგში გრაფი და ფელდმარშალი გახდა. 1839 წელს, სულთან აბდულ-აზისის დროს ოტომანთა არმიის რეფორმა დამთავრდა.

თურქეთის შეიარაღებულ ძალთა ორგანიზაციის ახალი სისტემა შემოღებულ იქნა 1844 წლიდან. ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტებით რამდენადმე მაინც ირკვევა ოტომანთა არმიის მოწყობის „ახალი" სისტემა, მისი ტაქტიკური სპეციფიურობა და საბრძოლო ორგანიზაციის სხვა მხარეები. რეგულარული ჯარები იყოფოდა ორ ნაწილად, რომელთაგან ე. წ. ნიზამი ეწოდა ნამდვილ სამხედრო სამსახურს, ხოლო რედიფი — სარეზერვო სამსახურში ითვლებოდა. რედიფში ირიცხებოდა ნიზამში 5 წლით ნამსახური ჯარის-კაცი, მათი გაწვევა ხდებოდა მხოლოდ ომის გამოცხადების დროს. საერთოდ რედიფის ჯარისკაცები ყოველწლიურად მონაწილეობდნენ თავის კორპუსის წლიურ მანევრებში. ამასთან, ნიზამისა და რედიფის კავალერიის ნაწილები, რომელსაც სუვარი ეწოდებოდა, სწავლებას საფრანგეთის წესდებით გადიოდნენ, არტილერისტებისა კი პრუსიულით[2].

თურქეთის არმიის ქვეითი ნაწილები ძღვურვილნი იყვნენ გლუვლულიანი ჩახმახიანი და კაჟიანი თოფებით,

---

[1] „Военный сборник", 1868, № 6. стр. 222.

[2] ЦГИАГ, ф. 914, д. 34, л. 14.

მაგრამ ყველა მსროლელი ბატალიონი[1] და ქვეითი ნაწილი შტუცერებით იყვნენ შეიარაღებულნი, ისინი ინტენსიურად სწავლობდნენ როგორც მიზნობრივ სროლას, ისე გაშლილი მწყობრის წესებს. ისტორიული ფაქტები მოწმობენ, რომ ამიერკავკასიის საზღვრებზე მყოფმა თურქეთის ქვეითმა ჯარმა გამოავლინა თავისი საქმეთ საბრძოლო და სამწყობრო მომზადება, მაგრამ სუვარი, თურქეთის ახალი კავალერია, როგორც გამოირკვა, გაცილებით დაბალ დონეზე იდგა ტელიგაშთან —ამ გაბედულ და მებრძოლ ცხენოსან შენაერთებთან შედარებით.

V თურქეთის ირრეგულარულ ჯარს ძირითადად შეადგენდა კავაში — ყანდარმთა ქვეითი ნაწილები, სეიმენები — ცხენოსან ყანდარმთა შენაერთები და სუბაში — საველე მცველთა რაზმები. ამ კატეგორიის ჯარს განეკუთვნებოდა აგრეთვე მუსლიმანურ ეოლონტერთა რაზმეულები, ეგრეთწოდებული ბაშიბუზუკები და ის ქვედანაყოფები, რომლებიც შედგებოდა დობრუჯისა და მცირე აზიის მაჰმადიანებისაგან, აგრეთვე, თურქეთში მყოფ პოლონელ და სხვა ემიგრანტებისაგან[2]. V

თურქეთის ხელისუფალნი და მთავარსარდლობა ერთგვარ პოლიტიკურ ენდობლობას იჩენდნენ ამ დამხმარე კონტიგენტებისადმი, რომელიც შედგებოდა ვასალურ სამფლობელოთაგან: მოლდავეთის, ვალახიის, სერბიის, ბოსნია-ჰერცოგოვინის, ალბანეთის, ეგვიპტის ტრიპოლიისა და ტუნისის ხალხებისაგან. სარდლობის ეჭვი საკუთრებით გამართლდა: ეს ხალხები, ომის დროს, მასიურად ტოვებდნენ ოტომანთა საომარ ნაწილებს და ნებაყოფლობით გადადიოდა რუსების მხარეზე. ეს განსაკუთრებით ითქმის სლავებზე, მოლდავებსა და ვალახებზე. ცნობილია ისიც, რომ რუსეთის სარდლობამ ხალისით დააკმაყოფილა მოწინააღმდეგე ბანაკიდან გადმოსული სამილიციო კონტიგენტების სურვილი და ისინი მეხუთე ბატალიონის სახით ორგანულად შეუერთა თავის პოლკებს. ანალო-

---

[1] საერთოდ ნიზამის მეოთხედ ნაწილს მსროლელი ბატალიონები შეადგენდა.

[2] М. Богданович, „Восточная война", приложение, стр. 26.

გიურ ფაქტებს აღმოსავლეთის ომის დროს ადგილობრივ-ეული
და კავკასია-თურქეთის საზღვრებზედაც.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს ის მნიშვნელოვანი გარემოებაც, რომელიც არსებობდა ბალკანეთში ფორმირებულ თურქთა ირეგულარულ ნაწილებსა და იმ ბაშიბუზუკების რაზმებს შორის, რომლებიც ამიერკავკასიის საზღვრების გასწვრივ მოქმედებდნენ. ბალკანეთის ქვეყნებში არსებული მილიციის დაკომპლექტება ჩვეულებრივ ხდებოდა სარეკრუტო გაწვევის წესით, ხოლო მათი სწავლება და წვრთნა რუსული სამხედრო წესდების საფუძველზე წარმოებდა. რაც შეეხება აზიის თურქეთში მოქმედი ბაშიბუზუკებისა და სხვა მოხალისეთა შენაერთების ორგანიზაციული საფუძველი გაცილებით სუსტი იყო. სუსტი და არამყარი იყო აგრეთვე მათი ეროვნულ-ტომობრივი შემადგენლობა, დისციპლინარული ნორმები, ხოლო საბრძოლო და მორალური თვისებების თვალსაზრისით ისინი ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა იდგნენ. ამ მხრივ საინტერესოა ამბები თანამედროვისა და ომის მონაწილის მ. ი. ოლშევსკის გადმოცემა: „ბაშიბუზუკები ჩვენს საბალბო მოლაშქრეებს შესაბამებიან, მაგრამ მათ არავითარი ორგანიზაცია არ გააჩნიათ, არ არიან დაყოფილნი ასეულებად და დრუჟინებად. იმ ბაშიბუზუკებს შორის, რომლებიც შედიოდნენ ყარსის კორპუსის შემადგენლობაში, იყვნენ ყარაკალპაკებიც, ჭერქეზებიც, არზრუმის მცხოვრებნიც, ყარსის, არდაგანის, კოგიზმანის, სხვა ქალაქებისა და დაბების მცხოვრებნიც... ისეთ საქმეში, როდესაც რაიმე აშკარა საფრთხე არ ემუქრება, ბაშიბუზუკები დიდ ოსტატობას იჩენენ ცხენოსნობაში, სროლაში, ლანძღვა-გინებაში, პირველი შეხედვით იფიქრებთ, რომ ისინი ენერგიული და გულადი მეომრებია. იგივე უნდა ითქვას ჭერქეზების შესახებაც... ისინი შეიარაღებულნი არიან 2—3 პისტოლეტებით, პატარა, მაგრამ სწრაფ ცხენებზე შემჯდარნი, თავიანთი მაღალი ქუდებით, რაც მათ გოლიათებად აჩენს, ისინი შესაზარი ყვირილით შურდულივით მოჰქრიან თქვენსკენ, თან მოარხევენ რკინის წვეტებიან და ცხენის

ბეწვების ბერთულებით შემკულ თავიანთ გრძელ ლეტჩმის ხელშუბებს.

სხვათაშორის ქურთები და ბაშიბუზუკები ასე მაშაკებად ეხოლოდ შორიდან გამოიყურებოდნენ, როცა მათ სრულიად არაფერი ემუქრებოდათ და, როდესაც ისინი მხოლოდ ჯირითობდნენ ჩვენი მილიციელების დასაშინებლად. მაგრამ, როცა საქმე ყაზაკებზე მიდგებოდა, ისინი მეტ სიფრთხილეს იჩენდნენ, დრაგუნთა გამოჩენის დროს ისინი ხალისს კარგავდნენ და საცსებით მშვიდდებოდნენ, ხოლო გრანატებისა და ზარბაზნების ყუმბარების გრიალის დროს კი ქუდმოგლეჯით გარბოდნენ. აღსანიშნავია, რომ იგივე ქურთები და ბაშიბუზუკები, რომლებიც ესოდენ სიცოცხლისმოყვარულნი იყვნენ სერიოზული ბრძოლის დროს, ისინი საშინელ მძარცველ და შლეგ, თავზეხელაღებულ ავაზაკებად გვევლინებოდნენ უკან დადევნების დროს. ამ დროს ისინი არავის ინდობდნენ არც გარეშეს და არც შინაურს"[1]. უტყუარი ისტორიული დოკუმენტები მოწმობენ, რომ ქართველთა შესანიშნავი, დისციპლინიანი და ეგბრო მებრძოლი მილიციისაგან განსხვავებით, თურქთა ბაშიბუზუკების ძირითად მანკიერებას წარმოადგენდა მათი მეტად დაბალი საბრძოლო დონე, თაღშეუკაკებლობა და ამორალიზმი.

თურქეთის არმიის შეიარაღების დახასიათების დროს შეუძლებელია არ აღინიშნოს მისი არტილერია. რომლის მატერიალური ნაწილი ძირითადად ინგლისური წარმოშობის იყო. ისტორიული წყაროები, როგორც ადგილობრივი (რუსული) ასე გარეშე, თითქმის ერთსულოვნად ადასტურებენ თურქეთის (იგულისხმება—ინგლისის) არტილერიის მაღალ ღირსებას, ერთობ მაღალ შეფასებას აძლევენ აგრეთვე მის მოსამსახურე პირად პერსონალსაც. „თურქეთის არტილერიის ოფიცრობა და მოსამსახურეები, — სწერდა გენ. ინდრენიუსი თავ. ბარიატინსკის 1853 წლის 29 ნოემბერს, — თავის მოვალეობას საუკეთესოდ ასრულებდნენ, მათი უმრავლესობა იქვე ზარბაზნებთანვე წყდებოდა მაშინ, როდესაც ქვეითი

[1] „Русская старина", 1884 г., октябрь, стр. 184—186.

ნაწილები თავს ანებებდნენ არტილერიას და გარბოდნენ[1]. თურქეთის არმიის სუსტ ადგილს წარმოადგენდა ქვეითობა, კავალერიისა და არტილერიის სრულიად შეუთანხმებელი მოქმედება. იარაღის სხვადასხვა სახეობების გამოყენების საქმეში თურქეთის სამხედრო ისტორიისათვის დამახასიათებელი უთავბოლობა და დისპროპორცია მეფობდა, და სარდლობა ომისაგლეთის ომის დროსაც უუნარო აღმოჩნდა ბრძოლის ველზე უზრუნველეყო ქვეითი ჯარების ეფექტური თანამოქმედება და მანევრირება არტილერიასთან და კავალერიის ნაწილებთან[2].

თურქეთის არმიის კიდევ უფრო სუსტ ადგილს მისი ოფიცერთა შემადგენლობა წარმოადგენდა. თურქი ოფიცერი, რამდენადაც იგი სამხედრო იერარქიის უფრო მაღალ საფეხურზე იდგა, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, მით უფრო შეუფერებელი იყო თავისი თანამდებობისათვის. მათ მეტნაწილად არ გააჩნდათ არც საერთო და არც სპეციალური განათლება, არ გამოირჩეოდნენ ხასიათის სიმტკიცითა და მამაცობით, მორალურად გასაოცარ თავაშვებულობას იჩენდნენ. ეს გასაგებიცაა, რადგან იქ უმაღლეს სამხედრო თანამდებობისაკენ შეიძლებოდა გზის გაკაფვა არა პირადი ღირსებით, არამედ მხოლოდ ფულითა და ინტრიგებით. სამხედრო ხარისხისა და ჯილდოების მიღებაც ამავე გზით ხდებოდა. ამით აიხსნება, რომ უმაღლეს სამხედრო და სახელმწიფოებრივ თანამდებობებზე თურქეთში, ძალიან ხშირად, წინაურდებოდნენ დეკლასირებული ელემენტები. ჩიბუკში, ყოფილი დალაქები, ფარეშები, ხელზე მოსაშსახურეები და სხვ. აქედან გასაგებია, რომ თურქეთის არმიის სარდლობის ასეთი უმაღლესი წარმომადგენლები, როგორიც იყვნენ ბუშირები (მარშლები, კორპუსების სარდლები), ფერიკები (დივიზიის გენერლები), ლიევები (ბრიგადის გენერლები) და სხვათა დიდი უმრავლესობა აბსოლუტურად უმეცრები, ბრიყვები ან ლაჩრები იყვნენ. ბევრი მათგანი ბოროტად იყენებდა თავის მაღალ თანამდებობას თავისი პირადი კეთილდღეობისათვის

---

[1] „Морской сборникъ", 1853, № 9, стр. 32.

[2] ЦГИАГ, ф. 1087, д. 441, л. 15.

და გამდიდრებაზე ზრუნავდა, ვიდრე თავისი პირდაპირი მოვალეობის პატიოსნად შესრულებაზე. „ისინი ლაჩრებია, ჭურდები, გარყვნილები და ლოთები არიან", — წერდნენ თურქეთის მაღალი ოფიცრების შესახებ მათივე „მეგობრები" და „მფარველები" — ინგლისელები[1].

ანატოლიის არმიის მთავარსარდალი მუშირი მუსტაფა ზარიფ-ფაშა თურქეთის მაღალი ოფიცრის ყველა მანკიერი მხარის გასასახიერება იყო. იგი ხელობით დალაქი, თურქეთის სერასკირის ყოფილი ფარეში და მისი გულისმესაიდუმლე იყო. ის თავდაპირველად „დაწინაურებულ" იქნა პოლკის ხელმძღვანელობაზე. ეს პოსტი მან გამოიყენა ტრიმძლიანად მომავალი კარიერისაკენ. ის მალე დანიშნულ იქნა ფინანსთა მინისტრად, შემდეგ მიიღო ადმირალის წოდება, აკრედიტებულ იქნა ელჩად, შემდეგ დაინიშნა არზრუმის გუბერნატორად, ხოლო 1854 წლის მარტში, როცა ანატოლიის არმიის მუშირი ახმეტ-ფაშა და მისი შტაბის უფროსი ალი-ფაშა ორივე ერთად გაიძევეს არმიიდან, ხოლო შემდეგ კიდევაც დაპატიმრეს, მეტისმეტად გაბმაურებული ამკარა, მძარცველობისა და თაღლითობისათვის, — ამ კრიტიკულ მომენტში სცენაზე კვლავ გამოჩნდა მუსტაფა ზარიფ-ფაშა.

მან დაიკავა ანატოლიის არმიის მთავარსარდლის ვაკანტური პოსტი, იგი მუშირი გახდა. ახალი მუშირი შეუდგა არმიაში „წესრიგის დამყარებას". ამის გამო მისი თანამედროვე და თანამემამულე წერს: „მუსტაფა ზარიფ-ფაშამ გადასწყვიტა თავისი არმიის შემოწმება. აი, მუშირი თავისი მხლებლებით შტაბის ოფიცერთა სრული შემადგენლობით ათვალიერებს ჯარების ნაწილებს, ეკვირდება მის წინ ჩამწკრივებულ ჯარისკაცთა შეიარაღებას, მათ ჩაცმულობას, იგი ცდილობს თავმდაბლობა და თავაზიანობა გამოიჩინოს, ჯარისკაცებს თავი მდაბიოდ, „თავის კაცად" მოიხენიოს. ზოგჯერ მათთან კიდევაც ოხუნჯობს ხოლმე, ზოგიერთ მათგანს ხელს უთათუნებს ბეჭებზე. მუსტაფა-ზარიფს ოდესღაც სმენია ნაპოლეონ ბონაპარტეს დამოკიდებულების შესახებ ჯარისკა-

[1] „Военный сборник", 1861, № 3. стр. 60.

ცეცხლან, და ეი დიდი მხედართმთავრისადმი ეგზავნეთ. ოფიცერი მთავარსარდალი შეჩერდა ერთ-ერთ ხანშიშ ტერ-ოფიცერთან, წაავლო ხელი ყელში და დაუწყო მას გამოკითხვა მისი ლაშქრობების შესახებ. მაგრამ, დახეთ მოულოდნელობას, ჯობის კანონის ეითარებაში აღზრდილი ენტერ-ოფიცერი არ აღმოჩნდა მოლაზიდებული ასგვეარი გულმოწყალებისა და ალერსისათვის. პირიქით, მან უთუოდ გაიფიქრა, რომ შუშირი მას ცემას უპირებს და ჯერ საეთდაეად აქვეითინდა, მერე ლრიალიც მორთო. მთავარსარდალი საშინლად შეაძრწუნა ჯარისკაცის „ვრნებაჩლუნგობამ“ და იქვე დასკვნა, რომ ეგრალო, მდაბალი ხალხი მხოლოდ პირუტყვის ჯოგია, მისი მოქმედებისა და აზრების გაგების უნარი მხოლოდ არისტოკრატიას და ოფიცერთა ზედაფენას მოეპოვებაო. მუსტაფა ზარიფფაშამ იქვე შეკრიბა თავის გარშემო ოფიცრობა და მიმართა მათ თავისი პირველი „ისტორიული“ სიტყვით. „ანატოლიის არმიის ოფიცრებო, — დაიწყო მან, — ჩვენ ომს ვუცხადებთ რუს გიაურებს, ეიბრძოლოთ ჩვენი ფადიშაჰისა და საამშობლოსათვის. დაამტკიცეთ, რომ თქვენ თავისი ქვეყნის ღირსი ხართ. განსაკუთრებით გეშინოდეთ ბრძოლის ველიდან გაქცევისა, ამიტომ, რომ მე, თქვენი შუშირი, ფხიზლად გადევნებთ თვალყურს და დაგნიშავენებს სიკვდილით დასჯა. ცხარე ბრძოლის ლრის მილაზიმებმა თვალყური ადევნონ ჯარისკაცებს, უნტაშებმა — მილაზიმებს, ბირალესებმა — მიმბაშებს, ლიევები და ფერიკები, რომლებიც ჩვენ მოგვყვებიან უკან, თვალყურს ადევნებენ მირალესებს, ხოლო პირადად მე დავდგები ლიევების და ფერიკების უკან და თვალყურს ვადევნებ ყველა მათ მოქმედებას. ვაშა ფადიშაჰს“,—ასე დაასრულა თავისი მოწოდება ანატოლიის მთავარსარდალმა. სიტყვის წარმოთქმის შემდეგ შუშირმა ბრძანა მიერთმიეთ მისი ყალიონი და გასცა განკარგულება, რათა ჯარებს მწყობრად გაევლოთ მის ახლოს[1].

---

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. № 442, л. 2. ср. „Военный сборник“ 1861, № 3, стр. 58.

მეშვიდე მუსტაფა ზარიფ-ფაშა სრულიადაც არ წარმოიდგენდა გამონაყლისს თურქეთის უმაღლესი ხარისხის, ბრძოლა სამხედრო პირველს შორის, აი მეორე მეშვიდის, ბათუმის კორპუსის სარდლის სელიმ-ფაშას შესახებ. მისივე თანამემამულე და თანამორწმუნე, ბათუმის კორპუსის სარდალი, მუსტაფა-ფაშის ადიუტანტი, მაიორი ოსმან-ბეი, რომელიც კარგად იცნობდა თურქეთის უმაღლესი ოფიცრების ზნეობრივ ავლა-დიდებას, მათ ზნე-ჩვეულებას, თავის მოგონებაში წერს: „სელიმ-ფაშა, თუმცა მარშლად ითვლება, მაგრამ არაევროპიელად ქაბრალს არ აღემატება... უმეცარ სელიმს სულ მცირე წარმოდგენაც კი არ გააჩნდა სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ. ეს ოდნავ არ უშლიდა მას ხელს, რათა თავს თავი ყველაფრის მცოდნედ წარმოედგინა. ომ ლაშქრობის დასაწყისშივე შეადგინა მოქმედების ერთობ გაბედული გეგმა, რომლის მიხედვით მას შეეძლო პირდაპირ და შეუჩერებლად მიეღწია ბათუმიდან თბილისამდე და თვით პეტერბურგამდეც (!? ე. ბ.). თავისი ხასიათით, ზნე-ჩვეულებით და ვემოვნებით სელიმ-ფაშა ეკუთვნოდა ძველი ყალიბის ფაშების რიცხვს: ლაშაზი, ძვალმსხვილი, მსუქანი და ლონიერი, იგი პოზიორობდა თავისი გარეგნობით, უყვარდა ფუფუნება, ქალები და გინცხრობა. მისი ჰარამხანა საუცხოოდ იყო მორთული. ყველაფერი მის გარშემო მშვენებით, მდიდრულად და აღმოსავლური ავტორიტეტული ნეტარსობით ელავდა. ომში და პოლიტიკაში სელიმი განსაზღვრულ პრინციპსა და მოქმედების ხაზს მიჰყვებოდა: თავდაპირველად იგი ასაჩუქრებდა და ეფერებოდა; როდესაც ამით ვერ აღწევდა მიზანს, ყოველგვარი ცერემონიის გარეშე, თავს ტანიდან აშორებდა"[1].

ეს ის სელიმ-ფაშა იყო, რომლის მიერ მიყენებული ღრმა სისხლიანი ჭრილობები დიდხანს აჩნდა ქართველ ხალხს. ოსმან-ბეი თავის მოგონებებში მკაფიოდ გადმოგვცემს იმ მტარვალური ორგიების დეტალებს, რომელსაც სისხლმოწყურებული სელიმი აწყობდა მის საკუთარ ბუნაგში. „ქართველობა, — წერს ოსმან-ბეი — უნდა ინახავდეს მისი

[1] „Кавказский сборник", 1877, т. II, стр. 153.

მაღალადმატებულების პოლიტიკის კეთილ ხსოვნას, რის შესახებაც ცოტაოდენი რამ მეც ვიცი: როდესაც სელიმ-ფაშას სახლში ბინა დავიკავეთ (ბათუმში,—ე. ბ.), ჩვენ აღმოვაჩინეთ დიდი ორმო, რომელიც მოჭრილი თავებით იყო სავსე. თუმცა ისინი არავის დაუთვლია და არავის შეუმოწმებია, მაგრამ მოწმეებით დადასტურდა, რომ ეს თავები ქართველებისა იყო. გამოირკვა რომ ისინი მიდიოდნენ მოსალაპარაკებლად სელიმ-ფაშასთან, ის კი მათ ლამ-ლამობით სრულიად დამშვიდებით თავებს აყრევინებდა"[1]. აქვე შევნიშნავთ, რომ ამ ტირანისა და სისხლისმსმელი ურჯუკის თარეშს საქართველოში საბოლოოდ მოუღო ბოლო გენერალმა ანდრონიკაშვილმა ჩოლოქთან ბრძოლაში 1854 წლის ივნისში. სრულიად უბრალო შემთხვევამ გადაარჩინა თვით ჯალათი სელიმ-ფაშა ქართველთა ტყვეობას და დამსახურებულ სასტიკ სასჯელს.

მუსტაფა ზარიფ-ფაშას და სელიმ-ფაშას სახასიათო სურათები, შეიძლება ითქვას, ტიპიურად გვიხატავს თურქეთის არმიის მხედართმთავართა ძირითად შემადგენლობას. ამ ორი მხედართმთავრის სულიერი და ზნეობრივი სამყაროს გაცნობა საშუალებას გვაძლევს დაახლოებით სწორად წარმოვიდგინოთ ოტომანური წარმოშობის უმაღლესი სარდლობის, ყველა ამ მუშირთა, ლივენისა თუ ფერიკთა ვინაობა. სახელდობრ, თურქთა უმაღლესი მხედართმთავართა კადრების დაკნინებით და უსუსურობით უნდა აიხსნას ის ცნობილი ფაქტი, რომ ანატოლიის არმიის გენერალური შტაბის, ისევე, როგორც თურქეთის თითქმის ყველა სამხედრო უწყება, უპირატესად ავსებული იყო ევროპელი ოფიცრებით. ამითვან, იმ ხანად ჰეგემონობა ინგლისელ სამხედრო სპეციალისტებს ეკუთვნოდათ. არმიისა და სამხედრო საქმის მთელ ორგანიზაციას, ისევე, როგორც სტრატეგიისა და ტაქტიკის ყველა ძირითად საკითხს, ინგლისელი გენერლები ამუშავებდნენ. მათ შორის აღსანიშნავია გენერალი გიუონი და ისეთი სპეციალისტები, როგორიც იყვნენ პოლონური წარმოშობის ბისტრკონოვსკი, ბრიანსკი და სხვები, რომელნიც ცხადია,

---

[1] „Кавказский сборник", 1877, т. II, стр. 153—154.

ინგლისის მთავრობის დირექტივებითა და კონტროლით მოქმედებდნენ.

ურთიერთ მოკავშირეობისა და მოჩვენებითი „მეგობრობის“ მიუხედავად, თურქეთისა და ინგლისის მხედართმთავრების ურთიერთობაში მკაფიოდ იგრძნობოდა უკმაყოფილება და წინააღმდეგობა, რაც ხშირად მკვეთრ დაძაბულობას აღწევდა. ინტრიგები, ეჭვიანობა და ურთიერთ გაუტანლობა ორივე მხარის ოფიცრებს შორის ხშირად მწვავე კონფლიქტში გადადიოდა. „მე მეზიზღებიან თურქები, — უთხრა ლორდმა ებერდინმა რუსეთის ელჩს ბრუნოვს ყერ კიდევ ომის წინ, — მე მათი მთავრობა მიმაჩნია ყველაზე უარეს და ყველაზე დესპოტურ მთავრობად დედამიწის ზურგზე“[1]. ამასთან თვით ბარონ ბრუნოვის გადმოცემით, სიტყვები „მე მეზიზღებიან თურქები“, ინგლისის პრემიერს მართლაც ულრმესი ცინიზმით და ზიზღის გრძნობით წარმოუთქვამს. ამ ზიზღსა და მძულვარებას შეერთებულს ქედმაღლობასთან და აშკარა დაკინებასთან ინგლისელები ამჟღავნებდნენ ყველგან და ყოველთვის აზიის თურქეთსა და ყირიმში, დასავლეთსა და აღმოსავლეთში.

საამხედრო ისტორიკოსის სიტყვებით, ყირიმის საომარ ასპარეზზე მყოფ თურქ მებრძოლებს „არ გააჩნდათ არც სურსათ-საბნოვაგე, არც ტანსაცმელი. მათ ინგლისელები იყენებდნენ როგორც მუშა საქონელს, როგორც გამწევ პირუტყვს — ბალაკლავიდან ბანაკებში ყუმბარების და საბნოვაგის გადასატანად. დიეზეტებოდნენ რა თავიანთი „დიდსულოვანი“ მოკავშირეების ბანაკებში, თურქი ჯარისკაცები აგროვებდნენ მათი საქმლის ნარჩენებს, ხოლო ავადმყოფი კი მათ არ იცოდნენ სად შეეფარებინათ თავი[2]. ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი მცირე აზიაშიც, სადაც ინგლისელი ლორდები ისე გრძნობდნენ თავს, როგორც საკუთარ მამულში. ისინი აბიაბურებდნენ, ცინიკურად ეპყრობოდნენ თურქ „მოკავშირეებს“, მათ ოფიცრებს, არა-

---

[1] Журн. „Вестник Европы“, 1898. т. IV, стр. 567.

[2] Н. ф. Дубровин, „История Крымской войны и обороны Севастополя“, СПБ, 1900, т. II, стр. 381.

ადამიანურად სტანჯავდნენ, აწვალებდნენ მუსულმან ჯარისკაცებს, ყელეფავდნენ მშიერ ხალხს.

თურქებიც, ცხადია, არ რჩებოდნენ ვალში ინგლისელებთან. ისინიც ზიზღით, ეჭვითა და უნდობლობით უხდიდნენ მათ სამაგიეროს. გაზეთი „კავკაზი" ხშირად ბეჭდავდა თავის ფურცლებზე სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ მასალას, რაც მკაფიოდ ასახავდა ინგლის-თურქეთის მმართველი და სამხედრო წრეების ურთიერთ ქიშპობასა და ანტაგონიზმს. „თურქები გახარებული არიან, რომ ტყვედ ჩავარდნენ, — გადმოგვცემს კორესპონდენტი 1854 წელს რუსების მიერ ტყვედ წამოყვანილი თურქი ჯარისკაცების შესახებ. — ისინი ამტკიცებენ, რომ ჩვენს წინააღმდეგ მათ დანაშაული არ მიუძღვით, რომ ისინი... ინგლისელებმა აიძულეს. ეს უკანასკნელნი კი სრულიად არაფერს აკეთებენ, მარტოოდენ დაცურავდნენ გემებით და სცემდნენ თურქებს"[1]. რუსი მხედართმთავრები გამაკეთილებულ ყურადღებას უთმობდნენ თურქებსა და ინგლისელებს შორის დაძაბულ ურთიერთობას, ხაზგასმით აღნიშნავდნენ სათანადო ფაქტებს თავიანთ მოხსენებებსა და ბატაკებში. ყარსის აღებასთან დაკავშირებით გენერალი მურავიოვი თავის მოხსენებაში ხაზგასმით მიუთითებს თურქების ანტი-ინგლისურ განწყობილებებზე. თბილისში ჩამოსულ სერასკირსა და ფაშებს, — წერს იგი ტყვედ წამოყვანილ თურქ ოფიცერთა შესახებ, — მთელი სულით და გულით სძულთ ინგლისელები და გვთხოვენ ერთის წყალობას: ჩამოვაცილოთ ისინი თავად ვილიამსს და მის ამხალას"[2]. სამხედრო მინისტრის სახელზე გაგზავნილ წერილში გენერალი მურავიოვი წერდა: „დატყვევებულმა ფაშამ, გუშინ ჩემთან საუბარში განაცხადა, რომ... ღმერთმესია ჩვენ ერთად ვიმოქმედოთ ინგლისელების წინააღმდეგ, რათა გავათავისუფლოთ ოტომანთა იმპერია (ინგლისელთა) ტყვეობიდან. თან ტრაბახობს, რომ იგი ასეთ შემთხვევაში შეკრებს, თავისი დიდი გავლენის წყალობით, 40 ათასიან ჯარს... ფაშა გვარწმუნებს,

---

[1] Газ. „Кавказ", 1854, № 54.

[2] ЦГИАМ, Первая экспед., л. 23, п. 56. გენერალი ვილიამსი და მისი მხლებლები ტყვედ დანებდნენ ყარსის დაცემის დროს.

რომ ასეთი შეხედულება დიდებულებს შორის „ისევე საერთოა, როგორც საერთოა სიძულვილი ინგლისელებისადმი“[1], როგორც არ უნდა იყოს თურქი წარჩინებული პირველ-ხარისხოვანი მოსაველური დიპლომატიის ქვესაფეხელი, ერთი კი მაინც ცხადია: მისი აღიარება რამდენადმე მაინც ასახავს იმ შინაგან წინააღმდეგობებს, რომელიც ლორდ-ბოლ, მოკავშირეთა ერთიან ბანაკს.

აღსანიშნავია, რომ გენერალმა მურავიოვმა ძალიან ახლოს მიიღო გულთან ის, რაც ფაშასგან მოისმინა და როცა ომერ-ფაშა აფხაზეთ-სამეგრელოს შეესია, სერიოზულად სჯეროდა, რომ ინგლისსა და თურქეთს შორის უკიდურესად გაფუჭებულ წინააღმდეგობანი და იგი მძაფრ კონფლიქტში გადაიზრდებოდა. მურავიოვი თითქოს იმისათვისაც კი ემზადებოდა, რომ თავის მხარეზე გადმოეგდო თვით ომერ-ფაშა და გამოეყენებინა იგი ინგლისელების წინააღმდეგ. 1855 წლის დეკემბერში გენერალი მურავიოვი თავად ბებუთოვს სწერდა: „ჩვენთან ტყვეობაში მყოფი თურქების ფაშებთან მრავალგზის საუბრებში მე შემთხვევა მქონდა დავრწმუნებულიყავი არა მარტო მათ ცუდ დამოკიდებულებაში ინგლისელებისადმი, არამედ მათ აშკარა უნდობლობაში თავისი მოკავშირეების განზრახვისადმი. თურქეთის მიმართ“[2]. ხელმძღვანელობდა რა გარკვეული მოსაზრებებით, კავკასიის მთავარსარდალი მიზანშეწონილად თვლიდა, რათა სამეგრელოს დედოფალს ეკატერინე დადიანს ეპასუხნა ომერ-ფაშისთვის, თვით გენერალ მურავიოვის მიერ შეთხზული წერილით. „დედოფლის ასეთი პასუხი, — მისი აზრით, — ჩამოგვაშორებს ყოველგვარ ეჭვიანობებს და, სხვათა შორის, უჩვენებს ომერ-ფაშას გზას იმ შემთხვევაში, თუ რაიმე მოულოდნელ შეტრიალებისას, იგი გადასწყვეტს აწარმოოს ჩვენთან საიდუმლო მოლაპარაკება“[3]. გენერალ მურავიოვის გადაცემული სიტყვის აზრი ომერ-ფაშასთან „საიდუმლო მო-

---

[1] ЦГВИАМ, ф. ВУА, л. № 33—493 л. 25.
[2] АКАК, т. XI, стр. 195—196.
[3] АКАК т. XI, стр. 196.

ლაპარაკების" შესახებ ზემოთქმულის შემდეგ ცხადი უნდა იყოს, იგი განმარტებას არ საჭიროებს. მაგრამ მთავარსარდლის ვარაუდები და მოლოდინი იმასაც მოწმობს, რომ ხუ არაფერს ვიტყვით, მისი საომარ-სტრატეგიული ნიჭის. შესახებ, ყოველშემთხვევაში იგი პოლიტიკისა და დიპლომატიის დარგში არა თუ გულუბრყვილობას ამჟღავნებდა, არამედ სერიოზულადაც სცოდავდა.

* * *

თურქეთის ანატოლიის მთავარსარდლობა ომის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე შეუდგა ჯარების თავმოყრას საქართველოსა და ამიერკავკასიის სასაზღვრო ზოლის გასწვრივ. სათანადო ცნობებით 1853 წლის აგვისტოს ყარსთან ახლოს დაგროვებულ იქნა თურქეთის 30 ათასამდე რეგულარული ქვეითი ჯარი და ცხენოსანთა ნაწილები. მთელი შენაერთის სარდლად ითვლებოდა მუშირი აბდი-ფაშა. მალე ჯარის რეგულარულ ნაწილს შეუერთდა 15 ათასზე მეტი კავალერიის ირრეგულარული ნაწილი. სარდლობა ენერგიულად შეუდგა არდაგანის ციხე-სიმაგრის გარნიზონის გაძლიერებას, აგროვებდნენ ჯარებს ბაიაზეთთან, მთავრდებოდა ბათუმის მრავალრიცხოვანი და ძლიერი კორპუსის ფორმირება. იმავე წლის სექტემბრის დასასრულისათვის თურქებს უკვე ჰყავდათ ყარსთან რეგულარული და ირრეგულარული ჯარისაგან შემდგარი მძლავრი კორპუსი 50 ათასამდე კაცის შემადგენლობით, 65 -ზარბაზნით; არდაგანთან 8 ათასი კაცისაგან შემდგარი რაზმი 14 ზარბაზნით; ბაიაზეთის სიმაგრეებთან ამდენივე ჯარი 10 ზარბაზნით და ბათუმის ახლოს 10 ათასზე მეტი ჯარისკაცისაგან შემდგარი კორპუსი. კორპუსის ამ შემადგენლობას უნდა დაემატოს ქურთებისა და ბაშიბუზუკების მრავალრიცხოვანი შენაერთები, რომელნიც მოწოდებულნი იყვნენ მნიშვნელოვანი როლი ეთამაშათ ომის დროს[1].

---

[1] ЦГВИАГ, ф. 1087, д. № 453, л. 4; д. 472, л. 270—281.

ამასთან თურქეთის სარდლობა ატარებდა ენერგიულ ღონისძიებებს სასაზღვრო ხოლის მოსახლეობისაგან ბაშიბუზუკთა ახალ-ახალი შენაერთების შესადგენად. ამრიგად, მოლაშქრეთა ქვეითი და ცხენოსანთა დამატებითი კონტიგენტები კიდევ უფრო აძლიერებდნენ თურქეთის რეგულარულ არმიას.

დადასტურებულია, რომ ოტომანთა იმპერიის სარდლობამ მცირე აზიაში რამდენიმე თვით მაინც დააჩქარა რუსეთის სარდლობას თავის შეიარაღებულ ძალთა მობილიზაცია, საზღვრების მისადგომებთან მათი კონცენტრაცია და საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანა. დამახასიათებელია, რომ კავკასიის მეფისნაცვალმა ჯერ კიდევ 1853 წლის თებერვალში მიიღო პეტერბურგიდან ერთგვარი სიგნალი მოსალოდნელი გართულების შესახებ თურქეთთან. სამხედრო მინისტრი იძლეოდა სათანადო დირექტივასაც ამიერკავკასიის საზღვრებზე თავდაცვითი ღონისძიებების განხორციელების შესახებ. მაგრამ მოხუცმა მეფისნაცვალმა ყურიც არ ათხოვა მიცემულ გაფრთხილებას. საქმეც ისაა, რომ თავად ვორონცოვს კარგად წარმოედგინა, რომ თურქეთთან კონფლიქტს აუცილებლად მოპყვებოდა ევროპის საზღვარგარეთა კოალიციის ომი რუსეთთან. მსგავსი პერსპექტივა კი მას სრული კატასტროფის მანიშნებლად მიაჩნდა. ამიტომ მეფისნაცვალს თურქეთთან კონფლიქტისა და ომის გაგონებაც კი არ უნდოდა. სამხედრო მინისტრის გამაფრთხილებელი მიმართვის პასუხში ვორონცოვი ცდილობდა ემტკიცებინა, რომ უტაქტობა ფიროთან საზიანოც კი არისო რაიმე სამხედრო ღონისძიების ვადაზე ადრე გატარება. მისი აზრით ასეთი ღონისძიებანი არა თუ ცუდ შთაბეჭდილებას დასტოვებდა მეზობლებზე, არამედ „გამოიწვევდა უადგილო განგაშს და საშიშ მღელვარებას ადგილობრივ მოსახლეობაში"[1].

ალმოსავლეთის ომის თითქმის ყველა თანამედროვე მართებულად ადასტურებს თავად ვორონცოვის გადაჭარბებულ სიფრთხილესა და თავდაჭერილობას ომის მოსამზადებელ

[1] ЦГИАГ, ф. 1057, д. 472, л. 280—281. (იხ. მიმოწერა სამხედრო მინისტრსა და ვორონცოვს შორის, 1853 წ. თებერვალი).

ლონისძიებათა გატარებაში, მის შიშსა და მერყეობას, საბუ-
ლგარო ისტორიკოსი პოლკოვნიკი დე-საკე 1855 წელს წერდა:
„თავ. ვორონცოვის საბუალოსი ახლანდელ ომისადმი
სუსტი და აუჩქარებელი. მას თითქოს არ სწამდა ომის შე-
საძლებლობა. ერთობ შერყეული ჯანმრთელობა და ხანში-
შესულობა ხელს უშუალობდნენ თავად ვორონცოვს ასეთ გან-
წყობილებას"[1].

განთქმული ქართველი პოეტი და მხედართმთავარი გრ. ორბელიანი 1853 წლის სექტემბერში დიდი შეშფოთებით წერდა საკუთარ ძმას — ილიას, რომ ადგილობრივმა სარდლობამ დროზე არ მიიღო ომისათვის საჭირო თანხა, და ამიტომ ჩვენს საზღვრებზე რუსეთის ჯარები არ არიანო. საერთოდ თურქები აზიაში ჩვენზე უკეთესად არიან მომზადებულნი— დაასკვნის გრიგოლ ორბელიანი[2], ომის უმუალო საფრთხე დღითიდღე იზრდებოდა. მთელი ამიერკავკასიის მხარე მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამკარად ჩანდა, რომ მოწინააღმდეგის თავდასხმის შემთხვევაში ჩვენი საზღვრების ეფექტური დაცვა შეუძლებელი იქნებოდა. ბოლოს როგორც იქნა მეფისნაცვალმა და კავკასიის კორპუსის მთავარსარდალმა თავ. ვორონცოვმა გადადგა პირველი ნაბიჯი. მან შესაძლებლად ჩასთვალა თურქეთის წინააღმდეგ წამოეყვანა 6¼ ბატალიონი, კაზაკთა 4 ასეული და 14 ზარბაზანი, ისე, რომ დიდად არ შეეუსუსტებინა შამილისა და მაჰმად-ემინის წინააღმდეგ მოქმედი ჯარების რიცხვი. ეინაიდან ამიერკავკასიის მთელი სასაზღვრო ხაზის დაცვის უზრუნველყოფა შეუძლებლად ჩათვალა, მთავარსარდლობამ გადაწყვიტა შეენარჩუნებინა ქვეყნის უმთავრესი პოლიტიკური და სტრატეგიული პუნქტები, სახელდობრ: ალექსანდროპოლი, ერევანი, ახალქალაქი, ახალციხე და ოზურგეთი. თავ. ვორონცოვს ყველაზე მეტად შაინც გურიის, სამეგრელოს და შავი ზღვის მთელი სასაზღვრო ხაზის ბედ-იღბალი აშინებდა. 1853 წლის ივლის-აგვისტოში უკვე ყველასათვის ცნობილი გახდა, რომ ბათუმის მიდამოებში და გურიის

---

[1] АКАК, т. XI, стр. 451.

[2] გ. ორბელიანი, წერილები, ტ. II, გვ. 66, სახელგამი, 1937.

სახლერებთან თავმოყრილი იყო თურქეთის მძლავრი კორპუ-
სის დამკვრელი შენაერთები და მხოლოდ ამის შემდეგ
ძრავდა ჩანდაბმული მეფისნაცვალი. მან ნამდვილი განგაში
ასტეხა, იწყო ენერგიული იერიშების მიტანა პეტერბურ-
გზე — სისტემატურად, ყოველდღე, შეუწყვეტელ ნაკადად
ეიდინებოდა მოხსენებანი, პატაკები, რელაციები, შუამდგო-
მლობანი სამხედრო სამინისტროში, პირადად იმპერატორის
სახელზე. მოულოდნელი ამბებით გონებაარეული მეფისნა-
ცვალი ითხოვდა დამხმარე ძალებს, ყველას ემუდარებოდა
სასწრაფო ზომები მიეღოთ „კატასტროფის წინაშე მყოფი
მხარის" გადასარჩენად.

თავის წერილში გორჩაკოვისადმი 1853 წლის 16 იელისს
მენშიკოვი იწერდა კავკასიის ფრონტზე შექმნილ ვითარე-
ბას: „არზრუმში თურქებმა უკვე შეაგროვეს 10 ათასი ქვე-
ითი ჯარისკაცი, ხოლო ეორონცოვს შეუძლია მას დაუპირის-
პირის მხოლოდ სამი ბატალიონი". მაღე ამის შემდეგ მენში-
კოვი აცნობებდა გორჩაკოვს, რომ მან ეორონცოვისაგან შე-
მაძრწუნებელი ბარათი მიიღო. მეფისნაცვალი მოითხოვსო,
სწერდა მენშიკოვი, „სათმარი მდგომარეობის შემთხვევაში
მას სასწრაფოდ გაეგზავნოს მე-13 დივიზია". მენშიკოვი
ეთანხმებოდა ეორონცოვს, რომ თურქებს ერთობ მრავალრი-
ცხოვანი ჯარები ჰყავთ და საერთოდ ძლიერნი არიან, კავკა-
სიის სარდლობას კი მტრის წინააღმდეგ მხოლოდ ოთხი
ბატალიონის გამოყვანა შეუძლიაო[1].

ხანგრძლივი ჭოჭმანის შემდეგ იმპერატორმა „გადასწყვი-
ტა" დასთანხმებოდა მთავარსარდლობას და კავკასიის მოქმე-
დი კორპუსის გასაძლიერებლად თურქეთის წინააღმდეგ
გამოეყო მე-13 დივიზია, რომელიც იმხანად სევასტოპოლში
იყო განლაგებული. გაიცა განკარგულება, რათა ამიერკავკა-
სიაში გადასროლილი დივიზიის ადგილას სევასტოპოლში
გადაეყვანათ მე-14 ქვეითი დივიზია ორ ბატარეასთან
ერთად.

თავის 1853 წლის 18 იელისის საპასუხო წერილში სამხე-

[1] „Русская старина", 1875, стр. 182—189.

დრო მინისტრი თავადი დოლგორუკოვი თავად ვორონცოვს აცნობებდა, რომ მეფე-იმპერატორი უაღრესად შეშფოთებულია თურქეთის სასაზღვრო ზოლის ფრიად „საეჭვო" მგდომარეობით, ამიტომ მან მოიღო „უმაღლესი წყალობა" „უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში" გაძლიეროს კავკასიის კორპუსი. „ამ მიზნისათვის მხედველობაშია, — სწერს სამხედრო მინისტრი, — მხოლოდ ერთი მე-13 ქვეითი დივიზია მისი არტილერიით; მისი გადაყვანა შესაძლებელია კავკასიაში მხოლოდ გადაუდებელი საჭიროების დროს". ამავე დროს დოლგორუკოვი აცნობებს მეფისნაცვალს „მისი უმაღლესობის შეხედულებასაც", რომლის თანახმადაც ასეთი „უკიდურესი საჭიროებისათვის" გადაცემული დივიზია მის არტილერიასთან ერთად ბრძოლაში უნდა იქნეს გამოყენებული მხოლოდ და მხოლოდ შეერთებულად, მისი განუყოფელი შემადგენლობით, ერთდროულად. ეს ერთობ უცნაური ეზენაესი დირექტივა კავკასიის სარდლობას ეძლეოდა როგორც მე-13 დივიზიის მისთვის გადაცემის აუცილებელი პირობა[1]. ეს გარემოება კი დიდად ბოჭავდა ადგილობრივი სარდლობის მოქმედებას.

როგორც აღინიშნა, მე-13 დივიზია გადმოყვანილ იქნა. კავკასიაში მოქმედი კორპუსი 16 ბატალიონით გაძლიერდა. მაგრამ ასეთი „შეკვეთით" განსაკუთრებულ ეფექტს არავინ მოელოდა. მალე ამიერკავკასიაში ჩამოვიდა კაზაკთა შვიდი პოლკი, რომლებმაც შესცვალეს ჯარის სამსახურმოხდილი ნაწილები. ამრიგად, ჯარების სიმცირით გამოწვეული დაძაბული მდგომარეობა დიდად არ გაუმჯობესებულა, მაგრამ პეტერბურგის ხელმძღვანელნი ამ გარემოებას ყურადღებას არ აქცევდნენ. სცნობდნენ რა ამიერკავკასიაში გადმოსროლილ შენაერთებს საკმარისად, დაყენებით და ტაქტიკურად ფორმით ავალებდნენ ადგილობრივ სარდლობას შეტევითი ოპერაციების გაშლას. მე-13 დივიზიის სუხუმის რეიდზე გადმოსხდომისთანავე ნიკოლოზ I თავადი ვორონცოვს სწერდა: „ახლა, ვფიქრობ მე შემიძლია იმედი

[1] АКАК, т. X, стр. 734; ЦГТАГ, ф. 1087, п. 458.

ვიქონიო, რომ შენ მოგცეს საკმაო საშუალებანი არა მარტო იმისათვის, რომ დაიცვა მხარე თურქების შემოსევისაგან, არამედ აწარმოო შეტევითი ოპერაციებიც.... დაუცდი რა თურქების პირველ თავდასხმას, მე მსურს, რათა შენ აუცილებლად გადახვიდე შეტევაზე, გაემართო ყარსისაკენ და დაიპყრო იგი არდაგანთან ერთად. თუ თურქები გაბედავენ ბრძოლის ველზე შენთან შეხვედრას, ვიმედოვნებ, რომ შენ მათ გაანადგურებ. ვფიქრობ, რომ ყარსისა და არდაგანის დაპყრობა, ალბათ, არ იქნება უფრო ძნელი, ვიდრე ეს იყო 1829 წელს"[1].

იმ დროს, როდესაც შორეულ პეტერბურგში თხზავდნენ გეგმებს და წერდნენ განკარგულებებს კავკასიის არმიის შეტევითი ოპერაციების გაშლის შესახებ, აქ, თბილისში, მეფისნაცვლისა და მოქმედი კორპუსის ხელმძღვანელობაში აზადდებოდა დიდმნიშვნელოვანი ცვლილებანი. „ხანში შესულობისა და ფიზიკური გამოფიტვის" საბაბით თავ. ეორონცოვმა მძიმე პასუხისმგებლობისაგან თავის დაძვრენის მიზნით გადაწყვიტა თვით ჩამოშორებოდა მთავარ საოპერაციო ასპარეზზე მოქმედი კორპუსის სარდლობას და ეს მოვალეობა თავად ვასილ ოსიპის ძე ბებუთოვს მიანდო. მან დაიტოვა ამიერკავკასიის ყველა ფრონტის მხოლოდ „საერთო" ხელმძღვანელობა. კორპუსის მთავარი შტაბის უფროსად კვლავ გენ. ბარიატინსკი რჩებოდა.

კავკასიის მოქმედი კორპუსის სარდლობა სკეპტიკურად აფასებდა ნიკოლოზ I მითითებულებას ფართო შეტევითი ოპერაციების დაწყების შესახებ. როგორც თვით მეფისნაცვალი, ისე ბებუთოვი და ბარიატინსკი მიმხვდარნი იყვნენ, რომ იმპერატორის კატეგორიულ დირექტივებს სარჩულად პატივმოყვარე და გამოყრუებული ფელდმარშლის გრაფ პასკევიჩის ავანტურისტული რჩევა ედო. ეს უკანასკნელი ითვლებოდა მეფის (რომელიც სტრატეგიასა და ტაქტიკაში სრულიად უსუსური იყო) მთავარ კონსულტანტად კავკასიის საქმეში. მის მიერ შედგენილ და მეფისათვის წარდგენილ „მონახაზებში" სათმარი კამპანიის შესახებ ამიერკავკასიაში პასკე-

[1] АКАК, т. X, стр. 760.

ვიჩი პირველ ადგილზე აყენებდა ყარსის, არდაგანისა და ბაიაზეთის აღებას, თურქებისათვის სასიკვდილო [illegible] მიყენებას მისი მცირე აზიის საშფოთველოებში, რათა ამით გაეადვილებინა „ძირითად დასახელობათა რეალიზაცია“ ბალკანეთში. ამ აკვიატებული იდეებით ხელმძღვანელობდა ნიკოლოზ I. როდესაც დაკინებით ითხოვდა დირექტივას შეტევითი მოქმედების დაწყების შესახებ. 1853 წლის 29 ნოემბერს საიდუმლო წერილში გენ. ბარიატინსკი ბებუთოვს აცნობებდა, რომ ხელმწიფე-იმპერატორი ძალიან მოგვიანებებს, რათა კავკასიის კორპუსმა ზამთრისა და აღრე გაზაფხულის პერიოდში დაიპყროს ყარსი, ბაიაზეთი და არდაგანი[1].

ვაბასიათებთ რა საქართველოს და მთელი ამიერკავკასიის შედგომარეობას ომის დაწყების წინ, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ სპარსეთის მთავრობის პოზიციას. თავისთავად ცხადია, რომ სპარსეთის დამოკიდებულებას მებრძოლი მხარეებისადმი მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშა საომარი კამპანიის განვითარებაში.

თავის დირექტივების გაცემის დროს შეტევითი მოქმედების შესახებ ყარსისა, არდაგანისა და ბაიაზეთის წინააღმდეგ ნიკოლოზ I ამბობდა, რომ რუსეთის ჯარებს თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში თითქოს მხარში ამოუდგებოდა სპარსეთიც, რომელიც მიიზიდავდა მოწინააღმდეგის შნაშენელოვან ძალებს კოტურისთან და ამით გაუადვილებდა რუსებს ყარსის აღების საქმეს. 1853 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში იმპერატორი ისე ამბობდა თავ. ვორონცოვს: „მოსალოდნელია, რომ ერთდროულად (რუსებთან ერთად. — ბ. ე.) სპარსელებიც დაიწყებენ საომარი მოქმედებას, განარიდებენ თურქთა ჯარების ნაწილს, რათაც მნიშვნელოვნად შეამსუბუქებენ შენს შეტევას[2]. რუსეთის იმპერატორის მოსაზრებანი და ვარაუდები არ გამართლდა. ინგლისის დიპლომატიამ, რომელსაც ყველაზე მეტად სწორედ

---

[1] ЦГВИАГ, ф. 1087, л. 472, л. 142.

[2] АКАК, т. X, стр. 780.

რუსეთ-სპარსეთის დაახლოებისა და ურთიერთკავშირების ეშინოდა, თავისი გაიტანა: დიდძალი ოქროთი, ინტრიგებითა და ათასგვარი ხრიკებით ინგლისელებმა მიაღწიეს იმას, რომ სპარსეთის ადრინდელი საეგვო პოლიტიკა კვლავ ორგანიზებული და ინგლისმაქციური დარჩა.

ჯერ კიდევ ალმოსავლეთის ომის დაწყების წინ სპარსეთის ახალგაზრდა შაჰი ნასრ-ედ-დინი საიდუმლოდ შეპირდა რუსებს გადაეცა კავკასიის მეფისნაცვლის განკარგულებაში თავის 60-ათასიანი ლაშქარი. ამ საგანზე დიდი სათანადო ხელშეკრულებაც, რომლის საფუძველზე სპარსეთის სპეციალური კომისიის თანხმობით წასამართავად თბილისში ჩამოყალიბდა კიდეც საბუნებრივ-დიპლომატიური კომისია გენერალური შტაბის ოფიცრთა შემადგენლობით, რომელსაც ხათაველში გენერალი სანკოვსკი ედგა. დამეშალეთ ეს ... მოქმედების გასაზღვრული გეგმაც. სპარსეთის კორპუსი უნდა შეერეოდა სულთანიანთან და ერთად გაეშალა შეტევითი მოქმედება ხოისა და კოტურის გზით, იმ ოლქის (კოტურის) დასაბრუნებლად, რომელიც თურქებმა სპარსეთის 1851 წელს წაართვეს. ამ საბუნებრივ თანამშრომლობის საკომპენსაციოდ ნაკლებად 1 მზად იყო „დიფესიფენსივებინა" სპარსეთის მთავრობა ბასზე რიცხული ვალით (ერთი კუბური ... ...), რუსეთსა და სპარსეთს შორის საბუნებრივ ... ...

შეკმაირდა. რუსეთმა გადაჭრით უარყოფდა სპარსეთის მთავრობის მიერ შემოთავაზებული „საეჭვო და არაგულწრფელი" ფორმულა, გაჰკიცხა მისი ორჭოფული მოქმედება. ნიკოლოზ პირველმა „წინადადება მისცა თავის ელჩს სპარსეთში აცნობოს შაჰს და მის მინისტრებს, რომ იგი, რუსეთის იმპერატორი, თელის გაბათილებულად მოლაპარაკების ყველა რეზულტატს ამ საკითხზე, თან დაავალა მას, რათა შაჰისათვის გადაცემული წერილი უკანვე გამოეთხოვა. ამავე დროს რუსეთის მთავრობა არაოფიციალური სახით ავალებდა თავ. დოლგორუკოვს, რათა უზრუნველეყო სპარსეთის მკაცრი ნეიტრალიტეტის პოზიციაზე დარჩენა. რუსეთის ელჩს პეტერბურგიდან ამასთან დაკავშირებით დარიგების აძლევდნენ, მას საჭიროების შემთხვევაში დაეშინებია შაჰი და მისი მინისტრები, დამუქრებოდა მათ, რომ „ომის შემდეგ რუსეთი სამაგიეროს მიუზღავდა სპარსეთს მისი ორჭოფული პოლიტიკისა და მუხანათობისათვის"[1]. ასე უიმედოდ ჩაიშალა ნიკოლოზ I ადრინდელი ოპტიმისტური ვარაუდები სპარსეთთან თანამშრომლობის შესახებ. საჭიროა აღინიშნოს, რომ სპარსეთის მთავრობის პოლიტიკის შეცვლაზე რუსეთის მიმართ, ინგლისისა და საფრანგეთის დიპლომატიის ძირგამოსაბრელ მოქმედებასთან ერთად, დიდად იმოქმედა ბალკანეთში რუსეთის არმიის პირველმა წარუმატებლობამაც.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ცხადი უნდა იყოს, რომ ადგილობრივი ვითარების კარგად მცოდნე კავკასიის ჯარების სარდლობას არა თუ ნაადრევად და საეჭვოდ მიაჩნდა ხანგადასული გრაფ პასკევიჩის რჩევაზე დაფუძნებული სამეფო დირექტივები, არამედ მათ შესრულებას ნამდვილ უგულებელად და დანაშაულებრივადაც კი მიიჩნევდნენ.

ვორონცოვს, ბებუთოვს და მათ თანამშრომლებს კარგად ესმოდათ თუ რამდენად დაძაბული მდგომარეობა არსებობდა ამიერკავკასიის საზღვრების გასწვრივ. იცნობდნენ სპარსეთის მთავრობის მუხანათურ ორიენტაციასაც. მათ იცოდნენ, რომ საზღვრებზე განლაგებულ რუსეთის მცირერიცხოვან ჯარებს

[1] АКАК, т. X, стр. 745—755; ЦГИАГ, ф. 29, д. 2502, л. 102—107.

ოდნავ თუ შეეძლოთ მისი დაცვა, ამიტომ შეტევით მოქმედება დაუშვებელ ავანტურად და პირდაპირ კატასტროფის მომპყრობელადაც მიაჩნდათ. ამ გარემოებასთან დაკავშირებით ფრიად საინტერესოა გენ. ბებუთოვის დასაბუთებული, საკმაოდ შორსმჭვრეტელი და ფხიზელი გონიერებით გამსჭვალული მოსაზრებანი. თავის საიდუმლო წერილში, რომელიც ბებუთოვმა ბარიატინსკის მისწერა, გადაჭრით უარყოფს პეტერბურგის დირექტივას ზამთარში შეტევის დაწყების შესახებ. მას მოჰყავს შემოწმებული ცნობები თურქთა რეზერვებზე, რომელიც მისი სიტყვებით „ითხჯერ მაინც აღემატებიან ჩვენსას", აღნიშნავს, რომ მოწინააღმდეგე უკეთესად არის მომზადებული საომარი მოქმედებისათვის და დასკვნის: „ღმერთმა ჰქნას, რომ თურქებმა მიგვანებონ ჩვენ თავი, თორემ შეტევითი მოქმედების შესახებ წლის ასეთ დროს... მე ფიქრსაც კი ვერ გავბედავდი. მაგრამ თუკი მიბრძანებენ, — დასძენს იგი მრავალმნიშვნელოვნად, — მზად ვარ ვიმსახურო"[1]. გენ. ბებუთოვის გესლიანი რეპლიკა („თუკი მიბრძანებენ") პირდაპირ ნიკოლოზ 1 მისამართით არის ნასროლი. ბებუთოვმა შესაძლებლად ჩათვალა რუსეთის დესპოტს აშკარად შესიტყვებოდა. თავის პასუხში გენ. ბარიატინსკისადმი იგი წერდა: „მე არ ვიზიარებ მოსაზრებას ზამთარში არდაგანისა და ბაიაზეთის აღების შესახებ, რაც თქვენი სიტყვებით, ხელმწიფე-იმპერატორის სურვილს შეესაბამება"[2].

მიუხედავად მე-13 დივიზიის „გაუნაწევრებლად" გამოყენების შესახებ ნიკოლოზ 1 შეუსაბამო განკარგულებისა, ვორონცოვმა მიიღო ყველა ზომა უსიტყვოდ შეესრულებინა სამეფო „ნაკაზი". მისი განკარგულებით მე-13 დივიზია სუხუმიდან (გადმოსხმის ადგილი) კომპაქტურად გაემართა აღექსანდროპოლისაკენ, კავკასიის მთავარი კორპუსის გასაძლიერებლად.

ჯარის ეშელონები უკვე მიუახლოვდნენ ქუთაისს, როდე-

---

[1] ЦГИАГ, ф. 29, д. 2502, л. 143—145.

[2] ЦГИАГ, ф. 1087, д. 472, л. 145.

საც მიღებულ იქნა ცნობა იმის შესახებ, რომ თურქთა ბა-
თუმის კორპუსი უკვე ემზადება, რათა გამანადგურებელ
დარტყმა მიაყენოს გურიას, ხოლო შემდეგ განზრახვა აქვ-
ა გადათელოს სამეგრელო, იმერეთი და აფხაზეთი და ვარა-
უდობს შეუერთდეს მამმად-ემინსა და შამილის რაზმებსო.

ამრიგად, პეტერბურგში დამუშავებული სამეფო დირექ-
ტივა მე-13 დივიზიის კომპაქტურად გამოყენების შესახებ
უდღეური და უაზრო გამოდგა. კონკრეტულმა ვითარებამ
გამოიწვია მეფის განაწესის ძირეული შეცვლა. მე-13 დივი-
ზიის 6 ბატალიონი, ნაცვლად ალექსანდროპოლისა, გურიის
რაზმში იქნა გადასროლილი; 2 ბატალიონი დანიშნულ იქნა
ბორჯომის ხეობის დასაცავად; 6 გაიგზავნა ახალციხის მაზ-
რაში, რადგან ადგილობრივი სარდლობა სწორად ვარაუდობ-
და, რომ მოსალოდნელი იყო თურქების შემოსევა არდაგანის
მლაკდარმიდან, საიდანაც მათ შეეძლოთ ახალციხის გზით
ბორჯომის ხეობაში გაჭრილიყვნენ. ამრიგად, მე-13 დივიზიის
16 ბატალიონიდან 14 ბატალიონი სახელდახელოდ იქნა გა-
ნაწილებული საქართველო-თურქეთის სასაზღვრო ზოლის
ყველაზე საშიშ საკვანძო პუნქტებში. ექვანასკნელ ორ ბა-
ტალიონს დაეკვალა ახალციხისა და ალექსანდროპოლის რაზ-
მებს შორის კავშირის ეზრუნველყოფა და თბილისისაკენ
მიმავალი გზების დაცვა. ამრიგად, დივიზიის თავდაპირველი
განაწილებისა და საბრძოლო ორგანიზაციის გეგმა თავდა-
ყირა დადგა. ვითარებამ ადგილობრივი სარდლობა იძუ-
ლებული გახადა „მოურიდებლად და ტლანქად" დაერღვია
ხელმწიფე-იმპერატორის კატეგორიული დავალება.

მოწინააღმდეგე ძალთა მოძრაობის შესაბამისად რუსეთის
მოქმედი კორპუსი ანატოლიაში ომის დაწყებიდანვე აღმოჩ-
ნდა გაყოფილი სამ დამოუკიდებელ რაზმად. მათ შორის მთა-
ვარი ალექსანდროპოლის კორპუსი, რომელიც დანიშნული
იყო გენერალური შეტევისათვის, შეუფერებელი აღმოჩნდა
თავისი როლისათვის სიმცირისა და სასუსტის გამო. კორპუ-
სის რეგულარული შენაერთების საბოლოო განლაგება კავკა-
სია-თურქეთის საზღვრებზე მდ. ჩოლოქის შესართავიდან და
არარატის მთებამდე შემდეგ სურათს იძლევა:

1. ე. წ. „რიონის მხარის“ საომარ ასპარეზზე, რომელიც მოიცავდა გურიას, სამეგრელოსა და იმერეთს, შემადგენლობა ფრონტის უკიდურეს მარჯვენა ფლანგს და ალექსანდროპოლ-ყარსის მთავარი ფრონტიდან დაცილებული იყო თითქმის გადაულახავი ქედების ჯაჭვით, გამაგრებული იყო ქვეითი ჯარის 8 ბატალიონით, კაზაკთა 2 ასეულით და 12 ზარბაზანით. მთელ ამ შენაერთს ეწოდებოდა „გურიის რაზმი“. მცირერიცხოვანი და უძლური რაზმი, რომელიც მოწოდებული იყო უზრუნველეყო ესოდენ ვრცელი და გადამწყვეტი სტრატეგიული კვანძის დაცვა, როგორსაც შავი ზღვის სანაპირო წარმოადგენდა, შიდაფრონტზე განლაგებული იყო შემდეგნაირად: 4 ¾ ბატალიონი 12 ზარბაზნით იდგა ყველაზე საშიშ პუნქტზე — ოზურგეთის მიდამოებში; ფოთში იმყოფებოდა მხოლოდ ¾ ბატალიონი; რედუტ-კალეში — ½; მარანში — 1 ½, ქუთაისში — ½. გარდა ამისა, თურქეთის საზღვარზე საკორდონო სამსახურს ეწეოდა კაზაკთა ორი ასეული. გურიის რაზმის უფროსად პირველხანებში ითვლებოდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გენერალ-მაიორი გავარინი.

2. სასაზღვრო რაზმის ცენტრში, საომარი მოქმედების გადამწყვეტ პუნქტში — ყარსის მიმართულებით, თავმოყრილი იყო რეგულარული ჯარების 23½ ბატალიონი, კაზაკთა 24 ასეული, 60 ზარბაზანი, მილიციის 8 დრუჟინა და რამდენიმე ასეული. ჯარის ეს შემადგენლობა ძირითად იყოფოდა სამ დამოუკიდებელ რაზმად: ახალციხის — გენ. ლეიტენანტ ანდრონიკაშვილის, ახალციხის — გენერალ-მაიორ ბუდბერგისა და ალექსანდროპოლის — გენერალ-ლეიტენანტ ბებუთოვის სარდლობით. ალექსანდროპოლის რაზმის შემადგენლობაში შედიოდა 11 ½ ბატალიონი, 10 ესკადრონი, კაზაკთა 9 ასეული, ადგილობრივი მილიციის რამდენიმე დრუჟინა და ასეული.

3. ერევნის საომარ ასპარეზზე გენ.-მაიორ ნაზაროვის

სარდლობით თავმოყრილი იყო $3^1/_2$ ბატალიონი, 8 ზარბაზანი, ყაზეკთა 6 ასეული და ადგილობრივი მილიციის 14 ასეული.

თურქებმა დაიწყეს საომარი მოქმედება 1853 წლის 15 ოქტომბერს ლამით თავიანთი მოულოდნელი და ვერაგული თავდასხმით შეკვეთილის („წმ. ნიკოლოზის") საგუშაგოზე, რომელიც მდებარეობდა გურიაში, მდ. ჩოლოქის შესართავთან[2]. თურქეთის თავდასხმა თითქოს არ უნდა ყოფილიყო მოულოდნელი ადგილობრივი სარდლობისათვის. ჯერ კიდევ, 1853 წლის 6 ოქტომბერს საომარი მინისტრი აცნობებდა თავ. ვორონცოვს: „ჩვენს განკარგულებაში არსებული ცნობებით თურქები ემზადებიან დაიწყონ საომარი მოქმედება უფრო ადრე ამიერკავკასიის საზღვრებზე, ვიდრე დუნაიზე, და ამისათვის მათ თითქოს უკვე შეაგროვეს ბათუმში 30 ათასამდე კაცი. ამის გამო მის უმაღლესობას სურს იცოდეს სახელდობრ რა ზომებია მიღებული თქვენს მიერ გურიის საზღვრისა და მასთან ერთად შავი ზღვის სანაპიროს დასაცავად[3].

საომარი კონფლიქტის მომამზადებელ მრისხანე ნიშნებს წარმოადგენდა თურქეთის ბანდების გახშირებული აღვირახსნილი გამოხდომებიც საზღვრების ამა თუ იმ პუნქტში. „ჟურნალი საომარი მოქმედების შესახებ თურქეთის

---

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 458, л. 27—29. ცნობები ამოღებულია გენერალიტეტისაგან 1853 წლის 23 ოქტომბრის პატაკიდან თავ. ვორონცოვის მისამართით.

[2] ფრიად დამახასიათებელია, რომ ინგლისის ცნობილი ისტორიკოსი და ყირიმის ომის მონაწილე ა. კინგლეკიც კი იძულებული იყო თურქეთის ჯარის ამ აქტისათვის „ვერაგული" და „მუხანათური" ეწოდებინა. ამის გამო იგი საგანგებოდ მართებულად თვლიდა ადმირალ ნახიმოვის მიერ თურქეთის ფლოტის განადგურების სინოპთან. იგი წერდა: „პეტერბურგის მთავრობამ კარგად იცოდა, რომ არა მარტო დუნაი გახდა საომარი მოქმედების ასპარეზად, არაშედ ისიც, რომ თურქებმა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე უკვე დაიკავეს წმ. ნიკოლოზის (შეკვეთილის — ე. ბ.) საგუშაგო... მსგავსი საომარი დემონსტრაციების შემდეგ, შეუძლებელია პრეტენზია იმის შესახებ, რომ რუსეთმა ისარგებლა თავისი უფლებით აეფეთქებია თავისი მოწინააღმდეგის ხომალდები". Alexander William Kinglake. The invasion of the Crimea. Leipzig, 1863. vol. II p. 41

[3] ЦГИАГ, ф. 1087, д. 458, л. 9.

საზღვარზე", რომელიც ასახავს 1853 წლის აგვისტოსა და სექტემბერსა და ოქტომბერში მომხდარ ამბებს, საუბარია ჩვენს საყარაულო პუნქტებზე ბრძოლების, თურქთა ავაზაკური თავდასხმების აღწერილობით. ამ თავდასხმების დროს, რომელშიაც ხშირად მონაწილეობდა ასობით თავზეხელაღებული გადამთიელი ავაზაკი, იტაცებდნენ ადამიანებს, განსაკუთრებით გოგონებსა და ვაჟებს, მიჰყავდათ ცხენები, ხარები და ძროხები, სწვავდნენ სახლებს, სჩეხდნენ ბაღებს, ვენახებს, ჭლეტდნენ კაზაკებს, მილიციელებს. თავისთავად ცხადია, ასეთი თავდამსხმელები არ რჩებოდნენ დაუსჯელნი. ადგილობრივი მოსახლეობა კაცი და ქალი, დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზრდა თავგანწირულ წინააღმდეგობას უწევდნენ მომხდურებს. ცალკეული შეტაკებანი ხშირად ფართო ხასიათს იღებდა და ნამდვილ ბრძოლად გადაიქცეოდა ხოლმე[1]. გასაგებია, რომ ყველა ამ მრისხანე სასიგნალო ექსცესების შემდეგ, ადგილობრივი მთავრობისა და სარდლობის გულგრილი დამოკიდებულება საზღვრების ნამდვილად დაცვის საქმისადმი, არამცთუ უცნაურად მოსჩანს, არამედ პირდაპირ დანაშაულად უნდა ჩაითვალოს. შეკვეთილის მამაცი მცველების ტრაგიკული ხვედრიც კავკასიის კორპუსის სარდლობის ამ დანაშაულებრივი უმოქმედობის ნაყოფი იყო.

შეკვეთილის (წმ. ნიკოლოზის) საგუშაგო ანუ „კარანტინი", როგორც მას იმხანად უწოდებდნენ, აგებულ იქნა გურიის რუსეთთან შეერთების შემდეგ. 1810 წელს ბელევსკის ქვეითი პოლკის ნაწილმა, რომელიც გადმოვიდა ჩოლოქის მარჯვენა ნაპირზე, რათა დაეცვა საზღვარი თურქებისაგან, ზღვის ქვიშოვან ბორცვზე ააგო რამდენიმე სახლი და ყაზარმა, რომელსაც ირგვლივ შემოავლო მიწაყრილი. იქვე, მაშინდელ წესისამებრ, წმ. ნიკოლოზის სახელზე დადგეს მცირე სალაშქრო საყდარი (ეკლესია). ეს მოხდა შეკვეთილში. ამ პუნქტმა ამიერიდან მიიღო „წმინდა ნიკოლოზის სამაგრის", კარანტინის, ანუ საგუშაგოს სახელწოდება. ბელევსკის პოლკი იქიდან გაწვეულ იქნა, ხოლო მიწაყრილი

[1] ЦГИАГ, ф. 11, д. 2873,

მასზე აგებული რედუტით თანდათან იშლებოდა. 1831 წელს აღნიშნული პუნქტები გადაიქცა საბაჟო სადარაჯოდ, სადაც მოთავსებულ იქნა აგრეთვე ხორაგეულობის საწყობი ახლომახლო მყოფ ჯარების მოსამარაგებლად.

ალმოსავლეთის ომის დაწყების წინ შეკვეთილში ითვლებოდა 50-მდე გაცვეთილი და დრომოჭმული ხის სახლი, აქვე იყო სამხედრო მეთაურის შენობა, ორი მცირე ზომის ყაზარმა, გარდა ამისა, პატარა ეკლესიის გარშემო იდგა სანოვაგის მაღაზია და 7 მცირე შენობა, ფორტიდან ახლოს განლაგებული იყო სავაჭრო დუქანი და ფიცრებით შეკოწიწებული რამდენიმე საცხოვრებელი ჭოხი. მუდმივი და ძირითადი მცხოვრებნი აქ არავინ იყო. ფორტში დროებით მცხოვრებად ითვლებოდნენ მხოლოდ ეკლესიის მსახურნი, ცოლშვილიან ჯარისკაცთა რამდენიმე ოჯახი და 20-მდე წვრილი მოვაჭრე-მედუქნეები.

1853 წლის დასაწყისში ახლომახლო გახშირებულ თავდასხმებისა და ავაზაკობის სალიკვიდაციოდ შეკვეთილში მოვიდა შავი ზღვის სახაზო მე-12 ბატალიონის ორი არასრული როტა 255 კაცის შემადგენლობით, რამდენიმე კაზაკი 2 ზარბაზნით. შენაერთს მეთაურობდა კაპიტანი შჩერბაკოვი. აქვე გიორგი გურიელის მეთაურობით იმყოფებოდა გურიის მილიციის ორი ასეული. არსებობდა განკარგულება შეკვეთილის საგუშაგოს გაუქმების შესახებ, ამიტომ ჯარისა და მილიციის ნაწილებს დავალებული ჰქონდათ დაეცვათ იგი მხოლოდ მანამდე, ვიდრე საწყობიდან გამოზიდავდნენ დიდი რაოდენობით დაგროვებულ ხორაგეულს.

1853 წლის 19 ოქტომბერს ვორონცოვი იმპერატორს მოახსენებდა, რომ შეკვეთილის პოსტი არსებითად შეუძლებელია „სიმაგრედ ჩაითვალოს", იგი არ არის შეიარაღებული არტილერიით და „ძლიერ თავდასხმას ვერ გაუძლებსო". მაშ, რა დანიშნულება ჰქონდა შეკვეთილის პოსტს? ვორონცოვის მტკიცებით იქ „დაგროვებული იყო სურსათ-სანოვაგის დიდი მარაგი, ამიტომ, ჩვენ საჭიროდ დავინახეთ მისი გამაგრება, ვიდრე მოვასწრებდით მთელი პროდუქტის იქედან წამოღებას".

მეფისნაცვალი სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ „ვერ მოვასწარით დროულად დაგვეცალა ეს პოსტი, ... ქებმა დაგვასწრესო[1].

11 ოქტომბერს ეორონცოვმა ადგილობრივი გარნიზონის დასახმარებლად კიდევ ერთი ასეული ჯარი და ორი ზარბაზანი გაგზავნა. 15 ოქტომბერს გვიან ღამით კი თურქთა მრავალრიცხოვანმა რეგულარულმა ჯარებმა ზღვის მხრიდან და ბაშიბუზუკთა ბრბოებმა ხმელეთიდან შეკვეთილი რკინის სალტეში მოაქციეს. პოსტის მცირერიცხოვანი გარნიზონი მტერს გმირულად დაუხვდა. უთანასწორო ბრძოლა მეორე დღემდე გრძელდებოდა. შეკვეთილის მამაც დამცველებს სულ ამოეწურათ ტყვია-წამლის მარაგი, დაიცალა უკანასკნელი ვაზნა და ყუმბარა. საგუშაგო მხოლოდ ამის შემდეგ დაეცა. მთელი გარნიზონიდან ცოცხალი დარჩა მხოლოდ რამდენიმე მილიციელი, 30 ჯარისკაცი და 3 ოფიცერი და ისინიც მძიმედ დაჭრილ-დასახიჩრებულნი. ეს „გამარჯვება“ თურქებს იაფი არ დაუჯდათ. მათ მრავალრიცხოვან ბრბოთაგან ძალიან ბევრი მოკვდა და დაიჭრა. „ხელჩართული ბრძოლა, — წერდა გენერალი გაგარინი,—7 საათზე მეტხანს გაგრძელდა. ჩვენები მამაცურად იბრძოდნენ და მოწინააღმდეგის გვამებით მოჰფინეს მთელი სიმაგრე. ადგილზე დარჩა მოწინააღმდეგის 400-მდე გვამი. ცნობილი გახდა, რომ მოწინააღმდეგემ მარტოოდენ ჩერუკ-სუში თავის რიგებში ვერ დათვალა 300-მდე კაცი... თუ კი ჩვენ დიდი მსხვერპლი გავიღეთ, მათაც ძვირად დაუჯდათ ამ ადგილის ალება“[2].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოტომანთა აგენტების პროვოკაციული ჩხირკედელაობის მიუხედავად, ისინი ვერ ახერხებდნენ ქობულეთის ძირითადი მოსახლეობის წასისინებას ქართველი მოძმეების წინააღმდეგ. ათასგვარი დაპირებებისა და იძულებითი ზომების მიუხედავად აჭარის მოსახლეობა, გარდა თითო-ოროლა გარეწარი და მოსყიდული ადამიანისა, ბოლომდე ინარჩუნებდა თავის ერთგულებას თავის დედა-საამშობლოსადმი. მათ ვერ აშინებდათ სიკვდი-

---

[1] ЦГВИАМ, ф. ВУА, д. 5622, 1, л. 51.
[2] ЦГИАГ, ф. 11, д. 2873.

ლის მუქარა და კატეგორიულად აცხადებდნენ უარს თურ-ქეთის სარდლობის მიერ ჩამოყალიბებულ ნაწილებში მონაწილეობაზე. ისინი მასობრივად გაურბოდნენ თავიანთ მოძმე ქართველ მილიციელებთან და რუსეთის რეგულარულ ჯარებთან ბრძოლას. ამითაც აიხსნება, რომ ოტომანთა მთავრობის ემისრები და სარდლობა რომის დაწყებიდან მის დასრულებამდე, სრულ უნდობლობასთან ერთად, ქედმაღლურად და ზიზღით ეპყრობოდნენ აჭარა-ქობულეთის მცხოვრებთ, უეხქვეშ თელავდნენ მათ ღირსებას, იყენებდნენ მათ წინააღმდეგ ტერორს და რეპრესიებს, ხოლო — „ჯიუტებსა და ურჩებს" ხშირად მასობრივად სჯიდნენ სიკვდილით.

ისტორიამ შემოგვინახა ბევრი თვალსაჩინო დოკუმენტი, რომელიც მკაფიოდ ადასტურებს თურქეთის მთავრობის ემისრების უხეში ძალადობის ფაქტებს აჭარის მცხოვრებთა მიმართ, იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც უარს ამბობდნენ ებრძოლათ რუსი და ქართველი მოძმეების წინააღმდეგ. „თურქეთის ფაშამ, — ვკითხულობთ ერთ-ერთ დოკუმენტში, — რომელსაც ეჭვი შეპქონდა ქობულეთლების ერთგულებაში, უბრძანა მათ თავდაპირველად შეეჭრილიყვნენ გურიაში ჩოლოქის მხრიდან ლიბაურისაკენ, მაგრამ მათ (ქობულეთის მცხოვრებლებმა — ე. ბ.) გადაეჭრით განაცხადეს უარი შეესრულებინათ ეს ბრძანება... მაშინ გაბოროტებულმა ფაშამ უბრძანა გარსშემოერტყმოდნენ მათ რეგულარული ჯარებით, თან გამოაცხადა, რომ უბრძანებს ყველა მათგანს წააცალონ თავები, უკეთუ ისინი ერთგულების დასამტკიცებლად არ მიიტანებენ იერიშს ნიკოლაევსკზე..."[1] მსგავსი ზომებით, მოსყიდვით, თუ სხვა მაქინაციებით თურქმა ბარბაროსებმა შესძლეს თავის მხარეზე გადაებირებინათ ზოგიერთი სუსტი ნებისყოფის ადამიანი, ხოლო მოსახლეობის ძირითადი მასა რჩებოდა საშშობლოს ერთგული და გულშემატკივარი. აჭარის მოსახლეობის საუკეთესო ნაწილი, როგორც ყოველთვის, მთელ ქართველ ხალხთან ერთად ღრმა სიყვარულის გრძნობით და იმედით შეჰ-

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 474, л. 19.

ყურებდა დიდ რუს ხალხს, მის განმათავისუფლებელ არმიას.

თავის პატაკში მეფისნაცვალი თავ. ვორონცოვი დაწვრილებით მოუთხრობდა მოწინააღმდეგის ვერაგული თავდასხმის ვითარების შესახებ შეკვეთილის საგუშაგოზე, თან ახასიათებდა მისი ერთი მუჭა მცველების გმირულ მამაცობასა და გმირობას. იგი აღნიშნავდა, რომ ეს საგუშაგო სრულიადაც არ იყო გამაგრებული, — ასე რომ თურქებს დიდად არ შეუძლიათ დაიკვეხნონ მისი აღებითო. „საამწუხაროა ჩემთვის, — აღნიშნავდა მეფისნაცვალი, — პირველი ჩემი მოხსენება საომარი მოქმედების შესახებ თურქებთან დავიწყო ჩვენთვის ამ არასასიამოვნო ფაქტით, მაგრამ ჩვენ დაგვრჩენია იმედიანი მომავალი და ვამბობთ, ისე, როგორც 1812 წელს: „ღმერთი დამწყების მხარეზეა“ [1]. მეფისნაცვალისა და მთავარსარდლის ეს სიტყვები სწორი გამოდგა.

შეკვეთილის ფორტის დაცვის ისტორიაზე, როგორც 1853—1856 წლების აღმოსავლეთის ომის დაწყების მაუწყებელზე, ღირს უფრო დაწვრილებით შეჩერება. დაუშვებელია, მაგალითად, დავიწყებული იქნას მისი ბრწყინვალე დამცველთა მამაცობა და თავგანწირულობა. „ამ ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი გმირი, — წერდა თავ. ვაგნერი, — ჩვენი მამაცი თავადი გიორგი გურიელი, რომელიც ვაჟკაცურად იცავდა სიმაგრეს, აღფრთოვანებდა ბრიალი მწვალლითით მილიციონერებსა და ჯარისკაცებს, სასიკვდილოდ დაჭრილი გამოატარეს მოწინააღმდეგის ბრბოებს შორის“ [2]. როგორც გამოირკვა, გულში ღრმად დაჭრილმა მილიციის მეთაურმა უკანასკნელ წუთებში დრუჟინის ხელმძღვანელობა გადაანდო თავის 16 წლის ვაჟს ითსებ გურიელს. მამაცმა ყმაწვილმა მტკიცედ დაიცვა გმირი მამის მოწოდება. იგი ბოლომდე დარჩა ბრძოლის ველზე. ყმაწვილი კაცი ვეფხისებრ უმკლავდებოდა მოძალებულ მტერს მაშინაც კი, როდესაც მის გვერდით მდგომი ორი გურული ვაჟკაცი გიგინეიშვილი და წითლიძე გმირულად განიგმირნენ, მხოლოდ

---

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д., 378, л. 1—3.
[2] Там же.

უკანასკნელ წუთებში, ბრძოლის დასასრულს, რამდენიმე მილიციელმა, რომელიც რადაც სასწაულებით ცოცხლები დარჩნენ, ხმლებით გაიკაფეს გზა მოზღვავებულ ბაშიბუზუკთა შორის, სასტიკი ზიანი მიაყენეს მტერს და შესძლეს ახალგაზრდა დაჭრილი თავადიშვილი იოსებ გურიელი სამშვიდობოზე გაეყვანათ.

„გამარჯვებული" თურქების მხეცობას და მძვინვარებას საზღვარი არ ჰქონდა. ომების ისტორიას იშვიათად ახსოვს „გამარჯვებულთა" მსგავსი გაფთრება და შმაგობა. „ნიკოლაევსკის დაკავებას, — წერდა მოხსენებაში გენ. გაგარინი, — თურქების მხრივ თან ახლდა გაუგონარი სისასტიკე. ისინი ჭაბავდნენ ქალებს, ბავშვებს, მათ აწამეს ერთი ბერი, ხოლო საბაქოს მოხელე გაიკრეს კედელზე და ერთობოდნენ მასზე ცალცალკე სროლით" [1].

თურქების მიერ საქართველოში ჩადენილმა ალმაშფოთებელმა მხეცობამ ძლიერი რეაქცია გამოიწვია პეტერბურგის საზოგადოების წრეებში. თვით ნიკოლოზ I უცხოელი მეგობარი თავ. ემილინ საინ ვიტგენშტეინი, რომელიც ემყარებოდა სარწმუნო ცნობებს, უკიდურესად ალაშფოთა თურქების მოქმედებამ. „თურქები ბილწი და საზიზღარი ავაზაკები არიან,—წერდა იგი მეფეს.—მათ მიერ ჩადენილ მხეცობას ნიკოლაევსკში სახელს ვერ მოუძებნი. მათ ჯვარს აცვეს საბაქოს მმართველი შესანიშნავი ახალგაზრდა კაცი და გადაიქცეს იგი თავიანთ სასროლო ვარჯიშობის სამიზნედ; მათ გაჩხერეული შანთით სასიკვდილოდ აწამეს ექიმი; მათ შუაზე გადახერხეს მლედელი და შემაძრწუნებელი საშუალებებით სცემეს ყველა ქალს და ბავშვს, მათ ჯერ კიდევ ცოცხალს ორსულ ქალს მუცლიდან ამოკვეთეს ბავშვი და იგი ნაკუწ-ნაკუწად აქცეს მომაკვდავი დედის თვალწინ" [2].

ჩვენ ხალხს არ შეეძლო ეპატიებინა მტრისათვის მისი სიშმაგე და გაბოროტება.

გენ. გაგარინის ბრძანებით, შეკვეთილსაკენ, სადაც დაბანაკებული იყო თურქთა ჯარები, რეგულარული ჯარებისა

---

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 472. л. 20—21.
[2] ЦГИАГ, ф. 69, д. 22, л. 4279.

და მილიციის ძლიერი რაზმით ოზურგეთიდან გავმართეთ პოლკოვნიკი ყორღანოვი. მაგრამ უკვე გვიანი იყო. [illegible] თილიდან 2 ვერსის დაშორებით ტყეში ყორღანოვის რაზმი წააწყდა მოწინააღმდეგის წასაფრებულ ძლიერ რაზმს 5 ათასი კაცის რაოდენობით. პოლკოვნიკმა მიიღო გამოწვევა და თავგანწირული შეტაკების შემდეგ მტერი იძულებული გახდა დაეგდო თავშესაფარი და უკუქცეულიყო. მაგრამ ყორღანოვმა შეკვეთილში შეჭრა მაინც ვერ მოახერხა. თურქებმა გახსნეს ძლიერი საartილერიო ცეცხლი და აიძულეს იგი უკან (ოზურგეთში) დაბრუნებულიყო[1].

შეკვეთილის დაკარგვას, ცხადია, არ შეეძლო თუნდაც რამდენადმე შეეცვალა ძალთა თანაფარდობა და არსებითი გავლენა მოეხდინა საომარი მოქმედების საერთო მსვლელობაზე, თვით ამ საგუშაგოს მატერიალური ან სტრატეგიული დიერებულება ერთობ უმნიშვნელო იყო. ამ გარემოებამ ხელი არ შეუშალა ევროპის პრესას დიდი ხმაური აეტეხა. თურქების პირველ „წარმატებას" ოტომანთა დასავლეთელი „მეგობრები" აცხადებდნენ ჭეშმარიტად „საგმირო საქმედ". ეს გარემოება იმ დროს არავის აკვირვებდა: საკუთარი პოლიტიკური კაპიტალის გადიდების მიზნით, რუსეთის დასავლეთელი მოწინააღმდეგენი თურქეთის თუნდაც უმნიშვნელო წარმატებას თავისთვის დეკორუმად იყენებდნენ. ცოტა უფრო შეგვიანებით საფრანგეთის ცნობილი ისტორიკოსი ამის გამო წერდა: „მეფე (რუსეთი — ე. ბ.)... უნდა დარწმუნებულიყო იმაში, რომ თურქებს გააჩნიათ უნარი უფრო ენერგიული და უფრო წარმატებითი შეტევისათვის. ევროპაში მათ (თურქებს — ე. ბ.) დასჭირდათ სულ რამდენიმე კვირა, რათა დაებრუნებინათ მცირე ვალახია და მოეწყვიტათ რუსეთის არმია სერბეთისაგან... აზიაში მოიპოვეს კიდევ მეტი წარმატებანი, ისინი შეიჭრნენ რუსეთის ტერიტორიაზე და ხელში ჩაიგდეს შავ ზღვაზე წმ. ნიკოლოზის ფორტი"[2]. ფრანგი ბურჟუაზიული ისტორიკოსის ეს თვალსაზრისი ბოლომდე ტენდენციური ექსკურსი მკაფიოდ ასახავს ევროპის ოფი-

---

[1] АКАК, т. X, стр. 762.

[2] А. Дебидур, Дипломатическая история Европы", М. 1947 г.

ციალური პრესის დამოკიდებულებას რუსეთისადმი ომის პერიოდში.

შეუძლებელია იმის მტკიცებაც რომ შეკვეთილის კატასტროფამ თითქოს სერიოზულად არ შეაშფოთა ადგილობრივი მოსახლეობა და მთავრობის წარმომადგენლები. სარდლობას უდავოდ ჰქონდა შიშის საფუძველი. მოიპოვეს რა დასაყრდენი პუნქტი, ამიერიდან თურქებს შეეძლოთ გაეძლიერებინათ თავიანთი დაწოლა დაუცველი სანაპიროს გასწვრივ. შეშფოთებული იყო სანაპირო ზოლის — ფოთის, რედუტ-კალეს, სუხუმის მოსახლეობა, რომლებმაც კარგად გაითვალისწინეს რეგულარული ჯარების სიმცირე აღნიშნულ პუნქტებში და მოსალოდნელი საფრთხე. ასე მაგალითად, ფოთის, სადაც მოთავსებული იყო საკმაოდ დიდი საწყობი, 3 ათასი ჩეტვერტი ფქვილი, სულ იცავდა 75 ჯარისკაცი, რედუტ-კალეში იმყოფებოდა მარტოოდენ ჯარისა და მილიციის 3 ასეული და სხვ.

მეორე მხრივ, შეკვეთილის დაცემა, ის გაუგონარი მხეცობა და მძვინვარება, რაც იქ გამოიჩინეს დამპყრობლებმა— აღმოჩნდა ნამდვილი საგანგაშო სიგნალი, მან ააშოძრავა მთელი მოსახლეობა. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გენ. გაგარინი თავის მოხსენებაში აცნობებდა მეფისნაცვალს გურიის, სამეგრელოს და იმერეთის ხალხის არაჩვეულებრივი გამოცოცხლებისა და ამოძრავების შესახებ. იგი თან დასძენდა, რომ შეუძლებელი ხდება უარი ეთქვას თავადებსა და აზნაურებს, რომელნიც მოდიან საგუბერნატოროში პატარ-პატარა რაზმებით და მტკიცედ მოითხოვენ საბრძოლო რაზმებში ჩარიცხვასთ[1].

ჩვენ დროებით განზე ვტოვებთ იმ დიდ სახალხო საბრძოლო აღფრთოვანებას, რომელმაც დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა საომარი მოქმედების შემდგომ განვითარებაზე, შეგნებულად ავუვლით გვერდს, აგრეთვე, ალექსანდროპოლის ასპარეზზე ისეთ დიდმნიშვნელოვან ბრძოლების აღწერას, როგორიც იყო ბაიანდურისა და ბაშკადიკლარის ომბე-

[1] ЦГИА Г, ф. 1087, д. 472, л. 22.

ბი, — შრომის ამ მონაკვეთში, უფრო დაწვრილებით განვიხილავთ საომარი ამბების მსვლელობას აწყურთან და ახალციხესთან.

ალექსანდროპოლის მთავარი რაზმი, რომელსაც ევალებოდა დაეწყო შეტევითი ოპერაციები თურქების წინააღმდეგ, როგორც ითქვა, ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე. ეს აიხსნებოდა რაზმის სუსტი შემადგენლობით. მისთვის განკუთვნილმა შევსებამ — მე-13 ქვეითმა დივიზიამ თავისი დანიშნულების ადგილს ვერ მიაღწია. ამ შემთხვევაში ადგილობრივი სარდლობის მოქმედება სავსებით მართებულად უნდა ჩაითვალოს. იგი მტკიცედ დარწმუნდა, რომ მაშინ მთავარი საფრთხე გურიას და ახალციხის მაზრას ემუქრებოდა. ალექსანდროპოლის რაზმს განსაზღვრულ დრომდე უნდა შეენარჩუნებინა თავდაცვითი მდგომარეობა, შეეკავებინა მოწინააღმდეგის მოჭარბებულ ძალთა დაწოლა. ცნობილი გახდა, რომ 1853 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში თურქეთის ანატოლიის არმიის მთავარი ნაწილები მუშირ აბდიფაშას სარდლობით თავმოყრილი იყვნენ ყარსის მიდამოებში. მათ შეეძლოთ დიდ გასაჭირში ჩაეგდოთ გენ. ბებუთოვის სარდლობით მოქმედი რაზმი. ამავე დროს თურქეთის არმიის მნიშვნელოვანი ძალები დაიძრნენ არდაგანის გზით ახალციხისაკენ.

1853 წლის 4 ნოემბერს თბილისში მიღებულ იქნა მეფის მანიფესტი თურქეთთან ომის შესახებ. თურქებმა ბევრი ლარ დააყოვნეს და იწყეს შეტევითი ლაშქრობა ალექსანდროპოლის წინააღმდეგ. იმავდროულად მათ გაშალეს აქტიური მოქმედება ახალციხის წინააღმდეგაც. ახალციხეს, როგორც სტრატეგიულ პუნქტს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ თურქები, რადგან იგი გზას უღობავდა შეტევაზე გადმოსულ მოწინააღმდეგეს ერთი მხრივ ბათუმიდან, მეორე მხრით — არდაგანიდან. ახალციხე მოჰკვდა ორ გარეშე ძალებს, რომელნიც ცდილობდნენ გზა გაეკაფათ მორჭომის ხეობით სურამის, გორისა და თბილისის მიმართულებით. მაგრამ, როგორც ითქვა, ახალციხის ციხე-სიმაგრეს თავისი გარნიზონით არსებულ მდგომარეობაში არ შეეძლო

თურქეთის არმიის შეკავება, ამასთან მოწინააღმდეგეს ჰქონდა შესაძლებლობა შემოეღლო მისთვის და დაუბრკოლებლივ გაჭრილიყო ბორჯომისაკენ. ამ გარემოებას დროზე მიექცოს ყურადღება თბილისში. ახალციხის რაზმის უფროსს გენერალ-მაიორ კოვალევსკის ებრძანა ყოველგვარი საშუალებით აღეკვეთა თურქებისათვის შემოვლითი მოძრაობის შესაძლებლობა.

1853 წლის ნოემბრის დასაწყისში ახალციხის ფრონტზე რუსეთის ჯარები შემდეგნაირად იყო განლაგებული: თვით ახალციხეში იდგა 5 ქვეითი ბატალიონი, კაზაკთა ორი ასეული, თავადაზნაურთაგან შემდგარი 2 დრუჟინა, ოსური მილიციის რამდენიმე ასეული. ფრონტს ემსახურებოდა 8 საველე ზარბაზანი. გარდა ამისა, ბორჯომის ხეობის დასაცავად — აწყურში, რომელიც მდებარეობდა შუა გზაზე ახალციხესა და ბორჯომს შორის, იდგა ბელოსტოკის პოლკის ერთი ბატალიონი, გორის დრუჟინა და ოსური მილიციის ერთი ასეული. ბორჯომში იმყოფებოდა ბრესტის პოლკის ბატალიონი, ბელოსტოკის პოლკის ორი როტა და მილიციის რამდენიმე ასეული; ბრესტის პოლკის ერთი ბატალიონი იდგა ქვიშხეთში და 2 როტა სურამში [1].

ახალციხის საომარი ასპარეზის მნიშვნელობისა და იქ მოქმედი რაზმის მცირერიცხოვანობის თაობაზე, თბილისის სამხედრო გუბერნატორი გენერალ ანდრონიკაშვილს სწერდა: „ახალციხის მაზრას უკავია საომარი ხაზის ცენტრი და ფლობს უახლოეს გზებს თბილისისაკენ. ახალციხის მაზრის წინააღმდეგ თურქებს გააჩნიათ და მუდამ ექნებათ შესაძლებლობა მოკლე დროში შეკრიბონ თავიანთი ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი. ასეთი ვითარების დროს ახალციხის რაზმი, რამდენადაც მე ვიცი, ყველაზე უფრო სუსტია სამ უმნიშვნელოვანეს რაზმთაგან" [2]. გენერალ ანდრონიკაშვილის მიერ მდგომარეობის შეფასება საკვლევით შეესაბამებოდა ჭეშმარიტებას.

---

[1] ЦГИАГ, ф. 1187, л. 472, л. 87.

[2] там же, л. 88.

ჯერ კიდევ 1853 წლის ოქტომბრის დასაწყისში თურქეთის არმიის ფერიკი ალი-ფაშა 20-ათასიანი რეგულარულ ჯარით და დიდი რაოდენობის ბაშიბუზუკებით მიადგა ახალციხეს. მან დადგა რამდენიმე ზარბაზანი ახალციხის სიმაგრის პირდაპირ მდებარე მთაზე (ციხესიმაგრე აგებული იყო მდინარე ფოსხოვ-ჩაის მარცხენა ნაპირის მაღლობზე) და შეუდგა გაცხოველებულ საომარ მზადებას. დიდად მოჭარბებული ძალების უპირატესობით გამხნევებული მოწინააღმდეგე მტკიცედ „ჩაჯდა" და განმტკიცდა ახალციხის მიდამოებში. თურქები შეუდგნენ ნიადაგის მოსინჯვას. გახშირდა ირეგულარული ბანდების ავანგარდი თავდასხმები რუსების საგუშაგოებსა და ადგილობრივ მცხოვრებლებზე. ოქტომბრის დასასრულისათვის ახალციხის მაზრის მთელი სასაზღვრო ზოლი თურქების კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა. რუსები ჯერჯერობით თავიანთ პოზიციებს ინარჩუნებდნენ თვით ახალციხეში.

ნოემბრის დასაწყისში ალი-ფაშა კიდევ უფრო გააქტიურდა. იგი აშკარად შეუდგა მზადებას მოქმედებისათვის. ჯერ კიდევ 30 ოქტომბერს, რამდენიმე დღით ადრე ომის გამოცხადებამდე, თურქთა კორპუსი მიადგა ძველ ახალციხეს და იერიშში მიიტანა რუსთა კავალერიის წინააღმდეგ. მაგრამ საკადრისი პასუხის შემდეგ უკან დაიხია. მეორე დღეს მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარი და კავალერია შეერთებული ძალით გამოჩნდა მდ. ფოსხოვ-ჩაის მარცხენა ნაპირზე, ე. წ. „ახალ ქალაქთან". თურქებმა კვლავ მოულოდნელად შეუტია ეს აქ მდგომ კავალერიას, რომელსაც მეთაურობდა თავადი ქობულოვი. ძალთა უთანაბრობის გამო ქობულოვი იძულებული გახდა უკან დაეხია სოფ. სუფლისამდე და შემდეგ თვით ახალციხისაკენ. თანმიმდევარი აქტიური მოქმედებით თურქებმა მაღე მიაღწიეს იმას, რომ ახალციხის ციხე სიმაგრე ყოველმხრივ გარშემორტყმული აღმოჩნდა; კავშირურთიერთობა ახალციხესა და თბილისს შორის შეწყდა. შეიქმნა ერთობ დაძაბული და საშიში ვითარება. ახალციხის რაზმის საარდალი გენერალ-მაიორი კოვალევსკი ფრიად შეშფოთებული და სასოწარკვეთილებამდე იყო მისული. იგი საშვე-

ლად მოუხმობდა თბილისის სამხედრო გუბერნატორს, გენერალ ანდრონიკაშვილს. „30 ოქტომბერს, — სწერდა გენერალი კოვალევსკი, — მოწინააღმდეგემ იერიში მიიტანა ჩვენს კავალერიაზე და ჩვენი პოზიციის მარცხენა ფლანგზე, რომელიც ძველ ქალაქს იფარავს. შეტაკებების შემდეგ ჩვენი კავალერია შემოვიდა ქალაქში... მოწინააღმდეგემ დაიკავა მთელი ჩვენი მხარე ახალციხემდე და მბრძანებლობს მასში. მტერმა პირველ ნოემბერს სცადა თავს დასხმოდა ახალ ქალაქს, მაგრამ უკუგდებულ იქნა. ქალაქის მცხოვრებნი და სოფლელები, რომელნიც ქალაქში გადმოსახლდნენ, დიდ საფრთხეში არიან და ღელავენ. მაჰმადიანურმა მოსახლეობამ გვიღალატა. მე არა მყავს არც ერთი მზვერავი, ყველანი მოწინააღმდეგეს ემსახურებიან. ფქვილი და ორცხობილა... ცოტა მაქვს. ყველა წისქვილი მოწინააღმდეგის ხელშია, მე ყოველ წუთს ველოდები მტრის იერიშებს...“[1]

კოვალევსკი ემუდარება თავად ანდრონიკაშვილს პირადად ჩამოვიდეს ახალციხეში და თავის ხელში აიღოს საქმის სრული ხელმძღვანელობა, როგორც სამხედრო, ისე ადმინისტრაციული. პირადად გენერალ კოვალევსკის მიაჩნდა უდიდეს ბედნიერებად იმუშაოს გენერალ ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით. დასასრულ იგი კვლავ დაბეჯითებით და დაჟინებით თხოვს გადაუდებლად, სასწრაფოდ, ყოველგვარი დაყოვნების გარეშე, გაიგზავნოს ჯარები ახალციხეში, წინააღმდეგ შემთხვევაში, „ქალაქი, 16 ათასიანი მცხოვრებით, მტერს ჩაუვარდება ხელშიო“.

მეფისნაცვალმა თავად ვორონცოვმა მხედველობაში მიიღო ახალციხის კვანძის კრიტიკული მდგომარეობა და მოსალოდნელი მარცხის მძიმე შედეგები და წინადადება მისცა გენერალ ანდრონიკაშვილს სასწრაფოდ გამგზავრებულიყო ახალციხეში. „მე ვეთანხმები თქვენს წინადადებას, — სწერდა თავადი ვორონცოვი გენერალ ანდრონიკაშვილს 1853 წლის 5 ნოემბერს. — მსურს რათა თქვენ, რაც შეიძლება ჩქარა, ადმოუჩინოთ დახმარება გენერალ კოვალევსკის“.

---

[1] ЦГИАГ. ф. 1087, д. 472, л. 65.

ეხებოდა რა ჯარების გადაჯგუფებისა და გამოყენების საკითხს ახალციხის ასპარეზზე, მეფისნაცვალი კვლავ ძალგოლიოულად მოითხოვდა გენერალ ანდრონიკაშვილის ჩარევას ამ ფრიად მნიშვნელოვან და სახიფათო კვანძის დაცვის ორგანიზაციის საქმეში[1].

ამ მშფოთვარე დღეებში, როცა გენერალი ანდრონიკაშვილი იცავდა საათაბაგო თადარიგს ბრძოლის მოწინააღმდეგ ხაზზე გასამგზავრებლად, იძლეოდა ბრძანებულებებს, აჯგუფებდა ბრძოლისუნარიან საბუნებრო ნაწილებს და სხვ.,—თურქეთის საბრძოლობამ უკვე მოასწრო ახალციხის სიმაგრის მთლიანი ბლოკირება, მოწინააღმდეგემ გადადგა ახალი ნაბიჯი: ბორჯომის ხეობის მიმართულებით დასძრა ირეგულარული კავალერიის მეტად ძლიერი კოლონა, რომელსაც ზურგს უმაგრებდა ასევე ძლიერი ქვეითი ჯარი. 1853 წლის 6 ნოემბერს თურქთა კოლონა აწყურს მიადგა. მტერს მტკიცედ გადაეწყვიტა ერთის დაკვრით გადაეთელა ხეობის დაცვა და გაეხსნა გზა ბორჯომსა და თბილისისაკენ. იმავე საღამოს, თურქთა ჯარები თავს დაესხნენ პოლკოვნიკ ტოლუბეევის რაზმს. აწყურის კვანძისათვის გაჯიუტებულმა ბრძოლამ მთელ ღამეს გასტანა. მეორე დღეს, 7 ნოემბერს, ქანცმილეულ რუს მეომრებს მიეშველა ბრესტის პოლკი გენერალ-მაიორ ბრუნერის ხელმძღვანელობით. ახლად მოსულები ფიცხლავ გადაეშვნენ ხელჩართულ ბრძოლაში. რუს თანამოძმეებთან ერთად თავგანწირვით იბრძოდნენ ადგილობრივი მილიციის დრუჟინები. მიუხედავად დიდად მოქარბებული ძალებისა მოწინააღმდეგემ, რომელმაც კვლავ მიიღო ახალი ზევსება ქვეითი ნაწილებით და ზარბაზნებით, ვერ გაუძლო ჩვენი ჯარების კონტრშეტევას, შედრკა და უკუიქცა. რუსთა ჯარებმა და ქართველმა მილიციელებმა 7 ვერსის მანძილზე სდიეს დამარცხებულ მოწინააღმდეგეს. მტერმა ბრძოლის ველზე დატოვა ზარბაზანი, რამდენიმე დროშა და საბრძოლო ნიშნები, დიდძალი საბრძოლო მოწყობილობა, თოფები, ყუბბარები და ამუნიცია. აწყურთან ბრძოლაში თურქებმა დაკარგეს

[1] ЦГИАГ, ф. 1087, п. 472, л. 69.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკლულია სახით 100 კაცამდე. ჩვენის მხრით მსხვერპლი გაცილებით მცირე იყო[1].

აწყურთან მოპოვებული გამარჯვება გადამწყვეტად ვერ ჩაითვლებოდა, ვიდრე თვით ახალციხესთან და მის გარშემო არსებობდა ჯერ კიდევ მეტისმეტად მძიმე და თითქმის გამოუვალი მდგომარეობა. აწყურთან დამარცხების მიუხედავად თურქთა ფერიკი ალი-ფაშა განაგრძობდა ახალციხის ციხესიმაგრის მკაცრ ბლოკადას, კიდევ უფრო უჭირდა მარაგებს, დრო და დრო აწარმოებდა რუსთა ცალკეულ საგუშაგოებზე თავდასხმებს, თუმცა მთავარ გარნიზონზე უშუალო იერიშის მიტანისაგან ჯერჯერობით თავს იკავებდა. ასე გავიდა კიდევ 3 — 4 დღე.

√ თავადი ანდრონიკაშვილი თავის დამხმარე რაზმით ჩავიდა აწყურს 1853 წლის 11 ნოემბერს, მან წინასწარ გასცა განკარგულება ჯარის საბრძოლო განრიგების შესახებ, და მეორე დღეს, 12 ნოემბერს გაეგზავნა ახალციხისაკენ. √ ანდრონიკაშვილის განკარგულებაში საერთოდ იმყოფებოდა ქვეითი ჯარის 7 ½ ბატალიონი 17 ზარბაზნით, კაზაკთა 9 ასეული, ქართველთა მილიციის 2 დრუჟინა და გორის თავადაზნაურთა ასეული. მოწინააღმდეგეს ამ ასპარეზზე ჰყავდა 20 ათასამდე ჯარისკაცი, მათ შორის 8 ათასი ნიზამი და 3 ათასი კავალერისტი 13 ზარბაზნით. მიუხედავად მტრის აშკარა სიჭარბისა გენ. ანდრონიკაშვილმა მტკიცედ გადასწყვიტა სასწრაფოდ გადასულიყო იერიშზე. ეს გადაწყვეტილება მით უფრო გონივრული იყო, რომ ალი-ფაშა ყოველწუთს მოელოდა მაშველი კორპუსის მოსვლას.

13 ნოემბერს ღამით გენ. ანდრონიკაშვილმა სახელდაბელოდ შეკრიბა სამხედრო საბჭოს სხდომა, რომელზედაც მონაწილეობდნენ გენერლები: კოვალევსკი, ბრუნნერი და ფრეიტაგი, პოლკოვნიკები — ტოლუბეევი, სმელოვსკი, დრეიერი, ცაბერმანი და პორეჩიკი ევსეევი. გახსნა რა სამხედრო საბჭოს სხდომა, ქართველმა გენერალმა უბრალოდ

---

[1] ЦГИАГ, ф. 242. л. 2. л. 1—9.

თქვა: „მე სწავლული არა ვარ, ვიცი მხოლოდ ის, რომ ჩვენ ვალდებული ვართ შეებრძოლოთ თურქებს და [illegible] ცხოთ ისინი. რაც შეეხება განკარგულების წერილმანებს, ამას ბატონებო, თქვენ მოგანდობთ“. შემდეგ სარდალმა ყური დაუგდო სხდომის მონაწილეთა წინადადებების შემცველ მსჯელობას და სხდომის დასასრულს გააკეთა დასკვნა: „ხვალ გავდივართ თურქების წინააღმდეგ, ხოლო მცხოვრებნი დადგნენ თავიანთ სახლებთან: ვისაც გააჩნიათ იარაღი — იარაღით, ვისაც არა — მარგილით“ [1].

მეორე დღეს დილით ჩატარებულ იქნა დაწვრილებითი დაზვერვა, გამოირკვა, რომ თურქეთის კორპუსს მეტად მოხერხებული და კარგად გამაგრებული პოზიციები უკავია მდ. ფოსხოვ-ჩაის მარჯვენა მაღლობზე სოფ. სუფლისიდან სოფ. აბამდე. ამასთან, იერიშის მოწყობის საქმეს იმავე დღეს ხელი ძლიერ შეუშალა ამინდის არახელსაყრელმა პირობებმაც. მხოლოდ მეორე დღის, 14 ნოემბრის დილის 4 საათზე რუსეთის ჯარები გაემართნენ „ძველი ქალაქის“ გასამაგრებლებისაკენ და მალე ორივ კოლონით ელვისებურად თავს დაესხნენ მოწინააღმდეგეს.

ბრძოლის მსვლელობის დაწვრილებით განხილვა არ შეადგენს ჩვენს მიზანს, დაინტერესებული მკითხველი ყველა საჭირო ცნობას აწყურისა და ახალციხის შეტაკებათა შესახებ, თუმცა რამდენადმე შეცვლილის და შეფერადებულის სახით, იპოვის ცნობილი სამხედრო ისტორიკოსების ბოგდანოვიჩისა და ზაიონჩკოვსკის კაპიტალურ წიგნებში, რომლებიც მიძღვნილია 1853—1856 წლების აღმოსავლეთის ომისადმი. ჩვენ დავკმაყოფილდებით მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ რუსეთის იარაღმა ამ შეტაკების დროსაც ბრწყინვალე წარმატება მოიპოვა. რუსთა ბატალიონების იერიში აღმოჩნდა ისე ზუსტად გაანგარიშებული, ძალების განლაგება იმდენად სწორი, თავდასხმა იმდენად გაბედული, მკვეთრი და მძაფრი, რომ თავზარდაცემულ მოწინააღმდეგეს, მიუხედავად დიდად ვომეტებული ძალებისა და შესანიშ-

[1] ЦГВИАМ, ф. 69, д. 22.

ნავად გამაგრებული პოზიციებისა, გაქცევის გარდა სხვა გზა არ დარჩენოდა.

14 ნოემბერს თურქეთის კორპუსის დამარცხება ახალციხესთან მის ნამდვილ კატასტროფად იქცა. ამ ისტორიული გამარჯვების სულისჩამდგმელს და ორგანიზატორს გენერალ ანდრონიკაშვილს გამარჯვების მეორე დღეს მთავარსარდლისადმი გაგზავნილ რელაციაში სრული საფუძველი ჰქონდა ერთობ ამაღლებული ტონით აღენიშნა: „ეს დიდებული საქმე მე უნდა მივაკუთვნო ერთ-ერთ არაჩვეულებრივსა და, შეიძლება ითქვას, გაუგონარ გმირულ ღაღწლს". შემდეგ ენერალი ანდრონიკაშვილი აღწერდა იმ გაფთრებულ წინააღმდეგობას, რომელსაც მოწინააღმდეგე მოიერიშეებს უწევდა. მტერი ებღაუჭებოდა ყოველ თხრილს, სახლს, ბაღს, თვითეულ ქვასა და ხეს. მაგრამ ვერაფერმა ვერ იხსნა იგი. რუსი ჯარების ელვისებურმა დარტყმამ გზაკვალი აურია მტერს და გასწირა იგი საბოლოო დამარცხებისათვის[1].

ოდესღაც კომპაქტური და მრისხანე, ახლა დემორალიზებული და თავგზააბნეული თურქთა კორპუსის ნარჩენები სრულიად უწესრიგოდ და უკან მიუხედავად გარბოდნენ არდაგანზე, დარეტიანებული და ცხოველური შიშით შეპყრობილი ბაშიბუზუკები თუ, თურქთა ჯარის სხვა ირეგულარული ნაწილები, სასწრაფოდ გაიფანტნენ. ბევრმა მათგანმა მაინც დრო იხელთა და „ეფექტიურად" გამოიყენა შექმნილი ვითარება: ბევრი ბაშიბუზუკი ცალ-ცალკე თუ ჯგუფ-ჯგუფად, გზა და გზა, თავს ესხმოდა თანასოფლელებს, შეუბრალებლად ძარცვავდა, ქლავდა თავის საკუთარ მოძმეებს...

გამარჯვების შემდეგ ჩვენი ჯარები და მილიცია რამოდენიმე დღე დარჩნენ ბრძოლის ველზე, აღრიცხული და წესრიგში იქნა მოყვანილი თურქებისათვის წართმეული დიდძალი ნადავლი. ამჯერად თურქებმა ბრძოლის ველზე დატოვეს — ცხენტივე ზარბაზანი, რომელიც თურქთა კორპუსს გააჩნდა, 90 ვაგონი საარტილერიო ყუმბარებით, 42 ასორი თოფის წამალი, 160 ათასი ვაზნა, ბანაკის მთელი მოწყობი-

---

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 472, л. 75.

ლობა, ზორაგეულისა და ფურაქის დიდძალი მარაგი. [illegible] ნიშნავია, რომ თვით ფერიკის ალი-ფაშას მთელი �celsi [illegible] რია და მისი პირადი ჭონებაც გამარჯვებულთა ნადავლში ჩა-ირიცხა. მოწინააღმდეგემ დაჰკარგა 1500 მეტი ჯარისკაცი მოკლულის სახით, და 2000 — დაჭრილი, ბევრი თურქი ტყვედ იქნა წამოყვანილი. ჩვენი ჯარებისა და მილიციის დანაკარგი არ იყო დიდი: მოკლული იქნა 50-მდე კაცი, დაიჭრა — 300 [1].

ეს იყო ბეშმარიტად მნიშვნელოვანი გამარჯვება, ამიერიდან ახალციხის სექტორი მთლიანად იქნა გაწმენდილი მტრის ძალებისაგან: მყარდებოდა წმენდობა და წესრიგი, მოსახლეობის ცხოვრება თავის ნორმალურ კალაპოტში შედიოდა. თურქეთის მთავრობა და მთავარსარდლობა ახალციხესთან მოულოდნელი დარტყმებით, და იქ განცდილი მარცხით, იმდენად დარეტიანდნენ, რომ დიდხანს გონს ვერ მოვიდნენ. საანდალი, რომელსაც თან ახლდა თურქეთის საამხედრო პრესტიჟის მკვეთრი დაცემა, ერთობ დიდი იყო. მაგრამ თანდათან, ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ ისინი მაინც შეეცადნენ მოეძებნათ „საპატიო" გამოსავალი. თურქეთის ოფიციოზმა „კონსტანტინოპოლის გაზეთმა" ახალციხესთან განცდილი კატასტროფის გასამართლებლად შეთხზა ანეგდოტური ვერსია ამინდის „ბედუკუღმართობის" შესახებ. საკმაო დროის გასვლის შემდეგ გაზეთმა თავის ფურცლებზე ასეთი ცნობა მოათავსა: „მკაცრი ამინდის გამო მთავრობის ბრძანებით თურქეთის ჯარები, რომელნიც გარსშემორტყმულნი იყვნენ ახისხასთან (იგულისხმება ახალციხე — ე. ბ.), დაბრუნდნენ ყარსში ზამთრის ბინებში... ირრეგულარული ნაწილები უწესრიგოდ გაიფანტნენო"[2] აქ ერთმანეთთან იყო შეთავსებული სიყალბე, უაზრობა და ულოლიკობა, რომელიც საესებით ამხილებდა მის ავტორებს.

მიუხედავად დიდი ჭაპანწყვეტისა, თურქეთის მთავრობას და მისი პრესის მესვეურთ არ შეეძლოთ მიეჩქმალათ თურქეთის კორპუსის სასტიკი დამარცხება. ეს ცნობა ელვის სისწრაფით მოედო თავდაპირველად ახლო-მახლო ქვეყნებს, შემდეგ

---

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 472, л. 75.

[2] Газ. „Кавказ", № 5-ის დამატება.

მთელ მსოფლიოს. სიმართლისა და ჭეშმარიტების ხმებთან ერთად, თურქეთის მოსახლეობაში გაისმა ზიზღისა და მტერობ-ნების ჯერ კიდევ გაუბედავი ხმები ომისა და ეგრეთ-სისხლის ღვრის ორგანიზატორების მიმართით. სპარსეთის კონსული არზრუმში 1853 წლის 26 ნოემბერს აცნობებდა თავისი ქვეყნის მინისტრს მირზა ალი-ხანს: „მე ვალად ვიღე მოვახსენო თქვენს მაღალკეთილშობილებას აქაური ქვეყნის ზოგიერთი მოვლენის შესახებ. რუსეთის ჯარმა მოიპოვა გამარჯვება ოსმანთა ჯარებზე ორდაგანში ახალციხესთან 2—3 მენ-ზილის დაშორებით და თურქთა ბევრი რეგულარული და არარეგულარული ჯარები, ბევრი მათი ზარბაზნები და ყუმბარები ხელთ ჩაიგდეს. ახლა ყოველდღე თურქეთის ჯარები... არზრუმისაკენ გამორბიან. ბევრი ოფიცერი და სარბაზი დაჭრილია... ფაშები, ოფიცრები და ჯარები გაიფანტნენ სტენებში. იტყობინებიან, რომ გამოქცეული ცხენოსნები და ქვეითები გზა და გზა ცარცევენ მგზავრებსა და ჩერეადარებს. ამყამად არზრუმში მდგომარეობა იმდენად საშიშია, რომ 30—40 შეიარაღებული ცხენოსნითაც კი შეუძლებელია მგზავრობა"[1]. არზრუმიდან მიღებული მეორე წერილი გადმოგვცემს, რომ მცირერიცხოვანმა რუსთა ჯარებმა „სამჯერ მომეტებული თურქეთის ჯარი" თავზარდაცემული და შერცხვენილი უკუაქცია ახალციხის მიმადგომებიდან, რომ სირცხვილნაჭამი და თავზარდაცემული თურქი ვენერალები, ოფიცრები და ჯარისკაცები, მხოლოდ ღამ-ღამობით მოძვრებიან თავიანთ სახლებში. თვით კორპუსის ყოფილმა სარდალმა ფერიკმა ალი-ფაშამ არზრუმში ჩამოიყვანა რამდენიმე ძალული ზურგში დაჭრილი ოფიცერი და უნტეროფიცერი. თურქი მოსახლეობა შეშფოთებულია და წყევლა-კრულვას უთვლის ომის წამომწყებ უნაჭო ფაშებსო[2].

ახალციხის შეტაკებების უშუალო მონაწილე თურქი ოფიცერი გადმოგვცემს, ერთის მხრივ, გენერალ ანდრონიკაშვილის მამაცობას, სიმტკიცეს და განსაკუთრებულ თავდაჭერილობას და, მეორე მხრივ — ფაშას უთიურობას, სიმხდალეს და

---

[1] ПГИАГ, ф. 23, л. 2502, л. 8—11.
[2] იქვე, ფურცელი 22.

სრულ არარაობას, აღნიშნავს, ერთის მხრივ, რუსი ჯარისკაცისა და ადგილობრივი მილიციელების ამტანობას, გმირობასა და მამაცობას და, მეორე მხრივ — თურქი მზედარეთმბრძოლების რედიფისა და ბაშიბუზუკთა თავშეუკავებლობას, უდისციპლინობასა და სილაჩრეს. „როდესაც რუსები გადმოვიდნენ იერიშზე, — წერს იგი, — ფერიკმა ალი-ფაშამ პირი იბრუნა და გაქცულა მთელ თავის ჯართან ერთად უდიდესი უწესრიგობით თვით არდაგანამდე. ლიკი მუსტაფა-ფაშამ მიბაძა თავისი ფერიკის მოძრაობას და მანაც ირბინა აგრეთვე ამ ქალაქამდე... ეს დღე თურქებს დაუჯდათ მთელი 20 ათასიანი კორპუსის გაქრობის ფასად, 14 ზარბაზნისა და ყველა საომარი ყუმბარების დაკარგვად. გარდა ამისა, ამ დღემ სირცხვილით თავი მოსჭრა მთელ თურქეთის არმიას"[1].

გენერალ ანდრონიკაშვილის თანხმობით ახალციხესთან მოხდებული გამარჯვება არ გამოუპარია გენიალური მარქსის ყურადღებას. ამ მოვლენას მან მიუძღვნა სპეციალური სტატია სათაურით: „სანომი და ახალციხე". ადგილობრივ პირობებისა და სიტუაციის ჩინებული ცოდნით, კ. მარქსი თავის სტატიაში იძლევა საქართველოს საზღვართან თურქების დამარცხების მიზეზთა შესანიშნავ ანალიზს. რუსებმა „თურქები შეეიწროვეს თავიანთ შეტევითი მოძრაობის დროს საქართველოს საზღვარზე, — წერს მარქსი. — შეკვეთილის დაკავების დროიდან მათ მიერ არ ყოფილა აღებული არც ერთი საგუშაგო... არ მოუპოვებიათ არც ერთი. თუნდაც სრულიად უმნიშვნელო გამარჯვება, და ეს ხდება იმ ქვეყანაში, სადაც რუსები იძულებულნი არიან აწარმოონ ბრძოლა ყოველმხრივად არახელსაყრელ პირობებში"[2]. ყოველივე ზემოთ აღნიშნული მკაფიოდ ასახავს ახალციხის გამარჯვების საერთაშორისო რეზონანსს, ამ გამარჯვების განსაკუთრებულ როლსა და მნიშვნელობას საომარი კამპანიის შემდგომ განვითარებაში.

ახალციხის რაზმის შესანიშნავი წარმატების შესახებ ცნობა პეტერბურგში მიღებულ იქნა ორი კვირის შეგვიანებით — იმავე წლის 28 ნოემბერს. ამ სასიხარულო ცნობის მიღება

---

[1] ЦГИАГ, ф. 20, п. 2502, л. 22—23.

[2] К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. IX, стр. 590.

დაემთხვა მეორე ფრიადმნიშვნელოვან ცნობას — ადმირალ ნახიმოვის მიერ სინოპში მოპოვებულ ბრწყინვალე გამარჯვების შესახებ. არ იქნება უადგილო აქვე აღინიშნოს, რომ მთელი ადმირალიტეტის ომის ისტორიის ეს ორი დიდად საგულისხმო მოვლენა არც ისე დამორებული იყო ერთიმეორისაგან. 1853 წ. 18 ნოემბერს სინოპის რეიდზე ვიცე-ადმირალის ნახიმოვის მიერ მოხდობილი თურქების პირველი ესკადრილია, სპეციალისტების გადმოცემით, სწორედ ამ საომარი გემებისაგან შედგებოდა, რომელნიც რეგულარულ „მომსახურეობას" უწევდნენ შამილისა და მაჰმად-ეფენდის რაზმებს. გამოირკვა აგრეთვე, რომ იმავე გემებს დავალებული ჰქონდათ უახლოეს დროში აეღოთ სოხუმი, რედუტ-კალე და ფოთი, რისთვისაც სწორედ ადმირალ ნახიმოვის თავდასხმის მომენტში მათზე გაცხოველებული საომარი მიმდინარეობდა. ამ გარემოების სასწორეს მკაფიოდ ადასტურებს საომარი მინისტრის 1853 წლის 29 ნოემბრის წერილიც თავად გორჩაკოვისადმი[1]. ამრიგად, ადმირალ ნახიმოვმა თავისი გმირული აქტით, თურქეთის ესკადრის განადგურებით, თავის დედა-რუსეთთან ერთად უდიდესი ღვაწლი დასდო მთელ კავკასიას, კერძოდ საქართველოსაც.

დამახასიათებელია, რომ რუსეთის პატრიოტთა საგმირო საქმეები, მანძილის სიშორის მიუხედავად, კეთილმყოფელურ გაელვებას ახდენდა სხვადასხვა საომარ ასპარეზებზედაც.

V ნოემბრის გამარჯვებებმა ამიერკავკასიაში (ბაინდურსა და ბაშკადიკლარში, აწყურსა და ახალციხეში) და შავ ზღვაზე გამოაცოცხლეს გამარჯვების იმედი, ოპტიმისტური განწყობილება შექმნეს როგორც პეტერბურგის საომარ კარის წრეებში, ისე თვით იმპერატორშიაც. „ხელმწიფე მხიარულადაა, გამარჯვებებმა მას ხალისი მოჰგვარეს, — სწერდა პაგოდინს შევირიოვი. — არის მოძრაობა, რომელიც თორმეტ წელს მოგვაგონებს". ამ საამხიარულო ცნობების მიღების მეორე დღეს მთელმა იმპერიამ სადღესასწაულო ზეიმით აღნიშნა ორივე გამარჯვება. ნიკოლოზ პირველმა, თავად ვორონცოვის წარდგინებით, გულუხვად დაჯილდოვა ახალციხის გამარჯვე-

[1] ЦГВИАМ, д. 5496, л. 270—271.

ბულები. პირადად გენ. ანდრონიკაშვილს უბოძეს „წმ. გეორგის მე-3 ქლასის ორდენი". სხვადასხვა ჯილდოები დაჯილდოვდა ავგრეთვე ბრძოლაში მონაწილე ბევრ სხვა მამაც გენერალს, ოფიცერს და რიგით ჯარისკაცებს. სამამული წარჩინების ორდენის ნიშნებით დაჯილდოვდა ავგრეთვე საქართველოს მილიციის 150-მდე მეთაური და მებრძოლი. მსგავსი მასობრივი დაჯილდოება თვალსთავად ადასტურებს ბრძოლის ველზე მათ თავდადებას, გმირობასა და მამაცობას[1].

თავადი ანდრონიკაშვილი თავის პატაკში, სხვათაშორის, აღნიშნავდა, რომ, როცა ბრძოლის ყველაზე კრიტიკულ მომენტში შენიშნულ იქნა ქვეითი და ცხენოსან თურქთა მნიშვნელოვანი შენაერთი, რომელიც მიიმტვოდა თავისი კორპუსის დასახმარებლად, მათ წინააღმდეგ სასწრაფოდ ამხედრებული იქნა კაზაკთა და გორის დრუჟინის მებრძოლთაგან შემდგარი კოლონა. ეს უკანასკნელი ოსტატური შემოვლით მოულოდნელად დაესხა თავს თურქთა რაზმეულს, თვალსაჩინო ზარალი მიაყენათ მათ და უკან გააბრუნა, არ მისცა საშუალება შეერთებოდა კორპუსს. მარტო ამ ბრძოლაში 200 მეტი თურქთა გვამი დარჩა ადგილზე[2].

ამის გამო გენერალ ბებუთოვიც აღტაცებას გამოხატავდა თავის წერილში, რომელიც გენერალ ანდრონიკაშვილს გაუგზავნა. „მე დიდად მახარებს, — სწერდა იგი, — რომ გორის დრუჟინის, ჩვენი თავდაზნაურების რჩეულ ნაწილს მიეცა შემთხვევა ბრძოლაში კვლავ ეჩვენებინა მათთვის დამახასიათებელი მამაცობა და გმირობა"[3].

მოპოვებული გამარჯვების განმტკიცების მიზნით გენერალი ანდრონიკაშვილი ენერგიულად შეუდგა ახალციხის მაზრის მთლიანად გაწმენდას მტრის ნაშთებისაგან. მან გამოიყო ძლიერი შემადგენლობის რაზმი, აღმურვა ყოველივე აუცილებელით და გაგზავნა იგი მოწინააღმდეგის საზღვრებს მიღმა. ასეთი ლონისძიების დროულობა და მიზანშეწონილობა მალე

---

[1] ЦГИАГ, ф 1087, д. 472, л. 89.
[2] ЦГИАГ, ф. 941, ч, 4, л. 31—32.
[3] ЦГИАГ, ф. 1087, д. 472, л. 82.

დადასტურდა. 19 ნოემბერს საზღვრიდან 20 ვერსის მანძილზე საეჭვოდ იცოდა რაზმს მოუხდა შეტაკება ჩასაფრებულ ბანდ-ჭებთან და დამატებით წაართვა მათ 2 ზარბაზანი. ქართველ-თავადს ჰქონდა საერთოხელი განზრახვა დადგენებოდა მოწინა-ალმდეგეს არდაგანიდან თვით ყარსამდე. „მე დაუყოვნებლივ დავწინაურე ჯარების ნაწილი საზღვარს იქით, — აცნობებდა იგი მთავარსარდალს, — საბრძოლო მზადყოფნაში მოვიყვანე. გარდა საკუთარი ზარბაზნებისა მტრის სამი ზარბაზანიც და გავემართე წინ. მაგრამ თავად ბებუთოვისაგან მე ვერაფერი ვერ მივიღე... ახალციხესთან 14 ნოემბრის გამარჯვებისათვის კი მან მომილოცა არა მე, არამედ გენერალ კოვალევსკის... მე იძულებული გავხდი გამოვბრუნებულიყავ ახალციხეში და ჯარები ბანებში ჩამეყენებინა". როგორც სჩანს ქართველი ძველი ფეოდალური არისტოკრატის ზვიადი ბუნება ვერ შეეგუა გენერალ ბებუთოვისაგან მიყენებულ „შეურაცხყოფას". მან საჭიროდ დაინახა ეთხოვა სარდლობისათვის — ნება დაერთო მისთვის თბილისში დაბრუნებულიყო, რათა არ მოყოლოდა ამას „საფსახურისათვის რაიმე საზიანო შედეგები". თავადი თან საყვედურს გამოთქვამს იმის შესახებ, რომ „მას ბედი არ წყალობს და ყოველგვარი ცდის მიუხედავად ვერ შესძლო ვასილი ოსაპისძის ყურადღების დაფსახურება". მისი აზრით, მსგავსი არანორმალური დამოკიდებულება სარდლებს შორის დიდ ზიანს მოუტანდა ორ ცალკე მოქმედ რაზმების (ალექსანდროპოლისა და ახალციხის) თანამოქმედებას[1].

თავად. ვორონცოვმა, როგორც ირკვევა, ანგარიში გაუწია ქედმაღალი თავადის არგუმენტაციას და იგი გამოწვეულ იქნა თბილისში „თავისი პირდაპირი მოვალეობათა შესასრულებლად"[2]. ახალციხის რაზმის დატოვებასთან დაკავშირებით გენ. ანდრონიკაშვილმა გამოსცა სპეციალური ბრძანება, რომელშიც მაღლობას უხდის რაზმის ყველა მონაწილეს მტერთან ბრძოლაში გმირობის, თავდადებისა და მამაცობის გამოჩენისათვის, რის შედეგადაც „ეს მხარე და ქალ. ახალციხე გა-

---

[1] ЦГИАГ, ф. 1087, л. 472, л. 82.
[2] ЦГИАГ, ф. 941, л. 2, л. 24—25.
[3] იქვე, ф. 1087, л. 472, л. 87—89.

დარჩა გაპარტახებისა და დალუპვის". სარდალი ხაზგასმით აღნიშნავს რუსეთის შეიარაღებული ძალების რაინდულ სულისკვეთებას და მორალურ უპირატესობას მტერთან შედარებით, რის წყალობითაც თავისი მცირერიცხვიანობის მიუხედავად მან სულ ნაცარტუტად აქცია მოწინააღმდეგის დიდად მომეტებული კორპუსი. „შეკვეთილზე თავდასხმის დროს, — წერდა იგი, — „მოწინააღმდეგე მალულად, ქურდულად მოგვეპარა და დაესხა სიმაგრეს. ჩვენ კი სუფლისის წინააღმდეგ გავემართეთ... აშკარად, დღისით, მზის სხივებზე და ციხე-სიმაგრის არტილერიის გრიალში, რომელიც აუწყებდა თურქებს, რომ მირთლმადიდებელთა ჯარი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლით მიდის ურწმუნოებზე" [1].

1853 წლის 10 დეკემბერს, ქალაქ თბილისის მცხოვრებლებმა ახალციხის გმირს საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს. ქალაქის ფარგლებში შემოსულ გენერალს გულთბილად მიესალმნენ შეფინანაცვალი თავ. ვორონცოვი, გენერალ-ადიუტანტი ბარიატინსკი და სხვები. სალამოს გენერალი ანდრონიკაშვილი თეატრში მიიწვიეს, სადაც ყველა დამსწრე ფეხზე ადგომით და ბურთვალე გრძნობით შეხვდა მას. ამ ცერემონიალის დამსწრე გადმოგვცემს: „ამ სალამოს თეატრში ეწყობა ცნობილი რუსი არტისტის ივანოვის ბენეფისი. მიდიოდა პიესა — „გორბუნ", შესანიშნავად დადგმულმა პიესამ მაყურებელთა მაღალი შოწონება დაიმსახურა. ხალხი მხიარულად იცინოდა და ეი, როცა გორბუნი მიუახლოვდა რამპას და შეუდგა თანამედროვე მოვლენების, კერძოდ თურქი ჯარების ავბედობის დეკლამირებას, მაყურებლის ყურადღება და ინტერესი კიდევ უფრო დაიძაბა; აღფრთოვანებამ საზღვარი გადალახა, როცა სცენიდან მოისმა სიმღერა:

Грузинский князь и князь старинный,
Как истый русский генерал,
Он весь туренкий стан бесчинный
Из под Аталыха прогнал.

Горя по отечеству любовью,
И грудью отразив набег,

[1] Газ. «Кавказ», 1854, № 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთდროულად თეატრის კამარიდან, ბალკონებიდან მაყურებლებზე წვიმასავით წამოვიდა: ათასობით მრავალფერადი ფურცლები, რომლებშიც ეს ქებლეტები ეწერა. აღფრთოვანებული ხალხი ფეხზე ადგა და მომღერალს რამდენჯერმე გაამეორებინა სიმღერა[1].

მთავრობის, სარდლობისა და ხალხის აღფრთოვანება და საზეიმო განწყობილება არ იყო საფუძველმოკლებული. ახალციხის გამარჯვება შეიქრა როგორც იმედის შუქი წინათ არსებულ მოუღლელობის, ეჭვისა და დაღონებულობის წყვდიადში. ქვეყანა თითქოს მშვიდდებოდა. „თავადი ანდრონიკაშვილის გადამწყვეტი მოქმედებებით, — აღნიშნავდა თავადი ვორონცოვი თავის რელაციაში, — ახალციხის მაზრა ადგილობრივი საბოქაულოს ხელისუფლების სრულ განკარგულებაშია. აღდგენილია სიმშვიდე და მყუდროება, საფოსტო კავშირი ბორჯომთან გახსნილია"[2]. რუსეთის იმპერატორის ოპტიმიზმი, კიდევ უფრო შორს მიდიოდა. სინო

ხებ, რომ გურიის წინააღმდეგ თურქები დაუცხრომლად აძ-
ლიერებენ რეზერვების თავმოყრას, რომ თურქი ჯარების
რიცხვი უკვე 30 ათას აღემატებოდა, გურიისაკენ მიმეჭრილ
იყო 30-ზე მეტი საველე ზარბაზანი, ადგილობრივი ბაში-
ბუზუკთა შენაერთები კიდევ უფრო აძლიერებდნენ მტრის
ძალას. თავის მოხსენებაში პეტერბურგის მისამართით თავა-
დი ეორონცოვი გურიის კვანძს ამიერიდან ყველაზე საშიშ
უბნად თვლიდა[1]. შემდეგში იგი კიდევ უფრო აკონკრეტებ-
და გურიის საზღვარზე არსებულ დაძაბულობას და გამოთ-
ქვამდა თავის მოსაზრებებს თურქეთის სარდლობის მიერ
შორდამიზნებული სამხედრო-პოლიტიკური ჩანაფიქრის თა-
ობაზე. იგი თვლიდა, რომ ახალციხესთან და ბაშკადიკლარ-
თან მოპოვებული გამარჯვებების შემდეგ გაჩქარა უახლოესი
საფრთხე ახალციხის, არტაჰის, ან თუნდაც ერევნის მხრი-
დან თავდასხმებისა. მაგრამ სრულიად სხვაგვარი ვითარება შე-
იქმნა გურიის საზღვრებთან. დიდად საინტერესოა თავადი
ეორონცოვის ვარაუდი და მოხვედრილობა, რომ თურქები
ენერგიულად მიიწევდნენ შამილთან და მაჰმად-ემინთან შე-
საერთებლად. მისი აზრით, როდესაც თურქები ძლიერი
კორპუსით ცდილობდნენ გაჭრილიყვნენ ახალციხიდან ქართლ-
ში, მათ იმედი ჰქონდათ, რომ შეუერთდებოდნენ ბათუ-
მის კორპუსს. ამ უკანასკნელის წინაშე კი იდგა ამოცანა:
„მოესპო გურიის რაზმი; წასულიყო ქუთაისისაკენ და ემოქ-
მედნა აბხაზეთში იმ იმედით, რომ იქ შეხვდებოდნენ მაჰ-
მად-ემინს მისი ჩერქეზებით"[2]. თურქების გეგმა ჩაიშალა
ახალციხესთან მათი დამარცხების გამო. ახლა მოწინააღმდე-
გე ცდილობდა იგივე სტრატეგიული ჩანაფიქრი განეხორ-
ციელებინა გურიის მხრიდან.

საისტორიო წყაროებით თვალნათლივ ჩანს, რომ თურ-
ქეთის გეგმები საკმაოდ შორს იყო დამიზნებული. მტერი არ
კარგავდა მათის ტომებთან შეერთების იმედს, ოცნებობდა
უბრუნველეყო შამილთან და მაჰმად-ემინთან თანამოქმედე-
ბა, რათა შეერთებული ძალით დასტეხოდა თავს რუსეთის

[1] ПРБАГ, ф. 1087, л. 458, л. 64.
[2] АКАК, т. X, стр. 789

ჯარებს და უკუეგდო ისინი კავკასიის ქედის გადაღმა. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გენერალი გაგარინიც კარგად ყოფილა მიმხედარი თურქების სარდლობის განზრახვებში. თავისი 1853 წლის 19 ნოემბრის პატაკში იგი გარკვევით მიუთითებს, რომ თურქების ესოდენ დიდი სამხედრო აქტივობა წლის გვიან შემოდგომაზე შეუძლებელია აიხსნას სხვა გარემოებით, თუ არა მათი მისწრაფებით, შეეერთდნენ აბხაზეთის მხრიდან მაჰმად-ემინს, რომელმაც ზღვით უკვე მიიღო საჭირო იარაღი[1].

მრისხანე საფრთხე გურიის მხრიდან კვლავ აძლიერებდა დაძაბულობას, აიძულებდა მთავრობის ორგანოებს და სარდლობას დაუყოვნებლივ მიეღო ეფექტური თავდაცვითი ზომები. შეფასნაცვლის განკარგულებით დაიწყო რეგულარული ჯარის ნაწილების ხელახალი გადაჯგუფება: გენერალ ბრუნერის მეთაურობით ახალციხიდან გურიაში გადასროლილი იქნა ბრესტის პოლკის 2 ბატალიონი და 4 ზარბაზანი; 20 ნოემბერს ქუთაისიდან პირდაპირ ოზურგეთში ჩავიდა ლიტვის ეგერის პოლკის 6 როტა, 4 ზარბაზანი და იმერეთის მილიციის რამდენიმე ასეული; ხოლო 28 ნოემბერს — იმავე დაცვის პოლკის მე-4 ბატალიონი, ხოლო გორიდან — კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადის 4 ზარბაზანი. მიუხედავად გურიის საზღვრების მნიშვნელოვანი გამაგრებისა ძალთა განწყობილება ჯერ კიდევ მოწინააღმდეგის სასარგებლოდ რჩებოდა.

ერთი შეხედვით გურია-სამეგრელო-იმერეთის მხარე თითქოს სრულიად განკერძოებულ და დამოუკიდებელ სამეფოს ასპარეზს წარმოადგენდა. მესხეთ-აჭარის ქედი მას მკვეთრად ყოფდა აღმოსავლეთ საქართველოდან. კავშირი თბილისსა და ქუთაისს შორის ხორციელდებოდა მხოლოდ იმერეთის სამხედრო გზის მეშვეობით, რომელიც სურამის უღელტეხილზე გადადიოდა. მაგრამ, არსებობდა კიდევ ერთი გზა, უფრო სწორად, მთის ბილიკი, რომელიც ქუთაისიდან მიემართებოდა სოფ. ბაღდადისაკენ და შემდეგ ზეკარის

---

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 472, л. 26.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულელტეხილით გადადგომდა ახალციხის მაზრაში. ამ გზით ბილიკით შეეძლო მოძრაობა ქვეით ჯარებს სამეთაურო ლერითა ზაფხულის მიწურულში, სულ — 2 თვის განმავლობაში; ახალციხის ფრონტზე შექმნილი კრიტიკული ვითარების დროს მეფისნაცვალს და გენერალ გაგარინს მაინც მოუხდათ სერიოზული ზომების მიღება ამ მხრიდან იმერეთის დასაცავად.

თავის მოხსენებით ბარათში ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი თავად ეფრონცო

წვეულ იქნას ყველა შეიარაღებული მცხოვრები, და წინააღ-
ეარ მოხდეს მათი უფროსების დანიშვნა[1].

გურიის საზღვარზე დაძაბულობა დღითი დღე მატულობ-
და. დაზვერვის აგენტებს ერთი მეორეზე მოჰქონდათ საგან-
გაშო ცნობები თურქეთის კორპუსის მზადყოფნის შესახებ.
„გუშინ ქობულეთიდან ჩამოსულმა მსტოვარმა, რომლის
კეთილსინდისიერებას შეიძლება ენდო, — მოახსენებდა გენ-
ერალი გაგარინი თავად ვორონცოვს 1853 წლის 17 ნოემ-
ბერს, — გვაცნობა, რომ სელიმ-ფაშა ელოდება 12 სამხედ-
რო გემისა და 5 ორთქლმავლის მოსვლას ბათუმში, რათა და-
იწყოს შეტევითი მოქმედება ერთდროულად — ნიკოლაევს-
კიდან როკნალის გზით ოზურგეთისაკენ და ფლოტით —
ფოთსა და რედუტ-კალეზე. მტერი ითიალსწინებს, გური-
ისა და სამეგრელოს დაკავების შემდეგ გაემართოს იმერე-
თისაკენ[2]. მეფისნაცვალი მის განკარგულებაში არსებული
ცნობებით, საგანგებო აღსტურებს გენერალ გაგარინის მი-
ერ დასახელებულ ფაქტებს. თავის წერილში, რომელიც მენ-
შიკოვს გაუგზავნა, აღნიშნავს, რომ გურიის წინააღმდეგ უკვე
დგას მტრის 30 ათასი ჯარისკაცი, 30 საველე ზარბაზნით, ამას-
თან მოწინააღმდეგის კორპუსი განუწყვეტლივ ძლიერდება
ახალ-ახალი შევსებით. ჩვენი კი იქ მხოლოდ 5 ½ ბატალიო-
ნი ქვეითი ჯარი გვყავსო 10 საველე და სამი ზარბაზნით
აღჭურვილი. საზღვართან იდგა ოვრეთვე კაზაკთა და ადგი-
ლობრივი მილიციის 36 ასეული, რომელიც შექმნილ მძიმე
მდგომარეობას ოდნავადაც ვერ ცვლიდა[3]. აქედან გასაგები
უნდა იყოს ის პანიკური განწყობილება, რომელიც უერთ-
დებოდა ახალციხისა და ბაშკადიკლარის გამარჯვებებით
გამოწვეულ ზეიმს. საგანგაშო განწყობილება ძალაე ეუფლე-
ბოდა კავკასიის მმართველებს და მთავარსარდლობას.

ქუთაისის საგუბერნატორო მონაცემები, რომელიც და-
ფუძნებული იყო მსტოვართა ცნობებზე, საკმაოდ დაწვრი-
ლებით გადმოგვცემს 1853 წლის 19 ნოემბრისათვის თურ-

---

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 472, л. 2—3.
[2] Тамже, л 18.
[3] ЦГИАГ, ф. 1087, д. 458, л. 71.

ქეთ-გურიის საზღვარზე შექმნილ ვითარებას, რაზმების განლაგებას, მათ რაოდენობას, მხედართმთავრების ვინაობასა და სხვ. ამ ცნობებით: 1) სოფელ ქაქუთში განლაგებული იყო 2 ათასზე მეტი თურქი ჰასან-ბეი თავდგირიძისა და შერიფ-ბეის მეთაურობით; 2) ლელვაში, „გამაგრებულ ნამზღვლევში, რომელიც გარსშემოვლებული იყო თხრილით", იმყოფებოდა 3 ათასი კაცი კეი-ოღლის, ჰასან-ბეი მუტი-ოღლისა და ალი-ბეი ლივანელის მეთაურობით; 3) ანასეულში საგუშაგოსთან გზაზე ოსმან-ბეის მეთაურობით იდგა 1500 თურქი; 4) ჩურუქ-სუსთან (ქობულეთი) განლაგებული იყო მოწინააღმდეგის 7 ათასიანი კორპუსი, 13 საველე და 20 საციხოვნო ზარბაზნებით. ამ შენაერთის სარდლად ითვლებოდა თვით სერასკირი სელიმ-ფაშა. კორპუსის ცალკეულ შენაერთებს მეთაურობდნენ სარდულა-ფაშა, ხაჯი ახმეტ-ფაშა, ხაზინადარ-ოღლი და რამიდ-ფაშა; 5) შეკვეთილის პირდაპირ სანაპირო ბატარეასთან და ლიმანის გამაგრებულ ბანაკში იდგა თურქეთის საკმაოდ ძლიერი რაზმი 4 ათასი კაცის შემადგენლობით, დიდი ყალიბის 5 ზარბაზნით; 6) თვით შეკვეთილში ლიკა-ფაშას სარდლობით იმყოფებოდა 4 ათასი თურქი ჯარისკაცი და ბაშიბუზუკი, 4 ზარბაზნით. „თურქთა დანარჩენი ჯარები 50 ზარბაზნით,—ვკითხულობთ მოხსენებაში,—დაბანაკებული არიან ბათუმში. ციხისძირში მყოფი ჯარები აღჭურვილნი არიან 15 ზარბაზნით და 250 შეიარაღებული ნავ-ხომალდით და სამი ორთქლმავალ-ფრეგატებით, რომლებიც მზად იყვნენ მოქმედებისათვის. გარდა ამისა ელოდებიან 2 გემისა და 12 სხვა სამხედრო ხომალდის მოსვლას, რათა ერთდროულად შეიჭრან ხმელეთით გურიაში, ხოლო ზღვიდან ფოთში, რედუტ-კალეში და სოხუმ-კალეში"[1].

მეტად საგულისხმოა ქუთაისის სამხედრო საგუბერნატოროს და პირადად გენერალ გაგარინის რელაციებში მოტანილი ცნობები, სადაც მოცემულია იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს საბალხო მილიციის მოქმედების დაწვრილებითი დახასიათება. აღსანიშნავია, რომ ომის განვითარებამ, იმ

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 458, л. 75—76.

სრულიად განსაკუთრებულმა სიტუაციამ, რომელიც დასავ-
ლეთ საქართველოს პირობებში შეიქნა, ადგილობრივ მილი-
ციას ომის მსვლელობაში სრულიად განსაკუთრებული ად-
გილი მიუჩინა, მეტად დიდი საბატიო როლი დააკისრა მას.
საქართველოს სახალხო მილიციის როლისა და მნიშვნელო-
ბის საკითხი აღმოსავლეთის ომის დროს ცალკე იქნება გან-
ხილული, აქ მხოლოდ ზოგიერთი წინასწარი ცნობებით
დაეკმაყოფილდებით.

მეომარი მხარეების ძალთა არსებული თანაფარდობის
პირობებში, საკუთარი ჯარის რეგულარული ნაწილების უმ-
ნიშვნელო რიცხვისა და მოწინააღმდეგის ძალთა დიდი სი-
ჭარბის გამო ადგილობრივ მთავრობას და საერდლობას დიდი
იმედი უნდა დაემყარებინა ადგილობრივ მოსახლეობაზე, მის
შეიარაღებულ ძალაზე — მილიციის ნაწილებზე. ეს ასეც
მოხდა. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გენერალი გაგა-
რინი ჯერ კიდევ შეკვეთილში მტრის მუხანათურ შეჭრასთან
დაკავშირებით აღნიშნავდა მთელი მოსახლეობის საომარი
განწყობილების გიგანტურ ზრდას. სტიქიურად შექმნილი
ათობით დრუჟინა და რაზმი აწყდებოდა იმ დღეებში გუბერ-
ნატორის კარებს და მოითხოვდა შეიარაღებას, საბრძოლო
რაზმში გაფორმებას. ცნობილია ისიც, რომ ჯერ კიდევ 1853
წლის ოქტომბერში 2—3 დღის მანძილზე ჩამოყალიბებულ
იქნა გურიის, სამეგრელოს და იმერეთის მილიციის 40-დე შე-
ნაერთი, რომლებიც შეუერთეს გურიის რაზმს[1]. მას შემდეგ
ბევრმა მშფოთვარე დღემ განვლო, მტერთან გმირულ შეტა-
კებებში ბევრი გმირი დაეცა. ქართველთა მილიციის ნაწილები,
რუს ჯარებთან ერთად, სასახელოდ იცავდნენ თავის საზღვ-
რებს, ღირსებასა და ოჯახს. გენერალი გაგარინი ბრწყინვალე
შეფასებას აძლევდა ჩვენი მილიციის ღვაწლმოსილებას, მის
მამაცობასა და გმირობას. 1853 წლის ნოემბრის შუა რიცხ-
ვებში თავის მოხსენებაში იგი აღნიშნავდა ქართველი მილი-
ციის უდიდეს დამსახურებას, რომელიც „თვეზე მეტია მოწი-
ნააღმდეგის მოლოდინში მოწინავე საბრძოლო პოზიციებზე

---

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 458, л. 27.

დგას, იტანს მძიმე საფორპოსტო სამსახურის ყველა მძიმე გაჭირვებას". სწორედ „მათ სიფრთხილეს, მამაცობასა და იშვიათ გამბედაობას ენდა ვუმადლოდეთო, — წერს გუბერნატორი, — რომ თურქების ყოველგვარი ცდა შემოჭრილიყვნენ ჩვენს საზღვრებში, მარცხით დამთავრდა და ეს მათ ძვირად დაუჯდათ" [1]. მართლაც, 1853 წლის შემოდგომის, 1854 წლის ზამთრისა და ადრე გაზაფხულზე გურია-იმერეთისა და სამეგრელოს მილიცია უდიდეს დახმარებას უწევდა რეგულარული ჯარის შენაერთებს თურქების ძლიერი დაწოლის შეკავებაში, მილიცია ხშირად შიშის ზარსა სცემდა მოწინააღმდეგეს და ხელს უშლიდა მათ თავისი მუხანათური გეგმების განხორციელებაში.

ვორონცოვის თითქმის ყველა მოხსენება, სამხედრო მინისტრისა და თვით მეფის სახელზე, სავსეა ცნობებით ქართული მილიციის შესანიშნავი ღვაწლის შესახებ. 1853 წლის 23 ნოემბერს თავის რელაციაში თავადი ვორონცოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „გურიის მილიციას უჭირავს მოწინავე საგუშაგოები, აქვს განუწყვეტელი შეტაკებანი მტერთან და ყოველთვის მამაცურად და წარმატებით იგერიებს მტრის თავდასხმებს". ორც ისე იშვიათად იყო შემთხვევა, როცა მილიციის რაზმები საომარი მოქმედების ამა თუ იმ სექტორზე სცვლიდნენ რეგულარული ჯარის ნაწილებს უალრესად საშიშ საბრძოლო პუნქტზე. „ოხურგეთიდან ჩახათის ხიდზე გაიგზავნა გურიის მილიციის 1 ½ ასეული, ლიკანში 1 ½ ასეული, — სწერდა გენერალი გაგარინი მეფისნაცვალს, — ისინი შეცვლიან პირველი ქართული სახაზო ბატალიონის 2 როტას, რომელნიც გაგზავნილ იქნენ ფოთის ციხე-სიმაგრის გარნიზონის გასაძლიერებლად" [2].

ნოემბრის შესანიშნავ გამარჯვებებს ამიერკავკასიის თარეებზე. მიუხედავად ძალთა დიდი სიჭარბისა, მოწინააღმდეგემ 1853 წლის დასასრულს ვერ შეძლო შეტევითი ფრონტზე ამაოდ არ ჩაუვლია, მათ ფრიადმნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს საომარი მოვლენების შემდგომ განვი-

---

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 472, л. 25—26.
[2] ЦГИАГ, ф. 1087, д. 472, л. 82.

ლაშქრობის გეგმის განხორციელება. — ეს გარემოება, უდავოდ აიხსნება იმ თვალსაჩინო და შთამაგონებელი გაკვეთილებით, რომლებიც მათ მიიღეს ნოემბრის სამახსოვრო დღეებში აწყურთან, ახალციხესთან და ბაშკადიკლართან. ამ მქუხარე დღეებმა ჩვენს ჯარებსა და მილიციელებს შთაუნერგა გაბედულება, და თავის ძალებისადმი მტკიცე რწმენა, ხოლო თურქებს — პანიკური შიში და სასოწარკვეთილება, დიდად შეასუსტა მათი რწმენა და ნებისყოფა. გენერალი გაგარინი 1853 წლის 30 ნოემბერს თავის ერთ-ერთ პატაკში აღნიშნავდა, რომ „ახალციხისა და ალექსანდროპოლის რაზმების წარმატებებმა, მზვერავთაგან მიღებული ცნობებით, დიდი მორალური გავლენა მოახდინეს თურქთა ჯარებზე, დასცეს ისინი სულიერად, თუმცა მათ კვლავ დიდი ძალები ჰყავთ დაგროვებული ჩვენს წინააღმდეგ“ [1].

საგულისხმოა, რომ თავისი მორალური უპირატესობის ღრმა შეგნების წყალობით მომწიფდა ამ პერიოდში რეგულარულ ჯარებსა და მილიციაში გაბედული აზრი აქტიური შეტევითი მოქმედების დაწყების შესახებ ქობულეთ-ბათუმის მიმართულებით. ეს თითქოს პარადოქსად მოისმის, მაგრამ იგი მაინც ისტორიული ფაქტია. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გენერალი გაგარინი ამ შემთხვევაში უთუოდ ასეთ ალმაცერ განწყობილებას გამოხატავდა, როცა თავის პატაკში თავად ვორონცოვს სწერდა, რომ ნოემბრის გამარჯვებებმა „გურიის რაზმის ჯარებში და განსაკუთრებით მილიციაში გააძლიერეს სურვილი და მეტოქეობის გრძნობა წაიდნენ წინ“. არ არის ინტერესმოკლებული მისი პირადი არგუმენტაცია ამ წინადადების სასარგებლოდ. უწინარეს ყოვლისა, ქობულეთის დაკავება შესაძლებლობას მოგვცემს ახლო დაუკავშირდეთ აჭარის მოძმე ხალხს და მივმართოთ „მოსახლეობის ეს საუკეთესო და მებრძოლი ნაწილი“ თურქების წინააღმდეგ. მეორე მხრით, შეტევითი მოქმედების წარმატება საშუალებას მოგვცემს მილიციის დიდი ნაწილი დავითხოვოთ თავ-თავიანთ სახლებში საკუთარ მეურ-

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 472, л. 30—32.

ნეობაში სამუშაოდ და ახალ საბრძოლო გაწვევისათვის მოსამზადებლად. ამით მათ შეუნარჩუნდება ჯანმრთელობა, სულის სიმტკიცე და მხნეობა, რაც დამახასიათებელია რეგულარული, გურიისა და სამეგრელოს მოსახლეობისათვის[1].

რეგულარული ჯარის, მილიციისა და ადგილობრივი გურიის რაზმის საარდლობის სურვილი შეტევითი მოქმედების გაშლის შესახებ საგანგებით ემთხვევა პეტერბურგის მთავრობის მოთხოვნილებას, რაც კატეგორიული წინადადების სახით მიეცა კავკასიის საარდლობას ჯერ კიდევ ომის დასაწყისში. 1853 წლის 29 ნოემბერს სამხედრო მინისტრი კავკასიის მეფისნაცვალს აცნობებდა, რომ უმაღლესმა მთავრობამ გადასწყვიტა კავკასიის კორპუსის გასაძლიერებლად დამატებით გამოეყოს მე-18 ქვეითი დივიზია მისივე არტილერიით, დრაგუნთა ორი პოლკით, ცხენოსანთა ბატარეით. გამოიყოფა აგრეთვე კავკასიის საარეზერვო დივიზიაც. ამასთან დაკავშირებით სამხედრო მინისტრი თავადი დოლგორუკოვი მეფის სახელით დაეკინებით მოითხოვდა ესარგებლა შემოდგომაზე მოპოვებული გამარჯვებებით და ზამთარში მოეწყო შეტევა მტრის წინააღმდეგ.

თავადი ვორონცოვი გადაჭრით წინააღუდგა როგორც პეტერბურგის მოთხოვნილებას, ისე გურიის რაზმის შეთაურთა წინადადებას. მისი აზრით, შეტევით მოქმედებას გურიის ხაზით შეეძლო გაუსწორებელი ზიანი მიეყენებინა საქმისათვის. ეი მეფისნაცვლის დასაბუთებაც: გურიის რაზმი თავდაცვის თვალსაზრისით მეტად ხელსაყრელ პირობებში იმყოფება. რაც შეეხება მის პოზიციებს მოწინააღმდეგეზე თავდასხმის ან შეტევითი თვალსაზრისით, აქ სრულიად საწინააღმდეგო მდგომარეობა არსებობს. თურქების ძალზე გამაგრებულ საზღვაო-სანაპირო პუნქტებზე თავდასხმა სრულიად უეფექტო იქნებოდა, რადგან, უწინარეს ყოვლისა, გურიის რაზმი ვერ შეაძლებდა ჩურუქ-სუს შენარჩუნებას. მეორე მხრით, წინ წაწევისა და ჩვენი საზღვრებიდან დაშორების შემდეგ თურქებს შეეძლოთ შავი ზღვის სანაპირო-

---

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 472, л. 33.

დან შემოჭრილიყვნენ, ხოლო მაჰმად-ემინს საშუალება მიეცა ნებოდა წარმატებით ემოქმედა ხმელეთით. თავადი ეორონ-ცოვი თავის ვრცელ პასუხში სამხედრო მინისტრისადმი გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა აგრეთვე ანატოლიის ფრონტზე შეტევითი ოპერაციების შესაძლებლობას, და ამას ზამთრის პირობებით და მოწინააღმდეგის ძალების სიჭარბით ასაბუთებდა: იგი დამაჯერებლად ხდიდა თურქეთის ციხე-სიმაგრეების — ყარსის, არდაგანისა და ბაიაზეთის დაკავების სრულ უსარგებლობას და უმიზნობას. დასასრულ თავადი ეორონ-ცოვი შუამდგომლობდა, რათა ამ ამოცანის განხორციელება გადაედოთ მომავალი 1854 წლის საომარი კამპანიისათვის [1].

ნიკოლოზ პირველს თავადი ეორონცოვის არგუმენტაცია დამაჯერებლად ეჩვენა. 1853—1854 წლის ზამთარში ამიერკავკასიის მთელ საომარ ასპარეზზე შეტევითი ოპერაციები არ განხორციელებულა. რაც შეეხება შავ ზღვაში მოქმედ რუსეთის საჰელოვან სამხედრო გემებსა და ესკადრებს, მათ ზამთრის განმავლობაში არ შეუწყვეტიათ თავისი ოპერაციები. შეკვეთილსა და ჩუროუქ-სუში განლაგებულ თურქთა ჯარებში უდიდესი ალიაქოთი და პანიკა გამოიწვია განსაკუთრებით რუსეთის ესკადრამ, რომელიც მოწინააღმდეგის განლაგების ზონის გასწვრივ 17—19 დეკემბერს გამოჩნდა. აღნიშნული ესკადრა, ვიცე-ადმირალი სერებრიაკოვის მეთაურობით, რომელშიც შედიოდა სამი ფრეგატი — „ყირიმი", „ოდესა" და „ხერსონესი", განსაზღვრული მიზნით იყო გამოგზავნილი სევასტოპოლიდან თავად მენშიკოვის მიერ. ესკადრას აქ შეუერთდა 7 ადგილობრივი ხომალდი, რომელნიც დაცურავდნენ აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ.

აღნიშნული ესკადრის ამოცანას თავდაპირველად შეადგენდა შეტევაზე გადასული გურიის რაზმისათვის დახმარების აღმოჩენა ზღვიდან, მაგრამ მიიღო რა ცნობა ასეთი ოპერაციის გადადების შესახებ, ვიცეადმირალმა სერებრიაკოვმა გადასწყვიტა ჩაეტარებინა თურქეთის ჯარების განლაგე-

---

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 472, л. 33—34.

ბის დაწვრილებითი დაზვერვა. მისი აზრით დიდად სასარგებლო იქნებოდა „თურქეთის" საზღვრების დათვალიერება, რათა დაგვენახვებინა თურქებისათვის, რომ ჩვენ ამ [illegible] შიც ძლიერი ვართ, შიში ჩაგვენერგა მათთვის თავის საკუთარი ნაპირების მიმართ, იძულებული გაგვეხადა ისინი არ გაეყვანათ თავისი ჯარები. ბათუმიდან სახლვრებისაკენ და ამ პორტში მუდმივად არ ჰყოლოდა დიდი გემები"[1]. ფაქტებმა დაადასტურეს, რომ რუსეთის საზღვაო შენაერთების დემონსტრაციამ თურქეთის სანაპიროზე ჯეროვანი შთაბეჭდილება დასტოვა მოწინააღმდეგეზე, და ამით მიზანი მიღწეული იყო. თავადი ვორონცოვი თავის მოხსენებაში ამ საქმის გამო გადმოგვცემს ერთ-ერთი მზვერავის პირად შთაბეჭდილებას, რომელიც ომის მოწმე გამხდარა, თუ როგორ თავზარდამცემად იმოქმედა რუსეთის სამხედრო გემების დანახვამ სელიმ-ფაშას ჯარებზე. ისინი საშინელმა პანიკამ მოიცვა და ღრიალიც მორთეს. ესკადრის მოსვლამ ძალი დაუფრთხო თვით მუშირ სელიმსაც, რომლის კარავიც, მზვერავის სიტყვებით, რუსებისაგან გასროლილმა ყუმბარამ გაგლიჯა[2].

მთელი ზამთრის განმავლობაში გრძელდებოდა შეუწყნარებელი ორმხრივი დაზვერვები, შეტაკებანი, რაც ხშირად სერიოზულ ხასიათს იღებდა. შეტაკებანი განსაკუთრებით მწვავე ხასიათს ატარებდა გურიისა და სამეგრელოს საზღვრებზე, სადაც მოწინააღმდეგე აწყობდა თავდასხმებს ქობულეთის სანჯაყიდან, ან კიდევ შავი ზღვის სანაპიროდან. ადგილობრივ სარდლობას არ გამოპარვია მხედველობიდან მუშირ სელიმ-ფაშას საქმიანობა, რომელიც ზამთრის პერიოდში არა მარტო ზვერავდა ჩვენს საზღვრებს, არამედ გაფაციცებით ეყალიბებდა 40 ათასიან კორპუსს გურია-იმერეთის ფრონტის წინააღმდეგ მომავალი ლაშქრობისათვის. სელიმს აქტიურ დახმარებას უწევდნენ მისი ერთგული თანაშემწეები — ქართველი ხალხის მოღალატე რენეგატები ჰასან-ბეი თავდგირიძე და

---

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 472, л. 49.

[2] იქვე, ფურცელი 53.

იმერეთის ყოფილი თავადი მაჭავარიანი-ფაშა. გასაგებია, რომ თურქეთის სარდლობა განსაკუთრებულ იმედს ამყარებდა ამ გარეწრებზე, რომლებიც გამოირჩეოდნენ არა მარტო თავხედობით და გაბედულობით, არამედ თავიანთი პირადი კავშირურთიერთობით გურიის, იმერეთისა და სამეგრელოს გავლენიან თავადაზნაურობასთანაც.

1853—1854 წლების მიჯნაზე აშკარა გახდა, რომ ამ ასპარეზზე საომარი მოქმედება თავის გადამწყვეტ ეტაპს უახლოვდებოდა. ორივე მოპირდაპირე ბანაკი ემზადებოდა გადამწყვეტი ბრძოლისათვის. ახალ საომარ კამპანიაში ხმალსა და ტყვიას უნდა „გადაეწყვიტა“ მოწინააღმდეგე მხარეთა შეურიგებელი წინააღმდეგობანი, მათ შორის ინტერესთა ჭიდილი.

ახალი კამპანიისათვის გაცხოველებით ემზადებოდნენ თურქებიც, ევროპელი გამოცდილი ინსტრუქტორების უშუალო ხელმძღვანელობით და დახმარებით, ქმნიდნენ ძლიერ რეზერვებს, აკომპლექტებდნენ დივიზიებს, პოლკებს, ბატალიონებს, ბატარეებს. ამზადებდნენ, წვრთნიდნენ მეთაურთა კადრებს, ეზიდებოდნენ საზღვრებისაკენ სამხედრო ტექნიკას, საჭურველს, სურსათ-სანოვაგეს, აჯგუფებდნენ ჯარებს.

არ ეძინა კავკასიის კორპუსის სარდლობასაც. იგი ფართო მოსამზადებელ მუშაობას ეწეოდა ახალი საომარი კამპანიის შესახვედრად. გურიის რაზმის სარდალი, რომელიც რეგულარულად გადასცემდა მზვერავთა მიერ შეგროვებულ ცნობებს ზემდგომ ინსტანციებს მოწინააღმდეგის საომარი მზადებისა და მათთვის ეფექტური დახმარების შესახებ, ამავე დროს ხაზგასმით აღნიშნავდა კავკასიის კორპუსის რეგულარული ჯარებისა და ქართველთა მილიციის მბნეობასა და სულის სიმტკიცეს, მათ მგზნებარებას და მზადყოფნას მტერთან საბრძოლველად. „ჯარები და მილიცია, — წერდა გენერალი გაგარინი, — აგზნებულია სურვილით ეკვეთოს მოწინააღმდეგეს“ [1].

---

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 472, л. 51.

კავკასიის კორპუსის ჯარებმა და საქართველოს სახელოვანმა მილიციამ საკუთარით გაამართლეს მოსახლეობის დაჯილდ- გილობრივი სარდლობის ნდობა. 1854 წელს, კავკასიურ-თურქეთის ვრცელ ფრონტზე, რუსეთის იარაღის ჭეშმარიტი ტრიუმფი მოჰყვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი მეოთხე

ომის კრიტიკული ეტაპი და რუსული იარაღის ტრიუმფი

1854 წელს ომი ამიერკავკასია-თურქეთის ფრონტზე მეტად საპასუხისმგებლო და გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. რუსეთთან შეერთების შემდეგ, ამ მხარეს „არ განუცდია ისეთი მძიმე დღეები, როგორიც 1854 წელს. თავისთავის ანაბარა მიტოვებულ კავკასიას, რომელსაც სათავეში არ ჰყავდა ხელისუფლების მტკიცე და ნამდვილად დამოუკიდებელი წარმომადგენელი, თვალსაჩინო როლი უნდა ეთამაშა მოვლენათა ჯაჭვში. მისგან ელოდნენ დახმარებას დასავლეთის სახელმწიფოებთან ომის საერთო მსვლელობაში, მაგრამ კავკასიის საბრძოლო ძალები ომის მოთხოვნას არ შეესაბამებოდა"[1].

1854 წლის საგზაო მოქმედების გეგმით, რომელიც ნიკოლოზ I თავის ხელით მოხაზა, ნავარაუდევი იყო, რომ მომავალი კამპანია შეიძლება იყოს: თავდაცვითი მხოლოდ თურქების წინააღმდეგ დუნაიზე (ევროპა) და შეტევითი — აზიაში; თავდაცვითი თურქების წინააღმდეგ, რომლებსაც მხარს უჭერს ინგლისი და საფრანგეთი, და შეტევითი აზიაში; შეტევითი ევროპაშიც და აზიაშიც მხოლოდ თურქების წინააღმდეგ და, ბოლოს, შეტევითი ევროპაშიც და აზიაშიც მიუხედავად ინგლისსა და საფრანგეთთან თურქების კავშირისა. ამასთან ერთად, რუსეთის იმპერატორი ვარაუდობდა მტრის

[1] АКАК, т. XI, стр. 1.

ცლოტის თავდასხმას შავი ზღვის სანაპირო სიმაგრეებზე, რასაც რუსეთისათვის „სრულიად არახელსაყრელად" მიიჩნევდა. აღსანიშნავია, რომ მეფეს, იმავე დროს, სასურველად მიაჩნდა ჭობულეთისა და ბათუმის დაკავება, მაგრამ უარყოფდა შემდგომ წინ წაწევას, მიზანშეწონილად თვლიდა „ხშირი თავდასხმებით თურქები შიშის ქვეშ ყოლოდა"[1].

/საერთოდ უნდა ითქვას, რომ ნიკოლოზ I გეგმის მონახაზი არ ბრწყინავს გარკვეულობითა და შორსმჭვრეტელობით. კიდევ მეტი, იგი ვერ ამჟღავნებს ადგილობრივი პირობების ელემენტარულ ცოდნასაც კი. ასეთ კრიტიკულ ვითარებაში კავკასიაში 9 წლის სამსახურის შემდეგ მორალურად და ფიზიკურად გატეხილი შეფისნაცვალი და მთავარსარდალი, მოხუცი ვორონცოვი მეფეს სამსახურიდან განთავისუფლების სთხოვდა. ✓

დაკმაყოფილა რა ნიკოლოზ I თავად ვორონცოვის თხოვნა, 1854 წლის 2 იანვარს ავალებდა მას თავისი დროებითი შემცველელისათვის მიეცა საჭირო დარიგებანი, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო საქმეებში. იმპერატორი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდა თურქების წინააღმდეგ საომარი მოქმედების გეგმის შემუშავებას. მან საჭიროდ ჩათვალა ჩამოეყალიბებინა საკუთარი შეხედულება ამ საკითხზე: „ზედმეტად არ მიმაჩნია დავუშატო, — წერდა მეფე, — რომ ყველაზე გადამწყვეტი, ენერგიული შეტევა იმედს იძლევა მთავარ მიზანს მალე მივაღწიოთ, ე. ი. დავარწმუნოთ თურქები, რომ ჩვენს გადაწყვეტილებას ისინი გარდუვალი დალუპვისაკენ მიყავს. ყველა ამას, ჩემის აზრით, წინ უნდა უსწრებდეს ყარსის, ბაიაზეთისა და არდაგანის დაკავება; ამ საყრდენი სიმაგრეების გარეშე შემდგომი შეტევა სახიფათო იქნებოდა". „აზიაში წარმატებანი, — განაგრძობდა ნიკოლოზ I, — ნამდვილად დაგვაახლოვებს სასურველ ზღვასთან... ინგლისსა და საფრანგეთთან ომი თითქმის გარდუვალია; იგი ვერ შეცვლის და ვერ შეაჩერებს ჩვენს მოქმედებას დუნაიზე და მის იქით, მაგრამ აქ ჩვენს მოქმე-

[1] ЦГВИАГ, ф. 1087, л. 472, л. 137—141.

დებას არ შეიძლება ჰქონდეს იმდენად სწრაფი და იმდენად გადამწყვეტი შედეგები, როგორიც ჩვენს გამარჯვებებს ევროპაში. ჩვენი წარმატებანი ყოველივე ამას შეაჩერებს"[1].

რუსეთის იმპერატორის წერილიდან ჩანს, რომ იგი კავკასიის ფრონტზე მოქმედებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. დუნაიზე პირველი წარუმატებლობისა და ევროპაში მდგომარეობის არახელსაყრელი მიმართულებით შემობრუნების შემდეგ, ნიკოლოზ I ვარაუდობდა, რომ მხოლოდ ამიერკავკასია-თურქეთის ფრონტზე რუსების გამარჯვება შეუძლია რუსეთის იარაღის დირსებისა და პატივის დაცვა.

მეფის დირექტივების საფუძველზე, ვორონცოვი დაუყოვნებლივ შეუდგა მომავალი კამპანიის ოპერატიული გეგმის შემუშავებას. მეფის თხოვნით, იმავდროულად, გეგმას აქუშავებდა თავადი პასკევიჩ-ვარშავსკიც.

ვორონცოვსა და პასკევიჩს შორის იმ თავითვე დაიწყო არსებითი უთანხმოებანი მთელ რიგ სტრატეგიულ და ტაქტიკურ საკითხებზე. პასკევიჩი ეყრდნობოდა რა 20-იანი წლების გამოცდილებას, ენერგიულად ცდილობდა სახელი გაეტეხა ვორონცოვის სტრატეგიისათვის. იგი ულმობლად აკრიტიკებდა ამიერკავკასიის საარდლობის გეგმას და უპირისპირებდა მას საკუთარ წინადადებებს. თავის მხრივ თავადი ვორონცოვი ოსტატურად და მკვეთრად იგერიებდა პასკევიჩის თავდასხმებს და მის მოსაზრებებს დრომოკმულად და მოძველებულად თვლიდა[2].

სამართლიანობა მოითხოვს თვითეული მათგანის პოზიციები განვსაჯოთ მათთვის დამახასიათებელი თვისებებითა და ღირსებით. თუ ნიკოლოზ I წინაშე თავადი პასკევიჩის მონური

---

[1] АКАК, т. XI, стр. 339—340.

[2] იხ. თავ. ვარშავსკის ჩანაწერები 1854 წლის 16 იანვრის თარიღით, თავ. დოლგორუკოვის წერილი ვორონცოვისადმი 1854 წ. 24/1; ვორონცოვის მიერ პასკევიჩის მოსაზრებების უარყოფა. ЦГВИАГ, ф. 1087, д. 472.

ძორჩილება და პირფერობა „პარმონიულად იყო შეწყობილი მის ხასიათთან და წარსულთან"[1], თავად ვორონცოვის ამოცანა საკუთარი მოვალეობისადმი დამოკიდებულება შეიძლება შედარებით „კეთილშობილურად" და „უანგაროდაც" კი ჩაითვალოს. კიდევ მეტი, პასკევიჩის თვალთმაქცობასა და არაგულწრფელობისაგან განსხვავებით, ვორონცოვი ხშირად ამჟღავნებდა არა მარტო რეალურ გრძნობას, არამედ მოქალაქეობრივ გამბედულებასაც. საკუთარ შეხედულებას იგი ზოგჯერ საკმაო პირდაპირობით და კადნიერადაც კი გამოთქვამდა გოროზი და პატივმოყვარე იმპერატორის წინაშე.

1854 წლის 9 თებერვალს თავად. ვორონცოვმა პეტერბურგში წარადგინა ამიერკავკასიაში 1854 წლის საომარი კამპანიის გეგმა. თავის მიმართვაში სამხედრო მინისტრისადმი კავკასიის მეფისნაცვალი და მთავარსარდალი გადაკვრით მიუთითებდა იმაზე, რომ გასული წლის კამპანიის ჩატარების დროს თურქების წინააღმდეგ მოქმედების საერთო გეგმა მას არ ჰქონდა, და რომ ადგილობრივ სარდლობას აქამდე უხდებოდა „შემთხვევით შეკრებილ რაზმებზე" დაყრდნობა. ომის უეცრად დაწყებისა და თურქთა ძალების მოულოდნელად სხვადასხვა პუნქტებში შემოქრის პირობებში, რაკი ჩვენ მცირე ძალები გაგვეჩნდა, არ შეიძლებოდა მტრის წინააღმდეგ საერთო მოქმედების გეგმა შეგვემუშავებიაო — თავს იმართლებდა ვორონცოვი[2].

თავ. ვორონცოვი ვარაუდობდა, რომ მომავალ საომარ კამპანიაში ბურის რაზმი, თავისი განსაკუთრებული მდგომარეობის გამო, თავ. პასკევიჩი მოსაზრების მიუხედავად, სხვა რაზმებისაგან სრულიად დამოუკიდებელი უნდა დარჩეს. დანარჩენი შენაერთების მოქმედება, — ალექსანდროპოლის, ერევნის, ახალციხის და ახალქალაქის რაზმები, რომლებიც იმოქმედებენ ყარსის, არდაგანის და ბაიაზეთის მიმართულებით, შეერთებულ ან ერთიერთ მჭიდრო კავშირში უნდა იყვ-

---

[1] Е. Тарле, «Крымская война», т. 1, стр. 206.
[2] ЦГИАГ, ф. 1067, д. 472, л. 149.

ნენ. ამასთან მთავარსარდალი კონკრეტულად მიუთითებდა თითოეული რაზმის წინაშე მდგარ ცალკეულ ამოცანებზე. თავ. ვორონცოვის აზრით, მოქმედი კორპუსი 1854 წლის კამპანიაში უნდა დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ, არდაგანისა და ბაიაზეთის სიმაგრეების დაკავებით. ის ეარიუდობდა, რომ ომის ამ ეტაპზე უფრო ფართო მიზნების დასახვა მიზანშეუწონელი და ძალზე სარისკოც იქნებოდა.

ამასთან, თავადი ვორონცოვი ითვალისწინებდა მთელ რიგ გარემოებებს, რომელთაც შეეძლოთ საომარი კამპანიის გეგმის ჩაფუშვა. ასეთ გარემოებებს განეკუთვნებოდნენ: ა) სპარსეთის დამოკიდებულება რუსეთთან ამ ომის პირობებში; ბ) შამილის მოქმედება კავკასიაში და დაღესტანის ხაზებზე და მისი შედეგები; გ) თურქების სამხედრო მოქმედებანი შავი ზღვის სანაპიროებზე ინგლის-საფრანგეთთან კავშირში; დ) დრო და საშუალებანი, რომელიც მოქმედ კორპუსს შეტევისათვის ექნება[1]. თავ. ვორონცოვი არ გამორიცხავდა იმის შესაძლებლობასაც, რომ თურქების სარდლობამ, თავისი ძალებისა და საშუალებების უპირატესობის წყალობით, შეიძლება კიდეც დაასწროს რუსებს შეტევაზე გადმოსვლა.

კავკასიის კორპუსის სარდლობა, თავ. ვორონცოვისა და თავ. ბებუთოვის საბით, როგორც აღინიშნა, განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდა სპარსეთის მთავრობის პოზიციას. წინააღმდეგ ნიკოლოზ I მცდარი რწმენისა, რომელიც ვარაუდობდა, რომ სპარსელებს შეეძლოთ ებრძოლათ რუსეთის მხარეზე თურქების წინააღმდეგ, ვორონცოვისა და ბებუთოვისათვის კარგად იყო ცნობილი მაშინდელი სპარსეთის მთავრობის ორპირობა და ვერაგული პოლიტიკა. ისინი თვრეთვე კარგად ხედავდნენ ინგლისის აგენტურის ხრიკებსაც სპარსეთში, სპარსელი მმართველების სიხარბეს ინგლისის ოქროსადმი. აი რატომ იყო, რომ თურქების წინააღმდეგ მოქმედების გეგმის შემუშავებისას ხელახლა მწვავედ დადგა სპარსეთის შესაძლებელი პოზიციის საკითხი[2].

---

[1] ЦГИАГ, ф. 1087, л. 472, п. 154.
[2] ЦГИАГ, ф. 20, п. 2502, ф. 11, п. 2771, АКАК, т. XI, стр. 499.

თავ. ვორონცოვი თავის ინსტრუქციაში გენ. ოვადისადმი გაფრთხილებას იძლეოდა: „თითქოს და ჩვენ არ უნდა ველოდეთ განხეთქილებას სპარსეთთან, მაგრამ ვიცით რა სპარსელების ვერაგობა, არ შეიძლება მათზე მთლიანად დანდობა, განსაკუთრებით თუ ჩვენს წინააღმდეგ ევროპული ომი დაიწყება და, თუ ინგლისი ინტრიგებსა და ოქროს გამოიყენებს ჩვენს წინააღმდეგ შაჰის ასამხედრებლად“ [1]. თავის ოპერატიულ გეგმაში ვორონცოვი უშვებდა სპარსეთთან სამხედრო შეჯახების შესაძლებლობას. ვორონცოვი მიუთითებდა, რომ, თუ ყარსის ოპერაციების დროს სპარსეთი ჩვენ-დამი მტრულ პოზიციას დაიკავებს, მაშინ აუცილებელი იქნება ყარსის აღებამდე შენარჩუნებული იქნას ერევანი, ხოლო შემდეგ შეეიჭრათ სპარსეთში, დავიკავოთ ხოი, ურმია და თავრიზი და ბუქარის ქვეშ ვამყოფოთ მთელი სპარსეთი [2].

თავ. ბებუთოვიც თვლიდა, რომ თურქებთან რუსეთის ბრძოლის წარმატება მნიშვნელოვან წილად არის დამოკიდებული სპარსეთის პოზიციისაგან. ამ უკანასკნელის მიმართ ბებუთოვს ორასოდეს არ ჰქონებია რაიმე ილუზიები და განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდა. ჯერ კიდევ 1853 წლის დეკემბერში ბებუთოვი თავ. ბარიატინსკის სწერდა: „ვალდებულად ვთვლი თავს განგიმარტოთ, რომ სპარსელებისადმი ნდობა არა მაქვს. ისინი საშინელი მატყუარები და გაუტანელნი არიან. ამის დამამტკიცებელია მათი თხოვნით ჩვენი ოფიცრების გაგზავნა სპარსეთის ჯარში, ხოლო მე ცნობა მაქვს თავრიზში ჩვენი გენერალური კონსულისაგან, რომ ეს ოფიცრები შეჩერებულან ნახჭევანში სპარსეთის მთავრობის მხრით შექმნილი რაღაც სიძნელეების გამო. მე ველოდები, რომ მათ დასძრან ჯარები თურქეთის საზღვრებისაკენ“ [3].

ნიკოლოზ I. დარწმუნდა რა სპარსეთის საკითხში კავკა-

---

[1] АКАК, т. XI, стр. 94.
[2] „Русский архив“ 1883, № 9, стр. 50.
[3] ЦГИАГ, ф. ВУА, л. 41—375, л. 114.

სის საარდლობის პოზიციის სისწორეში, თავის წერილში გენ. რეადისადმი 1854 წლის 12 აპრილს შემდეგ დარეკტრკვასა იძლეოდა: „შეეცადე დაიწყო მოლაპარაკება სპარსელებთან: ეს ძალიან ხელსაყრელი იქნება იმისათვის, რომ თუ ისინი ჩვენ მხარეზე არ იქნებიან, მაშინ უკიდურეს შემთხვევაში, ჩვენი მოწინააღმდეგენი მაინც არ გახდნენო"[1].

მრავალრიცხოვანი დოკუმენტები მოწმობენ ინგლისელების განეკითხავსა და მოურიდებელ ჩარევას სპარსეთის საქმეებში. ეს განსაკუთრებით აწუხებდა კავკასიის საარდლობას. გენერალი რეადი იუწყებოდა, რომ სპარსეთი სულ უფრო და უფრო ეჭცეოდა ინგლისის ძლიერი გავლენის ქვეშ. ამიტომ, აღნიშნავდა იგი, ახლა ჩვენ სპარსეთთან პირდაპირი გათიშვის უშუალო საფრთხის წინაშე ვდგავართ და ყველაფერს ვაკეთებთ, რათა მისი ნეიტრალიტეტი მაინც შევინარჩუნოთო.

კონვენცია ნეიტრალიტეტის შესახებ, რომელიც სპარსეთსა და რუსეთს შორის დაიდო, ნათლად გამოხატავდა არა მარტო შაჰისა და მისი მთავრობის სიმხდალეს, არამედ მათ ფარისევლობასა და ორპირობასაც[2]. ინგლისელების ინტრიგები და შანტაჟი სპარსეთში არ წყდებოდა. სპარსეთის მთავრობის „ნეიტრალიტეტის" პოზიცია უფრო მარჯვე და ხელსაყრელი გამოდგა რუსეთის მტრებისათვის — ინგლისისა და თურქეთისათვის. როგორც თავრიზიდან ხანიკოვი იუწყებოდა, „ინგლისელები უხეშად ერეოდნენ სპარსეთის შინაურ საქმეებში"[3]. მიუხედავად რუსეთთან ხელშეკრულების არსებობისა, სპარსეთის მთავრობის პოლიტიკა ომის დაწყებიდან მის დამთავრებამდე ვერაგული და ორგზოგული რჩებოდა. ახალი მთავარსარდალი გენ. მურავიოვი 1855 წელს იუწყებოდა, რომ მიუხედავად ნეიტრალიტეტის შესახებ კონვენციის არსებობისა, სპარსეთის მთავრობა უთვალთვალებს, თუ რომელი მხარე მიაღწევს წარმატებას, და, ჩვენის მხრივ მცირე მარცხის შემთხვევაში, მისი დამოკიდებულება ჩვენს

---

[1] ЦГВИАМ, ф. ВУА, д 41—375, л. 114.
[2] АКАК, т. X, стр. 752.
[3] АКАК, т. XI, стр. 549.

მიმართ ისევე შეიცვლება, როგორც ეს 1853 წელს მოხ-
დაო"[1].

მომავალი საომარი გეგმის პირველი ვარიანტის წარდგენის უმალ თავ. ვორონცოვმა სამხედრო მინისტრს გაუგზავნა მეორე მიმართვა, რომელშიაც მეფისნაცვალი მიუთითებდა, რომ დასავლეთის ქვეყნებთან განხეთქილების შემთხვევაში მისი გეგმის პირველადელი ვარიანტი არსებითად უნდა შეიცვალოს, რადგან იგი არ ითვალისწინებდა შესაძლო ომს საფრანგეთსა და ინგლისთან, ხოლო ის ვარაუდი და სამუალებანი, რომლებიც თურქებთან და მთიელებთან საერთო ომს ითვალისწინებდა, უკვე სრულიადაც არ შეესაბამება მოსალოდნელი ბრძოლების ხასიათსა და მასშტაბებს[2].

ვორონცოვის აზრით, დასავლეთის ქვეყნების პირველხარისხოვანი ფლოტის ომში ჩაბმა, რამდენადაც ეს თუცილებლად გამოიწვევდა შავი ზღვის სანაპირო ხაზისაგან ჯარების გამოყვანას, უპირველეს ყოვლისა, დამღუპველ გავლენას მოახდენდა გურიის რაზმზე. ვითარების ამგვარად შეცვლის შემთხვევაში, მისი აზრით, დაუყოვნებლივ უნდა გამაგრებულიყო ცხენისწყლის შესართავი, სადაც შეუძლია თავი მოიყაროს გურიის რაზმმა, დაუცადოს ზღვის სანაპირო ხაზიდან მოხსნილ გარნიზონებს და მათთან ერთად დაიხიოს ქუთაისის მიმართულებით, იქიდან კი თბილისისაკენ.

ვითარების შეცვლასთან ერთად იცვლებოდა მცირე აზიაში შეტევითი მოქმედების ვორონცოვისეული სქემაც. იგი წინათ ვარაუდობდა, რომ კავკასიის კორპუსის შეტევითი ოპერაციები ყარსის, არდაგანისა და ბაიაზეთის ასაღებად შეიძლება დაშვებულ იქნას მხოლოდ ინგლისსა და საფრანგეთთან საომარი მდგომარეობის შემთხვევაში, ხოლო ჩვენი მოქმედი კორპუსით ანატოლიის სიღრმეში შეჭრით ჩვენ მტერს გზას გავუხსნით შავი ზღვის რაიონში, ყაბარდოსა და თბილისის მიმართულებით[3]. ამრიგად, გურიაიმერეთის ფრონტზე შექმნილი ვითარება უშუალო გავ-

---

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 443, л. 144.
[2] ЦГИАГ, ф. 1087, д. 472, л. 150.
[3] ЦГИАГ, ф. 1087, д. 472, л. 151.

ლენას ეხდენდა ამიერკავკასიის მთელ ფრონტზე „ბრძოლის ველზე“ წარმოშობილ არახელსაყრელ ვითარებაზე. შევიტანეთ დაემუხრუჭებია ამიერკავკასიის ფრონტის ყველა უბანზე ოპერატიული მოქმედება.

ფელდმარშალი თავ. პასკევიჩი-ვარშავსკი „ძველი კავკასიელის“ პრეტენზიით ხელახლა დაესხა თავს მთელი სიმძაფრით თავ. ვორონცოვის წინადადებებს, მოხუცი თავადი „დაუნდობლად“ აკრიტიკებდა თავ. ვორონცოვის ყველა მოსაზრებას და იყალიბებდა თავის თვალსაზრისს 1854 წლის კამპანიისათვის.

პასკევიჩის გეგმის მიხედვით კავკასიის კორპუსს თავდაცვა უნდა განეგრძო მარჯვენა ფლანგზე (გურია-იმერეთის ფრონტი), ხოლო მარცხენა ფლანგზე „ბალაბის ამოსვლისთანავე“ უნდა დაწყებულიყო შეტევა და ედოთ ყარსი, არდაგანი, ხოლო შემდეგ ბაიაზეთი. არზრუმისაკენ უნდა დაძრულიყვნენ არა მთავარეხილით, არამედ ბაიაზეთის მხრიდან და შემოეკლოთ ხეობა, რომელიც მტერს შეეძლო გადმოგრეხილა და მიუვალი გაეხადა. ამასთან, არ შეიძლება ითქვას, რომ პასკევიჩი უგულებელყოფდა დასავლეთის მეფეების ომში ჩარევის საფრთხეს, იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ახლა ბითუმი ემთავრესი პუნქტი ხდება, რადგან მტერს საშუალებას აძლევს ჩვენი საშფლობელოები დაიკავოს ფლანგზე და ზურგში და საფრთხე შეუქმნას თბილისს (თუ იგი გადმოგრეხილია), ხოლო, თუ ჩრდილოეთ სანაპიროზე გადმოსხდება, შეეძლოთ ჩვენი პატარა სიმაგრეები დაიკავონ და შავი ზღვის დასახლებულ რაიონებში გაიჭრანენ. ამასთან დაკავშირებით პასკევიჩი წინადადებას იძლეოდა: მარცხენა ფლანგზე მოქმედების დაწყებამდე, გაეძლიერებინათ ჩვენი რაზმები მარჯვენა ფლანგზე — გურიიდან და საბეგრელოდან იმერეთამდე და ახალციხემდე [1].

მწვავე კამათიდან, რომელიც მომავალი კამპანიის შესახებ ვორონცოვსა და პასკევიჩს შორის გაიმართა, აგრეთვე იმ შენიშვნებიდან, რომელიც ნიკოლოზ I მინაწერების სა-

[1] ЦГВИАМ, ф. 69, л. 30, л. 8396—97.

ზით გააკეთა ამ ორი ერთგული კარისკაცის მოხსენებაზე. შეიძლებოდა ზოგიერთი დასკვნის გაკეთება. უპირველეს ყოვლისა, ესაა იმ ჭეშმარიტების აღიარება, რომ ინგლის-საფრანგეთის ფლოტის შავი ზღვის აუბში გამოჩენის შემთხვევაში ბერია-იმერეთის ფრონტის მნიშვნელობა განსაკუთრებით უნდა გაზრდილიყო. მეორე, ვორონცოვის გეგმა გაცილებით რეალურად და შორსმჭვრეტელურად გამოიყურებოდა. ამის გამო მისი პროექტები, რომლებიც ეხებოდნენ 1854 წლის კამპანიას, მთლიანად მოწონებულ იქნა სასახლისა და პირადად იმპერატორის მიერ.

ოპერატიული გეგმის პარალელურად თავ. ვორონცოვმა განსახილველად წარადგინა მოქმედი კორპუსის ჯარების ამიერკავკასიის საზღვრებზე დამოუკიდებელ რაზმებად განაწილების პროექტიც. აღსანიშნავია, რომ მიუთითებდა რა ამიერკავკასიაში რეგულარული ჯარების სიმცირეზე, თავ. ვორონცოვმა თავის მიმართვაში განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ადგილობრივი სახალხო ლაშქრის გამოყვანისა და გამოყენების საკითხს [1].

როგორც ცნობილია, ვორონცოვის წასვლა კავკასიის მეფისნაცვლის პოსტიდან ოფიციალურ დოკუმენტებში მოტივირებული იყო მისი მოხუცობითა და ავადმყოფური მდგომარეობით. ეჭვი არაა, რომ 74 წლის ვორონცოვს არ შეეძლო პრეტენზია ჰქონოდა თავისი ჯანმრთელობის უარყოფობაზე. მაგრამ, უნდა აღვნიშნოთ, რომ გარდა ხსენებული მოტივებისა, არსებობდა სხვა უფრო არსებითი მიზეზებიც, რომლებმაც აიძულეს თავადი ყველაზე კრიტიკულ პერიოდში დაეტოვებინა პოსტი.

1854 წ. თავ. ვორონცოვის წასვლა თანამდებობიდან არ შეიძლება გავიგოთ როგორც პოლიტიკური მოღვაწის ჩვეულებრივი გადადგომის უბრალო და ჩვეულებრივი აქტი. თავ. ვორონცოვის ამიერკავკასიიდან ჩამოცილება იმ განსაკუთრებით ძნელი და უალრესად დაძლართული ვითარების შედეგია, რომელიც აღმოსავლეთის ომის დროს ამ მხა-

[1] ЦГИАГ, ф. 472, з. 165.

ტრეში შეიქმნა. მაშასადამე, ვორონცოვის წასვლა სამსახურიდან წარმოადგენდა თავადის არა ჩვეულებრივი ნებაყოფლობითი გადაწყვეტილების შედეგს, არამედ გარემოებებით ნაკარნახევ აქტს. ამ საიდუმლოების გახსნის საქმეში უდიდეს ყურადღებას იპყრობს ვლადიმერ ტოლსტოის მოსაზრება. „შავი ზღვის სანაპირო ფორტის „წმ. ნიკოლოზის“ დალუპვა, — წერდა ის შემდგომ, — კავკასიაში აღმოსავლეთის ომის დასაწყისი იყო. ამ დროიდან თავ. მ. ს. ვორონცოვი თანდათან დაფარდიანდა, იგი შესამჩნევად შეიცვალა და ბოლოს ჩაწვა კიდეც. ვორონცოვის ხასიათზე აღიბეჭდა არა ავადმყოფური მდგომარეობა, არამედ რაღაც ღრმა მწუხარების გამოხატულება. მრავალი წლის შემდეგ — მე შემთხვევა მქონდა დავრწმუნებულიყავი, რომ თავად ვორონცოვს იმ დროს მრავალი უსიამოვნება ჰქონდა“ [1].

თავ. ვორონცოვის სულიერ მოშლილობას, აპატიასა და პესიმიზმს მისი მოღვაწეობის უკანასკნელ ხანებში ამტკიცებს აგრეთვე სხვა მრავალი საბუთიც. ამიერკავკასიის არტილერიის განთქმული ვეტერანი, თურქების წინააღმდეგ ბრძოლების მონაწილე გენერალი მამაცაშვილი თავის მოგონებებში 1854 წლის შესახებ წერდა: „თბილისი მე ვიხილე აპატიის წყვდიადში ჩაფლული, მაშინდელი ამბები მეტად მძიმედ დაეწვა მოსახლეობას. თავ. ვორონცოვის პესიმიზმი შესამჩნევად მოქმედებდა ხალხზეც. მე მიამბეს, რომ როცა ცნობა მოვიდა სინოპთან თურქეთის ფლოტის დამარცხების შესახებ, ვორონცოვი იმდენად შეძრწუნდა, რომ თავის ახლო მეგობებთან წამოიძახა: „ყველაფერი გათავდა, მე არ დამიჭერეს, — ახლა კი ევროპული ომი გაჩაღდება“[2].

სხვა ადგილას თავის ხელნაწერში გენ. მამაცაშვილი განსაკუთრებით ხაზს უსვამს სიტყვებს იმის შესახებ, რომ თავ. ვორონცოვი „ავად იყო უფრო პოლიტიკურად, ვიდრე ნამდვილად“[3].

---

[1] ЦГВИАМ ф. 69, д. 20, л. 3331; Ср., „Русский архив“, 1877, кн. II, стр. 304.

[2] ЦГВИАГ, ф. 1087, д. 1259 л. 2 1—'

[3] იქვე, д. 1000, л. 7

√ თავ. ვორონცოვმა მისცა დაწვრილებით შედგენილი ინ-
სტრუქციები თავის დროებით შემცვლელ გენერალ-ტენენტ
როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო მმართველობის
ში და 1854 წლის თებერვლის ბოლოს იგი სამუდამოდ წავი-
და კავკასიიდან. √

გენერალი რეადი შეტად მძიმე და არახელსაყრელ პირო-
ბებში შეუდგა თავისი ახალი მოვალეობის შესრულებას მე-
ფისნაცვლისა და მთავარსარდლის დროებითი მოადგილის
თანამდებობებზე. არც მისი პირადი თვისებები, არც თავისი
თანამდებობრივი მდგომარეობა არ აძლევდა მას შესაძლებ-
ლობას პირადი ინიციატივა გამოეჩინა, თავისუფლად და და-
მოუკიდებლად ემოქმედნა. გენ. რეადი სავსებით შებოჭი-
ლი იყო ერთი მხრით ვორონცოვის ინსტრუქციებით, ხოლო
მეორე მხრით იმით, რომ პეტერბურგი მის მიმართ აშკარა
უნდობლობას იჩენდა, ოფიციალური უწყებები და პირები
მას გვერდს უვლიდნენ და უმთავრესად მისი შტაბის უფ-
როსს თავ. ბარიატინსკის მიმართავდნენ.

ამავე დროს საფრთხე ყოველმხრიდან და დღითიდღე
ძლიერდებოდა. როგორც აღნიშნული იყო, 1854 წლის გაზა-
ფხულის დასაწყისში თურქეთის ანატოლიის არმიის დასახმა-
რებლად მოსვლა იწყეს უცხოურმა რეგულარულმა პოლკებ-
მა, რომლებიც ინგლისის ფულის საშუალებით იქნა შეგრო-
ვილი [1].

√ ცნობილი გახდა, რომ მთელს სამხედრო მომზადებასა და
სასაზღვრო ზოლში თურქეთის არმიის ხელმძღვანელობის
საქმეებს ფაქტიურად განაგებდნენ გამოცდილი უცხოელები.
მათ რიცხვში ანატოლიის არმიის შტაბის მეთაურად ინგლი-
სის არმიის გენერალი გიუიონი ითვლებოდა, მან მიიღო ის-
ლამის სარწმუნოება და კურშიდ-ფაშის ტიტული. გენერალი
გიუიონი, რომელიც ლორდ სტრეტფორდ-რედკლიფის განსა-
კუთრებული ნდობითა და მფარველობით სარგებლობდა, არა
მარტო განაგებდა მთელს სამხედრო საქმეებს ანატოლიაში,
არამედ სრულ მორჩილებაში ჰყავდა თურქი სარდლები და,

---

[1] „Воспоминание офицера Кавказской войны", СПБ, 1857, стр. 32.

უბირეველეს ყოველისა, თურქეთის არმიის ახალი მუშირი შუსტაფა ზარიფ-ფაშა. გიუიონთან ერთად თურქეთის არმიაში განსაკუთრებული უფლებებითა და პრივილეგიებით სარგებლობდნენ უცხოელი გენერლები კოლმანი, ქმეტი, არმიის პოლკოვნიკი მეფრეი და სხვები.

1854 წლის მაისის დასაწყისში ანატოლიის არმია, რომელიც ჯარის ყველა სახეობის 60 ათას კაცს ითვლიდა, მუშირ შუსტაფა ზარიფ-ფაშის მეთაურობით ყარსიდან გამოვიდა და ალექსანდროპოლის მიმართულებით გაიშალა. იმავდროულად მეორე 36-ათასიანი კორპუსი მუშირ სელიმ-ფაშას მეთაურობით ქობულეთის სანჯაყიდან გურიის საზღვრებისაკენ დაიძრა. თურქებმა გადასწყვიტეს დარტყმა ერევნის ბლაცდარმზეც. ამრიგად, 1854 წლის გაზაფხულის დასაწყისში, თურქების სამი ძლიერი კორპუსი სხვადასხვა მიმართულებიდან—ყარსიდან, ბაიაზეთიდან და ბათუმიდან — მზად იყო კონცენტრირებულად შემოჭრილიყო ჩვენს საზღვრებში. ეითარება იმდენად საშიში და დაძაბული ჩანდა, რომ ბაშკადიკლარისა და კურიუკ-დარის გმირსაც კი ხატავდნენ, როგორც სასოწარკვეთილსა და სრულიად იმედდაკარგულს. „1854 წელი იყო ყველაზე საგანგაშო წელი ამიერკავკასიისათვის, მას შემდეგ, რაც იგი რუსეთს შეუერთდა, — წერდა შემდეგში ა. მ. ფადეევი (გენ. რ. ა. ფადეევის მამა), — თურქებს, რომლებიც ჩვენს საზღვრებს შემოადგნენ, ბევრი ჯარი ყავდა, ხოლო ჩვენ ძლიერ მცირე... თვით ბებუთოვმა უთხრა ჩემს შვილს: „იცი, ძმობილო, ახლა მე ლმერთს ვევედრები, რომ თურქების პირველი ტყვია მე მომხვდეს“ [1]. რა თქმა უნდა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ აღნიშნული სიტყვები, რომელსაც განთქმულ სარდალს მიაწერენ, მოგონილი უნდა იყოს. ცნობილია, რომ თავ. ბებუთოვს ყოველთვის გააჩნდა ამდენი თავშეკავება, მამაცობა, და სიდარბაისლე, რომ შეეძლო დინჯად და თავისთვის შეენახა საკუთარი სულის სიღრმის ფიქრები და განცდები. მაგრამ, თვით ასეთი მონაგონის შეთხზვის ფაქტი მაინც ხაზს უსვამს იმ სასიკვდილო ხიფ-

[1] „Русский архив“, 1891, вып. 3, Из воспоминаний Фадеева; Ср.: ЦГВИАМ, ф. 69, д. 24, л. 5322.

რთხეს, რომელიც მაშინ საქართველოსა და ამიერკავკასიის საზღვრებთან შეიქმნა.

✓ 1854 წლის გაზაფხულზე რუსი ჯარების ცალკეული რაზმების განლაგება ასეთი იყო:

1. თავ. ვ. ი. ბებუთოვის საერთო უფროსობის ქვეშ, იმყოფებოდა რაზმები: ა) ალექსანდროპოლისა, რომელიც შედგებოდა 20 ბატალიონისა, 26 ესკადრონისა, კაზაკთა 21 ასეულისა და მილიციის 12 ასეულისაგან. რაზმი შეიარაღებული იყო საცხენოს 20 და ქვეითის 54 ქვემეხებით. ბ) ახალქალაქისა, შემდგარი $2^1/_4$ ბატალიონისა, კაზაკთა 3 ასეულისა და მილიციის 1 რაზმეულისაგან 6 ქვემეხით. გ) ერევნისა, გენერალ-ლეიტენანტ ბარონ კ. კ. ვრანგელის მეთაურობით, რომელიც შედგებოდა 6 $^1/_2$ ბატალიონის, კაზაკთა 6 ასეულისა და მილიციის 7 ასეულისაგან. 12 ქვემეხით.

2. გენერალ-ლეიტენანტ თავ. ი. მ. ანდრონიკაშვილის საერთო მეთაურობით მოქმედებდნენ რაზმები: ა) გურიისა — გენერალ-მაიორ თავ. გავარინის სარდლობით, რომელიც 18 ბატალიონისაგან შედგებოდა. მათ რიცხვში შედიოდა შავი ზღვის 5 ბატალიონი, გადმოყვანილი აფხაზეთის სანაპიროზე გაფქმებული სიმაგრეებიდან. — 30 ქვემეხით, კაზაკთა 9 ასეული, მილიციის დაახლოებით 50 ასეული. ბ) ახალციხისა — გენერალ-მაიორ კოვალევსკის მეთაურობით, შემდგარი $7^3/_8$ ბატალიონისაგან 16 ქვემეხით, კაზაკთა 6 ასეულისა და მილიციის 10 ასეულისაგან. გარდა ამისა, თბილისის გარნიზონი რაიონებში საერთო რეზერვში იდგა ჯარის $4^1/_4$ ბატალიონი[1]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მილიციის ასეულებისა და რაზმეულების რაოდენობა, რომელიც მოქმედი რაზმების შემადგენლობაში იყო, პირობითად უნდა ჩავთვალოთ. როგორც ცნობილია, საჭიროების მიხედვით ადგილობრივი ლაშქრის

[1] ЦГИАГ. ф. 1087, л. 442, л. 10, ეწერო დაწერილებითი ცნობები 1854 წლის გაზაფხულზე კავკასიაში ჯარის დანაწილების შესახებ იხ. ა. მ. ზალესსკოვსკის წიგნი: „Восточная война 1853—1856 гг." т. II, приложения.

ძალები, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს ფრონტზე, ერთბაშად 3-4-ჯერ იზრდებოდა.

მოქმედი ჯარის დისლოკაციის მოტანილი სქემა ცხადყოფს თავდაცვის ხაზის განსაკუთრებით გაქიმულობას, ჩვენი ძალების დაქუცმაცებას. საერთოდ, რეგულარული ჯარების სიმცირის გამო, თავდაცვის ხაზის რომელიც განებაეთ უბანი, თავდაცვის მხრით უზრუნველყოფილად ვერ ჩაითვლებოდა.

იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ საშიში ვითარება, რომელიც 1854 წლის გაზაფხულზე შეიქმნა გურიასა, სამეგრელოსა და იმერეთში, საჭირო იქნებოდა, თუნდაც ძლიერ მოკლედ, გაგვერკვია შავი ზღვის სანაპირო ხაზის ევაკუაციის საკითხი.

ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას შავი ზღვის ფლოტის შესახებაც. გამწვავებული საერთაშორისო ურთიერთობა და ბრძოლა „აღმოსავლეთის საკითხის" თავის სასარგებლოდ გადაჭრისათვის XIX საუკუნის შუა წლებში აიძულებდა მეფის მთავრობას გაეძლიერებინა ფლოტი შავი ზღვის აუზში, განემტკიცებია მისი სანაპიროს თავდაცვა. ეს განსაკუთრებით შეეხებოდა კავკასიის მთელ ზოლს, საიდანაც ინგლისსა და თურქეთის აგენტები ასე თავგამოდებით ცდილობდნენ ქვეყნის სიღრმეში შელწევას, რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებული მთის ტომების წაქეზებასა და შეიარაღებას.

აღმოსავლეთ სანაპიროზე ჯერ კიდევ 1830 წლიდან განუწყვეტლივ დაცურავდნენ რუსეთის სამხედრო გემები და მათი ჯგუფები. ისინი ებრძოდნენ ამ რაიონში ფართოდ გავრცელებულ კონტრაბანდას, აბრკოლებდნენ იარაღისა და საჭურველის შემოზიდვას. შავი ზღვის ფლოტს ბევრჯერ გადაუყვანია ჯარებიც კავკასიის სანაპიროზე და თავისი ცეცხლით ზღვიდან იგი არა ერთხელ დახმარებია მათ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში. უნდა აღინიშნოს, რომ შავი ზღვის ფლოტს, მისი შემადგენლობით, მისი ყოველდღიური ცხოვრებისა და მოქმედების პირობების გამო, ჰქონდა დიდი უპირატესობა ბალტიის ფლოტთან შედარებით. ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, სადაც მთავარი ყურადღება ოფიციალურ პარადებს, საზეიმო წვრთნასა და გარეგან ელვარე-

ბას ეთმობოდა, შავი ზღვის ფლოტის ეკიპაჟები განირჩეოდნენ საზღვაო-საბრძოლო გამოცდილებით და გამობრძმედილობით. აქ ცოცხლად იყო შემონახული რუსეთის საშინაო-საზღვაო საომარი ხელოვნების მაღალი ტრადიციები და მთელი ძალით ბრწყინავდა ფლოტის ისეთი შესანიშნავი უფროსების სახელები, როგორიც იყვნენ უშაკოვი და სენიავინი, სახელოვანი ლაზარევი, ყირიმის ომის სახელქებული გმირები კორნილოვი და ნახიმოვი[1].

ეი დადგა კრიტიკული მომენტი. რუსეთის შავი ზღვის ფლოტის შემდგომი მოქმედების არე კავკასიის სანაპიროს გასწვრივ თითქმის გამორიცხული ხდებოდა.

ჯერ კიდევ 1853 წლის გაზაფხულზე ნიკოლოზ I თავის სამეფო წერილებში კავკასიის მეფისნაცვლის სახელზე ხშირად წერდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროების საკითხზე. მის შეშფოთებას განსაკუთრებით იწვევდა ამ რაიონების ბედი დასავლეთის სახელმწიფოთა ესკადრების შესაძლო შემოქრასთან დაკავშირებით. რუსეთის მეფე ასეთ შემთხვევაში არსებითად ეთანხმებოდა იმათ წინადადებას, ვინც მოითხოვდა შავი ზღვის ყველა ფორტის დაცლას, — ანაპის, ნოვოროსიისკისა და სოხუმის გამოკლებით[2]. როგორც მოსალოდნელი იყო, 1854 წლის დასაწყისში მოკავშირეთა ფლოტის შავ ზღვაში გამოჩენამ ჩვენი ჯარები უაღრესად კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააგდო. გურიის რაზმის მარჯვენა ფლანგი და ზურგი ამიერიდან არ შეიძლებოდა უზრუნველყოფილად ჩათვლილიყო. ამიერიდან ჩვენს ჯარებს უხდებოდათ არა მარტო თურქთა ჯარების ბრძოლით შეკავება და ზურგში მთიელი ტომებისაგან თავდაცვა, არამედ ისინი მზად უნდა ყოფილიყვნენ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსალოდნელი დესანტის უკუსაგდებადაც.

შავ ზღვაზე მტრის ფლოტის ბატონობამ უკიდურეს საფრთხეში ჩააგდო რუსეთის ჯარები, რომლებსაც შავი ზღვის სანაპირო სიმაგრეები ეკავა. მცირერიცხოვანი გარნიზონები,

---

[1] Л. Горев. Война 1853—1856 годов, Москва, 1955, стр. 105—106.

[2] ЦГИАГ, ф. 939, д. 2, л. 2—3.

ზიმოფანტულნი სუსტ ფორტებსა და სიმაგრეებში, ერთმანეთისაგან მოწყვეტილნი იყვნენ სახმელეთო გზების უქონლობის გამო. ამავე დროს ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მთელების მრავალრიცხოვანი რაზმები მაჰმად-ემინის მეთაურობით, მოკავშირეთა დაკვეთით, მზად იყვნენ ზურგიდან დაერტყათ სანაპირო სიმაგრეებისათვის უცხოელთა პირველი გემების გამოჩენისთანავე. აშკარა იყო, რომ ორმხრივ დარტყმას — ზღვიდან და ხმელეთიდანაც — ჩვენი სანაპირო ხაზი ვერ გაუძლებდა. სასიკვდილო საფრთხე ემუქრებოდა არა მარტო შავი ზღვის სანაპირო ფორტიფიკაციებს, არამედ სამეგრელოსაც და გურიისაც, რომლებიც მტრის მრისხანე ფლოტის პირისპირ აღმოჩნდნენ.

აღმოსავლეთის სანაპირო თავდაცვის ხაზის უფროსი ვიცე-ადმირალი სერებრიაკოვი 1854 წლის 9 იანვარს, თავ. ვორონცოვს მოახსენებდა რა გარნიზონების მოხსნის აუცილებლობას, აუწყებდა ამ ოპერაციის განხორციელების სიძნელეების გარეშეებებსაც. თავ. ვორონცოვს მსგავსი პერსპექტივა საბედისწეროდ მიაჩნდა. ინგლისსა და საფრანგეთთან განხეთქილებას იგი თავიდანვე რუსეთისათვის საგალალოდ და კატასტროფადაც კი მიიჩნევდა. თავ. ვორონცოვი თავის 18 იანვრის წერილში, რომელიც იმპერატორის მისწერა, ყოველმხრივ ცდილობდა შეენელებია მისი თავშეუკავებლობა დასავლეთის სახელმწიფოებთან დამოკიდებულების საკითხში. იგი გადაჭრით მოუწოდებდა ნიკოლოზ I „ქეთილგონიერებისა და ზომიერებისაკენ", სთავაზობდა მას რჩევას: მორიგებოდა ინგლისსა და საფრანგეთს თუნდაც „ზოგიერთი უმნიშვნელო დათმობის" ფასადაც კი „ჩვენთვის უმთავრესი საკითხი, — სწერდა ვორონცოვი მეფეს, — რომლისგანაც დამოკიდებულია არა მარტო ჩვენი მოქმედების ხასიათი საერთოდ ამ მხარეში, არამედ შეიძლება მისი უშიშროებაც კი და თვით საშუალებანი შემდგომი შეტევითი მოქმედებისათვის მცირე აზიაში, — ეს საკითხია: ნამდვილად იქნებიან თუ არა ინგლისი და საფრანგეთი თურქებთან ჩვენს ომში ნეიტრალურნი, თუ ისინი ჩვენთან აშკარა საომარ მდგომარეობაში იქნებიან. მე ვიმედოვნებ და ღმერთს ვევე-

ლრეები, რომ ეს უკანასკნელი არ მოხდეს, თორემ მათი ესკადრების შავ ზღვაში შემოსვლის შემდეგ... შეიძლება უარესსაც ველოდეთ". „ასეთი ომის პირველი აქტიდან" ნაგრძობდა ვორონცოვი, — იქნება ის, რომ ჩვენ დაუყოვნებლივ დავკარგავთ თითქმის ყველა ჩვენს სიმაგრეს აღმოსავლეთ სანაპიროზე, და მე უკვე ველარ ვხედავ ამ გარნიზონების გადარჩენის შესაძლებლობას, რადგან ჩვენი ფლოტი ზღვაზე ვერ გამოჩნდება, ხოლო ამ სიმაგრეთა გარნიზონებს არ გააჩნიათ არავითარი უკანდასახევი გზა არც ნოვოროსიისკიდან, არც გელენჯიკიდან თვით აფხაზეთის საზღვრამდე. შავ ზღვაზე მტრის ძლიერი ფლოტისაგან დაცვის შესაძლებლობა ჩვენ არ მოგვეპოვება, ხოლო ყველაფრის დაკარგვას ამ სანაპიროზე, თუნდაც ნოვოროსიისკის შენარჩუნების შემთხვევაშიც, დამლუპველი შედეგი მოჰყვება კავკასიაში რუსეთის ძლიერებისათვის"[1]. თავის ამ მოსაზრებას თავ. ვორონცოვი მრავალგზის და დაჟინებით, მომაბეზრებლად იმეორებდა. თავის ერთ-ერთ ინსტრუქციაში გენ. რეადისადმი ის წერდა: „ღმერთმაც ქნას, რომ ომი ჩვენს შორის (რუსეთისა და ევროპის ქვეყნებს შორის — ე. ბ.) არ მოხდეს და მთელი ჩვენი სანაპირო ხაზი იქნება გადარჩეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა ეს ხაზი ეიხსნათ"[2]. ასე მტკიცნეულად ეხმაურებოდა კავკასიის მეფისნაცვალი და კავკასიის განსაკუთრებული კორპუსის მთავარსარდალი ევროპის ქვეყნებთან განხეთქილების შესაძლებლობას, რისი შედეგებიც მას კავკასიაში რუსული მმართველობის დასასრულად ეხატებოდა.

იმპერატორი ნიკოლოზ I, მიუხედავად იმისა, რომ კარგად ესმოდა ის საშინელი საფრთხე, რომელიც კავკასიას ემუქრებოდა შავ ზღვაში მოყავშირეთა ფლოტის გამოჩენით, მაინც შეუძლებლად თვლიდა დათანხმებოდა მ. ვორონცოვის „დამპყრობელ" წინადადებებს. „შენ ფრიად სამართლიანად შენიშნავ, — უპასუხებდა იგი მეფისნაცვალს, — რომ ინგლისთან და საფრანგეთთან განხეთქილება მნიშვნელოვნად ართულებს

---

[1] АКАК, т. X, стр. 341—342.

[2] ЦГИАГ, ф. Кавказского Комитета, № 1283, стр. 8, л. 415, л. 68.

ჩვენს მდგომარეობას კავკასიაში, მაგრამ შენი წინადადება იმის შესახებ, რომ წავიდეთ უმნიშვნელო დათმობებზე ჩვენს მოთხოვნებში, რათა განზეთქილება თავიდან ავიცილოთ, ნუხორციელებელია... ეჭვი არაა, რომ ჩვენი სანაპირო ხაზის მდგომარეობა საეალალოა. მისი ხსნა არც შენ შეგიძლია და არც მე. წინასწარ ვურიგდებით რა ჩვენი ფორტებისა და მათი გარნიზონების დაკარგვას, არ შეიძლება არ გამოეთქვა სინანული მათი მძიმე ხვედრის გამო, მაგრამ, ამის მიუხედავად დათმობებზე წასვლა შეუძლებელია, იგი ჩვენთვის უღირსი და დამამცირებელი იქნებოდა"[1].

ამრიგად, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს სიმაგრეთა და მათი გარნიზონების ბედი ყველას განწირულად და ტრაგიკულად მიაჩნდა. ვიცე-ადმირალ სერებრიაკოვის მოხსენებაზე ნიკოლოზ I შემდეგი შენიშვნა გააკეთა: „ამ უბედურ გარნიზონებს ნამდვილად დაღუპვის განაჩენი აქვთ გამოტანილი, ჩვენ უძლური ვართ მათ ვუშველოთ", ყოველ შემთხვევისათვის მთავრობამ მაინც მიიღო ღონისძიებანი სიმაგრეთა პერსონალის გადასარჩენად. ასე, მაგალითად, იმპერატორი პირადად ავალებდა თავ. მენშიკოვს დაკავშირებოდა სერებრიაკოვს და შეძლებისდაგვარად მოეგვარებინა ფორტების გარნიზონების მოხსნა და გადარჩენა.

1854 წლის 3 მარტს სანაპიროს ჩრდილო-დასავლეთ ზოლში (სანაპირო ხაზის მე-2 განყოფილება) დაიწყო გარნიზონების მოხსნის ოპერაციები. პირველი ცდა მშვიდობიანად ჩატარდა. მოხსნილი გარნიზონები მიჰყავდათ გელენჯიკსა და ფეოდოსიაში. 1854 წლის მარტის ბოლომდე დაცლილ იქნა ფორტები: გელენჯიკი, ნოვოროსიისკი და ანაპა. შემდეგში ეს ჯარები ყირიმის სანაპიროს დასაცავად გაწყესდა.

აფხაზეთის სანაპირო ზოლზე მსგავსი ოპერაციების ჩატარება მეტად რთული და ძნელი აღმოჩნდა. სარდლობას განსაკუთრებით აწუხებდა გაგრის გარნიზონის ბედი. თავისი მდებარეობით გაგრა იფარავდა ჩრდილოეთიდან აფხაზეთში ერთადერთ შესასვლელს. ამიტომ მის დატოვებას მოკყვებოდა

---

[1] „Кавказский сборник", т. XXV, стр. 127, Тифлис, 1907.

მთიელი ტომების დაუყოვნებლივ გაჭრა ზღვის სანაპიროზე გადაწყდა, რომ გაგრის გარნიზონი დაეტოვებინათ დროებით, ვიდრე დანარჩენ გარნიზონებს მოხსნიდნენ სიმაგრეებიდან.

სანაპირო ხაზის დასახლებული უბნის გაწმენდის მთელი ოპერაციები ხელისუფლებამ მიანდო აფხაზეთის მთავარს გენერალ-ადიუტანტს შერვაშიძეს. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ თავად შერვაშიძემ დიდი მუშაობა ჩაატარა, რათა ღირსეულად შეესრულებინა მასზე მინდობილი საქმე. მისი ენერგიული მოქმედების შედეგად აფხაზეთის სანაპიროებზე გარნიზონების მოხსნა წარმატებით განხორციელდა. გამოყენებულმა გარნიზონებმა (5 ბატალიონი) დაიბიეს სუხუმისაკენ, რის შედეგადაც მისი საბრძოლო პოტენციალი მნიშვნელოვნად გაძლიერდა.

გაგრის გარნიზონი გამოუვალ, ნამდვილად ტრაგიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. როგორც ითქვა, გადაწყდა, რომ ეს სიმაგრე უკანასკნელად უნდა დაცლილიყო, მაგრამ როცა ამის დრო დადგა, გამოირკვა, რომ ხალხის გადასაყვანად გემები არ იყო. გაგრის ფორტი გარნიზონითურთ, მიტოვებულ იქნა ბედის ანაბარად. „სიმაგრეს სამი მხრით მთები დაბყურებდნენ, — გადმოგვცემს რუსი ოფიცერი, — მეოთხე მხრით იგი ზღვას ეკვრის. ჩერქეზები გაგრიაში ჯარისკაცებს თოფს უშენდნენ. გარნიზონი შემისა და ფურაჟის მოპოვებას მხოლოდ ბრძოლით ახერხებდა. თვეობით იგი მხოლოდ დამარილებული ხორცითა და პურით იკვებებოდა. ბოსტნეული, ახალი ხორცი და შინაური ფრინველი მეჯნიერ ოშვიანობად ითვლებოდა. აფხაზეთის ნმელეთით კავშირის გაბმის საშუალება გაგრას არ ჰქონდა"[1].

გენ. რეადმა მდგომარეობიდან გამოსავალი მასში იპოვა, რომ 1854 წლის 12 მარტის ბრძანებით ნება დერთო გაგრის გარნიზონს „თეთრი დროშა გამოეფინა და ინგლისელებსა და ფრანგებს ტყვედ დანებებოდა". დამახასიათებელია, რომ გენ. რეადის ამგვარმა, რუსეთის საბრძოლო ისტორიაში გაუგონარმა, განკარგულებამ პეტერბურგის წრეებში აღშფოთება გამოიწვია. ამის გამო იმპერიის საომარი მინისტრი თავ. დოლ-

[1] „Русский Вестник", 1864, кн XI, стр 29

გორჩაკოვი 1854 წლის 31 მარტს თავ. ბარიატინსკისადმი წერდა: „მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის აზრით, სრულიად საც მე მთლიანად ვიზიარებ, მდგომარეობს იმაში, რომ რუსები კვდებიან, მაგრამ არ ნებდებიან. რაკი ჩვენ შევითვისეთ 1812 წლის ანდერძი, ერთადერთი შესატყვისი ვითარებასთან, თვით ფიქრიც კი თეთრ დროშაზე უკუგდებული უნდა იქნეს"[1].

გაგრის გარნიზონის გადარჩენის ოპერაციები ორი მხრიდან წარიმართა: მარჯვენა და მარცხენა ფლანგებიდან. პირველს ეიგე-ადმირალი სერებრიაკოვი ხელმძღვანელობდა, მეორეს — თავ. შერვაშიძე. ბოლოს და ბოლოს, გაგრის გარნიზონი, 600 კაცის რაოდენობით, მოხალისე ბერძენი ნავმტეს („შკიპერის") სერანდო ფოტის მიერ გადარჩენილი, 1854 წლის 23 აპრილს მშვიდობით იქნა მიყვანილი ქერჩში[2].

V სიმაგრეებიდან გარნიზონების გაყვანის შემდეგ, შავი ზღვის მთელი აღმოსავლეთი სანაპირო აღმოჩნდა მთლიანად ღია პლაცდარმი მტრის ფლოტისა და ჯარებისათვის. ამიერიდან მოწინააღმდეგეს შეეძლო სრულიად დაუბრკოლებლად განეხორციელებინა მთიელებთან და მის აგენტებთან კავშირურთიერთობა, მაგრამ საქმე ამით როდი მთავრდებოდა. სანაპირო ფორტების თავდაცვითი მნიშვნელობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული მთელ დასავლეთ საქართველოს თავდაცვის სისტემასთან. ამიტომ მთელი ეს მხარე, ამიერიდან ძალზე უნუგეშო მდგომარეობაში აღმოჩნდა. V

ეს გარემოება კარგად ესმოდათ თვით მეფის ხელისუფლების ოფიციალური მოხელეებს. „მთელი ეს საშუალო ოპერაცია, — წერდა ა. ბისერმანი, — უკვე ჩვენს სასტიკად დამარცხებას ეფრიდა. ჩვენ მივატოვეთ სიმაგრეები და ნაგებობანი, რომელთა შექმნა დიდძალი სისხლი და ფული დაგვიჯდა, მივატოვეთ, რადგან, შეუძლებელი იყო მათი ერთდროული დაცვა, ერთი მხრით, მოწინააღმდეგის ფლოტისაგან, ხოლო მეორე მხრით, ჩერქეზთა იერიშებისაგან. შავი ზღვის სანაპირო ხაზის

---

[1] „Русский архив", 1889, 9, стр. 60—61.

[2] მიმოწერა და ცნობები. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე გარნიზონების მოხსნის შესახებ იხ. АКАК, т. XI, стр. 268, 275; 698—700.

დატოვება წარმოადგენდა ამ პირქუში ეპოქის ერთ-ერთ ყველაზე ლალო მოელენას"[1].

ბიბლიოთეკა

ფ. მარქსი და ფ. ენგელსი, გულდასმით აღევნებდნენ თვალყურს სათმარი ამბების განვითარებას საქართველოსა და ამიერკავკასიის საზღვრებზე და სათანადოდ გამოეხმაურნენ რუსთა ჯარების მიერ შავი ზღვის სანაპირო ხაზის მიტოვებას. ფ. ენგელსმა ფრიად თავისებურად შეაფასა კავკასიის საერდლობის მიერ ჩატარებული ოპერაცია. „თუ არ ჩავთვლით სილისტრიასთან რუსების გაუთვალისწინებელ და მოულოდნელ დამარცხებას, — წერდა ფ. ენგელსი, — მაშინ ერთადერთი პუნქტი, სადაც მათ ზარალი ნახეს და გარემოცული არიან საშიშროებით, ეს არის კავკასია... მათ დატოვეს თითქმის ყველა თავიანთი სიმაგრე შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე არა მოკავშირეთა ფლოტის შიშით, არამედ იმისათვის, რომ გაეძლიერონ თავიანთი არმია საქართველოში... რუსების მინელური მოწმობს, ყოველ შემთხვევაში, იმას, რომ მათ საქართველოში თავიანთი მდგომარეობა არამტკიცედ ხათვალეს (ლაპარაკია რუსი ჯარების ნაკლებობის შესახებ საქართველოში — ე. ბ.) და რომ სანაპიროს მხრიდან მაშველი ჯარები მათთვის უკიდურეს საჭიროებას წარმოადგენდა"[2]. ისტორიული დოკუმენტები ნათელყოფენ იმ კატასტროფულ მდგომარეობას, რომლებშიც

---

[1] „Русский архив", 1892, стр. 510.

[2] К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. X, стр. 88.

საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ ფ. ენგელსის შენიშვნა — სილისტრიასთან რუსი ჯარების ვითომდა დამარცხების შესახებ 1854 წ. 8 ივლისს სწორად არ გადმოსცემს საქმის ვითარებას. ალადენიკოსმა ე. ტარლემ თავის კაპიტალურ გამოკვლევაში ყირიმის ომის შესახებ უტყუარი ფაქტები მასალის საფუძველზე დამაჯერებლად გასწია ფ. ენგელსის ამ უნებლიე შეცდომის ფესვები. ისტორიკოსმა დაამტკიცა, რომ სილისტრიასთან არავითარ დამარცხებას ადგილი არ ჰქონია. ასეთი ეერსია შეთხზა და მოუთრი გასაქმეულმა ბაჭიამ და ხლესტაკოვის ჯიშის ცრუპენტელამ — ომერ-ფაშამ, შემდეგ კი იგი აიტაცეს და ფართოდ გავრცელეს ინგლისელმა ანტარტალა კორესპონდენტებმა. ფ. ენგელსს, რომელიც სარგებლობდა მაშინდელი ტენდენციური პრესის ფურცლებიდან ამოკრეფილი მასალით, ცხადია, არ შეეძლო სცოდნოდა, რომ ცნობა სილისტრიასთან „რუსების დამარცხების" შესახებ სინამდვილეს არ შეესაბამებოდა.

აღმოჩნდა მთელი დასავლეთი საქართველო ადგილობრივი მთავარსარდლობის უხიაგი მანევრების მეოხებით. ამავე დროს უდიდესი განსაცდელის ჟამს, 1855 წლის შემოდგომაზე, როცა ქვეყნის წინაშე ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგა, ეს ასპარეზი მოწოდებული იყო ფრიად საპატიო როლი ეთამაშნა. ომის დამთავრების წელს საომარი მოქმედების მთავარ ასპარეზად შავი ზღვის სანაპირო რაიონები იქცა.

ჯერ კიდევ 1854 წლის დასაწყისს თავ. ვორონცოვი სათანადოდ ითვალისწინებდა შავი ზღვის ნაპირებიდან მოსალოდნელ საფრთხეს. თბილისიდან გამგზავრების წინ შედგენილ ინსტრუქციაში მისი შემცვლელის გენერალ რეადის სახელზე იგი წერდა: „ვეზებით რა სანაპირო ხაზს, საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩვენ გვაქვს სახიფათო მხარე გურიასა და სამეგრელოში. ეს ორი პროვინცია შავი ზღვის ნაპირას მდებარეობს. თუკი როგორც შეიძლება ვიცარაუდოთ, მოწინააღმდეგე გადმოსხამს ძლიერ დესანტს ფოთისა და რედუტ-კალეს მახლობლად, ამის შედეგად ჩვენ გვექნება დიდი დაბრკოლება და შეიძლება მოგვიხდეს კიდეც მთავარი მოქმედი კორპუსის შესუსტება, რითაც იგი დავუპირისპიროთ დესანტს და არ შემოუშვათ მტერი საქართველოს შიგნით“ [1]. როგორც გამოირკვა, ეს გამაფრთხილებელი სიგნალები არ გახადეს ყურადღების ღირსად თავ. ვორონცოვის მემკვიდრეებმა კავკასიის მთავარსარდლის პოსტზე — გენერლებმა რეადმა და მურავიოვმა. ეს უკანასკნელნი სრული უდარდელობით მოეკიდნენ „რიონის მხარის“ თავდაცვისა და გურიის რაზმის ბრძოლის უნარიანობის საკითხებს.

ომის ყველაზე კრიტიკულ მომენტში გურიისა და ახალციხის რაზმების უფროსად დაინიშნა გენერალ-ლეიტენანტი ივანე შალხაზის-ძე ანდრონიკაშვილი. საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ ორი რაზმის — გურიისა და ახალციხის სამხედრო შენაერთების გაერთიანება საერთო მეთაურობის ქვეშ დროებითი ღონისძიება იყო. კავკასიის კორპუსის შტაბის უფროსი თავ. ბარიატინსკი 1854 წ. 4 მარტს ამის გამო თავ. ბებუთოვს

[1] ЦГИАЛ, фонд „Кавказского Комитета“, № 1258, оп. 8, д. 415, л. 68.

სწერდა, რომ მთავარსარდალი საჭიროდ თვლის, მთავარი რაზმის მიერ შეტევითი ოპერაციების დაწყებამდე, გურიისა და ახალციხის რაზმები გენერალ-ლეიტენანტ თავ. ანდრონიკაშვილს დაუქვემდებაროს. ეს შეიძლება იყოს მხოლოდ დროებითი ღონისძიება და, როგორც კი თქვენ შეტევაზე გადახვალთ, ახალციხის რაზმი ხელახლა ჩამოიცილდება გურიისას[1].

თავ. ი. მ. ანდრონიკაშვილი ერთ-ერთი უძველესი ქართული არისტოკრატიული გვარის წარმომადგენელი, ერეკლე II შვილიშვილი იყო, იგი კავკასიის კორპუსის მამაც, გაბედულ და გამბრძოლ გენერალთა რიცხვს ეკუთვნოდა. მან ჯერ კიდევ სპარსეთთან ომის დროს, როცა იგი ნიკოგოროდის დრაგუნთა პოლკში მსახურობდა, მიიქცია ყურადღება თავის არაჩვეულებრივი მამაცობით ელიზავეტოპოლთან და ჯევანბულახთან. თურქეთთან ომის დროს (1828 — 1829) თავ. ანდრონიკაშვილმა თავისი მამაცობითა და ვაჟკაცობით გიორგის ჯვარი დაიმსახურა და ნიკოგოროდის პოლკის შეთაური გახდა. მისი ბუნებრივი, სალი გონება და პრინციპულობა ავსებდა მისი განათლების ხარვეზებს. თავ. ანდრონიკაშვილი 1849 წლიდან წარმატებით ართმევს თავს თბილისის სამხედრო გუბერნატორის რთულ თანამდებობას. იგი იყო, როგორც მასზე წერდნენ, „პირად დამოკიდებულების დროს უბრალო,.. გულით კეთილშობილი, სულით მამაცი და უშიშარი“[2].

ერთი მისი ყოფილი თანამოსაგრე ასე ახასიათებდა თავ. ანდრონიკაშვილს: „ეს იყო ძველი, კეთილი დროის ნამდვილი ქართველი თავადი, რომელსაც არ მიუღია მეცნიერული განათლება, მაგრამ გამოირჩეოდა შესანიშნავი ბუნებრივი ნიჭით და საბრძოლო გამოცდილებით... იგი უყვარდა ყველას მისი თვითმყოფადი ორიგინალობისათვის, პატრიარქალური სტუმართმოყვარეობისათვის, უანგარო პატიოსნებისა და ადამიანებისადმი კეთილმოსურნეობისათვის“[3]. სწორედ ამ თვისების წყალობით, განსაკუთრებით პატიოსნებისა და კეთილშობილე-

---

[1] „Русская старина“, 1883, т. XII, стр. 532.

[2] „Кавказский сборник“, 1907, т. XXVI, стр. 129 (თავ. ამილახვრის ჩან წერილიდან).

[3] „ძველ.

ბისათვის, გულკეთილობისა და ალალმართლობისათვის თავად ანდრონიკაშვილის სახელი, როგორც მისი თანამედროვენი მოწმობენ, ფართოდ პოპულარული იყო მის ხელქვეითებს შორის. ი. მ. ანდრონიკაშვილის ამ ფართო პოპულარობამ, „ზნეობრივმა ძალამ", როგორც თავ. ვორონცოვი იტყოდა, — პატიოსანმა და ალალმართალმა დამოკიდებულებამ თავისი სამსახურებრივი მოვალეობისადმი — მიიქცია თავ. ვორონცოვის ყურადღება. მეფისნაცვალი მის მიმართ გამსჭვალული იყო პატივისცემის, ნდობისა და მადლიერების გრძნობით[1]. კიდევ ერთი თვისება გააჩნდა თავ. ანდრონიკაშვილს, იგი რუსული ორიენტაციის ურყევი მომხრე იყო და, ამავე დროს, მხურვალედ უყვარდა თავისი სამშობლო — საქართველო.

ამოცანა, რომელიც თავ. ანდრონიკაშვილს 1854 წლის თებერვლიდან დაეკისრა, ადვილი არ იყო. თურქების წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედების დაწყებამდე საჭირო იყო წესრიგში მოეყვანა საჯარისო შენაერთები. 1854 წლის დასაწყისში გურიის რაზმი საკუთარ სანახაობას წარმოადგენდა როგორც მატერიალურად, ისე მორალურადაც. რუს მებრძოლებს, რომლებიც მიუსვეველნი იყვნენ ზღვის სანაპიროს ნესტიან და ჭაობიან კლიმატს, ციებცხელებამ და სხვა ავადმყოფობამ დარია ხელი, რაზმის პირადი შემადგენლობის მხოლოდ ერთი მეოთხედი იყო ბრძოლის უნარიანი, ამას ზედ ერთვოდა უდიდესი სიძნელეები ჯარების სურსათ-სანოვაგით მომარაგების საქმეში. ქუთაისის გუბერნიაში იმ დროს თითქმის შეუძლებელი იყო სახორცე პირუტყვისა და ბოსტნეულის დამზადებაშესყიდვა, ხოლო გზების ფუჭარგისობის გამო, ხორაგეულით დატვირთული ურმები დანიშნულ ადგილს იშვიათად აღწევდნენ. ამიტომაც, ჯარისკაცები და მოლაშქრეები მთელი კვირეობით რჩებოდნენ ხორცისა და პურის გარეშე. თივისა და ქერის უქონლობის გამო, ჭაობის ბალახის ამარა დარჩენილი ცხენების ნახევარზე მეტი დაიხოცა, ხოლო დანარჩენები იმდენად დასუსტდნენ, რომ ჯარისათვის ალარ ვარგოდა და მწყობრიდან გამოსულად ითვლებოდნენ. რაზმს არ გააჩნდა

---

1 იხ. თავ. ვორონცოვისა და ანდრონიკაშვილის მიმოწერა, **ЦГИАГ, ф. 941, д. 3, л. 2—18.**

არა მარტო საარტილერიო პარკი, არამედ არ ჰქონდა არსებული ქვემეხებისათვის საჭირო ჭურვებიც კი. წარმოუდგენელ ბოროტმოქმედებებს, აშკარა ძარცვასა და სხვ. უწესოებას, რასაც რაზმის უფროსი მოხელეები ჩადიოდნენ, ჯარის დეზორგანიზაციას იწვევდა, ხოლო მეორე მხრივ ხელს უწყობდა მითქმა-მოთქმასა და უკმაყოფილებას ადგილობრივ მოსახლეობაში [1].

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ რთულ ვითარებაში თავ. ანდრონიკაშვილის ორი რაზმის უფროსად დანიშვნამ, რომელიც მოქმედებდა უზარმაზარ სივრცეზე — ახალციხიდან შავ ზღვამდე, ბევრი გააკვირვა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ზოგიერთმა დიდებულმა გაბედა თვით თავ. ვორონცოვისათვის ამის გამო პირში ესაყვედურნათ. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ანდრონიკაშვილს, რომელსაც განათლება არა აქვს, არ შეუძლია თავი გაართვას მასზე დაკისრებულ მძიმე მოვალეობასო. გენ. მამაცაშვილი თავის მოგონებებში წერს: „მე თვით ვორონცოვის მორიგე ადიუტანტი თავადი დიმიტრი მირსკი მოვიყვანე: როცა ანდრონიკაშვილის დანიშვნა ცნობილი გახდა, ერთმა გავლენიანმა და ვორონცოვთან დაახლოებულმა პირმა გადაკრა მას, რომ არა მგონია თავადმა ივანე მალხაზის-ძემ შეასრულოს ასეთი რთული ამოცანაო. „რატომ?“ — ჰკითხა ვორონცოვმა. „იგი საკმაოთ უსწავლელი კაცია, თქვენო ბრწყინვალებავ, იმდენად გაუნათლებელი, რომ ძლივსღა შეუძლია თავისი გვარი მოაწეროსო“. — ეს მართალია, — უპასუხა ვორონცოვმა, — მაგრამ ამას ბელი არ შეუშლია მისთვის ბრწყინვალე გამარჯვება მოეპოვებია ახალციხესთან. მას აქვს ზნეობრივი ძალა, იგი იცნობს ჯარს და ჯარი იცნობს მას უკეთ, ვიდრე ჩვენ თქვენთან ერთად. თავადი ვორონცოვი მართალი იყო, დასძენს მოგონების ავტორი. ივანე მალხაზის ძე ეკუთვნოდა ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებულ იმ ბელადებს, რომლებსაც შეუძლიათ მოიპოვონ გამარჯვება და, რომლებიც მიუხედავად მეცნიერული განათლების ნაკლებობისა, თავიანთ

[1] ცნობები გერიის რაზმის შესახებ იხ. ЦГИАГ, ф. 1087, д. 441, л. 30.

სახელებს სტოვებენ ისტორიაში[1]. ანდრონიკაშვილის ეს დახასიათება იმ დროს თითქმის საერთო აზრს გამოხატავდა.

V 1854 წლის მარტის ბოლოს გურიის რაზმი ჯერ კიდევ არ იყო მთლიანად დაკომპლექტებული. თავ. გაგარინის უფროსობის ქვეშ ითვლებოდა სულ რეგულარული ჯარის 10 ½ ბატალიონი და 2 ასეული — 12 ქვემეხით, აგრეთვე 40 ასეულამდე სხვადასხვა სახის მილიცია. აღნიშნულ ჯარებს დაკავებული ჰქონდათ ოზურგეთის განაპირა მხარეები და ჩოხატაურის სტრატეგიული სიმაღლეები.

რაზმის უფროსის წინაშე იდგა გადაუდებელი ამოცანა — დაემყარებია მჭიდრო და მოხერხებული კავშირი გურიისა და ახალციხის რაზმებს შორის, უზრუნველეყო მათი მოქმედების კოორდინაცია. ამის გამო, თავ. ანდრონიკაშვილის მოთხოვნით, გენ. რეადი 1854 წლის 8 მარტს ქუთაისის საამხედრო გუბერნატორს სწერდა: „მომავალი საამხედრო მოქმედების დროს აუცილებელია, რომ გურიისა და ახალციხის რაზმები, საჭიროების შემთხვევაში, დეხმარონ ერთმანეთს, მაგრამ ეს ურთიერთ დახმარება დიდად გაძნელდება და აგრეთვე გაჭიანურდება, თუ მიმოსვლა იწარმოებს მთავარი გზით — სურამის მიჯნაზე გავლით. ამიტომ გენერალ-ლეიტენანტმა თავ. ანდრონიკაშვილმა ამ მიზნით იმერეთსა და ახალციხეს შორის არსებული მთის რამდენიმე გზიდან აირჩია ერთი — აბასთუმნის გზა, რომელიც ახლა წარმოადგენს მთავარსა და პირდაპირ სასაპალნე გზას მხარის ამ ნაწილებს შორის". დრ. მთავარსარდალი წინადადებას აძლევდა ქუთაისის გუბერნატორს წესრიგში მოეყვანა აბასთუმნის გზა ჯარების მოძრაობისათვის, საჭიროების შემთხვევაში გაეკაფა ტყეები, შეერჩია ამ გზაზე სათანადო პუნქტები და გაემაგრებინა ისინი გაძლიერებული პიკეტებით ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთაგან[2].

უნდა შევნიშნოთ, რომ მსგავსი გადაწყვეტილება მთლიანად შეესაბამებოდა ბრძოლის ორივე ფრონტის ინტერესებს. გურიისა და ახალციხის რაზმების მჭიდრო კავშირი და ურთიერთ

---

[1] „Кавказ", 1900, № 242.

[2] ЦГИАГ, ф. 939, д. 2, л. 3.

დაბმარება თითქმის აუცილებელი ხდებოდა. ტყეილად, [illegible] თვლიდა საჭიროდ გენ. რეადი გაეფრთხილებინა ახალციხის რაზმის უფროსი გენ. კოვალევსკი, რომ „ბათუმიდან და სოხუმ-კალედან შემოტევასთან ერთად, მტერს შეუძლია შეტევაზე გადმოვიდეს აგრეთვე არდაგანის მხრიდან და აჭარიდან ახალციხის წინააღმდეგ, — სწორედ ამიტომ ამ პუნქტის დაცვა შეადგენს პირველხარისხოვან ამოცანას"[1].

ჩავიდა თუ არა მარტის ბოლოს ოზურგეთში, თავ. ანდრონიკაშვილმა, უწინარეს ყოვლისა, დაიწყო გადამწყვეტი ბრძოლა რაზმში უწესრიგობისა და ბოროტმოქმედების წინააღმდეგ. თავის პირველ ბრძანებაში (1854 წლის 23 მარტი) წერდა: „ოზურგეთში მოსვლისას მოსახლეობამ საჩივრით მომმართა გურიის რაზმის ჯარების მხრით უწესო საქციელის გამო, რაც გაუგონარია რუსეთის არმიის ისტორიაში". თავ. ანდრონიკაშვილი იძულებული იყო აღენიშნა, რომ უწესრიგობა უვარგის ხელმძღვანელობასა და მეთვალყურეობას უნდა მიეწეროს, ამის გამო იგი საჭიროდ თვლის „მკაცრად გაეფრთხილოს პოლკების, ბატალიონების, ბატარეებისა და ასეულების მეთაურები"[2].

შემდეგ ბრძანებებში ანდრონიკაშვილი მიუთითებდა, რომ „ლენთი და ტყვია მილიციის დიდი ყალიბის თოფებს ეძლევა არა საკმაოდ: ნაცვლად თითო გასროლაზე კუთვნილი 2½ მისხალ ლენთისა ეძლევათ მხოლოდ 1 ½ მისხალი; ხოლო ტყვია — 3 მისხალი, ნაცვლად — 5 მისხლისა და სხვა". თავ. ანდრონიკაშვილი აღნიშნავს აგრეთვე, რომ „გურიის რაზმის ცხენები და ჯარები აღმოჩნდნენ წარმოუდგენლად ცუდ, დაუძლურებულ მდგომარეობაში". მარტო პირველ პოლკში დაიხოცა 224 ცხენი. დამნაშავენი ამ საქმეში არიან პოლკის მეთაურები და სხვა. გურიის რაზმში არტილერიის ცხენების დაუძლურებისაგან მასობრივი დაცემა საბუთდება სხვა უტყუარი დოკუმენტებითაც, რომლებიც ქუთაისის გუბერნიის სამმართველოს არქივსაცავში ინახება[3].

---

[1] ЦГИАГ, ф. 941, д. 6, л. 13.

[2] იქვე.

[3] ქუთაისის ყოფ. საგუბერნიო არქივი, ს. 525, ფურც. 4490.

თავ. ანდრონიკაშვილმა ჩაატარა ენერგიული ბრძოლა ზინის ქურდების, მექრთამეებისა და გამომძალველების წინააღმდეგ. იგი დაუნდობლად ამხილებდა „სახელმოხვეჭილ“ კომბინატორებს, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა პოლკოვნიკი ყორღანოვი. ყორღანოვი არაერთგზის ყოფილა შემჩნეული მთელ ამ უმსგავსოებაში, მაგრამ თავ. გაგარინის მფარველობის წყალობით, თავს არხეინად გრძნობდა. ანდრონიკაშვილის ყველა ცდა ჩამოეცილებინა რაზმიდან ყორღანოვი, უშედეგოდ დარჩა.

დამახასიათებელია, რომ თავ. ვორონცოვი, რომელმაც კარგად იცოდა პოლკ. ყორღანოვის უხიაგი ზნე-ჩვეულება, ენერგიულად ცდილობდა ზღვარი დაედო მისი აღმაშფოთებელი მოქმედებისათვის. 1854 წლის 30 მარტს, ვ. ვორონცოვი ანდრონიკაშვილს სწერდა: „როცა ჩვენ ერთმანეთს ვამოვემშვიდობეთ, ჩემი ერთადერთი რჩევა იყო დაუყოვნებლივ მოგეცილებია იქედან ყორღანოვი. გაგარინთან მისი ლატო�eba ყოველად შეუწყნარებელია. თუ ამით გაგარინი განაწყენდება... ამას ნუ მიაქცევ ყურადღებას, თვით იგია ყოველმხრივ დამნაშავე. ახლა თქვენზეა დამოკიდებული: იგი ან ქუთაისში გაგზავნეთ, ანდა სხვა რაიმე დავალება მიეცით“[1].

თავის დაგვიანებულ პასუხში, რომელიც 21 ივნისით არის დათარიღებული, ბორჯომში სამკურნალოდ მყოფი ანდრონიკაშვილი მწუხარებით წერდა: „თავ. გაგარინის კეთილი გულის წყალობით ყორღანოვის მსგავსი იმდენი აღმოჩნდა, რომ მე არც დრო მქონდა და არც შესაძლებლობა ყველა მათ გავმკლავებოდი. ამიტომ მე ჩემთვის უდიდეს წყალობად მივიჩნევდი განთავისუფლებას, როგორც გურიის რაზმის უფროსობისაგან, ასევე ქუთაისის გუბერნიის უფროსობისაგანაც, რადგან, რაც მე იქ გადავიტანე, უძლური ვარ ყველაფერი აღვწერო“[2].

თავ. გაგარინის შესახებ უნდა ითქვას, რომ პირადად იგი მამაცი და გამბედავი მებრძოლი იყო, მაგრამ, მას უსაზღვ-

---

[1] ЦГИАГ. ф. 941, д. 3, л. 2.

[2] там же, л. 18.

როდ ყადნიერსა და ამპარტავანს, როგორც თანამედროვენი ადასტურებენ, სრულიადაც არ გააჩნდა დამოუკიდებელი ბინისტრატორისა და სარდლის აუცილებელი თვისებები. თვით იმპერატორიც არ ყოფილა გაგარინზე დიდი წარმოდგენის. 1853 წლის ბოლოს ნიკოლოზ I თავ. ვორონცოვს სწერდა: „უნდა გამოგიტყდეთ, მეშინია მხოლოდ თქვენი მარჯვენა ფლანგისა (ლაპარაკია ქუთაისის გუბერნიაზე — ე. ბ.), იქ საჭიროა დამოუკიდებელი რაზმი და საიმედო უფროსი. ასეთია თუ არა თავ. გაგარინი? — არ ვიცი, ისიც არ ვიცი, სად შეიძინა მან გამოცდილება"[1].

მაგრამ მოყლებული იყო რა სარდლის მაღალ ღირსებას, სამაგიეროდ, თავ. გაგარინი უხვად იყო დაჯილდოვებული ფრიად საეჭვო პირადი თვისებებით. მისი ბატონყმაცური ქედმაღლობა, პატივმოყვარეობა და ადგილობრივი ტრადიციებისა და ცოცხალი ადამიანებისადმი სრული უპატივცემლობა გახდა იმის მიზეზი, რომ პირადად მან ბოლომდე ვერ მოიპოვა სარდლისა და გუბერნატორისათვის საჭირო თავის დროისათვის შესაფერი მორალური ძალა, ვერ დაიმსახურა პატივისცემა, ხოლო ეს იმით დასრულდა, რომ 1857 წლის 22 ოქტომბერს ამას მოჰყვა სასხლიანი ღრამა გენერალ-გუბერნატორ თავ. გაგარინსა და სვანეთის მთავარ კონსტანტინე დადეშქელიანს შორის ჭ. ქუთაისში.

გენ. რეადისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ მოხსენებაში თავ. ანდრონიკაშვილი, ჩამოთვლიდა რა თავად გაგარინის მფარველობით ჩადენილ შარლატანობისა და გამოძალვის მრავალრიცხოვან ფაქტებს, აკეთებდა ფრიად საგულისხმო დასკვნას: „ჩემთვის დიდად საშუბარია, რომ მსგავსმა ბოროტმოქმედებებმა აქაური ხალხი იმ რწმენამდე მიიყვანა, თითქოს არ მოიძებნება ქვეყნად ადამიანი, განსაკუთრებით საბსახურში მყოფი, რომელიც არ იყენებდეს ბოროტად ხელსაყრელ შემთხვევას. უბედურება იმაშია, რომ ეს საშინელი ბოროტება გრძელდება ჩემს დროს და შეიძლება გაგრძელდეს შემდგომაც, რადგანაც მრავალი საქმით დაკავებულს არც მე, არც

[1] АКАК, т. X, стр. 769.

ჩემთან მყოფ პირებს არ შეუძლიათ თვალყურის ადევნონ ამას"[1].

V მიიღო რა ცნობა გურიის წინააღმდეგ თურქების შეტევაზე გადასვლის განზრახვის შესახებ და ეშინოდა რა თავის ისედაც დასუსტებული ჯარის იზოლაციისა, თავ. ანდრონიკაშვილმა გადაწყვიტა დაეცალა ჩოლოქის სანაპირო, დაეტოვებინა ოზურგეთი, გადმოეყვანა გურიის რაზმი რიონის ახლოს— აკეთის სიმაღლეებისაკენ. V რეგულარული ჯარის ოზურგეთიდან უბრძოლველად უკანდახევამ, რაც ფაქტიურად თურქების ხელში აგდებდა გურიის ნახევარს, ადგილობრივი მოსახლეობა დიდად შეაშფოთა. „როცა მე ოზურგეთში მივედი, — იუწყება გენ. მამაცაშვილი, — ყველანი შეშფოთებული ვიხილე: ცნობა მოვიდა, რომ თურქების კორპუსი უკვე ბათუმიდან გამოვიდა, ჩვენი გურიის რაზმი ემზადებოდა ოზურგეთის დასატოვებლად. ჩემთვის ეს გაუგებარი იყო, იმიტომ რომ ოზურგეთთან ერთად ჩვენ თურქებს ნახევარ გურიას ვუთმობდით. მე ვერ მოვითმინე და ამის შესახებ თავ. ანდრონიკაშვილს შევხვლე. „ეჰ, ძმაო, — მიპასუხა ივანე მალხაზის-ძემ, — გაგარინის ბატალიონები იქამდე არიან ილაჯგაწყვეტილი ცეცხლებისა და ცუდი მოვლით, რომ ვიდრე ბრძოლაში ჩაებმებიან, საჭიროა მებრძოლები რიგიანად გამოჯანმრთელდნენ". — თავადი გაგარინი რატომ არ ზრუნავდა მათ მოვლაზე? — შევეკითხე მე. — „რა შუაშია აქ გაგარინი. — მიპასუხა თავადმა, — გზა არ არის, ძმაო, პური არაა, ფული არაა — რას იზამ... არა, გაუშვი დაისვენონ. ამასთან, — დაუმატა მან უცებად, — თურქები ოზურგეთზე არ წავლენ, ისინი შემოვლით პირდაპირ ქუთაისისაკენ გაეშურებიან და ჩვენ მოწყვეტილი აღმოვჩნდებით. შერწმუნე, ძმაო, როგორც კი ჩვენ რიონისაკენ დავიხევთ, თურქები შეჩერდებიან და დადგებიან, ამასობაში ჩვენ დავისვენებთ და მოვკრებინდებით..." ყველაფერი ეს ითქვა სრულიად უბრალოდ, ნათლად და დამაჯერებლად, დაასკვნის გენ. მამაცაშვილი[2].

---

[1] ЦГИАГ, ф. 941, д. 4, л. 3.

[2] ЦГИАГ, ф. 1087, д. 1259, л. 3.

თავ. ანდრონიკაშვილის მიერ თავდაპერილად გამოთქმული აზრი გაგარინის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ რაზმის ცენტრ მდგომარეობაში ყოფნის მთავარი დამნაშავე ეს უკანასკნელი იყო, ერთხელ კიდევ თავ. ანდრონიკაშვილის კეთილშობილებასა და სულგრძელობაზე მეტყველებს. სამწუხაროდ, გაგარინები, ბრუნერები, სოლოგუბები და სხვა დიდებულები პეტერბურგის სალონებიდან ყოველთვის როდი უხდიდნენ მას იმავე სულგრძელობით.

შეიძლება ეამტკიცოთ, რომ ანდრონიკაშვილის გაბედული გადაწყვეტილება გურიიდან უკანდახევის შესახებ შექმნილ ვითარებაში იყო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება. დროებითი უკანდახევის ეს ტაქტიკური მანევრი მოფიქრებული და ლრმად დამუშავებული იყო რაზმის უფროსის მიერ. სულ მოკლე ხანში ამბებმა მთლიანად დაადასტურეს ანდრონიკაშვილის ვარაუდი და წინასწარგანზრახულება.

გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ანდრონიკაშვილისათვის უცხო არ იყო სტრატეგიული მანევრის და ტაქტიკური უკანდახევის მაღალი ხელოვნება. ამ მხრივ საინტერესოა მაშინდელი მიმოწერა თბილისსა და პეტერბურგს შორის. 1854 წლის 9 მაისის პატაკში გენერალი რეადი სამხედრო მინისტრს სწერდა: „თავ. ანდრონიკაშვილი, გურიის რაზმისა და იმ ადგილების მტრისაგან გარშემორტყმის შიშით, სადაც მისი სამხედრო და სურსათის საწყობები იყო, იძულებული გახდა ერთბაშად შეეცვალა თავისი რაზმის განლაგების ადგილი და დაეხია ჩოხატაურის პოზიციებსა და მდ. ცხენის-წყლის შესართავისაკენ... ჩემი აზრით, რომელიც მე არ შეშიძლია არ გაცნობოთ, მას სურს თურქებს მისცეს მეტი დრო, რათა მათ მოზიდონ გურიაში არტილერიაც, ტვირთიც და შემოიტყუებს რა მათ არაჩვეულებრივ მდგომარეობაში, იმედოვნებს, სულ ერთიანად გაანადგუროს ისინი"[1].

თავ. ანდრონიკაშვილის შორს გამიზნული სტრატეგიული ჩანაფიქრი, რომელიც სამხედრო ხელოვნებაში „სამხედრო

[1] „Русский архив", 1888, 69. стр. 89.

ეშმაკობად" იწოდება, დასტურდება სხვა საარქივო მონაცემებ-
ბითაც. ნრკვევა, რომ 1854 წლის აპრილში მან განგებ[illegible]
ცელა ხმა იმის შესახებ, რომ თურქეთის სასარგებლოდ ინგლი-
სისა და საფრანგეთის ომში ჩაბმამ თითქოს ისეთი პანიკა და
არეულობა გამოიწვია, რომ რუსის ჯარები ემზადებიან გაწ-
მინდონ არა მარტო გურია და სამეგრელო, არამედ მთელი
იმერეთიც, რათა ძალებს თავი მოუყარონ თბილისთან, ამ
ყალბმა ხმებმა მართლაც შეიყვანა შეცდომაში თურქი სარდ-
ლები, მათ შორის ძლიერ ფრთხილი მუშირი სელიმ-ფაშაც,
რომელმაც, დაბოლოს, გაბედა კიდეც შემოჭრა გურიაში და
თავის ავანგარდით დაიკავა ქ. ოზურგეთი[1]. ანდრონიკაშვილი
ამას მოელოდა და კიდეც მოემზადა გადამწყვეტი დარტყმი-
სათვის.

თავ. ანდრონიკაშვილის გონებამახვილი შენიშვნები სპე-
ციალური კომისიის წინადადებებზე გურიის, სამეგრელოსა
და იმერეთის დაცვის შესახებ, რომელიც დათარიღებულია
1854 წლის 30 მარტით, კიდევ უფრო ნათელს ხდის მის მუ-
ნებრივ საზრიანობას, სტრატეგიულ ნიჭსა და გამჭრიახობას.
„გურიას, სამეგრელოსა და იმერეთის დაცვის შესახებ შედ-
გენილი საგარაუდო გეგმები არ შეესატყვისება ჩემს წარმოდ-
გენას, — წერდა ის თავის პასუხში, — რადგან ჯარის დაქუცმ-
აცება მცირე ნაწილებად და ჭარბი ძალების წინააღმდეგ
ბრძოლით უკანდახევა ისეთ გზებზე, როგორიც ოზურგეთიდან
ცხენისწყლის შესართავამდე და სამეგრელოს სხვა ადგილებ-
შია, აუცილებლად გამოიწვევს იმას, რომ ქვემეხები და მთელი
მძიმე ბარგი გზაში იქნება მიტოვებული". გენ. ანდრონიკაშვი-
ლი პუნქტუალურად არჩევდა და საფუძვლიანი არგუმენტე-
ბით შეაცრად აკრიტიკებდა კომისიის მიერ თავდაცვის შესახებ
წარმოდგენილ პროექტს და იქვე აყალიბებდა თავის პოზიტი-
ურ შეხედულებებსა და მოსაზრებებს. ამავე დროს იგი ვარა-
უდობდა, რომ მოწინააღმდეგის მიერ „გურიის რაზმი შემოვ-
ლილი იქნება როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა ფლანგიდან და
მტერს შესაძლებლობა ექნება არა მარტო ჭუთაისის დაკავე-

---

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 442, л. 4.

ბისა, არამედ თბილისისაკენ გზაც გაეხსნებაო"[1]. დავმოწმდეთ ... კომისიის წინადადებები, როგორც „საზიანო და მიუღებელი", ... ანდრონიკაშვილმა თავის შენიშვნებში გამოავლინა საკმაოდ კრიტიკული გონება და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თავისი სამხედრო ნიჭის საკმაოდ ფართო დიაპაზონი.

რევოლარული ჯარების წასვლის შემდეგ გურიის მოსახლეობა სასწრაფოდ იკრიბებოდა ოზურგეთის ტაძრისა და სოფლის ეკლესიებში, სადაც საზეიმოდ სდებდა ფიცს, რომ არ შეეშალეებდნენ თურქ დამპყრობლებს, ბოლომდე დაიცავდნენ თავიანთ საშობლოს და საკუთარ კერას. თითქმის დასავლეთ გურიის მთელი მოსახლეობა ერთსულოვნად აღსდგა და იარაღს მოკიდა ხელი. გურია-თურქეთის საზღვრის დაცვის მთელი საქმე ამიერიდან გადავიდა გურიის მილიციის ხელში, რომელსაც ამ დროს თავადი მალაქია გურიელი მეთაურობდა. ეს იყო შესანიშნავი ჭკვისა და გაბედულების ადამიანი, იგი დიდი გავლენითა და ავტორიტეტით სარგებლობდა მოსახლეობაში. მერავიოვიც კი მალაქია გურიელს თავის მოხსენებაში პეტერბურგში „გურული ხალხის მშვენებას" უწოდებდა.

თავის ძმის გიორგი გურიელის აბლად გათხრილ საფლავზე, რომელიც დაილუბა შეკვეთილის პოსტზე თურქების თავდასხმისას, მალაქიამ ფიცი დასდო ძვირად დაუჯდეს მტერს ეს ტკივილი და ძმის სისხლისათვის სულ მცირე 30 თურქს მაინც წაეცალოს თავი[2]. მალაქია გურიელი თავისი რაზმით გამაგრდა სოფ. მაკვანეთის ახლოს, გურიის ძველი სიმაგრეების ნანგრევებზე. იქ მან ძველი ქვემეჩი იპოვა, წესრიგში მოიყვანა იგი, განამტკიცა თავისი რაზმი და მალე გაიჩაღა მასიური პარტიზანული ომი შემოჭრილი თურქთა ურდოების წინააღმდეგ. „ოქროთი მოვარაყებულ მდიდრულ წითელ ჭურთუკში გამოწყობილი, ქამარში გარჭობილი იარაღის მთელი არსენალით, იგი ისე კარგი იყო, რომ პირდაპირ ითხოვდა მხატვრის ფუნჯს"[3], — წერდა მისი მხილველი.

---

[1] ЦГИАГ, ф. 930, д. 2, л. 1—6; Ср., ф. 1087, д. 472, л. 249—251.

[2] ЦГИАГ, ф. 941, д. 5, л. 35.

[3] „Кавказский сборник", 1907, т. XXVI, стр. 149—150.

თავ. ანდრონიკაშვილი თავის ბრძანებაში 1854 წელს 22 აპრილს ჩოხატაურის პოზიციებზე ახლადდანიშნული რაზმის უფროს გენერალ-მაიორ ბრუნერს ავალებდა ოპერატიულ შემოქმედებებში თურქების წინააღმდეგ მაქსიმალურად მიეზიდა და გამოეყენებინა მილიცია და ადგილობრივი მოსახლეობის მასები. „გურიის მილიციაში, — მიუთითებდა გენ. ანდრონიკაშვილი, — უნდა ავარჩიოთ, რამდენადაც შესაძლებლობა ამის საშუალებას მოგვცემს, მეტი რჩეული მეომრები პარტიზანული რაზმებისათვის, მათ ამოცანად უნდა დავუსახოთ წინააღუდგნენ მტრის ბანდების თარეშს“. დამახასიათებელია, რომ გენ. ბრუნერის რაზმის 2 ½ ათასამდე რეგულარულ ჯარის შემადგენლობას მან ოფიციალური ბრძანებით მუდმივი მილიციის 3½ ასი შეუერთა[1]. ამრიგად, ადგილობრივი მილიცია უკვე მნიშვნელოვან ძალად იქცა.

ოზურგეთის მიდამოებიდან უკანდახევის შემდეგ გურიის რაზმი განლაგდა მდ. რიონის ორივე მხარეზე შემდეგნაირად:

1. მდინარის მარცხენა ნაპირზე: ა) 5 ბატალიონი და 14 ქვემეხი, გენ. ბრუნერის მეთაურობით, რომელსაც დაკავებული ჰქონდა ჩოხატაურის სიმაღლეები, იფარავდა მთავარ, ეგრეთწოდებულ სამხედრო გზას ოზურგეთიდან ქუთაისის მიმართულებით; ბ) 2½ ბატალიონი და 4 ქვემეხი, პოდპოლკოვნიკ ერისთავის უფროსობით, სოფ. ნიგოეთისაკენ იქნა წაწეული, სადაც გადიოდა მეორე შემოსავლელი გზა ორპირიდან გურიისაკენ აკეთის გადასასვლელით; გ) ჩოხატაურსა და ნიგოეთთან განლაგებულ ორ რაზმს შორის კავშირისათვის, სოფ. ქვიანში იდგა ერთი ბატალიონი.

2. მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირზე: ა) შავი ზღვის 5 ბატალიონი (ალმოსავლეთ სანაპიროებზე მოხსნილი) 4 სამთო ქვემეხით, გენერალ-მაიორ ნაიდელის უფროსობით განლაგდა მდ. ცივზე, რედუტ-კალეს მიმართულებით, საიდანაც მოსალოდნელი იყო მოწინააღმდეგის დესანტი; ბ) 3 ბატალიონი 8 ქვემეხით საერთო რეზერვის სახით იდგა მდ. ცხენისწყლის

---

[1] ЦГИАГ, ф. 393, д. 2, л. 8.

შესართავთან. აქ მოთავსებული იყო გურიის რაზმის [illegible]
ბიც პირადად თავ. ანდრონიკაშვილის მეთაურობით.

რაზმის საერთო რეზერვში იმყოფებოდნენ აგრეთვე ქა-ზაკთა ასეულებიც. ყოველ ცალკე ნაწილს და ცალკე შენაერთთან მიწერილი იყო შესაბამისი ოდენობა ადგილობრივი მილიციის ასეულებისა. რაზმის მთავარი საწყობები მოთავსებული იყო ორპირში. თავ. ანდრონიკაშვილმა განკარგულება გასცა რიონზე მოეწყოთ ორი ხიდი კატარღებზე: ერთი ორპირში, მეორე — ყოდორში[1].

გენ. ანდრონიკაშვილის ვარაუდით, თუ მტერი ოზურგეთის მხრიდან შემოტეხავდა, უპირველეს ყოვლისა, მას შეხვდებოდნენ გენ. ბრუნერი და პოდპოლკოვნიკი ერისთავი. მათ დასახმარებლად დაუყოვნებლივ გაეშურებოდა რიონზე ყოდორის ხიდით გადასული გენერალ-მაიორი მაიდელი, ხოლო რედუტ-კალეთან შემოტევის დროს გენ. მაიდელის რაზმი მდ. ცივზე უნდა დადგეს. მის დასახმარებლად ამ შემთხვევაში მოვლენ რიონის მარცხენა მხრიდან ყოდორის ხიდით გადმოსული რაზმები. რაც შეეხება რაზმის მთავარ რეზერვს, ის განლაგებული იყო მდ. ცხენისწყლის შესართავთან იმ ანგარიშით, რომ აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელი ყოფილიყო მისი გადასროლა ერთი დღის განმავლობაში, როგორც გენ. მაიდელის, ისე გენ. ბრუნერის დასახმარებლად[2].

გენ. მამაცაშვილის სიტყვებით, თავ. ანდრონიკაშვილი ამბობდა, რომ თურქებს ის ადგილად გაუმკლავდებოდა, მაგრამ მას აფიქრებდა ინგლის-საფრანგეთის გენერლები, რომლებიც თურქეთის ფაშებზე უფრო გამოცდილები, ეშმაკები და ჭკვიანები. თავადი მაინც გულს არ იტეხდა და მშვიდად ამტკიცებდა, რომ იგი „მოუწყობს მათ ისეთ შეუპოვარ თავდაცვას, რომ ინგლისელები და ფრანგები ჩაიმარხებიან საშეგრელოსა და გურიის ჭაობებში“[3].

---

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 442, л. 12.

[2] მანძილი ორპირიდან ჩოხატაურამდე — 18 ვერსია; ორპირიდან ნიგოეთამდე — 12; ორპირიდან ცივამდე — 20; ცივიდან (ყოდორის ხიდით) ნიგოითამდე — 11; ცივიდან ჩოხატაურამდე (ყოდორის ხიდით) — 18 ვერსი.

[3] ЦГИАГ, ф. 1087, д. 1060, л. 5.

ჯარების დისლოკაციის შემდეგ, თავ. ანდრონიკაშვილი ენერგიულად შეუდგა მათ საბრძოლო წესრიგში მოყვანას. განსაკუთრებით მძიმედ იდგა ფურაჟით მომარაგების ხაკითხი, კერძოდ არტილერიის ცხენების საკვებისა და ტრანსპორტის საკითხი. გურიის რაზმის არტილერიის ახალი უფროსი, პოლკოვნიკი მამაკაშვილი, ანდრონიკაშვილის დავალებით დაუყოვნებლივ შეუდგა საქმის მოგვარებას. „ჩემს მოსვლამდე,— წერს იგი თავის მეხუთარებში, — ყველა ცხენი ქეცით იყო დაავადებული, საკვების უქონლობით ისინი სრულიად არაქათ გამოცლილი იყვნენ (ქუთაისის გუბერნიაში არ იყო ქერი, შერია და თივა). რუსეთიდან ახლახან ჩამოსული გამოუცდელი ჯარისკაცები კვებავდნენ ცხენებს ჭაობის ბალახით — ლელით და ლერწმით. ცხენები იღუპებოდნენ. მე ეს ავკრძალე: ვყიდულობდი მოსახლეობიდან ლომისა და სიმინდის ჩალას. სულ მოკლე დროში ცხენები მოჯობინდნენ. „ანდრონიკაშვილმა, — განაგრძობს იგი, — მე დამაკისრა ცეცხლმსროლელი იარაღის საჭურველის გაწყობა და განაწილება. საჭირო იყო ცეცხლმსროლელი იარაღის საჭურველის ორმაგი კომპლექტის დამზადება 20 ათასი ქვეითი ჯარისკაცებისა და მილიციის თოფებისათვის, ცალკე კიდევ დენთი და ტყვია მოსახლეობაში დასარიგებლად [1]. ეს იშვიათ პრეცედენტს წარმოადგენდა ადრინდელი ომების ისტორიაში.

ჯარებში სრული წესრიგის დამყარებისა და რაზმის მეთაურობაში ერთიფროსობის განხორციელების საქმეში გენ. ანდრონიკაშვილს სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდნენ გენ. გაგარინი და მისი დამჭაშები. საკმარისია მივუთითოთ კურიოზზე. იმყოფებოდა რა ანდრონიკაშვილის საერთო უფროსობის ქვეშ, გენ. გაგარინი მაინც ჯიუტად უწოდებდა თავისთავს „გურიის რაზმის უფროსს". მას ჰქონდა თავისი ცალკე „შტაბი და საკუთარი ამალა", თავ. ანდრონიკაშვილის შტაბთან კი ოფიციალურ მიმოწერას აწარმოებდა. გასაგებია, რომ ერთ საჯარისო შენაერთში ორი პირველადური შტაბის არსებობას საქმე ხშირად გამწვავებამდე მიყავდა. ადგილი

[1] ЦГИАГ, ф. 1087, л. 1960, п. 5.

ჰქონდა ურთიერთ ინტრიგებს და პირად ქიშპობას. ყველაფერი ეს, საბოლოო ჯამში, ხელს უშლიდა საქმეს, ძირს უთხრიდა სამხედრო დისციპლინას, სცემდა შენაერთის ბრძოლის უნარიანობას.

აღსანიშნავია, რომ თავ. ანდრონიკაშვილი, რომელმაც იცოდა თავ. ვორონცოვის ერთგული დამთმობი და ლოიალური დამოკიდებულება გენ. გაგარინისადმი, როგორც მისი ყოფილი ადიუტანტისადმი, მეფისნაცვლის პატივისცემით ერიდებოდა გაგარინის შტაბის ლიკვიდაციას, მაგრამ ბოლოს მაინც გადაწყვიტა გენ. გაგარინის თავიდან მოცილება, და მან იგი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის პოსტზე დანიშნა. გენერალი გაგარინი ამის შემდეგაც არ სწყვეტდა თავის ახირებას. დამახასიათებელია, რომ 1854 წელს მთელი კამპანიის მანძილზე მან მოახერხა თავისი ფიქტიური „შტაბის" შენარჩუნება, რომლის შენახვა სახელმწიფოს დიდძალი თანხა უჯდებოდა.

გენ. გაგარინი, მისი „შტაბის" უფროსი მაზარაკი და გენერალი ბრუნერი, რომლებიც „ევროპული განათლებულობის" პრეტენზიით გამოდიოდნენ, რომლებმაც სრულყოფილად იცოდნენ უცხო ენები და „ევროპული" მანერები, უხეშად ამცირებდნენ „გაუნათლებელ" ანდრონიკაშვილს, აბუჩად იგდებდნენ მას, უწოდებდნენ უმეცარს და „ადგილობრივ ბარბაროსს", რომელსაც არ შეუძლია ლაპარაკი „არც ერთ ევროპულ ენაზე". ისინი ტრაბახობდნენ იმით, რომ „ფრანგულად და ინგლისურად უკეთ ლაპარაკობდნენ, ვიდრე მშობლიურ ენაზე". „მე იმის მოწმე ვიყავი, თუ როგორ უხეშად დასცინოდნენ გაგარინი და მაზარაკი თავ. ანდრონიკაშვილს მის ზურგს უკანო", — წერს გენ. მამაცაშვილი[1].

1854 წელს კამპანია ამიერკავკასიაში დაიწყო თურქების შემოტევით მარჯვენა ფლანგზე.

როგორც ცნობილია, 1854 წლის აპრილის დასაწყისში თავ. გორჩაკოვმა დუნაი გადალახა. გამოირკვა ავრეთვე, რომ მოკავშირეები ჯერჯერობით მოკლებული იყვნენ შესაძლებ-

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 1060, л. 7.

ლობას თურქებისათვის დახმარება გაეწიათ ამიერკავკასიის საზღვრებთან. მოვლენათა სასურველი შებრუნებით დაიმედებულმა რუსეთის იმპერატორმა გადაწყვიტა ესარგებლა მომენტით და დაეწყო შეტევა აზიაში. „ჩვენ მიერ კეთილსასურველად გადასვლას დუნაიზე, — წერდა იმპერატორი გენ. რეადს, — შეუძლია კეთილი გავლენა მოახდინოს ჩვენს კავკასიის მხარეზეც. დაუჯერებელია, რომ მოკავშირეებს შეეძლოთ ახლა გამოყონ თავიანთი ჯარები და შეასრულონ ყველაფერი ჩანაფიქრი, რომელიც, ხმების მიხედვით, მათ განზრახული ჰქონდათ, ე. ი. დესანტის გადმოსხმა ბესარაბიაში, ოდესაში, ყირიმში, ანაპაში და ბოლოს რედუტ-კალეში, სადაც ისინი უნდა შეუერთდნენ თურქეთის ჯარებს გურიასა და სამეგრელოში... მე მგონია, რომ ფრიად მიზანშეწონილი იქნებოდა გვესარგებლა ძვირფასი დროით, რათა თავადი ანდრონიკოვი თვით გადასულიყო შეტევაზე და გაენადგურებინა თურქები მოკავშირეთა მოსვლამდე. ხოლო სად და როგორ, ეს არ შემიძლია მე განვსაზღვრო, ამას თქვენ განდობთ გადასაწყვეტად იმ მასალის საფუძველზე, რომელიც თქვენ მოგეპოვებათ. ვფიქრობ, რომ უმჯობესია შეტევა დავიწყოთ გურიიდან და უკუვაგდოთ (მტერი — ვ. ბ.) ბათუმისაკენ"[1].

ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე — ეს იყო მეფის პირდაპირი დირექტივა შეტევის შესახებ. მაგრამ, ვითარება აქ, გურია-თურქეთის საზღვარზე, სრულიად საწინააღმდეგო ხასიათს იღებდა. რუსეთის რეგულარული ჯარების ზღვის საბაპირო სიმაგრეებიდან და ოზურგეთიდან გაყვანის შემდეგ, სელიმ-ფაშა ერთხანს ვერ ბედავდა გადმოელახა ჩოლოქის საზღვარი. მაგრამ 1854 წლის 11 აპრილს რუსეთის წინააღმდეგ ინგლის-საფრანგეთის გაერთიანებულმა ძალებმა გააბნევა თურქი მეშვიდე, რომ მან საბრძოლოდ დასძრა თავისი ჯარები და დაიკავა ოზურგეთი. თითქმის იმავდროულად, მაისის დასაწყისში, თურქების საბრ ტაბორი (ბატალიონი), გადმოყვანილი ინგლის-საფრანგეთის ესკადრით, ძლიერი „ქონონადის" შემდეგ, გადმოსხდა რედუტ-კალესთან, რომელიც

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 1263, л. 12.

ცოტახნის უკან დატოვეს რუსის ჯარებმა. რედუტ-კალეს პარალელურად თურქების დესანტები ერთიმეორის მიყოლებით გამოჩნდნენ ფაღლიაში, სოხუმ-კალესა და სანაპიროზის სხვა ფორტებში, რომლებიც აგრეთვე ევაკუირებული იყვნენ რუსების მიერ. აშკარად ჩანდა, რომ მტერი, რომელმაც წინასწარ დაიკავა მოხერხებული პლაცდარმები, ემზადებოდა გადამწყვეტი შეტევისათვის გურიის, სამეგრელოსა და იმერეთის წინააღმდეგ.

ამრიგად, იმპერატორის დირექტივის წინააღმდეგ, ამიერკავკასიის ფრონტზე შეიქმნა ვითარება, რომელიც ადგილობრივი სარდლობისაგან ითხოვდა ძალებისა და საშუალებების მაქსიმალურ დაძაბვას, რათა შეეკავებინა მტრის დაწოლა, დაეცვა თავისი საზღვრები და საკუთარი ტერიტორია. ასეთ ვითარებაში შეტევითი ოპერაციების გაშლა ჩვენის მხრივ აბსოლუტურად გამორიცხული იყო.

რეგულარული ჯარების მკირერიცხოვნებისა და სისუსტის გამო გენ. ანდრონიკაშვილმა დასახა ღონისძიებანი ადგილობრივი ლაშქრის მაქსიმალურად გადიდებისათვის. გურიის რაზმის შევსებასა და გაძლიერებასთან ერთად, ქართულმა მილიციამ დაიკავა შავი ზღვის სანაპიროს ყველა ძირითადი ევანპოსტი შეკვეთილიდან აფხაზეთამდე. მან საიმედოდ ჩაკეტა ყველა გზა, რომელიც სანაპირო ზოლიდან ქვეყნის სიღრმეში მიდიოდა.

გურიის, იმერეთისა და სამეგრელოს მილიცია, რომელიც იფარავდა ქვეყნის სასაზღვრო ზოლს თურქების მხრიდან, დაუღალავად მოქმედებდა, იგი რეგულარულად აწვდიდა სარდლობას დაწვრილებით ცნობებს თურქთა ჯარების განლაგებისა და მათი მოძრაობის შესახებ. ამ გზით, მაგალითად, ცნობილი გახდა, რომ ზეუშირმა სელიმ-ფაშამ 1854 წლის მაისის ბოლოს ქართველი ხალხის მოღალატის და რეზერვატის ჰასანბეგის შეთაურობით მდ. სუფსის იქით გადაისროლა რაზმი, რამდენიმე ქვეითი ბატალიონისა და ათასობით ადგილობრივი ბაშიბუზუკების შემადგენლობით, სულ 15 ათასამდე კაცი. უკანასკნელნი გურულებივით იყვნენ ჩაცმულნი და ქართულ ენაზე ლაპარაკობდნენ. სელიმ-ფაშას განზრახუ-

ლი ჰქონდა ჰასან-ბეგის საშუალებით გაეგო გურიის მოსახლეობის განწყობილება, სურდა მოესინჯა ნიადაგი, [illegible] ნი თავის მხარეზე გადაებირებინა. იცოდა რა განლაგება [illegible] შემადგენლობა მკირეოვანი რაზმისა, რომელიც ნიგოითთან და ქვიანში იდგა, ჰასან-ბეგს გადაწყვეტილი ჰქონდა თავს დასხმოდა მას მოულოდნელად, გაენადგურებია იგი და შემდგომ გზა გაეკაფა თურქთა მთავარი ძალებისათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა წყარო სელიმ-ფაშას მიერ ჰასან-ბეგის რაზმისათვის მიცემულ ამოცანას სხვადასხვაგვარად გადმოგვცემს. ოფიციალური ცნობა ამ რაზმის მოძრაობის შესახებ სელიმ-ფაშას მიაწერს განზრახვას დაემარცხებია გურიის რაზმი „ნაწილ-ნაწილ, თანმიმდევრი და შეუჩერებელი დარტყმებით“ [1].

სამხედრო ისტორიკოსი გენ. ბოგდანოვიჩი, რომელიც, როგორც ჩანს, ეყრდნობოდა რა „რუსკი ინვალიდში“ [2] გამოქვეყნებულ ცნობებს, ეხებოდა არა მარტო ისტორიულ ფაქტებს, იგი ცხენებისაც და სახელებისაც კი ერთმანეთში ურევს. ბოგდანოვიჩის აზრით, ჰასან-ბეგ აჭარელმა, რომელიც კარგად იცნობდა გურიას, თითქოს იკისრა წაეყვანა თურქები კარგი გზით ჩოხატაურის აღლოს, სოფელ ნიგოითზე გავლით(?), იმ განზრახვით, რომ „ყველა დაელია მარანში და მაგრად ეკაბშა ქუთაისში“ [3]. რა თქმა უნდა, მსგავსი მტკიცება სრული აბსურდია. ჯერ ერთი, ნიგოითი და ჩოხატაური იმ დროსაც, ისე, როგორც ამჟამად, სრულიადაც არ მდებარეობდნენ ერთ საერთო მაგისტრალზე! რაც შეეხება „თურქების კარგი გზით წაყვანას“ ერთობ გაზვიადებულად უნდა ჩაითვალოს, ასეთი გზა არ არსებობდა. ამავე დროს თუ ჰასან-ბეგი გაბედავდა ჩოხატაურის მიდამოებში გამოჩენას, საეჭვოა, რომ მისი რაზმი ხეიბს ვერ ნახავდა ერისთავისა და გენ. ბრუნერის მეთაურობით იქ მდგომი ძლიერი შენაერთებისაგან. ამ ამბების ცოცხალი მონაწილე პოლკოვნიკი

---

[1] АКАК, т. X, стр. 487.

[2] „Русский инвалид“, 1854, № 135,

[3] М. Богдановичъ, „Восточная война“. т. II, стр. 157.

მამაცაშვილი გადმოგვცემს, რომ „ბრუნერისა და ერისთავის რაზმები, რომელთაც 8 ქვეითი ბატალიონი ჰყოფდათ, [illegible] ძლიერი იყვნენ იმისათვის, რომ თურქებს მისთვის [illegible] ნათ თავიანთი კორპუსის მარტოოდენ მცირე ნაწილით თავდასხმა. რაც შეეხება ჰასან-ბეგს, მას იმდენი მოსაბრება მაინც გააჩნდა, რომ შეუძლებლად დაენახა ქუთაისის აღება, როცა მის წინ გენ. ანდრონიკაშვილის მთელი კორპუსი იდგა[1].

გადაეცა რა მდ. სუფსაზე სოფ. ბაიალეთთან, 1854 წლის 25 მაისს, ჰასან-ბეგი სწრაფი მარშით გაეშურა ლანჩხუთის ხეობით ნიგოითისაკენ. ის ნამდვილად ისახავდა ნიშნად მოულოდნელი დარტყმით დაემარცხებინა თავ. ერისთავის რაზმი ნიგოითთან, ვიდრე მეზობელი რაზმები მიშველებას მოასწრებდნენ. მის შეფს სელიმ-ფაშას მიზნად ჰქონდა გურულების წინააღმდეგობის გატეხა და მათი დემორალიზება, რათა ამით მოემზადებინა ნიადაგი მათ გადასაყვანად სელთანის თურქეთის მხარეზე. მაგრამ საქმე სრულიად საწინააღმდეგოდ შეტრიალდა.

აღმოჩნდა, რომ გურიის მილიციისა და სახელოვანი პარტიზანების რაზმები, მათ მეთაურ ერისთაეთან ერთად, კარგა ხანია თვალყურს ადევნებდნენ მტრის ყოველ ნაბიჯს და ეწერგეულად ემზადებოდნენ დაეპატიჟებელი სტუმრების ღირსეულად შესახვედრად. თავ. ერისთავმა წინასწარ აცნობა თავ. ანდრონიკაშვილს საქმის მთელი ვითარება, მიიღო კიდევაც მისგან იმერეთის მილიციის რამდენიმე დაუზმარე რაზმი და თავისკენ ახლოს წასწია სოფ. ქვეანში მდგომი სარეზერვო ბატალიონი. გაიგო თუ არა მტრის მოახლოება, ერისთავმა 1854 წლის 27 მაისს განთიადისას დასტოვა თავისი ბანაკი და აღილი, რომელსაც მეტველად მიუნიშნა ბელოსტოკის მოლკის ორი ასეული, თვით კი მთავარი ძალებით გაემართა მტრის შესახვედრად. სამი ვერსის გაელის შემდეგ სოფელ ლანჩხუთთან, თავ. ერისთავის რაზმი ანაზდად წააწყდა თურქების საბრძოლო ავანგარდს: რეგულარული ჯარის სამ ბატალიონს ორი ქვეშეგით დაკავებული ჰქონდა ბატარია მინდორი,

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 1060, л. 22.

რომლის ირგვლივ, ლანჩხუთის ტყეში, საბრძოლო მზადყოფნაში გამწკრივებულიყო თურქების ირრეგულარული ჯარი. შთა-ქართველთა რაზმს თოფებიდან და არტილერიიდან ძლიერი ცეცხლი გაუხსნეს. თავ. ერისთავმა სასწრაფოდ მოისაზრა, რომ ქაქიანი და გლუვლულიანი თოფებით ვერაფერს გახდებოდა შორსსროლელ მტეცერებთან, რომლებითაც შეიარაღებულნი იყვნენ თურქების ტაბორები, და გადაწყვიტა დაუყოვნებლივ ხიშტით მიეტანა იერიში. რუსთა 4 ქვემეხმა, რომელიც ოსტატურად მიუახლოვეს მოწინააღმდეგეს ფინდიხის გასროლის მანძილზე, ძლიერი ცეცხლი გახსნა. ამ დროს ჩვენმა ქვეითმა ჯარმა შეწყვიტა სროლა და თავზარდამცემი ყიჟინითა თავგანწირულ ხელჩართულ ბრძოლაში გადაეშვა. გაჩაღდა საშინელი ხოცვა-ჟლეტა. მტერმა ვერ გაუძლო რუსების ბატალიონების ელვისებურ დარტყმას, მიატოვა ქვემეხები და გაიქცა[1]. თავ. ერისთავი ფეხდაფეხ დაედევნა მათ ქვეითი ჯარით და მილიციით. ამ უკანასკნელმა მოკლე ბილიკებით ადვილად შემოუარა გაქცეულ მტერს, სასწრაფოდ ჩაჭრა ტყიდან გასასვლელები და თურქებს უკანდასახევი გზა მოუჭრა. თავ. ერისთავმა გასცა განკარგულება, რათა რაზმის არტილერია, ნადავლთან ერთად, დაებრუნებინათ უკან თავის ბანაკში, რადგან თელიდა, რომ მტერზე დადევნებისას იგი მას ხელს შეუშლიდა. სწორედ ამ განკარგულებამ იხსნა მისი რაზმი გარდუვალი დალუპვისაგან.

ომის მემატიანე დაწერილებით აღწერს მოვლენათა შემდგომ განვითარებას. მტრის დევნით გატაცებულმა რაზმის მეთაურმა ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ თურქების მრავალრიცხოვანმა მილიციამ მიატოვა ალყაშემორტყმული, საკუთარი რეგულარული ბატალიონები და გახეულ-ბული ბრძოლის დროს სადღაც გაჰქრა. აღმოჩნდა, რომ ჰასან-ბეგი, ჯერ კიდევ ხელჩართული ბრძოლის დაწყებამდე, თავისი ირრეგულარული ჯარებით ფარულად გაუსხლტა ხელიდან ჩვენს რაზმს, შემოუარა ბრძოლის ველს ბილიკებით, შეუმჩნეველად გაიჭრა ჩვენი ჯარის ზურგში და მოულოდნელად

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 449, л. 47—48.

დაეცა ნიგოითის რუსთა ბანაკს. ზურგში ქვეშეზების გამოჩენამ ერთბაშად შეაძრწუნა ერისთავი. იგი მიხვდა საქმის [illegible] ბას და პირადად ერთი ბატალიონით გაეშურა დასახმარებლად, დანარჩენ ჯარსა და მილიციას იქვე უბრძანა ბოლომდე განეგრძოთ დამარცხებული მოწინააღმდეგის შეუსვენებლივი დევნა.

ნიგოითის ბანაკთან მიახლოებისას თავ. ერისთავმა დაინახა, რომ თურქების 10-ათასიან მილიციას თავგამეტებით მიჰქონდა იერიშები ჩვენი ადალის წინააღმდეგ, რომელსაც რუსთა მხოლოდ ორი ასეული იცავდა. ჩინებულად მოქმედებდა ჩვენი არტილერია, რომლის პერსონალის ნახევარზე მეტი უკვე მწყობრიდან იყო გამოსული. ერისთავის ბატალიონის დანახვისას თურქ ბაშიბუზუკებს ელდა ეცათ. ისინი მიხვდნენ, რომ უკან დასახვევი გზა გადაჭრილი ჰქონდათ და, ორცეცხლშუა მყოფებმა, ტყეს შეაფარეს თავი. აქ ისინი წააწყდნენ ჩვენს მილიციას, რომელიც თურქების რეგულარული ჯარის განადგურების შემდეგ ბანაკში ბრუნდებოდა უკან. დაიწყო თურქი მილიციონერების მასობრივი ქლეტა. ამ ოპერაციაში განსაკუთრებული როლი ითამაშა იმერეთის ცხენოსანმა რახმმა თავ. მიქელაძის მეთაურობით. თურქების განადგურებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო აგრეთვე მოსახელობამ ახლო სოფლებიდან, მათ შორის ქალებმა, ბავშვებმა და მოხუცებმა.

საარქივო საქმეში ინახება მრავალრიცხოვანი დოკუმენტები, ჩანაწერები და მემუარები, რომლებიც მოწმობენ ქართველი მილიციონერებისა და ადგილობრივ მცხოვრებთა განსაკუთრებულ ვაჟკაცობას, მათ საგმირო საქმეებს, რომლებმაც, სამწუხაროდ თვითმპყრობელობის ოფიციალური ისტორიოგრაფიის განსაზღვრული პოზიციის გამო, დღემდე ვერ იხილეს მზის სინათლე, ვერ გახდნენ ხელმისაწვდომი ფართო მკითხველი მასებისათვის. მოვიტანოთ ზოგიერთი უფრო ტიპური დამახასიათებელი მაგალითები. „ჩვენი მილიცია უწყალოდ ჩეხავდა თურქებს", — ეკითხულობთ ერთ საბუთში. „გოგია კუპრაძემ ერთმა პირველთაგანმა მოსტაცა თურქებს დროშა", — იუწყება მეორე დოკუმენტი. ბრძოლის მემატი-

ანე გადმოგვცემს, რომ ძველის ორ მეთაურს უარსადან-გა-ორგომბიანსა და ჯაფარიძეს, რომლებიც მძიმედ იყვნენ დაჭრილნი და სისხლისაგან იცლებოდნენ, მაინც არ სურდათ საომარი ველის დატოვება ბრძოლის დასრულებამდე. „დიმიტრი ნაკაშიძეს თურქების მთელი ბრბო შემოერტყა. მის გვერდით აკიფეს მისი ღვიძლი ძმა ევსტაფი, მაგრამ ნაკაშიძე ხანჯლით ხელში გზას იკაფავდა და შური იძია ძმის სიკვდილისათვის თურქების საშინელი განადგურებით". „იმერლებთან ერთად, რომლებიც მტრის რიგებში შეიჭრნენ, იმყოფებოდა ორი მღვდელი — იასე ჯორბენაძე და ივანე ჩხეიძე, რომლებიც ხელჩართული ბრძოლის დროს თავისიანებს ამხნევებდნენ". „ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებნი, რომლებსაც წინამძღოლობდნენ მღვდლები სოფრონ ჯაში, ნიკოლოზ კანდელაკი და გაბრიელ კანდელაკი თურქებს სუფსამდე სდევდა".

მეტად საინტერესო ვითარებაში მოუღეს გურულებმა ბოლო თურქეთის რაზმის უიღბლო მეთაურს, ქართველი ხალხის მოღალატეს, ჰასან-ბეგს. ლანჩხუთ-ნიგოითთან განცდილი მარცხის შემდეგ მან ბედის ანაბრად მიატოვა განსაცდელში ჩავარდნილი საკუთარი რაზმის ნარჩენები და თავის საშველად მცირე ამალასთან ერთად უკანვე გაქუსლა. მას უკან ცხენებით გამოუდგა გურული აზნაური ერასტი ჭყონია თავისი ძმებითა და რამდენიმე გლეხით. მდევრებმა გადაუკრეს გზა ლტოლვილ მოწინააღმდეგეს, გაფანტეს მისი ამალა, ხოლო თვით ჰასან-ბეგს ერასტი ჭყონიამ ხმლის ერთი მოქნევით წააცალა თავი [1].

გურიის რაზმის არტილერიის ყოფილი უფროსი პოლკოვნიკი მამაცაშვილი თავის მემუარებში მოგვითხრობს: „მე ჩოხატაურში ვიყავი, როცა ცნობა მოვიდა ერისთავთან დაწყებული ბრძოლის შესახებ. მე მაშინვე ცხენით გავქანდი იქით, რათა ჩემს არტილერისტებთან ერთად ვყოფილიყავი. მაგრამ, როცა მივედი, ბრძოლა უკვე დამთავრებულიყო. მე

[1] ЦГИАГ, ф. 1087, п. 449, л. 49—50.
ქართული მილიციისა და მოსახლეობის გმირობის შესახებ იხილე ამ შრომის VI თავი.

მოვასწარი, მხოლოდ, შემომეკლო ბრძოლის ველი". შემდეგ
მამაცაშვილი აღწერს რა იმ საშინელი ხოცვა-ეელეტის სურათს,
რომელსაც იქ ჰქონდა ადგილი, აღნიშნავს, რომ მთელი მაბ-
ლობელი არე-მარე თურქების გვამებით იყო დაფარული.
იგი ამავე დროს ვადმოგვცემს ბრძოლის დროს ადგილობრი-
ვი მილიციისა და მოსახლეობის თავგანწირულებასა და უან-
გარო თაედადებას შემოჭრილი მტრის ურდოების წინა-
აღმდეგ.

ალანჩხეთ-ნიგოითის ბრძოლაში თურქი სარდლობის ავან-
ტიურამ სრული დამარცხება განიცადა: თურქების დანაკარგი
საერთოდ 2 ათას კაცს აღემატებოდა, აქედან მხოლოდ მოკ-
ლულთა რიცხვი 1000-მდე აღწევდა. ჩვენი ჯარების ზარალი
შედარებით უმნიშვნელო იყო: სულ მწყობრიდან გამოვიდა
600-მდე კაცი მოკლულთა, დაჭრილთა და დაშავებულთა
სახით.

თავ. ერისთავი, რომელიც პეტერბურგში გაიგზავნა რათა
იმპერატორისათვის მოეხსენებია გამარჯვების შესახებ, პო-
ლკოვნიკად დააწინაურეს, დანიშნეს ფლიგელ-ადიუტანტად და
დაჯილდოვეს წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ორდენით.

ამ შემთხვევასთან დაკავშირებით არ იქნებოდა ზედმეტი
მოგვეტანა ზოგიერთი დამახასიათებელი დეტალი, რასაც გად-
მოგვცემს გენ. მამაცაშვილი: „მე მახსოვს, — წერს ის, —
ამ ამბების შემდეგ ყველა ჟურნალის მეკორესპონდენტი ჩოხატაურის
ბანაკში თუ როგორ შეუდგნენ ერისთავის ყველა განკარგუ-
ლების კრიტიკას. გენერალი ბრუნერი ცდილობდა საყვედუ-
რიც კი გამოეცხადებინა მისთვის და გადაეყენებინა რაზმის
მეთაურობიდან, მაგრამ ერისთავი შემთხვევამ გადაარჩინა:
მეორე დღეს იგი პეტერბურგში გაგზავნეს მისი გამარჯვების
შესახებ ხელმწიფესთან მოხსენების წარსადგენად.

ნიკოლოზ პავლეს-ძე ამ საქმეს სულ სხვაგვარად მიუდგა.
მან მოისმინა მისი მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ მოხ-
და ეს ამბავი ნამდვილად, და არა ისე, როგორც ეს აღწერი-
ლია რელაციაში; ხელმწიფემ უბრძანა მას (ერისთავს — ე. ბ.)

გიორგის ჯვარი, მიანიჭა პოლკოვნიკის წოდება და დანიშნა ის ფლიგელ-ადიუტანტად"[1].

ლანჩხუთ-ნიგოითის გამარჯვება წინ უსწრებდა შემდგომ უფრო დიდმნიშვნელოვან ჩოლოქის გამარჯვებას, რომელმაც უზრუნველყო მთელი დასავლეთ საქართველოს უშიშროება 1854 წლის განმავლობაში.

თავადმა ანდრონიკაშვილმა, მიიღო ცნობა ნიგოითიდან 27 მაისის გამარჯვების შესახებ და კარგად გაითვალისწინა თურქი სარდლობის ზრახვები. გადაწყვიტა დაუყოვნებლივ ვიდრე გვიან არ იყო, დაძრულიყო მუშირ სელიმ-ფაშას მთავარი კორპუსის შესამუსრავად. ანდრონიკაშვილმა განკარგულება გასცა თავი მოეყარათ მთელი ძირითადი ძალებისათვის ჩონატაურის პოზიციებზე. სალაშქროდ შეკრებილ იქნა 11½ ბატალიონი ქვეითი რეგულარული ჯარი, გურიის 6 ქვეითი რაზმი, იმერეთის მილიციის 6 ქვეითი და 5 ცხენოსანი ასეული. სალაშქრო კოლონებს ამშვენებდა ცნობილი ქართული ნაკრები ცხენოსანი რაზმი გიორგი ჯანდიერის მეთაურობით, დონელი კაზაკების 4 ასეული, სულ 10 ათას კაცამდე. რაზმის არტილერია შედგებოდა 8 მსუბუქი და 10 სამთო ქვემეხისაგან.

ამრიგად, გურიის რაზმის საბრძოლო შემადგენლობაში ლაშქრობის წინ, რეგულარულ ჯარებთან ერთად, შედიოდა ადგილობრივი მილიციის ძლიერი და ბრძოლისუნარიანი დანაყოფები. მათ შორის საჭიროა განსაკუთრებით აღინიშნოს აღმოსავლეთ საქართველოს განთქმული დრუჟინა. იგი ჩამოყალიბდა 1854 წლის გაზაფხულზე. რაზმის უფროსი თავ. გიორგი ჯანდიერი (ზედმეტი სახელი „დროშა-გიორგი") განთქმული იყო თავისი მამაცობითა და ვაჟკაცობით. თავ. ანდრონიკაშვილმა თავ. ჯანდიერის რაზმში ინსტრუქტორად დანიშნა თავ. ივანე გივის ძე ამილახვარი, ბრძოლებში ნაცადი და ნაწრთობი ახალგაზრდა ოფიცერი, რომელიც რაზმის მეთაურმა წინასწარ გამოიწვია ნიკეფოროდის დრაგუნთა პოლკიდან. ნიშნავდა რა ხას ქართლ-კახეთის ლაშქარში, ანდრო-

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 1259, л. 11.

ნიკაშვილმა გამოიძახა თავ. ამილახვარი თავისთან და უთხრა: „შე გგზავნი შენ ინსტრუქტორად და ადიუტანტად ქართულ ცხენოსან ლაშქარში. მის უფროსად დანიშნულია გიორგი ჯანდიერი. შენ იცნობ მას?" — „არა, თქვენო აღმატებულებავ". „ვინ არ იცნობს ჯანდიერს. ტყვილა ხომ არ უწოდებენ ბას ჩვენში „დროშა-გიორგის". იგი და მისი თანამოსაგრენი, გეტყვი შენ, მამაცი ხალხია, მაგრამ საომარი წესებისა და საომეურნეო საქმეებში არაფერი გაეგებათ. შენ, ძმობილო, გოუთანაბრე ეს ლაშქარი ჩვენს დროგუნებს" [1].

თავ. ამილახვარი ენერგიულად შეუდგა მინდობილ საქმეს. სულ მაღლე მან კარგ შედეგებსაც მიაღწია: ლაშქრის რჩეული და მამაცი მხედრობა ჩინებულად დაეუფლა წესდების ყველა მოთხოვნას. თავ. ჯანდიერი პირადად ესწრებოდა ყველა მეცადინეობას, იყდა რა თეთრ ცხენზე თავისი ძველი ქართული ტანსაცმელით, იგი ძველ ლეგენდარულ ქართველ რაინდს მოგაგონებდათ.

თავ. ამილახვარმა, საომარი მეცადინეობასთან ერთად, გადაწყვიტა მოლაშქრეების, განსაკუთრებით თუშებისა და სხვა მთიელების აღზრდა-გარდაქმნა მორალურ-ზნეობრივადაც. იგი შეუდგა მათში „ძველი პატრიარქალური და საზიანო ჩვეულების" აღმოფხვრას. მათგან მტკიცედ მოითხოვდა, რათა ბრძოლის დროს ხელი არ ეხლოთ არაერთარი ნადავლისათვის; „გარდა მოწინააღმდეგის დროშებისა და იარაღ-საჭურველისა", განამტკიცებდა მათში ძველ ქართულ გმირულ ტრადიციებსა და რაინდულ სულისკვეთებას, ამასთან დაკავშირებით ხშირად მოაგონებდა მებრძოლებს დიდი რუსთაველის უკვდავ სიტყვებს გმირობის, მამაცობისა და უანგარო მამულიშვილობის შესახებ.

ქართული ლაშქარი ეგზოტიკური ელფეროვანი სილამაზითა და მებრძოლის რაინდული გარეგნობით ხასიათდებოდა. პირველი ასეული, რომელსაც მეთაურობდა თავ. გიორგი მაჩაბელი, შედგებოდა მხოლოდ ოსებისაგან, გამოირჩეოდა თავიანთი ფაფახების კაშკაშა წითელი ბოლომოკაზმულობით და

[1] „Кавказский сборник", 1907, т. XXVI, стр. 132.

ასეულის წითელი ნიშნით. მეორე ასეული, თავ. ზაქარიე ანდრონიკაშვილის უფროსობით, შედგენილი იყო სილხელელებისგან, ატარებდა თეთრ ფაფახებსა და თეთრ ნიშანს. მესამე ასეული, თავ. ნიკო ჭავჭავაძის მეთაურობით შედგებოდა თელავის მაზრის მცხოვრებთაგან, ჰქონდა მოყვითალოოქროსფერი ნიშანი. მეოთხე ასეული თავ. დავით ვახვახიშვილის მეთაურობით, შედგენილი იყო თბილისისა და გორის მაზრის მცხოვრებთაგან, გამოდიოდა ცისფერი ნიშნით. მეხუთე ასეულს, რომელიც შედგენილი იყო თუშებისა და ფშაველებისაგან, ჰქონდა შავი ნიშანი. ამ ასეულს მეთაურობდა თავის ვაჟკაცობით განთქმული და ქედმოუდრეკელი ელისბერიძე. ელისბერიძეზე ამბობდნენ, რომ „სხეულზე სათვალავთ მას მეტი ჭრილობა აქვს, ვიდრე წლოვანება". მეექვსე ასეული, დიდებული მწვანე ნიშნით, შედგებოდა მხოლოდ და მხოლოდ ქართველი თავადების უძველესი გვარის მოხალისეებისაგან და მას თავადი გიორგი ერისთავი მეთაურობდა [1].

თავისი ორიგინალური შემადგენლობით დიდსია მოვიხსენიოთ იმერელ მოხალისეთა განთქმული ცხენოსანი დრუჟინა, რომელიც მარტო მიქელაძეების გვარის თავადებისაგან შედგებოდა და, რომელსაც იმერეთის მეფის სოლომონ I თანამედროვე 75 წლის მოხუცი ქაიხოსრო მიქელაძე ხელმძღვანელობდა.

ყირიის საზღვარზე მისვლისას, ჩოლოქის განთქმული ბრძოლის დაწყების წინ, მებრძოლმა თუშებმა სახელდახელოდ შექმნეს შესანიშნავი გმირული სიმღერა-რაფსოდია. თუშთა სიმღერა საკმაოდ ვრცელია, ღრმა შინაარსიანი და ძლიერ ემოციური. იგი გამსჭვალულია სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარულით, უსაზღვრო ნდობით და ერთგულებით რუსეთისადმი, თურქი დამპყრობლებისადმი ზიზღითა და სიძულვილით. რაფსოდიის სტრიქონები გაჟღენთილია პატრიოტიზმის, ვაჟკაცობისა და გამბედაობის მაღალი პათოსით, გვიჩვენებენ თუშების მისწრაფებას „მტერს პირველნი ეკვეთონ".

[1] В. Потто. Память старых Кавказцев. 1897, Ср. „Кавказский сборник", 1907 (XXVI), стр. 142.

თავისი შემადგენლობით ერთობ ჭრელი, მაგრამ მტკიცედ
შეკრული, საბრძოლო სულისკვეთებით გამსჭვალული
თველის ლაშქარი თავ. ანდრონიკაშვილის მეთაურობით
1854 წლის 29 მაისს დაიძრა მარნიდან ძველი საფოსტო გზით
ოზურგეთისაკენ. დაბრკოლებებმა იმთავითვე იჩინეს თავი. გა-
დაულებელმა წვიმებმა გამოიწვია მდინარეების ადიდება, რა-
მაც დიდად შეაფერხა არტილერიის მოძრაობა და სხვა მძიმე
ტვირთების გადატანა. ანდრონიკაშვილი იძულებული გახდა
გზადაგზა სასწრაფო წესით 4 ხიდი გაეკეთებინა. მისი რაზმი
დანიშნულ ადგილზე მხოლოდ 3 ივნისს მივიდა.

ანდრონიკაშვილის რაზმის მოძრაობა არ დარჩა შეუმჩნე-
ველი სელიმ-ფაშას შეშინებულმა ფაშამ სასწრაფოდ დაცა-
ლა ქ. ოზურგეთი, დაიხია მდ. ჩოლოქს გაღმა და შეჩერდა
წინასწარ გამაგრებულ ძლიერ პოზიციებზე. ჯერ კიდევ
ანდრონიკაშვილის ჩასვლამდე შეიარაღებული გურულები
თავს დაესხნენ უწესრიგოდ უკანდახევისას თურქებს და მათ
არიერგარდს დროშები წაართვეს. ოზურგეთში დარჩა მრავა-
ლი დაჭრილი და ავადმყოფი თურქი ჯარისკაცი, რომლების
თან წაყვანა თავგზაბნეულმა მოწინააღმდეგემ ვერ მოასწრო.
ბევრის ანაბარა იქნა დაგდებული საწყობები ინგლისური სა-
ჭონლით, სურსათის დიდი მარაგითა და სხვა ქონებით.

თავ. ანდრონიკაშვილს განზრახული ჰქონდა ჩასვლისთა-
ნავე, პირველსავე დღეს დაერტყა თურქებისათვის, მაგრამ
რაზმის არიერგარდის დაგვიანებამ აიძულა დაეყოვნებლივ
შეტევაზე ხელი აეღო. 3 ივნისის სალამოს მოწვეულ იქნა
საბჭოდრო საბჭო. ამ საბჭოს სხდომის მონაწილე წერდა:
„სალამოს ანდრონიკაშვილმა თავისთან შეკრიბა რაღაც საბ-
ჭოდრო საბჭოს მსგავსი, რომელზედაც მოწვეულნი იყვნენ
გენერლები: გაგარინი, ბრუნერი და მაიდელი, პოლკოვნიკი
დრაიერი და მე. თითბირზე ხმები გაიყო. უმრავლესობა
(გაგარინი, ბრუნერი, დრაიერი) ითხოვდა იერიშის გადადებას
რამოდენიმე დღით, რათა წინასწარ მოეხდინათ მოწინააღ-
მდეგის პოზიციის საფუძვლიანი დაზვერვა... უმცირესობა
(მაიდელი და მე), მათ საწინააღმდეგოდ სწრაფი და გაბედუ-
ლი თავდასხმის მომხრე იყო, ისინი მოითხოვდნენ გვესარ-

გებლა ნიკოლოთთან მარცხის შემდეგ თურქების დამორალიზაციით და დაუყოვნებლივ გადავსულიყავით შეტევაზე.

ანდრონიკაშვილი, რომელიც განუწყვეტლივ აბოლებდა თავის ყალიონს, კამათში არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა. ყველა ჩვენთაგანს ნება დაგვრთო გველაპარაკა რამდენიც გვსურდა. ბოლოს ადგა და თქვა: „ახლა, კმარა, ბატონებო, აი ჩემი გადაწყვეტილება: ხვალ დავარტყათ თურქებს, ახლა კი დროა დავიძინოთ“. ამ სიტყვებმა ყველანი ერთბაშად გამოგვაფხიზლა“[1].

მეორე დღეს, 4 ივნისს, ჯერ კიდევ გათენებამდე, რაზმმა ქალაქი დასტოვა და ხშირი ტყით საზღვრისაკენ გაემართა. ავანგარდში მიემართებოდნენ გურიის ქვეითი ლაშქარი და თავად მიქელაძის ცხენოსანი რაზმი. მათ უკან ცოტა დაშორებით მიდიოდა რეგულარული ჯარი და ადგილობრივი ლაშქრის მთელი დანარჩენი შენაერთები. ჩვენს ჯარებს კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული ამოცანის მთელი სიძნელე: 10-ათასიან გურიის რაზმს უხდებოდა უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმა თურქთა 35-ათასიან კორპუსთან, რომელსაც პირადად მუშირი სელიმ-ფაშა სარდლობდა.

კ. მამაცაშვილი თავის მოგონებებში წერს: „ჩაუარა რა ჯარებს, თავ. ანდრონიკაშვილი არ მისალმებია მათ, რადგან საპასუხო ხმამაღალ მისალმებასა და შეძახილებს მოერიდა. იგი მხოლოდ გულითადი თავის დაკვრით კმაყოფილდებოდა. როცა გაესწორდა კურინელებს და შეიტყო მოწინავე ბატალიონის მეთაურებისაგან, რომ თურქების ბანაკიდან საგანთიადო“ სროლა ისმოდეთ, თავ. ანდრონიკაშვილმა პირჯვარი გადაისახა და საკმაოდ ხმამაღლა თქვა: „მადლობა ღმერთს, არ წასულან, მაშასადამე მივბეგვავთ მათ“. თავადის მიერ ნათქვამი იმედიანი სიტყვები სწრაფად გავრცელდა კოლონების რიგებში და მებრძოლებს გამარჯვების რწმენა ჩაენერგა[2].

ქართული მილიცია, რომელიც ავანგარდში მიდიოდა, ორ

---

[1] „Кавказ“, 1900, № 242.

[2] ი ბ ი ვ.

ნაწილად იყო გაყოფილი. ერთი ჯგუფი, რომელსაც მეთაურობდა თავ. თავდგირიძე, მიემართებოდა სოფ. ქაქუთითი, მის ამოცანას შეადგენდა მტრისათვის უკანდასახევი გზა მოეჭრა. მეორე ნაწილი ტიტულარულ მრჩეველ მაჭავარიანის მეთაურობით, პირველი ჯგუფის მარჯვნივ მიდიოდა. დილის 5 საათზე მილიციის ავანგარდი მაჭავარიანის მეთაურობით ტყეში წაიწყდა თურქების „პიკეტს", რომელიც ბაშიბუზუკებისაგან შედგებოდა. ნახევარსაათიანი ბრძოლის შემდეგ ჩვენმა მილიციამ უკუაგდო თურქების რაზმეული და იგი თავიანთ ბანაკამდე მიერეკა. თავისიანების დასახმარებლად თურქების რეგულარული ჯარი გამოეიდა ქვემეხებით. გურულები ისეთი გაშმაგებით ეკვეთნენ მათ ხმლითა და ხანჯლით, ისეთი ხოცვა-ყლეტა მოაწყვეს, რომ თურქებს თავგზა აებნათ, იქვე დასტოვეს დროშა და ქვემეხი და უკუიქცნენ. ამავე დროს მილიციის ჯგუფი თავდგირიძის მეთაურობით მარჯვენა ფლანგიდან ენერგიულად უტევდა თურქების პოზიციებს. მოწინააღმდეგე მან უკუაგდო ხერბის იქით, გარეკა თურქები ბანაკისაკენ, შემდეგ დაეშვა ჩოლოქთან და დაიკავა მთის გზა, რითაც თურქებს უკანდასახევი ხაზი გადეუჭრა.

დასაწყისი თითქოს კარგი იყო. ქართული ლაშქრის საავანგარდო შეტაკებანი მტრებთან წარმატებით ჩატარდა. მალე დაბურული ტყიდან რუსეთის რეგულარული ქვეითი ჯარიც გამოჩნდა. ის მტკიცე მხედრული ჩქარი მარშით და საბრძოლო შემართებით მოემართებოდა, ჯარი მალე მტრის პოზიციების პირისპირ აღმოჩნდა.

სელიმ-ფაშას კორპუსს უკვე მიეღო საბრძოლო განლაგება მდინარე ჩოლოქის მარცხენა სანაპიროს საკმაოდ ძლიერ და მისთვის ხელსაყრელ პოზიციებზე — მაღლობებსა და სერებზე. თურქების პოზიციების მარჯვენა ფლანგი ებჯინებოდა მდინარისაკენ დაქანებულ თითქმის მიუვალ ციცაბო ფერდობს, ხოლო მარცხენა ფრთა ეყრდნობოდა ღრმა ხევს, რომელიც ხშირი ფოთლოვანი ტყით იყო დაფარული.

გურიის რაზმის მთელი შემადგენლობა ორ ნაწილად გაიყო. მარჯვენა კოლონის მეთაურად დაინიშნა გენერალ-მაიორი მაიდელი, მარცხენა კოლონისა კი — გენერალ-

მაიორი ბრუნერი. ქვეითი მილიციის ნაწილები რეგულარული ქვეითი ჯარი წინ წასწიეს, მისი ერთი ნაწილი [illegible] სროლილი იქნა ჩოლოქის ხეობაში, რათა მოწინააღმდეგეს თავისი მთავარი ყურადღება მის მარჯვენა ფლანგზე გადაეტანა. თავ. ანდრონიკაშვილის განზრახვით უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა თავისი შეტევა პირველ რიგში თურქების მარცხენა ფლანგზე დაეწყო, რადგან იგი გაცილებით აღვილად ხელმისაწვდომი იყო და მასთან მისვლა შეუმჩნეველად შეიძლებოდა.

რიზმის კოლონებმა, გადალახეს თუ არა ჩოლოქი, საბრძოლო წყობა მიიღეს. იმავდროულად მთელი არტილერია პოლკ. მამაცაშვილის შეთაურობით სწრაფი ნორთით წასწიეს წინ კოლონებს შორის. ელვისებურად დაიკავა რა მოხერხებული პოზიცია მტრისაგან 400 საჟენზე, ჩვენმა არტილერიამ გახსნა გრიგალისებური ცეცხლი. თურქებმა ანალოგიური ცეცხლითვე უპასუხეს. გაჩაღდა საარტილერიო ორთა ბრძოლა. თურქები ისე მარჯვედ და ზუსტად სცემდნენ, რომ სულ რამდენიმე წუთში ჩვენი არტილერიის მომსახურე პერსონალიდან მწყობრიდან გამოვიდა 60 კაცი და 4 ათეული ცხენი. პოლკოვნიკი მამაცაშვილი ჩქარა მიხვდა, რომ მისი სამთო ქვემეხები ეძლურია თურქების ძლიერ ბატარეებთან ბრძოლაში. ამიტომ მან მთელი სისწრაფით კიდევ შეტად წინ წასწია 18 ქვემეხი და პირდაპირ მტრის არტილერიას დაუშინა. შედეგი მალე გახდა ნათელი. თურქების ქვემეხების სანასუხო ცეცხლი თანდათან ნელდებოდა. ამით გამხნევებული ჩვენი არტილერისტები სროლის შეუწყვეტლად ქვემეხებს უფრო და უფრო წინ სწევდნენ. მალე მამაცაშვილის არტილერია თურქების პოზიციიდან 150 საჟენზე აღმოჩნდა. მამაცაშვილის განკარგულებით მსუბუქი ქვემეხები წინანდებურად განაგრძობდნენ ორთა ბრძოლას თურქების არტილერიასთან, ხოლო სამთო ქვემეხების ცეცხლი მტრის ქვეითი ჯარისაკენ მიმართეს.

ვენ. ანდრონიკაშვილმა, რომელიც არ აშორებდა თვალყურს არტილერისტების დუელს, შენიშნა რა თურქების მხრით ცეცხლის შენელება, ერთდროულად სასწრაფოდ

დასძრა წინ ორივე ქვეითი კოლონა მოწინააღმდეგის პოზიციებისაკენ. ამასობაში ჩვენმა მილიციამ შესძლო შეეკრიბა ჩოლოქის ხეობით თურქების მარჯვენა ფლანგისაკენ. [illegible] შესდგა ბრუნერის კოლონის მოლოდინში, რათა ბრძოლა რეგულარულ ჯარებთან ერთად გაეგრძელებინა.

გენერალ მაიდელის კოლონამ დაიწყო შეტევა. თურქები ძლიერი ცეცხლით შეხვდნენ შემტევ ჯარებს. ჩვენი არტილერია განაგრძობდა მტრისათვის მარჯვე მიზნობრივ სროლას. წარმატებით წათამამებულმა მამაცაშვილმა თავისი არტილერია მტრის პოზიციებთან 100 ნაბიჯზე მიიტანა და ფანდიხი დააყარა თურქებს. ამავე დროს მაიდელის კოლონა და ქურინსკის პოლკი ერთდროულად ხიშტებით ეკვეთნენ თურქებს. გაიმარჯა გაცხარებული ხელჩართული ბრძოლა. ორივე მხარე დიდ ზარალს ნახულობდა. ბოლოს თურქებმა ვერ გაუძლეს რუს-ქართველთა ძალების გამანადგურებელ დარტყმებს და პირი იბრუნეს. თურქების პირველი ბანაკი მალე გენ. მაიდელის ხელში აღმოჩნდა. მაგრამ, საუბედუროდ, გამოირკვა, რომ მისი კოლონა მთლიანად იზოლირებული იყო თავისიანებისაგან, მხარდაჭერა არსაით ჩანდა. დადგა კრიტიკული მომენტი. ამისათვის, რომ თავალუხადი გახდეს შექმნილი ვითარება, საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, შეეჩერებინოთ გენ. ბრუნერის მოქმედება, უფრო სწორად, უმოქმედობა ბრძოლის დროს, რომელიც ერთობ საეჭვოდ გამოიყურებოდა.

ჩოლოქის ბრძოლას მრავალი ავტორი შეხებია, მრავალი ფურცელი აქვს დათმობილი ამ ბრძოლის ისტორიას სხვადასხვა წიგნებში. თვითმპყრობელობის ოფიციალურ ისტორიკოსების შრომებში სპეციალური თავები და მთელი გახყოფილებებიც კი გვხვდება ამ ამბებისადმი მიძღვნილი. ამ თხზულებათა ავტორები საჭიროდ თვლიან დაწერილებით აღწერონ ჯარის შემადგენლობა, მოწინააღმდეგე ძალების განლაგება, გადმოსცენ მხარეთა დისპოზიცია, ნაწილების მოძრაობისა და ცალკეულ შეტაკებათა დეტალებიც. მაგრამ, ამავე დროს, თითქმის ყველანი ცდილობენ დამალონ, ბოლომდე არ თქვან, მიაფუჩეჩონ ჭეშმარიტება. „არა ხელ-

საყრელი" ფაქტები. მსგავსი ტენდენციები, უწინარეს ყოვლისა, მკაფიოდ იყო ასახული ოფიციალურ რელაციებსა და მოხსენებებში, საიდანაც, როგორც „პირველწყაროებიდან", საერგებლობდნენ უმთავრესად ყოველგვარი ცნობებით ძველი თავადაზნაურულ-ბერეუეაზიული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლები.

ასე მოხდა ჩოლოქის ბრძოლის ვითარების აღწერა ოფიციალური რელაციის მიხედვით, რომელიც თავ. ანდრონიკაშვილის შტაბში იქნა დამუშავებული[1]. ამ ოფიციალურ მოხსენებაში, რომელიც თვით ანდრონიკაშვილის ვიზით არის აღბეჭდილი, ჩოლოქის ბრძოლა ისეა წარმოდგენილი, თითქოს მთავარი და წამყვანი პირები ბრძოლასა და გამარჯვებაში გენერლები ბრუნერი და მაიდელი იყვნენ. თავ. ანდრონიკაშვილის როლი ჩრდილშია დაყენებული, იგი უკანა პლანზეა გადასროლილი. სინამდვილეში კი ისტორიული ჭეშმარიტება და ფაქტები ამის სრულიად საწინააღმდეგოდ მეტყველებენ. ისიც ნათლად დასტურდება, რომ გენ. ბრუნერმა არა თუ რაიმე დადებითი როლი ითამაშა ამ ბრძოლაში, არამედ, სრულიად პირიქით, მან თავისი საეჭვო საქციელით, რომელიც ღალატს ესაზღვრებოდა, ლამის ჩაფუშვამდე მიიყვანა ჩოლოქის ოპერაციის მთელი საქმე. სად უნდა ვეძიოთ ჭეშმარიტება?

ჭეშმარიტების აღდგენის საქმეში განსაზღვრულ ინტერესს იმსახურებს მამაცაშვილის ჩანაწერების ის ადგილი, რომელიც დღემდე არსად, არასდროს და არავის არ მოუხსენებია, ის ცნობები, რომელიც მეფის ცენზურას ოსტატურად ამოუფხეკია დასაბეჭდად გამზადებულ ხელნაწერებიდან. „აღვწერ რა ჩოლოქის ამბებს, — წერს მამაცაშვილი თავის ხელნაწერებში, — მე მათ უფრო განსხვავებულად წარმოვადგენ, ვიდრე ეს აღწერილი იყო ანდრონიკოვის ოფიციალურ მოხსენებაში. მე ამბების მონაწილე ვიყავი და თვალით მხილველი, და არ შემიტანია არცერთი არასწორი ფაქტი ჩემს ხელნაწერში. ზოგიერთი წერილმანი გამოშვებულია, მაგრამ

---

[1] АКАК, т. X, стр. 798—802; გენ. რეადის 1854 წლის 15 ივნისის მოხსენება; Ср.: ЦГИАГ, ф. 1087, д. 449, л. 55—56.

მთავარი ფაქტები გადმოცემულია სწორად". შემდეგ ავტორი წერს, რომ გურიის რაზმის უფროსს ანდრონიკაშვილს არ სურდა შეერცხვინა და გაეშვებია მაიდელისა და ბრუნერის „კეთილი სახელი", რომლებიც ოფიციალურ წრეებში სრულიად დაუმსახურებლად რატომღაც „სარგებლობდნენ საქმიანი და მებრძოლი გენერლების რეპუტაციით". მამაცაშვილი შემდეგ აშკარად ალიარებს, რომ „ორივე ისინი მოქმედებდნენ დაუდევრად ამ ბრძოლაში, თუმცა მაიდელი ბრძოლის მეორე პერიოდში მოქმედებდა გაბედულად და მოხერხებულად". შემდეგ, ავტორი განაგრძობს: „ბრუნერს მიუძღვის დანაშაული იმაში, რომ თურქების პირველი ბახაკის მთელი ჯარი მუშირ სელიმ-ფაშასთან ერთად ტყვედ ვერ წამოიყვანეთ. ბრუნერს რომ ანდრონიკოვის ბრძანება შეესრულებია — შემოევლო მარჯვენა ფლანგიდან თურქებისათვის, თურქები უეჭველად იარაღს დაყრიდნენ... ხოლო მაიდელი ვალდებული იყო �არისკაცები, რომლებიც პირველი ბანაკის დაკავებისთანავე მაროდერობას შეუდგნენ. ამ დაუდევრობის შედეგად ჩვენმა ჯარებმა დიდი დანაკლისი განიცადეს... ბრუნერის შესახებ ლაპარაკობდნენ; ირონიით შენიშნავს ავტორი, რომ მას ეერასოდეს ვერავინ დაამარცხებს, იმიტომ, რომ იგი მტერთან ბრძოლას არასდროს არ მართავს, — ის ან უკან იხევს, ანდა სადმე იმალებაო". რაც შეეხება გენერალ ანდრონიკაშვილის ოფიციალურ რელიეფის ჩოლოქის ამბების შესახებ, მოგონების ავტორი შენიშნავს, რომ იგი „შედგენილი იყო სოლოგუბის მიერ ბრუნერის დირექტივით"[1].

სარწმუნო საისტორიო წყაროები მოწმობენ, რომ ბრძოლის გადამწყვეტ მომენტში ჩოლოქზე გენ. ბრუნერმა არ ეაუქირა ხმარი გენ. მაიდელის შემტევ კოლონას. სად იმყოფებოდა ბრუნერი ამ კრიტიკულ წუთებში?

გენერალ ბრუნერის კოლონა, რომელიც მოწოდებული იყო მაიდელის კოლონის შეტევის დაწყებისთანავე ბერიში მიეტანა მოწინააღმდეგის მარჯვენა ფლანგზე (ჩვენი არტი-

---

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 1060, л. 15—18.

ლერიის მარცხნივ), გაყვა ტყითა და ბუჩქებით დაფარულ ჩოლოქის ხეობას, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ შეესრულებინა დაკისრებული ამოცანა, დიდი ხნის უაზრო ხეტიალის შემდეგ ისევ უკან დაბრუნდა და ბატარეების ზურგში აღმოჩნდა. რაც შეეხება ჩვენს მილიციას, რომელმაც დაინახა ბრუნერის კოლონის უმოქმედობა, იგიც შედგა და შეტევაზე გადასვლის ნაცვლად განაგრძობდა თოფების უსისტემოდ სროლას მოწინააღმდეგის პოზიციისაკენ. ამრიგად, ბრუნერის უმოქმედობისა და მის მიერ ბრძოლის ველისათვის თავის აღიდების შეთხებით, სხვა საჯარისო შენაერთებიც და მილიციის ნაწილებიც, ფაქტიურად, პარალიზებული აღმოჩნდნენ. მათ არ შეეძლოთ დახმარების აღმოჩენა გენ. მაიდელის წინ გაჭრილ კოლონისათვის. ამ გარემოებამ კი ეს უკანასკნელი გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდო.

მოწინააღმდეგემ მარჯვედ ისარგებლა შექმნილი ვითარებით. იგი ძლიერი შემადგენლობით — რეგულარული ჯარის 8 ტაბორით (ბატალიონით) და სუვართა (კავალერიის) 3 ესკადრონით — ზეავივით დაატყდა თავს გენ. მაიდელის კურინსკის პოლკის 2 არასრულ ბატალიონს. საშინელი ხოცვა-ჟლეტა გაჩაღდა. დანაკარგი ჩვენი მხრით დიდი იყო. რუსი მამაცი ოფიცრების უმრავლესობა მწყობრიდან გამოვიდა. ასეულებში დარჩა არა უმეტეს 30—35 კაცისა. თვით. გენ. მაიდელს ცხენი მოუკლეს და იგი, ქვეითად დარჩენილი, ძლივს გადაურჩა ტყვეობას. მაიდელის დამარცხებული კოლონების ნაწილები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. მთელი რაზმი უადრესად საშიშ და სარისკო მდგომარეობაში ჩავარდა. ჩვენი ბატარეა მთლიანად დაუცველი აღმოჩნდა. მას უკვე წათამამებული თურქი სუვარების ესკადრონები დაეწვა, მრისხანე ტალღად მოიწევდა წინ თურქების ქვეითი ჯარიც. ხოლო მტრის არტილერია გრიგალისებურ ცეცხლს— ბერვებსა და ფინდიხებს უშენდა, როგორც ბატარეას, ისე ქვეით ჯარებს. არტილერიის უფროსს პოლკ. მამაცაშვილს ცხენი მოუკლეს და თვითონაც ძლიერ დაშავდა. დადგა გადამწყვეტი წუთები. სუვარები უკვე 100 ნაბიჯზე მიუახლოვდნენ ჩვენს არტილერიას. ამდროს რუსმა არტილერისტებმა

ერთხელ კიდევ დაძაბეს თავიანთი ძალ-ღონე. 18 ქვემეხიდან მარჯვედ დაშენილმა ფინდიხის ცეცხლმა მტერი გაფანტა და ფუკუოქცია. ამასობაში თურქეთის ქვეითმა ჯარმა მოახერხა კელავ გამაგრებულიყო თავის ძველ პოზიციებზე, საიდანაც ის ახლახან გადარეკეს ჩვენებმა.

ყველა ის, ვინც კარგად იცნობდა თავ. ანდრონიკაშვილს და, განსაკუთრებით ის ადამიანები, რომლებმაც იხილეს იგი ჩოლოქთან ამ საშიშროების მომენტში, თავიანთ ჩანაწერებში, მოგონებებში ერთსულოვნად აღნიშნავდნენ ამ მძიმე წუთებში სარდლის განსაკვირვებელ სულიერ წონასწორობას, მის სრულ სიმშვიდესა და სიდინჯეს. გადმოგვცემენ, რომ ეს კეთილმყოფელი თვისება და ღირსება არასდროს არ ღალატობდა მას, თვით ყველაზე კრიტიკულ წუთებშიც კი. თავისი შეუდრეკელი ნებისყოფისა და აუჩქარებელი სიდინჯის წყალობით იგი ყოველთვის პოულობდა გამოსავალს, ახერხებდა თავის დაღწევას თითქმის გამოუვალ მდგომარეობიდან. ამას ადგილი ჰქონდა ამ შემთხვევაშიაც. შექმნილ ალიაქოთსა და გაურკვეველობაში თავ. ანდრონიკაშვილმა ბოლომდე შეინარჩუნა სულიერი წონასწორობა. მაიდელის უკანდახევის შემდეგ, მან გასცა ფიცხელი განკარგულება, რათა ცხენოსანი ჯარის ერთი ნაწილი დაუყოვნებლივ შეეჭრილიყო თურქების ბანაკში, ამავე დროს მან მთელი თავისი კავალერია მოწინააღმდეგის მარჯვენა ფლანგისაკენ დასძრა. შეტევაზე გადასულ კავალერიას მან ფეხდაფეხ გაიყოლა საერთო რეზერვი, ხოლო შემდეგ — ბრუნერის კოლონაც. ეს მანევრი თურქებისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა და ისინი ერთბაშად შეირყნენ. მაშინ თავადმა უბრძანა დაწყებულიყო საერთო შეტევა. შემოუარა რა თურქების ბანაკს მარჯვენა ფლანგიდან, ჩვენი კავალერია მეხივით დაეცა მას ზურგიდან. ამავე დროს თურქების პოზიციებში შეიჭრნენ დონელი კაზაკები პოლკოვნიკ ხარიტონოვის მეთაურობით, მათ მიყვა ქართველ ცხენოსანთა ლაშქარი თავადების ჯანდიერისა და მიქელაძის მეთაურობით. გაჩაღდა სასტიკი სისხლისმღვრელი ხელჩართული ბრძოლა.

ამ ბრძოლაში მონაწილის გადმოცემით, შეტევაზე გადა-

სული ქართველი მოლაშქრეები თავიანთი მორთულ-მოკაზმულობით მექორწილეებს უფრო ემსგავსებოდნენ, ლაშქარს წინ მიუძღოდა შავი დროშა, რომელიც თეთრ ცხენზე მჯდომ ბოდბისხეველ დევგმირს ხაქარია ნატროშვილს მიეჭონდა. ცხარე ბრძოლაში ასეულის მეთაურები ხაქარია ანდრონიკაშვილი და ვახვახიშვილი მალე გმირულად დაეცნენ (ვახვახიშვილს ამ ომში ოთხი ძმა დაეღუპა, ის მეხუთე იყო).

ნიკოლოზ ჭოეჭოვაძე, არაჩვეულებრივი ძალღონის ვაჟკაცი, ბასრი მახვილით თურქს თურქზე აწყობდა. იგი მძიმედ დაიჭრა, ტყვიამ ყელში გაუარა, ხორხი დაუზიანა და მხარში გაეპეზა. მალე იგი ხმლითაც დაჭრეს. ჭოეჭოვაძის გვერდით ცხენიდან ჩამოვარდა სასიკვდილოდ დაჭრილი თავ. მიხეილ ერისთავი. ლაშქრის მეთაურმა თავ. ჯანდიერმა — „გიორგიდროშამ" ორი მძიმე ჭრილობა მიიღო ხიშტით. ქართულმა ლაშქარმა ამ შეტაკების დროს დაკარგა 125 კაცი, მაგრამ სამაგიეროდ მან სულ ერთიანად აკაფა მტრის რეგულარული ჯარის გვარდიის ბატალიონი, წაართვა თურქებს დროშა, ქვემეხი, გვარდიისა და ასეულის 3 ნიშანი [1].

მამაცად იბრძოდა თავად მიქელაძეების ასეულიც. იგი, ხარიტონოვის კაზაკთა პოლკთან ერთად, ერთი პირველთაგანი შეიჭრა თურქთა ბანაკში. რუსი პოლკოვნიკი ხარიტონოვი მამაცურად დაეცა ბრძოლის ველზე. მტრის ტყვიით განგმირული წაიქცა ქართული ასეულის მეთაური ქაიხოსრო მიქელაძე. ეი მისი გარეგნობის აღწერა: „იგი 75 წლის იყო, ბეჭში ოდნავ მოხრილი, მაგრამ მხნე, მუდამ მოძრავი და მომღიმარი, დაფლეჯა სახით და დიდი წითელი, ლომის ფაფარის მსგავსი ულვაშებით, იგი ყველას ანცვიფრებდა თავისი ამოვანი ტანადობით და თითქოს წარმოადგენდა „ვეფხისტყაოსნის" გმირების ცოც-

---

[1] 1854 წლის 4 ივნისს ხოლოქის ბრძოლაში ქართველთა ლაშქრის მიერ გამოელინებულ გულადობისა და მამაცობისათვის, მეფემ ქართველ ხალხს გიორგის დროშა უბოძა. იღებდა რა ამ გადაწყვეტილებას, რუსეთის იმპერატორი აღნიშნავდა, რომ „ქართულმა ლაშქარმა" გამოხატა ქართველი ხალხის ერთგულება და მამაცობა რუსეთისადმი" იხ. ЦГИАГ, ф. 214, д. 1350, л. 1,2. „Кавказский сборник", 1907, т. XXVI, стр. 5.

ბალ გამოხატულებას"[1]. სიკვდილის წინ, როგორც გადმოგვცემენ, მოხუცმა თავადმა ქაიხოსროთმ მოასწრო ეფშვეს მიზეზი მხოლოდ ერთის მეშინოდა, რომ ჩემი სხეული მტერს არ დარჩენოდა, ახლა კი, როცა მე საკუთარ მიწაზე ვკვდები, არა ლოგინში, არამედ ბრძოლის ველზე, აღარაფერის არ მეშინია". მის სახელოვან ასეულს ამ ბრძოლაში ორ ათეულზე მეტი ახალგაზრდა თავადი მიქელაძეები გამოაკლდა[2].

რუსთა რეგულარული კავალერიისა და ცხენოსანთა ლაშქრის გმირულმა დარტყმებმა საშუალება მისცეს ჩვენს ქვეით ჯარებსაც გაშლილ შეტევაზე გადასულიყვნენ. წინსვლითი მოძრაობას დიდად უწყობდა ხელს მამაცაშვილის ბატარეა, რომელმაც ცეცხლი გადაიტანა ახლო მანძილიდან და გასწმინდა გზა რაზმის საერთო შეტევისათვის.

თურქებმა ვერ გაუძლეს ყოველმხრივ დაწოლას და პირი იბრუნეს, მტერი უკან იხევდა უორგანიზაციოდ, გზააბნეულად. ანდრონიკაშვილმა უბრძანა ჯარებსა და მილიციას დადევნებოდა გაქცეულ მტერს, არ მიეცათ მისთვის შესვენების საშუალება. რუსმა და ქართველმა ცხენოსნებმა დიდხანს სდიეს ლტოლვილ მტრებს, დაუნდობლად ჩეხავდნენ მათ გზადაგზა, სანამ შორს, ლეღვას გადაღმა, სელიმ-ფაშას კორპუსის ნაშთები საბოლოოდ არ გაიფანტა. მთელი შარაგზა, მდ. ჩოლოქიდან ლეღვამდე და ძვის იქითაც, მტრის გვამებით იყო მოფენილი. სახელოვან მილიციელებს თურქი ტყვეები ჯგუფ-ჯგუფად მოყავდათ რაზმის ბანაკში. ეროწინააღმდეგემ გაუგონარი მარცხი განიცადა.

მტრის დანაკარგები ჩოლოქთან ბრძოლაში 4 ათას კაცამდე აღწევდა. გურიის რაზმს ხელთ დარჩა თურქების მთელი არტილერია, 36 დროშა და ნიშანი, 3 ხელუხლებელი ბანაკი ალაფის, აღალისა და საჭურველის სრული მარაგით, სასაპალნე ტრანსპორტი, თურქების მთელი სამხედრო ქონება-ინვენტარი და თვით ფაშის სელიმ-ფაშის კარავიც კი, სადაც მას დარჩა სულთანის მიერ მისთვის ნაჩუქარი ძვირფასი ხმალი.

---

[1] Газ. „Кавказ", 1890, № 25.

[2] ЦГИАГ, ф. 1087, д. 1060; Ср.: В. Потто, „Памяти старых Кавказцев", 1897.

თურქებმა მიატოვეს აგრეთვე მთელი თავიანთი ბანერი 500-ათას მანეთზე მეტი ოქროთი. აღსანიშნავია, რომ გურიის რაზმელებმა ლამის ტყვედ ჩაიგდეს თვით თურქეთის მეუფირი სელიმ-ფაშა მისი ამალით. ფაშამ რის ვაი-ვაგლახით დააღწია თავი გარდუვალ საფრთხეს და შერცხვენილმა ქობულეთისაკენ გაქცულა.

ჩვენს ჯარსა და მილიციას იაფად როდი დაუჯდა ეს გამარჯვება. მწყობრიდან გამოვიდა 1500-მდე კაცი, დაახლოებით 15% გურიის მთელი რაზმისა. აღსანიშნავია, რომ მსხვერპლის ერთი მესამედი ადგილობრივ მილიციაზე მოდიოდა. საერთოდ მილიციის უანგარო თავდადება და რაინდული კეთილშობილება ბრძოლაში ყოველგვარი ქების საზღვარს გასცდა. ამ ფაქტმა თავისი ასახვა ჰპოვა ოფიციალურ პატაკებსა და რელაციაშიც კი, რომელიც გენ. ბრუნერმა და გრაფმა სოლოგუბმა ასეთი ტენდენციურობით შეადგინეს. „აჭაური მილიციონერები გმირულად იბრძოდნენ", — ნათქვამია მოხსენებაში: ამასთან, გასაგებია, რომ ბრძოლაში „მდაბიოთა" მთელი დამსახურება რელაციით მხოლოდ მაღალი წოდების წარმომადგენლობას მიეწერებოდა. „აჭაური მდაბიო ხალხი, — ეკითხულობთ მასში, — მიჰყვებიან მაღალი წოდების მაგალითებს და აზიარებენ მათ განწყობილებას, ამიტომაც მებრძოლთა მამაცობა და ერთგულება უნდა მიეწეროს უპირატესად თავადებსა და აზნაურებს". შემდეგ ჩამოთვლილია ის მილიციელები, რომლებმაც ბრძოლაში თავი ისახელეს[1].

ჩოლოქთან მოპოვებული გამარჯვების შედეგები უდიდესი იყო. ამ გამანადგურებელმა დარტყმამ საფუძვლიანად შეარყია და მოშალა სელიმ-ფაშას ბათუმის კორპუსი. თურქეთის კორპუსმა ნამდვილი კატასტროფა, აუნაზღაურებელი ზარალი განიცადა. განცდილი მარცხის გამო თურქთა მილიცია — ბაშიბუზუკები დემორალიზებულ იქნა და სახლებში მიმოიფანტა. ამრიგად, ერთ დროს ძლიერი და მებრძოლი თურქთა კორპუსიდან თითქმის ალარაფერი დარჩა. ამის გამო, ჩვენი საზღვრების უშიშროება ამ უბანზე ამიერიდან საკმაო დროის

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 449, л. 55—56; АКАК, XI, № 34.

განმავლობაში შეიძლებოდა უზრუნველყოფილად ჩათვლილიყო ჩოლოქის თავდაცვის ხაზი კვლავ იქნა აღდგენილი და წინანდებურად გამაგრებული ადგილობრივ მილიციის ბოსტეგითა და საგუშაგოებით.

თავ. ანდრონიკაშვილი ვორონცოვისადმი გაგზავნილ წერილში ლანჩხუთ-ნიგოითთან და ჩოლოქთან მოპოვებულ გამარჯვებათა გამო წერდა: „თურქებმა სრული დამარცხება იგვიანეს 27 მაისს ლანჩხუთთან (გურიაში), სადაც მოქმედებდა ჩვენი მოწინავე რაზმი თ. ბ. ადიუტანტის პოდპოლკოვნიკ თავ. ერისთავის უფროსობით, და 4 ივნისის ბრძოლაში მდ. ჩოლოქის გადმო მოწინააღმდეგის მიწაზე. ორივე ამ საქმეა აქეს სრული მსგავსება აწყურისა და ახალციხის ამბებთან. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ როგორც მტრის ძალები, ისე ჩვენი, აქ რაოდენობით მეტი იყო, და თუ აწყურისა და ახალციხის საქმეებში ჩვენ ხელთ ჩავიგდეთ 14 ქვემეხი, აქ მისი რიცხვი 15 უდრიდა. ამასთან 4 ივნისს მტრის წინააღმდეგობა გაცილებით უფრო შეუპოვარი იყო და, სწორედ ამიტომ ბრძოლაც უფრო ჩქარა დამთავრდა, ვიდრე ახალციხესთან, ამავე დროს აქ სისხლი უფრო მეტი დაიღვარა"[1].

ჩოლოქის გამარჯვების შედეგების საერთო მნიშვნელობის შეფასების დროს შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ ამ გამარჯვებამ დიდად შეუწყო ხელი ევროპელი გენერლების მიერ ფართოდ მოფიქრებული დაპყრობითი გეგმების ჩაშლას ამიერკავკასიის მიმართულებით. გენერლებმა გიუიონმა, ბისტრეონოვსკიმ, ბრიანსკიმ და სხვ. სწორედ ამ დროს ლონდონსა და კონსტანტინოპოლს წარუდგინეს მათ მიერ დამუშავებული სტრატეგიული გეგმის „ორიგინალური" პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა მოქმედებას ახალქალაქისა და ახალციხის გზით სურამის უღელტეხილის გადავლით სელიმ-ფაშას ბათუმის კორპუსთან შესაერთებლად, რათა შემდეგ რუსეთის წინააღმდეგ „გაშლილი კომბინირებული შეტევა" დაწყებულიყო. ისინი იმედოვნებდნენ, რომ რუსების ზურგში — საქართველოსა და ამიერკავკასიაში ამ სტრატეგიული დარტყმით

[1] ЦГИАГ, ф. 941, п. 3, д. 38.

„დაიწყებოდა რუსეთის ბატონობის დასასრული ამ ამბავში"[1]. ჩოლოქის ამბებმა თავდაყირა დააყენა მტრების ფუფუნებანი და ვარაუდები.

ჩოლოქთან განცდილმა მარცხმა სულიერად დასცა თურქების ანატოლიის არმია, მეორე მხრით, ამ ამბავმა მოკავშირეების თვალში ძალზე დასცა თურქეთის პრესტიჟი. ევროპელების ვარაუდები, რომლებსაც ისინი ამყარებდნენ ბათუმის კორპუსზე, რომ სელიმ-ფაშა მიაღწევდა გამარჯვებას დასავლეთ საქართველოში, შეუერთდებოდა მთიელ ტომებს და გაშლიდა გადამწყვეტ ბრძოლას რუსების წინააღმდეგ, ქვიშაზე აგებული აღმოჩნდა. ამიერიდან ყველასათვის ცხადი გახდა, რომ ხანგრძლივი დროით მაინც, თუ მთლიანად არა, შენელდა კავკასიის საომარ ლობის შიში და ძრწოლა ამიერკავკასიის მარჯვენა ფლანგისა და ჯარების ზურგისათვის. ამავე დროს თავდაცვითი მოქმედების ეტაპი თითქოს დამთავრდა, იწყებოდა გაშლილ შეტევითი ბრძოლების პერიოდი. ყარსის მთავარ ფრონტზე ამ მიმართულებით გაკეთებული სამზადისი მიმდინარეობდა. პირველ აქტს საგულისხმო შედეგი მოყვა. ამ დროისათვის შესანიშნავი გამარჯვება იქნა მოპოვებული ერევნის რაზმის მიერ ჩინგილის სიმაღლეებზე, 19 ივლისს დაკავებულ იქნა ბაიაზეთის სიმაგრე[1].

გამარჯვებულთა ამაღლებული გრძნობებით და სიხარულით ბრუნდებოდნენ უკან თბილისისაკენ რუსი და ქართველი მებრძოლები. ჯარისკაცები და ქართველი მილიციელები გზაში ხმიერულად მღეროდნენ და იმეორებდნენ ლექსებს, რომლებიც ექსპრომტად შეთხზეს გამარჯვების ალსანიშნავად და თავიანთი სარდლის პატივსაცემად:

შემოქმედთ სიმღერა
ჩაედგეთ, ძმებო, წრეშია,
ლხინი, ცეკვა, თამაში
გამარჯვებულთ ნესია.

თურქებს დავსცხეთ ჩოლოქთან,
ტყვეთმ ვერ შეგვაშინა,

---

[1] ЦГВИАМ, ф. 68, д. 22, л. 4423.

ხმლით ვეკაფეთ დუშმანი,
მიეფიოდით სულ წინა.
ანდრონიკო

კ. მარქსს გერმანული პრესიდან მოყავდა შემდეგი ცნობა: „1853 წ. ნოემბრის ბოლოს შამილი თავგანწირვით შეეცადა გაეჭრილიყო სამხრეთისაკენ, რათა უშუალოდ შეეერთებინა თურქებს, მისი ჯარების რიცხვი განისაზღვრებოდა 10 — 16 ათასი კაცით. ამტკიცებენ, რომ მიურიდები, რომლებიც შეადგენენ მის საუკეთესო ჯარებს, საესებით განადგურებულნი არიან"[1].

განსაკუთრებით მძიმე და გამანადგურებელი იყო ქართველი ხალხისათვის, ხოლო დიდად ხელშემშლელი რუსეთის ჯარების მოქმედებისათვის შამილის თავდასხმა კახეთის სოფლებზე 1854 წლის ზაფხულში. შამილის ეს გამოხდომა რუსეთის ჭტრების მიერ შეფარდებული იყო იმ მომენტისათვის, როდესაც თურქეთის არმია კავკასიის ფრონტზე სერიოზულ კრიზისს განიცდიდა. მეტიც, ეს არმია ნამდვილ კატასტროფის წინაშე იმყოფებოდა.

რუსეთ-თურქეთის ამიერკავკასიის საომარ ასპარეზზე, ამ დროს, დამთავრდა თავდაცვითი პერიოდი. კავკასიის კორპუსის მამაცმა შენაერთებმა უკვე წარმატებებით დაასრულეს საავანგარდო ბრძოლები და მზადდებოდა ნიადაგი საერთო გენერალური შეტევისათვის. გენერალ ანდრონიკაშვილის ბრწყინვალე გამარჯვებებმა 1854 წლის 27 მაისს და 4 ივნისს ნიგოითში და ჩოლოქთან, რუსეთის არმიის დიდების ამაღლებასთან ერთად, ერთხელ კიდევ ასახელეს ქართველი ხალხი და ქართული ხმალი. თავისი შესანიშნავი წარმატებით ამიერკავკასიის მარცხენა ფლანგზე (ჩინვალის სამაღლებებზე) და ქალ. ბაიაზეთის დაკავებით იმავე წლის ივლისში ერევნის რაზმმა გმირული ფურცელი ჩასწერა კავკასიის არმიის საომარი მოქმედების ანალებში.

კავკასიის მომქმედი კორპუსის ბრწყინვალე გამარჯვებათა სერია ამ პერიოდში დაგვირგვინა გენერალ ბებუთოვის მიერ კურეიკ-დარასთან მაღალ საბრძოლო ოსტატობით მოპოვებულმა გამარჯვებამ, რომელმაც მთელი მსოფლიოს გაოცება და აღტაცება გამოიწვია და რომელმაც თურქეთის ანატოლიის არმია გასწორა საბოლოო კრახისათვის.

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. XVII, стр. 611.

ყარსის მთავარი საომარი ასპარეზის მიმართულებით ამ დროს უკვე მიმდინარეობდა გაცხოველებული მზადება გაშლილი გენერალური შეტევისათვის მთელ ფრონტზე.

და იმ დროს, როცა მცირე აზიაში უმოწყალოდ იმსხვრეოდა თურქეთისა და მისი ევროპიელი მოკავშირეების ყველაგვგმა და ეარაუდი, შამილმა და მისმა მიურიდებმა კვლავ აღძართეს თავიანთი მახვილი. თავისი მრავალრიცხოვანი შეიარაღებული რაზმებით შამილმა 1854 წლის ივლისში ცეცხლითა და მახვილით გადათელა კახეთის აყვავებული სოფლები, გაქცევა მშვიდობიანი მოსახლეობა, ბევრი მათგანი კი ტყვედ წაასხა დაღესტანის მთებში. თავისი მტარვალობით და შეუბრალებლობით ქართველ ხალხს ალი მაჰმად-ხანის დროიდან მსგავსი აწიოკება და განადგურება არ განეცადა. მიურიდების მიერ გაჩენილ ხანძარში, რომელმაც კახეთის სოფლები შთანთქა, დაიღუპა დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლეარი წინანდალში და მასთან ერთად მოისპო მისი არქივი, რომელშიც უძველესი უნიკალური მასალა ინახებოდა[1].

თავისთავად ცხადია, რომ შამილის განზრახვა დიდად სცილდებოდა კახეთის რამდენიმე სოფლის განადგურებისა და გაძარცვის ამოცანებს. მისი აქცია განხილულ უნდა იქნას, როგორც მოკავშირეთა სარდლების სტრატეგიის ორგანული ნაწილი. მაგრამ „მთის არწივს" ბედმა უმტყუნა. რუსეთის ჯარებისა და ადგილობრივი მოსახლეობის შეერთებულმა ძალებმა გამანადგურებელი დარტყმები აგემეს შამილის რაზმებს. ამის გამო შამილი თურქეთის სარდალს მუსტაფა ზარიფფაშას სწერდა: „ჩვენ გამოვიყენეთ ყოველგვარი საშუალება,

---

[1] საყურადღებოა პროფ. ირაკლი ანდრონიკაშვილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ალ. ჭავჭავაძის წინანდლის არქივში, გრიბოედოვის დოკუმენტებთან ერთად, ამ კატასტროფის დროს დაღუპული უნდა იყოს დიდი რუსი პოეტის ლერმონტოვის სახელთან დაკავშირებული მასალა (იხ. ამის შესახებ 1949 წლის № 42 ტფილ. „ოგანიოკი").

კახეთზე შამილის თავდასხმის და მის ბევრ ტყვეების გატაცების შესახებ იხ. ეერდერევსკის „Отечественные записки", 1856 წ. №№ 1 2, 3 და დრანსეს მემუარები" Пленницы Шамиля", 1858 წ.

ვეძიეთ უზენაესი ალაჰის კეთილგანწყობილება, ჩვენი უდიდესი სურვილი იყო შეგხვედროდით, ამიტომ გამოვეშურეთ თქვენსკენ ყველა იმ მებრძოლით, რომლებიც ჩვენს ძალაუფლებას ემორჩილებიან... ჩვენსა და ურწმუნოებს შორის გაიმართა ბრძოლები და შეტაკებანი. თქვენთან შეხვედრის მტკიცე რწმენით ჩვენ შემდეგში კვლავ მეორედ დავლაშქრეთ საქართველო... ისინი შეგვებრძოლენ ჩვენ და ყოვლისშემძლე ალაჰის მადლით უკუიქცნენ. ჩვენ ისინი დავხოცეთ, დავტყვევეთ. მათი სოფლები და ციხე-სიმაგრეები ხანძარს მივეცით.

შემდეგ, როდესაც ამ წყეულებმა... შეიტყვეს ჩვენი განზრახულობა შეგხვედროდით თქვენ, ურწმუნოებმა გზები გადაკეტეს, საშიშ ადგილებში ჯარები ჩააყენეს. ჩვენს შეერთებას ისინი დიდ უბედურებად მიიჩნევენ... ამის გამო ვერც ერთმა ჩვენთაგანმა ვერ შესძლო თქვენსკენ გამოლწევა". წერილის დასასრულს შამილი იმედს გამოთქვამს, რომ რაც უნდა მოხდეს იგი თავის მიზანს მიაღწევს და ადრე თუ გვიან უეჭველად შეუერთდება სულთანის არმიას [1].

შამილის მრავალი ცდა — მოეზდინა რუსთა ჯარების ზურგის დეზორგანიზება, ვერ გაამართლა, დივერსიის სულისჩამდგმელთა იმედებმა და ვარაუდებმა ვერ შესცვალა თურქთა წინააღმდეგ რუსი ჯარების აქტიური მოქმედების საერთო მიმართულება. მაგრამ მას არ შეეძლო ზიანი არ მოეტანა კავკასიის კორპუსისათვის, რამდენადმე არ დაებრკოლებინა მისი აქტიური ოპერაციები.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი, საერთოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ შამილის მოსალოდნელ შეერთებას თურქეთის არმიასთან. ამასთან დაკავშირებით თავიანთ სტატიაში „საღვთო ომი" ისინი მოუთითებდნენ, რომ თურქეთი თავისი მოსალოდნელი წინსვლით კავკასიაში და წარმატების შემთხვევაში, სულ ერთია ბათუმიდან თუ არზრუმიდან, დაამყარებს პირდაპირ კავშირს თავის ჩოკაეშირე მთიელებთან და ერთი დარტყმით შესძლებს მოწყვიტოს სამხრეთ კავკასიის არმია რუსეთს, ყოველ შემთხვევაში ხმელეთით მაინც. ამას კი შეუძლია

---

[1] იხ. საქ. სსრ საარქივო სამმართველოს კრებული, სახელგამი, 1953 წ., თბილისი, გვ. 418 — 419.

გამოიწვიოს რუსეთის არმიის (კავკასიაში — ე. ბ.) სრული გა-
ნადგურება"[1].

კავკასიის მამაცი ჯარებისა და ადგილობრივი მილიციის თანმიმდევარი და წინდახედული მოქმედების მეოხებით ძირშივე იქნა აღკვეთილი ასეთი პერსპექტივა. ოსმალეთის არმიისა და მთიელი მიურიდების შეერთება ყირიმის ომის დროს ვერ განხორციელდა. ერთადერთი საგულისხმო შედეგი, რაც 1854 წლის იულისში შამილის კახეთში შემოჭრას მოჰყვა, ის იყო რომ მან ხელი შეუშალა ჩოლოქის გამარჯვების ორგანიზატორს გენერალ ანდრონიკაშვილს, გაეზიარებინა თავ. ბებუთოვთან ერთად, კურიეკ-დარასთან მოპოვებული დიდმნიშვნელოვანი გამარჯვების ზეიმი.

მოხდა ასე: ჩოლოქის ბრძოლის დამთავრებისა და გამარჯვებისთანავე, ჯერ კიდევ თბილისში დაბრუნებამდე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რათა ანდრონიკაშვილის სამხედრო შენაერთი გადასროლილი ყოფილიყო ალექსანდროპოლის მთავარი კორპუსის დასახმარებლად. გენერალ ანდრონიკაშვილის რაზმი სასწრაფოდ დაადგა გზას, რათა გენ. ბებუთოვის კორპუსს დროულად მიშველებოდა. რაზმის ავანგარდი მალე დაწინაურდა გზაში და სწრაფი მარშით მიეშურებოდა ახალციხის მიმართულებით. მოლაშქრეთა შორის, სხვა ადგილობრივ რაზმებისაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა სახელგანთქმული ქართული რაზმი გიორგი ჯანდიერის — „დროშაგიორგის" სარდლობით.

სურამის უღელტეხილზე გადასვლის დროს გენ. ანდრონიკაშვილმა მიიღო შემზარავი ცნობა — კახეთზე შამილის თავდასხმის შესახებ. ამ გარემოებამ სარდალს ძირეულად შეაცვლევინა თავისი ლაშქრობის კურსი. ზემოდან მიღებული დირექტივის საფუძველზე მან უკან გამოიხმო დაწინაურებული შენაერთები, გადააჯგუფა ისინი და მაგარ შუშტად შეკრული მრისხანე რაზმი შემართებით დასძრა თბილისის შარაგზით კახეთისაკენ. მაგრამ მას შამილის რაზმებთან უშუალო შეერკინების შესაძლებლობა არ მიეცა. ეს უკანასკნელი ამ დროს

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, соч, т. IX, стр. 556.

დიდძალი ნაძარცვი ქონებით, მოტაცებული პირუტყვის ჯოგებით და მრავალრიცხოვანი ტყვეებით უკვე თავდასხმა-შეტევას უბრუნდებოდნენ. მთიელთა მოქმედების ბუნებას ყირიმის ომის პერიოდში ნათელყოფს თვით შამილის პირადი ბარათი ომერ-ფაშასადმი: „მე გამოვეშურე თქვენსკენ დიდი ჯარით, — წერდა შამილი ფაშას, — მაგრამ ჩვენი შეერთება შეუძლებელი გახდა იმ ბრძოლის გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენსა და ქართველ თავადებს შორის. ჩვენ მოვტაცეთ მათ პირუტყვის ჯოგები, წავართვით ქონება, ცოლები და ბავშვები, დავიპყარით მათი ციხე-სიმაგრეები და დიდი დავლით ზეიმით დავბრუნდით შინ. გაიხარეთ თქვენც!“ [1].

1854 წლის 13 იელისს თბილისში დაბრუნებისთანავე თავ. ანდრონიკაშვილი თავისი თხოვნის საფუძველზე განთავისუფლებულ იქნა გურიისა და ახალციხის ჯარების რაზმების მეთაურობისაგან. განთავისუფლება ოფიციალურად მოტივირებული იყო მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით. გურიის რაზმის მეთაურად დაინიშნა კავკასიის გრენადერთა ბრიგადის მეთაური, ბაშკადიკლარის ბრძოლების მონაწილე — გენერალ-მაიორი თავ. ბაგრატიონ-მუხრანსკი. ახალციხის რაზმი კვლავ გამოეყო გურიისას და ისევ ალექსანდროპოლის კორპუსის შემადგენლობაში შეეიდა. ამრიგად, ახალციხის რაზმი ამიერიდან გენ. ბებუთოვის საერთო სარდლობას ექვემდებარა.

გურიის რაზმის შემდგომი მოქმედების გეგმა, რომელიც შეადგინა ბაგრატიონ-მუხრანსკიმ და მეფემ მოიწონა, ემყარებოდა იმ ვარაუდს, რომ მოკავშირეთა ძალების სიჭარბისა და მათი ფლოტის შავ ზღვაზე ბატონობის ვითარებაში მოსალოდნელი იყო მტრის ძალების გამოჩენა ერთდროულად ან ნაწილ-ნაწილ ქობულეთის, რედუტ-კალესა და აფხაზეთის მხრიდან. ამიტომ რაზმს უნდა დაეკავებინა ისეთი სტრატეგიული პოზიციები, საიდანაც უფრო ეფექტურად შეიძლებოდა ქვეყნის შიგნით მოწინააღმდეგის მოძრაობის შეჩერება. თავ. ბაგრატიონ-მუხრანსკის აზრით ასეთი პოზიცია შეიძლებოდა

---

[1] ЦГИАГ. ф 1087 д. 442. л. 15. შამილის თავდასხმის შესახებ კავეთზე—იხ. АКАК. т. X. стр. 560—567; ЦГИАМ, 1 экспед. 89, л. 11, № 37; „Кавказ“, 1854, № 53 — „Особое приложение“.

ყოფილიყო ცხენისწყლის მარცხენა სანაპირო. მაგრამ მთელი ძალების ამ პოზიციებზე უბრძოლველად უკანდახევა გულგრილ-დან და სამეგრელოდან მტრისათვის ამ კუთხეების სათარეშო ასპარეზად დატოვება იქნებოდა. ამიტომ გადაწყვეტილი იყო რაზმის გაყოფა ორ ნაწილად. ერთი ნაწილი ზუგდიდსა და ხეთაში (სამეგრელო) რჩებოდა, ხოლო მეორე აკეთის მთებზე (გურია) უნდა გამაგრებულიყო. სოფ. სორტა, როგორც ცენ-ტრალური პუნქტი, მიჩნეულ იქნა საერთო რეზერვის სად-გომად [1].

ამ გეგმის განხორციელებისა და ჯარების დისლოკაციის შემდეგ, 1854 წლის საომარი კამპანია, მისი ფართო აზრით, დამთავრებულად უნდა ჩათვლილიყო. ცნობილი გახდა, რომ ამავე ხანებში აფხაზებმა და სამურზაყანოელებმა ზიზღით უკუაგდეს თურქებისა და მაჰმად-ემინის თავხედური წინადა-დება მიეღოთ მონაწილეობა საერთო ლაშქრობაში რუსების წინააღმდეგ; ამასთან იტყობინებოდნენ, რომ ანალოგიურ პო-ზიციას ადგნენ აგრეთვე დასავლეთ კავკასიის მთიელი მოსახ-ლეობის ძირითადი მასები. ეს უკანასკნელნიც სრულ გულგრი-ლობას იჩენდნენ თურქი დამპყრობლებისა და ინგლისელ-ფრანგ ემისრების მიმართ, რომელთაც არ აჭაშანებდნენ მთის აულებში [2].

ზამთრის დაწყებამდე გურიის, სამეგრელოსა და იმერეთის საზღვრებზე შედარებით მყუდროება და სიწყნარე დამკვიდრ-და. მაგრამ ეს „მყუდროება" მხოლოდ შედარებით, მხოლოდ პირობით ჩათვლებოდა, არც მეტი, არც ნაკლები. არსებობდა მტრის დიდი ძალების უშუალო შემოქრის საფრთხე. მიუხე-დავად ამისა რეგულარული ჯარები მაინც გადავიდნენ ზამთ-რის საბანაკო რეჟიმზე. „მცირე ომი" და ცალკეული შეტაკე-ბები კვლავ გრძელდებოდა. მტრის დივერსიული გამოხდომე-ბის მოგერიების მთავარი სიმძიმე ამიერიდან იდგილობრივ მილიციას და პარტიზანებს დაეწვა. ამ უკანასკნელთ ხშირად უხდებოდათ შეჯახება თურქების მხვერავთა ჯგუფებთან, მათ პიკეტებთან და გარნიზონებთან შავი ზღვის სანაპირო ზოლ-

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 449, л. 84—89.
[2] ЦГВИАМ, ф. ВУЛ, д. 6643, лл. 89, 104, 277.

ში. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი შეტაკებები ზოგჯერ საკმაოდ სერიოზულ ხასიათს იტარებდა.

გურიის რაზმის შტაბი, კავკასიის კორპუსის სარდლობა განუწყვეტლივ ღებულობდა პატაკებსა და მოხსენებებს მტერთან მილიციის ბრძოლების შესახებ. გავეცნოთ ზოგიერთ მათგანს. ოზურგეთის საშაზრო მილიციის უფროსი 1854 წლის 4 აგვისტოს მოახსენებდა თავ. ბაგრატიონ-მუხრანსკის, რომ მილიციელთა რაზმს ხახუტა ნაკაშიძის ხელმძღვანელობით შეჯახება მოუხდა თურქებთან. სროლისას მოკლული იქნა რამდენიმე ათეული თურქი. მსხვერპლი არის ჩვენს მხარეზეც[1].

თავ. გურიელი იუწყებოდა, რომ 11 აგვისტოს ჩვენი მილიციელები დაედევნენ თურქ მტაცებლებს, რომლებსაც გლეხი ქალები და ბავშვები გაეტაცებიათ. მოკლულია რამდენიმე თურქი. მილიციელები მაქსიმე ლესელიძე, ელიზბარ ლოლუა და ზოგიერთი სხვები დაჭრილნი არიან[2].

თავ. მანუჩარ ჩიჯავაძე იუწყებოდა, რომ 21 სექტემბერს, დიდმალალოს მთაზე აღგილმდებარეობის დათვალიერებისას, მილიციის რაზმი მოულოდნელად შეეტაკა თურქებს. გაჩაღდა ცხარე ბრძოლა. მტერმა 10 კაცი დაკარგა, მათ წაართვეს აგრეთვე ცხენებიც[3].

მილიციის ასეულის უფროსმა თავ. გიგო ჯაყელმა 17 ოქტომბერს შენიშნა, რომ თურქების პოზიციის პირველ პოსტზე ასორმოცდაათამდე რეგულარული თურქი ჯარისკაცი იმყოფებოდა. ჯაყელი თავისი მილიციელებით მოულოდნელად თავს დაესხა მტერს, მოკლული და დაჭრილია რამდენიმე ათეული თურქი, მათ შორის თვით თურქების რაზმის უფროსი, ხელთ ეიგდეთ თოფები, ხანჯლები და სხვა საშხედრო ჭონება[4].

27 ოქტომბერს თავ. ბაგრატიონ-მუხრანსკიმ შემდეგი შინაარსის პატაკი მიიღო: „თურქებმა მოაწყვეს გამოხდომა სანგრებიდან და მიადგნენ შეგრელთა მილიციის პირველ

---

[1] ЦГИАГ, ф. 939, д. 66, л. 7.
[2] იქვე. ფურცელი 8.
[3] იქვე, ლ. 10
[4] იქვე, ლ. 12.

მწკრივეს, რომელიც განლაგებული იყო მდ. ხობის მარცხენა ნაპირზე. გაჩაღდა ბრძოლა. თავ. დადიანი სასწრაფოდ მიეშველა უკანდახეულ მილიციონერებს, შეუტია თურქებს და უკუაქცია ისინი, მაგრამ, როცა ჩვენებმა დაიწყეს ხიდის გამართვა, 200-ზე მეტმა თურქმა იერიში კვლავ გაიმეორა. ჩვენები მედგრად დახვდნენ, გააქციეს თურქები და უკან სანგრებში შერეკეს. თურქების მხრით ორიან მოკლულები" [1].

თავ. გურიელი 25 ოქტომბერს იუწყებოდა, რომ თავ. ანტონ ნაკაშიძეს შეჯახება მოუხდა თურქებთან. სხვა მილიციელთა შორის დაიღუპა თავის მამაცობით განთქმული მებრძოლი ანტონ ივანეს ძე ჩანჩიბაძე [2].

30 ნოემბერს გურიის რაზმის უფროსს მოახსენეს, რომ მილიციელების მიერ მოტაცებულ თურქთა ნაევებზე აღმოჩენილი იქნა თურქების მიერ ადგილობრივი მოსახლეობის ნაძარცვი დიდი რაოდენობის ქონება, მათ შორის: ხალიჩები, აფხაზური მაუდი, აბრეშუმი, ტყავი, ყაბალახები, რამდენიმე ქასრი თაფლი, სამი ფუთი სანთელი, რამდენიმე თოფი, აბრეშუმის ნედლეული, ბევრი ოქროსა და ვერცხლის საამკაული და სხვადასხვა ნივთი, ქართველ მეფეთა ნაჭედი ვერცხლის მონეტები, ქვაბები, სპილენძის ჭურჭელი, ქოთნები, ტაშტები და სხვ. [3].

დეკემბრის ბოლოს თავ. გურიელი მოახსენებდა გენ. ბაგრატიონ-მუხრანსკის, რომ „ლანჩხუთის რაზმის უფროსმა, თავ. დათა გუგუნავამ მილიციის 2 ასეულით საზღვრის შემოვლისას შეამჩნია თურქები. თავადი დაესხა მათ. მოკლულ იქნა ბევრი თურქი. ხელთ ვიგდეთ ტყვეები, ცხენები, იარაღი (პატაკს დართული ჰქონდა ტყვეების ჩვენებებიც)" [4].

ანალოგიური ცნობები თითქმის ყოველდღიურად და დიდი რაოდენობით მოედინებოდა გურიის რაზმის შტაბში. იყო აგრეთვე ცნობები მტრის ზურგში პარტიზანების მიერ მოწყობილი ღრმა რეიდების შესახებ. ეს რეიდები ხშირად დიდი

---

[1] ЦГИАГ. ф. 939. д. 66, л. 13.

[2] იქვე, ფურცელი 14.

[3] იქვე. ф 939, д 66. л. 15.

[4] იქვე. ფურცელი 34, 35.

ეფექტით მთავრდებოდა (განსაკუთრებით აღსანიშნავია თურქების ბანაკის დაწვა ლეღვაში, 1854 წლის 18 დეკემბერს ქობულეთიდან თურქ ბანდიტთა რაზმების მეთაურების მოტაცება და სხვ.).

1854 წლის ზამთრის კამპანიის პერიოდში ჩვენი მილიციის გაბედული მოქმედება თურქების წინააღმდეგ არა მარტო ეპილოგი, არამედ მომავალი წლის ახალი კამპანიის წინამორბედი და პროლოგიც იყო.

დგებოდა 1855 წელი — საბედისწერო მთელი დასავლეთ-საქართველოსა და, განსაკუთრებით, აფხაზეთისა და სამეგრელოსათვის.

დამახასიათებელია, რომ უკვე 1854 წლის ბოლოს საქართველოსა და ამიერკავკასიაში დაქირავებით ვრცელდებოდა ხმები ევროპის ქვეყნების ძლიერი არმიის მოსალოდნელი ექსპედიციის შესახებ. მსგავსი ხმების პირველ წყაროდ ჩვენს სარდლობას მიაჩნდა, უწინარეს ყოვლისა, მტრის აგენტურა, რომლის ამოცანას შეადგენდა რუსთა სარდლობის სტრატეგიული დეზორიენტირება და კავკასიის კორპუსის თავდაცვითი სისტემის დეზორგანიზება, მოსახლეობის დაშინება, ზურგის მოშლა და შეიარაღებული ძალების დეზორიალიზება. ასეთი ვარაუდი უდავოდ ახლოს იდგა ჭეშმარიტებასთან. მაგრამ მთავარსარდლობამ აქედან ჯეროვანი დასკვნების გაკეთება მაინც ვერ შესძლო.

1855 წლის საომარ კამპანიას წილად ხვდა სრულიად განსაკუთრებული, არსებითად გადამწყვეტი როლი ეთამაშა რუსეთის იმპერიის ყველა ფრონტზე, კერძოდ კი საქართველოსა და ამიერკავკასიის საომარ ასპარეზზედაც. ამ ლირსშესანიშნავ წელს ყირიმის ომის დასკვნითი აკორდის როლი უნდა შეესრულებინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეხუთე

ომერ-ფაშას საექსპედიციო კორპუსის განადგურება და საომარი კამპანიის დასასრული

თურქეთის საექსპედიციო კორპუსის შემოჭრა სამეგრელოში ომერ-ფაშას სარდლობით წარმოადგენდა 1853 — 1856 წლების აღმოსავლეთის ომის ფრიად საგულისხმო მოვლენას. თურქთა შემოსევა საქართველოს ტერიტორიაზე, კ. მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, წარმოადგენდა „ერთადერთ სტრატეგიულ იდეას, რომელიც ამ (აღმოსავლეთის — ე. ბ.) ომმა წარმოშვა. იგი ნიშნავდა ექსცენტრული პოზიციის დაკავებას გარემომცველი არმიის მიმართ—მუქარას თბილისისათვის, აზიაში რუსების ძალაუფლების ამ ცენტრალური პუნქტისათვის, მუქარას, რომელიც მეფრაციოს აიძულებდა უკან დაეხია ყარსიდან იმის შიშით, რომ იგი მოწყვეტილი იქნებოდა ოპერატიული ბაზისა და საკომუნიკაციო ხაზებისაგან... სამეგრელოს ექსპედიციას, არა მარტო უნდა გადაერჩინა ყარსი, არამედ შეექმნა პირობებიც საყოველთაო შეტევითი ტაქტიკისათვის და ამრიგად, მიეღწია ომში შესაძლებელი უველაზე დიდი უპირატესობისათვის[1].

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მკაფიო მითითებანი და ისტორიულ წყაროთა კონკრეტული ანალიზი საფუძველს გვაძლევს გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება, რომელიც რამდენადმე ეწინააღმდეგებიან ისტორიოგრაფიაში დღემდე გავრ-

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. X, стр. 555, 1938.

ცელებულ შეხედულებებს. სწორი არ იქნებოდა საქართველოში მტრის საექსპედიციო ლაშქრობის დანიშნულება. შეგვეზღუდა მარტოოდენ მურავიოვის საალყო კორპუსის დეზორიენტირებისა და ყარსის გარნიზონის განთავისუფლების ამოცანებით. უფრო მართებული იქნებოდა გვეფიქრა, რომ ლაშქრობის საფიქრსიო მოტივები ვითომდა ალყაშემორტყმული ყარსის დახსნისა, მხოლოდ საბურველს, შირმის წარმოადგენდა. ნამდვილად კი დესანტის ორგანიზატორთა სამხედრო-სტრატეგიული ჩანაფიქრი გაცილებით უფრო შორს მიდიოდა, თურქთა საექსპანსიო მისწრაფება აქ მეტადროდ იყო გადახლართული მათ უკან მდგომ ინგლისელთა სამხედრო-პოლიტიკურ გეგმებსა და ვარაუდებთან.

ინგლისელი ომის გამჩაღებლების კარნახით, ჯერ კიდევ აღმოსავლეთის ომის დასაწყისშივე, თურქეთის მთავრობა ენერგიულად შეუდგა კავკასიის სანაპიროზე სადესანტო ოპერაციების მომზადებას. ადმირალ ნახიმოვის სინოპის სახელოვანმა გამარჯვებამ 1853 წლის შემოდგომაზე და თურქეთის სამხედრო ფლოტის მთავარი ძალების განადგურებამ, ჩაშალა ინგლისელ-თურქ აგრესორთა თავდაპირველი გეგმა.

1854 წლის გაზაფხულზე ომში ინგლისისა და საფრანგეთის ოფიციალურად ჩარევის გამო, კავკასიის სანაპიროზე სადესანტო ოპერაციების გაშლის იდეამ უფრო რეალური ფორმები მიიღო. ამ იდეის მიზანშეწონილობას მოკავშირეთა სარდლობაში განსაკუთრებით განამტკიცებდა შავი ზღვის ზოლში მომხდარი ცვლილებები: ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის შავი ზღვის სანაპიროს და მთელი აფხაზეთის რუსთა გარნიზონებისაგან ევაკუაციის შემდეგ ეს მხარე ფაქტიურად მოწინააღმდეგე ძალის სათარეშო ასპარეზად ხდებოდა.

მიუხედავად ამისა, მოკავშირეები სიფრთხილეს იჩენდნენ, დიდხანს მერყეობდნენ და ვერ ახერხებდნენ სადესანტო ოპერაციების გაშლას. ამის მიზეზს მოკავშირეთა ბანაკში არსებული უთანხმოებისა და განუწყვეტელი ქიშპობის გარდა, წარმოადგენდა ის გამანადგურებელი დარტყმები, რომლებიც რუსეთის არმიამ მოწინააღმდეგეთა ჯარებს აგემა სევასტოპოლის მისადგომებთან.

1854 წლის დასასრულს მთავრობის ადგილობრივ წრეებსა და საზოგადოებაში გავრცელდა ხმა, რომ მოკავშირე სახელმწიფოები უკვე პრაქტიკულად შეუდგნენ მძლავრი საექსპედიციო არმიების შექმნას და აპირებენ დესანტის გადმოსხმას შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, რათა იქიდან დაიწყონ შელწევა საქართველოსა და ამიერკავკასიის სიღრმეშიო. კავკასიაში მეფისნაცვლის მოვალეობის დროებით აღმასრულებელი გენერალი რეადი, თავის წერილში გორჩაკოვისადმი 1854 წლის დეკემბერში იტყობინებოდა, რომ მის განკარგულებაში არსებული ცნობებით „ყირიმის კამპანიის დამთავრების შემდეგ ინგლისისა და თურქეთის გვარდიის შენაერთები აპირებენ ქობულეთში გადმოსხდომას, საიდანაც ისინი გურიისკენ გაემართებიან; ფრანგები და თურქეთის სხვა ჯარები იმავე დროს დაიწყებენ საომარ მოქმედებას სოხუმიდან ან რედუტიდან"[1].

როგორც მოვლენათა განვითარებამ ცხადყო, ეს ცნობები არ იყო საფუძველსმოკლებული. გადამწყვეტი მომენტიც დადგა. 1855 წლის ივნისში თბილისში შეიტყვეს, რომ კავკასიის მეფისნაცვალმა, იგივე კავკასიის მოქმედი კორპუსის მთავარსარდალმა გენერალ-ადიუტანტმა მურავიოვმა მტრის ნარყუეში მოაქცია ყარსის ციხე-სიმაგრე. რამდენიმე კვირის შემდეგ მიღებულ იქნა ცნობა, რომ ფერხად-ფაშა, თურქეთის საექსპედიციო არმიის შტაბის უფროსი, არმიისა, რომლის მთავარსარდლად ომერ-ფაშა ითვლებოდა, ოტომანთა ჯარებით გადმოსხდა აფხაზეთის სანაპიროზე, რომ ფერხად-ფაშას კვალდაკვალ განუწყვეტლივ ნაკადად მოედინებოდა თურქთა მრავალრიცხოვანი ჯარები. 1855 წლის სექტემბრის დამდეგს ბათუმიდან გადმოსხდა თურქთა ახალი სადესანტო შენაერთი, რომელიც თანმიმდევრობით გადაჰყავდათ სოხუმში. იმავე წლის ოქტომბერში სოხუმში ჩავიდა თურქთა საექსპედიციო კორპუსის მთავარსარდალი ომერ-ფაშა, რომელსაც მისი პირმოთნე პატივისმცემლები „სარდარ-ეკრემის" უწოდებდნენ. ამის შემდეგ სულ მალე, ორმოცდახუთ-

[1] ЦГВИАМ, ф. „ВУА" д. 5496, л. 431.

ათასიანი საექსპედიციო არმია ომერ-ფაშას პირადი ხელმძღვანელობით, მსგავსად ქარიშხლის მომასწავებელი შავი ღრუბლებისა, სალაშქროდ დაიძრა სამეგრელოს საზღვრებისაკენ.

თავისთავად იბადება კითხვა: რა ფარული ზრახვები ამოძრავებდა თურქეთის არმიის მთავარსარდალს სადესანტო პუნქტად სოხუმის ამორჩევის დროს? ომერ-ფაშას ასეთი არჩევანი მაშინდელ მსოფლიო საზოგადოებრიობასაც კი დიდ უკანონობად ეჩვენა.

ცნობილია, რომ ამიერკავკასიის პლაცდარმზე რუსეთის ჯარებისადმი გადამწყვეტი დარტყმის ორგანიზაციის პრობლემა დიდხანს აწვალებდა მოკავშირეთა სარდლობას. ეს საკითხი მრავალჯერ და ყოველმხრივ ირჩეოდა როგორც ინგლისისა და საფრანგეთის პრემიერ-მინისტრების კაბინეტებში, ისე თურქეთის მთავრობის კულუარებში, სტრეტფორდ-რედკლიფის სადესპანო მაგიდასთან კონსტანტინოპოლში და სერასკიროს კაბინეტში. აღნიშნული საკითხი არა ერთხელ განუხილავთ დაინტერესებულ სახელმწიფოთა ოფიციალურ პრესაში. შეეჩერდეთ ევროპელ კოლონიზატორთა მიერ ინსპირირებულ გაზეთ „აღმოსავლეთის ხმაზე", რომელიც კონსტანტინოპოლში გამოდიოდა. ხსენებული გაზეთის ყველა ნომრის მთელი გვერდები მიმდინარე ომის მღელვარე მომენტების აღწერით არის აჭრელებული, მაგრამ განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს 1855 წლის 24 მაისის ნომერში მოთავსებული ერთი ფრიად დამახასიათებელი სტატია სათაურით: „რა უნდა გაკეთდეს ანატოლიაში"? ამ სტატიაში ვკითხულობთ: „ბევრი ცდილობს გაერკვეს იმაში, თუ რა ხდება ყირიმში, და საამისოდ სრული საფუძველი არსებობს: იქ არის აღმოსავლეთის საკითხის კვანძი, და მოკავშირეები ცდილობენ მის გახსნას. მაგრამ არსებობს მეორე მხარე, რომელსაც არცთუ მცირე მნიშვნელობა აქვს: საკითხი ეხება სომხეთის ზეგანს..." სტატიის ავტორი იძულებულია მწუხარებით აღიაროს, რომ 1854 წელმა „ოტომანთა არმია მწარე განსაცდელში ჩააგდო", ხოლო 1855 წელი კიდევ უფრო საშიში და მრისხანე შედეგებით გვემუქრება. „ნიჟიერსა და მამაცს გენერალ მურავიოვს, განაგრძობს გაზეთი, — განზ-

რახვა აქვს თავდაცვის სისტემიდან ნამდვილი შეტევის ტაქ-
ტიკაზე გადავიდეს. ამავე დროს, ოტომანთა არმია
გასულ წელთან შედარებით, გაცილებით არახელსაყრელ პი-
რობებში იმყოფება. სად არის ამ მდგომარეობიდან გამოსა-
ვალი? — აყენებს კითხვას სტატიის ავტორი და თვითონვე
ასე პასუხობს: „არსებობს მხოლოდ ერთადერთი გამოსავალი:
თავი მოვუყაროთ ბათუმის მთელ კორპუსს სამეგრელოში,
ვანვამტკიცოთ იგი რეგულარული ჯარებით, განსაკუთრებით
საკავალერიო პოლკებით, შევუერთოთ მათ ჩერქეზი მოხა-
ლისეები და... საფრთხე შევუქმნათ თბილისს". როგორც
ჩანს, სტრატეგიის საკითხებში საკმაოდ კომპეტენტური
ავტორი, რომელიც არცთუ ცუდად ერკვევა ადგილობრივ
ტოპოგრაფიულ ვითარებაში, ცდილობს „ურყევი" არგუმენ-
ტაციით დაასაბუთოს თავისი პროექტის მიზანშეწონილობა.
მისი რწმენით, თერქი ჯარების ძალთა მანევრები, ერთი
მხრივ, „აიძულებდა რუსებს, რომელნიც აღმოჩნდებოდნენ
ძლიერი საფრთხის წინაშე ამ მხრიდან, მთლიანად შეეცვალათ
თავიანთი კამპანიის მთელი გეგმა, უარი ეთქვათ შეტევაზე
ზემო სომხეთში და თავდაცვაზე გადასულიყვნენ, მეორე
მხრივ, ოტომანთა არმიას, განაგითარებდა რა თავის წინსვლას
სამეგრელოში, შეეძლო გასცლოდა ყარსის ხაზს, აეღო გეზი
არაქსისაკენ და დაეპყრო იუჩკილისე და ერევანი. ეს მას
საშუალებას მისცემდა ადვილად გაეხსნა გზა თბილისისაკენ,
რაც რუსებს უდიდეს სიძნელეებს შეუქმნიდა. მაშ, სად უნდა
ეძებოთ საკითხის სათავე? — კვლავ სვამს კითხვას სტატიის
ავტორი და კვლავ თვითონვე პასუხობს: „გამოვცვალოთ სა-
ოპერაციო ბაზა, გადავიტანოთ იგი არზრუმიდან და ყარსი-
დან... სამეგრელოში"[1]. ეჭვს არ იწვევს ის, რომ ეს და ამისი
მსგავსი პროექტები და ვარაუდები, რომლებიც იმ დროს
ხშირად ჩნდებოდა ოფიციალურად პრესის ფურცლებზე და
კონფიდენციურად განიხილებოდა კოალიციის დიპლომატთა
კაბინეტებში, საკმაოდ ფართო სტრატეგიას ემყარებოდა.

---

[1] „Journal de Constantinople". Echo de lorient. 1855 წლის 24 მაისის ნომერი, სტატია: „რა უნდა გაკეთდეს ანატოლიაში".

ამასთან დამახასიათებელი სწორედ ისაა, რომ ყოველივე ეს ოგეგმებოდა და იწერებოდა დიდი ხნით ადრე, ვიდრე ინფორმაციაში პრაქტიკულად განახორციელებდა თავის ლაშქრობას სამეგრელოში.

მტრის საექსპედიციო კორპუსის შემოჭრა საქართველოში შავი ზღვის მხრიდან კავკასიის ხელისუფალთა და საერდლობისათვის მოულოდნელი არ იყო. მეტიც, მოწინააღმდეგის საექსპედიციო დესანტს ჩვენს სამხრეთ-აღმოსავლეთ სახღვრებზე გაცილებით ადრე მოელოდნენ.

ადგილობრივი ხელისუფლების მესვეურებმა არაოფიციალური გზით შეიტყვეს, რომ 1855 წლის ივნისში, რუსეთის ჯარების მიერ ყარსის გარშემორტყმასთან დაკავშირებით, კონსტანტინოპოლში მოწვეულ იქნა სასწრაფო თათბირი ლორდ სტრეტფორდ-რედკლიფის, თურქთა დიდი ვეზირისა და სერასკერის მონაწილეობით. ცნობილი გახდა, რომ აღნიშნულმა თათბირმა მიიღო გადაწყვეტილება დიდი და ეფექტური დივერსიის მოწყობის შესახებ[1]. ცხადია ამ დივერსიის ერთ მიზანს წარმოადგენდა ყარსის მოალყეთა დეზორიენტირება, დაბმარების აღმოჩენა ციხე-სიმაგრის გარნიზონისათვის, და ეს არ იყო შემთხვევითი მოვლენა. ყარსს ფრიად საპატიო ადგილი ეკავა თურქეთისა და მის ევროპელ მოკავშირეთა სტრატეგიაში. „ციხე-სიმაგრე ყარსი, — შეშფოთებით წერდა ფუად-ფაშა ლორდ კლარენდონს ჯერ კიდევ პლოკადის განხორციელებამდე, — წარმოადგენს, ჩვენი ახიური საზღვრების გასაღებს. იგი რომ ხელში ჩავარდნოდა რუსებს, — ალაჰმა გვიხსნას ასეთი უბედურებისაგან! — ეს უწინარეს ყოვლისა, საფრთხეს შეუქმნიდა არზრუმს, ხოლო შემდეგ მთელ ანატოლიასაც. ამაში შეუძლებელია ეჭვი შეეტანოთ“[2].

თურქეთის მესვეურთა შიშს, რაც ყარსის მოსალოდნელი დაკარგვით იყო გამოწვეული, ოდნავადაც არ იზიარებდნენ მათი ევროპელი მოკავშირეები. მართალია, გენ. მურავიოვის

---

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 443, л. 42.

[2] „Военный сборник“, 1861, 113, стр. 50.

მიერ ყარსის ალყის განხორციელებამ ერთგვარი დაბნეულობა და პანიკა გამოიწვია მოწინააღმდეგეთა ბანაკში, მით უფრო, რომ ამ ციხე-სიმაგრის გარნიზონი, რომელიც ძირითადად თურქებისაგან შედგებოდა, უხვად იყო შეზავებული ევროპელ-საქსური წარმოშობის მაღალი ოფიცრობით, მაგრამ როგორც ცნობილია, ინგლისის ოფიციალურ ხელისუფალთა პრაქტიკაში ეთიკურ-ზნეობრივ ქველობას და სენტიმენტალურ განწყობილებას მუდამ სძალავდა ულმობელი ინგლიზიანობა და ცივი პოლიტიკა.

ის მოჩვენებითი სიჩქარე და მოუთმენლობა, რომელიც თავდაპირველად საქმის მსვლელობას დაეტყო, მალე გულგრილობით და უხასიათო სიზანტით შეიცვალა. კონსტანტინოპოლის „ექსტრაორდინალური" გადაწყვეტილების განხორციელება ყარსისათვის სასწრაფო დახმარების აღმოჩენის შესახებ მეტისმეტად ჭიანურდებოდა.

უაზრობა იქნებოდა, რომ ეს დაგვიანება შემთხვევითობისათვის მიგვეწერა. გარდა იმისა, რომ აქ თვალსაჩინო როლს თამაშობდა მწვავე ბრძოლა და წინააღმდეგობანი, რაც ძალ აუფასურებდა მოკავშირეთა მოჩვენებითს „ერთიანობას" და „მეგობრობას", და რაც, საერთოდ, კოალიციური არმიების თანამოქმედების თანმხლებია, — ოპერაციების დაყოვნების მიზეზები გაცილებით უფრო ღრმა იყო. აღმოსავლეთის ომის დიდ თანამედროვეებს — კ. მარქსსა და ფ. ენგელსს მხედველობიდან არ გამორჩენიათ მოკავშირეთა დიპლომატიის ჭიდრაკული სვლები. „ახლაც ცდილობენ მთელი დანაშაული ყარსის დაცემისათვის ომერ-ფაშას მოახვიონ თავს, — წერდა ფ. ენგელსი გაზ. „ნიუ-იორკ ტრიბუნში", — უნდა აღინიშნოს, რომ ომერ-ფაშა, მისის სუფეილის წინააღმდეგ, ისე დიდხანს დაყოვნეს ყირიმში, რომ მას ოდნავ თუ შეეძლო მოესწრო რაიმე დიდი ოპერაციის წამოწყება ზამთრამდე... კონსტანტინოპოლში მას მოუხდა დროის დაკარგვა ყოველგვარი ინტრიგების წინააღმდეგ ბრძოლაში"[1]. ამკარაა, თუ

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. X, стр., 590. ფ. ენგელსი სიტყვებით მარტივებულად ამხელს ინგლისის ორჭოფულ პოლიტიკას, თუმცა მისთვის იმ დროს ჯერ კიდევ უცნობი რჩებოდა აფხაზეთ-საქართველოში ომერ-ფაშას ლაშქრობის დეტალები.

ვის ინტრიგებსა და ჩხირკედელაობაზე ლაპარაკობდა ფრიდრიხ ენგელსი.

1855 წლის ივნისში კონსტანტინოპოლის თათბირზე თავდაპირველად მიღებული გეგმით, დესანტის გადასხმის პუნქტად არჩეული იყო რედუტ-კალე (ყულევი). გათვალისწინებული იყო ყირიმიდან გადმოეყვანათ და აქ გადაესხათ 10 ათასი ჯარისკაცი, შეეერთებინათ მათთვის ბათუმის 12-ათასიანი გარნიზონი მუსტაფა-ფაშას კორპუსიდან და ამ შენაერთით დაეყოვნებლივ დაეწყოთ შეტევა რუსების წინააღმდეგ ქუთაისის მიმართულებით. ამავე დროს, რედუტ-კალეს ნავსადგურში, განუწყვეტელ ნაკადად იწარმოებდა ახალი რეზერვების მოდენა: ინგლის-საფრანგეთის სატრანსპორტო გემებს შეტევის დაწყებიდან ერთი კვირის განმავლობაში კვლავ უნდა გადაესხათ მოკავშირე შენაერთებიდან შეგროვებული 18 — 20 ათასი ჯარისკაცი. მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ სადესანტო კორპუსის სარდლობა ინგლისელ გენერალ ვივიანს მინდობოდა. საექსპედიციო კორპუსის მომზადებასთან დაკავშირებით კ. მარქსი, რომელიც დაძაბული ინტერესით აღევნებდა თვალყურს ამბების განვითარებას, წერდა: „ლორდი სტრეტფორდ-რედკლიფი მოწვეულ იქნა თათბირზე დიდი ვეზირის სასახლეში ბოსფორზე. თურქეთის მინისტრები წინადადებას აყენებდნენ ეხსნათ ყარსი ექსპედიციის შემწეობით, რომელიც მოეწყობოდა რედუტ-კალედან ქუთაისის საშუალებით საქართველოში, ასეთი შემადგენლობით: გენერალ ვივიანის — 20.000 ჯარისკაცი, 3.000 კაცი ბიტსონის რაზმიდან, 12.000 ბათუმის გარნიზონიდან, 2.000 ალბანელი, 5.000 ბულგარეთიდან, 600 კაცი ეგვიპტის რეგულარული კავალერიიდან, ტუნისის 600 კავალერისტი,— საერთო შემადგენლობით 43.400 კაცი.

პორტამ განაცხადა, რომ მზად იყო ამ ექსპედიციის ხელმძღვანელობა მინდობოდა ინგლისელ მხედართმთავარს, და სასურველად ეჩვენა გენერალი ვივიანი“[1].

კონსტანტინოპოლის თათბირის დამთავრებისთანავე თურ-

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. X, стр. 552.

ქეთის მთავრობა დაუყოვნებლივ შეუდგა ექსპედიციისათვის მზადებას. მობილიზაცია უყვეს ცოცხალ ძალებს, ყოველგვარ მატერიალურ რესურსებს. დღითი-დღე მოელოდნენ ინგლისელთა თანხმობის მიღებას და თვით გენერალ ვივიანის ჩამოსვლასაც. მაგრამ სულ სხვაგვარად ფიქრობდნენ ლონდონის მესვეურნი, რომლებსაც სრულებითაც არ სცხელოდათ ყარსისათვის. მათ თვალწინ უფრო შორეული და „მომხიბვლელი პერსპექტივები" ეხატებოდათ.

1855 წლის 12 ივლისს ლორდმა სტრეტფორდ-რედ-ქლიფმა კონსტანტინოპოლიდან შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა ლონდონში ლორდ კლარენდონს: „ექსპედიციისათვის მზადება სრული სისწრაფით მიმდინარეობს. შეიძლებოდა დაგვეზოგა ბევრი ძვირფასი დრო, თუ მე სასწრაფოდ მივიღებდი სატელეგრაფო ცნობას, ეთანხმება თუ არა მთავრობა ეწერგიულ დივერსიას რედუტ-კალეთი და ჭეთაისით საქართველოში"[1]. ბოლოს, ყარსის გარემოცვის დროიდან სამი კვირის გასვლის შემდეგ, ლორდმა კლარენდონმა შესაძლებლად ჩათვალა გამოხმაურებოდა თავის დესპანს კონსტანტინოპოლში. ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი მთავრობის სახელით გაგზავნილ თავის პასუხში მთლიანად არ იზიარებდა პორტას ენთუზიაზმს, სკეპტიკურად აფასებდა ექსპედიციის განხორციელების შესაძლებლობას, ომის განვითარების მაშინდელ ეტაპზე დაუშვებლად მიაჩნდა კოალიციური არმიის ძალის შესუსტება ყირიმში[2] და, საერთოდ, სხვისი ხელით ნარის გლეჯის ტრადიციული პოლიტიკის გზით ცდილობდა ანტანტიერის რისკი და პასუხისმგებლობა თურქეთისათვის დაეკისრებინა. ინგლისის მთავრობა იმხანად სულაც არ ნჭარობდა. მის წინაშე მაშინ გადასაწყვეტად იდგა პირველი რიგის ამოცანა: ეს იყო სევასტოპოლი და ყირიმი. ინგ-

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, соч., Т. X, стр. 552.

[2] როგორც აღინიშნა, ინგლისის დიპლომატია და სარდლობა ერთი-პირველთაგანი იყვნენ მათ შორის, ვინც ცდილობდა მოეწყო ექსპედიცია შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, მაგრამ ყირიმში შექმნილი დაძაბული ვითარების გამო ეს მომენტი აღნიშნული იდეის განსახორციელებლად მათ არახელსაყრელად მიაჩნდათ.

ლისური „სისტემატურობა“ და „თანამიმდევრობა“ უკეთესი ხებდა მას საქართველოსა და მთელი კავკასიის პრობლემა გადაედო ყირიმში სრული გამარჯვების მოპოვებამდე. მართალია, ინგლისმა ნაპოლეონ მესამის მუხანათობის გამო, ვერ განახორციელა საქართველოში თავისი ჯარების გადასხმის გრანდიოზული გეგმა ომის დასაწყისში, მაგრამ ამ განზრახვას ფრთები უნდა შესხმოდა ყირიმში ოპერაციების დამთავრების შემდეგ. ასე ფიქრობდნენ ლონდონში.

ინგლისის მთავრობის მერყეობის ვითარებაში თურქეთის მთავრობამ თითქოს ერთგვარი „ურჩობა“ გამოიჩინა. მან თავისი განზრახვა ექსპედიციის მოწყობის შესახებ გაანდო ყირიმში მყოფ ომერ-ფაშას. ეს უკანასკნელი დიდად უკმაყოფილო და პირადად შეურაცხყოფილი იყო თავისი მეორეხარისხოვანი როლით მოკავშირეთა მთავარსარდლებს შორის ყირიმში, სადაც მას ინგლისელები და ფრანგები არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ და ზურგს აქცევდნენ. ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ლორდი რაგლანი და სენტ-არნო ზედმეტად სცნობდნენ ომერ-ფაშას მონაწილეობას სამხედრო საბჭოში, ზოგჯერ „ივიწყებდნენ“ კიდეც მისთვის უწყების გაგზავნას. ამითაც შეიძლება აიხსნას, თუ რატომ იყო, რომ ომერ-ფაშა ისეთი განწირულებით ჩაებღაუჭა შეთავაზებულ გეგმას, როგორც ხავსს წყალწაღებული. მის წინაშე დაისახა ქედმაღალ ევროპელთა მორჩილებისაგან თავის დაღწევის გზა, დამოუკიდებელი მოქმედებისა და საკუთარი ინიციატივის გამოჩენის „განუსაზღვრელი“ პერსპექტივა. ეს გარემოება შეუმჩნეველი არ დარჩა თვით კავკასიის მოქმედი კორპუსის მთავარსარდალს გენ. მურავიოვს. თავის წერილში იგი სწერდა გენ. ბებუთოვს, რომ „ომერ-ფაშამ ომში დუნაის ნაპირებზე თავი ვერაფრით ვერ გამოიჩინა. ვფიქრობ, რომ იგი მოხარული იქნება განშორდეს ყირიმს და მიმდინარე წელს დაკმაყოფილდეს სანაპირო სიმაგრეების გაძლიერებით“[1].

ომერ-ფაშა ყირიმიდან სასწრაფოდ გაემგზავრა კონსტანტინოპოლს. იგი საკმაოდ ხანგრძლივად და საიდუმლოდ

---

[1] АКАК, т. XI, стр. 124.

ეთათბირა სულთანს, ხოლო შემდეგ — ინგლისის წარმომადგენლობას. მან ადვილად შესძლო იმითი არგუმენტაციის გამოთქმა, ვინც წინააღმდეგობას იძლეოდა დესანტი გადაესხათ არა საქართველოს სანაპიროზე, არამედ ტრაპიზონში და ცდილიყვნენ ყარსის განთავისუფლებას ანატოლიისა და არზრუმის მხრიდან. ომერ-ფაშას მტკიცებით, საექსპედიციო ლაშქარი, რომელსაც ტრაპიზონიდან ყარსამდე უნდა გადაელახა უამრავი დაბრკოლებით სავსე 500-კილომეტრიანი გზა, პირისპირ შეებმით ვერაფერს გააწყობდა გენ. მურავიოვის ძლევამოსილ კორპუსთან, რომელიც ანატოლიის ასპარეზზე მოქმედებდა. მეტიც, ბაშკადიკლარასა და კურიუკ-დარასთან გამარჯვებულ რუსეთის კორპუსთან შებმა მისი აზრით, ფრიად სარისკო და სახიფათოც იქნებოდა [1]. სულ სხვა საქმე იყო შავი ზღვის სანაპირო. სამეგრელოს ტერიტორიაზე რუსებს არც საკმაო ჯარები ჰყავდათ და არც დიდად საიმედო სიმაგრეები ჰქონდათ. ამასთან თურქეთის სარდალი დარწმუნებული იყო, რომ იგი აფხაზთა და ჩერქეზთაგან შექმნიდა 20-ათასიან ცხენოსანთა კორპუსს, ხოლო ქართველი მოსახლეობა გულს აიყრიდა რუსებზე და მის მხარეზე გადავიდოდა. ამრიგად, ომერ-ფაშას ეარაუდით სამეგრელოში გადასხმული დესანტი სწრაფი მოძრაობით დაიპყრობდა ქუთაისს და მთელ იმერეთსაც, გასტეხდა გურიის მოსახლეობის წინააღმდეგობას და პირდაპირი გზით გაიჭრებოდა სურამის უღელტეხილისაკენ. აქედან კი იხსნებოდა ორი შარაგზა, რომლებითაც შეიძლებოდა დაუბრკოლებლად მოძრაობა თბილისისაკენ ან, საჭირო შემთხვევაში, ახალციხე-ყარსის მიმართულებით [2].

ომერ-ფაშამ მის მიერ საკმაოდ მოხერხებულად დასაბუთებული პროექტით მალე დაითანხმა ინგლისის მთავრობაც. ბოლოს და ბოლოს ამ უკანასკნელს სრულიადაც არ აწყობდა ხელიდან გაეშვა ესოდენ სარფიანი წამოწყება, რომელიც მისგან ძალიან მცირე მსხვერპლსა და ხარჯებს მოითხოვდა, თავისი შედეგებით კი განუსაზღვრელ სარგებლობას ჰპირდე-

---

[1] АКАК, т. XI, стр. 279.

[2] „Кавказский сборник", 1880, т. V, стр. 268—270.

ბოდა. ომერ-ფაშა წინასწარ ზეიმობდა. იმისათვის, რომ მთლიანად დაეძლია ინგლისელთა ყოყმანი, ომერ-ფაშამ აიძულა სულთანი მთლიანად დაეკმაყოფილებინა ინგლისის სარდლობის პრეტენზიები, ეს იმას ნიშნავდა, რომ ყირიმში მყოფ „თურქეთის კონტინგენტის" ნაცვლად, რომელიც საექსპედიციო არმიას უნდა შეერთებოდა, ინგლისელებს ყირიმში თურქთა არმიის სხვა, მაგრამ თანასწორფასოვანი შენაერთები გადასცეს.

მიუხედავად ამისა, მხარეთა მოლაპარაკება მაინც დიდხანს გაჭიანურდა. ბოლოს როგორც იქნა, 1855 წლის 23 ივლისს, პორტამ მიიღო ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა თანხმობა. უნდა აღინიშნოს, რომ მხარეთა მოლაპარაკების მთელი მსვლელობა, ისევე როგორც შეთანხმების ძირითადი პუნქტი, არავის არასოდეს არ გამოუქვეყნებია, მაგრამ თუ თვალს გავადევნებთ ამბების განვითარებას, ჩვენთვის ცხადი გახდება ინგლისელ-თურქ დამპყრობთა ვერაგული ზრახვები საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის ხალხების მიმართ. დამახასიათებელია, რომ მათ შორის ურთიერთ დათმობანი და „თავაზიანობა" ისე შორს წავიდა, რომ ინგლისის მთავრობამ უარყო საკუთარი კანდიდატი საექსპედიციო კორპუსის სარდლის პოსტზე და გენ. ვივიანის ნაცვლად თავისი ნებასურვილის აღმასრულებლად თვით ომერ-ფაშა აღიარა. ინგლისი, საფრანგეთთან ერთად, დაკმაყოფილდა მარტოოდენ თავის აგენტ-მრჩეველთა გამოყოფით, რომლებიც თან უნდა ხლებოდნენ საქართველოში „სარდარ-ეკრემის" ამალას და სასტიკი კონტროლის ქვეშ დაეყენებინათ ომერ-ფაშას ყოველგვარი მოქმედება.

მიუხედავად მოკავშირე მთავრობათა შორის მიღწეული „შეთანხმებისა", ექსპედიციის მომზადება, მისი ფორმირება და შეიარაღება დრო და დრო შეურიგებელ წინააღმდეგობას იწვევდა თვით მთავარსარდლობის მხრივ. მოკავშირეთა სარდლობა ყოველმხრივ უშლიდა ხელს ომერ-ფაშას, რომელიც ცდილობდა თავის კორპუსში გაეწვია ბალაკლავასა და ქერჩში განლაგებული თურქთა საუკეთესო ჯარები. ინგლისელები და ფრანგები მას სთავაზობდნენ ბრძოლის უნარმოკ-

ლებულ შენაერთებს ევპატორიიდან. ამ საგანზე დაწყებული ლებელი მოლაპარაკება, ინტრიგები და კინკლაობა [illegible] თვე გრძელდებოდა. უკანასკნელად, 1855 წლის 17 აგვისტოს, კელავ დადებულ იქნა ახალი ხელშეკრულება, რომელიც თითქოს აწესრიგებდა სარდლობაში წამოჭრილ სადავო საკითხებს. საბოლოოდ თითქოს გამოიკვეთა ომერ-ფაშას სადესანტო კორპუსის სახე და შემადგენლობა. წინათ დაწესებული კონტინგენტების რიგი და რაოდენობა შეიცვალა. ამიერიდან სადესანტო კორპუსის შემადგენლობაში ითვლებოდა: 15 ათასი ჯარისკაცი ბულგარეთიდან, 10 ათასი — ბალაკლავიდან, 12 ათასი საკავალერიო შენაერთი — კონსტანტინოპოლიდან, ცხენოსანთა 2 ლეგიონი ემიგრანტ პოლონელთა შემადგენლობით, არარეგულარულ ცხენოსანთა რამდენიმე ლეგიონი და სხვა [1].

იმის შემდეგ, რაც ლაშქრობის ყველა მხარე თითქოს მოგვარებული და შეთანხმებული მოჩანდა, დავა გამოიწვია სადესანტო კორპუსის გადაყვანის საკითხმა. ინგლისის გემების მეპატრონეები, გამოძალვის მიზნით, ათასგვარი ხრიკებით აბრკოლებდნენ სატრანსპორტო გემების მიწოდებას, აჭიანურებდნენ დესანტის გადაყვანის საქმეს. „როდესაც, ბოლოს, ყველაფერი მზად იყო, — წერდა ფ. ენგელსი, — ინგლისის შეპირებული ტრანსპორტები არ აღმოჩნდნენ ადგილზე. როცა თურქეთის არმია კონცენტრირებულ იქნა ბათუმის ახლოს, ხოლო უფრო გვიან სოხუმ-კალეს ახლოს, იგი აღმოჩნდა უსუფრასათოდ, სამხედრო მარაგისა და სატრანსპორტო საშუალების გარეშე“ [2].

მსგავსი უთანხმობა და ინტრიგები იყო იმის მიზეზი, რომ თუ საექსპედიციო ლაშქრის მთავარსარდალი ომერ-ფაშა თავისი პირველი 8-ათასიანი ეშელონით ჯერ კიდევ 1855 წლის 2 სექტემბერს გადმოსხდა ბათუმში, მისი კორპუსის უკანასკნელი შენაერთები ყირიმის ნახევარკუნძულიდან დაიძრნენ მხოლოდ ოქტომბრის დამდეგს. ამრიგად, დროის დაკარგვამ, სხვა არსებით მიზეზებთან ერთად, წინასწარ გასწირა ჩასაშ-

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 443, л. 44.
[2] К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. X, стр. 590.

ლელად თურქეთის საექსპედიციო კორპუსის ოპერაციებიც, ამ მთელი სისრულით გამომჟღავნდა, ერთი მხრივ, დაპირისპირებულ კოალიციაში შემავალი სახელმწიფოების ინტერესთა ურთიერთშეუფარგებელი დაპირისპირება და ანტაგონიზმი, მეორე მხრივ, სრული შეუსაბამობა აგრესორების მიზანსწრაფვასა და მისი განხორციელების შესაძლებლობათა შორის. დადასტურდა, რომ ყარსის ციხე-სიმაგრისა და მისი გარნიზონისათვის ნამდვილი დახმარების აღმოჩენა სულაც არ შედიოდა ომერ-ფაშასა და მის ევროპელი შეფების ანგარიშში. მათი ყურადღების ცენტრში ამიერიდან საქართველოსა და ამიერკავკასიის დაპყრობისა და დანაწევრების პრაქტიკული ამოცანები იდგა.

კავკასიის ჯარების სარდლობისათვის ძნელი არ აღმოჩნდა ამოეცნო ომერ-ფაშას და მის სულისჩამდგმელთა რთული მანევრების საიდუმლოება. გენერალი ბაგრატიონ-მუხრანსკი თავის წერილში, რომელიც გენერალ ბებუთოვს გაუგზავნა 1855 წლის 8 სექტემბერს წერდა: „გავრცელდა შეხედულება, რომ მას (ომერ-ფაშას, — ე. ბ.) განზრახული აქვს იმოქმედოს სამეგრელოსა და გურიის წინააღმდეგ...“ ბაგრატიონ-მუხრანსკი სავსებით მართებულად ფიქრობდა, რომ თუ ომერ-ფაშას ნამდვილად ჰქონდა გადაწყვეტილი დახმარება აღმოეჩინა ყარსში გარემოცულთათვის, იგი პირდაპირ უნდა წასულიყო ყარსის დასახმარებლად ან, ყოველ შემთხვევაში, ახალციხისაკენ, რათა განერიდებინა ყარსისაგან ჩვენი ძალების ნაწილი[1].

ეს იყო პერიოდი, როცა ალყაშემორტყმული ყარსის ბედი ბალი ბეწვზე ეკიდა. მის დამცველთა მდგომარეობა დღითი-დღე, საათიდან საათამდე უფრო გამოუვალი და ტრაგიკული ხდებოდა. ციხე-სიმაგრის დაცემის საათი გარდუვალი უღმობლობით ახლოვდებოდა. არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ამ საგანგაშო მომენტში ყარსის დამცველებს ომერ-ფაშამ თავისი ხარკი მიუძღვნა იმით, რომ რედუტ-კალეს ნაცვლად, როგორც ეს წინასწარი გეგმით იყო გათვალის-

[1] АКАК, т. XI, стр. 397.

წინებული, მან თავისი ჯარი ბათუმში გადასხა. მეტიც, მოწინააღმდეგის, ე. ი. რუსი სარდლობის, თვალის ახვევის მიზნით, ყველასათვის მოულოდნელად, მან ბათუმის ხაპირზე შეკრიბა თავისი ჯარი და გამოუცხადა მას, რომ გადაწყვეტილი აქვს გადალახოს აჭარის მთები და უმოკლესი გზით გაეშუროს ყარსის გარნიზონის გადასარჩენად. ომერ-ფაშამ ბათუმიდანვე აცნობა გენერალ ვალიანსს, რომ მას იმედი აქვს 20 დღის განმავლობაში მაინც მიუსწროს და „იხსნას ყარსის სახელოვანი დამცველები". მაგრამ აშკარად ეტყობოდა, რომ ომერ-ფაშას „აქციას" მხოლოდ უბრალო დემონსტრაცია, იაფფასიანი ოინბაზობა იყო, რომელიც შეცდომაში ვერავის შეიყვანდა. თუმცა ალყაში მოქცეული თურქი მეხედრობა, რომელიც თავის გადასარჩენად წყალწაღებულივით ხავსს ეჭიდებოდა, ომერ-ფაშისაგან მიღებულმა ცნობამ დიდად გაამხნევა. ეფექტი მით უფრო ძლიერი იყო, რომ ომერ-ფაშისაგან მიღებული ცნობა დაემთხვა მეორე, მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ცნობას სევასტოპოლის დაცემის შესახებ. ეს ცნობა ყარსელებმა 11 სექტემბერს მიიღეს. ალყის მუზარეკში მოქცეული ყარსის გარნიზონი ზეიმობდა. ხანგრძლივი ალყით გამოწვეული სიშიერე და ტკივილები ანაზდად მოვარდნილმა სიხარულმა და საარტილერიო სალუტის გრიალმა ოდნავ მიაყუჩა.

1855 წლის 12 სექტემბერს რუსთა მთავარსარდალმა მიიღო ოფიციალური ცნობა, რომ 349 დღის მამაცური წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ დაეცა ქალაქი სევასტოპოლი, რომ მოკავშირეები უკვე დაეუფლნენ მის ნანგრევებს. რუსეთის არმიის ოფიცრები და ჯარისკაცები გულისტკივილით კითხულობდნენ ამავე დღეს მიღებულ „რუსული ინვალიდს", სადაც დაწვრილებით იყო აღწერილი სევასტოპოლის ცეხე-სიმაგრის სამხრეთ ნაწილის დატოვება სახელოვან რუს დამცველთა მიერ, რომლებიც თერთმეტ თვეზე მეტხანს გოლიათისებრ უმკლავდებოდნენ ოთხი სახელმწიფოს შეერთებული ძალების ჯოჯოხეთურ დაწოლას. ამ ცნობის მიღებასთან ერთად გენერალმა მურავიოვმა შეიტყო, რომ ომერ-ფაშამ, რომელსაც მანამდე ყოველ საათს მოელოდნენ სამეგრელოს სანაპიროზე,

შესცვალა ლაშქრობის მარშრუტი და ახლა იგი თავისი ... პუსის მთავარი ძალებით ბათუმიდან აჭარის ... ყარსისკენ მოიწევდა.

კავკასიის გაერთიანებული მხედრობის მთავარსარდალი გენ. მურავიოვი ვერ შეაშფოთა თურქთა საექსპედიციო ლაშქრის მოძრაობის უცნაურმა მანევრმა. მან ადვილად ამოხსნა ომერ-ფაშას ოინები და გაითვალისწინა მისი წამოწყების გარდუვალი განწირულება. „ომერ-ფაშა შეუდგა გზების შეკეთებას ქედასა და ხულოს შორის, — სწერდა მთავარსარდალი გენ. ბებუთოვს 1855 წლის 15 სექტემბერს, — მაგრამ როგორ განახორციელებს იგი თავის განზრახულობას იმ მხარეში, სადაც სრული არეულობა და უწესრიგობაა გამეფებული? ქვეითი ჯარით იგი კიდევ გადაივლის, მაგრამ სიმძიმეებს კი ვერ გადაიტანს... ჯარების ნაწილი თითქოს უკვე დაწინაურებულია ქედას იქით, მაგრამ, როგორც ამბობენ, უკან გაბრუნებულა ბათუმში, გზების დამუშავებას კი მოსახლეობა განაგრძობს.

ომერ-ფაშას უცნაური გადასხდომა ერთსა და იმავე დროს სამ ადგილას: ტრაპიზონში, ბათუმსა და რედუტ-ყალეში, ადასტურებს მხოლოდ მის განზრახვას — თავისი მოქმედებით საგონებელში ჩაგვაგდოს ჩვენ და დაგვაშინოს, რითა ჩამოგვაცილოს ყარსს“[1]. გენ. მურავიოვის მოსაზრებანი საესებით შეეფერებოდა სინამდვილეს. საქმეში ოდნავ ჩახედული ადამიანი ადვილად მიხვდებოდა რომ მთელი შეიარაღებით, არტილერიისა და ალალით აღჭურვილი ჯარების გადაყვანას აჭარის ჭიუხებზე მოწინააღმდეგე ვერ შესძლებდა, ხოლო ნაწილობრივ შეიარაღებული მტრის ქვეითი ჯარი ოდნავ თუ გაბედავდა რუსეთის ძლიერ კორპუსთან შებმას. ომერ-ფაშას ტაქტიკური გამოხდომა ჩვეულებრივ სამხედრო მზაკვრობას, იაფფასიან დემონსტრაციას წარმოადგენდა და, ამდენად სრულიად არარეალური, ეფემერული იყო. ამით უნდა აიხსნას თურქეთის „სარდარ-ეკრემის“ ოინის სრული ჩაშლა: ომერ-ფაშას კორპუსის მოწინავე ნაწილები, რომლებმაც რის ვაი-

---

[1] АКАК, т. XI, стр. 124.

ეგლახით მიაღწიეს ხელომდე, იძულებული გახდნენ სასწრაფოდ ეკანვე გაბრუნებულიყვნენ ბათუმში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამწუხაროდ, რუსეთის ჯარების მთავარსარდალი თავის მოქმედებაში ვერ აღმოჩნდა თანმიმდევარი და თავისი მოწოდების სიმაღლეზე მდგომი. გენ. მურავიოვი, რომელმაც არსებითად სწორად ამოიცნო ომერ-ფაშას მანევრირების ფარული ზრახვები, იმავე დროს თავად გახდა მტრის ცბიერებისა და ვერაგობის პირველი მსხვერპლი. იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინა მოსალოდნელი არასასურველი „სიურპრიზი" თურქთა დამხმარე კორპუსის მხრივ, გენ. მურავიოვმა მიიღო სასწრაფო გადაწყვეტილება იერიშით აეღო ყარსის ციხე-სიმაგრე. ყარსის იერიშით ალებით მას სურდა გადაეჭრა ორი ფრიად საპატიო ამოცანა: ერთი მხრივ, ჯავრი ამოეყარა გმირული სევასტოპოლის დაცემისათვის და თუნდაც ნაწილობრივ შეენელებინა რუსეთისათვის არახელსაყრელი შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა მსოფლიოში მოკავშირეთა წარმატებამ ყირიმში, მეორე მხრივ, გენ. მურავიოვი ეარაუდობდა, რომ ყარსის გარნიზონის ლიკვიდაცია მას საშუალებას მისცემდა თავისი კორპუსით გაჭრილიყო ომერ-ფაშას დამხმარე ლაშქრის შესახვედრად და გაენადგურებინა იგი ორთაბრძოლაში. რუსეთის მხედართმთავარს სერიოზულად სჯეროდა, რომ მისი იერიში ყარსის ციხე-სიმაგრის წინააღმდეგ უეჭველი წარმატებით დაგვირგვინდებოდა. იგი ეარაუდობდა, რომ ხანგრძლივი ალყით შეეიწროებული და არაქათგამოლეული თურქეთის გარნიზონი ვერ შესძლებდა წინააღმდეგობა გაეწია რუსეთის ძლევამოსილი კორპუსისათვის და დაუყოვნებლივ წავიდოდა მის წინაშე სრულ კაპიტულაციაზე. გენ. მურავიოვის ეს ვარაუდები მისი საბედისწერო შეცდომა აღმოჩნდა.

ყარსის გარემომცველ რუსეთის კორპუსის წინაშე იდგა საკმაოდ ძნელი ამოცანა: იერიშით აეღო მცირე აზიის მრისხანე ციტადელი, რომელიც იმ დროს მიუვალად და შეურყევლად ითვლებოდა. ყარსის ციხე-სიმაგრე და თვით ქალაქი ყარსი აგებული იყო მიუვალ ფრიალო კლდეზე, რომელიც თავისი ციცაბო შვერილებით მაღლობიდან გადაჰყურებდა

ორგვლივ გადაშლილ დაბლობებს. ამ ციტადელის თავდაცვისათვის ხელსაყრელ ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებს კიდევ უფრო აუმჯობესებდა ინგლისის პირველხარისხოვანი სპეციალისტების მიერ ხელოვნურად შექმნილი საფორტიფიკაციო ბღუდეები და ნაგებობანი, მრისხანედ აყუდებული კოშკები, ქვის სქელი კედლები მიწაყრილი ბასტიონებით. უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთის სარდლობისათვის ამითად არ ჩაუელია 1828 წლის მწარე გაკვეთილს [1]. იმისათვის, რომ მომავალში ადარ განმეორებულიყო გრაფ პასკევიჩის მიერ განხორციელებული ეფექტიანი დარტყმის რეციდივი, თურქებმა დროულად მიიღეს საჭირო თადარიგი ყარსის ციტადელის თავდაცვის უნარიანობის გასაძლიერებლად. მათ ციხე-სიმაგრის ზოლში მოაქციეს ქალაქის უახლოესი ქედის დიდი ნაწილი და, საერთოდ, რადიკალურად განამტკიცეს ციხე-ქალაქის მთელი თავდაცვა-მოგერიებითი სისტემა. „ქალაქ ყარსის კედლებთან, რეტრანშამენტებს იქით, რომელიც ოსტატურად იყო აღმართული ინგლისელ ინჟინერ-პოლკოვნიკ დეკის მიერ, — წერდა თვით გენ. მურავიოვი, — იდგნენ თურქეთის ჯარები. ისინი ემორჩილებოდნენ გენ. ვილიამსის ენერგიულ ნებასურვილს" [2]. მოსალოდნელი იყო, რომ ყველა ეს გარემოება, რომლებიც რუსეთის სარდლობისათვის უცხო არ იყო, სათანადოდ ჩააფიქრებდა გენ. მურავიოვს, შთააგონებდა მას სიფრთხილის გრძნობას, შეაკავებდა მის ენერგიათა ღელვას, მაგრამ მან საკუთარი უგულვებელყო საგანთა ლოგიკა და საღი გონების კარნახი.

1855 წლის 15 სექტემბერს მთავარსარდალმა სახელდახელოდ შეკრიბა სამხედრო საბჭო, რომელსაც აცნობა თავისი გადაწყვეტილება. ამ სამხედრო საბჭოს ერთ-ერთი მონაწილის ჩანაწერებით იცოდა, რომ სამხედრო საბჭოს სხდომაზე მონაწილეობდნენ გენერლები: ბრიმერი, კოვალევსკი, გაგარინი, მაიდელი, ბრონევსკი და პოლკოვნიკი კაუფმანი. საბ-

---

[1] 1828 წელს გრაფმა პასკევიჩმა ეფექტური დარტყმით ხელთ იგდო ყარსის ციხე-სიმაგრე და აიძულა თურქთა გარნიზონი სრული კაპიტულაცია მოეხდინა.

[2] АКАК, т. XI, стр. 472.

ჭოს სხდომას არ ესწრებოდა ირეგულარულ ცხენოსანთა რაზმის მეთაური, კაზაკთა სახელგანთქმული გენერალი ბაკლანოვი. გენერალმა მურავიოვმა და სხვებმაც კარგად იცოდნენ, რომ ეს უკანასკნელი სასტიკად უარყოფდა იერიშის ნაადრევად მოწყობას. ასეთი ნაბიჯი მას ავანტიურად და დიმღუპველად მიაჩნდა მოიერიშეებისათვის. იგი ხატავდა უკანასკნელ პერიოდში ყარსის თავდასაცავად გაწეულ გიგანტურ სამუშაოთა სურათს. გენ. ბაკლანოვი თვით გენ. მურავიოვთან დავის დროს დამაჯერებლად ამტკიცებდა, რომ იერიშის რისკი არაფრით არ არის გამართლებული, მისი შედეგები კი, შესაძლოა, საბედისწერო აღმოჩნდესო. იგი განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ამ ბოლო დროს ყარსში აგებული ბევრი სიმაგრე და ბასტიონი ჩვენთვის, რუსებისათვის, სრულიად უცნობია, ჩვენს გეგმებსა და რუკებზე ისინი აღნიშნული არ არისო. გენ. მურავიოვმა გადაწყვიტა გვერდი აეცალა ამ მეტად „ჭიუტი და დაუდგრომელი" ხასიათის მქონე გენერლისათვის. ამიტომაც, გასაგებია, რომ საბჭოს სხდომა გენ. ბაკლანოვის მონაწილეობის გარეშე მიმდინარეობდა.

მთავარსარდალმა გამოაცხადა — გადმოგვცემს საბჭოს ამ სხდომის ერთ-ერთი მონაწილე, — რომ ომერ-ფაშა 30 ათასი კაცით გადმოსხდა ბათუმში და მოეშურება ყარსის გასათავისუფლებლად. მისი აზრით, საჭიროა ავიღოთ ციხე-სიმაგრე და შემდეგ უკვე შეეხვედეთ ფაშას. ციხე-სიმაგრის აღება სხვაგვარად შეუძლებელია თუ არა იერიშის გზით.

როცა გენერალმა მოისურვა გაეგო თვითეული დამსწრე პირის აზრი, — მან პირველ რიგში მიმართა გენერალ ბრიმერს. უკანასკნელმა თქვა: „ჩემი შეხედულებით, ომერ-ფაშა, თუ იგი ნამდვილად გადმოსხდა ბათუმში, ცუდი გზების გამო ადვილად ვერ შესძლებს მოალწიოს ყარსამდე..." მთავარსარდალმა გააწყვეტინა მას და თქვა: „ფაშა ერთ კვირაში აქ იქნება". „ამ შემთხვევაში, — განაცხადა გენ. ბრიმერმა, — თქვენმა მაღალმა აღმატებულებამ უკეთ უწყის ყარსის მდგომარეობა და ისიც, შეგვიძლია თუ არა ჩვენ იმედი ვიქონიოთ, რომ ციხე-სიმაგრე დაგვნებდება ომერ-ფაშას მოსვლამდე, ე. ი. ერთი

ქვირის განმაელობაში"[1]. „ამაში მე არა ვარ დარწმუნებული და ვფიქრობ, რომ აუცილებელია ან მივბეგვოთ, [illegible] ცხოთ ფაში, ან ავიღოთ ციხე-სიმაგრე მის მოსელამდე [illegible] რიგად, თქვენ ხომ თანახმა ხართ იერიშისა?" — „თანახმა ვარ"[2] — უპასუხა ბრიმერმა.

„საბხედრო საბჭოს სხვა წევრებმაც იგივე აზრი გამოთქვეს". როცა ეცნობი გენ. მურავიოვის მიერ ჩატარებულ საბხედრო საბჭოს სხდომის საერთო ხასიათს, რწმუნდები, რომ საბჭოს თათბირი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, არც შემდგარა, მას არსებითად არც კი განუხილავს იერიშის საკითხი. ამრიგად, არსებობს სრული საფუძველი ეჭვი შეეტანოთ ომის მემატიანეთა (დე-საქე, გენ. ბრიმერი, უსლარი, რომანოვსკი და სხვ.) მტკიცებებში, თითქოს საბხედრო საბჭოს ყველა წევრი ერთსულოვნად დაეთანხმა მთავარსარდლის წინადადებას, ყველა მათგანი, თითქოს, „სრულიად დარწმუნებული იყო იერიშის წარმატებაში". ივიეე მემატიანენ.ი მაინც ვერ ჩქმალაეენ მწვავე უთანხმოებასა და წინააღმდეგობას, რაც გამოიწვია იერიშის განხორციელების დისპოზიციის იმ პროექტმა, რომელიც საბჭოს გენ. მურავიოვმა წარუდგინა. კერძოდ, გენერლებმა ბრონევსკიმ, კოვალევსკიმ და სხვებმა არსებითი შენიშვნები წამოაყენეს დისპოზიციის პროექტის გამო. მწვავე დავისა და კამათის შედეგად გენ. მურავიოვი იძულებული გახდა ძირფესვიანად გადაეფუშავებინა დისპოზიციის თავდაპირველი ვარიანტი[3].

ჩვენს ამოცანას, ცხადია, არ შეადგენს ყარსის ციხე-სიმაგრის საიერიშო დისპოზიციის განხილვა, რომელიც დამტკიცებულ იქნა საბხედრო საბჭოზე. ვრცლად ვერ შეეხებით აგრეთვე მეომარ ძალთა განლაგებისა და ამ გაუგონარი სისხლისმღვრელი იერიშის მსვლელობის დეტალებს. შეიძლება

---

[1] გენერალ ბრიმერს მხედველობაში ჰქონდა ყარსის გარნიზონის მშვიდობიანი კაპიტულაციის შესაძლებლობა.

[2] „АКАК. т. XI, стр. 471, დე-საქეს ჩანაწერები. იგივე: ბ. ბოგდანოვიჩი, „აღმოსავლეთის ომი", ტ. IV, XII, 1876.

[3] АКАК. т. XI, стр. 471.

გაუზვიადებლად ითქვას, როგორიც უნდა ყოფილიყო ბრძოლის შედეგები, 17 სექტემბრის არნახულმა გმირულმა [illegible] ეროვნულ ომმა ერთხელ კიდევ დიდების შარავანდედით შემოსა [illegible] ჯარისკაცი და რუსული იარაღი. თვით მტრებიც კი გალანძღვითა და აღტაცებით აღნიშნავდნენ „რუსთა მოიერიშე კოლონების მამაცობასა და გმირობას". „რუსეთის ქვეითმა ჯარმა, — წერდა გენერალი ქმეთი, — ბოლომდე გვიჩვენა უდიდესი შეუპოვრობა"[1]. სხვა დოკუმენტში ამ დაუვიწყარი იერიშის შესახებ ვკითხულობთ: „არაჩვეულებრივი შეუპოვრობით და უშიშრად გამაგრდნენ რუსი ჯარისკაცები რედუტის კიდეებზე. კარვებს მოფარებულნი, ისინი ტენიდნენ თავიანთ თოფებს, შემდეგ უახლოვდებოდნენ დამბაჩის გასროლის მანძილზე და ესროდნენ თურქებს მანამდე, ვიდრე არ მოუღებდნენ მათ ბოლოს. ამის შედეგად თვითეულ კარავთან ათეთორმეტი გვამი ეყარა... მხოლოდ მოკლულთა და დაჭრილთა ზვინებით აღინიშნებოდა ის გზა, რომელსაც მიჰყვებოდნენ გენერლების კოვალევსკისა და გაგარინის კოლონები"[2].

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ისტორიული მასალა მკაფიოდ ასახავს ქართველთა ამ ლაშქრის თავდადებასა და მამაცობას, რომელიც მთავარსარდლის პირად რაზმს შეადგენდა. ქართული ლაშქარი უშუალო მონაწილეობას იღებდა ყარსის ამ ფათერაკიან იერიშში. მიუხედავად ბრძოლის სრულიად არახელსაყრელი ვითარებისა, მემატიანის გადმოცემით, ქართველი მოლაშქრეები საშინელი მსხვერპლისა და სისხლის ფასად, გულადი კაზაკების მხარდამხარ, ვაჟკაცურად „ეკვეთნენ გენერალ ქმეთის მთავარ შტაბს. მალე რუსეთის დროშა აფრიალდა მის კარავზე"[3]. ამ იერიშის დროს გმირულად დაიღუპა ქართველ ზოლაშქრეთა მნიშვნელოვანი ნაწილი. დაღუპულთა შორის იყო საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის შვილისშვილი, 18 წლის ჭაბუკი.

---

[1] George Kmety, A Narrative of the Defence of Kars on the 29 September, London, 1856, p. 35

[2] „Военный сборник", 1861, № 3, стр. 101, 103.

[3] „Военный сборник", 1861, № 3, стр. 103—104.

ავტორი, რომელიც აღწერს ამიერკავკასიაში შეგროვებული მრავალეროვანი ცხენოსანთა კორპუსის გარეგნულ სახეს, სხვათა შორის, წერს: „ჩვენს შორის ქართველ თავადაზნაურთა რაზმი მკვეთრად გამოსხვავდებოდა თავისი მდიდრული ტანისამოსით, შესანიშნავი იარაღით და ლამაზი ცხენებით, რომლებიც წითლად იყვნენ შეღებილნი"[1]. ადვილი გასაგებია, რომ გოროზი ქართველი თავადაზნაურობა, რომელიც იმ დროს ორგანულად შეერწყო და შეუთვისდა მეფის თვითმპყრობელობას, ამ უკანასკნელის საამსახურში არ ზოგავდა თავის ძალ-ღონეს და სიცოცხლესაც კი. ქართველ მოლაშქრეთა მამაცობა და სამხედრო ღვაწლი ყარსის ციხე-სიმაგრის გარემოცვისა და იერიშის დროს აღნიშნულ იქნა გენ. მურავიოვის სპეციალური ბრძანებით 1855 წლის 25 ოქტომბერს. მთავარსარდლის ბრძანებაში მოყვანილია ქართული ლაშქრის დაჯილდოებულ მეთაურთა და მხედართა საკმაოდ გრძელი სია[2].

ამ ისტორიულ იერიშის დროს ამათ გამოდგა რუსი ჯარისკაცის მთელი განსაცვიფრებელი გმირობა და მამაცობა, ოფიცრებისა და გენერლების დიდი უმრავლესობის უანგარო თავდადება და სამხედრო-ტაქტიკური ოსტატობა. გენ. მურავიოვის საოსკოლ წამოწყება ამ შემთხვევაში ტრაგიკულად დამთავრდა. მძიმე მარცხით განრისხებული გენერალი ბაკლანოვი ცხენით მიიჭრა მთავარსარდლის კარავთან და კადნიერად შესძახა მას: „ხომ აღსრულდა, ვინ აღმოჩნდა მართალი: გენერალი მურავიოვი, თუ გენერალი ბაკლანოვი?".

17 სექტემბრის დამლუპველი იერიშის დროს რუსებმა საერთოდ 11 ათასამდე კაცი დაკარგეს. თითქმის მთელი ეს მსხვერპლი თავს დაატყდა ჩვეით ჯარს, რომლის პირადი შემადგენლობის მეოთხედზე მეტი დაიღუპა. მწყობრიდან გამოვიდა 248 ოფიცერი და რამდენიმე გენერალი. იერიშის დროს მოკლეს რუსეთის არმიის ერთ-ერთი საუკეთესო მხედართმთავარი გენ. კოვალევსკი. კავკასიის გრენადერთა პოლკმა

---

[1] „Военный сборник", 1861, т. 3, стр. 87.

[2] „Кавказ", 1855, № 89,

მოკლულთა და დაჭრილთა სახით დაკარგა 1.270 კაცი, ერევნის კარაბინერთა პოლკმა — 962 კაცი, ბელევსკის პოლკმა ათას კაცზე მეტი. მსხვერპლი თურქთა გარნიზონისა, რომელიც თავდაცვით ბრძოლას ეწეოდა, დახურული პოზიციებიდან, გაცილებით ნაკლები იყო[1].

რუსეთის სარდლობამ ამ იერიშის დროს მძიმე და თითქმის აუნაზღაურებელი მსხვერპლი გაიღო. მაგრამ თურქებს მაინც არ ჰქონდათ ზეიმისა და აღტაცების საფუძველი. ამაო გამოდგა ოტომანთა არმიის სარდლობის იმედი, რომ რუსეთის სარდლობა, განცდილი მარცხის შემდეგ, დატოვებდა თავის პოზიციებს და საქართველოს საზღვრებში ჩაიკეტებოდა. ერთი შეხედვით, ასეთი ვარაუდი თითქოს რეალურ საფუძველს ემყარებოდა, მაგრამ მტრის მოლოდინი არ გამართლდა. წარუმატებლობამ და მძიმე მარცხმა ვერ შეარყია რუსეთის მხედრობის მტკიცე გადაწყვეტილება — დარჩენილიყო თავის პოზიციებზე, ებრძოლა ბოლომდე, ყარსის გარნიზონის სრულ კაპიტულაციამდე. მთავარსარდალმა არ ისურვა ალყის მოხსნა და უკან დახევა. გენ. ბაკლანოვმა ამიერიდან ფაქტიურად საკუთარ ხელში აიღო ყარსის გარემოცვის მთელი საქმე, მან მტკიცედ გადაკეტა ციხე-სიმაგრის ყველა და ყოველგვარი მისასვლელი. ყარსის ციტადელს წინანდელზე უფრო მჭიდრო არტახები შემოავლეს, უფრო ულმობლად იწყეს მისი შეიწროება და შემუსვრა. ოფიციალურად გამოცხადდა მთავარსარდლობის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მოალყე ჯარი, რაც უნდა მოხდეს, რჩება თავის საგუშაგოზე ციხე-სიმაგრის კედლებთან; იგი მზადაა გადაიტანოს ყოველგვარი განსაცდელი სუსხიანი ზამთრის ცის ქვეშ, მაგრამ ძირითადი მიზანი — ყარსის კაპიტულაცია, რადაც უნდა დაჯდეს, მიღწეულ იქნებათ.

გენ. მურავიოვის მიერ 1855 წლის 17 სექტემბერს გაწეული რისკის ყოველმხრივად შეფასების დროს დაუშვებელი იქნებოდა ანგარიში არ გაგვეწია ზოგიერთი გარემოებისა-

---

[1] АКАК, т. XI, стр. 150—172; тоже: „военный сборник", 1861 № 3, стр. 105.

თვის, რომლებიც საკმაოდ ანელებენ მთავარსარდლის დანაშაულს. ამ თვალსაზრისით, გენ. მურავიოვის მოქმედებას, თუ მეტი არა, ავანტიურის კვალიფიკაცია მაინც უნდა მოეხსნას.

ჩვენ საკმაო კომპეტენტურად გვეჩვენება კამპანიის ერთ-ერთი აქტიური მონაწილის და მთავარსარდლის უახლოესი თანამოსაგრის გენ. დონდუკოვ-კორსაკოვის მოსაზრება. იგი ითვლებოდა გენ. მურავიოვის რწმუნებულად და „შინაურ" კაცად, ამიტომ ის ახლოს იცნობდა მთავარსარდლის სტრატეგიულ მიზანდასახულებებს, რომლებიც, მისი გადმოცემით, მეტად ფართოდ იყო მოხაზული. მისი შეხედულებები საკუთრებით ემთხვევა ბევრი სხვა თანამედროვის მოსაზრებებს.

დონდუკოვ-კორსაკოვის აზრით, გენ. მურავიოვის მიერ 1855 წლის 17 სექტემბერს განხორციელებული იერიში წარმოადგენდა შეცდომას მხოლოდ რისკის გაწევის თვალსაზრისით, „მაგრამ მისი შედეგები, შესაძლო გამარჯვების შემთხვევაში, ასკეცად გაამართლებდა რისკზე წასვლის გადაწყვეტილებას". „წარმატების შემთხვევაში, — განაგრძობს გენერალი დონდუკოვ-კორსაკოვი, — მეორე დღესვე იქმნებოდა შესაძლებლობა მსუბუქად შეიარაღებული რაზმით გაგეელაშქრა არდაგანის გზით ბათუმისაკენ. გზაში შემოგვიერთდებოდნენ ახალი ჯარები ახალციხიდან. აჩქარებული გადასვლით 4 ან 5 დღეში ჩვენი ჯარები ბათუმის მიდამოებში აღმოჩნდებოდნენ, ისინი ამოწყვეტდნენ ან ზღვაში გადაყრიდნენ თურქების მიერ გადმოსხმულ ჯარებს. შემდეგ ქობულეთისა და გურიის მეშვეობით, ზღვის სანაპიროებით შევიჭრებოდით ომერფაშას არმიის ზურგში და გავექლეტდით მას იმერეთსა და სამეგრელოს ტყეებსა და ჭაობებში. ამრიგად, ყარსის აღებასა და გენ. ვილიამსის არმიის განადგურებას 10 ან 15 დღის შემდეგ დაემატებოდა თურქეთის მეორე არმიის განადგურება და ეს ლაშქრობა დაიკავებდა ერთ-ერთ ყველაზე უშესანიშნავეს ფურცელს საჰხედრო საქმის მატიანეში". გენ. დონდუკოვ-კორსაკოვის გადმოცემით, ამ გრანდიოზულმა საპერსპექტივო სტრატეგიულმა კონცეფციამ თავდაიწყებამდე გაიტაცა გენ. მურავიოვი, ეს უკანასკნელი, რაც მთავარია, მოელოდა, რომ „ასეთი წარმატება წარხოცავდა იმ მძიმე შთაბე-

ჭდილებას, რომელიც მოახდინა რუსეთში სევასტოპოლის აღებამ"[1].

გენ. დონდუკოვ-კორსაკოვს, როცა იგი ცდილობს სავსებით გაამართლოს ჯარების მთავარსარდლის მოქმედება, ავიწყდება, რომ თავისი „შორსდამიზნებული სტრატეგიის" განსახორციელებლად გენ. მურავიოვმა სრულიად უხეირო და უვარგის საშუალებას მიმართა, ავიწყდება, რომ 17 სექტემბრის მოქმედებით გენ. მურავიოვმა არათუ ფიზიკურად გაანადგურა და მწყობრიდან გამოიყვანა თავისი ჯარის რჩეულ ჯარისკაცთა და ოფიცერთა მნიშვნელოვანი ნაწილი, არამედ ამასთან განცდილმა მარცხმა საკმაოდ ხანგრძლივი დროით დაუკარგა ბრძოლის უნარი მთელ კორპუსს.

თურქეთის ჯარების დაწოლის ამ კრიზისულ მომენტში აფხაზეთსა და სამეგრელოსთან ერთად ფრიად სახიფათო მდგომარეობაში აღმოჩნდა აგრეთვე მთელი გურია. აქ მყოფი ე. წ. გურიის რაზმიც არასახარბიელო მდგომარეობაში ჩავარდა. ჯერ კიდევ ზემოაღწერილ ამბებამდე, 1855 წლის 26 აგვისტოს, გენ. მურავიოვმა აცნობა გენ. ბაგრატიონ-მუხრანსკის, რომ მის ხელთ არსებული ცნობებით, ბათუმის კორპუსი მუსტაფა-ფაშას მეთაურობით თითქოს აპირებდა ყარსის დასახმარებლად გალაშქრებას. ასეთი ცდის აღსაკვეთად, მთავარსარდალი უბრძანებდა გურიის რაზმის სარდლობას მოეწყო დივერსია ქობულეთის სანჯაყში. გენ. ბაგრატიონ-მუხრანსკიმ გენ. მურავიოვს წარუდგინა ვრცელი მოხსენება, რომელშიც ასაბუთებდა, რომ შექმნილ ვითარებაში შეუძლებელი იყო მთავარსარდლის განკარგულების შესრულება. გურიის რაზმის უფროსი დაწვრილებით აღწერდა გურიისა და სამეგრელოს საზღვრებზე არსებულ დაძაბულობას, მიუთითებდა მტრის ძალების სიჭარბეზე და მოითხოვდა მაშველ ჯარებს.

გენ. მურავიოვს ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული ზემოხსენებული მოხსენება, რომ მან 7 სექტემბერს გურიის რაზმის უფროსის სახელზე კვლავ ახალი მიწერილობა აფრინა,

---

[1] „Кавказский сборник", 1876, т. I, стр. 30.

მთავარსარდალი თავის მიმართვაში მიუთითებდა მზვერავთაგან მიღებულ ცნობებზე იმის შესახებ, რომ თითქოს თურქებს ამჯერად თავიანთ სამოქმედო რაიონად ახალციხე აურჩევიათ და მტრის საექსპედიციო ჯარის ნაწილები აჭარიდან უკვე მოემზურებიან ჭობლიანის გზით ახალციხისაკენ. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მთავარსარდალი მოითხოვდა გურიის რაზმის ერთი ნაწილის დაუყოვნებლივ გადასროლას ბალდადისა და ზეკარის უღელტეხილის გზით ახალციხისაკენ. გენ. მურავიოვის ახალმა განკარგულებამ მეტად დიდ საგონებელში ჩააგდო ისედაც თავგზააბნეული გენ. ბაგრატიონ-მუხრანსკი. ეს უკანასკნელი თავის მორიგ პატაკში ერთხელ კიდევ შეეცადა დაესურათებინა გურიის რაზმის უმწეო მდგომარეობა და თავიდან აეშორებინა ამ რაზმის დანაწევრების საფრთხე. 12 სექტემბრის მოხსენებაში მთავარსარდლის სახელზე ბაგრატიონ-მუხრანსკი კიდევ უარყოფს გენ. მურავიოვის მოითხოვნის შესრულების შესაძლებლობას. იგი მოაგონებს მთავარსარდალს, თუ რა მძიმე საფრთხის წინაშე იმყოფება გურია და სამეგრელო როგორც ხმელეთიდან, ისე ზღვიდან. ამ მწვავე მომენტში გურიის რაზმის დაჭსაქსვა, — წერს იგი, — ნამდვილ დალუპვას მოასწავებსო.

ინტერესმოკლებული არ არის გავეცნოთ სხვადასხვა პირთა მოსაზრებებს ომერ-ფაშას საექსპედიციო ლაშქრობის მარშრუტის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო თანამდებობის ადამიანთა საღი მსჯელობა და შორსმჭვრეტელობა ზოგჯერ უკან იტოვებს მაღალ პროფესიონალ „სტრატეგთა“ გამჭრიახობას. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ოზურგეთის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლის — მიხეილ ერისთავის წერილი. „ომერ-ფაშასათვის ხელსაყრელი არაა იმოქმედოს ყარსის წინააღმდეგ, — წერს ერისთავი, — სადაც იგი უსათუოდ განადგურებული იქნება რუსეთის ჯარების მიერ... მას უფრო აწყობს გურიის მხრიდან მოქმედება. მას 45 ათასამდე ჯარისკაცი ჰყავს სამეგრელოსა და ჭობულეთში, დიდძალი სურსათი და საბრძოლო მარაგი აქვს, ფლობს ზღვას და შეუძლია ოთლად და სწრაფად კიდევ უფრო გაძლიეროს თა-

ვისი ჯარების ოიცხვი, მოზიდოს რამდენიც ესაჭიროება ამდენ-
ნი მარაგი. თურქეთიდან შეიძლება აქ ჯარები გადმოსროლილ-
ლი იქნას მეშვიდე დღისათვის, ხოლო ქობულეთის საზღვრე-
ბიდან საჯავახოს მაღლობებს, 40 ვერსის მანძილს, შეიძლება
მიაღწიო ორი გადასავლით. მოწინააღმდეგისათვის ხელსაყრე-
ლი არ არის იაროს საძნელო გზებით არზრუმისა და ყარსისა-
კენ, როდესაც მას არ მოეპოვება წარმატების იმედი"[1]. ის
მოსაზრება, რომ თურქების ძირითადი ძალების თავდასხმა
მოსალოდნელი იყო არა რომელიმე სხვა პუნქტში, არამედ
სწორედ გურიისა და სამეგრელოს მხრიდან, უდავოდ საფუძ-
ვლიანი და მართებულია. ამაში გარკვევა არ მოითხოვდა დიდ
სტრატეგიულ სიბრძნესა და გამჭრიახობას. თვით მთავარ-
სარდალიც, ბოლოს და ბოლოს, სავსებით დარწმუნდა ამ
ანბანურ ჭეშმარიტებაში.

მხოლოდ 18 სექტემბერს, ყარსის ციხის უბედური იერი-
შის მეორე დღეს, გენერალმა მურავიოვმა, როგორც იქნა,
ყური ათხოვა გურიის რაზმის უფროსის პრეტენზიებს. ახა-
ლი საინსტრუქციო წერილით იგი ძალადაკარგულად აცხადებ-
და თავის წინანდელ განკარგულებებს და უფლებას აძლევდა
გენ. ბაგრატიონ-მუხრანსკის: „ამიერიდან ეხრუნა მხოლოდ
მისთვის მინდობილი მხარის უშიშროებისათვის". ამავე
დროს მთავარსარდალი უყურადღებოდ ტოვებდა იმას, რომ
გურიის მცირერიცხოვან რაზმს ოდნავადაც არ შეეძლო
უზარმაზარი, აფხაზეთიდან აჭარის მთებამდე გაჭიმული,
საზღვაო და სახმელეთო ხაზის დაცვის უზრუნველყოფა.
რეზერვებისა და დამხმარე ძალების მოლოდინი ამაო იყო.
საქმე ისაა, რომ ყარსის მთავარი კორპუსის სარდლობა 17
სექტემბრის მარცხის შემდეგ შეუდგა შებერტყილი ნაწილე-
ბის ხელახლა წესრიგში მოყვანას. კავკასიის არმიის ყველა
ბრძოლისუნარიანი შენაერთი, თითქმის გამოუკლებლივ, ყარ-
სის გარშემო და საერთოდ ანატოლიის ასპარეზზე იქნა თავ-
მოყრილი. გურია-სამეგრელოს საზღვრები, ე. წ. „რიონისპირა"
საბრძოლო ასპარეზი, რეგულარული ჯარების მხრივ

---

[1] АКАК, т. XI, стр. 230 - 231.

თითქმის გაშიშვლებული აღმოჩნდა. ერთადერთი იმედი, რომელიც ასულდგმულებდა გენერალ ბაგრატიონ-მუხრანსკის, ეს იყო ადგილობრივი ლაშქარი და სახალხო ომის გაჩაღების პერსპექტივა. უნდა ითქვას, რომ გურიის რაზმის უფროსის ვარაუდი ამ მხრივ საკუთებით მართალი გამოდგა, თუმცა, სამწუხაროდ, თავისი პირადი თვისებებით, იგი სრულიად შეუფერებელი აღმოჩნდა სახალხო ლაშქრის სარდლის საპატიო როლისათვის.

1855 წლის შემოდგომისათვის თურქეთის საექსპედიციო არმია, მრისხანე ძალა, იდგა გურიისა და სამეგრელოს ზღუდეებთან. დღითი-დღე მოსალოდნელი იყო ტრაღიკული ამბების განვითარება. ომერ-ფაშა, რომელმაც თავისი მისია დამთავრებულად ჩათვალა, აჭარის მთებიდან ბათუმში დაბრუნებისთანავე სასწრაფოდ გაემგზავრა გემით შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირების გასწვრივ. თურქეთის არმიის სარდლის მოგზაურობას წინასწარი დაზვერვითი რეკოგნოსცირების ხასიათი ჰქონდა. ომერ-ფაშამ შეამოწმა თურქეთის სიმაგრეები და თურქთა გარნიზონების მდგომარეობა შავი ზღვის სანაპიროზე და თავისი ყურადღება შეაჩერა სოხუმის რეიდზე. თურქთა საექსპედიციო ლაშქრის საფესანტო პუნქტი ამიერიდან არჩეულად ითვლებოდა.

უსაფუძვლო იქნებოდა გვეფიქრა თითქოს ომერ-ფაშა სოხუმის ნავსადგურის ბუნებრივ-გეოგრაფიულმა უპირატესობებმა მიიზიდეს, პირიქით, ამ თვალსაზრისით და სხვა მხრითაც (ქვეყნის ცენტრებთან სიახლოვე, პირდაპირი გზა და სხვ.) რედუტ-ქალე გაცილებით უფრო ხელსაყრელი იყო. თურქეთის სარდლის ასეთ არჩევანს, როგორც სხვა ადგილს აღინიშნა, სულ სხვა სარჩული ედო, სახელდობრ, სარჩული პოლიტიკური და სტრატეგიული ხასიათისა. ყოველ შემთხვევაში, ყარსის გადარჩენის პრობლემა ამიერიდან ომერ-ფაშისათვის უკვე აღარ არსებობდა. საკუთებით გასაგებია, რომ ომერ-ფაშას უცნაური მანევრები იმ დროს ფრიად საჭოჭმანო გამოცანად იქცა: ჩვენს მხედრობაში, მთელ ჩვენს ქვე-

---

[1] АКАК, т. XI, стр. 239—240.

ყანაში, საგანგაშო მდგომარეობასთან ერთად, მითქმა-მოთქმა და ჩოჩქოლი ატყდა.

გურიის რაზმის შტაბის უფროსს პოლკოვნიკ უსლარს სრული საფუძველი ჰქონდა ეფიქრა, რომ ომერ-ფაშას ამიერიდან აზრადაც კი არ მოსდის დახმარება ალმოუჩინოს ყარსის გარნიზონს, თუმცა ამას ის სიტყვით კვლავ ამბობდა. პოლკოვნიკ უსლარის აზრით, ომერ-ფაშა, რომელიც საამხედრო კამპანიას გვიან შემოდგომაზე იწყებდა, მისთვის მეტად ხელსაყრელ პირობებშიც კი, ზამთრამდე შესძლებდა დაეკავებინა მხოლოდ საშეგრელო, გურია და იმერეთის მცირე ნაწილი. თურქეთის მთავარსარდალი, ვიდრე აღნიშნულ ტერიტორიებს არ შემოიმტკიცებდა, მოკლებული იქნებოდა შესაძლებლობას გადაედგა გაბედული ნაბიჯი ცენტრებისაკენ. ამრიგად, უსლარი ფიქრობდა, რომ ომერ-ფაშას მთელი ზაფთარი მოუხდებოდა ერთი ადგილის ტკეპნა შავი ზღვის სანაპიროზე. ახალი კამპანიის დაწყების მტერი მხოლოდ 1856 წლის აპრილ-მაისში თუ მოახერხებდა. რა მიმართულებას მიიღებდა ომერ-ფაშას შემდგომი ლაშქრობა? უსლარის აზრით, ომერ-ფაშა თავისი ჯარით გაემართებოდა ან სურამის უღელტეხილით თბილისის წინააღმდეგ, ან, რაც უფრო მოსალოდნელი იყო, შეეკვეთებოდა გადაელახა ყაბარდოს მთები და გზა გაეკაფა ვლადიკავკაზის ოლქისაკენ. დასასრულ გურიის რაზმის შტაბის უფროსი ითვალისწინებდა ომერ-ფაშას საექსპედიციო ლაშქრობის სრულ განწირულებას[1].

თუ შევაჯამებთ ზემოთქმულს, დავრწმუნდებით, რომ შემორკალული ყარსის გადარჩენის იდეა ომერ-ფაშას მიერ გათვალისწინებული მარშრუტით (სოხუმი-ქუთაისი-სურამის უღელტეხილი და აქედან ახალციხე ან თბილისი) განუხორციელებელი და ილუზიური იყო. უკეთეს შემთხვევაში, ფაშას, შესაძლოა, კვლავ იმედი ჰქონოდა, რომ საქართველოს სიღრმეში შეჭრით და თბილისისადმი დამუქრებით იგი მოწყვეტდა ყარსს და ზურგის დასაცავად გამოიტყუებდა „გულ-

[1] „Кавказский сборник", 1330, т. V, стр. 270.

უბრალოვილო“ მურავიოვის კორპუსს. მტერი მალე დარწმუნდა თავის საბედისწერო შეცდომაში.

გენერალ ვილიამსისადმი ომერ-ფაშას წერილი, რომელიც 2 ოქტომბერს გაიგზავნა სოხუმიდან და გზაში ჩვენმა პიკეტებმა დააკავეს, საბოლოოდ ადასტურებს, რომ მან ხელი აიღო ყარსისათვის დახმარებაზე. საექსპედიციო კორპუსის სარდალი თავის ბარათში ინგლისელი გენერლის სახელზე ოსტატურად უვლის გვერდს „ყველაზე მწვავე კითხვას“ და კმაყოფილდება მარტოოდენ მშრალი მილოცვით „17 სექტემბრის გამარჯვების“ გამო. ომერ-ფაშა ორაზროვანი, გაუგებარი ფრაზებით, გამოთქვამდა იმედს, რომ „ურთიერთობა ჩვენს შორის (იგულისხმება ვილიამსი — რედ.), რომელიც დაიწყო ესოდენ სასიამოვნო ნიშნით, შემდგომშიც არ შეწყდება და მოელენების განვითარება, ან ჩვენი ორი კორპუსის შეერთება შემთხვევას მომცემს გაგეცნოთ და პირადად გადაგიხადოთ მადლობა“ [1]. ცხადია, გენერალი ვილიამსი მისი ინგლისაქსური ალლის წყალობით არ შეეიდა შეცდომაში, მან ზუსტად გამოიცნო მოკავშირე სარდლის მუხანათური ხრიკები.

„მე მედგრად ვიდექ, ვიდრე არ შეეიტყვე, რომ ომერ-ფაშა სუხუმ-კალეში გადასხდა“ [2] — დვარძლიანად განაცხადა გენ. ვილიამსმა ყარსის კაპიტულაციის შემდეგ. ტყვედ ჩავარდნილი ინგლისელი ოფიცრები ყარსის დაცემას და თავიანთ უბედურებას მთლიანად ომერ-ფაშას აბრალებდნენ. ამ უკანასკნელის წინააღმდეგ ამხედრებული იყო აგრეთვე ყარსში მომწყვდეული ყველა ფაშა და თურქეთის სარდლობა. როდესაც ციხე-სიმაგრეში ერთიმედოდ მომწყვდეულ ჭერიმ-ფაშას აცნობეს, რომ ომერ-ფაშას ჯარებს სამეგრელოში სრული განადგურება მოელითო, მან კმაყოფილებით წაიბუზღუნა: „ომერ-ფაშამ ეს საქმეებით დაიმსახურა, — ყარსისათვის სასწრაფო დახმარების აღმოჩენის ნაცვლად მან მანევრირება დაიწყო, ამიტომ ჩვენ კაპიტულაციაზე წასვლა გვიხდებოთ“ [3].

---

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 443, л. 58.

[2] „Военный сборник“, 1861, № 3, стр. 43.

[3] Газ. „Кавказ“, 1856, № 15.

როგორი იყო ომერ-ფაშას მიზანდასახულება, რომელსაც ... ...

ჩვეულებრივ „რიონის“ მხარედ იწოდებოდა. მას ჩრდილო დასავლეთიდან მდ. ენგური ერტყა, დასავლეთიდან შავი ზღვა, სამხრეთიდან — აჭარა-ახალციხის მთები, ხოლო აღმოსავლეთიდან — სურამის ანუ ქართლ-იმერეთის ქედი. მდ. რიონი, რომელიც რედუტ-კალეს (ყულევის) სამხრეთით 15 ვერსის მანძილზე შავ ზღვას შეერთვის, თავის მარჯვენა შენაკად ცხენისწყალთან ერთად მთელ „რიონის მხარეს“ სამ ნაწილად ჰყოფდა: გურიად, სამეგრელოდ (ცხენისწყლის დასავლეთით) და იმერეთად. იმერეთს ეჭირა მთელი სივრცე ცხენისწყლის აღმოსავლეთით ქართლ-იმერეთის ქედამდე. „რიონის მხარის“ შეზობლად მდებარეობდნენ სამურზაყანო, აფხაზეთი და სვანეთი.

შეტევითი ოპერაციების განვითარების შემთხვევაში აფხაზეთიდან ქუთაისისაკენ, ომერ-ფაშას შეეძლო ესარგებლა შარაგზების შემდეგი ჯაჭვით: 1) სოფ. რუხიდან (ენგურზე) ქუთაისისაკენ გაჭიმული იყო ორი გზა: ერთი მიიმართებოდა ზუგდიდით, სოფ. ხეთისა და სოფ. მარანზე გავლით; მეორე — ოზურგეთითა და ხობით (საველე არტილერიისა და სხვა სიმძიმეების გადატანა ამ გზაზე მხოლოდ შშრალ ამინდში შეიძლებოდა). 2) შავი ზღვის სანაპირო პუნქტებიდან, რომლებიც იმ მომენტში თურქების ხელში იმყოფებოდა, ჭვეყნის ცენტრისაკენ მიიმართებოდა ერთადერთი, იმ დროის ყველობაზე საკმაოდ კეთილმოწყობილი გზა. იგი იწყებოდა ყულევთან, ხოლო ხეთის სამხრეთით უერთდებოდა პირველ მაგისტრალს — რუხი-ზუგდიდი-ხეთა-ქუთაისი. ყულევ-ხეთის შემაერთებელ ამ გზას სივიწროვე და ჭაობიან-ტყიანი ბასიათი ხელს არ უშლიდა იმაში, რომ იმ დროს იგი ოფიციალურ მიწერ-მოწერაში გზატკეცილად წოდებულიყო. ყველა დანარჩენი გზა, რომლებიც მიემართებოდა შავი ზღვის სანაპირო პუნქტებიდან და ზუგდიდ-ქუთაისის მთავარ საფოსტო ტრაქტს უერთდებოდა, არსებითად, სრულიად უმნიშვნელო ბილიკები იყო. ტყეები და ჭაობები, რომლებშიც ასეთი ბილიკები იხლართებოდა, სრულიად უსარგებლოდ ხდიდა მათ სამხედრო შენაერთების მოძრაობისათვის. 3) გურიის

ცენტრიდან ოზურგეთიდან (ახლა ქ. მახარაძე) მოდიოდა ორი გზა: ერთი ლანჩხუთით, მეორე ჩოხატაურით. ორივე გზა ერთდებოდა მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე ქოდორის ხიდთან და ზუგდიდ-ქუთაისის საფოსტო მაგისტრალს ერწყმოდა. გურიის ერთობ დაკლაკნილი გზები მიყვებოდა ტყით შემოსილ მთებს. ეს გარემოება კი აბრკოლებდა შეიარაღებული ძალების მოძრაობას და სიმძიმეების გადატანას[1].

თავისთავად იგულისხმება, რომ ომერ-ფაშას საომარ ოპერაციების გაშლის წინ, მოსახლეობის მორალურ-პოლიტიკურ განწყობილებასთან ერთად, მხედველობაში უნდა მიეღო ქვეყნის ტოპოგრაფიული და კლიმატური პირობებიც. მაგრამ სწორედ ამ თვალსაზრისით მისი მოქმედება, რბილად რომ ითქვას, ყოვლად უცნაურად მოჩანდა. გვიან შემოდგომის წვიმიანი სეზონის დაწყებამდე მას შეეძლო ეკარაუდნა მხოლოდ ერთი, ერთ-ნახევარი თვე და სულ მოსაზრებას მისთვის უნდა ეკარნახა ამ მოკლე ვადის ეფექტური გამოყენება. მაგრამ მან აქაც გადალახვია სიგანთა ლოგიკის ნორმებს. მოსალოდნელი იყო, რომ ომერ-ფაშა შეტევითი მოქმედებისათვის აირჩევდა ქვეყნის ცენტრისაკენ მიმართულ უმოკლეს გზებს — ყულევე-ქუთაისის ტრაქტს, რომლის სიგრძე 108 ვერსს უდრიდა. დაახლოებით ასეთივე იყო ოზურგეთ-ქუთაისის გზაც. მიუხედავად ამისა, თურქთა ჯარების მთავარსარდალმა საექსპედიციო კორპუსის მოძრაობის საწყის პუნქტად დასახა ორა ზემოაღნიშნული ქვანძები, ორამედ სოხუმი, რომელიც ქუთაისიდან დაცილებულია 200 ვერსზე მეტით, ე. ი. დაახლოებით ორჯერ მეტი მანძილით ყულევთან შედარებით. ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ მას აფხაზეთიდან უნდა ევლო ერთობ უვარგისი და მოუწყობელი გზებით და გადალახა იმ დროს არცთუ ისე ადვილად დასაძლევი ორი მდინარე — ქოდორი და ენგური.

თურქთა მნიშვნელოვან უპირატესობას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ 1854 წლის გაზაფხულზე კავკასიის სარდლობამ, როგორც აღინიშნა, შავი ზღვის სანაპი-

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 448, л. 48.

რის გამაგრებული ხაზი ნიკოლოზ პირველის განკარგულებით სრულიად გაათავისუფლა თავისი გარნიზონისაგან. ამიერიდან შავი ზღვის მთელი სანაპირო — შეკვეთლიდან ბათუმამდე — იქცა საგანგებით გაშიშვლებულ პლაცდარმად მოწინააღმდეგეთა ფლოტისა და ჯარებისათვის. თუ წინათ სანაპირო ფორტების არსებობა დასავლეთ საქართველოს მთელი თავდაცვითი სისტემის უძლიერეს ფაქტორს წარმოადგენდა, მათი ევაკუაცია, ცხადია, ამ მხარეს ამიერიდან სრულიად გამოუვალ მდგომარეობაში აყენებდა[1].

1855 წლის სექტემბრის მეორე ნახევრიდან დაიწყო თურქეთის საექსპედიციო კორპუსის შენაერთების გაძლიერებული თავმოყრა ქალაქ სოხუმში. იმავე დროს თურქეთის მთავარსარდლობამ ენერგიულად მოკიდა ხელი მის განკარგულებაში მყოფი შავი ზღვის სანაპირო პუნქტების გაძლიერებას, მათ შევსებას ახალი, ბრძოლისუნარიანი გარნიზონებით. ბათუმში და ქობულეთის სანჯაყში (გურიის საზღვრებთან) განლაგებული იყო მუსტაფა-ფაშას საკმაოდ ძლიერი და ბრძოლისუნარიანი კორპუსი, რომელიც შედგებოდა ნიზამისა, სუვარისა და ბაშიბუზუკებისაგან. მუსტაფა-ფაშას ნაბრძანები ჰქონდა ომერ-ფაშას შეტევის დაწყებამდე დაემაყოფილებულიყო ცალკეული დივერსიებით და დემონსტრაციების მოხდენით გურიის საზღვრებზე, მიეზიდა და შეეგოჭა გურიის რაზმისა და სახალხო მილიციის შენაერთები. თურქთა საექსპედიციო კორპუსის შეტევითი ლაშქრობის გაშლის შემდეგ ბათუმ-ქობულეთის ნაკრები კორპუსი უნდა გაჭრილიყო რიონისკენ და კოდორის გადასასვლელთან შეერთებოდა ომერ-ფაშას კორპუსს, რათა საერთო ძალით განეგრძოთ შემდგომი შეტევა ჭუთაისისაკენ[2].

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ომერ-ფაშასა და მისი ევროპელი მრჩეველების დაუცხრომელი ზრუნვა და ხრიკები ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით, გამოჩენილ სამხედრო და სამოქალაქო პირთა გადასაბირებლად.

---

[1] ერცელი მასალა შავი ზღვის სანაპიროს სიმაგრეების გარნიზონთა ევაკუაციის შესახებ იხ. АКАК. т. X, стр. 268—275, 698—700.

[2] ЦГИАГ, ф. 1087, д. 448, л. 48.

საექსპედიციო კორპუსის მთავარსარდალმა სოხუმში ჩასვლისთანავე გამოსცა ბრძანება, რომ იგი დაუბრკოლებლად მიიღებს მოსალაპარაკებლად ყველას, ვინც კი ამას მოისურვებს. მან დაავალა თავის ადიუტანტებს თავაზიანად და პატივისცემით მოპყრობოდნენ მიმსვლელებს, დაუყოვნებლივ შეეშვათ მის კაბინეტში ყველა მსურველი. სპეციალური ბრძანებით აწესრიგებდა ადგილობრივი მოსახლეობის ნაწარმის ნიხრის საკითხს; ნაბრძანები იყო ყველაფერში წმინდა, ოქრო და ვერცხლი გადაეხადათ. მთავარსარდალთან სტუმრად მოსულ მთიელებსა და აფხაზებს თურქები უმასპინძლდებოდნენ უხვად და უფასოდ. ომერ-ფაშა, მის ევროპელ „მეგობართა" რჩევით, ყოველნაირად ცდილობდა ეთამაშა კეთილშობილი, ალერსიანი და უანგარო მბრძანებლის როლი, ეჩვენებია, რომ ის შუდამ მზადაა პატივი სცეს ადამიანის უფლებას და საკუთრებას, იყოს გულმოწყალე და მიუდგომელი, მაგრამ ამავე დროს — „მრისხანე და დაუნდობელი ურჩებისადმი". თავისი „შეუბღალავი უმანკოების" ნათელსაყოფად ომერ-ფაშა შეუბრალებლად სჯიდა ცალკეულ პირთ საკუთარი ბანაკიდან, რომლებიც კი შენიშნული იქნებოდნენ სისტემატური ბოროტმოქმედების ჩადენაში ან უხამს მოძალადეობაში ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ. ამრიგად, თურქეთის „სარდარ-ეკრემი" თითქოს არ ზოგავდა ძალ-ღონეს, რათა თავისი პიროვნება დიდების შარავანდედით შეემოსა, განემტკიცებინა დისციპლინა და წესრიგი თავის ჯარებში[1].

იმისათვის, რომ ცხადი გახდეს თურქების საკმაოდ გულუბრიყვლო წარმოდგენა ქართველობაზე ზედმეტი არ იქნებოდა აქვე გავეცნობოდით ზოგიერთ დამახასიათებელ ფაქტს. ცდილობდნენ რა გურიისა და სამეგრელოს მაშინდელ პომუალრულ მოლვაწეთა გადაბირებას, სულთანის ემისრები „მეგობრულ" ბარათებს უგზავნიდნენ მათ, აძლევდნენ რჩევას, აღუთქვამდნენ გაბედნიერებასა და ნაირფერად პერსპექტივებს. ჯერ კიდევ საქართველოში ომერ-ფაშას ჩამოსვლამდე, სულთანის აგენტმა, სამშობლოს მოღალატე ალიბეი თავდ-

[1] ЦГИАГ. ф. 1087, д. 448, л. 48—49.

გირიეემ სპეციალური წერილით მიმართა გურიის ფეოდალს თავ. მალაქია გურიელს, რომელიც ცნობილი იყო, როგორც თურქების ყველაზე შეურიგებელი მოწინააღმდეგე, დამპყრობთა წინააღმდეგ თანმიმდევარი და გაუტეხავი მებრძოლი. ალიბეი „ქობულეთელი“ რჩევას აძლევდა მალაქია გურიელს განდგომოდა რუსებს და თურქეთის სამსახურში შესულიყო. ამასთან, იგი სულთანის სახელით საზეიმო ფიცს იძლეოდა, რომ ამის საზღაურად გურიელი მალალი პორტასაგან გურიის მთავრის ღირსებას მიიღებდა[1].

მეტად დამახასიათებელია მ. გურიელის, გურიის მებრძოლი მილიციის ამ გამოჩენილი სარდლის, გონებამახვილი პასუხი ალიბეის უხამს წინადადებებზე. ეს პასუხი ნათელყოფს მალაქია გურიელის ერთგულებას მეფის მთავრობისა და საერთოდ რუსეთის ორიენტაციისადმი. მისი პასუხი ამავე დროს მოწმობს გურიელის პოლიტიკურ სიბრძნეს, იმ დროის მიხედვით მის საკმაოდ განვითარებასა და გამჭრიახობას. მ. გურიელი თითქოს თეორიულად ეპაექრება თავის „ოპონენტს“ და საფუძვლიანი არგუმენტებით ცდილობს გააბათილოს მისი კორესპონდენტის დებულებები. „რა შეადგენს სახელმწიფოს მთავარ ძალას?“ კითხულობს გურიელი და იქვე ორიგინალურად, თუმცა გულუბრყვილოდ აყალიბებს თავის პასუხს: „უწინარეს ყოვლისა — მოსახლეობის ერთგვაროვნება და არა სხვადასხვა გვაროვან დაპყრობილ ტომთა შეერთება; მეორე — რეგულარული ჯარების მრავალრიცხოვნობა; მესამე — ხაზინის ფულადი საშუალებების სიმდიდრე; მეოთხე — ბუნების ნაწარმთა სიუხვე ქვეყნის შიგნით; მეხუთე — პირუტყვისა და ცხენების სიმრავლე და, მეექვსე, — სახალხო განათლება და ქვეთილის მყოფელი კანონები“[2]. თვლის რა ამ ძირითად ნიშნებს „სახელმწიფოებრივი ძლევამოსილების“ საფუძვლად, მ. გურიელი ამ თვალსაზრისით ერთმანეთს უპირისპირებს რუსეთისა და ოტომანთა თურქეთის იმპერიებს. აშკარავებს ამ უკანასკნელის „უსუსურობასა და არარაობას“.

---

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 449, л. 107.

[2] იქვე.

მ. გურიელი თანმიმდევრულად და მარჯვედ ამხელს თურქი აგრესორების სიბრმავეს და გონებადახშულობას; აღნიშნავს, რომ ისინი წამოეგნენ ევროპული „მოკავშირეების" შხამიან ანკესზე. მ. გურიელი თვლის, რომ ინგლისის, საფრანგეთისა და სარდინიის ერთობლივი მოქმედება ანიშნებს მათ განსაზღვრულ უპირატესობას, მაგრამ ეს „უპირატესობა მეტად საეჭვო, დროებითი და გარდამავალი ხასიათისაა". თურქებს და მათ მოკავშირეებს არ მოეპოვებათ რაიმე ხაფუძველი იტრაბახონ თავიანთი წარმატებებით, რადგან მათ მიერ დროებით დაკავებული სანაპირო პუნქტები რუსებმა ნებაყოფლობით დატოვეს, „არც ერთი მათგანი არ ყოფილა დაპყრობილი იარაღით". შესანიშნავი ჰკუამახვილობა და შორსმჭვრეტელობა ჩანს გურიელის მსჯელობაში: „თურქეთმა დაჰკარგა სალი გონება, როცა მიიწვია თავისთან ეს მოკავშირეები და სტამბოლში დაასახლა ისინი. შესაძლოა მათ (გარეშე ძალებმა — ე. ბ.) კიდევაც დაასაკუთრონ იგი", — დასძენს გურიელი. დასასრულ, მ. გურიელი მიმართავს ქობულეთის თანამოძმე მოსახლეობას, მოაგონებს მას, რომ „ყველა ისინი, გურულებთან ერთად, ერთნაირი წარმოშობიხა არიან", რომ მხოლოდ ამ 300 წლის წინათ თურქმა დამპყრობლებმა მუსლიმანებად აქციეს ისინი. გურიელი იმოწმებს დამპყრობთა წინააღმდეგ გურული მოსახლეობის შეუპოვარი ბრძოლის მაგალითებს, აღნიშნავს დიდი რუსი ხალხის ისტორიულ ღვაწლს მთელი საქართველოს, კერძოდ, გურული ხალხის განთავისუფლებისა და დაცვის საქმეში და მოუწოდებს „სულთანის უღელში მოქცეულთ, ჩოლოქს იქით მცხოვრებ მოძმეებს, ერთხელ და სამუდამოდ გაწყვიტონ კავშირი სულთანის თურქეთთან და დაუბრუნდნენ რუსეთის მფარველობას" [1].

გენ. მურავიოვმა, როცა იგი გაეცნო თურქებთან მ. გურიელის მიმოწერის შინაარსს, სავსებით მოიწონა გურული თავადისა და ფეოდალ-მონარქისტის პოზიცია. პირად წე-

---

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 449, л. 107—108; тоже: АКАК, т. XI, стр. 334—335.

რილში მან მხურვალე მადლობა გადაუხადა გურიელს მოწინააღმდეგისადმი „ლორსეული და კეთილშობილური" პასუხისათვის. თავის 1855 წლის 29 ივნისის მოხსენებაში კავკასიის შეფისნაცვალი და მთავარსარდალი სამხედრო მინისტრს მოახსენებდა: „წარმატება ვერ მოიპოვეს თურქების ცდებმა გადაებირებინათ ჩვენი სახელგანთქმული მალაქია გურიელი... გამოთქმების უბრალოება, რომელიც ახასიათებს მალაქიას გრძელ წერილს, საკმაოდ გამოხატავს ამ ჭეშმარიტად ერთგული და უბადლო მეომრის აზროვნების სისპეტაკეს"[1].

სულთანის თურქეთის ადგილობრივი კრეატურა მარტოოდენ პირადი წერილებით რომ კმაყოფილდებოდა. მტრის აგენტები მიმართავდნენ ავრეთვე მასობრივი აგიტაციისა და ძირგამომთხრელი მუშაობის სხვა მრავალფეროვან მეთოდებს. საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ვრცელდებოდა მოწოდებები, პროკლამაციები და სხვადასხვა ფურცლები, რომლებიც მოუწოდებდნენ მოსახლეობას რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად. განსაკუთრებით უხვად ვრცელდებოდა ასეთი პროვოკაციული მოწოდებები გურიაში, სამეგრელოსა და იმერეთში.

ყანდარმთა კორპუსის აგენტებისა და მთავრობის სხვა მოხელეთა მიწერ-მოწერაში საკმაო რაოდენობით ვხვდებით ცნობებს მტრის ძირგამომთხრელი მუშაობის შესახებ[2]. ომერ-ფაშა, რომელიც თავისთავს „ყოვლად მოწყალე სულთანის კავკასიის რწმუნებულს" უწოდებდა, ჯერ კიდევ გზიდან, საქართველოში ჩამოსვლამდე შეუდგა თავისთვის ნიადაგის შემზადებას. იგი არ ზოგავდა თვალწარმტაც საღებავებს და ქართველობას უხატავდა „ამ ქვეყნიურ და იმ ქვეყნიურ" სიკეთეებს სულთანის თურქეთთან შეერთების შემთხვევაში. „ჩვენი მფარველობის ქვეშ თქვენ იზეიმებთ, — ალუთქვამდა იგი თავის ერთ-ერთ მოწოდებაში გურიის ხალხს. — გარწმუნებთ, რომ გურიის მცხოვრებნი არავითარ გადასახადს არ გადაიხდიან, მათ არავინ შეავიწროვებს. ერთი სიტყვით, და-

---

[1] АКАК, т. XI, стр л. 364.

[2] ЦГИАМ, III отд, 1 экспед. д. 23, л. 89.

გიცავთ თქვენ, თქვენს ცოლებსა და ბავშვებს ყოველგვარი შეურაცხყოფისაგან, შეეიწროების, დარბევა-აოხრებისა და ცეცხლის წაკიდებისაგან, თუ თქვენ დაემორჩილებით ყოველად მოწყალე სულთანს"[1].

ქალაქ სოხუმში დაბინაველებისთანავე, 1855 წლის სექტემბერში, ომერ-ფაშამ სახელდახელოდ გადადგა პრაგმატიკული ნაბიჯი აფხაზეთის მთავრის ძმებთან დიმიტრი და გრიგოლ შერვაშიძეებთან დასაკავშირებლად. აფხაზეთის არისტოკრატიის ეს წარმომადგენლები იმ დროს რუსეთის არმიაში მსახურობდნენ. თურქეთის არმიის მთავარსარდალი, რომელიც გაეცნო დიმიტრი და გრიგოლ შერვაშიძეების დავას აფხაზეთის მთავარს მიხეილ შერვაშიძესთან, ყოველნაირად ცდილობდა ეს მომენტი თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. ასეთი სულისკვეთებით იყო გამსჭვალული მისი ბარათები თავადების სახელზე, მაგრამ ფაშას მაქინაციებიდან არაფერი გამოვიდა. ძმები შერვაშიძეები ბოლომდე დარჩნენ რუსეთის სამეფო ტახტის მიმართ მიცემული ფიცის ერთგულნი. ომერ-ფაშა იმედს არ კარგავდა. იგი სულ ახალ-ახალ „მსხვერპლს" დაეძებდა, რათა თავის ბადეში მოექცია იგი. სულ მალე სამეგრელოს „მთავრინამ", როგორც იმ დროს ეკატერინე დადიანს უწოდებდნენ, მიიღო ომერ-ფაშას საკუთარი ხელით დაწერილი პირმოთნეობით სავსე ბარათი. მაგრამ სამეგრელოს დედოფლის შერყევა არც ისე ადვილი საქმე აღმოჩნდა. მან ყველაფერი სასწრაფოდ მთავრობას აცნობა. აღნიშნული ბარათის გამო გენ. ბებუთოვი სამხედრო მინისტრის სახელზე გაგზავნილ მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ ომერ-ფაშას წერილი შედგენილია იმ მზაკვრული განზრახვით, რათა დადიანის ქნეინა გადაიბიროს თავის მხარეზე[2].

ომერ-ფაშასა და მის ევროპელ მრჩეველთა ჭაპანწყვეტამ, მათდა საბუნებროდ, მათთვის სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო. დადიანის ქნეინამ არ აღირსა არამკითხე „მოამბეს" თავისი პასუხი. ასეთივე ცივ დუმილს, გულგრილობასა და

---

[1] АКАК, т. XI, стр. 355.

[2] АКАК, т. XI, стр. 11—112, л. 150.

უთანაგრძნობას წააწყდა თურქი დამპყრობელი ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში. ქუთაისის საბჭოდრო გუბერნატორი, პოლკოვნიკი კოლუბაკინი თავის პატაკებსა და მოხსენებებში ცენტრალური ხელისუფლების მისამართით მუდამ მაღალ შეფასებას აძლევდა სამეგრელოს, გურიისა და იმერეთის მოსახლეობის სიმტკიცეს, მის შეურიგებლობას თურქეთის ემისრების მიმართ, მტკიცე ერთგულებას რუსეთის ორიენტაციისადმი. ამასთან, იგი ხაზგასმით აღნიშნავდა ქართველი ხალხის „შეურყეველ მზადყოფნას" ბოლომდე იბრძოლოს თურქების წინააღმდეგ[1].

ამრიგად, გამართლდა ყოფილი მეფისნაცვლის ვ. ვორონცოვის მოსაზრება, რომელიც მან თურქეთის ჯარების მოსალოდნელი შემოჭრის გამო გამოთქვა თავის წერილში, რომელიც თავად ბარიატინსკის გაუგზავნა. „რაც შეეხება მტრის გადმოსხმას სამეგრელოში და ლაშქრობას ქუთაისით თბილისისაკენ, — წერდა იგი, — ასეთი საშიშროება საფუძველს მოკლებულია, თუ ისინი მოიწადინებენ ამის წამოწყებას, ძვირად დაუჯდებათ. ისინი ვერავითარ წარმატებას ვერ მოიპოვებენ, განსაკუთრებით, როცა დაინახავენ, რომ ტომების აჯანყება მათ სასარგებლოდ — სრული მიჭარვაა... შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი მტრების ილუზიები ვითომდა ჩვენს სისუსტეზე ამ მხარეში და, განსაკუთრებით, ადგილობრივი მოსახლეობის ჩვენდამი ვითომდა ცუდი დამოკიდებულების შესახებ, მათ დიდ უსიამოვნებასა და იმედის გაცრუებას მოუტანს"[2].

ამიერიდან ომერ-ფაშას თავის პოლიტიკურ აქტივში და სამოქმედო რეზერვებად შეეძლო ეგულვებინა მხოლოდ იმამი შამილი, მაჰმად-ემინი და მათი მიურიდთა რაზმები, რომლებიც იმ დროს ჯერ კიდევ საკმაოდ ხერხიოზულ ძალას წარმოადგენდნენ. საქართველოში „მშვიდობიანი" შელწევის ვარაუდების ჩაშლის შემდეგ, ომერ-ფაშა მიუიდა იმ დასკვნამდე, რომ მხოლოდ იარაღით შეიძლებოდა დაბრკოლების გადა-

---

[1] АКАК. т. XI, стр. 37–39.

[2] „Русский архив", 1888, кн. 3, стр. 58–59, 96.

ლახვა. დიპლომატიის უშედეგო ცდების ადგილი ცეცხლსა და მახვილს უნდა დაეჭირა.

ომერ-ფაშამ სასწრაფოდ მოუხმო თავის ახალ რეზიდენციაში მაჰმად-ემინს, რომელიც დასავლეთ კავკასიის მთიელთა შორის შამილის მოადგილედ ითვლებოდა, და დასახა მოქმედების უახლოესი ამოცანები. მაჰმად-ემინი ჩერქეთის მთავარსარდალმა, სულთანის სახელით, ჩერქეზთა ყველა ტომის მმართველად დანიშნა, გამოაცხადა იგი ჩრდილო-დასავლეთ მთიელთა გაერთიანებული ლაშქრის სარდლად, უბოძა მას ფაშას მაღალი ტიტული და გენერლის ეპოლიტებითაც დააჯილდოვა. ომერ-ფაშამ იმავე „ყოვლად მოწყალე სულთანის" სახელით გამოსცა საგანგებო ბრძანება, რომლითაც იმამ შამილს ებოძა „მაღალი პორტის სამსახურის მუშირის" (მარშლის) სამხედრო ხარისხი. ამავე დროს, თავის პირად წერილში ფაშა აღუთქვამდა შამილს, რომ თბილისის დაპყრობის შემდეგ სულთანისადმი „უბადლო სამსახურისათვის" იგი მიიღებდა ამიერკავკასიის მეფის ტიტულს[1]. ცნობილია აგრეთვე, რომ უფრო ადრე, როგორც ამის შესახებ კ. მარქსი 1854 წლის 21 ივლისს წერდა, „შამილმა ოფიციალურად მიიღო პორტისაგან ჩერქეზთა და ქართველთა არმიის გენერალისიმუსის წოდება"[2].

საქართველო და მთელი ამიერკავკასია შემოერკალული იყო მოწინააღმდეგეთა ერთიანი ფრონტით, რომელიც გაჭიმული იყო ბათუმ-ქობულეთიდან შავი ზღვის მთელი სანაპიროს გასწვრივ. მოიცავდა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის რაიონებს და დღესტანის საკორდონო ხაზს ებჯინებოდა. ომერ-ფაშას და მის ევროპელ ბატონებს თითქოს ოპტიმიზმის სრული საფუძველი ჰქონდათ. მაგრამ, აქ ჩვენ კიდევ გამოსარკვევი გვრჩება ის, თუ როგორ ეშზადებოდა რუსი სარდლობა მოწინააღმდეგის შესახვედრად.

ომერ-ფაშას საექსპედიციო კორპუსის შემოსევის შემდეგ ფხიზეთის მხრიდან, გურიის რაზმის თავდაცვის ძირითადი

[1] Газ. „Кавказ", 1756, № 7.
[2] К. Маркс и Ф. Энгельс, т. X, стр. 124.

სადემარკაციო ხაზი მდ. ენგურზე გადიოდა. „რიონის მხარის“ საომარი მოქმედების ასპარეზი ამიერიდან წარმოადგენდა ფაქტიურად სამ ფრონტს და თვითეული მათგანი პერპენდიკულარულად სჭრიდა ერთმეორეს. მათ შორის უნდა აღინიშნოს, უწინარეს ყოვლისა, ენგურის მთელი სანაპირო ხაზი; შემდეგ შავი ზღვის სანაპირო ანაკლიიდან შეკვეთილამდე და, ბოლოს, გურია-ქობულეთის საკმაოდ გრძლად გაჭიმული სახმელეთო საზღვარი.

უნდა აღინიშნოს, რომ გაზაფხულისა და ზაფხულის წყალდიდობა მდ. ენგურის მთელ სანაპირო დემარკაციულ ხაზზე ანაკლიიდან ჯვარამდე 65 ვერსის მანძილზე, თავდაცვისთვის ქმნიდა შესანიშნავ ბუნებრივ პირობებს. ამ პერიოდში ენგურზე არ მოიპოვებოდა ნამდვილი ფონი, ხოლო მისი სწრაფი დინება თითქმის შეუძლებელს ხდიდა მდინარეზე ხიდების აგებას. ასეთ კლიმატურ და ტოპოგრაფიულ ვითარებაში ადგილობრივი მოსახლეობა, მისი მილიცია, ცხადია, მოწოდებული იყო შემოჭრილი მტრის წინააღმდეგ ბრძოლის დროს რეგულარულ ჯარებთან ერთად ფრიად მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა.

გენ. ბაგრატიონ-მუხრანსკიმ ჩიბარა თუ არა გურიის რაზმის სარდლობა 1854 წლის ზაფხულში, სასწრაფოდ დაამუშავა გურიისა და სამეგრელოს დაცვის ოპერატიული გეგმა. იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა მთლიანად დაადასტურა შედგენილი გეგმის სასწორე და საკუთარი ხელით წააწერა მას მოწონების სიტყვები: „საუცხოო და გონივრულია“. აღნიშნული გეგმით ნავარაუდევი იყო მტრის შესაძლო შემოტევა სამი მხრიდან: აფხაზეთიდან, ყულევის ნაესადგურიდან ან ქობულეთის სანჯაყიდან. გეგმა ითვალისწინებდა აგრეთვე მტრის მოსალოდნელ შემოჭრას შავი ზღვის სანაპიროს სხვა რომელიმე პუნქტშიც — შეკვეთილით დაწყებული და ანაკლიით გათავებული.

გურიის რაზმის ოპერატიული მოქმედება გეგმით იმგვარად იყო გაანგარიშებული, რომ მოწინააღმდეგეს არ უნდა მისცემოდა გაბედული და გადამწყვეტი მოქმედების შესაძლებლობა. გურიის რაზმის შენაერთებს, შეძლებისდაგვარად,

გვერდი უნდა იექციათ მტრის გადამეტებულ ძალებთან შეხვედრისათვის („განრიდება უთანასწორო ბრძოლის ან ხელსაყრელი მდგომარეობისაგან"). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ბაგრატიონ-მუხრანსკის გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა პატრიოტიზმის გრძნობის გამაღვივებელ ღონისძიებათა გატარებას მოსახლეობაში, ბრძოლისათვის სახალხო ომის ხასიათის მიცემას. გურიის რაზმის უფროსის რწმენით, ყველა ადგილობრივი პირობა ხელს უწყობდა ამას[1].

მოწინააღმდეგის შესაძლო შემოტევის შესაკავებლად აფხაზეთის მხრიდან, სარდლობამ გაატარა საჭირო წინასწარი ღონისძიებანი: ჩამოაყალიბეს და შეაიარაღეს სამეგრელოს მილიციის საკმაოდ მძლავრი შენაერთები; მოძრაობისათვის უვარგისი გახადეს ყველა გზა, რომელიც აფხაზეთიდან სამეგრელოსაკენ მიემართებოდა; გაითვალისწინეს, რა რომ სამურზაყანოს მილიცია მარტოდმარტო ვერ გაუმკლავდებოდა მრავალწილ ჯარს მოწინააღმდეგეს, მილიციის ხელმძღვანელობას წინასწარ ებრძანა: იმ შემთხვევაში, თუ მტრის დიდი ძალები შესძლებენ ენგურის გადმოლახვას, უკან დაეხიათ მთიანი საბერიოს უბნისაკენ და ფლანგიდან დაეწყოთ პარტიზანული მოქმედება[2].

სამეგრელოს მთელი მოწინავე ხაზის გასწვრივ განლაგებული იყო აგრეთვე ადგილობრივი რაზმები. ზუგდიდში, ხეთაში და ხობის მონასტერთან ჩაყენეს რეგულარული ჯარის ნაწილები. მიღებულ იქნა საჭირო თადარიგი იმისათვის, რომ მოწინააღმდეგის ერთდროული შემოტევის შემთხვევაში, ყულევისა და ენგურის მხარის მთელი შეიარაღებული ძალები (რეგულარული ნაწილები და მილიცია) შეერთებულიყვნენ ხეთის პოზიციაზე. ეს გამაგრებული პუნქტი მოწოდებული იყო არ მიეცა შეერთების შესაძლებლობა სხვადასხვა მხრიდან შემომტევი მტრის ჯარებისათვის, ერთიმეორისაგან გაეთიშა შავი ზღვის სხვადასხვა პუნქტში გადმომსხდარი მტრის რაზმე-

---

[1] ЦГИАГ, ф. 939, д. 6, л. 38—39

[2] Там же.

ზის ოპერაციები[1]. ამრიგად, ნაგარაუდევი იყო, რომ მოწინააღმდეგის დაქსაქსული ძალები ვერ გაბედავდნენ სამეგრელოს ცენტრისაკენ მოძრაობას, მით უფრო, რომ მათ ზურგში რჩებოდნენ ხეთის პოზიციაზე განლაგებული ჩვენი ჯარები, — მტრისათვის ასეთი მოძრაობა დიდად სახიფათო და საროსკო საქმე იქნებოდა. მეორე მხრივ, მოწინააღმდეგისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდა სამეგრელოს მილიცია, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა, ასეთ შემთხვევაში, უკან დაეხია და გამაგრებულიყო ორ მოქმედ რაზმად: ჯვარის უბანსა და ჭალადიდში. საოცლობა ვარაუდობდა, რომ ხეთის საკმაოდ კარგად გამაგრებული პოზიციის იერიშით აღებას მოწინააღმდეგე ადვილად ვერ მოახერხებდა.

გურია-ქობულეთის საზღვრები და ზღვის სანაპირო გამაგრებული იყო რეგულარული ჯარებითა და მილიციის ძლიერი რაზმებით. გათვალისწინებული იყო, რომ მტრის დიდად მომეტებული ძალების თავდასხმის შემთხვევაში, როცა ცხადი გახდებოდა მათი შეკავების შეუძლებლობა, გურიის მილიცია ორივე ფლანგზე უკან დაიხევდა მთიან ადგილებში, რის შემდეგ მას პარტიზანული ბრძოლა უნდა გაეჩაღებინა მტრის წინააღმდეგ.

საოცლობის ვარაუდით, ოზურგეთის შესაძლო დაკავების შემდეგ მოწინააღმდეგეს ქუთაისისაკენ მოძრაობა ორი მარშრუტით შეეძლო: ლანჩხუთით ან ჩოხატაურით. ამის გამო განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა აკეთის პოზიციას, რომელიც აღნიშნულ მაგისტრალებს შორის მდებარეობდა. ამ პოზიციის უპირატესობა იმაში მდგომარეობდა, რომ მტრისათვის იგი თითქმის მიუვალი იყო, ძალიან მცირე ძალებს მოითხოვდა გასამაგრებლად, წარმოადგენდა ერთობ მოხერხებულ დასაყრდენ პლაცდარმს, და გამოდგებოდა როგორც ჩინებული ტრამპლინი შეტევითი ოპერაციების გასაშლელად. გურიასა და სამეგრელოში მყოფი ძალების მოქმედების შესათანხმებლად მდ. რიონზე აგებულ იქნა საკმაოდ ფართო და რიგიანი ხიდი, რომლის გარდიგარდმო მი-

---

[1] ЦГИАГ, ф. 1087, Д. 443, Л. 49.

სასვლელი გზები გაიყვანეს. სოფ. სორტასთან, რომელიც ითვლებოდა ცენტრალურ პუნქტად გურიასა და სამეგრელოს შორის მოთავსდა გურიის რაზმის მთავარი შტაბი: იქვე იმყოფებოდა მოქმედი რაზმის საერთო რეზერვიც[1].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გურიის რაზმი, უმთავრესად მისი რეგულარული ნაწილების შემადგენლობა, სათანადოდ მომზადებული ვერ იყო ძლიერი მტრის შესახვედრად. კავკასიის არმიის მთავარსარდალი და მეფისნაცვალი გენ. მურავიოვი, როგორც აღინიშნა, ბოლომდე უდარდელად ეკიდებოდა „რიონის მხარის" დაცვის საქმეს. მთავარსარდალი სისტემატურად და ჭიუტად უარყოფდა გენ. ბაგრატიონ-მუხრანსკის განუწყვეტელ თხოვნა-შუამდგომლობას გურიის მცირერიცხოვანი რაზმის გაძლიერების შესახებ. დღითი დღე, ყოველ წუთში მოელოდნენ სისხლიანი დრამის გათამაშებას. ზღვის მთელი სადემარკაციო ხაზის გასწვრივ, ისევე, როგორც სახმელეთო საზღვრებზე, ულმობლად აღმართულიყო მოწინააღმდეგის ძლიერი მუშტი. კავკასიის მთებში ინგლისისა და თურქეთის დამქაშები ინტენსიურად ავროვებდნენ ახალ-ახალ ავანტურისტულ ბრბოებს. ცხადია, ასეთ ვითარებაში თითთოეული ზედმეტი ბატალიონი, უბრალო ასეულიც კი, დასავლეთ საქართველოს პირობებში, დიდ საუნჯეს წარმოადგენდა. მით უფრო უცნაურად მოხანდა საქციელი მოქმედი კორპუსის მთავარსარდლის გენ. მურავიოვისა, რომელმაც თითქმის ომის დამთავრებამდე სრული უმოქმედობისთვის გასწირა მრავალრიცხოვანი და ბრძოლისუნარიანი ალექსანდროპოლის რეზერვები. რაც უნდა მომზდარიყო სხვა ასპარეზზე, ალექსანდროპოლის შენაერთს ხელს მაინც ვერავინ ახლებდა.

---

[1] 1854 წ. სორტასთან არსებულ ბანაკს ეწოდეს „სორტიანი", რომელიც წარმოდგენდა ამ სოფლისა და გურიის რაზმის სარდლის სახელთა შეუღლებისაგან. სორტას ბანაკი მდებარეობდა დაახლოებით თანაბარ მანძილზე (30 — 35 ვერსი) ზუგდიდსა, ხონისა და ოკუმიდან დაშორებით. ბანაკთან რაზმის საერთო რეზერვს ვარდა, მოთავსებული იყო ჰოსპიტლები და რამდენიმე სამხედრო საწყობი. სერსათ-სანოვაგის საწყობები ძრ ცხენისწყლის შესართავთან იყო განლაგებული.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ პეტერბურგის სამხედრო ხელისუფალნი არა ერთხელ მიაქცევდნენ გენ. მურავიოვის ყურადღებას დასავლეთ საქართველოს წინაშე მდგომ საფრთხეს, ავალებდნენ მას გურიის რაზმის გაძლიერებას; თავის ცნობილ „ინსტრუქციაა ანდერძში" ამასვე ენერგიულად ურჩევდა თავ. ვორონცოვი თავის მემკვიდრეებს. მაგრამ ახალი მთავარსარდალი გულგრილად ხვდებოდა ყოველგვარ ასეთ წინადადებას, ცდილობდა არასწორ ინფორმაციებსა და არარეალურ არგუმენტებზე დამყარებით, გეომართლებინა თავისი საქციელი. „მოწინააღმდეგის დაწოლის შემთხვევაში შავი ზღვიდან, — წერდა გენ. მურავიოვი ერთ-ერთ პატაკში სამხედრო მინისტრს, — გურიის რაზმსა და გურიას, სამეგრელოს და იმერეთის მრავალრიცხოვანი მილიციის გარდა, მხედველობაში გვყავს კიდევ ახალციხის რაზმის ნაწილი, ქართლის შეიარაღებული მოსახლეობა, თბილისში მყოფი 2 ან 3 ბატალიონი და ის ჯარები, რომელთა წაყვანას ლეკეთის ხაზიდან შესაძლებლად დაინახავს თავ. ბებუთოვი" [1].

თავის მოხსენებაში გენ. მურავიოვი შეგნებულად ამახინჯებს ფაქტებს, ტენდენციურად აშუქებს საქმის ნამდვილ ვითარებას, თვალს უხვევს უფროსებს. ნამდვილად კი თვით მასზე უკეთ არავინ იცოდა, რომ ლეკეთის ხაზზე განლაგებული და შამილის რაზმების წინააღმდეგ მოქმედი ჯარებისათვის თუნდაც ერთი ბატალიონის ჩამოშორებაც კი აბსოლუტურად გამორიცხული იყო. ყოველ შემთხვევაში, ეს შეუძლებელი იქნებოდა შუა ნოემბრამდე, ვიდრე მთებს ღრმა თოვლი არ დაფარავდა. ხოლო იმ დროისათვის შაშველი ძალების გადასროლას კოლხეთში ყოველგვარი აზრი ეკარგებოდა, რადგან გურიისა და სამეგრელოს ბედი უახლოეს დღეებსა და კვირეებში უნდა გადაწყვეტილიყო. ასევე, მთავარსარდლის მტკიცება გურია-სამეგრელოს ასპარეზზე ახალციხის რაზმის გამოყენების შესახებ მხოლოდ თავის მოტყუების წარმოადგენდა. ახალციხის რაზმს უამისოდაც საკუთარ შესაძლებლობაზე მეტი საზრუნავი ჰქონდა. ყოველ შემთხვევა-

---

[1] АКАК, т. XI, стр. 411.

ში ერთი მაინც ცხადია: მთავარსარდლის მთელი პოლიტიკა, მისი ერთგვარად გულგრილი და უდარდელი დამოკიდებულება „რიონის მხარის" ასპარეზისადმი, ნათლად ამტკიცებს მის სრულ რწმენასა და დანდობას ადგილობრივი მოსახლეობის ძალებზე. ეს გასაგებიცაა, გენ. მურავიოვს ლრმად სწამდა გურიის რაზმის ზურგის სიმტკიცე და მამაცობა, იგი ენდობოდა ქართველთა ლაშქარს (მილიციას) და სჯეროდა, რომ ეს უკანასკნელი რეგულარულ ჯარებთან ერთად, არ დაინებებდა ვერაგ მტერს მშობლიური ქვეყნის გათელვას. ამ მხრივ მთავარსარდალი არ ცდებოდა.

1855 წლის ოქტომბრის დასაწყისისათვის, როდესაც უკვე დაახლოებით ნათელი გახდა ომერ-ფაშას სტრატეგიული გეგმის მონახაზი და მისწრაფებანი, გურიის რაზმის სარდლობამაც ძირითადად დაამთავრა თავისი სამხედრო შენაერთების საბრძოლო განლაგება.

გურიის კომუნიკაციების დასაცავად გამოყოფილ იქნა რეგულარული ჯარის 5 ბატალიონი 6 ქვემეხით. ეს სამხედრო შენაერთი, დამოუკიდებელი რაზმის სახით, დაიყენეს აკეთის პოზიციაზე. რაზმის მეთაურად ითვლებოდა გენერალი ბრუნერი. გურია-ქობულეთის სასაზღვრო დემარკაციულ ხაზზე იმთავითვე გაშლილი იყო გურიის მრავალრიცხოვანი მილიცია, იმავე საზღვარს ფაბიზლად დარაჯობდა იმერეთ-სამეგრელოს განთქმული ცხენოსანთა რაზმი.

რიონის შესართავის დაცვის მიზნით მდინარის მარჯვენა მხარეზე იდგნენ აზოვის კაზაკები და სამეგრელოს მილიციის რამდენიმე ასეული, რიონის მარცხენა მხარეზე — იმერეთის მილიციის მსროლელთა ასეულები. უფრო გვიან მათვე შეუერთეს რეგულარული ჯარის შტუცერელთა 2 ბატალიონი. ქალაქიდთან იდგა აზოვის ფლოტილიის 7 კარჭაპი მცირე ყალიბის ზარბაზნებით, ანუ ფალკონეტებით შეიარაღებული. მდინარის ნაპირები ჩახერგილი იყო, ხოლო მოხერხებულ პუნქტებში გამართული იყო სანაპირო ბატარეები 8 ქვემეხით.

გზის ნაპირას ყულევის აქეთ, ხორგის დეფილებში იდგა რეგულარული ჯარის 2 ბატალიონი ორი საშთო ქვემეხით.

აქვე იყო ჩაყენებული მილიციის რამდენიმე ასეული. ამ გაერთიანებული რაზმის უფროსად ითვლებოდა ბოლკოვნიკი ბიბიკოვი.

მდ. ენგურის გასწვრივ, ჯუმის შესართავიდან სოფ. რუხამდე, 26 ვერსის სიგრძეზე, განლაგებული იყო რეგულარული შენაერთების 8¾ ბატალიონი, კაზაკთა 11 ასეული და ადგილობრივი მილიციის საკმაოდ ძლიერი რაზმები, რომლებიც 5 ათას მებრძოლზე მეტს შეიცავდნენ.

ხეთას პოზიციაზე იდგა სპეციალური დანიშნულების (მეკავშირეთა) სამი ასეული, რომელიც მოწოდებული იყო მოეწესრიგებინა მოქმედების კოორდინაცია ხორგას ვიწროებში ჩაყენებულ ჯარის ნაწილებს შორის.

ამრიგად, გურიის გაერთიანებული რაზმის სარდლის გენ. ბაგრატიონ-მუხრანსკის განკარგულებაში საერთოდ იმყოფებოდა ქვეითი რეგულარული ჯარის 9 ათასამდე მებრძოლი, 700 კაზაკი და 10 ათასზე მეტი ფეხოსანი და ცხენოსანი მილიცია. გურიის რაზმის საართილერიო პარკში სულ 28 ქვემეხი ითვლებოდა. ასეთი იყო ადამიანთა რესურსებისა და სამხედრო რეზერვების რაოდენობა და ხასიათი, რომელიც განკუთვნილი იყო მთელი სამეგრელოს, გურიისა და იმერეთის დასაცავად ომის ყველაზე კრიტიკულ მომენტში[1].

1855 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში ომერ-ფაშამ უკვე დასძრა თავისი ჯარები აფხაზეთიდან სამეგრელოს საზღვრებისაკენ. მტრის სექსპედიციო კორპუსის მოძრაობის უხალისობა და მეტად მოდუნებული ტემპი დიდ გათვებას იწვევდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ 70 ვერსის მანძილის გავლას (სოხუმიდან ენგურამდე) ომერ-ფაშას ჯარებმა 16 დღეღამე მოანდომეს. იმისათვის, რომ უზრუნველეყო თავისი ზურგისა და საკომუნიკაციო ხაზის უშიშროება „სარდარ-ეკ-

---

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 443, л. 49—51; там же, д. 449, л. 108, М. Богданович, „Восточная война 1853—1856 гг“., СПБ, 1876 г., приложения, стр. 7; К. Бороздин, Воспоминания о Закавказье“, стр. 10.

რემის" მოუხდა თავისი ლაშქრის ერთი მესამედის გაზადგნა დატოვება[1].

ხანგრძლივი, ზლაზვნითი წინსვლის შემდეგ, როგორც იყო თურქთა საექსპედიციო ჯარის მთავარი ძალები მიადგნენ ენგურის მარჯვენა ნაპირს.

როგორც ირკვევა, თურქეთის მთავარსარდალს მოეპოვებოდა დაზვერვისაგან მიღებული საკმაოდ ზუსტი და საიმედო ცნობები მის წინააღმდეგ გამოყვანილი გურიის რაზმის შემადგენლობის, შეიარაღებისა და ბრძოლისუნარიანობის შესახებ. ამით აიხსნებოდა სოხუმიდან გამოსვლის წინ მისი ქედმაღლური ტრაბახი: ჩემი ჯარით „თვით ქუთაისამდე თოფის გაუსროლელად მივაღწევ" და „მხოლოდ ქუთაისსა და თბილისს შორის თუ გაბედავენ რუსები ჩემთან ბრძოლაში შებმას"[2].

გურიის რაზმის მდგომარეობა არათუ მძიმე, არამედ თითქმის გამოუვალი, პირდაპირ კატასტროფიული იყო. გენ. ბაგრატიონ-მუხრანსკიმ კარგად იცოდა, რომ მის მიერ მდინარის ნაპირზე აქაოიქ გაფანტული რეგულარული ჯარები და მილიციის რაზმები რიცხვობრივი შემადგენლობით მეტისმეტად სუსტსა და უიმედო ძალას წარმოადგენდნენ ომერ-ფაშას 45 ათასიანი, შედარებით კარგად შეიარაღებული კორპუსის შესაკავებლად. ასეთ ვითარებაში წინააღმდეგობის გაწევა არათუ უსარგებლო, არამედ ნამდვილი ავანტიურა იქნებოდა. მიუხედავად ამისა, ჩვენი ჯარების სარდლობა მართებულად თელიდა, რომ სამეგრელოს უბრძოლველად დატოვება ყოველად შეუწყნარებელი იყო. ამ შემთხვევაში პირველ პლანზე

---

[1] ამის გამო გერმანელი ისტორიკოსი რუსტოვი გონებამახვილურად და თან გესლიანი ირონიით შენიშნავდა: თუ ომერ-ფაშა იძულებული იყო 70 ვერსის მანძილზე თავისი ზურგის უზრუნველსაყოფად საკუთარი ჯარების ერთი მესამედი უკან დაეტოვებინა, ადვილი წარმოსადგენია, რა მოუვიდოდა მას შემდეგ, კიდევ 20 მილით წინ წაწევის შემთხვევაში საქართველოს სიღრმეში, ბას უთუოდ ერთი ჯარისკაციც კი აღარ შერჩებოდა და იძულებული გახდებოდა პირადად მარტოდ-მარტოს „გაელაშქრა" თბილისის ასაღებად (W. Rüstow „Der Krieg gegen Russlands", 1856. იხ. წიგნის გვნ. „Omers Mingrelischer felazug").

[2] АКАК, т. XI, стр. 107.

პოლიტიკური მოსაზრებები იდგა, და უნდა ითქვას, ისინი ერთ-
იყო საფუძველმოკლებული. „ჩვენ რომ პირველი საფრთხისა-
თანავე გაგვეწმინდა ეს ქვეყანა (სამეგრელო, — ე. ბ.)—წერდა
შემდეგ გურიის რაზმის შტაბის უფროსი პოლკოვნიკი უსლა-
რი, — ამ შემთხვევაში ყოველგვარ მორალურ გავლენას დაკ-
კარგავდით მთელი ომის განმავლობაში. როგორ გავიმართ-
ლებდით ჩვენ თავს იმ საყვედურისაგან, რომ მოწინააღმდეგეს
თავად გავუღეთ კარები სამეგრელოში? პირიქით, სულ სხვა-
გვარად წარმოუდგებოდა ჩვენი მოქმედება როგორც მეგობ-
რებს, ისე მტრებს, თუ ჩვენ არ დავთმობდით სამეგრელოს და
მოწინააღმდეგის დიდად ჭარბ ძალებთან სრულიად უთანას-
წორო, მაგრამ პატიოსანი ბრძოლის შემდეგ იძულებული
გავხდებოდით უკან დაგვეხია [1]. ამრიგად, მდ. ენგურის ნაპი-
რებზე მთელი თავისი გარდუვალობით უნდა მომხდარიყო
ბეტად უთანასწორო, სასტიკი და სისხლისმღვრელი შეტაკება.
გურიის რაზმის მთელი შემადგენლობა ისე, როგორც რეგუ-
ლარული ჯარები და ქართული მილიციის ნაწილები მზად
იყვნენ ღირსეულად მოეხადათ თავიანთი საბრძოლო მოვა-
ლეობა.

შეტაკების წინ ჩვენი ჯარების განლაგება ენგურის გასწ-
ვრივ შემდეგ სურათს იძლეოდა: ანაკლიის ზემოთა მხა-
რეს, მდინარის მარცხენა ნაპირზე და ჯუმის გადასასვლელთან
იდგა რეგულარული ჯარის 1¼ ბატალიონი. მდ. ჯუმის შეს�თ-
თავიდან სოფ. რუხამდე 26 ვერსის მანძილზე განლაგებული
იყო 7½ ბატალიონი. რუხის ზემოთა მხარეს რეგულარული
არმიის არც ერთი ჯარისკაცი არ იდგა, ამ მთავარიანი კუთხის
დაცვა მთლიანად მინდობილი ჰქონდა სამეგრელოს მილიციას.

გურიის რაზმის უფროსმა გენ. ბაგრატიონ-მუხრანსკიმ
სწორედ გაიანგარიშა, რომ ფოთლოვანი ტყეებით გარემოცუ-
ლი ენგურის ნაპირები მოწინააღმდეგეს სრულ შესაძლებ-
ლობას აძლევდა ფარულად მოეყარა თავი ჯარებისათვის მდი-
ნარის გადასასვლელებთან. ამიტომ მან გადაწყვიტა (იგი იძუ-
ლებული იყო) თავისი ისედაც სუსტი რაზმი კიდევ უფრო

---

[1] „Кавказский сборник", 1880, т. X, стр. 278—279.

დაენაწევრებინა დამოუკიდებლად მოქმედ პატარ-პატარა რაზმებად და გაეგზავნა ისინი მდინარის ნაპირების გასაყოლებით.

რუხის პოზიციაზე, რომელიც იფარავდა ყველაზე დიდსა და მოხერხებულ მაგისტრალს ზუგდიდის მიმართულებით, ჩაყენებულ იქნა რეგულარული ქვეითი ჯარის 2½ ბატალიონი 4 სამთო ქვემეხით, კაზაკთა 3 ასეული და სამეგრელოს ლაშქრის ცხენოსანთა ორი რაზმი. ამ შედარებით „გაძლიერებული" რაზმის მეთაურობა მინდობილი ჰქონდა გენერალ-მაიორ გრიგოლ დადიანს.

რუხის პოზიციის ქვემოთ, 9 ვერსის დაშორებით, ენგურის კახათის გადასასელელთან თავ. კონსტანტინე დადიანის ხელმძღვანელობით იდგნენ ქვეითი ჯარის ერთი ბატალიონი და ლეჩხუმის ცხენოსანთა რაზმი.

კახათის გადასასელელის ცოტა ქვემოთ, ერთ ნახევარი ვერსის დაშორებით, ე. წ. სანარმანიოს გადასასელელის ფრიად მნიშვნელოვან უბანზე ჩაყენებულ იქნა ჯარის ერთი ბატალიონი 2 ქვემეხით. რეზერვის სახით, ამ რაზმის უკან პოლკოვნიკ იოსელიანის მეთაურობით მოთავსებული იყო ორი ასეული ორი საარტილერიო ქვემეხით. მთელი შენაერთის ხელმძღვანელად ითვლებოდა შესანიშნავი მეომარი აფხაზი პოდპოლკოვნიკი ზვანბაია.

და, ბოლოს, სანარმანიოდან ორი ვერსის დაშორებით, კოკის გადასასელელთან, თავ. ერისთავის მეთაურობით იდგნენ რეგულარული ქვეითი ჯარის ორი ასეული და კაზაკთა ორი ასეული 2 ქვემეხით. იქვე მახლობლად, ტყესთან მოფარებით, იდგა სპეციალური საარეზერვო შენაერთი, განკუთვნილი ამ სამი უკანასკნელი (კახათის, სანარმანიოს და კოკის) რაზმის დასახმარებლად. აღნიშნული რეზერვი შედგებოდა ყურინსკის პოლკის 2 ბატალიონისაგან ორი ქვემეხით; რეზერვშივე შედიოდა აგრეთვე იმერეთის ცხენოსანთა მილიციის 4 რაზმი. რეზერვის მეთაურობა დაკისრებული ჰქონდა თავ. დიმიტრი შერვაშიძეს. მისივე საერთო სარდლობის ქვეშ იდგნენ კახათის, სანარმანიოს და კოკის გადასასელელებთან განლაგებული რაზმები.

გურიის რაზმის მთავარსარდლობამ, რომელსაც ,,ეერგად ჰქონდა წარმოდგენილი თავისი პოზიციების მთელი სისუსტე ენგურის ხაზზე, თავდაცვის ძალთა შეზღუდულობა და საშუალებათა დაქსაქსულობა ფრონტის მნიშვნელოვან სივრცეზე, წინასწარ გაითვალისწინა უკანდახევისათვის ხელსაყრელი მარშრუტი და სხვა საჭირო ღონისძიებანი. თვითეული შენაერთის წინაშე დასახულ იქნა უკან დასახევი გზები და ბილიკები, რომლებიც მათ კონცენტრულად თავს მოუყრიდა სოფ. ცაიშის პლაცდარმთან [1].

1855 წლის 20 — 24 ოქტომბერს მოწინააღმდეგენი აწარმოებდნენ გაძლიერებულ დაზვერვას, აწესრიგებდნენ თავიანთ ძალებსა და საბრძოლო საშუალებებს, ამოწმებდნენ, სინჯავდნენ ძლიერსა და სუსტ ადგილებს ერთიმეორის პოზიციების სისტემაში.

ენგურის გადმოლახვის პირველი სადაზვერვო ცდა სეექსპედიციო კორპუსის სარდლობამ მოახდინა 23 ოქტომბერს რუხის ზემოთ, სოფ. ლიასთან. მტრის იმედი არ გამართლდა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ პუნქტზე ჯარის რეგულარული ნაწილები ამ დროს არ იდგნენ, სამეგრელოს მამაცმა მილიციამ, რომელიც ლიის გადასასვლელს იცავდა, წარმატებით უკუაქცია მტრის საკმაოდ მრავალრიცხოვანი რაზმი და აიძულა იგი ხელი აეღო თავის განზრახვაზე. პირველმა წარუმატებლობამ მტერი დიდად გააწიწმატა. მან დროებით თითქოს უკუაგდო შეუოვლითი მოქმედების ტაქტიკა და ზვავივით დასძრა ჯარები რუხის ცენტრალური გადასასვლელისაკენ. 1855 წლის 25 ოქტომბერს მოხდა ენგურის ცნობილი ბრძოლა [2].

---

[1] ЦГИАГ, ф. 1087, п. 449, л. 108—109.

[2] აქ მოცემული მოკლე აღწერილობა ენგურის ისტორიული ბრძოლისა ემყარება ოფიციალური რელაციების, გურიის რაზმის სარდლის გენ. ბაგრატიონ-მუხრანსკის მოხსენებებისა და სხვა ცნობების ანალიზსა და კრიტიკულად შესწავლას. ამასთან საჭიროა აღინიშნოს, რომ ახლად გამოვლენებული მასალის სინათლეზე ზოგიერთი მანამდე ცნობილი ფაქტი და მოვლენა ამჟამად სრულიად სხვაგვარი სახით წარმოგვიდგება. იხ. АКАК, т. X', стр. 107—110, 138, 197—199, 215—216; Ср., ЦГИАГ ф. 1087, д. 449, л. 119,—122; к. Воронцов „Закавказские воспоминания", стр. 24—30.

25 ოქტომბერს, შუადღისას მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზე გაისმა ქვემეხის პირველი სასიგნალო გასროლა და მტრის კოლონები უმალვე თავგამეტებით ეკვეთნენ რუხის პოზიციებს. მხარეთა შორის გაჩაღდა სასტიკი და ულმობელი ბრძოლა, რომელიც გვიან საღამომდე გრძელდებოდა. გრიგოლ დადიანის რაზმი გმირული თავდადებით იცავდა მდინარის გადასასელელს, მძიმე ზარალს აყენებდა მტრის კოლონებს. რაზმმა მიიღო მტკიცე გადაწყვეტილება — უკიდურეს აუცილებლობამდე არ მოეცვალა ფეხი დაკავებული პოზიციიდან. და აი მოულოდნელი წინააღმდეგობით დიდად შეშფოთებული ომერ-ფაშა იძულებული გახდა მანევრირებისათვის მიემართა. იმ მიზნით, რომ შეენიღბა განზრახული მოძრაობა და მოედუნებინა ჩვენი ჯარების სიფხიზლე, თურქეთის სარდალმა ბრძანება გასცა დაედგათ რამდენიმე ზარბაზანი რუხის პოზიციის პირდაპირ და ეწარმოებინათ ინტენსიური სროლა, თვითონ ომერ-ფაშა კორპუსის მთავარი ძალებით დიდი სისწრაფით, ფარულად დაეშვა ქვემოთ, ენგურის დინების მიმართულებით — სანარმანიოს გადასასელელებისაკენ. მტრის სამხედრო ოინი საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა. სანარმანიოს დამცველი მცირერიცხოვანი რაზმი, პოდპოლკოვნიკ ზვანბაიას მეთაურობით, რომელმაც წინასწარ შეიტყო რუხთან მიმდინარე ამბები, სრულიადაც არ მოელოდა საქმის ასეთ შეტრიალებას. მრავალრიცხოვანი მოწინააღმდეგე ანაზდად ჭარიშხალივით ეკვეთა ჩვენს ჯარებსა და მილიციას. გაჩაღდა მძიმე, უთანასწორო ბრძოლა.

ზვანბაიას შევიწროებულ რაზმს სასწრაფოდ მიეშველა თავ. დიმიტრი შერვაშიძე იმერეთის ცხენოსანთა ორიოდე რაზმით, რომლებიც რეზერვში იდგნენ. ეს უკანასკნელნი სასწრაფოდ ჩამოქვეითდნენ და გაიშალნენ მოხერხებულ პოზიციებზე მდინარის ნაპირას. ეს ის დრო იყო, როდესაც თურქების მრავალრიცხოვანი კოლონები, დიდი დანაკლისის მიუხედავად, მაინც მოიწევდნენ წინ. შემხვარავი ყვირილით ეშვებოდნენ მდინარეში და ლამობდნენ მის გადალახვას. გენ. შერვაშიძის ბრძანებით სამთო ქვემეხების ოცეულმა შემომტევი ურდოების წინააღმდეგ გახსნა გამანადგურებელი ცეცხლი.

ამას დაემატა ქვეითი ჯარის შეთანხმებული მოქმედებაც. მელიციის ნაწილებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს იმერეთის ცხენოსანთა რაზმების თავდადებული და საბრძოლო მოქმედება. მათ, მოხუცი თავადის სიმონ წერეთლის მეთაურობით, სასტიკად შემუსრეს შეტევაზე გადმოსული თურქთა კოლონები. თურქები ჯერ შეყოყმანდნენ, შედგნენ, მერე იწყეს პანიკურად უკან დახევა და მიიმალნენ ენგურის მარჯვენა ნაპირას შეფენილ ხშირფოთლოვან ტყეში. ამასთან, ბევრი მათგანი ადიდებული ენგურის ტალღებმა შთანთქა.

ძვირად დაუჯდა ჩვენს მებრძოლებსაც თავიანთი დროებითი გამარჯვება. ბევრი სისხლი და მსხვერპლი შეეწირა ამ უთანასწორო ბრძოლას. ხახვა მრავალთა შორის ბრძოლის ველზე გმირულად დაეცა სანარმანიოს გადასასვლელის დამცველი რაზმის მეთაური, უმამაცესი პოდპოლკოვნიკი ზვანბაია[1]. მისი დაღუპვის შემდეგ რაზმის ხელმძღვანელობა პოლკოვნიკმა იოსელიანმა იკისრა.

თურქებს, მიუხედავად პირველი წარუმატებლობისა, ოდნავაც არ უფიქრიათ გასცლოდნენ აღნიშნულ პუნქტს. მათ მტკიცედ გადასწყვიტეს, რადაც უნდა დაჯდომოდათ გადაელახათ მდინარე და დაპატრონებოდნენ სანარმანიოს გადასასვლელს. გადაჯგუფა რა თავისი ძალები, მოწინააღმდეგე ერთი საათის შემდეგ ხელმეორედ გადმოვიდა გადამწყვეტ იერიშზე. გაოფთრებული ბრძოლა გადასასვლელისათვის ჯარგა ხანს გრძელდებოდა. ორივე მხარე დიდ ზარალს განიცდიდა მოკლულთა და დაჭრილთა სახით. ბოლოს და ბოლოს, თურქებმა რაკი თავიანთი მიზნის მიღწევა ვერ შესძლეს, ხელი აიღეს პირდაპირი იერიშის ტაქტიკაზე და შეუდგნენ ნიადაგის მოსინჯვას სხვა მიმართულებით. საღამოვდებოდა. მოწინააღმდეგემ ისარგებლა სიბნელითა და მდინარის ნაპირას მდებარე ტყით, შემოუარა ჩვენს ჯარებს, მოძღვნა სხვა უფრო მოხერხებული და სრულიად დაუცველი ფონი და შეუმჩნეველად გადაისროლა მდინარის მარცხენა ნაპირზე

---

[1] ზვანბაიას პიროვნების შესახებ იხ. კ. ბორობდინის „მოგონებანი ამიერკავკასიაზე", გვ. 26.

ქვეითი ჯარის მნიშვნელოვანი ნაწილი. დადგა კრიზისული მომენტი. ჩვენი ლაშქარი სრულიად მოულოდნელად მოექცა ჯვარედინი ცეცხლის ქვეშ. მტერი მას უკვე ფლანგებიდანაც ურტყამდა. მაგრამ გამოუვალმა მდგომარეობამ ვერ გასტეხა დამცველთა ნებისყოფა. მიუხედავად დიდი მსხვერპლისა, ჩვენი რეგულარული ჯარები და მილიციის რაზმები ფეხსაც არ იცვლიდნენ ადგილიდან.

აი, ბრძოლის ველზე გმირულად დაეცა პოლკოვნიკი იოსელიანი, რომელმაც მხოლოდ ერთი საათით ადრე შეცვალა მოკლული აფხაზი პოდპოლკოვნიკი ზვანბაია. იოსელიანის ადგილი მამაცმა რუსმა ოფიცერმა ივინმა დაიკავა. რამდენიმე წუთის შემდეგ ივინიც გაიყვანეს ბრძოლის ასპარეზიდან შტუცერის ტყვიით სასიკვდილოდ დაჭრილი. კაპიტანი კობელევი, რომელმაც მიიღო რაზმის მეთაურობა ივინისაგან, სულ მალე სასიკვდილოდ დაიჭრა. შემდეგ ასევე მალე მოკლეს კობელევის შემცვლელი პორუჩიკი რუბცოვი. ეპიზოდი არ წარმოადგენდა ერთეულს ან გამონაკლისს. იგი ჩვენი შესანიშნავი ადამიანების უანგარო თავდადების, საბრძოლო მეგობრობის, გმირობისა და მამაცობის მეტად ტიპიური მაგალითი იყო. ომის ამ კრიზისულ მომენტში მთელი ძალით გამომჟღავნდა მოძმე ხალხებისა და ერების საუკეთესო შვილთა ნამდვილი საბრძოლო მეგობრობა და ძმობა. აქ, ძველი კოლხეთის მშობლიური მიწის ნაკვეთზე, ერთიან მწყობრში, ხელიხელჩაკიდებულნი ვეჟაკუურად იბრძოდნენ თურქი დამპყრობლის წინააღმდეგ რუსები და ქართლ-კახეთის შვილები, მეგრელები და გურულები, იმერლები და აფხაზები. ამ მიწის დასაცავად სისხლს ღვრიდნენ უკრაინელები, სომხები, აზერბაიჯანელები და სხვა მოძმე ხალხთა მრავალი წარმომადგენელი, ამ ფაქტს მკაფიოდ მოგვითხრობს ინგურის ბრძოლის მატიანე.

სანარმანიოს გადასასვლელთან შემოტევის პარალელურად თურქები იერიშზე გადმოვიდნენ კოკის რაიონშიც. წაიწყდნენ რა სასტიკ წინააღმდეგობას დამცველთა მხრივ, მტრის ჯარებმა აქაც, სანარმანიოს მსგავსად, მარცხენა ფლანგიდან შემოუარეს ერისთავის რაზმს და ცხარე შეტევების

შემედგ, გარემოცვაში მოქცევის მუქარით, აიძულეს ეგი. უკან დაეხია. ამრიგად გაარღვია რა ჩვენი თავდაცვის ბღუდგ ორ პუნქტში, თურქეთის კორპუსის 15 ბატალიონი მეთოდური თანმიმდევრობითა და სისტემატურობით შეუდგა მთელი ჩვენი თავდაცვითი ხაზის შემოვლას ზურგიდან. ჩვენი ჯარების წინაშე სრული გარემოცვის საფრთხე აღიმართა. ამ მხრივ ყველაზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა კოკის უბანი. თავ. ერისთავის რაზმის დასახმარებლად დიმიტრი შერვაშიძემ სწრაფად დაძრა წინ მისდამი დაქვემდებარებული ყურინსკის სახელოვანი ბატალიონები, რომლებიც მანამდე რეზერვში იდგნენ.

მრავალრიცხოვანი მტრის წინააღმდეგ შეუპოვარ იერიშზე გადავიდა სიკო წულუკიძისა და ბებე აგიაშვილის სარდლობაში მყოფი იმერეთის მილიციის ორი რაზმიც. „ამ რაზმების გაბედულმა იერიშმა, — წერდა თავის რელაციაში გენ. მურავიოვი იმერელთა რაზმის შესახებ, — რომელმაც შეაჩერა თურქეთის რეგულარული ქვეითი ჯარის შემოტევა, აღტაცება გამოიწვია ამ საგმირო საქმის ყველა დამსწრეში"[1]. ჩვენი ჯარებისა და მილიციის ეფექტიანი იერიშების შედეგად ომერ-ფაშას ჯარები, რომლებმაც ის იყო თითქმის მთლიანად დაიკავეს სივრცე სანარმანიოსა და კოკს შორის, დროებით უკანვე იქნენ გაძევებულნი. მიუხედავად ამისა, ეს გმირული ეპიზოდები ბრძოლის მსვლელობაში ვერ იწვევდნენ არსებითს გარდატეხას და მხოლოდ გმირულ ეპიზოდებადვე რჩებოდნენ. მოწინააღმდეგის უზარმაზარი ძალების შეკავება უკვე შეუძლებელი გახდა.

25 — 26 ოქტომბერს, გვიან დამით, ფიზიკურად ქანცგამოლეული და სისხლისგან დაცლილი, მაგრამ სულიერად და მორალურად მედგარი და გაუტეხავი გურიის რაზმის რეგულარული ჯარისა და მილიციის შენაერთები შეუდგნენ ენგურის სანაპირო პუნქტების გაწმენდას და სრული წესრიგით უკან იხევდნენ. ასანი ცალკე კოლონებად და რაზმებად, უპანიკოდ მიედინებოდნენ ზურგისაკენ წინასწარ მიჩენილი

---

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 449, л. 110.

გზებით. მეორე დილით ომგადახდილი კოლონები, რუხის ველ-ზლუდეზე მდგომი ჯარების გამოკლებით, უკვე თავს იყრიდნენ ხეთის პოზიციასთან. რუხის დამცველთა კოლონა კი, სარდლობის ბრძანების მიხედვით, უკან იხევდა ზემო სამეგრელოს მაგისტრალით.

25 ოქტომბრის ბრძოლა ენგურზე იმ დროისათვის მეტად სისხლისმღვრელი იყო. მან დიდი მსხვერპლი შეიწირა. მარტო მოკლულთა რიცხვი ჩვენი ჯარების ბანაკში 500 კაცს აღემატებოდა. თურქებმა კი, სხვადასხვა ცნობებით, მოკლულთა და დაჭრილთა სახით რამდენჯერმე მეტი ზარალი განიცადეს[1].

ენგურის შეტაკებიდან სულ რამდენიმე დღის შემდეგ ვენ. ბაგრატიონ-მუხრანსკიმ სრულიად მოულოდნელად მიიღო გადაწყვეტილება სამეგრელოს მთელი ტერიტორიიდან ჩვენი ჯარების ევაკუაციის შესახებ. მანვე უბრძანა გურიაში მყოფ რეგულარულ შენაერთს დაეტოვებინა აკეთის პოზიცია. მთელი გურიის რაზმის ნაწილები თავმოყრილ იქნა ცხენისწყლის მარცხენა ნაპირას, სოფ. მარანთან.

ამრიგად, გურიის რაზმის წასვლის შემდეგ, მთელი სამეგრელო დროებით ომერ-ფაშას საოკუპაციო ჯარის სათარეშო გახდა. სასიკეთილო საფრთხე აღიმართა გურიისა და იმერეთის წინაშე. მთელი საქართველო უაღრესად სახიფათო მდგომარეობაში აღმოჩნდა. ქართველი არისტოკრატიის მრავალი წარმომადგენელი, ამ კრიზისულ წუთებში, არ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე. მეტიც, მათ ქვეყნისა და ხალხის ბედ-იღბალი ვიწრო კლასობრივ ინტერესებს შესწირეს. საქართველოში იმ დროს მკვირენი როდი იყვნენ ისეთი რენეგატები და გამცემლები, როგორც მაგალითად, ალიბეი თავდგირიძე, ქაცო მარღანია, დათა გურიელი, პეტრე მხეიძე და მათი მსგავსნი, რომელნიც ომის დროს აქტიურად განაგრძობდნენ მოსისხლე მტრებთან თანამშრომლობას, ნაჭრობით და ბითუმად ეაჭრობდნენ თავისი ხალხის ინტერესებით. მაგრამ გარდა ერთ მუქა გამცემლებისა არსებობდა

[1] Н. Муравьев, Война за Кавказом, СПБ. 1889, т. II, стр. 83.

ქართველი ხალხი, საქართველოს ძირითადი მოსახლეობა, რომელიც ბოლომდე იყო ერთგული დიდი რუსეთისა. ეგი ომის მრისხანე წლებში მეტადროდ დაირაზმა რუსეთის არმიის, ხალხის გარშემო და, მასთან ერთად, გმირულად ებრძოდა გარეშე მტერს. თავადაზნაურთა ზედაფენის მოჩვენებითს პატრიოტიზმს რადიკალურად უპირისპირდებოდა ხალხთა მასების ნამდვილი პატრიოტიზმი, თავისი ქვეყნისადმი, დიდი რუსეთის ხალხისადმი ჭეშმარიტი სიყვარული და უანგარო თავდადება. მაგრამ ცხადია ისიც, რომ ქართველი ხალხის პატრიოტიზმს, იმ დროს, საზოგადოდ, ღრმა ბეჭედს ასვამდა როგორც ცარიზმის ეროვნულ-კოლონიური უღელი, ისე აუტანელი ჩაგვრა და ექსპლოატაცია საკუთარი თავადებისა და მემამულეების მხრივ. ამის გამო, მიუხედავად იმისა, რომ საომარი მოქმედება ქართველი საზოგადოების თითქმის ყველა კლასისა და წოდების მთელ ძალებსა და საშუალებებს იწირავდა, 1853 წლების ომის განმავლობაში კლასობრივი ბრძოლა ამ საზოგადოების შიგნით ერთი დღითაც არ შეწყვეტილა.

მეტისმეტად ნაადრევი და სრულიად უნიადაგო აღმოჩნდა ომერ-ფაშას სიხარული და ზეიმი 1855 წლის 25 ოქტომბერს მოპოვებული „გამარჯვების“ გამო. მტერმა ვერ შეძლო ქართველი ხალხის შეურიგებელი სულის მოდრეკა. მან ვერ გატეხა სამეგრელოს მოსახლეობა, რომელიც დროებით ოკუპაციის მძიმე უღელქვეშ აღმოჩნდა. გენ. ბაგრატიონ-მუხრანსკის არმიის წასვლის შემდეგ სამეგრელოს მოსახლეობა თვითონ შეუდგა თავისი სასიცოცხლო ძალების მობილიზაციას, შექმნა მტრისათვის უჩინარი, მაგრამ მრისხანე მებრძოლი რაზმები, და გაშალა ძლევამოსილი პარტიზანული ბრძოლა ოკუპანტების წინააღმდეგ. ეს მფრინავი რაზმები ნამდვილ რისხვას წარმოადგენდნენ თურქი დამპყრობლებისათვის[1].

---

[1] სამეგრელოს მილიციის საომარ გაწყობილებასა და შეურიგებლობას ოკუპანტებისადმი ენგურის ფის შემდეგ საუცხოოდ ადასტურებს გენერალური შტაბის ერთ-ერთი ოფიცრის, ბახტინის პატაკი, რომელიც დაწერილია 1855 წლის ოქტომბრის მიწურულს.

ენგურის ამბებთან დაკავშირებით კავკასიის მოქმედი კორპუსის სარდლობასა და პეტერბურგის უმაღლეს მმართველ წრეებს შორის მალე გაჩაღდა უცნაური პოლემიკა. მართალია, დავა და კამათი ოფიციალური მიმოწერის ფარგლებს არ გასცილებია, მაგრამ მან მაინც საკმაოდ მწვავე ხასიათი მიიღო. სამხედრო სამინისტროს მოხელეებმა, რომელთაც ელემენტარული წარმოდგენაც კი არ გააჩნდათ ადგილობრივი თავდაცვის კონკრეტულ პირობებზე, კავკასიის სარდლობას წამოუყენეს სერიოზული ბრალდება ვითომდა „თავდაცვის საქმეში დიდი შეცდომების დაშვების გამო". ასეთი ბრალდება მით უფრო არასერიოზულად მოჩანდა, რომ სამხედრო სამინისტროს კაბინეტებში მსხდარი „სპეციალისტები" აყენებდნენ ისეთ სასაცილო მოთხოვნებს, როგორიც იყო საფორტიფიკაციო სიმაგრეების აგება მთელი ენგურის ნაპირების გასწვრივ.

გენ. მურავიოვმა თავის დასაბუთებულ პასუხში სასახლის ბატონკაცებისადმი გამოამჟღავნა არა მარტო სტრატეგიული გამჭრიახობა, არამედ სათანადო გაბედულება და პოლიტიკური ალღოც. მთავარსარდალი მარჯვედ უკუაგდებდა პეტერბურგელთა სრულიად დაუსაბუთებელ საყვედურებს. სამხედრო მინისტრის სახელზე გაგზავნილ თავის ერთ-ერთ განმარტებით ბარათში გენ. მურავიოვი წერდა: „არა მგონია, როგორც თქვენ ფიქრობთ, თითქოს ჩვენი წარუმატებლობა ენგურის საქმეში იმიტომ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ ჩვენ მდინარის ნაპირზე არ გვქონდა სიმაგრეები". შემდეგ მთავარსარდალი დამაჯერებელი საბუთებით ზედიზედ აანალიზებდა „ბრალდებათა" მთელ უაზრობას. იგი განაგრძობდა: „მტერი ჩვენთან შედარებით რამდენჯერმე ძლიერი იყო, და საქმის მსვლელობა ადასტურებს, რომ მოწინააღმდეგე, რომელიც გადადიოდა მდინარეზე, აწარმოებდა ჩვენი ნაწილების გარემოცვას ორივე ფრთიდან. ამ შემთხვევაში

თავის მოხსენებაში კაპიტანი მახოტინი აღნიშნავს სამეგრელოს მილიციელთა „შესანიშნავ საბრძოლო სულიერ განწყობილებას. ისინი მედამ მზად არიან შეებრძოლონ მოწინააღმდეგეს" (ЦГИАГ, ф. 939, л. 60—63).

ენგურის მარცხენა ნაპირი თუნდაც რომ მთელ თავის სიგრძეზე ყოფილიყო გამაგრებული, მოწინააღმდეგე, ჩვენ დამცველი ჯარების სიმცირის გამო, მაინც ვერ წააწყდებოდა ვერავითარ დაბრკოლებას და ადვილად შემოუვლიდა ჩვენს ფრთებს". დავუშვათ, რომ ჩვენ გვყოლოდა საკმარისი ჯარები იმ გამაგრებული ადგილების დასაცავად, რომლებიც ენგურის ნაპირებზე იქნებოდა აგებული, ამ შემთხვევაშიც თურქები, რომელთაც ეკუთვნოდათ ზღვა, შეძლებდნენ იერიშის გაძლიერებას ანაკლიიდან მდინარის მარცხენა ნაპირით, ჩვენ მარცხენა ფრთაზე. ისინი კიდევაც მოახერხებდნენ ჩვენთვის შემოევლოთ ზურგიდან, რაკი მნიშვნელოვან ძალებს გადმოსხამდნენ რედუტ-კალეში და დაძრავდნენ მათ იქიდან ხორგით — ხოფისაკენ.

„ენგურის საქმეში, — წერს დასასრულ გენ. მურავიოვი, — შესაძლოა, ჩვენი მხრივ შეცდომებსაც ჰქონოდა ადგილი, მაგრამ ჯარები მამაცურად იბრძოდნენ და წარუმატებლობის მთავარი მიზეზი მდგომარეობდა მოწინააღმდეგის ძალების მნიშვნელოვან სიჭარბეში" [1].

საჭიროა აღინიშნოს, რომ სატახტო ქალაქის სამხედრო კაბინეტის მოხელეთაგან განსხვავებით, იმავე ენგურის საქმეზე გაცილებით უფრო სალად მსჯელობდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი პოლკოვნიკი კოლუბაკინი. იგი მახვილგონიერად კენწლავდა ომერ-ფაშას უნიჭობას, აღნიშნავდა, რომ თურქთა სარდალს რომ ოდნავ მაინც გამოეჩინა სამხედრო ნიჭი და ჭეშმარიტი სარდლის ღირსება, იგი განახორციელებდა ერთდროულად შემოჭრას ორი მიმართულებით — რუხის პლაცდარმით და რედუტ-კალედან. როგორი იქნებოდა ასეთი ოპერაციის შედეგი? პოლკოვნიკ კოლუბაკინის აზრით, ასეთი მოქმედებით იგი ადვილად დაქსაქსავდა გენ. ბაგრატიონ-მუხრანსკის ისედაც მცირერიცხოვან ძალებს, დაარღვევდა ჩვენს კომუნიკაციებს და ჩაშლიდა თავდაცვის მთელ სისტემას, გურიის მთელ რაზმს გამანადგურებელ ლახვარს

---

[1] ЦГВИАМ, ф. ВУА, д. 33—493, л. л. 233—234, Ср. АКАК, т. XI, стр. 215—216.

ჩასცემდა. საერთოდ, სტრატეგიული ბედოვლათობა, [illegible] პოზიციობა, ზვიადი ამპარტავნობა და მკვეხარობა [illegible] ფაშას პირადი თვისებები იყო, რომლებმაც ეს გაძვერა ავანტიურისტი თურქეთის მთავარსარდლის მაღალ კვარცხლბეკზე აიყვანა. ამავე თვისებებმა არაერთხელ მოუტანა მას დიდი უსიამოვნებაც.

ზუგდიდის დაკავების შემდეგ ომერ-ფაშამ და მისმა ევროპელმა „მრჩეველებმა" განაახლეს ადრე დაწყებული ფსიქიური იერიშები" ხალხის წინააღმდეგ. უწინარეს ყოვლისა, მათ იწყეს მრავალრიცხოვანი პროკლამაციებისა და მოწოდებების გავრცელება სამეგრელოს მოსახლეობაში. თავის მოწოდებაში ომერ-ფაშა ცდილობდა დაერწმუნებინა მეგრელები შესულიყვნენ მისი ჯარების რიგებში, რადგან თურქები, — მისი მტკიცებით, — მოვიდნენ ქვეყნის დამოუკიდებლობის აღსადგენად, რუსების ძალაუფლების „დასამხობად" და ადგილობრივი მოსახლეობისათვის სხვა მრავალი „ბედნიერების" მისანიჭებლად[1].

ომერ-ფაშა ზუგდიდში ჩასვლის შემდეგ განაგრძობდა ენერგიული ზომების მიღებას, რათა გადაებირებინა სამეგრელოს მთავარი. ეკატერინე დადიანმა 1855 წლის 31 ოქტომბერს გორდის ციხეში, სადაც იგი თავისი ბავშვებით იყო თავშეფარებული, კვლავ მიიღო ომერ-ფაშას ახალი წერილი. თურქეთის მთავარსარდალი საფანადოდ შერჩეული ფრაზებით, ზრდილობიანი ფორმით და ფარისევლურად აუწყებდა სამეგრელოს კნეინას „მოკავშირეთა სურვილს სამეგრელოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ", თავაზიანად მოუწოდებდა მას დაბრუნებულიყო ზუგდიდში და დაეწყო მასთან მშვიდობიანი თანამშრომლობა. მეტად დამახასიათებელია, რომ თავის ბარათში ომერ-ფაშა იძულებულია აღიაროს ადგილობრივი მოსახლეობის მტრული დამოკიდებულება დამპყრობლებისადმი. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სამეგრელოს ტერიტორიაზე მოსვლისას მან იხილა „მოსახლეობის ნაწილი იარაღით ხელში, დანარჩენი ნაწილი კი გაქცა,

[1] АКАК, т. XI, стр. 149.

მიატოვა სახლები და ქონება"[1]. უნდა აღინიშნოს, რომ თვით თურქეთის საექსპედიციო კორპუსის მთავარსარდლის ანალიზებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი მთლიანად ამხილებს ძველი ფეოდალურ-ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის უნიადაგო და ცილისმწამებლურ ვერსიებს ადგილობრივი მოსახლეობის მისამართით.

სამეგრელოს „მთავრობამ" ომერ-ფაშისაგან მიღებული წერილის დედანი გადაუგზავნა გენ. ბებუთოვს თბილისში, ხოლო წერილის ასლი — ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს პოლკოვნიკ კოლუბაკინს. მალე მთავრობის ადგილობრივი ორგანოებისაგან მიღებულ იქნა ომერ-ფაშას წერილის პასუხის პროექტი. ეკატერინე დადიანმა, როცა იგი გაეცნო საპასუხო წერილის პროექტს, შეუძლებლად ჩათვალა მისი გაგზავნა და, საერთოდ, გადაწყვიტა არ ჩაბმულიყო მიწერ-მოწერაში ფაშასთან. მაგრამ, როგორც გამოირკვა, ამ უკანასკნელისაგან თავის დახსნა არც ისე ადვილი საქმე იყო. ომერ-ფაშა ჯიუტად და დაჟინებით ცდილობდა თავისი გადაწყვეტილების განხორციელებას.

რამდენიმე დღის შემდეგ კნეინამ ომერ-ფაშისაგან მესამედ მიიღო წერილი, რომელშიც განმეორებული იყო წინადადებანი ზუგდიდში დაბრუნებისა და თანამშრომლობის შესახებ. მაგრამ წინანდელი თავაზიანობის მაგივრად ახალ წერილში განრისხებისა და მუქარის კილო ისმოდა. როგორც ჩანს, თურქეთის მთავარსარდალმა უკვე ვეღარ შეძლო მიღებული პოზის ბოლომდე შენარჩუნება და საჭიროდ ჩათვალა დიპლომატიური ხრიკებიდან დამპყრობლის დიქტატის მეთოდებზე გადასულიყო. მით უფრო მტკიცე და შეუდრეკელი აღმოჩნდა ეკატერინე დადიანის ზვიადი ბუნება. იგი განაგრძობდა „დუმილით შეთქმულებას".

ომერ-ფაშამ თითქოს ამოწურა თავისი მოქმედების არსენალი. ახლა სცენაზე სხვები უნდა გადმოსულიყვნენ. როლების წინასწარი განაწილების მიხედვით, სამეგრელოს მმართველის წინააღმდეგ ახალი „არტილერია" დასძრეს. ევროპელ-

---

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 449, л. 110; Ср. АКАК, т. XI, стр. 112.

ძა მრჩეველებმა ომერ-ფაშას ამალიდან გადაწყვიტეს ამ „კერ-ბი დედაკაცის“ წინააღმდეგ ეხმარათ თავიანთი დიპლომატიის ნაცადი იარაღი. ინგლისისა და საფრანგეთის აგენტებმა და მზვერავებმა ფ. ლონგვორტმა და პოლკოვნიკმა მეფრემ არ დაზოგეს თავიანთი ენარი და შესაძლებლობანი. თავიანთ ნატიფად შედგენილ და დახვეწილ წერილებში, ეს ევროპელი კოლონიზატორები, მთელი ძალღონით ცდილობდნენ მთავრისას გულის მოგებას, მის მოდრეკას. თავიანთ მთავრობათა სახელით ისინი ოფიციალური ტონით ურჩევდნენ ეკ. დადიანს შერიგებოდა ომერ-ფაშას, დაბრუნებულიყო ზუგდიდში და დაეწყო ნორმალური თანამშრომლობა „ევროპელ მეგობრებთან“. „მე, მოვლინებულს ბრიტანეთის უდიდებულესობის მთავრობისაგან, — წერდა ფ. ლონგვორტი, — როგორც კავკასიის პროვინციების აგენტს, მაქვს პატივი თქვენს უგანათლებულესობას შემოგთავაზოთ ჩემი სამსახური თქვენსა და ოტომანთა არმიის სარდალ მარშალ ომერ-ფაშას შორის საუკეთესო შეთანხმების მისაღწევად [1]. ლონგვორტი შემპარავი კილოთი და გადაკვრით ანიშნებს კნეინას, რომ მას მიზანშეწონილად მიაჩნია პირადად მასთან შეხვედრა და პირისპირ მოლაპარაკება. კნეინა კვლავ დუმდა.

საფრანგეთის აგენტი გრაფი მეფრე პირად ბარათებში თავის ვარაუდს, როგორც ჩანს, ამყარებს სამეგრელოს მმართველის „ქალურ სინაზეზე“. მხოლოდ ამით აიხსნება ის ნატიფად დახვეწილი ფრაზები და ოსტატურად შერჩეული წინადადებანი, რომელთა შეთხზვაზეც ფრანგმა არისტოკრატმა, უთუოდ, მცირე დრო როდი დახარჯა. „მე კარგად მესმის თქვენი უგანათლებულესობის ყოყმანი, — წერს იგი მთავარს, — მაგრამ... ამ ყოყმანს, რომელიც სავსებით მისატევებელია ქალისათვის, თუ ის კვლავ გაგრძელდა, შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს თქვენსა და თქვენი ბავშვების ინტერესებს“. შემდეგ გრაფი მეტი ეფექტისათვის მიმართავს იაფფასიან დემაგოგიასა და აშკარა სიცრუეს. „რუსები დამარცხებულ იქნენ დუნაიზე, ყირიმში, ენგურზე, —

[1] ციტირებულია კ. ბოროზდინის წიგნში მოთავსებული წერილების მიხედვით, იხ. „მოგონებანი ამიერკავკასიაზე“, გვ. 55—57.

უსაფუძვლოდ ბაქიაობს საფრანგეთის გრაფი, — ისინი დაბარ-ცხდნენ ყველგან, სადაც კი მოუხდათ ჩვენთან შეხვედრა. თქვენს უგანათლებულესობას კარგად ესმის, რომ მათ (რუსებს — ე. ბ.) არ ძალუძთ შეინარჩუნონ თავიანთი მონაპოვარნი კავკასიაში... ისინი სულ უკან-უკან იხევენ, სწვალეენ თავიანთ საწყობებს, მარაგს... ევროპამ ახლა გაახილა თვალი. მან გადასწყვიტა არ დაუშვას, რომ ადგილობრივი ტომები შემდგომშიც დატოვებულ იქნან უმეცრებაში, რომელიც სიღატაკეს წარმოშობს. მას სურს, რათა თქვენ შეხვიდეთ განათლებული ხალხების დიად ოჯახში და, ბოლოს, რათა თქვენ საარგებლობდეთ იმ მიდლით, რომლითაც ასე უხვად დაუჯილდოვებია ზეცას თქვენი ქვეყანა. ჩვენ მოგვაქვს თქვენთვის დამოუკიდებლობა და კეთილდღეობა და თქვენ, თქვენო ბრწყინვალეებავ, კიდევ ყოყმანობთ! ნება მიბოძეთ მოგაგონოთ, რომ თქვენ, ბ-ნ ბ., მეგრელი ხართ, სამეგრელოს მთავარი და არა რუსეთის ქვეშევრდომი. უფალმა ჩაგაბარათ თქვენ თქვენი ქვეყნის, თქვენი ბავშვების, თქვენი წმინდა ტირანების ინტერესები"[1]. აქ მოტანილი და სხვა მსგავსი წერილების შინაარსი კომენტარს არ საჭიროებს. ევროპის „ცივილიზებულ" მოკიდულთა სიტყვებში კარგად იყო შეხამებული ერთმანეთთან: გაქნილ დიპლომატთა ფარისეველობა, ალეირახსნილი კოლონიზატორების ტლანქი ზნე-ჩვეულება და უშვერი ცინიზმი.

ვერავითარი ქათინაურებითა და დაბირებებით, მლიქვნელობით და მუქარითაც კი ვერ მიაღწიეს უცხოეთის ემისრებმა თავის საწადელს. მათ ვერ შეძლეს მოეგო მკაცრი მთავრობა გული. ეს უკანასკნელი მუდამ მტკიცედ ყველაფერი დუმილით უკუაგდებდა თავის აბეზარ „თაყვანისმცემელთა" ყოველგვარ მცდელობას. თუმცა ეკატერინე დადიანმა მალე შეწყვიტა პასიური დუმილიც: სამეგრელოს მთავარმა მიიღო მამაცური გადაწყვეტილება იარაღით ხელში ებრძოლა ოკუპანტების წინააღმდეგ და ეს გადაწყვეტილება სწრაფად განახორციელა კიდეც. დატოვა რა თავისი წვრილი შვილები

---

[1] К. Бороздин, „Закавказские воспоминания", стр. 57—58.

ლეჩხუმის მიუვალი მთების სიმაგრეში (მური), იარაღასხმული ეკატერინე დადიანი, ლეჩხუმის მილიციასთან ერთად, დაეშვა ბარად და იქ მოქმედ პარტიზანულ რაზმებს შეუერთდა. ადგილობრივი სარდლობა კმაყოფილებით მიესალმა ეკატერინე დადიანის გადაწყვეტილებას. პოლკოვნიკი კოლუბაკინი თავის პატაკში გენ. ბებუთოვისადმი ამის გამო აღნიშნავდა: „ჯარებში მისი (ეკატერინე დადიანის, — ე. ბ.) ყოფნა უსათუოდ დადებით გავლენას იქონიებს მეგრელებზე"[1]. ეკატერინე დადიანი თავისი მოქმედების შესახებ 1855 წლის 27 ნოემბერს გენ. ბებუთოვს სწერდა: „მე გუშინ თავადებთან და აზნაურებთან ერთად ჩამოვედი სოფელ ღანირში მოქმედ რაზმში, იმისათვის, რომ პატიკი მექნეს ძლევამოსილ ჯარებთან ერთად გავიბაწილო ომის მთელი სიმძიმე"[2].

არ შეიძლება არ აღინიშნოს, ეკატერინე დადიანის დიდი უკმაყოფილება გენ. ბაგრატიონ-მუხრანსკის საქციელის გამო. ერთ-ერთ წერილში ეკატერინე დადიანი ჩამოთვლის რა შესანიშნავ საგმირო საქმეებს, რომლითაც დამპყრობლებთან ბრძოლაში სახელი გაითქვა მილიციამ, გლეხობამ და თავადაზნაურობის წარმომადგენლებმა, დაუზოგავად კიცხავს გენ. ბაგრატიონ-მუხრანსკის, ბრალს სდებდა მას უთანაბოლობაში, იმაში, რომ ვერ გამოიჩინა უნარი „სწორი მიმართულება მიეცა ხალხის ენერგიისათვის". სამეგრელოს მთავარი განსაკუთრებით აღშფოთებული იყო სარდლის საქციელით, რომელსაც სურდა რა გაემართლებინა თავისი უმოქმედობა და უუნარობა, ახლა ცილს სწამებდა ხალხებს[3]. უნდა ითქვას, რომ გენ. ბაგრატიონ-მუხრანსკის გაუგებარი მოქმედება სამეგრელოდან ჯარების ევაკუაციის დროს საკუთარით იმსახურებდა მკაცრ შეფასებას. საკითხი ეხებოდა არა იმ წარუმატებლობას, რომელიც მან ენგურთან განიცადა მტერთან აშკარა უთანასწორო ბრძოლის დროს, არამედ მის

---

[1] АКАК, т. XI, стр. 161—162.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 162.

მიერ ჯარების სრულიად გაუმართლებელ ევაკუაციას სამეგრელოდან.

საფიქრებელია, რომ გურიის რაზმის სარდლის საქციელში ერთგვარი როლი ითამაშა ნაწილობრივ მისმა პირადმა უკმაყოფილებამ, პირადმა ანგარიშებმა სამეგრელოს მთავრის უკ. დადიანის მიმართ. ყოველ შემთხვევაში, ისტორიულ ფაქტად დარჩა ის, რომ ბაგრატიონ-მუხრანსკიმ თავისი მოქმედებით, ან უქმედ, უმოქმედობით, მთელი სამეგრელოს მოსახლეობა მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო.

ეკატერინე დადიანმა ოსტატურად გაითამაშა „თავგანწირული რაინდის" როლი, მან შეასრულა თავისი დაპირება და „მონაწილეობა მიიღო" მტრის წინააღმდეგ ბრძოლებსა და შეტაკებებში. კ. ბოროზდინი, რომელიც თურქების მიერ სამეგრელოს ოკუპაციის დროს განუყრელად ცხოვრობდა კნეინას ოჯახში, თავის ნაწერებში ალტაცებით იგონებს ამ ეპიზოდებს. „პირადად კნეინა სამეგრელოს მილიციის სათავეში, — წერს ბოროზდინი, — რამდენჯერმე მონაწილეობდა პარტიზანულ მოქმედებაში თურქების წინააღმდეგ. იორლა ცხენზე მჯდარი, ნაბადითა და ყაბალახით შემოსილი, პირადი მხლებლებით (შინაყმებით) გარშემორტყმული, იგი ხშირად მოხვედრილა სროლაში და განუცდია ტყვიების ზუზუნი"[1]. ავტორი, მთავრისადმი პირადი სიმპათიებით გატაცებული, ცხადია, დიდად აჭარბებს, როცა ჩამოთვლის „საკუთარი თვალით ნახულს", კნეინას მიერ ჩადენილ „საგმირო საქმეებს" და მოულოდნელად ფრიად შემაცბუნებელ დასკვნას აკეთებს: „საერთოდ, თავისი როლით ომერ-ფაშას ოკუპაციის დროს მან (ეკ. დადიანმა — ე. ბ.) დაიმსახურა სრული უფლება იწოდებოდეს რუსეთის ისტორიულ პიროვნებად"[2].

თავისთავად ცხადია, რომ არც სამეგრელოს კნეინას და არც მისი გარემომცველი წრის — ბრწყინვალე არისტოკრატიის — წარმომადგენელთა უმრავლესობას ოდნავადაც არ

---

[1] К. Бороздин, „Закавказские воспоминания, стр. 87.
[2] იქვე, გვ. 87 — 89.

დაუმსახურებიათ ის ქება-დიდება, რომელსაც ასე უხვად ეფრქვევა ცარიზმის სატრაპი. თავადაზნაურობის თვალსაჩინო ნაწილის ომში „რაინდული" მოქმედების ლეიტმოტივს, მცირე გამონაკლისს გარდა, შუდმივ ვიწრო კლასობრივი ინტერესები და პირადი ანგარება წარმოადგენდა. ომერ-ფაშას შემოსეული გამოწვეული მთელი ტანჯვა და საშინელებანი, ისევე როგორც თავდაცვითი ომის მთელი სიმძიმე და ვსხვერპლი, არსებითად, ადგილობრივ მშრომელ მოსახლეობას დაატყდა თავს, მხოლოდ რეგულარული არმიის მზარდამზარ მეგრძოლმა მშრომელმა ხალხმა ისახელა თავი ვერაგ მტერზე საბოლოო გამარჯვებით.

ომერ-ფაშა მხოლოდ რამდენიმე დღით შეჩერდა ზუგდიდში. მან მალე წესრიგში მოიყვანა თავისი ძალები და კვლავ წინსვლა განაგრძო ქუთაისისაკენ. ისე როგორც წინათ, აფხაზეთიდან მოძრაობის დროს, ამჯერადაც მისი ჯარების წინსვლის ტემპი ერთობ მოდუნებული აღმოჩნდა. დატოვა რა ზუგდიდი 1 ნოემბერს, ომერ-ფაშამ მდ. ცივს მხოლოდ 6 ნოემბერს მიაღწია. აქედან მან საჭიროდ დაინახა თავისი კორპუსის ავანგარდის დაწინაურება მდ. ტეხურასთან და სენაკთან [1]. თურქთა საოკუპაციო ჯარების სარდლობამ დაახლოებით ორი კვირა მოანდომა საწყობებისა და ბეღლების აგებას ყულევში, შარაგზების წესრიგში მოყვანას ნაესადგურსა და ცივს შორის. ომერ-ფაშას უხალისო და მოდუნებული მოქმედება საქართველოან გაოცებას და თან ინტერესს იწვევდა ჩვენს სარდლობაში. იგი მსჯელობის საგანი გახდა.

გენ. მურავიოვმა, რომელიც დიდი ყურადღებით უთვალთვალებდა ომერ-ფაშას გაუგებარ მოქმედებას, თავისებურად წეალისა მტრის უცნაური ტაქტიკის არსი. კერძოდ, თავის უარყოფით პოზიციას გურიის რაზმის შემადგენლობის გაძლიერების საკითხში რუსეთის მთავარსარდალი ასაბუთებდა ომერ-ფაშას არა სერიოზული მოქმედებით. „მე ეფიქრობ, — წერდა იგი გენერალ ბებუთოვს 1855 წლის 31 ოქტომბერს, — ომერ-ფაშა ძალიან კმაყოფილია იმით, რომ თავი

[1] АКАК, т. XI, стр. 111—112.

დაიძვრინა მოკავშირეებისაგან და, უთუოდ, მიმდინარე შემოდგომის განმავლობაში იგი მნიშვნელოვან რამეს ან წამოიწყებს"[1]. ანატოლიიდან გაგზავნილ თავის მოხსენებაში იმავე წლის 1 ნოემბერს გენ. მურავიოვი სამხედრო მინისტრს ირწმუნებდა: „ომერ-ფაშას მოძრაობა ენგურის გადმოლმა... ვერ ჩამომაცილებს აქაურობასო" (ყარსს — ე. ბ.)[2].

თურქთა საოკუპაციო ჯარების რიცხვი დღითი-დღე მატულობდა. ყუდლეეთ და სხვა ნავსადგურებით ზედიზედ მოედინებოდა მათი დამხმარე ძალები. მაგრამ აშკარა იყო, რომ მოწინააღმდეგემ თავისი გაჭიანურებული მოქმედების წყალობით უკვე ხელიდან გაუშვა ყველაზე ხელსაყრელი მომენტი გადამწყვეტი შეტევისათვის. უკვე თავდებოდა მანამდე არნახული გვალვიანობა, რომელსაც სექტემბერ-ოქტომბერში შეეძლო საგსებით გაეუფასურებინა კოლხეთის კარგად ცნობილი პოსტებისა და საშუალებების მნიშვნელობა მტრის მოსაგერიებლად და ქვეყნის დასაცავად. იწყებოდა კოკისპირული წვიმები. გზები და მთელი მინდვრები ერთბაშად იქცეოდა გაუვალ ჭაობებად. ადიდდნენ მდინარეები, ხოლო პატარა ღელეებიც კი ძლიერ და მჭუხარე ნიაღვრებად მოედინებოდა. თურქების მიერ მდ. ტეხურასა და ცივზე აგებული ხიდები წყალმა წალეკა. ომერ-ფაშა და მისი არმია სასოწარკვეთილებამ მოიცვა. ისინი ნათლად ხედავდნენ, რომ შემდგომ წინსვლასა და შეტევითი ოპერაციების წარმოებაზე ფიქრიც კი ამაო იყო.

შეიქნა საუკეთესო პირობები პარტიზანული ბრძოლების გაშლისათვის. სამეგრელოს მოსახლეობა, მთელ ქართველ ხალხთან ერთად, მზად იყო საკადრისი მიეზღო მტრისათვის. ომერ-ფაშას ზუგდიდში შემოსვლისთანავე ადგილობრივ პატრიოტებს ერთი წუთითაც არ შეუწყვეტიათ თურქი ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლა. ხალხის რისხვა და გაოფთრება დღითი დღე იზრდებოდა. დამპყრობთა ზურგში იმთავითვე აბობოქრდა პარტიზანული ბრძოლა. მტრის ჯარისკა-

---

[1] АКАК, т. XI, стр. 132.

[2] тамже.

ცები და ოფიცრები ულმობელ სიკვდილს აწყდებოდნენ თითქმის ყველგან: სოფლის შარაგზებსა და ტყეებში, ჩეხვნილ რის ნაპირებზე და ღარტაფებში. პარტიზანთა [illegible] რაზმები ოკუპანტების ნამდვილ რისხვად გადაიქცნენ. მთელი ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი დამპყრობთა მიმართ აქტიურ შეურიგებლობას იჩენდა.

ინგლისელი ლეიტენანტ ოლიფანტი თავის დღიურებში იძულებულია დაუფარავად აღიაროს ქართველი მოსახლეობის შეურიგებლობა და მტრობა ოკუპანტებისადმი. მისი სიტყვებით, ვერავითარმა შთაგონებამ, დაპირებებმა, მოსყიდვამ, შეჭარამ და მრავალმა სხვა ღონისძიებებმა თურქებს ვერ უშველა იმაში, რომ თავიანთ სასარგებლოდ განეწყოთ მოსახლეობა. ოლიფანტი არ მალავს, რომ სამეგრელოში ომერ-ფაშას და მის განწირულ ჯარებს ყოველ ნაბიჯზე თან სდევდა ხალხის სიძულვილი. „ადგილობრივი მოსახლეობა, — წერდა იგი, — დემონსტრაციულად ამყღავნებდა თავის მტრულ განწყობილებას (თურქეთის — ე. ბ.) არმიისადმი... სოფლის მცხოვრებნი გამოიყურებოდნენ უკმაყოფილოდ და ყეშტად, განსაკუთრებით მაშინ, როცა ფესკვებიანი ადამიანები გამოჩნდებოდნენ მათი ქოხების კარებთან. ისინი ფარს ამბობდნენ მოემარაგებინათ თურქები რითიმე, გარდა ქიქა წყლისა ან საყალიონე ცეცხლისა“ [1].

ლ. ოლიფანტი ვრცლად მოგვითხრობს ხალხის აქტიური გამოსვლების ეპიზოდებზე, პარტიზანული რაზმების შექმნისა და საოკუპაციო არმიის შენაერთებზე მათი შეუპოვარი თავდასხმების შესახებ. ავტორი ზოგჯერ თავს ვერ იკავებს და აღტაცებით აღნიშნავს სამეგრელოს მილიციის გაბედულობასა და მამაცობას, მილიციისა, რომელიც ყოველგვარ პირობებში, ავდარსა თუ დარში, დღისით და ღამით მოსვენებას არ აძლევდა „დაუპატიჟებელ სტუმრებს“. ოლიფანტის მოჰყავს ომერ-ფაშას ჯარებზე, თვით თურქთა მთავარსარდლის შტაბზე, პარტიზანთა თავდასხმების ცალკეული კონკრეტული ფაქტები[2], იგი იმის დაფარვასაც ვერ ახერხებს, რომ თურ-

---

[1] L. Olifant. Jbidem., p. 146—218.

[2] იქვე. Jbid., p. 182.

ქებისადმი შეურიგებელი ქართველი მოსახლეობა იმავე დროს იჩენს „კეთილგანწყობილებას რუსებისადმი, მხარს უჭერს, ყოველნაირად ეხმარება მათ თურქებთან ბრძოლაში“[1]. აჯამებს რა თავის დაკვირვებას, ოლიფანტი ასეთ დასკვნას აკეთებს: „მცხოვრებნი ღრმად არიან დარწმუნებულნი იმაში, რომ თურქების შემოსევა ქვეყნის სრული ოკუპაციის მომასწავებელია, ამიტომ ისინი ხმამაღლა აცხადებენ, რომ ყოველმხრივ უპირატესობას აძლევენ რუსებს“[2].

დამახასიათებელია, რომ თვით ომერ-ფაშა საკუთარი გამოცდილებით მალე დარწმუნდა იმაში, რომ მისი ვარაუდები უნიადაგოა და განწირულია ჩასაფუშავად. იგი იმასაც მიხვდა, რომ ქართველობა ასე ადვილად არ გაებმის ოკუპანტების მიერ ოინბაზურად დაგებულ მახეში, რომ იგი არასდროს არ გადაუხვევს სწორად არჩეულ გზას — დიდ რუს ხალხთან მტკიცე კავშირისა და მეგობრობის გზას. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ლ. ოლიფანტის ნაწერებიდან ასეთი ეპიზოდი: „ღამით სროლა გაისმა. მეორე დილით მე ვინახულე ომერ-ფაშა. იგი დაღვრემილი იყო. ომერმა მითხრა, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი აქტიურად უჭერენ მხარს რუსებს. იგი სასოწარკვეთილებით ლაპარაკობდა ამ კამპანიის უიღბლო განვითარების შესახებ, წუწუნებდა იმაზე, რომ ბედმა საბოლოოდ გასწირა იგი“[3]. შეიძლება აქვე შევნიშნოთ, რომ სამეგრელოში ყოფნის დროს ომერ-ფაშას არასოდეს არ გამოლევია განწირულებისა და სასოწარკვეთილების საფუძველი.

თურქეთის არმიის სარდალმა ამიერიდან სხვა ვერავითარი გამოსავალი ვერ ნახა, თუ არა ის, რომ ერთხელ და სამუდამოდ აეხადა ევროპელი ყაიდის „კეთილშობილი ჯენტლმენის“ ნიღაბი და დაუფარავი მძვინვარებით გამოეჩინა მტაცებელი მხეცის ეშვები. მან კარგად დაინახა მის წინაშე ხახადაღებული უფსკრული და გადაწყვიტა სისხლიანი ტირანიის გზით შეეჩერებინა მოახლოებული კატასტროფა.

---

[1] L. Olifant, Jbid., p. 193

[2] იქვე, Jbid., p. 146.

[3] იქვე, Jbid., p. 118

ომერ-ფაშამ გასცა ბრძანება: იქ სადაც თურქი ჯარისკაცი მოკლული აღმოჩნდებოდა, მასობრივად გაეკლიტათ ეკლესია-ხობა, ხანძრისათვის მიეცათ მათი სახლ-კარი. სიტყვას საქმე მოჰყვა. სოხლით ირწყვებოდა სამეგრელოს მიწა-წყალი, ცეცხლში ინთქმებოდა სოფლები და დაბები. გარეწარი დამპყრობლები ბარბაროსულად ჩეხდნენ ბალებსა და ვენახებს. მაგრამ ხალხი რიდი შედრკა. იგი ხედავდა, რომ მტრის შხეცური აღვირახსნილობა მტრისავე აღსასრულის მაუწყებელი იყო. მოსახლეობა არათუ ვერ მოდრიკა ოკუპანტების კაცჭამიობამ, არამედ კიდევ უფრო გააფთრა. ამ გარემოებამ უფრო განამტკიცა ხალხის გადაწყვეტილება, მეტი ძალა შემატა ხალხის წინააღმდეგობას, რის შედეგადაც ნამდვილი საშკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაჩაღდა.

გენერალ ბებუთოვის მიმართვა „მეგრელების, იმერლებისა და გურულებისადმი", რომელიც 1855 წლის ნოემბრის დასაწყისს გამოქვეყნდა, უპასუხებდა მოსახლეობის ძირითადი მასის სულისკვეთებას. „შეიარაღდით ყველანი, შეიარაღდეთ თქვენი გლეხები და მსახურები, — მოუწოდებდა გენ. ბებუთოვი თავადებსა და აზნაურებს, — შეუერთდით ძლევამოსილ რუსეთის მხედრობას და დაუმტკიცეთ მტერს, რომ თქვენ ხართ შვილები იმ გულადი იმერლების, გურულებისა და მეგრელებისა, რომელთა მოდრეკა მან ძველ დროშიაც ვერ შესძლო. ახლა თქვენზე არის დამოკიდებული, რომ ომი გახდეს სახალხო და იგი ყველგან წარმოებდეს. თქვენი მამაცობა და მტკიცე გადაწყვეტილება დამტკიცებულია. დაე, თვითეულ ბუჩქთან, თვითეულ ხევსა და ღორტაფში, თვითეული ქვების გროვის უკან და ყოველ ადგილას მტერი სიკვდილს ცლოდეს; დაე, მან გაიგოს, რომ თუმცა იგი ღირსი არაა დაიმარხოს ქრისტიანთა წმინდა მიწაში, მაგრამ თქვენ ჩაფლავთ მას იქ, სადაც არ გაისმის ეკლესიების ზარების ხმა და სადაც მარტოოდენ გარეული მხეცები დაძრწიან. მაშ, ასე... წინ, მტრის გასაძევებლად"[1].

ამ მოწოდებამ, რომელიც ხალხში პროკლამაციების სახით

---

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 449, л. 49—50; Тоже: АКАК, т. XI, стр. 110—112.

ვრცელდებოდა, შესაფერი გამოხმაურება ჰპოვა. იგი მრძნობ-ებდა მტრის წინააღმდეგ გენერალურ იერიშზე გადასვლის. მოსახლეობის საბრძოლო განწყობილება კიდევ უფრო ძლიერ-ლდა. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ომის კრიზისულ პერიოდში ადგილობრივ მოსახლეობასა და მთავრობის ადგილობრივ ორგანოებს შორის ერთობ თავისებური ურთიერთობა დამყარდა. ამ ურთიერთ დამოკიდებულებას მთლიანად განსაზღვრავდა ომისდროინდელი კონკრეტული ვითარება. ნშირი იყო შემთხვევა, როცა ხელისუფლების ორგანოები მიზანშეწონილად და აუცილებლადაც სცნობდნენ ადგილობრივი მოსახლეობის საყოველთაო შეიარაღების საჭიროებას. ეს იმ დროისათვის სრულიად უპრეცედენტო მოვლენა იყო. ამის სანიმუშოდ გავეცნოთ ბრძანებას „კავკასიის კორპუსისადმი": „მომავალი საშხედრო ვითარების მიხედვით, — ვკითხულობთ ამ დოკუმენტში, — შესაძლებელია აუცილებელი დარჩეს ჭუთაისის გუბერნიის ყველა მაზრისა და ქალაქების მოსახლეობის საყოველთაო შეიარაღება, (ხაზი ჩემია — ე. ბ.), რისთვისაც, იარაღის ნაკლებობის შემთხვევაში, მთავრობა მზად არის თავის ანგარიშზე აიღოს დაკვეთა საჭირო რაოდენობის აზიური თოფების შესაძენად. ეს იარაღი დაეთმობა მცხოვრებთ იმ ფასში, რამდენიც დაუჯდება იგი ხაზინას ადგილზე მიტანით" [1].

არტილერიის პოლკოვნიკ მამაცაშვილის გადმოცემით, ჯერ კიდევ 1854 წელს, ჩოლოქის ბრძოლის წინ, გურიის რაზმის სარდალმა გენ. ანდრონიკაშვილმა დააკისრა მას შეეძინა და გურიის მილიციასა და მოსახლეობაში გაენაწილებინა ცეცხლმსროლელი იარაღისა და საჭურვლის 20 ათასი კომპლექტი.

ადგილობრივ თავადებსა და აზნაურებს, მათი ხარისხისა და შეძლების მიხედვით, ევალებოდათ სათავეში ჩადგომოდნენ მილიციის ასეულებისა და პარტიზანული ჯგუფების ორგანიზაციის საქმეს, მოეწყოთ მტრის ზურგში სარეიდო ლაშქრობანი და დივერსიები, აეყარათ ხიდები და ჩაეხერგათ გზე-

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д.472, л. 246.

ბი, ცეცხლი წაეკიდებინათ მტრის სადგომებისათვის, გაეწყვეტათ ოკუპანტების ცოცხალი ძალა. ადგილობრივი სარდლობა კოლხეთის კლიმატური და ტოპოგრაფიული პირობების შესაბამისად, მთელ თავის იმედებს ამიერიდან უმთავრესად მოსახლეობასა და მის შეიარაღებულ ძალებზე ამყარებდა. „გაუვალ ტყეებს, ჭაობებსა და ხშირ მდინარეებს შორის, — წერდა რ. ფადეევი, — გულადი ქრისტიანული მოსახლეობა, რომელიც ერთგულია ერთმორწმუნე რუსეთისა, უკვე ისეთი შესანიშნავი ძალაა, რომლის მსგავსი ჩვენ არ მოგვეპოვება ამიერკავკასიის სხვა პუნქტში. კარგი გამოყენებით იგი რეგულარულ ჯარზე გაცილებით უფრო საშიში იქნება მოწინააღმდეგისათვის“ [1].

გენ. ბებუთოვის მოწოდებას მალე მოჰყვა გენ. მურავიოვის პროკლამაცია ქართველი ხალხისადმი. „დადგა დრო, — წერდა თავის მიმართვაში კავკასიის კორპუსის მთავარსარდალი, — როდესაც თქვენ უნდა დაამტკიცოთ მთელი ქვეყნის წინაშე, რომ თქვენ ხართ ჩამომავალი იმ წინაპრებისა, რომლებიც სახელოვნად ებრძოდნენ მტრებს საუკუნეთა განმავლობაში თავიანთი წმინდა სარწმუნოებისათვის, თავიანთი ოჯახური ყოფის სიმრთელისა და სამშობლოს... მე დარწმუნებული ვარ, რომ შამ

თავადაზნაურების მაგალითს გაჰყვება იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს ყველა წოდება: მოქალაქეებიც, თავისუფალი სოფლელიც, საბატონო გლეხიც. ამხედრდით, ძმებო, და ღვთის სახელით, შემუსრეთ თქვენი ძველისძველი მოსისხლე მტერი“ [2].

მთავარსარდლის განკარგულებით, სახალხო წინააღმდეგობის ორგანიზაციის მიზნით, დასავლეთ საქართველოში გაემგზავრა თვით გენ. ბებუთოვი. ამ მიმართულებით გატარდა მთელი რიგი სხვა ეფექტური ღონისძიებანიც. გურიის რაზმის უფროსმა გენ. ბაგრატიონ-მუხრანსკიმ მიწერა გენერალ-მაიორ გრ. დადიანს, რათა მისდამი რწმუნებული რაზმის მეთაურობა დროებით სხვისთვის გადაეცა, თავათ კი ფარულად გამგზავრებულიყო სამეგრელოში ხალხთა მასების

---

[1] Р. Фадеев, „Шестьдесят лет...“, т. II, стр. 19,
[2] АКАК, т. XI, стр. 112.

დასარაზმავად. მასვე დაეევალა სამეგრელოს და ქვეყნის ყოველ კუთხეში შეერჩია და თავი მოეყარა საუკეთესო ცხენოსნებისათვის, ჩამოეყალიბებინა . მათგან ბრძოლისუნარიანი დამკვრელი რაზმები. უნდა აღინიშნოს, რომ გრ. დადიანმა წარმატებით შეასრულა თავისი საპატიო ამოცანა. მისმა მოწოდებამ მხურვალე გამოძახილი ჰპოვა მთელ სამეგრელოში. სულ მოკლე ხანში, 4—5 დღეში, გრ. დადიანმა შექმნა ცხენოსანთა რამდენიმე, საკმაოდ ძლიერი, რაზმი. სამეგრელოს პატრიოტები ალფრთოვანებით ეწერებოდნენ ამ სახალხო შენაერთებში[1]. ახლოვდებოდა გადამწყვეტი ბრძოლის მომენტი.

1855 წლის 10 ნოემბერს თურქეთის ავანგარდი ფერ-ჰად-ფაშას მეთაურობით მიადგა ცხენისწყალს. რაზმის პატრულები უკვე გამოჩნდნენ ამ მდინარის მარჯვენა ნაპირზე. ჩვენი მილიცია მამაცურად ეკვეთა თურქთა პირველ პატრულებს და უკუაჭცია ისინი.

თვით ომერ-ფაშა კორპუსის მთავარ ძალებთან ერთად დიდხანს ჯანგრძობდა უძრაველად დგომას მდ. ცივთან. მაგრამ აი, 20 ნოემბერს, დიდი ქარიშხალის დროს, მან სრულიად მოულოდნელად დასძრა წინ თავისი ჯარები, მიადგა მდ. ტეხურს და კორპუსი დაებანაკა მდინარის ორივე ნაპირზე. მთელი ექსპედიციის მთავარი შტაბი ომერ-ფაშამ დაბა სენაკში გადაიტანა. მტრის ბანაკს გამოცოცხლება დაეტყო. ინგლისელი ოფიცრები ჯგუფ-ჯგუფად თუ ცალ-ცალკე ფარულად მიმოდიოდნენ ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირზე და ახდენდნენ დაზვერვას. თვით ომერ-ფაშამ კი, მის ჯარებში გამეფებული უიმედობისა და სასოწარკვეთილების გაფანტვის მიზნით, იწყო თავისი ბანაკის შემოვლა; იგი ამხნევებდა ოფიცრებსა და ჯარისკაცებს, აღუთქვამდა მათ ჭუთაისის მალე აღებას და „მტრის საბოლოო განადგურების მომენტის მოახლოებას". უნდა ითქვას, რომ საგანგაშო ხმები ჭუთაისის მოსალოდნელი დაცემის შესახებ მალე გავრცელდა ჯარების

---

[1] АКАК, т. XI, стр. 112.

ბანაში და მოსახლეობაშიც, რამაც ქუთაისის ეაჭრებში დიდი
განგაში გამოიწვია[1].

არანაკლები დაძაბულობა არსებობდა გურია-სამეგრელოს საზღვრებზე, თურქების ქობულეთის რაზმი მუსტაფა-ფაშას მეთაურობით უალრესად გააქტიურდა. მიიღო რა მნიშვნელოვანი შეკვეთა, ბათუმ-ქობულეთის კორპუსი ომერ-ფაშას შემოსევის დროისათვის თავის შემადგენლობაში ითვლიდა: 18 ათას რეგულარულ ჭვეით შეომარს, 5 ათას ცხენოსანს და 16 ქვემეხს. გარდა ამისა გურიის საზღვრებზე განლაგებული იყვნენ მრავალრიცხოვანი ბაშიბუზუკები. თურქები, რომლებიც ფრიად მოხერხებულ პოზიციებზე განლაგდნენ ლეღვასა და ოჩხამურში, ომერ-ფაშასათვის მხარის დაჭერისა და ჩვენი ძალების დეზორგანიზაციის მიზნით, 1855 წლის შემოდგომაზე შეუდგნენ შეტევითი ოპერაციების გაშლას. გურიის მილიცია თურქეთის დარტყმებს გამანადგურებელი დარტყმებითვე უპასუხებდნენ.

გურულები ამავე დროს ერთი წუთითაც არ იკიწყებდნენ ომერ-ფაშას დროებითი ოკუპაციის უღელში მოქცეულ მოძმე სამეგრელოს მოსახლეობას. გურია-სამეგრელოს ლაშქრის შეერთებული რაზმები ზედიზედ აწყობდნენ ეფექტურ თავდასხმებს მტრის კოლონებზე. თავისი რეიდებით ოკუპანტების ღრმა ზურგში გურია-სამეგრელოს პარტიზანთა გაერთიანებული ჯგუფები დიდ მატერიალურ ზარალს აყენებდნენ მტერს, ანგრევდნენ მის კომუნიკაციებს, ასუსტებდნენ თურქების ბრძოლისუნარიანობას, არყევდნენ მათ საბრძოლო მორალურ დონეს. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი ასეთი თავდასხმის დროს გაერთიანებულმა რაზმმა, გენ. გრიგოლ დადიანის სარდლობით, ლამის ტყვედ ჩაიგდო თვით ომერ-ფაშა მის ამალასთან ერთად[2].

---

[1] АКАК, т. XI, стр. 149.

[2] ეს მოხდა 1855 წლის 18 ნოემბერს. გენერალ გრ. დადიანს აცნობეს, რომ ომერ-ფაშა თავისი შტაბითა და მცველებით დიბა სენაკში დასასვენებლად დაბანაკდაო. გენერალმა სასწრაფოდ შეკრიბა თავისი მფრინავი რაზმის ნაწილი, სასწრაფოდ გადალახა ცხენისწყალი და ჩორითით გაქანდა სენაკისაკენ. ეჭვი არ არის, რომ დადიანის შესანიშნავი გან-

რამდენიმე დღით ადრე აღნიშნულ შემთხვევამდე (15 ნოემბერს) ალექსანდრე ფალავამ შეიტყო, რომ თურქეთის საექსპედიციო კორპუსის შტაბის უფროსი ფერჰად-ფაშა ემზადებოდა ცხენისწყლის მარჯვენა სანაპიროს დაზვერვისათვის. ა. ფალავამ, რომლის რაზმი (60 კაცი) მარტოოდენ მისი გვარიშვილებისაგან, რჩეული მხედრებისაგან შედგებოდა, მოაწყო მოხერხებული ჩასაფრება გზის ნაპირას. დანიშნულ დროს, შებინდებისას, გზაზე გამოჩნდა ფერჰად-ფაშას საკმაოდ ძლიერი რაზმი. მოახლოებისთანავე მას ჩასაფრებული რაზმელები ძლიერი ცეცხლით შეხვდნენ. მალე გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა ხმლებითა და ხანჯლებით. მოულოდნელი დარტყმით შეძრწუნებული მოწინააღმდეგე უკუიქცა. ადგილზე დარჩა რამდენიმე მოკლული თურქი. მოკლულთა შორის აღმოჩნდა უბიხთა ცნობილი თავადი, შამილისა და მაჰმად-ემინის პირადი მეგობარი და მათი მეაბჯრე ჩუი[1]. ინგლისელი ოლიფანტი თავის დღიურებში ამ ეპიზოდებსაც უთმობს სათანადო ადგილს. იგი აღნიშნავს რომ ფერჰად-ფაშას ამალა („ბადრაგი") უმთავრესად ჩერქეზთაგან შედგებოდა. ფაშას ფხლებლები მოულოდნელი დარტყმის შედეგად ისე დარეტიანდნენ, რომ საკუთარი თავგზა აერიათ და თავიანთი ბატონი მისი ადიუტანტით ბედის ანაბარად მიატოვეს. ამ უკანასკნელებმა მხოლოდ შესანიშნავი ცხენების წყალობით შეძლესო თავის გადარჩენა[2].

დადგა გადამწყვეტი მომენტი. 1855 წლის 25 ნოემბერს,

ზრახვა — ანაზდად თავს დასხმოდა თურქეთის მთავარსარდალს და დეტაჭეებინა იგი, — წარმატებით იქნებოდა შესრულებული, მაგრამ მოღალატის ვერაგობამ ყველაფერი ჩაშალა. ქართველი ხალხის გამცემმა თავადმა პეტრე მხეიძემ, რომელსაც განდობილი ჰქონდა ეს გეგმა, მოახერხა დაწინაურება მოკლე გზით და აცნობა ომერ-ფაშას საბედისწერო საფრთხის შესახებ. ამ უკანასკნელმა ჩვენი რაზმის სენაკში შეჭრამდე სულ რამდენიმე წუთით ადრე მოახერხა ხელიდან გასხლტომოდა ქართველთა სახელოვან რაზმელებს (ЦГИАГ, ф. 1087., л. 44, л. 224; Там же, ф. 1087, д. 444, л. 4—5).

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 378, л. 39; тоже АКАК, т. XI, стр. 117, 189—190.

[2] L. Olifant. Jbid. p. 182.

ომერ-ფაშასთან ცხენით მიიჭრა ყულევის ნიასადგურის კომენდანტი და გადასცა მას ოფიციალური ცნობა ყარსის დაცემის შესახებ. ეს ცნობა, რომელიც ომერ-ფაშამ 10 დღის დაგვიანებით მიიღო, ცხადია, მოულოდნელი არ იყო მეომარი მხარეებისათვის.

როგორც აღინიშნა, ყარსის ციხის 17 სექტემბრის ფათერაკიანი იერიშის შემდეგ, გენ. მურავიოვმა კიდევ უფრო გააძლიერა ყარსის საალყო წესები. მტკიცედ გადაწყვიტა, რადაც უნდა დაჯღომოდა, შიმშილითა და ფიზიკური დაუძლურებით მიეღწიოთ ყარსის გარნიზონის უსიტყვო კაპიტულაციისათვის. მოსალოდნელი სუსხიანი ზამთრის ვითარებისათვის რუსთა სარდლობამ მიიღო საჭირო თავდაცვა. გენ. მურავიოვმა ბრძანება გასცა კარვების ნაცვლად და მათ ადგილებზე ჯარებისათვის აეგოთ ხის ბარაკები. ეს ბარაკები იმ დროში ნამდვილ სასწაულს წარმოადგენდა შიშველ ტრამალებზე. ბარაკებმა შეადგინეს სწორად გაანლაგებული სამხედრო ქალაქი, ფართო მილები წმენდდა ჰაერს და ინახავდა სითბოს ჯარისკაცთა სადგომებში, ხოლო ოფიცერთა საცხოვრებლები განათებული იყო მინებიანი ფანჯრებით. საარტილერიო და საკავალერიო ცხენები იმყოფებოდნენ თავლებში. რაც შეეხება კაზაკთა ცხენებს, ისინი დღედაღამეს პიკეტებში ატარებდნენ, მათ, თავიანთი ხშირბეწვიანობის წყალობით, არ ეშინოდათ მკაცრი ზამთრისა... უზარმაზარ ადგილებს ყოველდღე მოჰქონდათ სხვადასხვა ბანაკში სურსათ-სანოვაგე, ფურაჟი, შეშა. ჯარისკაცებმა ცხვრის რბილი ბეწვები ჩაიცვეს [1].

როცა ყარსის დაცემის ზოგიერთ გარემოებას ვეხებით, უმართებულო იქნებოდა გვერდი აგვევლო იმ დიდი როლისათვის, რომელიც ამ ისტორიულ საქმეში გენ. ბაკლანოვმა შეასრულა. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ყარსის ციხე 1955 წელს ფაქტიურად აიღო არა მთავარსარდალმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მურავიოვმა, არამედ

---

[1] АКАК, т. XI, стр. 255—256; тоже „Военный сборник", 1861, кн. 10, стр. 106.

გენერალმა იაკობ პეტრეს-ძე ბაკლანოვმა. აქედან ცხადი უნდა იყოს, თუ რამდენად დიდი ისტორიული ღვაწლი-ლობა დაუშვეს იმათ, ვინც გენ. მურავიოვს სრულიად დაუმსახურებლად მიაკერეს „მურავიოვ-კარსკის“ მაღალი ტიტული.

კაზაკთა გენერალი ბაკლანოვი ის კაცია, რომელმაც გამეფებული პირმოთნეობისა და მლიქვნელობის ატმოსფეროში, 1855 წლის სექტემბერში პირველმა გაბედულად გაილაშქრა მთავარსარდლის გენ. მურავიოვის სარისკო მოქმედების წინააღმდეგ, დასაბუთა იერიშის დამლუპველობა. მისი სიმართლე მთლიანად დადასტურდა 1855 წლის 17 სექტემბერს. გენ. ბაკლანოვს ყოველმხრივ გზას უხშობდნენ, გასაქანს არ აძლევდნენ (სამხედრო საბჭოშიაც კი მას ყოველთვის როდი იწვევდნენ), მაგრამ მისთვის, ჭეშმარიტი რუსი მებრძოლისათვის, არ არსებობდა პირადი ანგარიშები... და აი, სულ მალე, ბაკლანოვი, კაზაკთა გენერალი, ყარსის ალყის ხელმძღვანელი ამ ალყის ნამდვილი სულისჩამდგმელი გახდა. მისმა და მისი საპატიო რაზმების ხშირბეწვებიანმა ცხენებმა არ იცოდნენ რა იყო თოვლი, რა იყო სითბო და დასვენება. გენ. ბაკლანოვმა რკინის მარყუჟში მოაქცია ყარსის ციხე, საკუთარი გადაკეტა გარემოცული გარნიზონის ურთიერთობის ყოველგვარი არხები და საშუალებანი გარე სამყაროსთან- რუსთა ბლოკადამ, როგორც აღნიშნავს დამსწრე, „ყელში წაუჭირა თურქეთის არმიას“. რკალში მოქცეულ გარნიზონს და ჯარს დიდი ხანია გამოელია სურსათი, არ გააჩნდათ სასმელი წყალი (წყაროები და მდინარე გაიყინა), მათ ხელი დარია ეპიდემიებმა, თურქეთის ჯარისკაცები ყოველდღიურად ასობით და თითქმის ათასობითაც კი იღუპებოდნენ. ამავე დროს, მათთვის გარედან დახმარების ყოველგვარი იმედი გაჭრა; ისიც ცხადი გახდა, რომ ომერ-ფაშას ე. წ. „დამხმარე კორპუსი“ საბოლოოდ ჩაეფლო კოლხეთის ჭაობებში და მისი დახმარების იმედიც გადაიწურა. ომერ-ფაშას მხოლოდ ისღა დარჩენოდა, რომ ეოცნება მარტოოდენ თავისი თავისა და მისი ძლიერ ნაგვემი კორპუსის ნაშთების გადარჩენაზე. შექმნილი მდგომარეობა აიძულებდა მას გადაედგა სათანადო ნაბიჯი.

1855 წლის 12 ნოემბერს ყარსის ციხე-სიმაგრის, გარნიზონის უფროსმა მუშირ ფასიფ-ფაშამ და ინგლისელ-ფრანგ-რალმა ვილიამსმა უკვე მიიღეს საბოლოო გადაწყვეტილება. იმავე დღეს თურქთა გარნიზონის პარლამენტიორები რუსთა კორპუსის მთავარსარდლობის ბანაკში ფამოცხადდნენ დიდი თეთრი ალმით, დაიწყო მოლაპარაკება.

1855 წლის 14/26 ნოემბერს, ამ ისტორიულ დღეს, ყარსის ციხე-სიმაგრის მთელმა გარნიზონმა ერთხელ კიდევ მოიხარა ქედი რუსეთის ძლევამოსილი იარაღის წინაშე. ორი დღის შემდეგ გამარჯვებული კორპუსის მთავარსარდალი თავის „ყოველად უმაღლესი მოხსენებაში" წერდა: „ღვთის წყალობითა და თქვენი კურთხევით აღსრულდა საქმე ჩვენი. ყარსი უკვე თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის ფერხთქვეშაა განრთხმული.

დღეს ნაგებობდა შიმშილითა და გაჭირვებით დაუძლურებული მცირე აზიის ციხე-სიმაგრის გარნიზონი. ჩვენთან ტყვედ იმყოფება ანატოლიის 30 ათასიანი გამჭრალი არმიის მთავარსარდალი თვით მუშირი ფასიფ-ფაშა. მის გარდა 8 ფაშა, შტაბის ოფიცრობა და უფროსი ოფიცრების მთელი შემადგენლობა, მათთან ერთად, ინგლისელი გენერალი ვილიამსი თავისი შტაბით, ჩვენ გადმოგვეცა - 130 ქვეშევრდომი და მთელი შეიარაღება.

პატივი მაქვს დავბარო თქვენი იმპერატორობით უდიდებულესობის ფერხთა წინაშე თურქთა პოლკების 12 დროშა, ყარსის საციხოვნო ალამი და ციტადელის გასაღები"[1].

ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ანატოლიის არმიის შემადგენლობაში ყარსის დაცემის დღეს ითვლებოდა სულ 18.400 კაცი. მათ შორის რეგულარულ ქვეით ჯარში შედიოდნენ ანატოლიისა და არაბისტანის კორპუსის ნაშთები, საარტილერიო ქვეით ნაწილში ითვლებოდა საიფი-საპე, კეალერია, არტილერია და მილიცია; 3 ათასამდე კაცი შეადგენდა რედიფის ქვეით ნაწილებს. იმ უწყებების მიხედვით, რომლებიც რუსთა სარდლობამ ჩაბარა თურქებისაგან,

---

[1] АКАК, т. XI, стр. 152.

ყარსის ჰოსპიტლებში იმყოფებოდნენ გაჯანსაღების გზაზე დამდგარი საკმაოდ მრავალრიცხოვანი მძიმე ავადმყოფები და სანიტარული პერსონალი[1].

რუსული ტრადიციის შესაბამისად, გამარჯვებული კორპუსის მთავარსარდალმა გამოიჩინა საჭირო ტაქტი და სულგრძელობა დამარცხებულთა მიმართ. უწინარეს ყოვლისა, ტყვე ოფიცრებს დაუტოვეს ცივი იარაღი (ხმლები); გარდა ამისა გენ. მურავიოვმა განკარგულება გასცა ტყვეობიდან გათავისუფლებიათ „უცხო წარმოშობის" (პოლონელი და უნგრელი) ოფიცრები და მოხელეები, რომლებიც მონაწილეობდნენ ომში რუსეთის წინააღმდეგ. ჩვენმა სარდლობამ საჭიროდ ჩათვალა ჩამოერთმია მათთვის მხოლოდ ხელწერილები იმის შესახებ, რომ ისინი არ მიიღებენ მონაწილეობას მომავალ სამხარ ოპერაციებში რუსეთის წინააღმდეგ. ამ კატეგორიის რამდენიმე ათეული პირი რუსებისადმი მადლობის გრძნობით მალე გრუნდებოდა უკან თურქეთის დედაქალაქისაკენ[2]. ისტორიულმა დოკუმენტებმა მკაფიოდ ასახეს ხანგრძლივი ალყით ქანცგაწყვეტილი ქალაქის მშვიდობიანი მოსახლეობის, დაჭრილ-დაავადებული თურქებისა და ტყვედ ჩავარდნილი რიგითი ჯარისკაცების მიმართ რუსთა კულტურული დამოკიდებულების მრავალი ფაქტი.

ყარსის ციხის, ქალაქ ყარსისა და ფაშალიყის ტერიტორიის მოპირდაპირე მხარეთა მიერ შიღება-ჩაბარების გაფორმების შემდეგ, დატყვევებული თურქებისა და ინგლისელთა უმაღლესი სამხედრო სარდლობის წარმომადგენლები განსაკუთრებული ბადრაგით გაგზავნეს თბილისში. კავკასიის კორპუსის მთავარსარდალი და მეფისნაცვალი სპეციალურ ბრძანებაში მხურვალედ ულოცავდა კავკასიის კორპუსის გენერალიტეტს, ოფიცრებსა და ჯარისკაცებს მტერზე ბრწყინვალე გამარჯვებას, აღნიშნავდა ყარსის, მცირე აზიის ამ მტკიცე ბასტიონის, განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და რუსეთის იარაღის უძლეველობას. „თქვენი სისხლისა და თქვე-

---

[1] АКАК, т. XI, стр. 152. ЦГИАГ, ф. 11, д. 2502, л. 202.
[2] АКАК, т. XI, стр. 151.

ნი შრომის წყალობით, — აღნიშნავდა გენ. მურავიოვი, — მცირე აზიის ციხე-სიმაგრე ჩვენს ფერხთაა განრთხმული, ტუ-
ლეთის ალამი ფრიალებს ყარსის კედლებზე. გაქრა ანატო-
ლიის 30 ათასიანი არმია. ტყვედ გვყავს მთავარსარდალი
ყველა მისი ფაშითა და ოფიცრით, თავდაცვის ხელმძღვანე-
ლი ინგლისელი გენერალი მისი შტაბით". დასასრულ, მთა-
ვარსარდალი ბრძანებაში ერთხელ კიდევ აღნიშნავდა თავისი
ოფიცრებისა და ჯარისკაცების საგმირო საქმეებს და ასა-
ხელებდა იმ მნიშვნელოვან სამხედრო დავლას, რომელიც
თვალსაჩინოდ „გაამდიდრებს ჩვენს არსენალებსო". გენ. მუ-
რავიოვი, ბოლოს მოუწოდებდა თავის ჯარს ახალ-ახალი
გამარჯვებისაკენ მტერთან ბრძოლაში [1].

ყარსის დაცემის ცნობამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახ-
დინა მთელ მსოფლიოზე. თვით ამ ფაქტს განსაკუთრებული
გავლენა უნდა მოეხდინა აღმოსავლეთის ომის მთელ ბედზე-
ც ასევე მოხდა. „ყარსის დაცემა, — წერდა კარლ მარქსი, —
წარმოადგენს შეტრიალების პუნქტს... ომის ისტორიაში.
ყარსის დაცემის გარეშე არ იქნებოდა ხუთი პუნქტი, არ იქ-
ნებოდა კონფერენცია, არც პარიზის ხელშეკრულება, ერთი
სიტყვით არ იქნებოდა... ზავი" [2].

აკადემიკოსი ტარლე თავის კაპიტალურ გამოკვლევაში
მკაფიოდ აღნიშნავს, რომ ყარსის დაცემამ, ერთი მხრით,
დიდად დაეჩქარა აღმოსავლეთის ომის დამთავრება, ხოლო,
მეორე მხრით, უაღრესად დიდი დახმარება აღმოუჩინა რუ-
სეთის დიპლომატიას, გაეძლიერა მისი პოზიციები პარიზის
საზავო კონფერენციაზე [3]. საკვლევით უდავოა, რომ ქალაქი
ყარსი, მისი ციხე-სიმაგრე და სხვა მნიშვნელოვანი ტერი-
ტორიები, რომლებიც გამარჯვებული რუსეთის ხელში გა-
დავიდა, მნიშვნელოვანი არგუმენტი აღმოჩნდა რუსეთის დიპ-
ლომატიისათვის საზავო მოლაპარაკების დროს პარიზში.

გენ. მურავიოვი და, საერთოდ, ადგილობრივი სარდლობა

---

[1] АКАК, т. XI, стр. 159.
[2] К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. X, стр. 551.
[3] Е. Тарле „Крымская война", т. II, стр. 401.

სწორად ეარაუდობდნენ, რომ ყარსის გადასვლა რუსეთის ხელში ჭეშმარიტად მოიყვანდა სპარსეთის აგრესიულ წრეებსაც ზოლოს მოუღებდა მათ ორჭოფულ პოლიტიკას და იმპერიალისტებს რუსეთის მიმართ, დაამშვიდებდა და თავის კალაპოტში ჩააყენებდა ამიერკავკასიის საზღვრებიც გასწვრივ მცხოვრებ მუსლიმანობას (ქურთებსა და სხვა ტომებს)[1].

ყანდარმთა გენერალ-მაიორმა იურიევმა თავისებურად შეაფასა რუსი მხედრობის მიერ ყარსის ციტადელის აღების ფაქტი. თავის ერთ-ერთ მოხსენებაში, რომელიც მან თბილისიდან ყანდარმთა კორპუსის მთავარ შეფს გრაფ ორლოვს გიუგზავნა, სხვათა შორის, წერდა: „ყარსის დაცემას უდიდესი მნიშვნელობა აქვს აქაური მხარისათვის. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იგი (ყარსის დაცემა — ე. ბ.) ყველაზე დამაჯერებლად განუმარტავს თურქეთს დასავლეთის სახელმწიფოებთან კავშირის სრულ უსარგებლობას"[2].

ძნელია იმის ზუსტად დადგენა, თუ რა განწყობილება დაეუფლა ომერ-ფაშას, როცა მან მიიღო ცნობა ყარსის დაცემის შესახებ. მაგრამ თუ კარგად გავითვალისწინებთ მის საერთო არასახარბიელო მდგომარეობას სამეგრელოში, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ანატოლიიდან მიღებული ცნობა მას თუ დიდ სიხარულს არა, დიდ უსიამოვნებას მაინც არ მოგვრიდა. დადგა ისეთი მომენტი, როცა თურქეთის სარდალს ალარ შეეძლო წინ წაწევა, არც ადგილზე გაჩერება. ზუსტად, რომ ითქვას: იგი ჩიხში მოექცა ომერ-ფაშას ისლა დარჩენოდა, რომ თავისი „რენომეს" შესანარჩუნებლად „საპატიო" საბაბი მოენახა და უკანვე გაექცეულა. ასეთ საბაბად მისთვის ყარსის 30 ათასიანი გარნიზონის ტრაგედია გახდა.

ყარსის გარნიზონის კაპიტულაციის ცნობის მიღებისთანავე ომერ-ფაშამ სასწრაფოდ, დროის დაუკარგავად, გასცა განკარგულება საექსპედიციო ჯარების საერთო უკანდახევის შესახებ. მისი გადაწყვეტილება უდავოდ ლოგიკური და

---

[1] АКАК, т. XI, стр. 159.

[2] ЦГИАГ, 1 эксп. д. 23, л. 56.

ქანონზომიერი იყო. მაგრამ, ამასთან, თავისი მოქმედებით, მან საბოლოოდ დაადასტურა თავის წინასწარდასახულობანი სრული გაკოტრებაც. სამეგრელოს ამბების მნახველი და ომის თანამედროვე კ. ბოროზდინი სამეგრელოდან თურქეთის საექსპედიციო არმიის უკანდახევას საკუთარი ბუნებრივად თვლიდა, კ. ბოროზდინის სიტყვებით, ეს უკანდახევა, უწინარეს ყოვლისა, იმან გამოიწვია, რომ „ლაშქრობის მიზანი — გენ. მურავიოვის ჩამოცილება ყარსის ბლოკირებისაგან — ვერ იქნა მიღწეული. მაგრამ, მეორე მხრით, უკანდახევა გამოწვეული იყო იმ გარემოებითაც, რომ თვით ბეგუნის შიგნით მან (ომერ-ფაშამ — ე. ბ.) ყოველგვარი ცდების მიუხედავად, ვერ შესძლო კავშირის დამყარება მოსახლეობასთან, ვერ გადაიბირა ხელისუფალნი (ადგილობრივი მთავრები — ე. ბ.) თავის მხარეზე[1]. ამ სიტყვებს წერდა ცარიზმის საკმაოდ თვალსაჩინო მოხელე, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის პატრიოტული აღზევებისა და ოკუპანტების წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლის ცოცხალი მოწმე გახდა.

ომერ-ფაშას გადაწყვეტილება სამეგრელოს დატოვების შესახებ ნიშნავდა არა მარტო თურქების დაპყრობითი გეგმების ჩაშლას, იგი მოასწავებდა აგრეთვე ინგლისელ და ფრანგ კოლონიზატორთა მუხანათური ვარაუდების გაკოტრებას საქართველოსა და ამიერკავკასიაში. უსახელოდ და საბარეხვინოდ დამთავრდა მტრების მიერ ფართოდ მოფიქრებული ავანტიურა, რომელსაც „ბრწყინვალე მომავალს“ უწინასწარმეტყველებდა იმ დროის დასავლეთ ევროპის გამყიდველი ბურჟუაზიული პრესა. ყარსის დაცემა და ომერ-ფაშას არმიის უკანდახევა ამავე დროს მოასწავებდა მკვეთრ მობრუნებას ომის შემდგომ განვითარებაში. ორივე ეს მოვლენა თავისი ხასიათითა და შინაარსით შორს გასცილდა ადგილობრივ მასშტაბებს და იმ დროის დიდად მწვავე საერთაშორისო სამხედრო-პოლიტიკურ პრობლემად იქცა.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა, რომლებმაც ღრმა შეფასება

---

[1] К. Бороздин, „Закавказские воспоминания“, стр. 61.

მისცეს რუსების მიერ ყარსის აღებას, ამავე დროს დაუზრგავად ამხილეს ინგლისის პრესის მკვეხარობა. მარქსი მეუთითებდა, რომ ყარსის დაცემით „მთავრდება რუსების შესამე ბედნიერი კამპანია აზიაში: ყარსი და მისი ოლქი დაპყრობილია; სამეგრელო გათავისუფლებულია მოწინააღმდეგისაგან; უკანასკნელი, — თურქეთის არმიის რაზმი ომერ-ფაშას არმიიდან, — მნიშვნელოვნად დაუძლურებულია რიცხობრივად და მორალურად... და თუ ამ წარმატებებსა და დაპყრობებს დაეუპირისპირებთ იმ ფაქტს, რომ მოკავშირეებმა დაიკავეს სევასტოპოლის სამხრეთი ნაწილი, ქერჩი, კინბურნი, ევპატორია და ჩერქეზეთის რამდენიმე პორტი, ცხადი გახდება, რომ მოკავშირეების მიღწევები არც ისე დიდია, რათა გამართლებულ იქნას ინგლისის პრესის ბაქიობა“ [1]. კ. მარქსი, მიუთითებს რა სამხარი კამპანიის ბრწყინვალე მსვლელობაზე ამიერკავკასია-თურქეთის ფრონტზე, აღნიშნავს მის უდიდეს მნიშვნელობას ომის საერთო მსვლელობისათვის. აქედან ცხადია, რომ მარქსისათვის არ შეიძლებოდა უცნობი ყოფილიყო, რუს მოძმე ჯარებთან ერთად, ქართველი ხალხის შეურიგებელი ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ, რამაც დიდად დააჩქარა ომერ-ფაშას და მისი ევროპელი ბატონების-ინგლის-საფრანგეთის აგრესორების ვერაგული გეგმების ჩაშლა.

ყარსის კაპიტულაციით და სამეგრელოდან ომერ-ფაშას საექსპედიციო ჯარების საერთო უკანდახევით სამხარი მოქმედება კავკასია-თურქეთის საზღვრებზე თავის დასასრულს უახლოვდებოდა. ამასთან ერთად, ჩვენი ჯარებისათვის იქმნებოდა თითქმის განუსაზღვრელი შესაძლებლობანი აქტიური შეტევითი ოპერაციების წარმოებისათვის მცირე აზიის სიღრმეში.

მაგრამ ამ დიდი სტრატეგიული ნახტომის გაკეთებამდე და მისთვის ნიადაგის მოსამზადებლად აუცილებელი იყო ომერ-ფაშას ჯარების გადაყრა ზღვაში, ჩვენი მიწა-წყლის საბოლოოდ გაწმენდა მტრის ურდოებისაგან. პირველი რი-

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. X, стр. 591.

გის ამოცანას წარმოადგენდა ქვეყნის ცოცხალი ძალების თავმოყრა და დარაზმვა დამკვრელ რაზმებად, ცხენისყუნელ მფრინავ პარტიზანულ ჯგუფებად, უკანდახეული მტრის შეფერხებელი დევნა-შევიწროება, სისტემატური და გამანადგურებელი თავდასხმები მტრის ფლანგებზე და მის ზურგში, რათა უკან დახევა თურქებისათვის ნამდვილ ებედურებად და კატასტროფად გადაქცეულიყო.

კავკასიის მთავარსარდლობას კარგად ესმოდა მის წინაშე მდგარი ამოცანები, მაგრამ კოლხეთის ბუნებრივ-კლიმატური პირობები დიდად აბრკოლებდა სარდლობის განკარგულებაში მყოფი ძალებისა და საშუალებების ეფექტურად გამოყენებას. შეუჩერებელი კოკისპირული წვიმებით გამოწვეულმა წყალდიდობამ და გაუვალმა ტალახმა დიდად შებოჭა რეგულარული ჯარების მოძრაობა. ისინი თითქმის მოკლებული იყვნენ საშუალებას გადაელახათ ცხენისწყალი და დაახლოებოდნენ მტერს საბრძოლო დისტანციით. ადრე დაწყებულმა ზამთარმა მწყობრის ჯარებისათვის შეუძლებელი გახადა ფართო შეტევითი ოპერაციები, უკიდურესად გააძნელა სურსათ-სანოვაგისა და საჭურველის გადაზიდვა. ამას დაემატა ისიც, რომ გენ. ბაგრატიონ-მუხრანსკის მიერ სურსათ-სანოვაგის საწყობების დაწვის გამო, თითქმის გურიის რაზმის მთელი შემადგენლობა უსურსათოდ რჩებოდა. ეს გარემოება დიდ სიძნელეს უქმნიდა რეგულარულ ჯარებს. უსპობდა მათ რეალურ შესაძლებლობას საგრძნობლად დაშორებოდნენ ქუთაისს და გაეშალათ საშეგრელოში ძლევამოსილი ოპერატიული მოქმედება მტრის წინააღმდეგ.

სურსათის საწყობების განადგურების საქმეში გენ. ბაგრატიონ-მუხრანსკის მოქმედების გამორკვევა მინდობილი ჰქონდა გენ. ბებუთოვს, რომელიც იმ დროს გურიის რაზმში იმყოფებოდა. ამის გამო თავის მოხსენებით ბარათში გენ. ბებუთოვი წერდა: „28 და 29 ოქტომბერს თავ. ბაგრატიონ-მუხრანსკემ მოახდინა უკანდახევა და ამავე დროს ცეცხლს მისცა ხეთაში სურსათ-სანოვაგის მაღაზია. 5 ნოემბერს ხან-

ძარს მისცეს აგრეთვე ტეხურის სანოვაგის მაღაზია. 14—15 ნოემბერს ხანძარმა შთანთქა აკეთისა და მარნის სურსათ-სანოვაგის ვეებერთელა მაღაზიები. ყველა მაღაზიაში განადგურებულია 18.500 ჩეტვერტი[1] პური. მთელი გურიის რაზმში პურის მარაგი რჩება მარტოოდენ ქუთაისის მაღაზიაში (სულ. 10.000 ჩეტვერტი). ეს ძალიან მაწუხებს და უდიდეს დაბრკოლებას მიქმნის"[2]. აქედან გასაგებია, რომ შექმნილი მძიმე ვითარების გამო გენ. ბებუთოვი სრულიად შეუძლებლად სცნობდა დაედეენებინა რაზმის მთავარი ძალები გაქცეული მტრის კვალდაკვალ, გაემართა მისთვის გადამწყვეტი ბრძოლა. პირიქით, მან განკარგულება გასცა მოეთავსებინათ რეგულარული ჯარები საზამთრო ბარაკებში, რომლებიც განლაგებული იყო ცხენისწყლისა და ქუთაისს შორის.

გენ. ბაგრატიონ-მუხრანსკი თბილისში გაიწვიეს. გურიის რაზმის სარდლობა დროებით გენერალ-მაიორ ბრუნერს ჩაბარეს[3].

უკანდახეული მტრის კოლონების დევნისა და მათთან გადამწყვეტი ბრძოლების სიმძიმე უმთავრესად ადგილობრივ მოსახლეობას და რუსეთის რეგულარული ჯარის ერთგულ თანაშემწეს — ჩვენს სახალხო მილიციას დაეწვა

---

[1] ჩეტვერტი — ხორბლეულის საწყაო, წონის საზომზე გადატანით ფდრის: შეავი — 9 ფუთს, შერია — 6 ფუთს.

[2] АКАК, т. XI. стр. 152—153.

[3] გენ. ბებუთოვის მოხსენებით ბარათზე გენ. მუტრაეიოვმა შემდეგი წარწერა გააკეთა: „არის თუ არა აუცილებლობა დაეტოვოთ ჯარები ისეთ ეფროსის განკარგულებაში, რომელიც ანადგურებს მათი მომარაგების საშუალებებს? გამოგიტყდებით, რომ ყერყერობით დარწმუნებული არა ვართ ხეთისა და ტეხურის მიტოვების და იქ სურსათ-სანოვაგის დაწვის აუცილებლობაში. რისთვის დასწვა თავ. მუხრანსკიმ მარნის მაღაზია წინასწარ და ასე აჩქარებულად — სრულიად არ მესმის.

ამ მიზეზებით, მე გაბედვით შეგვეცალა თავ. მუხრანსკი სხვა ეფროსით (АКАК, ტ. XI, გვ. 158).

საფიქრებელია, რომ გენ. ბაგრატიონ-მუხრანსკის ჩოქმედებას განსაზღვრავდა სათმარი ვითარების ფრიად რთული პირობები. ვიდრე ეს პირველი შეხედვით მოეჩვენება ადამიანს, მაგრამ ასეთი დახლართული საკითხები, ჩვენი აზრით, სპეციალურ განხილვას საჭიროებს.

ზხრებზე. კავკასიის კორპუსის მთავარსარდალი გენ. მურ-
ავოვი თავის მოხსენებაში საომარ მინისტრს მოახსენებ-
და, რომ თურქეთის საექსპედიციო კორპუსის წინააღმდეგ
მოქმედება საქართველოში ბუნებრივ-კლიმატური პირობების
გამო მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივ მილიციას და პარ-
ტიზანთა რაზმებს შეუძლიათო, რაც შეეხება რეგულარულ
ჯარის ნაწილებს — ისინი მოკლებულნი არიან შესაძლებლო-
ბას გაშალონ საომარი ოპერაციები[1].

მთელი საქართველო და გურია ბრძოლის ერთიან განუ-
ყოფელ ასპარეზად იქცა. გაჩაღდა შეუპოვარი საკვადრო-
სასიცოცხლო ბრძოლა მტრის წინააღმდეგ. საქართველოს მი-
ლიციის მფრინავი რაზმები დადიანისა და შერვაშიძის მეთა-
ურობით ხან აქ და ხან იქ, მოულოდნელად და გრიგალივით
ატყდებოდნენ თავს თურქთა დეზორგანიზებულ კოლონებს,
არღვევდნენ მტრის კომუნიკაციებს, დაუზოგავად სპობდნენ
მის ოფიცრებსა და ჯარისკაცებს. მთელი საქართველოს მოსა-
ხლეობა აქტიურად ჩაება ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლა-
ში. ამან თავზარი დასცა, როგორც ომერ-ფაშას, ისე მის
ევროპელ მბრძანებელთ. ინგლისის წარმომადგენელი ფ. ლონ-
გვორტი შეეცადა მუჭარის გზით შეენელებინა დამპყრობთა
წინააღმდეგ აზვირთებული ხალხური რისხვა.

თავის ერთ-ერთ წერილში ფ. ლონგვორტი ეკატერინე
დადიანს სწერდა იმ „არევ-დარევისა" და დაძაბული მდგომა-
რეობის შესახებ, რომელმაც საქართველოში „უკანასკნელ
დროს უკიდურეს საზღვარს მიაღწია". იგი საჭიროდ თვლის
გააფრთხილოს კნეინა, რომ ასეთი მდგომარეობის განგრძობა
აიძულებს ომერ-ფაშას უკიდურეს ზომებს მიმართოს. მაგრამ
გამოუცალი მდგომარეობით გამხეცებული თურქეთის „სარ-
დარ-ეკრემი" დიდი ხნით ადრე შეუდგა „უკიდურესი ზომე-
ბის" განხორციელებას. უკანდახევის დროს მან განკარგულე-
ბა გასცა წინასწარ გაეძარცვათ დადიანების საკუთრება
მდიდარი სასახლე და შემდეგ ნაცარტუტად ექცეთ იგი,
მთელი დაბა ზუგდიდი გადაბუგეს, გაჩეხეს ეკატერინე და-

[1] АКАК, т. XI, стр. 250; Тоже, ЦГВИАМ, д. 5866, л. 40.

დიანის მიერ შექმნილი ფრიად შესანიშნავი, თითქმის უნიკალური პარკი, ხანძარმა შთანთქა მთელი რიგი სოფლები, თავადების სახლები და გლეხთა ქოხები. თურქმა ბარბაროსებმა საშინლად დაარბიეს და გააპარტახეს მთელი სამეგრელო[1].

დამპყრობთა მტაცებელურმა მეთოდებმა და მხეცობამ კიდევ უფრო გააძვინეარა ხალხი, უფრო გააკეა მისი ნებისყოფა. როგორც მეთვალყურე მიუთითებდა, „მოსახლეობამ, რომელიც იცნობს ყველა ბილიკსა და გასასვლელს, ჭაობებსა და ტყეებში, პირდაპირ ნადირობა გამართა შემოჭრილი მტრის ურდოების წინააღმდეგ. თურქი დამპყრობლები კი, როგორც გარეული მხეცები, უსახელოდ და სამარცხვინოდ ილუპებიანო ტყეებსა და ღრეებშიო"[2]. სამეგრელოს, გურიისა და იმერეთის მილიციის სახელოვანი რაზმები გრ. დადიანის მეთაურობით მთელი ზამთრის განმავლობაში არ ასვენებდნენ თურქებს, სპობდნენ, ანადგურებდნენ და აძაბუნებდნენ მათ მატერიალურად და მორალურად.

1855 წლის 2 დეკემბერს, ღამით, მეგრელების ძლიერმა ცხენოსანთა რაზმმა თავ. გრ. დადიანის მეთაურობით, შეუსვენებელი ჭენებით გაიარა 75 ვერსი და, თურქებისათვის სრულიად მოულოდნელად, ზუგდიდის ახლოს გაჩნდა. მეორე დილით, მეგრელების რაზმი ანაზდად გამოიჭრა ჩასაფრებიდან და გრიგალივით დაატყდა თავს ზუგდიდში მყოფ თურქთა ჯარებს. თავზარდაცემული მტერი დაიბნა.. მისი ერთი ნაწილი სასწრაფოდ იქნა მოსპობილი მილიციის მიერ, მეორე ნაწილმა კი მოასწრო სახლებში შემალვა და იქიდან გაიჩაღა ჯვარედინი ცეცხლი რაზმელების წინააღმდეგ. ქვეითად მოქმედ მოლაშქრეებს უხდებოდათ თითოეული სახლის ეერიშით აღება. ყველაზე ცხარე შეტაკებას, გენ. შურაევოვის ცნობით, ადგილი ჰქონდა ერთ-ერთ ორსართულიან ყაზახანაში. თავ. აფაქიძეები, რომლებსაც ყაზახანაში მომწყვდეულ თურქებთან ბრძოლაში მთლიანად გამოელიათ ტყვია-წამალი, ხელჩართულ იერიშზე გადავიდნენ. ხმალდახმალ სასტიკი შეგმის

[1] Газ. „Кавказ", 1856, № 17.

[2] Тамже.

შედეგად შენობის შიგნით მათ თითქმის ყველა თურქი მოსპეს. მალე მთელი ზუგდიდი თითქმის მთლიანად იქნა გაწმენდილი თურქებისაგან. გადარჩნენ მხოლოდ ისინი, რომლებიც კნეინა ეკატერინე დადიანის სასახლეში იყვნენ თავშეფარებულნი. ამ დივერსიის დროს გრ. დადიანის რაზმმა დაკარგა სულ ასამდე მებრძოლი. მოწინააღმდეგემ მარტო მოკლულთა სახით ორჯერ მეტი დაკარგა. გარდა ამისა, დაჭრილ იქნა მტრის 300-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, ტყვედ წამოიყვანეს 50-მდე კაცი. ჩვენი რაზმის დაკლას შეადგენდა დიდი რაოდენობის იარაღი, ცხენები, სხვადასხვა სახის ინგლისური საქონელი და სხვა[1].

ამ ფრიად გაბედულმა და გამარჯვებით დაგვირგვინებულმა რეიდმა მტრის ღრმა ზურგში, სადაც ჯერ კიდევ ომერფაშას მთავარი ძალები იმყოფებოდნენ, ძლიერ შეაშფოთა მოწინააღმდეგე. თავდასხმების განმეორების შიშით, სეეფსპედიციო კორპუსის სარდლობამ იწყო ახალი ჯარების თავმოყრა ზუგდიდთან. მაგრამ მტრის შიში ამ მხრივ უსაფუძვლო იყო. გრ. დადიანი, ზუგდიდში გამარჯვების შემდეგ, თავისი ტყვეებითა და საომარი ალაფით, სასწრაფოდ გამობრუნდა უკან და შეუერთდა გურიის რაზმის მთავარ ძალებს, რომელთა ხელმძღვანელად ჯერ კიდევ გენ. ბაგრატიონ-მუხრანსკი ითვლებოდა.

1855 წლის 11 დეკემბერს საქართველოსა და იმერეთის შეერთებულ რაზმებს გრ. დადიანის სარდლობით კვლავ მოუხდათ მეტად სასტიკი ბრძოლის გადახდა მოწინააღმდეგის უძლიერესი კოლონების წინააღმდეგ. მიუხედავად მტრის ძალთა დიდი სიჭარბისა, თურქებმა მნიშვნელოვანი ზარალი ნახეს და უკუიქცნენ[2].

ჩიხში მომწყვდეული მოწინააღმდეგე სასოწარკვეთილი აქეთ-იქეთ აწყდებოდა, გამოსავალს ეძებდა. თურქთა სარდლები ხან დიპლომატიური გზით, ხანაც მუქარით ცდილობდნენ თავი ეხსნათ სრული კატასტროფისაგან, მაგრამ ისინი

---

[1] ЦГИАГ, ф. 1087, п. 449, л. 113.
[2] АКАК, т. XI, стр. 190.

ყოველთვის ტრაგი-კომიკურ მდგომარეობაში ცვიოდნენ, ამ მხრივ გარკვეულ ინტერესს იწვევს მიმოწერა, რომელშიც ადგილი ჰქონდა ისკანდერ ფაშასა და სამეგრელოს სუფლებს — აფაქიძეებს შორის.

1856 წლის იანვრის დასაწყისს უკე უფსკრულს მიახლოებულმა ომერ-ფაშას ერთ-ერთმა მეაბჯრემ, ისკანდერ-ფაშამ გადაწყვიტა სპეციალური წერილით გაეგებინებინა თავადი აფაქიძეებისა და მათთან ერთად „ხობისა და მახაშის ყველა მცხოვრებნი". ეფიცად და უწიგნურად შედგენილ თავის ბარათში ისკანდერ-ფაშა ტლანქი მრისხანებით იწვევს თავისთან აფაქიძეებს და თან ომერ-ფაშას სახელით აღუთქვამს, აპატიოს მათი „კეთილი მოქმედებანი". ფაშა ამავე დროს ემუქრება თავადებს, რომ გამოუცხადებლობის შემთხვევაში მათი ქონება და მამულები განადგურებული იქნებოდა. ეს, ფაშას ამ კერძოზული წერილის შინაარსიც: „ხობის და მახაშის ყველა მცხოვრებს, თავად აფაქიძეებს. მე მოვსულვარ ამ ქვეყნის დასაპყრობად და არა სარბევად. მაგრამ, როგორც ჩანს, უეჭველია, თქვენ მე მიმხედრებთ თქვენს წინააღმდეგ და ამიტომაც გიბრძანებთ, გამოცხადდეთ ჩემთან ზუგდიდში სამი დღის ვადაში თქვენი დანაშაულის პატიებისათვის (! — ე. ბ.), რომელიც ჩემ მიერ უსათუოდ იქნება, ნაპატიები თქვენდამი. მაგრამ უკე თუ თქვენ არ ინებებთ მობრძანებას, მაშინ ამ სამი დღის შემდეგ მე უსათუოდ ვიქნები თქვენთან და თქვენ ვალდებული იქნებით იბრძოლოთ ჩემთან"[1].

აფაქიძეების საპასუხო წერილი განრისხებულ ფაშასადმი აღსავსეა გესლიანი იუმორით, მხიარული, მოსწრებული ჭკუამახვილობით და მომაკვდინებელი სარკაზმით. თავ. აფაქიძეები, თავიანთ გესლიან ისარს უმიზნებენ არა მარტო სიბრიყვისა და სიჩლუნგის განსახიერებას — ისკანდერ-ფაშას, არამედ მის გოროზ ბატონს — ომარ-ფაშასაც. აფაქიძეების საპასუხო წერილი შემდეგნაირად იწყება: „მოწინაალ-

---

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 449, л. 113, რუსული პირი; იხ. АКАК, т. XI, стр. 211—212.

მდეგე ჯარების სარდლის ომერ-ფაშას ნაცვალს ზეგდიდში, სადაც ძნელია ჩამოსვლა ტალახების გამო".

„ჩვენ ყველამ, თავადმა აფაქიძეებმა, მიეიღეთ თქვენი ბარათი, რათა გამოვცხადდეთ თქვენთან სამის დღის განმავლობაში ჩვენი დანაშაულის მისატევებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ დასწვავთ ჩვენს სახლებს. ამაზე გიპასუხებთ რომ, თუ ჩვენ რაიმეში შეეცოდეთ, მაშინ მეუფე იესო ქრისტე, რომელიც წინათ სწამდა ომერ-ფაშასაც, როცა იგი ქრისტიანი იყო [1], გვაპატიებს ჩვენ, და არა სარდალი ფაშა, რომელიც ომერ-ფაშას ადგილზეა. ჩვენ, თავადი აფაქიძეები, ჩვენს მფლობელ ბიძასთან, გრიგოლ დადიანთან ერთად, ვიბრძვით ურწმუნოთა წინააღმდეგ სარწმუნოებისათვის, მეფე იმპერატორისათვის... რაც შეეხება იმას, რომ თქვენ ხანძარს მისცემთ ჩვენს სახლებს, ეს ხომ ჩვეულებრივი მხეცებისა და ქალაქუნების საქმეა. იგი მოგვაგონებს ერთ ქართულ ანდაზას: „ცხენს ვერ შეწვდნენ და უნაგირს დაუწყეს მტვრევაო". მაგრამ დღეს თუ არა ხვალ გაგრეკავთ თქვენ აქედან, ღვთის წყალობით"[2].

აფაქიძეების ოპტიმიზმი მტრისაგან სამეგრელოს ტერიტორიის გაწმენდის შესახებ ნაფიუძველს მოკლებული რიდი იყო.

დამპყრობთა არმიის ძალა და საბრძოლო უნარი დღითიდღე კლებულობდა. ომერ-ფაშა უკვე კარგად გრძნობდა თავისი გეგმების საბოლოოთ ჩაშლას, მისი საქმის სრულ განწირულობას. იგი ხედავდა, რომ მას გარშემო ხიზლისა და მძულვარების სალტე ერტყა. რეგულარული არმიის ნაწილები, მიუხედავად კლიმატური ხასიათის სიძნელეებისა, მზად იყვნენ გადამწყვეტ მომენტში თავს რასხვა დაეტეხათ ვერაგ მტრისათვის. მილიციის მფრინავი რაზმები — პარტიზანული შურისმგებლები — კელავინდებურად განაგრძობდნენ

[1] ომერ-ფაშა, გვარად ლატოსი წარმოშობით იყო ქროატი, ავსტრიის ყოფილი ქვეშევრდომი. 1830 წელს ომერ-ფაშა, რაღაც ბნელ ინტრიგაში მონაწილეობის გამო, იძულებული გახდა გადახვეწილიყო ავსტრიიდან თურქეთში, სადაც მან ისლამი მიიღო

[2] ЦГИАГ ф. 1037, л. 410, л. 113—114, АКАК, т. XI, стр. 212—213

მისი არმიის დევნა-შევიწროებას. არ იყო მოსვენება, არ ჩანდა ხსნა. სრული კატასტროფის თავიდან ასაცილებლად ომერ-ფაშამ გადაწყვიტა დაეჩქარებინა ევაკუაციის ტემპები. 1856 წლის იანვრისათვის სამეგრელოს ტერიტორიის დიდი ნაწილი უკვე გათავისუფლებული იყო. თურქთა ჯარები ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ თავიანთ პოზიციებს ყულევის (რედუტ-კალეს) სიმაგრეებთან. ამას გარდა, ცალკეული შენაერთები დროებით თავს აფარებდნენ სამეგრელოს ზოგიერთ სხვა უფრო საიმედო პუნქტს. მოხსენებანი და პატაკები, რომლებიც სამეგრელოდან თბილისში მოედინებოდნენ, მკაფიოდ ასახავდნენ თურქ დამპყრობთა მთელ ტრაგიკულ მდგომარეობას. „თურქები უკან იხევენ უწესრიგოდ, პანიკურად, — ვკითხულობთ ერთ-ერთ იმდროინდელ დოკუმენტში. — არმია დაიშალა და უაღრესად საცოდავ მდგომარეობაშია. ჯარისკაცები დაუძლურებული არიან შიშმილით, ისინი ფეხშიშველანი, ჩამოგლეჯილ-დაფლეთილნი არიან“ [1].

უკანდახევის დროს ომერ-ფაშას არმიის ფრიად შეჭირვებულ მდგომარეობას, მის ტრაგიზმს ვერ მალავს თვით ინგლისელი ბზვერავი — „ჟურნალისტი“ ოლიფანტი: „ეს უკანდახევა წარმოებს სრულიად უწესრიგოდ, ზღვის ნაპირისაკენ სირბილში ყველა ერთმანეთს უსწრებს. ამ მხრივ ფაშებმა ასეთი მუყაითობა გამოიჩინეს, როგორსაც მანამდე ვერავინ ამჩნევდა მათში. არეულობა და უწესრიგობა საშინელი იყო და სულ რადაც ათასითოდე კაზაკს გამოჩენა საკმარისი იქნებოდა, რომ ეს უკანდახევა სრულ დამარცხებად გადაქცეულიყო“[2]. საჭიროა აღინიშნოს, რომ გურიის რაზმის უფროსის დროებითი მოვალეობის შემსრულებლის გენ. ბრუნერის უდარდელობის მეობებით, უკანდახეული მტრის წინააღმდეგ, საბუხაროდ, არ იქნა დროულად გამოყენებული მტრის თავზარდამცემი კაზაკები.

მიუხედავად დიდი ფიზიკური და მორალური შერყევისა, რაც თურქთა საექსპედიციო კორპუსმა ჩვენი რეგულარული

---

[1] ЦГИАГ, ф. 1087, л. 378, п. 38.
[2] L. Olifant Ibid., 183.

ჯარებისა და მილიციის გმირული დარტყმების შედეგად, ბუნებრივ ნიცადა, ომერ-ფაშამ მაინც მოახერხა ჩვენს მხარეში გადმოსვლა ზამთრება. ამ გარემოებამ დიდად ჩაიფიქრა კავკასიის კორპუსის მთავარსარდალი გენ. მურავიოვი, რომლის გონებაში მწიფდებოდა მცირე აზიაში გენერალური ლაშქრობის გეგმა. მას გაეზრახული ჰქონდა ამ მიმართულებით დაეწყო ოპერაციები 1856 წლის გაზაფხულზე.

ანატოლიაში ლაშქრობის დირექტივა, რომლის მიზანს ალბერსორის დასჯა შეადგენდა, პეტერბურგიდან მოვიდა. უკვე თბილისში ყოფნის დროს გენ. მურავიოვმა 1855 წლის დეკემბრის ბოლო რიცხვებში მიიღო იმპერატორ ალექსანდრე II რესკრიპტი, რომელშიც დასაბუთული იყო კავკასიის კორპუსის მთავარსარდლის „შემდგომი მოქმედების" ძირითადი გეზი. იმპერატორი კარგად ითვალისწინებდა, რომ ყირიმის დაცემას „კეთილშეყოფელი გავლენა ექნება" ზავის გარშემო შესაძლებელი მოლაპარაკების დროს, ხოლო ომის განგრძობის შემთხვევაში გენ. მურავიოვს ევალებოდა „გამოესწორებინა ჩვენი საქმეები სამეგრელოში და სხვა პუნქტებში", და ადგილდა ისეთი ნაბიჯი, როგორსაც იგი საქმისათვის მიზანშეწონილად დაინახავდა. კავკასიის მთავარსარდალმა მეფე იმპერატორის რესკრიპტი საკუთარი გულის პასუხად მიიღო.

გენ. მურავიოვის აზრით, ყირიმის ალებისა და თურქთა ანატოლიის არმიის ყველაზე ბრძოლის უნარიანი ნაწილის ლიკვიდაციის შეთხვევით, რუსეთის არმიის წინაშე იმლებოდა შეტევითი მოქმედების განუსაზღვრელი შესაძლებლობანი. მთავარსარდალი, თავის თანამშრომლებთან ერთად, ინტენსიურად ამუშავებდა მომავალი ოპერაციების გრანდიოზულ გეგმებს. იგი ამავე დროს კარგად ითვალისწინებდა რუსეთისათვის შექმნილ ხელსაყრელ სამხედრო და პოლიტიკურ პირობებს [1]. მაგრამ, ცხადია, გენ. მურავიოვის სტრატეგიულ განზრახულობათა სისრულეში მოყვანისათვის, უწინარეს ყოვლისა, საჭირო იყო ხელები გაესნოდა გურიის რაზმს, რომელიც „რიო-

---

[1] Ленинградский институт Востоковедения (ЛИВ), отд. рук., 3. пакет 145 (იხ. გენ. მურავიოვის წერილი ა. ბ. ერმოლოვისადმი).

ნის პლაცდარმზე" იყო მიჯაჭვული; საჭირო იყო საქმის მოთავება ომერ-ფაშასთან. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა გურიის რაზმის ძირითადი შემადგენლობის გაწვევა ჟარსასაკენ და მისი გადაქცევა მცირე აზიაში შემტევი არმიის საომარ რეზერვად.

შორს უვიზნებდა რუსი გენერალი. იგი ენერგიულად ემზადებოდა ოპერაციებისათვის, ნერვიულობასა და მოუთმენლობას იჩენდა, თვით ჩქარობდა და სხვებსაც აჩქარებდა. მაგრამ, როგორც ჩანს, არც მოწინააღმდეგენი ისხდნენ გულხელდაკრეფილნი. ისინი, რუსი სარდლების ვარაუდების საწინააღმდეგოდ, სტრატეგიული და ოპერატიული ბოქვეულების გეგმებს ამზადებდნენ. არ იქნებოდა უადგილო აქვე გაეცნობოდით ამიერკავკასიაში გენერალური ლაშქრობის იმ ფართო გეგმას, რომელიც ამ დროს დამუშავებულ იქნა ინგლისის სარდლობის მიერ. ეს კოლონიზატორული გეგმა, რომელიც დღემდე უცნობი იყო, მიზნად ისახავდა საქართველოს დანაწევრებას და ქართველი ხალხის დამონებას ინგლისელ და თურქ დამპყრობლებისადმი.

ბრიტანეთის არმიის მთავარი შტაბის უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა ვინდაშმა, რომელიც თავის დროზე საუკეთესო რეპუტაციით სარგებლობდა თანამემამულეთა შორის, ალმოსავლეთის ომის დამთავრების შემდეგ შესაძლებლად ჩათვალა ერთ-ერთ რუს გენერალთან „ინტიმური" საუბრის დროს გადაეშალა ინგლის-საფრანგეთის სარდლობის საომარი გეგმები და ვარაუდები. რუსმა გენერალმა კი „კეთილსინდისიერად" ჩაიწერა თავისი ინგლისელი „მეგობრის" ნაამბობი და შემოუნახავს იგი მომდევნო თაობებს.

ინგლისელი გენერლის ვინდაშის სიტყვებით მოკავშირეთა სარდლობის გადაწყვეტილებით 1856 წლის საომარი კამპანია ყირიმში უნდა დაწყებულიყო აპრილის ბოლოს. პირველი რიგის ამოცანა იყო ყირიმის ნახევარკუნძულის მთლიანად გათავისუფლება რუსეთის არმიისაგან. ამის შემდეგ გათვალისწინებული იყო ინგლის-საფრანგეთის საბოკავშირო არმიის გაყოფა ორ შემადგენელ ნაწილად. ამათგან, ფრანგთა კორპუსი გადასროლილი უნდა ყოფილიყო ბესარაბიაში საბოქმედოთ-

ბოლო ინგლისელთა ჯარები — აზიაში. თვით ყირიმის დასაცავად გამიზნული იყო ნაკრები არმიის შექმნა, რომლის შემადგენლობაში უნდა შესულიყვნენ: თურქეთის რეგულარული ჯარები, პიემონტელები (იტალიელები), უცხოელთა — ინგლისური ლეგიონი და საფრანგეთის ჯარების ნაწილი.

გენ. ვინდაშის მტკიცებით, დიდი ბრიტანეთის მთავრობას განსაკუთრებით „სურდა დაეწყო საომარი მოქმედება რუსეთის კავკასიის არმიის წინააღმდეგ, უკანვე დაებრუნებინა ყარსი და განეგრძო წინსვლა".

„სამხედრო მინისტრის მოთხოვნით, — ამბობდა გენერალი ვინდაში, — მას წარვუდგინე გეგმის ჩემი პროექტი აზიურ თურქეთსა და ამიერკავკასიაში სამოქმედოდ. ჩემი გაანგარიშებით, 1856 წელს ჩვენ უნდა დაგვეკავებინა არზრუმი და მოგვეწყო კარგი კავშირი ტრაპიზონსა და არზრუმს შორის. შემდეგ უნდა მოგვესყიდა სპარსეთი, შეგვეყვანა გემების დიდი ფლოტილია კასპიის ზღვაში...

ყარსის გარშემორტყმის შემდეგ ჩვენი მთავარი ძალები განაგრძობდნენ წინსვლას ან ერევნისაკენ, რათა კავშირი დაემყარებინათ სპარსეთის არმიასთან, ანდა ოდნავ ჩრდილოეთით, ახალქალაქით პირდაპირ თბილისისაკენ. თურქეთის ჯარების შენაერთებს იმ დროს უნდა დაეწყოთ შეტევა საქართველოში, და ჩვენ სრული იმედი გვქონდა, რომ შამილი თავის მხრივ რაიმეს გააკეთებდა... ვფიქრობ, რომ 1857 წლის კამპანია დამთავრდებოდა კავკასიის ქედის სამხრეთი მხარის ყველა პროვინციის დაპყრობით"[1].

გამსაკუთრებით საინტერესოა გავეცნოთ იმ როლსა და მნიშვნელობას, რაც ინგლისელების „უნივერსალურ" სტრატეგიულ გეგმაში განკუთვნილი ჰქონდა შამილს, სპარსეთისა და თურქეთის აგრესიულ წრეებს. „ჩვენ ვიმედოვნებდით, — განაგრძობდა ვინდაში, — რომ სპარსეთი გამოიყვანდა 50 ათასიან არმიას, რომელიც დაიკავებდა ყარაბახს, შირვანის ნაწილს და გაწყვეტდა თბილისის ურიერთობას კასპიის ზღვასთან. შამილს კი უნდა დაეკავებინა კავშირურთიერთობის

---

[1] ЦГВИАМ. ф. ВУА, Д. 5953, л. 205.

ბთავარი გზა კავკასიის ქედზე. მთავარი არმია, არა ნაკლებ 100 ათასი კაცის შემადგენლობით, დაიძვრებოდა ქვეყნის (ამიერკავკასიის, — ე. ბ.) შუაგულისაკენ, სადაც ჩვენ შეგვეძლო ადგილობრივი მოსახლეობის დახმარების იმედი გვქონოდა. რუსებს საფუძველი არ ჰქონდათ დაეურდნობოდნენ ამიერკავკასიის მუსლიმანური მოსახლეობის ერთგულებას. მეტიც: ქრისტიანებს შორისაც კი შეიძლებოდა აღმოჩენილიყო ჩვენს სასარგებლოდ განწყობილი ხალხი, განსაკუთრებით, როცა იქ, ჩვენი პროკლამაციებისა და აგენტების საშუალებით, გაიცნობოდნენ მოკავშირე სახელმწიფოების პოლიტიკურ მიზნებს ამიერკავკასიის მხარეში.

საინტერესოა ვიცოდეთ თუ რაში გამოიხატებოდა ამ ჩვენი ევროპელი „ეთილმყოფლების" „პოლიტიკური მიზნები" საქართველოსა და მთელ ამიერკავკასიაში? გენ. ვინდაშის გადმოცემით, ინგლისელებს უწინარეს ყოვლისა, გადაწყვეტილი ჰქონდათ საბოლოოდ ჩამოეცილებინათ რუსეთისაგან „ამიერკავკასიის ყველა პროვინცია", საქართველო გაენაწილებინათ და, ინგლისისა და თურქეთის პროტექტორატის ქვეშ, ჩამოეყალიბებინათ სამთავროები ქართლისა, სამეგრელოსი, იმერეთისა, გურიისა და სომხეთისა... სპარსეთსა და თურქეთს უნდა დაბრუნებოდა ის ტერიტორიები, რომლებიც რუსეთმა შეეერთა გიულისტანისა და ადრიანოპოლის ტრაქტატით. და ბოლოს, კასპიის ზღვა გამოცხადდებოდა ნეიტრალურად, ან შეზღუდულ იქნებოდა იმ სამხედრო გემების რიცხვი, რომლებიც რუსეთს შეეძლო იქ ჰყოლოდა[1].

ასეთი იყო საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის დაპყრობა-დამონებისა და დანაწილების ინგლისური პროგრამა. ბევრი სხვა ისტორიული დოკუმენტიც მოწმობს, რომ ჩვენი მდიდარი ქვეყნისა და ნიჭიერი ხალხის დამონება ინგლისელ კოლონიზატორებს დიდი ხნის განმავლობაში ეზმანებოდათ. მათი ასეთი მისწრაფება მთელი თავისი რელიეფურობით 1853 — 1856 წლების აღმოსავლეთის ომის დროს გამომჟღავნდა.

---

[1] ЦГВИАМ, ф. ВУА, д. 5953, л. 206—209.

შემდეგი დროის მკვლევარები საკუთარი ადასტურებენ გენ. ვინდამის მოსაზრებებს, რომლებიც ინგლისელ დამპყრობთა გეგმებს გადმოსცემდა „ინგლისმა მტკიცედ გადაწყვიტა არ დათანხმებოდა მოლაპარაკებაზე. — წერდა ფრანგი ისტორიკოსი ა. დებიდური. — ინგლისი მზად იყო ახალი კამპანიისათვის, რომელიც მისი აზრით გადამწყვეტი უნდა ყოფილიყო... ამისთვის აუცილებელი იყო სერიოზული შედეგები, მნიშვნელოვანი საომარი ბლობის მიღება"[1].

ამის შემდეგ ძნელი ასახსნელი არაა ის გარემოება, რომ ომერ-ფაშა საქართველოში 1853 — 1856 წლების ზამთრის პერიოდში განცდილი მარცხისა და ყველა იმედების გაცრუების მიუხედავად, ისე აქტიურობდა თავისი ჯარების ევაკუაციის. ლონდონიდან მიღებული ინსტრუქციის შესაბამისად, იგი ეძებდა მოხერხებულ საფარს, ჯიუტად ეჭიდებოდა თითოეულ მიწას, თითოეულ გამაგრებულ ადგილს. ყველაფრიდან ჩანს, რომ იგი კარგად იყო გაცნობილი ამიერკავკასიაში 1856 — 1957 წლების კამპანიის ინგლისურ გეგმას, რომლის განხორციელებაში მის კორპუსს უნდა მიეღო აქტიური მონაწილეობა. მაგრამ თურქეთის მთავარსარდალს, რომელსაც ჯერ საკმაო რაოდენობით ჰქონდა განცდილი მწარე დაკარგვები, უკვე არ ეფრად ეპაშნიკებოდა ახალ აკანტიურაში მონაწილეობის მიღება და საკუთარი ხელებით ინგლისელი ბატონებისათვის ნარის გლეჯა. ომერ-ფაშამ გადაწყვიტა ხელი აეღო უიმედო საქმეზე და ჩამოსულიყო სცენიდან.

ინგლისელების 1856 წლის აგრესიული გეგმების გაცნობა შესაძლებლობას გვაძლევს ავხსნათ ავრეთვე ისიც, თუ რატომ იყო, რომ მოკავშირეებს 1855 წლის შემოდგომაზე სევასტოპოლის დაცვის შემდეგაც კი არ სურდათ დახმარებოდნენ თურქებს ყარსში ან საქართველოში. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ახალი დესანტი, გადმოსხმული ყულევში, ბა-

---

[1] А. Дебидур, „Дипломатическая история Европы", т. II, стр. 135.

[2] ამის ნათლად ადასტურებენ გენ. ვინდამის შემდეგი სიტყვებიც: „თურქთა ჯარების შენაერთებს ამ დროს უნდა დაეწყო შეტევა საქართველოდან". ЦГВИАМ, ф. ВУА, д. 5953. л. 210.

ოუმში და ან სხვა რომელიმე პუნქტში, რადიკალურად შეცვლიდა აქ მდგომარეობას მოკავშირეთა სასარგებლოდ. მაგრამ მოკავშირეთა სარდლობამ არ გააკეთა ეს, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს ინგლის-საფრანგეთის 200 ათასიანი არმია სრულიად უქმად იდგა სევასტოპოლის ნანგრევებთან. ამ უცნაური მოვლენის მიზეზი, ერთი მხრით, უნდა ვეძიოთ იმ გარემოებაში, რომ ინგლისი ამ პერიოდში უდიდესი გატაცებით ამზადებდა უფრესად ფართო მასშტაბის მორიგ ათომარ კამპანიას. მეორე მხრით კი, სწორედ ამ ხანას ეკუთვნის ურთიერთ წინააღმდეგობისა და ანტაგონიზმის გამწვავება ევროპელ პარტნიორთა შორის.

სევასტოპოლის დაცემის შემდეგ საფრანგეთის მთავრობის პოზიციამ მკვეთრი ცვლილება განიცადა. ნაპოლეონ მესამემ თავისი ძირითადი მიზნები მიღწეულად ჩათვალა და, წინააღმდეგ ინგლისის სურვილისა, მას უკვე აღარ სურდა ომის გაგრძობა. მეტიც: საფრანგეთის იმპერატორმა თავისი დიპლომატების საშუალებით ენერგიულად დაიწყო ნიადაგის მოსინჯვა რუსეთთან დასაახლოებლად. ინგლისისა და საფრანგეთის ინტერესები და შეხედულებანი მთელი რიგი საერთაშორისო პრობლემების გარშემო კვლავ დიამეტრულად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ნაპოლეონ III თითქოს გრძნობდა, რომ დგებოდა მომენტი, როცა შეიძლებოდა შესრულებულიყო მისი დიდი ბიძის „უკვდავი" ანდერძი ინგლისის მიმართ შურისძიების შესახებ.

საფრანგეთის მთავრობა იმპერატორის შთაგონებით ენერგიულად შეუდგა ძირგამომთხრელ მოქმედებას პალმერსტონის დაპყრობითი გეგმების ჩასაშლელად აღმოსავლეთში. ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგობანი, უწინარეს ყოვლისა, ებჯინებოდნენ მთელ რიგ სადავო პრობლემებს მცირე აზიაში, სადაც ნაპოლეონ III, წინააღმდეგ პალმერსტონისა, ემხრობოდა ე. წ. „წონასწორობის პრინციპის" შენარჩუნებას. ცხადია, საფრანგეთს არაფრად ეჭაშნიკებოდა არც ინგლისის ზომაზე მეტად გაძლიერება, არც რუსეთის მეტისმეტი დაუძლურება. მოკავშირეთა შორის ატეხილმა დიპლომატიურმა პაექრობამ, ბრძოლამ და ინტრიგებმა ჩასაშლელად გასწირეს ინგლისის 1856

წლის აგრესიული გეგმები საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის წინააღმდეგ. ეს დამპყრობლური გეგმები და პროექტები მხოლოდ ქაღალდზე დარჩა.

ამავე დროს, სამეგრელოს პლაცდარმზედაც მოვლენები თავისებურად ვითარდებოდა. 1856 წლის თებერვალში თურქებმა მოულოდნელად მისცეს ცეცხლს თავიანთი ბარაკები, დაანგრიეს და გაანადგურეს მათ მიერ დაკავებული სიმაგრეები, სასწრაფოდ ჩასხდნენ გემებში და გაეშურნენ ტრაპიზონისაკენ. სამეგრელო დასტოვა და კონსტანტინოპოლში გაემგზავრა თვით ომერ-ფაშაც, რომელმაც თან გაიყოლია ქართველი ხალხის ზიზღი და შეჩვენება[1].

დაუფარავი გესლით და ბოროტებით ილრინებოდა სასოწარკვეთილი „სარდარ-ეკრემი" მოკავშირეთა იმ „უმადური" სტრატეგებისა და დიპლომატების მისამართით, რომლებიც „ბედავდნენ" ბრალი დაედოთ მისთვის საქართველოში განცდ-

---

[1] ომერ-ფაშას წინააღმდეგ მოქმედების დროს 1855 — 1856 წლის ზამთარში გენ. ბრუნერმა თავისი სრული უმოქმედობით ფაქტიურად შესაძლებლობა მისცა თურქთა საექსპედიციო კორპუსს უკანასკნელ მომენტში შედარებით ო�lად ჩამსხდარიყო გემებში და გამგზავრებულიყო თურქეთში. საქმე ისაა, რომ გენ. ბრუნერმა მანამდე გამოიმეტყველა სრული სიბეცე, რომ თავის მოხსენებაში ამტკიცებდა თითქოს „ომერ-ფაშა არ დაჭრობს სამეგრელოდან წასვლას, იგი ელოდება დამხმარე ძალებს, რომ გაანაბლოს შემოტევაო" (იხ. აქტები, ტ. XI, გვ. 185, 207, 229). მიუხედავად იმისა, რომ გენერალ ბრუნერს მოეპოვებოდა უტყუარი ცნობები ომერ-ფაშას ნამდვილი მდგომარეობის შესახებ, მას თავისი ინფორმაციებით შეცდომაში შეჰყავდა მთავარსარდლობა, აბდენდა მის დეზორიენტაციას.

და ეს, აღსრულდა ის, რასაც სხვები მოელოდნენ. ომერ-ფაშამ ისარგებლა ჩვენი სარდლის სიბეცით, ორხვინად დატვირთა თავისი ჯარები გემებზე და გაწია სამშობლოსაკენ. გენ. ბრუნერმა, ჯარების ამ ვითარდაღმა, მხოლოდ ამ მომენტში იტაცა თავში ხელი: „თურქეთის ეშელონები მოულოდნელად და ერთდროულად მოიხსნენ თავიანთ პოზიციებიდან და თურქეთისაკენ გასცურავსო", — წუწუნებდა იგი. „მოწინააღმდეგის უკანდახევა ისე სწრაფი და მოულოდნელი იყო, რომ ქვეითი ჯარით მისი დაწევა არ შეიძლებოდაო", — წერდა იგი სხვა პატაკში. ერთ-ერთ თავის მოხსენებაში, გენ. ბრუნერი ცდილობდა იმით ემართლებინა თავი, რომ მან ირჩია „უსარგებლოდ არ დაეჭანცა ჯარისკაცები უვარგის გზებზე", რომ მას არ უნდოდა დაეღლია რეგულარული ნაწილების „ზამთრის დასვენება". (АКАК, т. XI, стр. 205).

დილი მარცხის გამო. ემყარებოდა რა უცხოეთიდან მიღებულ ინფორმაციას, გენ. ბურაევიოვი 1856 წლის 22 მარტს საომარ მინისტრს სწერდა: „ომერ-ფაშამ კონსტანტინოპოლიდან ტრაპიზონში დაბრუნების დროს ბევრ დამსწრესთან გამოთქვა დიდი მწუხარება იმის გამო, რომ დადებულ იქნა დროებითი ზავი. ამის შედეგად, — ამბობდა იგი, — მოკავშირეებს წაერთვათ საშუალება მათაც გამოსაცადონ სამეგრელოს ჭაობების მთელი სიმწარე, რომლებშიაც ჩემი არმია იხრჩობოდაო". უნდა აღინიშნოს მხოლოდ, რომ თურქეთის მთავარსარდალმა, რატომღაც აუცილებელი იყო იმ გმირ რიგს ჯარისკაცებისა და მამაცი სახალხო მილიციის შესახებ, რომლის მარჯვედ ნასროლი ტყვიებითა და ვაჟკაცურად მოქნეული ხმლებით ბედუკულმართი საექსპედიციო არმიის მრავალმა ათასმა ჯარისკაცმა და ოფიცერმა სამარე ჰპოვა კოლხეთის ჭაობებში.

დროებითი საზავო პირობების მიღებისა და პარიზის მოლაპარაკების დაწყების შემდეგ, საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის საზღვრების გაყოლებით, საომარი მოქმედება დასრულდა. გაჩაღდა მხარეთა შორის ოფიციალური დიპლომატიური და საშვიდობო მოლაპარაკება. ადგილობრივი სარდლობა შეუდგა სახალხო მილიციის დათხოვნას.

ომგადახდილი ჩვენი ლაშქრის მამაცი მებრძოლები მასობრივად უბრუნდებოდნენ თავიანთ აოხრებულსა და გაპარტახებულ კერებს, თაეიანთ ცწოკებულ ოჯახებს.

ჯერ კიდევ აღმოსავლეთის ომის წლებში მსოფლიო პრესა და გამოჩენილი დიპლომატები სწორად ითვალისწინებდნენ, რომ კავკასია-თურქეთის ასპარეზზე საომარი კამპანიის შედეგები ვნიშვნელოვან როლს ითამაშებდა ომის შემდგომში პრობლემების გადაჭრისას. მართლაც, საზავო მოლაპარაკების დროს პარიზში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი სწორედ ყარსის პრობლემამ დიკავა. ომის თანამედროვისა და მაშინდელი მოვლენების გამოჩენილი თანამონაწილის ვ. ა. შჩერბინინის გადმოცემით „მრისხანე ციხე-სიმაგრის (ყარსის—ე. ბ.) საკითხმა უდიდესი გავლენა მოახდინა პარიზის საზავო კონ-

ფერენციის პირობებზე"[1]. როგორც ცნობილია პარიზში მიღებული სამშვიდობო ტრაქტატის საფუძველზე, მეფის მთავრობა ვალდებული იყო გაცვლის წესით, სევასტოპოლისა და მისი მიდამოების ფასად, უკანვე დაებრუნებინა თურქეთისათვის ყარსისა და ბაიაზეთის ფაშალიკები ფოცხოვის საბჭოთან ერთად. თავისი სივრცით ეს უკანასკნელი მრავალჯერ აღემატებოდა ყირიმის ნახევარკუნძულის სანაპიროს იმ ტერიტორიას, რომელსაც მოკავშირეები რუსეთს უბრუნებდნენ. ამასთან ამ გაცვლა-გამოცვლის თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთს დაუბრუნდა სევასტოპოლის ოდესლაც განთქმული, მოკავშირეთა მიერ აფეთქებული ციხე-სიმაგრის მარტოოდენ ნანგრევები, ხოლო ყარსის ციტადელი რუსებმა მოწინააღმდეგეს თითქმის სრულიად ხელუხლებლად ჩააბარეს. ეს აიხსნებოდა იმ დანაშაულებრივი უდარდელობით, უძრაობითა და რუტინით, რომლებიც იმდროინდელი რუსი სარდლობის შტაბებს ახასიათებდა.

ამის საილუსტრაციოდ ზედმეტი არ იქნებოდა გავცნობოდით ზოგიერთ ფაქტს. ჯერ კიდევ პარიზის სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერამდე 1856 წლის 14 მარტს, საგარეო მინისტრი სპეციალური მიმართვით აცნობებდა გენ. მურავიოვს „მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის" გადაწყვეტილებას: მოესპოთ ყარსის ყველა ის სიმაგრე, რომლებიც უკანასკნელ დროს ინგლისელმა სპეციალისტებმა ააგეს. „ვღებულობთ რა მხედველობაში ომის მალე დამთავრების შესაძლებლობას და ჩვენს მიერ დაპყრობილი ყარსის ოლქის თურქებისათვის დაბრუნების აუცილებლობას ზავის დადების დროს, — სწერდა გენ. დოლგორუკოვი კავკასიის არმიის მთავარსარდალს, — ვისწრაფვი რათა უმორჩილესად გთხოვოთ გვაცნობოთ: რა განკარგულება არის მიცემული თქვენს მიერ აღნიშნული ციხის ვერკების მოსასპობად? ჩემს მიერ დასმული საკითხი... თქვენ საკმარისად აგიხსნით იმ საქმის მთელ მნიშვნელობას, რომელიც ამჟამად ღირსია განსაკუთრებული ყურადღებისა"[1].

---

[1] АКАК, т. XI, стр. 266.

ამრიგად, საქმის დასაწყისი თითქოს კარგი იყო, უმაღლესი განკარგულება დროულად და მიზანშეწონილად გაიცა. ახმეტურდა კავკასიის არმიის შტაბის კანცელარიაც. დაიწყო დაჩქარებული მიმოწერა, სამხედრო უწყებრივი იერარქიის არხებით დაიძრა ბრძანებების, განკარგულებების, ინსტრუქციების ნიაღვარი. ამას თან მოჰყვა საპასუხო პატაკების, ანგარიშების, ახსნა-განმარტებების შემხვედრი ნაკადი. ასე გრძელდებოდა 3 — 4 თვე, ე. ი. მანამდე, ვიდრე პრაქტიკულად არ დაისვა ყარსისა და მისი სანჯაყების თურქეთის მთავრობისათვის გადაცემის საკითხი. ამიერიდან ყარსის სიმაგრეების განადგურებაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. მთელი საქმე დიპლომატის ხელში გადავიდა. საგანგებით მართებული ღონისძიება და ცოცხალი საქმე მეფისდროინდელმა ბიუროკრატიულმა დამყაყებულობამ შებოჭა და ჩაახჩო.

გასაკვირალი არ არის ის უმაგალითო ალფრთოვანება და ზეიმი, რაც ყარსის დაბრუნებამ გამოიწვია თურქეთის ბანაკში, მრავალრიცხოვანი მილოცვები, მიმართვები და მანიფესტები რუსების „საბატიოცემულოდ", რომლებიც მძლავრ ნაკადად მოედინებოდა მოწინააღმდეგის ბანაკიდან, მკაფიოდ გამოხატავდა თურქების სიხარულსა და აღტაცების ჭეშმარიტ მიზეზებს. მათ ამის სრული საფუძველიც ჰქონდათ.

ყარსის მიღება-ჩაბარების აქტების გაცნობა ნათლად მოწმობს, თუ რამდენად დაუზიანებლად და წუნდაუდებლად ჩაბარეს თურქებმა როგორც „მცირე აზიის ციტადელი", ისე მთელი ფაშალიკი თავისი სანჯაყებით [1].

იმ შესანიშნავი სამხედრო წარმატებებისათვის, რომლებიც მოპოვებულ იქნა ახალციხეში და ბაშკადიკლართან 1853 წლის შემოდგომაზე, მდ. ჩოლოქზე, კურიუკ-დარასთან და ჩინგილის სიმაღლეებზე 1854 წლის ზაფხულში, ყარსის ციხე-სიმაგრის კარიბჭესთან და კოლხეთის დაბლობებში 1855 — 1856 წლის სუსხიანი ზამთრის პერიოდში რუსეთის, უკრაინის,

---

[1] ყარსის ციხე-სიმაგრისა და სანჯაყების მიღება-ჩაბარების შესახებ მიმოწერა იხ. ЦГИАГ, ф. 11. д. 2502, л. л. 363 - 367, 368—383; АКАК, т. XI, стр. 266, 268—270, 273, 278, 285—326.

საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ხალხთა შეგროვებული მხედრობის ზღვა სისხლი დაიღვარა. საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთად დაღვრილმა სისხლმა კიდევ უფრო განამტკიცა და შეადუღაბა მშობლიური ქვეყნის პატრიოტთა ურღვევი კავშირი, მათი ძმობა და მეგობრობა, კიდევ უფრო გამოკვეთა და გამოაწრთო ბრძოლის ქურაში მოძმე ხალხების ნებისყოფა, მათი საბრძოლო ერთიანობა.

1853 — 1856 წლების აღმოსავლეთის ომის დროს ქართველი ხალხის უაღრესად მძიმე და საპატიო მისიის ნათელსაყოფად უადგილო არ იქნება დავიმოწმოთ მეფის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი პოლკოვნიკი კოლუბაკინი. იგი თავის ერცელ მოხსენებაში, რომელიც ალექსანდრე II მეფედ კურთხევასთან დაკავშირებით, 1856 წლის 18 იკლისს თავად ბარიატინსკის სწერდა: „ომმა მთელი თავისი ბრწყინვალებით გამოავლინა ადგილობრივი თავად-აზნაურობის გულადობა. 1854 წელს ადგილობრივი მილიციის ჩინებულმა იერიშმა გადაწყვიტა ჩოლოქის ბრძოლის ბედი. ძლევამოსილად დამთავრდა პირველი კამპანია და დიდი ხნით უზრუნველყო ამიერკავკასიის საზღვაო სანაპირო ზოლი. 1855 წელს იმერეთის მწყობრმა ლაშქარმა თავისი მონაწილეობით ენგურზე ისეთი მონაწილეობით, რომელიც მოწინააღმდეგეს დაუნდობელი სახალხო ომით ემუქრებოდა, დიდხანს შეაკავა ომერ-ფაშა შემოქრისაგან. ბოლო დროს თავისი ყოველდღიური პირტიზანული თავდასხმებით სამეგრელოში (ომერ-ფაშას საოკუპაციო ჯარებზე — ე. ბ.) მან დაამტკიცა ენერგიულობა, შეუპოვრობა და ჭედმოუხრელი ვრთგულება.

კიდევ ვიტყვი, რომ ყარსის აღებას რუსეთი ადგილობრივ თავადაზნაურობას უნდა უმადლოდეს, რადგან იმერეთი, ასე ვთქვათ, მოალყე კორპუსის კონტრვალაციურ ხაზს წარმოადგენდა. მთავარსარდალს, მხოლოდ იმერლების სიმტკიცით სრულიად დაიმედებულს, შეეძლო არ შეშფოთებულიყო

ომერ-ფაშას შემოტევით, ან ჩვენი გენერლების წარუმატებლობით და ალყა არ მოეხსნა"[1].

ზემოაღნიშნული სიტყვები ეკუთვნის თვითმპყრობელობის ოფიციალურ წარმომადგენელს და პირწავარდნილ რუსიფიკატორს, რომელიც ცარიზმის სხვა მოხელეთა შორისაც კი გამოირჩეოდა თავისი დიდმპყრობელურ-რეაქციული შოვინიზმით და კაცთმოძულეობით. მისი მოხსენება წარმოადგენდა ომგადახდილი ქართველი თავადაზნაურობისა და სახალხო მილიციის სამი წლის ღვაწლის ერთგვარ შეჯამებას. მაგრამ გასაგებია, რომ თვითმპყრობელობის ადმინისტრატორი პირველ რიგში გუნდრუკს უკმევს და დიფირამბებს უმღერის ქართველ თავადაზნაურობას, თუმცა იგი, ამავე დროს, ვერ ახერხებს მიჩქმალოს ისტორიული დამსახურება მთელი ქართველი ხალხისა, რომელმაც თავისი ქვეყანა ომის წლებში მიუვალ ციხე-სიმაგრედ გადააქცია. საერთოდ, პოლკოვნიკ კოლუბაკინის მიერ მიცემული დახასიათება წარმოადგენს კიდევ ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტს აღმოსავლეთის ომის წლებში ქართველი ხალხისა და რუსი რეგულარული ჯარის დამხმარე ძალის — საქართველოს მილიციის განსაკუთრებული როლის გასაგებად. ეს ჭეშმარიტება იმდენად თვალსაჩინო გახდა, რომ მისი მიეიწყება და მიჩქმალვა მეფის თვითმპყრობელობის სატრაპმაც კი ვერ გაბედა.

---

[1] АКАК, т. XI, стр. 712. ლაპარაკობს რა „ჩვენი გენერლების წარუმატებლობის" შესახებ, პოლკ. კოლუბაკინს მხედველობაში აქვს გენერალ ბაგრატიონ-მუხრანსკის უკანდახევა სამეგრელოდან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი მეექვსე

ქართული სახალხო ლაშქარი

(მილიცია)

აღგილობრივი მილიცია (სახალხო ლაშქარი) მთელი თავისი სტრუქტურით, ორგანიზაციული წყობით, ტაქტიკური ჩვევებით, მორალური დონითა და ბრძოლისუნარიანობით მკაფიოდ ასახავდა იმ რადიკალურ ცვლილებებს, რომელიც განიცადა საქართველომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში. მილიცია წარმოადგენდა აღმოსავლეთის ომის პერიოდში საქართველოში დამკვიდრებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სამხედრო კონიუნქტურის პროდუქტს და მომენტის შესაბამისად ძირითადი მოსახლეობის მისწრაფებებსა და განწყობილების განმსახიერებდა.

XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედამდე საქართველოს ლაშქარი ფეოდალური იყო; არ არსებობდა არც წესიერად ორგანიზებული სამხედრო ძალები, არც რაიმე გარკვეული, მყარი სისტემა, რომლის მიხედვითაც უნდა მოეხადა მოსახლეობას სამხედრო ვალდებულება. საშიშროების შემთხვევაში მეფე მოუწოდებდა ქართველ თავადებსა და აზნაურებს, რომლებსაც თავიანთ სამფლობელოებში ჰყავდათ გარკვეული რაოდენობა მოლაშქრეებისა. თავადაზნაურები, როგორც ვასალები მეფისა, მოვალენი იყვნენ საკუთარი ხარჯით, საკუთარი მამულისა და ყმების სახსრებით შეეიარაღებინათ ისინი. ხოლო სათმარი ლაშქრობის დროს მათთვის წინამძღოლობა გაეწიათ. სახელმწიფო ხაზინა ჯარის შესანახავად კაპიკსაც არ ხარჯავდა [1]. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქვეყნის შეიარაღებულ

---

[1] „Утверждение русского владич. на Кавказе", Тифлис, XII, 1901 г. стр. 190.

ჯარებს იმ დროის სახალხო ლაშქარი შეადგენდა. მისი რაოდენობა, შეიარაღება და ორგანიზაცია მომენტზე იყო დამოკიდებული. სამხედრო ვალდებულების მოხდა რაიმე საკანონმდებლო აქტის მიხედვით კი არ წარმოებდა, არამედ ჩვეულებასა და ტრადიციებს ეყრდნობოდა. დადგენილი არ იყო გაწვევის ასაკი, არც ის, თუ საიდან რამდენი მეომარი უნდა გაეწვიათ. „მოლაშქრეთა შორის, — ვკითხულობთ ერთ დოკუმენტში, — იყვნენ სამოცი წლის მოხუცებიც და თექვსმეტი წლის ყმაწვილებიც" [1]. ჯარის მოქმედება შეთანხმებული არ იყო და ყოველი რაზმი ცდილობდა მხოლოდ თავისი რაიონი, თავისი პროვინცია დაეცვა. ეშვიათი არ იყო შემთხვევა, როდესაც რომელიმე რაზმი, მეფის მოწოდების მიუხედავად, უარს ამბობდა მონაწილეობა მიეღო „შორეულ ლაშქრობაში" და თვით საქართველოს დედაქალაქის დაცვაზედაც კი [2].

ერეკლე მეორემ, რომელიც დაწვრილებით გეცნო რუსეთის არმიის ხასიათს, მის ორგანიზაციულ სტრუქტურას, სრულიად შეუფერებლად მიიჩნია ფეოდალური ლაშქარი, უარყო მისი მაშის თეიმურაზ მეფის მიერ ჩამოყალიბებული „ნოქარი" [3] და მტკიცედ გადასწყვიტა საფუძვლიანად გარდაექმნა, გაეუმჯობესებინა ქვეყნის შეიარაღებულ ძალთა მოწყობის საქმე. ამ მიზნით მან მოიწვია დარბაზი, რომელმაც შეიმუშავა მორიგე ჯარის წესდება.

ერეკლეს ამ სამხედრო წესდების მიხედვით, რომელიც 1774 წლის 1 იანვარს გამოქვეყნდა, ყოველ წოდებას ერთნაირად ეკისრებოდა სამხედრო მოვალეობა. ამჟამთანავე საქართველოს საზღვრებში მტერი თუ შემოიჭრებოდა, ყველა თავადი, აზნაური, მოხელე, გლეხი და ბოგანო უნდა გამოსულიყო მოწინააღმდეგის დასახვედრად (§ 1 წესდებისა); ჯარი დანაწილებული იყო თვიური მორიგეობის მიხედვით (§ 3 წესდებისა); ყოველი ნაწილი მოვალე იყო პირველი მოწოდებისთანა-

---

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 994, л. 2.

[2] იქვე.

[3] ერეკლე II სამხედრო წესდება, იხ. „Закавказский вестник", 1842 г. №№ 28, 29.

ვე გასულიყო თავისი მოვალეობის მოსახდელად. საქართველოს მეფე მკაცრად აფრთხილებდა ყველას, რომ თავის სამხედრო წესდებას ზუსტად შეასრულებდა და არავის მისცემდა მისი დარღვევის უფლებას, მაგრამ თუ "მაინც ვინმე დაარღვევდა, ის სასტიკად დაისჯებოდა. „იცოდეს დიდმა და პატარამ,— წერდა მეფე, — რომ, როგორც რჯულის კანონი არ შეიძლება შეიცვალოს, ასევე არ შეიძლება ამ სამხედრო წესდების გაუქმება ან შერბილება და არც ჩვენ, არც ჩვენს შვილებს არ ძალუძთ დამნაშავის შეწყალება. სამღვდელო თუ სახელოვანი თავადი, აზნაური თუ გლეხი ან მანდილოსანი, რომელიც გადაუხვევს ამ წესდებიდან, რაოდენ სახელოვანი და საპატიოც არ უნდა იყოს, დამნაშავე იქნება და საკუთარი სულითა და სხეულით აგებს პასუხს"[1].

ერეკლე მეფე თვითონ უჩვენებდა ხალხს წესდებისადმი ერთგულების, თავისი ქვეყნისა და ხალხის დასაცავად თავგანწირული ბრძოლის მაგალითს. იგი ასრულებდა ახალი წესდების მოთხოვნილებებს და, როგორც წესი, საყარაულო სამსახურის შესასრულებლად ყოველწლიურად თითო თვით პირადად გადიოდა მორიგე ლაშქართან ერთად საქართველოს საზღვრებზე. მეფის მაგალითს მალე მიბაძეს ბატონიშვილებმაც და სამხედრო სამსახური თანდათანობით ყოველი ქართველის ფრიად საპატიო მოვალეობად იქცა.

უნდა აღინიშნოს, რომ მორიგე ჯარს იმდროინდელი საქართველოს პირობებში დიდი უპირატესობა ჰქონდა და ეფექტიური იყო. ეს ბევრჯერ დადასტურდა მტერთან შებრძოლების დროს. მაგრამ საქართველოს ფეოდალური არისტოკრატიის ზედა ფენამ, რომელსაც არ სურდა თავადების გაველენისა და პრივილეგიების შემავიწროებელი მეფის ცენტრალიზებული ხელისუფლების გაძლიერება, გადამწყვეტი ბრძოლა დაიწყო მორიგე ჯარის ორგანიზაციის წინააღმდეგ. საბოტაჟის, ინტრიგებისა და სხვადასხვა ბოროტი ხრიკების მეოხებით თავადებმა მოახერხეს თანდათან დაესუსტებინათ ერეკლე II-ს საყვარელი ქმნილება — მორიგე ჯარი და ბო-

[1] იხ. ერეკლე მეორეს სამხედრო წესდება.

ლოს სავსებით გააუქმეს კიდეც. უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ქართული ლაშქრის დეზორგანიზაციასა და დაშლას დიდად შეუწყვეს ხელი თვით ბატონიშვილებმაც.

აღა მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრების შემდეგ (1795 წ.) ღრმად მოხუცებული მეფე ერეკლე, რომელსაც საშეალება არ გააჩნდა ყაჩაღური თავდასხმებისაგან დაეცვარა ქვეყანა, იძულებული შეიქმნა ლეკები დაექირავებინა და მისგან 5 — 10 ათასიანი რაზმი ჩამოეყალიბებია. ღონისძიება სრულიად არახელსაყრელი გამოდგა ქვეყნისა და ხალხისათვის, რამაც ქვეყნის შიგნით სერიოზული უკმაყოფილება დაბადა.

საქართველოს რუსეთთან შეერთებამ, ძირფესვიანად შესცვალა მდგომარეობა. ქვეყანას მშვიდობიანი ცხოვრების და განვითარების ხანა დაუდგა, გაიფანტა შიში მტრების წინაშე.

საქართველოში რუსეთის ძალაუფლების დამკვიდრების შემდეგ ადგილობრივი სამხედრო ძალების უპირატესი და გადამწყვეტი როლი დღის წესრიგიდან უკვე მოიხსნა. საქართველოს და მთელი ამიერკავკასიის საზღვრებთან ამიერიდან მრისხანედ აღიმართა მოძმე რუსეთის არმიის უძლეველი იარაღი, რომლის წინაშე შიშით ცახცახებდა ჩვენი საშობლოს ყველა მტერი. მაგრამ რასაკვირველია ეს გარემოება ოდნავადაც არ გამორიცხავდა ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეულ წვლილს რუსეთის არმიის საერთო ღონისძიებებში. ცნობილია, რომ რუსეთის მთავრობა აქ დამკვიდრების პირველი დღეებიდანვე ეფექტურად იყენებდა ადგილობრივ ძალებს შინაგანი უშიშროების უზრუნველსაყოფად, ხოლო აუცილებელ შემთხვევაში — სამხედრო მიზნებისათვის ქვეყნის გარეთაც.

იმპერატორი ალექსანდრე I თაეის რესკრიპტში, 1802 წლის 26 სექტემბრის თარიღით თავად ციციანოვს წინადადებას აძლევდა „ეზრუნა მილიციის მსგავსი სახალხო ლაშქრის ჩამოსაყალიბებლად"[1]. ამგვარი ღონისძიება ჯერ კიდევ არ შეიძლება ჩაითვალოს საქართველოში სამხედრო ვალდებულების სისტემის შემოღების ცდად. XIX საუკუნის პირველი მე-

---

[1] ЦГИАГ, ф. 416, д. 31, л. 12.

ოთხედის განმავლობაში საქართველოში ლაშქრის აყალიბებ-
დნენ ძველებური წესით. ერეკლე II-ის მიერ 1774 წელს
მოცემული წესდების მიხედვით, მოსახლეობა საბჭედრო სამ-
სახურს ძველ რუსეთთან შეერთებამდე დამკვიდრებულ ჩვე-
ულებათა მიხედვით იხდიდა. ახალ პირობებში, სამილიციო
საბსახურის მოხდის წესი ფრიად უმნიშვნელოდ შეიცვალა
და ორგვარი ხასიათი მიიღო: ერთის მხრით, ქართველები მო-
ნაწილეობას იღებდნენ საზღვრებზე წარმოებულ საბჭედრო
ოპერაციებში დამოუკიდებლად ანდა რუსეთის რეგულარულ
ნაწილებთან ერთად; ხოლო როცა საომარ მოქმედებაში არ
მონაწილეობდნენ, ქვეყნის შიგნით საყარაულო საბსახურს
ეწეოდნენ. ამასთან ლაშქრად გაწვევისა და ორგანიზაციის
თვალსაზრისით ქართული მილიცია წინანდელი ლაშქრისაგან
არაფრით არ განსხვავდებოდა. მილიცია ყალიბდებოდა ნება-
ყოფლობის საფუძველზე, ყოველგვარი ძალდატანების გარე-
შე, მოხალისე პირთაგან. მოლაშქრენი მუდმივ საბჭედრო სამ-
სახურს როდი ეწეოდნენ, ისინი გარეგნობისა და საჭიროების
მიხედვით იკრიბებოდნენ. ბსარის ოფიციალური ხელმძღვანე-
ლობა გარკვეულ დონემდე არც კი ერეოდა ქართველი თავა-
დებისა და საზოგადოების საშინაო საქმეებში და კონტროლს
არ უწევდა მათს განკარგულებებს[1].

საქართველოში რუსეთის ხელისუფლების განმტკიცებისა
და ცარიზმის ექსპანსიონისტური პოლიტიკის გაფართოებას-
თან ერთად ქართული ლაშქრის ძველებური წესი თანდათანო-
ბით დავიწყებას მიეცა. ქვეყნის საზღვრების დაცვისა და სა-
გარეო პოლიტიკის განხორციელების მთელი სიმძიმე, ცხა-
დია, მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის რეგულარულ ჯარებს
დაეწვა. ამიერკავკასიის საზღვრებზე რუსეთის რეგულარული
ჯარების როლის ზრდას და ადგილობრივი ლაშქრის შემცირე-
ბას, სხვა ფაქტორებთან ერთად, განსაკუთრებით ხელი შეუწ-
ყო ამ დროის მომხდარმა უდიდესმა ცვლილებებმა საბჭედრო
ორგანიზაციაში, ტექნიკასა და შეიარაღებაში. „წინათ გურუ-
ლები წარმატებით იბრძოდნენ თურქეთის ჯარების წინააღმ-
დეგ, — წერდა ერთი გურული თავადი XIX საუკუნის შუა
ხანებში.

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 996, ბუტორის ხელნაწ.

მაგრამ მის შემდეგ, რაც თურქებმა არტილერიითა და შტუცერებით შეიარაღებული რეგულარული არმია გაიჩინეს, გურულებს მიუხედავად თავიანთი სიმამაცისა... რუსეთის ჯარების დახმარების გარეშე არ შეუძლიათ წინააღუდგნენ თურქეთის რეგულარულ ჯარს, რადგან მათ თანაბარი შეიარაღება არ გააჩნიათ" [1].

ადგილობრივი ძალების როლის შემცირებაზე არა ნაკლებ იმოქმედა აგრეთვე ქართველი რეაქციული ფეოდალების წინააღმდეგობამაც, რამაც რუსეთის მთავრობაში, პირველხანებში, ერთგვარი უნდობლობა დაბადა ადგილობრივ ძალებისადმი. ერეკლეს სამხედრო საქმის ორგანიზაციამ და მისმა წესდებამ თანდათანობით დაჩაგრა თავისი ძალა და მნიშვნელობა [2]. მიუხედავად ერთგვარი სკეპტიკური განწყობილებისა, მთავარმართველები და კავკასიის არმიის მთავარსარდლები შემდგომშიც ცდილობდნენ არ აეღოთ ხელი შესანიშნავ დამხმარე ძალაზე — ქართულ მილიციაზე. მათ კარგად ესმოდათ ადგილობრივი შეიარაღებული ძალის როლი და მნიშვნელობა. მთავარმმართველები ენერგიულად ეძებდნენ ქართველ მალალ წრეებისადმი მიდგომის მეთოდებსა და ხერხებს, ცდილობდნენ ქართველთა ძველი ტრადიციები და ადათ-ჩვეულებანი სამხედრო ორგანიზაციის ახალი მოთხოვნილებისათვის შეეფარდებინათ.

1826 წელს, რუსეთ-სპარსეთის ომის დაწყებისას, გენერალმა ა. პ. ერმოლოვმა ქართველ ხალხს მიმართა მოწოდებით ადგილობრივი სახალხო ლაშქრის შექმნის შესახებ. მოწოდების პასუხად ქართველობამ სასწრაფოდ გამოიყვანა ლაშქარი, რომელმაც მალე ბრწყინვალედ გამოიჩინა თავი შამქორის ბრძოლაში. მაგრამ მთავარსარდალმა ცოტა ხნის შემდეგ საჭიროდ ჩათვალა დაეთხოვა ქართული რაზმი. საპასუხო წერილში ბარონ დიბიჩისადმი გენერალმა ერმოლოვმა ასე დასაბუთა თავისი გადაწყვეტილება: „აქაური სახალხო ლაშქრის გაწვევა ძველ ჩვეულებას ემყარება, რომლის მი-

---

[1] АКАК, т. XI, стр. 231.

[2] ЦГИАГ, ф. 12, д. 805, ესაძის ფონდი.

ხედვითაც ყოველი მიწის მესაკუთრე და გლეხი უნდა გამოვიდეს საომრად. ეს ფეოდალური ლაშქარია და მას არ შეუძლია 1½ — 2 თვეზე მეტ ხან გასწითოს საომხედრო სამსახური თავის კმაყოფაზე. იგი შეიძლება წელიწადში ორჯერ, სამჯერაც კი იქნას შეკრებილი ხანმოკლე ღონისძიებისათვის, მაგრამ მთელი კამპანიის განმავლობაში იარაღქვეშ ყოფნას იგი ვერ აიტანს. ამიტომ დავითხოვე მე ეს ლაშქარი თვენახევრის შემდეგ"[1]. ძალზე დამახასიათებელია ის მომენტი, რომ გენერალი ერმოლოვი ადგილობრივი სახელმწიფო ლაშქრის სახაზინო ხარჯზე შენახვას სრულიად უსარგებლო, საზარალო და საარისკო საქმედაც კი თვლის. „ქართველი თავადები, თათრების ალალარები და ბეგები, — წერდა იგი, — არ დაკმაყოფილდებიან იმ ჯამაგირით, რომელსაც ჩვენი ოფიცრები იღებენ. ამას გარდა მოლაშქრეებს სახაზინო ჯამაგირი თუ დავუნიშნეთ და კმაყოფაზედაც ავიყვანეთ, ეს აუცილებლად გამოიწვევს ერთგვარ შეშფოთებას, რადგანაც საერკრუტო გაწვევის შემოღების ცდად მიიჩნევენ. უმჯობესია მივსდიოთ ამ მხარეში საუკუნეობრივად განმტკიცებულ ჩვეულებებს, ხოლო ის, რაც ჩვენი მმართველობის წესისა და სულის საწინააღმდეგოა ვეცადოთ თანდათანობით და თითქმის შეუმჩნევლად შევცვალოთ"[2]. პასკევიჩი ძალიან მალე დარწმუნდა, რომ გენერალ ერმოლოვის გაფრთხილება „უმჯობესია მივსდიოთ ამ მხარეში საუკუნეობრივ განმტკიცებულ ჩვეულებებს" საფუძვლიანი და გონივრული იყო.

პასკევიჩმა პირველმა სცადა საქართველოში შემოეღო ადგილობრივი მოსახლეობის საომხედრო სამსახურის რეგლამენტაცია. 1827 წელს შემუშავებულ იქნა ერთგვარი დებულება, რომელიც საფუძვლად უნდა დადებოდა ადგილობრივ მკვიდრთაგან რაზმების შექმნას. იმავე 1827 წლის დასასრულს, პასკევიჩმა გამოსცა განკარგულება თბილისის მაზრისა და სპარსეთის მოსაზღვრე რაიონების (შამშადილისა და ყაზახის დისტანციების) მცხოვრები სომხებისაგან შეედგინათ ქვეითი

[1] ЦГИАГ. ф. 12, д. 805. ср.: „Утверждение русского владычества на Кавказе" т. IV, ч. II, стр. 329.

[2] Там же.

საბრძოლო რაზმები და გამოეყენებინათ ისინი საომარ მოქმედებებში სპარსეთის წინააღმდეგ. ამასთან ერთად პასკევიჩმა ბრძანა პოდპოლკოვნიკ ჯავროვის ხელქვეით შეეკრიბათ საქართველოს თავადაზნაურობის ცხენოსანი ლაშქარი 500 მხედრის შემადგენლობით. მაგრამ პასკევიჩის ყველა ღონისძიება უშედეგო აღმოჩნდა. სომხური ბატალიონის ჩამოყალიბება არ მოხერხდა, ხოლო საქართველოს რაზმი გამოცხადდა ირასრული შემადგენლობით, რის გამო იძულებული გახდნენ შეკრებილნიც შინ გაეშვათ[1]. ამ მარცხიანმა ცდამ გული ვერ გაუტეხა გრაფ პასკევიჩ-ერივანსკის. იგი შემდგომაც ელოლიავებოდა იმ აზრს, რომ ახლად შემოერთებული ერევნის სახანოს დაცვა დაეკისრებინა მეტად თუ ნაკლებად წესიერად ორგანიზებული ადგილობრივი შეიარაღებული ძალებისათვის.

1828 წლის სექტემბრის დროს და ახალციხის აღების შემდგომ პასკევიჩმა გაანიზღვარა 1829 წლის ზაფხულში გადაწყვეტ შეტევაზე გადასულიყო; ამიტომ მას სურდა სამხედროების დაცვა ადგილობრივი შეიარაღებული რაზმებისათვის მიენდო, რათა მას შესაძლებლობა მიეცემოდა ჯარის რეგულარული ნაწილები მთლიანად გამოეყენებინა გარეშე მტრის წინააღმდეგ სალაშქროდ. 1829 წლის თებერვლის გადამწყვეტ დღეებში, როდესაც ახალციხის სიმაგრე 20 ათასიანი თურქთა კორპუსის მარყუჟში იყო მოქცეული, ხოლო ამავე დროს ცნობილი გახდა არზრუმიდან ჩვენი სამხედროებისაკენ მოწინააღმდეგის 100 ათასიანი არმიის მოზღვავება, თანსპარსეთთან ხელახალი კონფლიქტი დადის წესრიგში იდგა, პასკევიჩმა ქართველ ხალხს განსაკუთრებული პროკლამაციით მიმართა, მოუწოდა მას „მშობლიური მხარის დასაცავად აღმდგარიყო". 1829 წლის 28 თებერვალს მან მიიწვია გუბერნიის თავადაზნაურობის მარშალი, თავადი ბაგრატიონ-მუხრანსკი ყველა კუთხის თავადაზნაურთა მარშლებთან ერთად და გამოუცხადა, რომ აუცილებელი იყო ქართული მილიციის რაზმების ჩამოყალიბება. ვადაწყდა, უწინარეს ყოვლისა, შექმნილიყო თბილისის გუბერნიის ფარგლებში ათი რაზმი, თვი-

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 994, л. 5—7.

თეული 500 მოლაშქრის შემადგენლობით, არა ნაკლებ ექვსი თვის ვადისა; ერევნის ქვეითი მილიცია (სარბაზის ასეულები) გადიდებულიყო ორ დრუჟინამდე, ისე რომ თვითეული 500 კაცი ყოფილიყო. გათვალისწინებული იქნა ბუსლიმანთა ცხენოსანი ასეულებისაგან, რომლებიც 1828 წელს მოქმედი კორპუსის შემადგენლობაში შედიოდნენ, ჩამოეყალიბებინათ ბოლქები 4—5 ასეულის შემადგენლობით თვითეული. დასასრულ, კანგერლინსკის ცხენოსანთა რაზმი მთავარ ძალებს უნდა შეერთებოდა. გრიბოედოვმა პასკევიჩმა ამასთანავე გადაწყვიტა არსებითი ცვლილებანი გაეტარებინა ქართული მილიციის გაწვევის წესსა და ორგანიზაციაში. მან უბრძანა მილიციაში გაეწვიათ თითო კაცი ყოველი ხუთი კომლიდან, დაეყოთ ასეულები ორ „ორმოცდაათ ათეულად" და ათ „ათეულად"; შემოღებულ იქნა სახალხო ლაშქრის ქვეგანაყოფების მეთაურთა დანიშვნის წესი. ამიერიდან მილიციის რაზმების მეთაურები რეგულარული ნაწილების ოფიცერთაგან უნდა შეერჩიათ[1].

პასკევიჩის ღონისძიებანი ადგილობრივ მოსახლეობას ერთობ ეზოთირა, მილიციის შეკრების ახალი, უჩვეული წესები ხალხმა რეგულარული ჯარის რეგლამენტაციად ჩათვალა, საქართველოში სერიოზული მღელვარება და არეულობა დაიწყო[2]. ჩვენი აზრით, ქართული მილიციის შექმნასთან დაკავშირებით მომხდარი „სახალხო ბუნტის" ისტორია განსაკუთრებული შესწავლის ღირსია, მით უმეტეს, რომ ეს ამბები, ზოგჯერთი მონაცემების მიხედვით, შესაძლოა რაიმე კავშირში იყვეს ქართველი ფეოდალების 1832 წლის ანტირუსულ შეთქმულებასთან. ცნობილია, რომ აღნიშნული შეთქმულებისათვის პზადება რამდენიმე წლით ადრე დაიწყო. ამასთან დაკავშირებით ფრიად საყურადღებოა ბარონ როზენის მოსაზრებანი, რომლებიც ემყარებიან შეთქმულების წინადროინდელ მის საკუთარ დაკვირვებებს ადგილობრივი საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი: „აქაური აზნაურებისა და თავადების წრეში, სწერდა იგი პეტერბურგში, — მე ვამჩნევ ერთ-

---

[1] ЦГИАГ, ф. 1087, л. 994, л. 7—8.

[2] „სახალხო ბუნტების შესახებ" იხ. АКАК, т. VII, стр. 283—292.

გვარ დაღვრემილობას, რომელიც უკმაყოფილებას ეფხლოვ-
დება". აქედან იგი სათანადო დასკვნებსაც აკეთებდა[1].

ქართული სახალხო ლაშქრის გაწვევის არაჩვეულებრივმა პირობებმა, ინსტრუქციის ბიუროკრატიულმა შაბლონურობამ და იმან, რომ მოლაშქრეთა კონტინგენტი პოლიციის მოხელეებს უნდა შეეგროვებინათ, სერიოზული შეშფოთება გამოიწვია მთელ საქართველოში და უწინარეს ყოვლისა მის დედაქალაქ თბილისში. საქართველოს ამბებს გამოეხმაურა აგრეთვე ამიერკავკასიის სხვა პროვინციებიც.

პასკევიჩის მიერ გამოცემული ინსტრუქცია პედანტური სიზუსტით განსაზღვრავდა მოლაშქრის სიმაღლესა და ასაკობას. ჩამოთვლილი იყო სხვადასხვა ფიზიკური ნაკლოვანება, რომლის მქონეც არ შეიძლებოდა ლაშქარში ჩარიცხულიყო. მასში პუნქტუალურად იყო აღნუსხული საალაშქრო აღჭურვილობის საგნები, იარაღები, მათი ზომა-წონა და ხარისხი. თანამედროვენი გადმოგვცემენ, რომ ამ წესებმა, რომელიც საოკრუტო გაწვევის წესდების ასლს წარმოადგენდა, როდი „შეაშინა" ქართველობა, მან მხოლოდ შეურაცხყო მათი სიამაყე და თავმოყვარეობა[2].

ქართველი ხალხის მღელვარება ძლიერდებოდა. იგულისხმება, რომ ყველაფერი ეს არ ხდებოდა თაეისთავად, თვითდინებით. მოძრაობას ასულდგმულებდა და წარმართავდა რუსეთის მმართველობის დამკვიდრებით უკმაყოფილო ადგი-

---

[1] „Утверждение русского владычества", т. IV. ч. 2. стр. 220.

[2] აღნიშნავთ ასეთ დამახასიათებელ შემთხვევას: მთელს აღმოსავლეთ საქართველოში ჭეშდა სილხაელი აზნაური დოიას სახელი; ეს დოია, მიუხედავად იმისა, რომ კოჭლი იყო, თავზარსა სცემდა მტერს. ცხენზე ამხედრებული გოლიათი აზნაური მარტოდ მარტო უმკლავდებოდა და მტერს აელებდა რამდენსამე მთის ყაჩაღს, რომელნიც დოიას სახელის გაგონებაზე შიშით ცახცახებდნენ. „მის თოფს და დამშაჩას არასოდეს უმტყუნებია პატრონისათვის, — წერს თანამედროვე, — არც მიზანს აცდენია მისი ნასროლი, ხოლო მისი ფირიანი ხმალი ყველაფერს სხვეტდა, რასაც მოხვდებოდა". გაოგნებული ქართველები კითხულობდნენ: „ნეთუ ჩვენი დოია, რომელიც ხმლის ერთი მოქნევით ორ კაცს აკვეთს შეაბე, ვერ გაუწევს სამსახურს სამშობლოს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი კოჭლია". („Утверждение русского владычества", т. IV, ч. 2, стр. 220)

ლობრივი თავადაზნაურობა. გუბერნატორმა ზავილევსკიმ მხეცური რეპრესიებს მიმართა: დაპატიმრებულ იქნა მრავალი ქართველი, მოსახლეობას აბუჩად იგდებდნენ, დასცინოდნენ, ამავე დროს აწარმოებდნენ მოლაშქრეთა ძალით შეკრებას. რეპრესიების მთელი სიმძიმე უბრალო, მშრომელ ხალხს დაატყდა თავს. ამან კიდევ უფრო გააღიზიანა მოსახლეობა. საყოველთაო აღშფოთების ქარიშხალი ახლოვდებოდა.

პირველად თბილისში გაიმართა მშრომელი მოსახლეობის მოძრაობა, დაიწყო არეულობა. ამავე დროს, თითქოსდა საერთო ნიშანი მისცესო, მღელვარება და არეულობა მთელი აღმოსავლეთ საქართველოს, თითქმის ყველა მაზრასა და რაიონს მოედო. მოძრაობა სწრაფად გავრცელდა ელიზავეტპოლის მაზრასა და ამიერკავკასიის სხვა პროვინციებში. გორის, თბილისის, თელავის და სხვა მაზრების სოფლებში ტარდებოდა ერთგულრიცხოვანი და მღელვარე კრებები. ადგილობრივი მოსახლეობა საზეიმოდ სდებდა ფიცს, რომ არ დამორჩილდებოდა ადგილობრივი მთავრობის მოთხოვნებს, წინააღმდეგობას გაუწევდა მეფის მოხელეებს. მიტინგებზე ხშირად ისმოდა შეძახილები: „მოვკვდებით, მაგრამ სალდათებს არ მივცემთო". ამავე დროს შეკრებილნი გადაჭრით და ყველას გასაგონად აცხადებდნენ, რომ ყოველთვის მზად არიან თავგანწირვით ებრძოლონ შემოსეულ მტერს, დაიცვან ქვეყანა, და თუ საჭიროება მოითხოვს, ჭუდზე კაცი გამოვა, მაგრამ „რეკრუტების" მიცემაზე ყველა ერთხმად ამბობდა უარს. „სალდათებს არ მოგცემთ, ჩვენი საზღვრების გადალმა არსად წავალთო", — უცხადებდნენ ისინი მეფის მთავრობის წარმომადგენლებს.

ხალხის მღელვარება განსაკუთრებით გამოვლინდა სოფ. კოდაში, თბილისის ახლოს. კოდელმა „ბუნტოვჩიკებმა" ახლომახლო სოფლებში შიკრიკები დაგზავნეს, თითხმეტი სოფლის მცხოვრებლები შეიერთეს და შეიარაღებულნი მრისხანე ნაღვრად დაიძრნენ თბილისისაკენ. ერთდროულად კიდევ უფრო ხალხმრავალი ტალღა უახლოვდებოდა თბილისს დიღმის მხრიდან. მდგომარეობა ძალზე სერიოზული ჩანდა, ახლოვდებოდა საყოველთაო სახალხო აჯანყება. შეშფოთებულ ხე-

ლისუფალთ? ამ ხელისუფლების მესაჭეს კავკასიაში გრაფ პასკევიჩს, უკან დახევა მოუხდათ. მთავარმართებელი ამბუღლუნელი გახდა გაეუქმებინა გენერალიტეტი მილიციის შესახებ.

გრაფმა პასკევიჩმა მოსახლეობას შემდეგი პროკლამაციით მიმართა: „ბოროტგანზრახულნი და ვერაგი ადამიანები ხალხში აერცელებენ საზიანო და ბრიყვულ ხმებს, თითქოს საქართველოსაგან სალდათებს მოითხოვდნენ. ასეთი განზრახვა მთავრობას სრულიადაც არ ჰქონია. თქვენი სალდათები საქართველოა. განცხადებებიდან ნათლად ჩანს, რომ თქვენ უნდა გამოიყენოთ მილიციელები, ე. ი. „ჯარისკაცები", რომლებიც მიმდინარე წელს ექვსი თვის განმავლობაში გასწევენ საბუნებრივ საბსახურს. მამაცი მეომრები ჩემი ყოველდმოწყალე ხელმწიფისა, რომელთაც საქვეყნოდ ცნობილი გამარჯვებებით გაეკვირვეს თქვენნი ბატრები, წინათ რომ თქვენ გზაგრავდნენ, გაელენ საზღვრებს იქით. თქვენ კი, ნუთუ გიმძიმთ საქართველოს საზღვრებშიეე დაიცვეთ წესიერება, სიმშვიდე და ეცადოთ არ შემოუშვათ თქვენს ქვეყანაში შავი ჭირი? ნუთუ გიმძიმთ თქვენივე ოჯახების კეთილდღეობისათვის იმსახურეთ?

ქართველებო! ჩვენს ძლევამოსილ ჯარში მსახურობდნენ თათრები, ჩვენი იმპერატორის ქვეშევრდომნი, მე მადლობელი ვარ მათი გულმოდგინეობისათვის... ახლახან მიეიღე ცნობა, რომ გურულებიც იღებდნენ მონაწილეობას დიდებულ გამარჯვებაში თურქ სერასკირზე, რომელსაც მთელი ჩისი ბანაკი წაართვეთ. გურულები მამაცურად ებრძოდნენ ბატრს[1]. თქვენ კი ყველაზე უბრალო მოვალეობა დაგეკისრებათ — დაიცავით საკუთარი სახლ-კარი, ოჯახი შავი ჭირისა და ყაჩაღებისაგან"[2]. პასკევიჩის ასეთი გამოსვლა ხალხის წინაშე არსებითად მისი წამოწყების ერთგულების ალიარებას უდრიდა. გრაფ-

---

[1] გურიის და სამეგრელოს მილიციებმა თურქეთის წინააღმდეგ 1828 — 1829 წლებში წარმოებულ ბრძოლებში იმერეთი გმირობა და მამაცობა გამოიჩინეს, რასთანაც მთავრობის ჯილდო — საპატიო დროშა მიიღეს.

[2] „Утверждение русского владычества", том же.

ძალადარსარდალს არ შეეძლო საქვეყნოდ ელიარებინა, რომ ზეკვნილ ვითარებაში ქართული მილიციის ჩამოყალიბება შეუძლებელი იყო. გამოუვალ ჩიხში მოქცეულ მთავარსარდალს ველს ახლა ისღა დარჩენოდა, რომ „ლირსეულად" დაეტვრინა თავი ეროვნულ ვითარებიდან, გაეფანტა არასასიამოვნო შთაბეჭდილება და მუნდირი გადაეცვა. პასკევიჩი იძულებული გახდა საათანადო მანევრი გაეკეთებინა: საჯაროდ გამოაცხადა, რომ თურქებზე ახალციხესთან და გურიაში ახალი გამარჯვებების მოპოვების გამო „მილიციის შეკრება უკვე საჭირო აღარ არისო" [1].

საქართველოში თავისი პოლიტიკური მანევრების გამო, გრაფი პასკევიჩი 1829 წლის 6 აპრილს თავად ჩერნიშევს წერდა, რომ საქართველოს თავადაზნაურობამ მას იმედი გაუცრუა. „აზნაურები და თავადები თავიანთი მოწოდების სიმაღლეზე არ აღმოჩნდნენ, — წერდა პასკევიჩი, — ისინიც კი, რომელნიც ადრე თვით გეთხოვდნენ სახალხო ლაშქრის შეკრებას, ახლა ორგულად და თავხედურად მოქმედებდნენ. თვით საგუბერნიოს თავადაზნაურობის მარშლის ერეკლე მამულიდანაც არ გამოსულა არც ერთი მოლაშქრე. გაელენიანი ქართველი თავადების ყმები... პირველნი იყვნენ, რომელნიც არ დამორჩილდნენ. არც მათ შეპატრონებებს გამოუჩენიათ დიდი სურვილი და მზადყოფნა თავიანთი გლეხების დამშვიდების საქმეში". გრაფი ეუნივის დაძაბულ მდგომარეობას, ხალხის მზარდ უკმაყოფილებას და სინანულით შენიშნავს, რომ ასეთ რთულ ვითარებაში „მხოლოდ რუსი ჯარისკაცის სიმამაცეს უნდა დავეყრდნოთო" [2].

პასკევიჩის წამოწყების აშკარა მარცხმა მკაფიოდ დაგვანახვა, თუ როგორი უკმაყოფილებით ხვდებოდა იმ დროს ქართველობა სალდათად გაწვევას. ასეთი უარყოფითი დამოკიდებულება რეგულარული ჯარისკაცობისადმი არსებითად ტრადიციისა და ჩვეულების ძალას გამოხატავდა, რაც დროთა მსვლელობაში გარდუვალობით უნდა შეცვლილიყო. პასკევიჩი მტკიცედ შერჩა იმ აზრს, რომ საქართველოში რეგულარე-

---

[1] АКАК, т. VII, стр. 337—338; АКАК, т. VIII, стр. 284—285.
[2] АКАК, т. VIII, стр. 284.

ლი სამხედრო სამსახურის პრინციპები მაინც უნდა დანერგილიყო და თავის ამ შეხედულებას ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეულ „უპირატესობებზე" ამყარებდა. „ეს რეკრუტები, — აღნიშნავდა პასკევიჩი, მბედველობაში ჰყავდა რა მომავალი ქართველი ჯარისკაცები, — დაბადებულნი და აღზრდილნი ამ ქვეყანაში, დაზღვეულნი იქნებიან კლიმატურ ავადმყოფობებისაგან და დამღუპველი სიკვდილიანობისაგან, ისინი თავისუფლად შეცვლიან რუსეთიდან ჩამოყვანილ რეკრუტთა ორმაგ რაოდენობას"[1].

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ პასკევიჩი ჯეროვან დასკვნებსაც აკეთებდა თავისი რეფორმის წარუმატებლობისაგან და საქართველოსა და ამიერკავკასიის მომავალ ხელისუფალთ ჭკუის სასწავლებელ გაკვეთილს უტოვებდა. „ეს მაგალითი გვიჩვენებს, — წერდა იგი იმპერატორს, — თუ რაზომ შიში აქვთ აქაური მცხოვრებთ რეკრუტში გაწვევისა. თუ ექვსი თვის ვადით გაწვევას წინააღმდეგობით შეხვდნენ, რასაკვირველია, მთავრობას ძალიან გაუჭირდება აიძულოს ისინი, რათა მათ ნამდვილი რეკრუტები გამოიყვანონს. ამ ქვეყანაში სრული მშვიდობიანობის არსებობის ვითარებაში ამ მიმართულებით ფრიად მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება იქნება საჭირო", — დასკვნის იმედგაცრუებული გრაფი[2].

ამავე პერიოდს ეკუთვნის პირველი შუდმიერი ქართული ქვეითი პოლკის — „ჯარის" ჩამოყალიბება. პასკევიჩს ესმოდა, რომ აუცილებელი იყო დღესასწაულის აკანყებული ტომების საპირისპიროდ მყარი და შუდმიერი ადგილობრივი ლაშქარი შეექმნა. მისი განზრახვა მალე სისრულეში იქნა მოყვანილი: თელავისა და სიღნაღის მცხოვრებთაგან ჩამოყალიბებულ იქნა სპეციალური დანიშნულების ნახევრად რეგულარული ქართული დრუჟინა, „რათა ქართველობას მიეცემოდა შესაძლებლობა თვით დაეცვა თავისი თავი მთიელ ბრბოებისაგან"[3].

როგორც თავის ადგილზე აღინიშნა, გასული საუკუნის 30-

---

[1] АКАК, т. VIII, стр. 284.

[2] АКАК, т. VIII, стр. 284.

[3] ЦГИАГ, ф. 12, д. 797; Там же, ф. 416, д. 31, л. 15. Газ. „Кавказ", 1853, № 46.

40-იან წლებში მთავრობის ადგილობრივ წარმომადგენლობას და კოჯესიის საბოლოობას უხდებოდათ საბატიო საბაბით სხვადასხვა სამილიციო რაზმების ჩამოყალიბება და მათი ეფექტური გამოყენება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბარონ როზენის მიერ ქართული, სომხური და მუსულმანური მოხალისეებისაგან შემდგარი სპეციალური პოლკების შექმნა 1832 წელს. 1837 და 1838 წლებში დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონში ჩამოყალიბებულ იქნა საკმაოდ მრავალრიცხოვანი სამილიციო შენაერთები — ასეულები და რაზმები. მეფისნაცვალმა ვორონცოვმა მიიღო რა მხედველობაში მოსალოდნელი საფრთხე თურქეთის მხრივ და აგრეთვე ჩერქეზეთის ავანტიურა ბრძოლების თავდასხმებისა, 1851 წელს შექმნა გურიის მუდმივი მილიცია.

თუ განვიზოგადოებთ საქართველოს შეიარაღებული ძალების ორგანიზაციის ძირითად ნიშნებს რუსეთთან შეერთების დროიდან XIX საუკუნის მეორე ნახევრის დამდეგამდე, შეიძლება შემდეგი დასკვნების გაკეთება:

ა. რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველოს ლაშქრის (მილიციის) როლი და მნიშვნელობა შესამჩნევად შემცირდა, იგი ქვეყნის თავდაცვის საქმის პირველხარისხოვანი ძალიდან გადაიქცა მეორეხარისხოვნად, რუსეთის რეგულარული არმიის დამხმარე ძალად. თუმცა, ითვლებოდა რა საერობო ვალდებულების ერთ-ერთ სახედ, ქართული მილიცია მაინც განაგრძობდა ფრიადმნიშვნელოვანი მოვალეობის შესრულებას ქვეყნის შიგნით, ხოლო ხშირად, საჭიროების შემთხვევაში, საზღვრების დაცვის წმინდა მოვალეობასაც სათმარი მოქმედების ახიერ ასპარეზზე.

ბ. სამხედრო ვალდებულებას ქართველი მოსახლეობა ძირითადად იხდიდა ტრადიციით განმტკიცებული ადათ-ჩვეულების საფუძველზე. პირველ პერიოდში ოფიციალური ძალაუფლება, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, არ ერეოდა თავად-აზნაურთა და ე. წ. „საზოგადოებრიობის" მოქმედების კომპეტენციაში, არ აიძულებდა ადგილობრივ მოსახლეობას დაქვემდებარებოდა შუდმივი ჯარის ორგანიზაციის ცენტრალურ რეგლამენტაციას.

გ. სამილიციო ვალდებულების ბოლოდ ვრცელდებოდა სა-

ზოგადოების ყველა კლასსა და წოდებაზე. ამასთან საზო-
გადოების მაღალ წოდებებს — თავადაზნაურობას ეკუთვნოდა
ლაშქრის ორგანიზაცია და მისი ხელმძღვანელობა. თავადები
და აზნაურები ჰქმნიდნენ ან დამოუკიდებელ რაზმებს, ან მდა-
ბიო ხალხთან ერთად მონაწილეობდნენ მილიციის საერთო შე-
ნაერთებში. ზოგჯერ ყალიბდებოდა ავრეთვე მოხალისეთა და-
მოუკიდებელი შენაერთებიც.

დ. სამილიციო ქვედანაყოფების დაკომპლექტება წარმოებ-
და ჩვეულებრივი „განრიგის" მიხედვით, რაც ტრადიციულად
იყო დამკვიდრებული მოსახლეობაში. ამ წესს თანაბარი ზომით
იყენებდნენ როგორც სამილიციო სამსახურის, ისე სხვა სა-
ერობო ხასიათის ვალდებულებათა მოხდის დროსაც.

ი. როგორც წესი, დამოუკიდებლად მომქმედი სამილიციო
შენაერთები ყალიბდებოდა ტერიტორიული, ტომობრივი და
რელიგიური ნიშნების მიხედვით. ამის გამო, ამიერკავკასიის
სხვადასხვა ოლქისა და პროვინციის მოსახლეობა ერთიანდე-
ბოდა მოლაშქრეთა სხვადასხვა რაზმეულებში. გვხვდებოდა
ინტერნაციონალური შემადგენლობის სამილიციო რაზმები,
სადაც წარმატებით თანამშრომლობდნენ და მხარდამხარ იბრ-
ძოდნენ ქართველები და რუსები, აზერბაიჯანელები და სომ-
ხები, მაგრამ სალაშქრო შენაერთები უპირატესად მაინც ტერი-
ტორიულ შეიარაღებულ ძალთა ხასიათს ატარებდნენ.

კ. არსებობდა ისეთი წესიც, როცა მორიგ წვევანდელს უფ-
ლება ჰქონდა დაეჭირაოებია და მის მაგივრად ჩაერიცხა რაზ-
მეულში სხვა „მოხალისე", ან საათანადო თანხა შეეტანა უფ-
როსთან და თვით განთავისუფლებულიყო ვალდებულები-
საგან. ამ უპირატესობით, მეტწილად, ცხადია, ზედაფენები
სარგებლობდნენ.

თავადაზნაურობა თავის სამილიციო ვალდებულებას ორ-
გვარი სახით ახორციელებდა: სამსახურისათვის შესაფერი ადა-
მიანთა განსაზღვრული კონტიგენტის გამოყვანით, ან მისი შე-
იარაღების და მოვლა-შენახვისათვის საკომპენსაციო თანხის
გაღებით. თუმცა საერობო მილიციის ხაზინის ხარჯზე გადაყვა-
ნის შემდეგ ეს უკანასკნელი ფორმა თანდათან გაქრა.

გარემოებათა ცვლილების შესაბამისად იცვლებოდა სამი-
ლიციო ჯარების სტრუქტურა, სამეთაურო სისტემა და შტა-

ტი, რაზმების შეიარაღებისა და შენახვის წესები; თუმცა შენაერთების დაკომპლექტების წესი XIX საუკუნის მეორე ნახევარში თითქმის უცვლელი რჩებოდა. ამიერკავკასიის ჩასშტაბით, როგორც ალინიშნა, არსებობდნენ მილიციის მუდმივი შენაერთებიც, მაგრამ სჭარბობდა მილიციის დროებითი და გარდამავალი ნაწილები. პირველთა რიცხვს განეკუთვნებოდა ქართული ქვეითი პოლკი — „ჯარი", რომელსაც 1849 წელს ეწოდა „ქართული დრუჟინა". ანალოგიური შენაერთებს ეკუთვნოდნენ: ქუთაისის ცხენოსანთა ირრეგულარული პოლკი, ამიერკავკასიის მუსულმანთა ცხენოსანი პოლკი, კავკასიის ბოიელთა ცხენოსანი დივიზიონი და დაღესტანის პოლკი. ამავე კატეგორიის შენაერთებს განეკუთვნებოდნენ ეფრონცოვის მიერ 1851 წელს შექმნილი გურიის საბალიციო რაზმეული და კავკასიის არმიის მთავარ შტაბთან არსებული ე. წ. „საპატიო რაზმი".

1853 — 1856 წლების აღმოსავლეთის ომის დაწყებასთან დაკავშირებით ადგილობრივი შეიარაღებული ძალების ორგანიზაციის სისტემაში, ქართული მილიციის როლსა და დანიშნულების ხასიათში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. აღსანიშნავია, რომ, თუ 1829 წელს პასკევიჩის ლონისძიებას ქართველობის თვალსაზრისით ნაწილი აქტიური პროტესტით შეხვდა და საქმე თავადაზნაურობის მიერ მოწყობილ შეთქმულებამდე მიიდა, სულ საწინააღმდეგო მდგომარეობა შეიქმნა აღმოსავლეთის ომის წლებში. ყირიმის ომის დროს მთელი ქართველი ხალხი, მისი ყველა ფენა იშვიათი ერთსულოვნობით დადგა რუსეთის ინტერესების საფარველზე, მაგრამ ამოუდგა რუსეთის რეგულარულ ჯარს და ერსტყვეთ ასრულებდა მისი საარდლობის საბრძოლო განკარგულებებს. საქართველო ომის დროს გადაიქცა ერთიან საბრძოლო ბანაკად, ზეტრისათვის მიუვალ ციხე-სიმაგრედ, რომელზედაც იმსხერეოდა თურქეთის არმიის დაწოლა და ინგლის-საფრანგეთის აგენტურის ყველა ძირგამოთხრილი ოინი.

ქართული მილიციის ყველა ძირითადი ნიშანი და თვისება, მისი პოლიტიკური განწყობილება და საბრძოლო სულისკვეთება, ორგანიზაციული სპეციფიკა და მისი მორალური საბე

სარკესაეით ასახავდა ყველა იმ ძვრასა და ცვლილებას, რომლებიც განიცადა ქვეყანამ რუსეთთან შეერთებიდან, შემდეგ მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში. ამ გარემოებათა წყალობით ქართული მილიცია არსებითად განსხვავდებოდა როგორც ყირიმის ომის დროინდელი რუსეთის სახალხო ლაშქრისაგან, ისე 1812 წლის სახელოვანი პარტიზანებისა და მოლაშქრეთაგან, რომელთა ღვაწლიც ოქროს ასოებით ჩაიწერა ისტორიის ანალებში. 1853 — 1856 წლების ომში მონაწილე ქართული მილიცია, მთელი რიგი თვისებებით, საგრძნობლად განსხვავდებოდა აგრეთვე იმ ქართველ მოლაშქრეთაგანაც, რომელნიც მონაწილეობდნენ პასკევიჩის ცნობილ ლაშქრობებში ირანისა და თურქეთის წინააღმდეგ. ის არ გავდა აგრეთვე 70 — 80-იანი წლების ნახევრად რეგულარულ დრუჟინებს, რომელნიც სწრაფი უნიფიკაციის პროცესს განიცდიდნენ რუსეთის რეგულარულ ჯარებთან.

1853 — 1856 წლების აღმოსავლეთის ომის დროინდელი საქართველოს შეიარაღებული ძალების სრული თავისებურება განპირობებულ ამიერკავკასიის ასპარეზზე შექმნილმა კონკრეტულმა პირობებმა. ბრძოლის ველზე გაწვეული ქართველი ხალხის რჩეული შვილები, რომლებიც გამოწყობილნი იყვნენ მეტად ორიგინალურ ფერად-ფერად ეთნოგრაფიულ სამოსლიანი კურტაკებში, არა მარტო თავისი მშობელი ხალხის ნდობისა და სიყვარულის ღირსი აღმოჩნდნენ, არამედ თავისი მამაცობით და უებრო თავგანწირულობით ბრძოლის ველზე თვით მაშინდელი მთავრობისა და სარდლობის მაღალი ნდობა და მოწონებაც დაიმსახურეს. ამით აიხსნებოდა, რომ ირმის სარდლობა გარეშე საფრთხის ზრდის კვალდაკვალ თანდათან აძლიერებდა თავის ყურადღებას ადგილობრივ შეიარაღებულ ძალებისადმი. ხელისუფლება და სარდლობა მეტი და მეტი რაოდენობით იზიდავდა მილიციის ასეულებს, რაზმებსა და დრუჟინებს სამხედრო სამსახურში და აბამდა მათ საომარ მოქმედებაში თურქებთან. უცნაურად მოჩანს, მაგრამ სრული ჭეშმარიტებაა, რომ მთავარსარდლობას მიზანშეწონილად მიაჩნდა ამა თუ იმ პროვინციის, ზოგჯერ კი მთელი გუბერნიის ყველა მცხოვრების ერთობლივი შეიარაღება, ვისაც კი იარა-

ლის ტარება შეეძლო. კავკასიის კორპუსისადმი გამოცემულ სპეციალურ ბრძანებაში 1854 წლის 4 მარტს, ეკითხულობთ: „მომავალი საომარი ვითარების გამო შესაძლოა წარმოიშვას აუცილებლობა, რათა შეეიარაღოთ ქუთაისის გუბერნიის ყველა მაზრისა და ქალაქის უკლებლივ ყველა მცხოვრები. აქის გამო, იარაღის ნაკლებობის შემთხვევაში, მთავრობა მზად არის აიღოს თავის ხარჯზე დაკვეთა საჭირო რაოდენობის ახალი იარაღის შესაძენად, რომელიც მცხოვრებლებს დაეთმობათ იმავე ფასში, რაც ხაზინას დაუჯდა"[1]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოფიციალური მთავრობის მსგავსი ღონისძიება ამ დროს სრულიად უპრეცედენტო იყო. მოელენათა ლოლიკის ძალამ მეფის მოხელეებიც კი იძულებული გახადა საკუთარი ხელით მაჟორობრივად შეეიარაღებინა ის მოსახლეობა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ მარტოოდენ „შეთქმულების" დაუშრეტელ წყაროდ და ბუდედ მიიჩნდათ.

ჯერ კიდევ ომის გამოცხადებამდე მეფისნაცვალმა დაუბმარე ძალად გამოიწვია გურიის მილიციის 9 ასეული, რომლებიც წინათ სასაზღვრო კორდონებს იცავდნენ. მან მიანდო გურიის თავადს დათა გურიელს შეეკრიბა მილიციის დამატებითი ასეულები და პირადად ეკასრა მათი მეთაურობაც[2]. მილიციის ახლად ჩამოყალიბებული შენაერთებიდან რამდენიმე ასეული ჩაყენებულ იქნა თვით ოზურგეთში, ხოლო დანარჩენი განლაგებულ იქნენ შავი ზღვის სანაპიროზე. სამეგრელოს მილიციის ერთი საკმაოდ ძლიერი დრუჟინა გაიგზავნა სოხუმში, ოსთა რამდენიმე ასეული გიორგი ერისთავისა და გიორგი ფალავანდიშვილის მეთაურობით დანიშნულ იქნენ ახალციხის ცხინ-სიმაგრის დაცვის გასაძლიერებლად[3]. გარდა ამისა, ადგილობრივმა მთავარსარდლობამ მიიღო გადაწყვეტილება 1853 წლისათვის დამატებით შეეგროვებინათ მილიციის 50 ასეული, მათგან რამდენიმე ასეული უნდა შეგროვებულიყო ოსეთის და ახალციხის მაზრაში, 12 — გურიაში, 10 — სამეგრელოსა და სამურზაყანოში, ამდენივე იმერეთში, თბილისში, გორში, თე-

---

[1] ЦГИАГ, ф. 1087, л. 472, л. 246.

[2] ЦГИАГ, ф. 13, л. 1, л. 4.

[3] ЦГИАГ, ф. 12, л. 8105; შდრ. ზეგლიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ფ. 5, ფ. 795.

ლავსა და სიღნაღის მაზრებში შეუდგნენ რამდენიმე სპეციალური ქართული სათავადაზნაურო ასეულისა და 5-ეულ დრუჟინის ორგანიზებას. მთავრობამ იარაღქვეშ მოუხმო ბორჩალოს მაზრისა და ამიერკავკასიის მრავალ სხვა პროვინციის მოსახლეობას. ჩატარებულ ღონისძიებებს აღგილობრივი საშალიციო შენაერთების შესაქმნელად მთავრობა მხოლოდ პირველ ნაბიჯად თვლიდა. საერო შემთხვევაში ამას უნდა მოყოლოდა მოსახლეობის მასობრივი გაწვევა და ნამდვილი სახალხო ლაშქრის შექმნა.

ოტომანთა სახელმწიფომ, დიდი ევროპული სახელმწიფოების ხელშეწყობით, რომლებმაც თავისი მრავალრიცხოვანი ჯაშუშებისა და აგენტების მეშვეობით კარგად იცოდნენ ამიერკავკასიაში რეგულარული ჯარების ნაკლებობა, იცოდნენ საზღვრების დაცვის სისუსტე, ამ მიმართულებით დასძრეს თავისი არმიის ფრიადმნიშვნელოვანი ძალები. სარწმუნო ცნობები ადასტურებენ, რომ ამიერკავკასიის საზღვრებთან განლაგებული თურქთა ჯარები ოტომანთა იმპერიის საერთო შეიარაღებულ ძალთა ნახევარზე მეტს შეადგენდა. თურქეთის აზიურ დაბა-ქალაქებიდან და ციხე-სიმაგრეებიდან, საკონცენტრაციო ბაზებიდან და პლაცდარმებიდან ჩვენი საზღვრებისაკენ შეუწყვეტელ ნაკადად მოედინებოდა მოწინააღმდეგის რეგულარული და არარეგულარული ჯარები, ქვეითი და ცხენოსანთა ნაწილები, გადმოქონდათ არტილერია. თურქები ენერგიულად ზეგრავდნენ საზღვრებს, არჩევდნენ ყველაზე სუსტად გამაგრებულ პუნქტებს, რათა შეტევითი ოპერაციების გაშლისთანავე უტყუარად და გამანადგურებლად დაერტყათ რუსებისათვის.

მოწინააღმდეგემ მალე იპოვა ხელსაყრელი სტრატეგიული პუნქტი. ისარგებლა რა ხელსაყრელი მომენტით, თურქები, ომის გამოუცხადებლად 1853 წლის 15—16 ოქტომბრის ღამით, მოულოდნელად თავს დაესხნენ გურიის სანაპირო საგუშაგო შეკვეთილს და ხელთ იგდეს იგი. მოწინააღმდეგემ ოოლად გადმოლახა ბერეთელ ჩვენი საზღვრები სხვა საკვანძო პუნქტშიც. იგი შეუდგა ახალციხის მაზრისა და სომხეთის ოლქის აკლებას. მტრის ძალები სერიოზულად ემუქრებოდნენ ამიერკავკასიის სტრატეგიულ ცენტრს — თბილისსაც.

თითქმის მთელი ქართველობა ფეხზე დადგა და [illegible] ჩაჰკიდა ხელი. გურიაში, სამეგრელოში, იმერეთში, ქართლის სოფლებში სტიქიურად დაიწყო ლაშქრის (მილიციის) ჩამოყალიბება. სახელდახელოდ შექმნილი მრავალი ქვეითი და ცხენოსანთა რაზმეულები სასწრაფოდ მიეშურებოდნენ ბრძოლის მოწინააღმდეგე ხახზე და თვითნებურად ეროწყმოდნენ მოქმედ რეგულარულ ნაწილებს, დგებოდნენ მათი სარდლობის განკარგულებაში. ზოგიერთი ასეული და დრუჟინა კი შეემართებოდა ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოში და დაეინებებით მოითხოვდა მოქმედ ნაწილებში ჩარიცხვას. საქმე ისე ვითარდებოდა, რომ მოულოდნელობით თავგზააბნეული რეგულარული არმიის სარდლობა და თვით სამხედრო გუბერნატორიც კი ვერ ნახულობდნენ გამოსავალს და იძულებული ხდებოდნენ თავის პატიჟებსა და მოხსენებებში სპეციალურად დაეყენებინათ საკითხი ზემდგომ ორგანიზაციებში. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი 1853 წლის 22 ოქტომბერს მეფისნაცვალს თავ. ვორონცოვს სწერდა: „მიუხედავად იმისა რომ ჯერ კიდევ არ მიმიღია ბრძანება თურქეთთან საომარი მოქმედების დაწყების შესახებ, არ მოგვეპოვება გურიის რაზმისათვის გათვალისწინებული კომპანიის გუგმა და ვიმყოფებით თავდაცვის მდგომარეობაში. მე არ შემიძლია ანგარიში არ გაეწიო როგორც თავად დადიანის, ისე იმერეთის, გურიისა და სხვა თავადის წინადადებებს, მათ კეთილშობილურ სურვილს მონაწილეობა მიიღონ საომარ მოქმედებაში გურიის მხრიდან...“ გუბერნატორი იქვე თხოვს მეფისნაცვალს დარიგოს ამის ნება და შეამდგომლობს, რათა მილიციის მოსული ნაწილები შეეერთოს რეგულარული ჯარის მოქმედ ნაწილებს[1].

საომარი მოქმედების დაწყების პირველსავე დღეებში გურიის საზღვარზე განლაგებულ იქნა გურიის მილიციის 14 რაზმი, სამეგრელოს და სამურზაყანოს 12 რაზმი, რამდენიმე ასეული იმერეთის მილიცია და იმერეთ-სამეგრელოს თავდაზნაურთა ორი შეერთებული დრუჟინა. ახალციხის საომარ ასპარეზს მოაშურეს გორის თავადაზნაურთა ცხენოსანთა დრუ-

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 472, л. 27.

ქინამ სამი ასეულის შემადგენლობით, თბილისის თავადაზნაურთა ცხენოსანთა დრუჟინამ, თბილისისა და გორის რამდენიმე ქვეითმა დრუჟინამ და ასეულებმა, ოსეთის ორმა ცხენოსანმა რაზმეულმა. ამათ გარდა ბორჯომსა და ბორჯომის ხეობაში ჩაყენებულ იქნა თელავისა და სიღნაღის მაზრების მცხოვრებთაგან შექმნილი 2 მრავალრიცხოვანი და კარგად აღჭურვილი დრუჟინა, თბილისისა და გორის მაზრების ერთიანგაერთიანებული მძლავრი დრუჟინა, ოსეთის ოლქის, ჯავის უბნის მცხოვრებთაგან შემდგარი მილიციის სამი ქვეითი რაზმეული და თუშ-ფშავ-ხევსურთაგან შექმნილი განსაკუთრებული ცხენოსანთა რაზმი[1]. ამათ უნდა დაემატოს კიდევ ათასზე მეტი მოხალისე ქვეითი და ცხენოსანი გორის ოლქის სოფლებიდან და თვით გორის მილიციის მთელი შემადგენლობა, რომელთაც დაკავებული ჰქონდათ ბორჯომის ყელის ყველაზე სახიფათო ადგილები და გზა-ბილიკები. სახალხო მილიციისა და მოხალისეების თითქმის ყველა შენაერთი მოვარაგებული იყო მოსახლეობის მიერ სურსათ-სანოვაგით, დროის ყველობაზე აღჭურვილი იყო საჭირო იარაღით. მათ ევალებოდათ სახიფათო ადგილების დაცვასთან ერთად, თვალყური ედევნებინათ მტრის სადივერსიო, ძირგამომთხრელ მოქმედებისათვის ჯარების ზურგში, განედევნათ ახალციხის მაზრის სოფლებში მოთარეშე თურქ აგენტთა ბრბოები. 1853 წლის საომარი კამპანიის წარმატებით ჩატარებასთან დაკავშირებით მილიციის შენაერთების დიდი ნაწილი დათხოვნილ იქნა.

აწყურთან, ახალციხესთან და ბაშკადიკლართან მოპოვებული გამარჯვებებით კავკასიის კორპუსის სარდლობამ ბრწყინვალედ გადაჭრა ომის პირველი ეტაპის ძირითადი ამოცანა: ამიერკავკასიის საზღვარი მთელ თავისი სიგრძეზე დაცულ იქნა, ჩვენი ტერიტორია მთლიანად იქნა გაწმენდილი მოწინააღმდეგის ერდოებისაგან. ომის დასაწყისში რუსეთის იარაღის ამ წარმატებებმა განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ომის მთელ შემდგომ მსვლელობაზე აზიურ თურქეთში.

1853 წლის საომარი კამპანია დამთავრდა. გვიან შემოდგომაზე, ზამთრის დასაწყისში რეგულარული ჯარები მო-

[1] ЦГИАГ, ф. 1087, л. 472, л. 27.

თავსებულ იქნენ საზამთრო ბინებში. მაგრამ ბრძოლები რიგი შეწყვეტილა. ამიერკავკასიის საომარი ასპარეზის მარჯვენა ფრთაზე ხან აქ, ხან იქ განუწყვეტლივ ისმოდა თოფების ორმხრივი გრიალი. იმართებოდა ხელჩართული ბრძოლა. ფხიზლობდნენ ადგილობრივი მილიციის შენაერთები, ისინი დარაჯად ედგნენ საზღვრებს და გზას უღობავდნენ მოზღვავებულ თურქეთის ურდოებს — ბაშიბუზუკებს. ადგილობრივმა სარდლობამ აჭარისა და ბათუმის მიმართულებით სასაზღვრო ხაზის დაცვა მიანდო გურიის, იმერეთისა და სამეგრელოს მილიციას თავად ლევან გურიელის საერთო მეთაურობით. 1853—1854 წლების სუსხიანი ზამთრის მანძილზე ჩვენი მილიცია თავდადებით ებრძოდა მოწინააღმდეგეს, იგერიებდა შეტევაზე გადმოსულ თურქთა რაზმებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ საქართველოს სალაშქრო შენაერთები წარმოადგენდა იმ ერთადერთ შეიარაღებულ ძალას, რომელსაც მინდობილი ჰქონდა მდგარიყო საზღვრებთან გვიან შემოდგომის, ზამთრის და ადრე გაზაფხულის პერიოდში, ქართული მილიცია მოწინააღმდეგეს გასაქანს არ აძლევდა.

სამხედრო მოვლენების ქრონიკა გადმოგვცემს ჩვენი მილიციის საბრძოლო მოქმედების ფაქტებს, გვიხატავს მათ გმირობასა და მამაცობას მოწინააღმდეგესთან განუწყვეტელი შეტაკებების დროს. მტრის მიერ შეკვეთილის დაკავებისთანავე გურიანთის ასეულმა და პარტიზანთა ჯგუფმა ქაიხოსრო გუგუნავას მეთაურობით რამდენჯერმე მოაწყო მტერზე თავდასხმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ შენაერთის შეტაკებანი მტერთან 19 — 20 ოქტომბერს ჩახათის ხიდის მიდამოებში, სადაც მან მოწინააღმდეგეს თვალსაჩინო ზიანი მიაყენა[1]. 22 ოქტომბერს გურიის მილიციის დრუჟინა ანტონ ერისთავის მეთაურობით როკნალთან თავს დაესხა თურქებს, უკან დაიბრუნა მტრის მიერ დაკავებული ქვემო ბოგილის საგუშაგო და თურქები ჩოლოქს იქეთ გადარეკა; 27 ოქტომბერს ერისთავმა კვლავ ახალი დარტყმა აგებინა კონტრშეტევაზე გადმოსულ მტერს. იმავე დღეებში ადგილი ჰქონდა დიდ სისხლისმღვრელ შეტაკებას ჩოლოქის საგუშაგოს-

[1] ЦГИАГ. ф. 1087, д. 458, л. 73—78; Там же, д. 472,

თან. გურიისა და იმერეთის სამილიციო ცხენოსანთა დრუჟინები შეერთებული ძალით მალაქია გურიელის მეთაურობით თავს დაესხნენ მოწინააღმდეგეს, უკუაქციეს იგი სასაზღვრებიდან და ლელვას იქეთ განდევნეს.

ბრძოლების ქრონიკიდან ვგებულობთ, რომ 5 ნოემბერს განთიადისას მტერი რიცხვით 2 ½ ათასი კაცი გადმოვიდა მათ მიერ დაკავებულ შეკვეთილიდან და თავს დაესხა სამეგრელოსა და გურიის ცხენოსანთა დრუჟინებს, რომლებიც ფრიად მნიშვნელოვან კვანძებს იცავდნენ. მოწინააღმდეგე, რომელიც რამდენჯერმე სჭარბობდა მილიციას, შეიარაღებული იყო 8 ფალკონეტით და გემებზე ისხდა. მტერი ძლეულ იქნა. სამეგრელო-გურიის შეერთებული რაზმები გრიგოლ გურიელის მეთაურობით გმირულად წინააღუდგნენ თავზედ მტერს და უკუაქციეს იგი. ამ შეტაკების მასშტაბს ნათელყოფს ის ფაქტიც, რომ გურულებმა და მეგრელებმა ბრძოლის ველზე მოკლულთა და დაჭრილთა სახით 100-მდე კაცი დაჰკარგეს, თავდამსხმელებმა — ორჯერ მეტი.

სამი ათასი შეიარაღებული თურქი 6 ნოემბერს ღამით თავს დაესხა ჩოლოქის საგუშაგოს. თურქებს სურდათ გზა გაეკაფათ ლიხაურისაკენ. საგუშაგოზე ამ დროს მალაქია გურიელის დრუჟინის მხოლოდ ერთი ასეული იდგა. მილიციელები თავგანწირულად წინააღუდგნენ მრავალრიცხოვან მტერს, შეიჭერეს იგი მანამდე, ვიდრე მას მიეშველებოდნენ სხვა რაზმები დათა გურიელის მეთაურობით და იმერეთის ცხენოსანი ასეულები. შემდეგ მილიციის გაძლიერებულმა ძალებმა სასტიკად შეუტიეს მტერს, უკან გაებრუნეს და შეუსვენებლივ სდიეს მას ლელვამდე, გადალახეს თურქეთის საზღვარი, ჩვენი საზღვრიდან 4 ვერსის დაშორებით ხანძარს მისცეს თურქეთის ქარაგანსარაი და სხვა საწყობები, უკან გამარჯვებულები დაბრუნდნენ. ამ შეტაკების დროს მოკლულ იქნა 18 მილიციონერი. მოწინააღმდეგემ 70 კაცი დაჰკარგა.

8 ნოემბერს მილიციამ კვლავ სასტიკი დარტყმა აგვეა ქუთაისის საგუშაგოსთან თავდამსხმელებს და განდევნა ისინი საზღვრებიდან. ასეთივე ისტორია განმეორდა 10 ნოემბერს,

როცა მილიციონერთა დრეკინა პორუჩიკ გრიგოლ გურიელის მეთაურობით, ღამით, ულრანი ტყეებით მიუახლოვდა შეკვეთილში განლაგებულ თურქთა ნაწილებს, მოულოდნელი თავდასხმით თავზარი დასცა მათ, მოუკლა და დაუჭრა ორ ათეულამდე ჯარისკაცი, წაართვა იარაღი და უკანვე გაბრუნდა.

მიუხედავად ძალთა სიჭარბისა, მოწინააღმდეგემ ვერ შესძლო საზღვრების გმირ დამცველთა მოდრეკა, ვერ შესძლო წინ წამოწევა, ჩვენი მიწის გადმოლახვა. მილიციის ნაწილები ქედმოუხრელად განაგრძობდნენ საფარაჯოზე დგომას. ქურნალი „საბრძოლო შემთხვევათა შესახებ" თავის ფურცლებზე ასახავს მილიციის მამაცური მოქმედების მკაფიო ფაქტებს შუა ზამთრის პერიოდშიაც. ასე მაგალითად, 10 დეკემბერს გურიის მილიციის მეთაურმა გურიელმა შეიტყო რა მტრის მზადება თავდასხმისათვის, იმავე ღამით გაძლიერებული ძალებით თვით დაესხა მოწინააღმდეგის რაზენიერ საგუშაგოს და ხელი აიღებინა განზრახვაზე. მაგრამ თურქები მაინც ემზადებოდნენ რევანშისათვის, ისინი ხელსაყრელ მომენტს უცდიდნენ. „დღეს, — წერდა გენ. გაგარინი შეფისნაცვალს 20 დეკემბერს, — განთიადის წინ თურქებმა მოაწყვეს გამოხდომა ნიკოლაევისაკენ (შეკვეთილი — ე. ბ.) და თავს დაესხნენ მილიციას, რომელსაც მტკიცე პოზიცია უჭირავს ჭახათის ხიდთან. მოწინააღმდეგე ბრწყინვალედ იქნა მოგერიებული იმერეთის და გურიის მამაცი მილიციის მიერ, რომლებიც დაედევნენ მათ და უკანვე შერეკეს შეკვეთილში". პატაკში აღნიშნულია, რომ თურქებმა ბრძოლაში დაჰკარგეს 100-მდე კაცი, მილიციის დანაკარგი შედარებით მცირეა. დასასრულ გენერალი საჭიროდ თვლის განსაკუთრებით მოიხსენიოს „მთელი მილიციის სანიმუშო სიმტკიცე და თავგანწირულობა, გვარდიის შტაბროტმისტრის თავ. გურიელის, პორუჩიკ ალექსანდრე თავდგირიძის და პოდპორუჩიკ თავ. დათა გურიელის, იმერეთის მილიციის კაპიტნების თავადების სიმონ წულუკიძის და გრიგოლ წერეთლის გმირობა, მამაცობა და თავდადება"[1].

---

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 472, л. 43, 54.

გურია-იმერეთ-სამეგრელოს გაერთიანებულმა მილიციამ იმავე დროს გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა თურქებს ქაქუთის პოზიციაზე. დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებში თურქებმა კვლავ მიიტანეს იერიში იმერეთის მილიციის წინააღმდეგ, რომელიც ჭახათის ხიდს იცავდა, მაგრამ სასტიკი კონტრდარტყმის შედეგად ადგილზე დასტოვეს 110 გვამი და უკანვე გაბრუნდნენ. ასევე განმეორდა 1854 წლის 8 იანვარს, როდესაც იმავე ჭახათის ხიდისათვის ბრძოლაში გურია-იმერეთის მილიციამ კვლავ დიდი ზიანი მიაყენა მტერს და უკუაქცია იგი. ამ ფაქტებთან დაკავშირებით გურიის რაზმის უფროსის რელაციაში ვკითხულობთ: „შეუძლებელია არ გაგაოცოს ჩვენი მილიციის სანიმუშო სიმტკიცემ, ამტანობამ და თავგანწირულობამ. თავისი მამაცობით, თაოსნობითა და თავდარიგიანობით განსაკუთრებით გამოირჩევიან მილიციის შუთაურები — თავადები ლევან და დათა გურიელები, თავადი ალექსანდრე თავდგირიძე, იმერეთის თავადები — სიმონ წულუკიძე, გრიგოლ წერეთელი და ანტონ ერისთავი"[1].

ქართული სამილიციო შენაერთების ფორმირების საქმეში, როგორც აღინიშნა, ზუსტი რეგლამენტაცია არ არსებობდა. ზოგჯერ არ იგრძნობოდა რაიმე განსხვავებაც კი უბრალო ამხედრებულ ობივატელსა და შეიარაღებულ მილიციელს შორის. ქართული მილიციის ძალა და ძლიერებაც სწორედ ამაში მდგომარეობდა. „ერთი გვნახათ აქაური მილიცია, — აღტაცებით აღნიშნავს ომის თანამედროვე, — რა ხალხია, რა ადამიანები! როგორი სიფრთხილით იცავენ ისინი საზღვრებს, როგორი სიმტკიცით იტანენ ყოველგვარ სიდუხჭირეს და ნაკლოვანებებს, როგორი საბრძოლო ცოცხლით არიან ისინი აღგზნებული მოწინააღმდეგესთან შეტაკების დროს!"[2].

ოფიციალური საარქივო და კერძო ხასიათის უამრავი საბუთი ადასტურებს სახალხო მასების უჩვეულო აღმავლობას და საბრძოლო აღფრთოვანებას თურქებთან ომის დროს.

---

[1] Газ. „Кавказ", 1854, 6 იანვრის № 2.

[2] Газ. „Кавказ", 1854, 6 იანვრის ნომერი № 16

ომის თანამედროვენი მოგვითხრობენ იმის მკაფიო მაგალითებს, თუ როგორი თავგანწირვით იბრძოდა თითქმის ყველა ქართველი ადამიანი — დიდი და პატარა, ახალგაზრდა თუ მოხუცი, კაცი თუ ქალი. „დაუშვებელია კეთილი სიტყვით არ მოვიხსენიოთ ჩვენი მილიციის მაშინდელი განწყობილება, — წერს ომის მონაწილე. — პაპები და შვილიშვილები ერთნაირად იმყოფებოდნენ მის რიგებში. იყო მთელი ოჯახები, რომელთა შემადგენლობიდან სახლში არც ერთი მამაკაცი არ რჩებოდა. მე მიმითითეს თორმეტ-თოთხმეტი წლის ბიჭებზე, რომლებსაც უკვე მონაწილეობა მიეღოთ სასაზღვრო შეტაკებებში თურქებთან. მე პირადად მახსოვს ერთი ყმაწვილი თავადიშვილი ნაკაშიძე, რომელმაც ომის დაწყებისთანავე მიატოვა სასწავლებელი, შეიძინა თავის საკუთარ ხარჯზე საკავერო ხომალდიდან ორი თურქული ზარბაზანი და მილიციას აჩუქა. იგი ბრძოლაში ისე მიდიოდა, როგორც დღესასწაულზე. მაგრამ პირველსავე სასაზღვრო შეტაკებისას იგი მძიმედ დასჭრეს...

ახლა ჩვენი მოხუცები! მე პირადად ვიცნობდი ერის 80 წლის ბებერს, კეთილშობილ თავადს სიმონ წერეთელს, რომელმაც არაფრის გზით არ ისურვა სახლში დარჩენა იმ დროს, როცა ყველანი შედიოდნენ მეფის სამსახურში. როცა თურქები უშუალოდ ქუთაისს ემუქრებოდნენ, მან იკისრა საქალაქო ლაშქრის მეთაურობა.

მე მახსოვს თავ. სიმონ წულუკიძე — იმერეთის ყველაზე საპატიო და უმდიდრესი ადამიანი, მას ჰქონდა დიდძალი ქონება. საუკეთესო სახლი და ეეებერთელა მეურნეობა. მან ყველაფერი დასტოვა და თვიდან თვემდე დარაჯობდა გურიის საზღვარს. იგი ცხოვრობდა ლერწმის ფანჩატურში და საკუთარ ზურგზე გადიკიდია საბანაკო ცხოვრების მთელ სიდუხჭირეს, სასტიკი ომის ყველა ფათერაკს. აი, თავადი ქაიხოსრო მიქელაძე — ყველა მისი ლაშქრობების განუყოფელი მეგობარი და ამხანაგი!... იგი იყო იმერეთის ყველაზე მრავალრიცხოვან თავადთა გვარის წარმომადგენელი და ახლაც მეთაურობდა საფთავადო დროეინას, რომელიც მან შეადგინა მარტოოდენ თავად მიქელაძეების გვარიდან. იგი 75 წლის

იყო. ოდნავ მოხრილი ბეჭებში, მაგრამ მხნე და ხალისიანი, მარად უჭკნობი მომღიმარი სახით, ეეებერთელა წითელ ულვაშებით, რომლებიც ლომის ფაფარს ემსგავსებოდნენ. იგი ხიბლავდა ყველას თავისი ახოვანი, წარმოსადეგი ფიგურით... სამხედრო სამსახური ქაიხოსროომ ჯერ კიდევ მეფე სოლომონის დროს დაიწყო. შემდეგ იგი მონაწილეობდა პასკევიჩის ლაშქრობებში, ებრძოდა ჩერქეზებს, რომლებიც მას „გრძელულვაშა თავადს" უწოდებდნენ. მან ახლაც მთელი ზამთარი რაზმში გაატარა, თან ყველას საზეიმოთ გამოუცხადა: „რომ ომის დამთავრებამდე სახლში არ დავბრუნდებიო"[1].

1854 წელი ომის კრიტიკული მომენტი იყო მთელი ამიერკავკასიისათვის. მაშველი ჯარების ჩამოსვლის მიუხედავად, ამიერკავკასიის საომარ ასპარეზზე რეგულარული ჯარების რიცხვი მცირე იყო. თურქეთის არმია რაოდენობრივად რამდენჯერმე სჭარბობდა საზღვრების ზოლში განლაგებულ რუსეთის რეგულარული არმიის შენაერთებს. მოწინააღმდეგეს, ინგლის-საფრანგეთის ზრუნვის წყალობით, უპირატესობა ჰქონდა სამხედრო-ტექნიკური შეიარაღების მხრითაც. ჩვენი ჯარების ზურგში განაგრძობდნენ დივერსიულ, ძირგამოთხრილ მოქმედებას თურქეთისა და ინგლის-საფრანგეთის აგენტები. სპარსეთი კვლავ ორაზროვნად ეაჭრობდა თურქეთთან და ევროპის სახელმწიფოებთან, რათა მეტი მოგება ენახა მათთან თანამშრომლობისა და რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებისათვის. რაც შეეხება ევროპის დიდი სახელმწიფოების პოზიციას, აშკარა იყო, რომ შეიკრა საკმაოდ ძლიერი კოალიცია, რომელიც თურქეთისათვის „დახმარების" ნიღაბით ეპზადებოდა ჩაბმულიყო ომში რუსეთის წინააღმდეგ. ამრიგად, რუსეთი, და მასთან ერთად საქართველო, მთელი ამიერკავკასია მწვავე გამოცდის წინაშე აღმოჩნდა. ვითარება ისე მწვავე და დაძაბული იყო, რომ ხანში შესული მეფისნაცვალი ვორონცოვი საბოლოოდ გატყდა და იარაღი დაჰყარა, მან ველარ შეძლო თვალი გაესწორებინა მწარე სინამდვილისათვის და ამჯობინა სცენის გასცლოდა. დამახასიათებელია, რომ თვით გენერალ ბებუთოვსაც კი, რომელსაც ვერავინ

[1] Газ. „Кавказ", 1900, № 252, კ. მამაცაშვილის ნაამბობიდან.

წაართმევდა მამაცობის სახელს, მიაწერენ სრულ სასოწარკვეთაში ჩავარდნას[1].

ევროპის სახელმწიფოთა გამოსვლა რუსეთის წინააღმდეგ, მართლაც საბედისწერო მოელენად მოჩანდა. ამას მთელი თავისი შედეგებით ამიერკავკასიის მთელ საომარ ასპარეზზედაც უნდა ემოქმედნა. მოკავშირეთა ფლოტის შეჭრა შავი ზღვის აუზში კატასტროფის წინაშე აყენებდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს მთელ ზოლს, ცარიზმის მთელ სტრატეგიას.

ინგლის-საფრანგეთის ძლიერი ესკადრების შავ ზღვაში შემოსვლის შემდეგ რუსეთის სუსტმა „სიმაგრეებმა" სანაპირო ხაზზე ყოველგვარი მნიშვნელობა დაჰკარგეს. ამიტომ საესებით კანონზომიერად და დროულად უნდა ჩაითვალოს იმპერატორის რესკრიპტი გენერალ-ადიუტანტის მენშიკოვის სახელზე აღნიშნული სანაპიროს სიმაგრეების მოხსნის შესახებ. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ეს ღონისძიება დამღუპველ გავლენას ახდენდა დასავლეთ საქართველოს საზღვრების დაცვის ბედიღბალზე: მთელი აფხაზეთი, სამეგრელო და გურია სრულიად გაშიშვლებული და ღვთის ანაბარა იქნა მიტოვებული. ამიერიდან საქართველოში მოქმედ შეაარალებულ ძალებს უნდა ებრძოლნა თურქთა ჭარბი ძალების წინააღმდეგ. შეეკავებია შამილისა და მაჰმადიშინის მოზღვავებული მთიელთა რაზმები ზურგიდან და მზად ყოფილიყო შავი ზღვის სანაპიროზე გადმომსხდარი მტრის დესანტების შესახვედრად. მსგავსი პერსპექტივა, ცხადია, არაფერს სანუგეშოს არ უქადდა ადგილობრივ მოსახლეობას.

დასავლეთ საქართველოში შექმნილი მეტად დაძაბული მდგომარეობა უკარნახებდა სარდლობას სურამის უღელტეხილზე შეექმნა ძლიერი მობილური რეზერვი, რომელსაც შესაძლებლობა ექნებოდა ემოქმედნა მოქნილად და სწრაფად საჭირო მიმართულებით. მაგრამ, რეგულარული ჯარების ნაკლებობა, სამწუხაროდ, ხელფეხს უბორკავდა ადგილობრივ

---

[1] „Русский архив", 1891, кн. III, стр. 68.

სარდლობას. ამიტომ ადგილობრივ ძალებს, რესურსებსა და ინიციატივას კვლავ თავისი როლი უნდა შეესრულებინა. საქართველოს სახელოვან მილიციას კვლავ უნდა [illegible] თავისი როლი და აქტიური დახმარება აღმოეჩინა რეგულარული ჯარებისათვის. ამ კრიტიკულ წუთებში ვორონცოვი იძულებული გახდა კიდევ და უკანასკნელად მიემართა საქართველოს მოსახლეობისათვის სპეციალური პროკლამაციით. თავის მიმართვაში ამხილებდა რა თურქების ვერაგულ ზრახვებს, რომელთაც „ყოველმხრივ აქეზებდნენ დასავლეთის სახელმწიფოები", მეფისნაცვალი მგზნებარე სიტყვებით მოუწოდებდა ყველა ქართველს „ხელთ აეღო იარაღი". პატრიოტული აღტყინების გამოწვევის მიზნით თავ. ვორონცოვი თავის მოწოდებაში საგმაოდ ოსტატურად მიუთითებდა ქართველობას თავისი სამშობლოს „გმირულ წარსულზე", მოაგონებდა მათ წინაპრების ქედმოუხრელობას და სახელოვან გამარჯვებებს თურქ დამპყრობლებზე. „განა საჭიროა მოგაგონოთ თურქებზე თქვენი გამარჯვების შესახებ ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც აქ არ იყო დიდ სახელოვანი რუსის ჯარი?.. როდესაც 1770 წელს სახელოვანმა მეფე ირაკლიმ, თავისი ჯარებით, გრაფ ტოტლებენის რაზმის მონაწილეობის გარეშე, რომელიც გაწვეულ იქნა იმერეთის ჯარის დასახმარებლად, მძლავრად დაარტყა აწყურთან თურქეთის მთავარ არმიას, რომელიც ცდილობდა საქართველოში შევოჭრას, — მან მთლიანად ფაიანდაგურა მტერი, ამავე დროს მოსპო ხიდი მტკვარზე, თან გამოუდევნა თურქებს მანამდე, ვიდრე მათი დიდი ნაწილი არ დაიღუპა მდინარეში. ისტორია გვიამბობს, რომ ამ ბრძოლაში მონაწილეობდა 15 ათასი თურქი, ქართველები კი — მხოლოდ ექვსი ათასი". პროკლამაციის დასასრულს მეფისნაცვალი გამოთქვამდა ღრმა რწმენას, რომ თავადაზნაურობა პირველი მისცემს მტერთან ბრძოლის მაგალითს უბრალო მიწათმოქმედ გლეხობას, რაც მას (ვორონცოვს) შესაძლებლობას მისცემს მეფე-იმპერატორის წინაშე კვლავ დაადასტუროს ქართველი ხალხის „სამაგალითო სამხედრო ერთგულება"[1].

---

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 449, л. 32—33.

მეფისნაცვლის მიმართვა პოხიერ ნიადაგზე დაეცა. მან დიდი გამოხმაურება ჰპოვა მთელს საქართველოში. მთავრობის ოფიციალური პროკლამაციის წარმატება განპირობებული მთელი ქართველი ხალხის პატრიოტულმა და საბრძოლო ალმაცლობამ, მოსახლეობის მტკიცე გადაწყვეტილებამ უკანასკნელი სისხლის წვეთამდე ებრძოლა თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ. ისტორიკოსი საკუთებით მართებულად მიუთითებს, რომ მოსახლეობა ღრმა თანაგრძნობით შეხვდა საქართველოს ღონისძიებებს, რომ მილიციის რიგებში ჩარიცხვისა და ბრძოლის მსურველთა რიცხვმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა[1]. თავდაპირველად განზრახული იყო საქართველოში მილიციის 50 რაზმის შეგროვება, მაგრამ შემდეგში მეფისნაცვალი იძულებული გახდა ქვეითი და ცხენოსანთა მილიციის შენაერთთა რიცხვი ორჯერ გაეორკეცებინა, მაგრამ სულ მალე გამოირკვა, რომ მარტოოდენ ქართლში, სამეგრელოში, გურიასა და იმერეთში ნაცვლად 50-ისა 175 რაზმი ჩამოეყალიბებინათ[2]. დანარჩენ პროვინციებსა და რაიონებში გაცხოველებით მიმდინარეობდა ახალ-ახალი ასეულებისა და რაზმების შექმნა. ეს ფაქტი მკაფიოდ მოწმობდა იმას, რომ მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც იარაღის ტარება შეეძლო, თითქმის მთლიანად ჩადგა მილიციის რიგებში და ერთსულოვნად ამოუდგა მხარში თურქებისა და მათი მოკავშირეების წინააღმდეგ მოქმედ რუსეთის რეგულარულ ჯარს.

1854 წლის სექტემბრის კამპანიის წინ, ქართველმა თავდაბნაურობამ საჭიროდ დაინახა კვლავ გამოეხატა თავისი მხურვალე უქვეშევრდომილესი ერთგულების გრძნობა რუსეთის ტახტის მპყრობელისადმი. თავის მხრით იმპერატორი ნიკოლოზ I მაღალ შეფასებას აძლევდა გურიისა და იმერეთის მილიციის „ბრწყინვალე მამაცობას", მათი გმირობის უკვდავსაყოფად და თავისი „უმაღლესი კმაყოფილების აღსანიშნავად" მოითხოვდა, პირად ჯილდოებთან ერთად, გადაეცათ

---

[1] А. Заойчановский, „Восточная война 1853—1856 гг." т. II, ч. 1, стр. 262.

[2] ЦГИАГ, ф. 1087, д. 449, л. 33.

ქართველთა ამ მამაცი დრუჟინებისათვის დროშები, ვერცხლის ლიტავრები და სხვა მოწყობილობა[1]. ქართველმა თავდაზნაურობამ უმაღლეს წყალობად ჩათვალა ხელმწიფე-მეფის უმაღლესი გადაწყვეტილება და გულაჩუყებით ცაში ხელაპყრობით ფიცი დასდო „გვირგვინოსან მამა თვითმპყრობელის“ წინაშე. „ჩვენ, რომელთაც გვაქვს ბედნიერება ვიწოდებოდეთ რუსეთის შვილებათ და განებივრებულნი ვართ დიდი იმპერატორის მშობლიური მზრუნველობით, ჯერ კიდევ არ დაგვიმსახურებია ესოდენ უხვი წყალობა.... ჩვენმა პირდაპირმა მოვალეობამ გვიკარნახა დავრაზმულიყავით რუსეთის წმინდათა წმინდა დროშების ქვეშ. ჩვენ გვაქვს ლრმა სურვილი დავსაჯოთ მტრები ჩვენი სამშობლოს და ქრისტიანული სარწმუნოებისა, რისთვისაც ჩვენ წინაპრებს არა ერთხელ დაუღვრიათ სისხლი. ახლა, როდესაც ძლევამოსილმა რუსეთმა მიგვიღო თავისი შვილების რიცხვში და გამოგზავნა აქ თავისი უძლეველი ჯარები, ჩვენ კიდევ მეტად გვეეალება ვიყოთ რუსეთის მფარველობის ღირსნი. ასეთი გრძნობებით ლრმად გამსჭვალული ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობა და ყველა მცხოვრებნი მუდამ მზად არიან მოიხადონ თავისი ვალი. ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ ისღა ვთქვათ, რომ 80 წლიდან 18 წლის ასაკამდე ყველა თავადი, აზნაური და მცხოვრებნი აგზნებული ვართ სურვილით ჯავშნოთ ჩვენი საყვარელი სამშობლოს მტრების დასამარცხებლად“[2].

ისტორიული წყაროები, საქმეები და ფაქტები მკაფიოდ ადასტურებენ, რომ მთელი ქართველი ხალხი, ყველა მისი კლასი და წოდება თურქებთან ბრძოლაში მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ. 1854 წელსაც — ყველაზე კრიტიკულ წელს — ქართულმა მილიციამ ღირსეულად და სასახელოდ შეასრულა თავისი ამოცანა. თებერვალ-მარტში გაჩაღებული მუშაობა მილიციის შენაერთების დასაკომპლექტებლად წარმატებით მიმდინარეობდა. გარდა აღნიშნულისა, მრავალ-

[1] ЦГИАГ, ф. 939, д. 4, л. 4.
[2] Там же, ф. 1087, д. 449, л. 33.

რიცხოვანი ქვეითი დრუჟინები და რაზმები შეიქმნა გორის მაზრაში (15 რაზმი), ჩამოყალიბებულ იქნა თბილისის მძლავრი ქვეითი დრუჟინა რამდენიმე ასეულის შემადგენლობით, ასე რომ 1854 წლის ზაფხულისათვის მილიციის რაზმეულთა რიცხვი 200-მდე გაიზარდა, რაც იმ დროის ქართველ მოსახლეობასთან შეფარდებით მეტად დიდ რიცხვს წარმოადგენდა.

აპრილის პირველ რიცხვებში სარდლობის განკარგულებით მილიციის შენაერთებმა იწყეს დენა თურქეთის საზღვრებისაკენ. ოფიციალური ცნობების მიხედვით, მაისის დასაწყისისათვის მოქმედ რეგულარულ ნაწილებთან უკვე შეერთებული იყო: გურიის მილიციის 18 რაზმი; სამეგრელოს 9 რაზმი, მათ შორის ცხენოსანთა ასეული; იმერეთის 18 რაზმი; მათ შორის 12 ცხენოსანთა რაზმი; ახალციხის 2 ცხენოსანთა რაზმი და ოსეთის 2 ასეული. ამავე დროს სურამში შეიქმნა საკმაოდ ძლიერი მობილური რეზერვი შემდეგი შემადგენლობით: თბილისის ქვეითი დრუჟინა 5 ასეულით; გორის ორი ქვეითი დრუჟინა 10 ასეულით, მათ შორის 5 ცხენოსან მოხალისეთა ასეული; თავადაზნაურთა განსაკუთრებული ქართული დრუჟინა ოცი ასეულის შემადგენლობით; ასეთივე შემადგენლობით კახეთის მილიციას მიეცა დანიშნულება დაეცვა დაღესტანის საკორდონო რაზმი. 1854 წლის მაისში სარდლობის განკარგულებით შეიქმნა გურიის რაზმის დამხმარე მილიციის 7 ასეული. თბილისისა და ჭუთაისის გუბერნიების სხვადასხვა მაზრებში შეუდგნენ აგრეთვე თავადაზნაურული დრუჟინებისა და რაზმების დამატებით ჩამოყალიბებას. 1854 წლის საომარი კამპანიის დაწყებისთანავე იქმნებოდა ახალ-ახალი სამილიციო შენაერთები გურიასა და სამეგრელო-სამურზაყანოში, იმერეთსა, ქართლში და ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებში [1].

1854 წლის საომარ კამპანიაში მოქმედ რეგულარულ ჯარებთან ერთად მონაწილეობდნენ მთავარ ალექსანდროპოლის რაზმთან თბილისის, გორის, შურაველისა და მუსლიმანთა მილიციის 28 ასეული (რაზმეული); ახალციხის რაზმ-

[1] ЦГИАГ, ф. 12, д. 105, л. 18.

თან — მილიციის 17 ასეული; გურიის რაზმთან — გურიის, იმერეთის, სამეგრელო-სამურზაყანოსა და ქართლის-ჭვეითელ და ცხენოსანთა მილიციის 96 ასეული. ამათ გარდა ... სის დასაცავად 1854 წლის ივლისში თავად ბაგრატიონ-მუხრანსკის მეთაურობით შედგა ამქართა („უსტაბაშების") და ქალაქის „სამპატიო" მოქალაქეების საკმაოდ ძლიერი ლაშქარი, რომელშიც გაერთიანებული იყო 8 ათასი მოხალისე. ანალოგიური ლაშქარი იქნა ჩამოყალიბებული ქუთაისში, გორში და სხვა ადგილებში. 1853 წლის დეკემბერში ამის გამო გაზ. „კავკაზი" წერდა: „ქუთაისის მცხოვრებლებმა შექმნეს განსაკუთრებული საქალაქო ლაშქარი, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსამსახურეები და მოხუცები, არამოსამსახურე თავადები და აზნაურები. მათ წინამძღოლად არჩეულ იქნა ჭარმაგი 80 წლის მოხუცი თავადი სიმონ წერეთელი. ახლად შექმნილი რაზმი დაუყოვნებლივ შეუერთდა რეგულარული ჯარის ადგილობრივ გარნიზონს, გაძლიერდა ყარაულისა და საიდუმლო მზვერავთა რიცხვი. თავ. წერეთელი რეგულარულ ჯარებთან შეთანხმებით აწყობდა საგუშაგოზე ბდგომ მებრძოლების დამის საინსპექციო შემოვლა-შემოწმებას, ღებულობდა ყოველგვარ ზომებს განუწყვეტელი სიფხიზლისა და სიფრთხილის უზრუნველსაყოფად [1].

არქივში ინახება ფრიად დამახასიათებელი საბუთი — ხანდაზმული თავადის სიმონ წერეთლის მოხსენებითი ბარათი ქუთაისის საპატიო ფუბერნატორის სახელზე. თავ. წერეთლის ბარათი წარმოადგენს საუცხოო ილუსტრაციას მისი წოდების აბსოლუტური უმრავლესობის განწყობილებისა და მიდრეკილების ნათელსაყოფად. „მე 80 წლისა ვარ, — სწერდა მოხუცი თავადი, — და მე ვფიქრობდი ჩემი სიცოცხლის დარჩენილი დრო სიმშვიდეში და სიამტკბილობაში გამეტარებინა. მაგრამ, როცა დავინახე, რომ ყველგან იკრიბება მილიცია თურქეთთან საბრძოლველად, ხოლო ქუთაისში იქმნება ლაშქარი ქალაქის დაცვისათვის მძარცველი ჯგუფების შემოჭრისაგან — მე უკვე ალარ ძალმიძს მყუდრო-

[1] Газ. „Кавказ", 1853 г., Декабрьский номер, 91.

ებაზე ვიფიქრო. ჩემი დარჩენილი სიცოცხლე მინდა მსხვერ-
პლად შევწირო იმას, ვინც გაამედნიერა ჩემი სამშობლო.
ამიტომ უდაბლესად გთხოვთ, თქვენო ბრწყინვალებავ, ჩამ-
წეროთ მე ან ქუთაისის ლაშქარში, ან მოქმედ რაზმში. მე
არავითარ თანამდებობას არ ვითხოვ და მზად ვარ ვით

ლონისძიებანი ამ პერიოდში თითქმის ყოველთვის ელწევდა თავის მიზანს.

1854 წლის გაზაფხულზე მოქმედი კორპუსის სარდლობამ შეუძლებლად ჩათვალა გურიის სასაზღვრო ხოლის დაცვის უზრუნველყოფა და გაანთავისუფლა მდ. სუფსის მარცხენა სანაპირო რეგულარული ჯარის ნაწილებისაგან. ისინი განლაგებული იქნენ სუფსის მარჯვენა მხარეს აკეთის გაჭიმულ ქედებზე. ამიერიდან გურიის ნახევარზე მეტი და მთელი საზღვრების დაცვა მხოლოდ მილიციის დააწვა კისრად. მაგრამ, საკუთარი ბედის ანაბარა მიტოვებულმა გურიის მოსახლეობამ არ მოიხარა ქედი მტრის წინაშე. თურქებმა ვერ შეძლეს გაერღვიათ ადგილობრივი მილიციის მიერ აღმართული თავდაცვის შტაკეტი კედელი, ვერ შეძლეს გაეტეხათ სახელოვან დამცველთა ურყევი გადაწყვეტილება. „თავადი მალაქია გურიელი,— მოახსენებდა მთავარსარდალი გენ. მურავიოვი სამხედრო მინისტრს, — მეთაურობს სამ დრუჟინას და წარჩინებით ასრულებს საავანსპოსტო სამსახურს. ამჟამად მხოლოდ ერთადერთი ეს მილიცია, რომლის მამაცობა და თავგანწირულობა ყოველგვარ შექებას აღემატება, იცავს ჩვენს საზღვრებს თურქეთის მხარიდან. იგი არ კმაყოფილდება მარტოოდენ ამით, არამედ აწყობს თავდასხმებს მტრის მოწინავე საგუშაგოებზე"[1].

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა საშეურნეო ცხოვრება, კერძოდ მოსახლეობის სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფის საქმე, როცა მთელი გურია ბრძოლის ერთიან ბანაკად გადაიქცა, ხოლო თითქმის ყველა გურული — მოლაშქრედ. ამას კარგად ხედავდნენ ქართველი მხედართმთავრები და შექმნილი სპეციფიკური ვითარების შესაბამისად ისინი ცდილობდნენ შეესაბამებინათ სახალხო ომი მოსახლეობის სახალხო-საშეურნეო მოღვაწეობასთან. ასეთ შემთხვევაში ისინი ცდილობდნენ ეხელმძღვანელათ თავიანთ წინაპართა გამოცდილებით, წარსულის საარგებლო გამოცდილებით. გურიის რაზმის სარდალი გენ.

---

[1] ЦГИАЛ, оп. 8, ф. 1268, д 144, л. 3–4.

ანდრონიკაშვილი 1854 წლის 4 აპრილს გენ. გაგარინს შემდეგ დირექტივას აძლევდა: „ჩემის აზრით ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგს: საჭიროა გურიისა და სამეგრელოს მცხოვრებლებმა თავიანთი ოჯახები და ქონება დამალონ უშიშარ ადგილებში, ხოლო თვით კი შეადგინონ მილიცია და დაამუშაონ თავიანთი მინდვრები. ჩვენი ხალხისათვის სრულიადაც არ არის უჩვეულო ასეთი მდგომარეობა. რუსეთის მმართველობის დამყარებამდე ჩვენში ეს ყოველწლიურად მეორდებოდა და ქართლ-კახეთისა და იმერეთის მცხოვრებნი ამის წყალობით ცოცხლად რჩებოდნენ. ისინი ინარჩუნებდნენ თავიანთ დამოუკიდებლობასა და რელიგიას, სხვაგვარად ჩვენს ქრისტიანულ მოსახლეობას არსებობა არ შეეძლო“. თავ. ანდრონიკაშვილის მიერ მიცემულ რჩევა-დარიგებაში მკაფიოდ ელინდება არა მარტო თავის ქვეყნისა და ხალხის წარსულის კარგი ცოდნა, არამედ ქართველობის ყოფაზე დაკვირვების უნარიც, საკმაო პრაქტიკული გონება და ჭკუამახვილობაც. „თქვენი ბრწყინვალება თავად დაგვეთანხმება, — შერბილებული კილოთი განაგრძობს იგი გოროზი გუბერნატორის დარიგებას, — რომ იქ, სადაც ჯარების ასეთმა მასამ, როგორც გურიის რაზმია, უნდა იმოქმედოს ქრისტიანობის მტრების მოჭარბებული ძალების წინააღმდეგ, — იქ შეუძლებელია მცხოვრებთა ოჯახები და მათი ქონება დაუცველი დავტოვოთ... წინააღმდეგ შემთხვევაში გურულები მათი საცხოვრებელი ბინების ერთმანეთისაგან შორი-შორს, ულრან ტყეებში გაფანტულობის გამო იძულებული გახდებიან დასტოვონ ბრძოლის ველი და დაუბრუნდნენ თავიანთ ოჯახებს, რათა ცოლშვილს უპატრონონ. თუ მათი ოჯახები და ქონება იქნებიან უშიშარ ადგილებში, მაშინ ისინი მხოლოდ თავიანთი საკუთრების დაცვაზე იფიქრებენ“ [1].

მხოლოდ რამდენიმე კვირა გავიდა ზემოაღნიშნული ბარათის დაწერიდან და მოვლენებმა საკუთარი ცხადჰყვეს ქართველი მხედართმთავრის შორსმჭვრეტელობა. თავის მოსის-

[1] ЦГИАГ, ф. 939, д. 2, л. 7.

ხარ მტერთან ბრძოლის დროს ნიგოითთან და ჩოლოქზე ადგილობრივმა მოსახლეობამ და მისმა მილიციამ მთელი სიცხადით გამოავლინა ჭეშმარიტი მამაცობა, უბადლო თავდადება და მაღალი საბრძოლო თვისებები. „მე ვიხილე ეს მშვიდი, შესანიშნავი ქვეყანა, — წერდა გაზ. „კავკაზის" კორესპონდენტი, — საომარი ცეცხლებით შეპყრობილი, ივი ემზადებოდა თურქებთან შესახვედრად, რომლის ხსენებაც კი ეზიზღებათ ბუნების ამ მიამიტ შვილებს. ყველგან გზებზე მე მხვდებოდნენ მილიციონერთა ახლად შეგროვილი ჯგუფები, რომელნიც ისე ამაყად და მხიარულად მიისწრაფოდნენ ომში, როგორც დღესასწაულზე... ლაშქარი იკრიბებოდა ისეთი ხალისით და სისწრაფით, რომ სულ რამდენიმე დღის განმავლობაში შეკრებილ იქნა 8 ათასამდე კაცი.

ვითარება აღვიძებს სახალხო სულს. ეს ჭეშმარიტება ამ-ქამად იმერლებმა დაამტკიცეს: მშვიდ უბრალო მიწათმოქმედთაგან ისინი მებრძოლებად გახდნენ. მე მოვისმინე ერთ-ერთი ადგილობრივი თავადის მოხსენება, რომელიც ადასტურებდა ყველა იმერლის მზადყოფნას გაელაშქრა თურქების წინააღმდეგ და ირწმუნებოდა, რომ ქალებმაც გადაწყვიტეს მტრების შემუსვრა. ეს იმდენად ჰგავს ჩვენს სლავიანურ შემართებას, რომ უნებურად ამიძგერდა გული უდიდესი თანაგრძნობით ამ ხალხისადმი, რომელიც ერთმორწმუნეობის გარდა, ჩვენს განწყობილებასაც იზიარებს. გზადაგზა მე იმდენად გამიტაცა ბრძოლაში მიმავალმა ჯგუფებმა, რომ სულ დამავიწყდა ლრმა ტალახიც, წვიმაც, რომელიც უმოწყალოდ მასველებდა"[1]. გაზეთი თავის ფურცლებზე რეგულარულად ათავსებდა ინფორმაციებს, ცნობებსა და სტატიებს, რომლებიც თვალსაჩინოდ ადასტურებდნენ ომის დროს მთელი ქართველი ხალხის საბრძოლო ალმავლობას. ერთ-ერთ კორესპონდენციაში ვკითხულობთ: „მიმდინარე წელს ჩვენ ხშირად გვიხდებოდა გვეხილა ადგილობრივი დრუჟინები, ქვეითი და ცხენოსნური, რომლებიც თბილისზე გავლით ბრძოლის ველზე მიისწრაფვოდნენ, და ჩვენ ყოველთვის ვხვდებოდით მათში ერთსა და იმავე სიხალისეს, ერთსა და იმავე მხნე-

[1] Газ. „Кавказ", 1854 г., от 24 апреля.

ობასა და გაბედულებას, ერთსა და იმავე საბრძოლო სულისკვეთებას.

18 რიცხვში თბილისში გაიარა სართიჭალის უბნის ცხენოსანთა მილიციამ. ჩვენ შევიტყვეთ, რომ იგი ერთ დღეს შეიკრიბა, უბნის უფროსის პირველი სიტყვისთანავე. მილიციამ ჩაიარა მხიარულად, ზურნით და ბალხური სიმღერებით, იგი მიეშურებოდა თავ. ანდრონიკაშვილის რაზმისაკენ" [1].

1854 წლის ადრე გაზაფხულზე საზღვრებზე გაიშალა საომარი შეტაკებები თურქებთან. იმ დროს ოფიციალური პრესის ორგანოები, როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური გაზეთები და ჟურნალები აღსავსეა მრავალრიცხოვანი ცნობებით, ინფორმაციებით, მიმოხილვებით ქართული მილიციის შესახებ, მისი ბრძოლისა და მამაცობის შესახებ მტერთან შეტაკებების დროს. მათში აღნიშნულია საქართველოს საბალხო ლაშქრის შენაერთების ინიციატივა, თავგანწირულობა, რუსეთის რეგულარულ ჯარებთან მჭიდრო კავშირი და მათდამი ერთგულება. ანალოგიური მასალით აღსავსეა ჩვენი საარქივო საქმეები და სხვა პირველწყაროები [2], გენ. რეადი, რომელმაც შესცვალა თავ. ვორონცოვი, თავის პატაკში სამხედრო მინისტრის სახელზე ეხებოდა რა გენ. ანდრონიკაშვილის გალაშქრებას რედუტ-კალესკენ, სხვათაშორის დასძენდა: „ჩვენმა მოწინავე მწკრივმა, რომელიც სამეგრელოს და იმერეთის მილიციისაგან შედგება, გაძლიერებულმა რეგულარული ჯარების ნაწილებით, უკუაგდო მტერი" [3]. კიდევ უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1854 წლის დასაწყისში, თავ. ვორონცოვი არაერთხელ მიესალმებოდა და მოწიწებით აღნიშნავდა „სამეგრელოს მამაცი მილიციის", „სახელოვანი მეგრელების" საგმირო საქმეებს.

გაზაფხულის შეტაკებათა ეპიზოდებიდან ყველაზე საგულისხმოს და მნიშვნელოვანს წარმოადგენდა ნიგოითის ბრძოლა, რომელიც მოხდა 1854 წლის 27 მაისს. აქ გურიის რაზ-

---

[1] Газ. „Кавказ", 1854. от 23 июня (№ 48).

[2] ЦГИАГ, ф. 939. д. 1. IV; ЦГИАЛ, оп. 8, ф. 1268, л. 317.

[3] Газ. „Кавказ", 1854, №№ 44, 45, 47, 51, 53, 55 и т. д. ЦГИАЛ, оп. 8, ф. 1268, д. 367, л. 2—3.

მის შენაერთები მედგრად შეხვდნენ და გამანადგურებელი დარტყმა აგემეს ჰასანბეის საკმაოდ ძლიერ რაზმს, რომელმაც ჭურდულად გადმოლახა მდ. სუფსა და შემდეგ ჩოჩხათ-ლანჩხუთის გზით მოულოდნელად თავს დაესხა გურიის რაზმის რეზერვებს. ამ შეტაკების დროს, როგორც ყოველთვის, მთელმა ადგილობრივმა მოსახლეობამ და მილიციის ნაწილებმა იშვიათი სიმტკიცე, თავდადება და გმირობა გამოიჩინეს. მტრის განადგურებაში ერთსულოვნად მიიღეს მონაწილეობა მეზობელი სოფლების მცხოვრებლებმა, ყველამ, განურჩევლად ასაკისა და სქესისა. ბრძოლის დროს მოკლულ იქნა თურქთა რაზმის მეთაური ჰასანბეი. მისი რაზმის დიდი ნაწილი გაჟლეტილ იქნა, ნაწილი ტყვედ წაიყვანეს, თავდამსხმელთა მხოლოდ მცირე ნაწილმა თავს უშველა გაქცევით.

„მე თვით ვნახე მინდორი, სადაც ხელჩართული ბრძოლა მიმდინარეობდა, — გვიამბობს ამბების უშუალო მეთვალყურე, — დაეთვალიერე ის ადგილებიც, სადაც მოწინააღმდეგეს სდევნიდნენ. თურქების დანაკარგი მართლაც დიდი იყო. მე პირადად ვნახე ერთი ლრმა ხევი, რომელიც ზედაპირამდე მტრის გვამებით იყო სავსე. აქ იყო არანაკლებ 500 გვამისა. მაგრამ ვინ დათვლის, თუ რამდენი გაჟლეტეს ისინი შემდგომი დევნის დროს მინდვრებსა და ტყეებში თვით მდ. სუფსამდე“ [1].

ოვის მეორე თანამედროვე და ამბების მეთვალყურე წერდა: „ჩვენთან მოიყვანეს 104 ტყვე. მათ მილიციელები აციალებდნენ. უნდა გენახათ როგორ თავმომწონედ ეჭირათ თავი და კმაყოფილებით გამოიყურებოდნენ ეს კეთილი და მშვიდი ომერლები, რომლებიც ამაყობდნენ თავიანთი გამარჯვებით და თავიანთი შესანიშნავი ნადავლით...

ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით ერთმა მილიციელმა ბიჭმა მიიპყრო: იგი თოკით ხელში უკან მისდევდა ერთმანეთზე გადაბმულ ორ ტყვეს, იგი მარჯვნივ და მარცხნივ გალიმებული სახით იცქირებოდა, ბიჭი თითქოს ცხენობანას თამა-

---

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 1060, л. 22, 23; тоже: „Кавказ“, 1854, № 54.

შობდა. „შენ ხომ არ შეგეპყრია, ვაქაცო, ეს ტყვეები, ასეთ მაგრად რომ ჩასჭიდებიხარ თოკს?". — ვკითხე მას. „ეს ეს მე არა, — მიპასუხა მან, — ბიცოლამ შეიპყრო". — „როგორ თუ ბიცოლამ?" — „სრულიად უბრალოდ, როდესაც თურქებს შავი დღე დაეყენეს ნიგოითთან, რამდენიმე მათგანმა გულგახეთქით მოირბინა ჩვენს სოფელში. ისინი მიადგნენ ბიძიას ქოხს და დაუწყეს ხეეწნა ჩემს ბიცოლას დაემალა ისინი, ბიცოლამ გაუღო კარები და როცა ქოხში მოგროვდა 5 თუ 6 კაცი, — კარიგად არ მახსოვს, მან ფარულად გარედან გადარაზა კარი, მიაყრდნო ზედ დიდი ჯირკი და ყველაფერი შეზობლებს აცნობა". „შენი ბიცოლა ყოჩაღი ყოფილა!" — ვთქვი მე. „იგი მარტო როდია, — მომიგო მან, — ჩვენში ბევრმა სხვა ქალმაც შეიპყრო ტყვეები".

„აი, ისინი კი ვინ დაატყვევა?" — მივუთითე მე ტყვე თურქების რეგულარულ ჯარისკაცებზე. „ისინი ხუცესმა შეიპყრო". — როგორ თუ ხუცესმა? — „აი, ქრისტიანულმა ხუცესმა, ჩვენმა მღვდელმა".

ნიგოითის გამარჯვება აღმოჩნდა წინამორბედი მეორე უფრო დიდი და გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე გამარჯვებისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩოლოქთან 1854 წლის 4 ივნისს. ჩოლოქთან ბრძოლის დროს, როგორც აღინიშნა, გურიის შედარებით მცირერიცხოვანმა რაზმმა გამანადგურებელი დარტყმა აგება თურქეთის მძლავრ კორპუსს, რომლის შემადგენლობაში შედიოდა 35 ათასი კაცი და შეიარაღებული იყო 28 ზარბაზნით. გურიის რაზმის ბრწყინვალე გამარჯვება აიხსნებოდა, უწინარეს ყოვლისა, რუსეთის რეგულარული არმიის უდიდესი შეუპოვრობით, შეუდარებელი გმირობითა და თავგანწირული ბრძოლით, რუსი მოწინავე მხედართმთავრების სწორი ტაქტიკური ხელმძღვანელობით. ამ გამარჯვების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო გურიის რაზმის გამჭრიახი სარდალი გენ. ანდრონიკაშვილი, რომელმაც არ იცოდა მერყეობა და უკანდახევა საბრძოლო ამოცანის გადაწყვეტის დროს, იყო მედგარი, შეუდრეკელი და მებრძოლი მხედართმთავარი, ამავე დროს იგი სარგებლობდა დაჩსახურებული მაღალი ავტორიტეტით სარდლობა-

სა და მებრძოლებს შორის. ჩოლოქის გაქარწყვეტაში ფრიად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართველმა შეერთებულმა მილიციამ, იგი რეგულარული ჯარების ღირსეული თანაშემწე იყო, მასთან მხარდამხარ, განუხრელად ასრულებდა მთავარსარდლობის საბრძოლო დავალებებს. ამავე დროს, ამა თუ იმ საბრძოლო ტაქტიკური ამოცანის გადაწყვეტის დროს მილიცია იჩენდა გასაოცარ თვითინიციატივას. ამ მხრივ მან მრავალი შესანიშნავი ფურცელი ჩაწერა ჩოლოქის ბრძოლის მატიანეში.

„12 ივნისს, — ვკითხულობთ გაზ. „კავკაზში", — გამოიარა ჩოლოქიდან დაბრუნებულმა ქართულმა ცხენოსანმა დრუჟინამ (ლაპარაკია ქართლ-კახეთის გაერთიანებულ დრუჟინაზე — ე. ბ.). იმერეთში იგი დიდხანს არ დარჩენილა, მაგრამ ერთობ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ლაშქრობის დროს ქართველი მილიციონერები იქცეოდნენ ისე მოკრძალებით და ზრდილობიანად, როგორც საუკეთესო რეგულარული ჯარისკაცები. ბრძოლის დროს ისინი დიდ მამაცობას იჩენდნენ, შეიჭრებოდნენ მოწინააღმდეგის რეგულარული ქვეითი ჯარის შუაგულში, მტრის დამარცხების შემდეგ კი ისინი ენერგიულად სდევნიდნენ მათ, მიუხედავად იმისა, რომ თურქების მიერ მიტოვებული ბანაკი ერთობ მომხიბლავ საალაფოს წარმოადგენდა...

ჩვენი იმერეთისა და გურიის მილიციამაც აგრეთვე თავი ისახელა არაჩვეულებრივი გმირობით. ასე მაგალითად, მილიციონერებმა სატიტულო მრჩეველ მაჭავარიანის მეთაურობით ბოლო მოუღეს თურქების რეგულარული ქვეითი ჯარის ბატალიონს, მოჰკლეს მინბაში (პოლკოვნიკი), რომელიც ბატალიონს მეთაურობდა, ტყვედ წამოიყვანეს მეორე მინბაში, წაართვეს ბრძოლის დროს ზარბაზანი, დროშა და ორი ნიშანი". შემდეგ გაზეთის კორესპონდენტი დაწვრილებით აბასიათებს ცალკეულ მილიციელთა, მათ შორის მდაბიო წოდების წარმომადგენლების მამაცობასა და თავგანწირულობას [1].

გაზ. „კავკაზში" — მოთავსებულ ვრცელ ფელეტონში სა-

[1] Газ. „Кавказ", 1854 г. от 17 июля (№ 55).

თიურით „ზეიმი თბილისში“ ჩვენ ვეცნობით სამეფოდ
დრუეინების შემადგენლობის დამახასიათებელ
მილიციის შენაერთებისა და ცალკეულ მებრძოლთა იშვიათ
მამაცობას, თავდაჭერილობასა და მორალურ უანგარობას.
„1854 წლის 24 ივლისს, — ვკითხულობთ ფელეტონში, —
თბილისი შესანიშნავი ზეიმის მოწმე გახდა. ქალაქის საზო-
გადოებამ მოუწყო სადილი ბრძოლაში მონაწილე სახელოვან
ქართულ ცხენოსანთა დრუეინის მოხალისეებს... მოხალისეთა
რიცხვი განუწყვეტლივ და ყოველდღიურად მატულობს, და
რომ სათანადოდ შეეფასოთ სოფლის მცხოვრებთა ეს ნებაყ-
ოფლობითი საბრძოლო მოძრაობა, აუცილებელია ვიცოდეთ,
რომ ისინი უმთავრესად სახაზინო გლეხთა რიცხვს
ეკუთვნიან... დრუეინაში შესვლის დროს ისინი ვალდებულნი
არიან ჰყავდეთ საკუთარი ცხენი და ჰქონდეთ საკუთარი იარა-
ღი. გაითვალისწინებ რა ყოველივე ამას, აღფილად წარმოიდ-
გენ თუ რამდენ მნიშვნელოვან მსხვერპლთანაა დაკავშირე-
ბული გლეხობის მზადყოფნა შევიდეს დრუეინის რიგებში:
ხედავ ყოველივე ამას და კიდევ მეტი პატივისცემით ამს-
ჰვალები მისი კეთილშობილი მიდრეკილებისადმი.

ჩოლოქზე ქართული ცხენოსანთა დრუეინის მამაცობას
ადასტურებს ისიც, რომ ამ ბრძოლაში დაჭრილი იყო 120
კაცი და ყველა ხიზტებით! მაგრამ ყველა სარწმუნო მაჩვე-
ნებელი მოწმობს დრუეინის უანგარობას გამარჯვების მოპო-
ების შემდეგ. დრუეინის დაბალმა ჩინებმა თავს ნება არ მის-
ცეს მონაწილეობა მიეღოთ ალაფის მოპოვებაში და სრულიად
არაფერი არ მიუთვისებიათ ხელში ჩაგდებულ თურქების
ბანაკებიდან. ასეთ თავდაჭერილობას კი მით უფრო განსა-
კუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რომ ზოგიერთ ტრმთა
ადათ-ჩვეულებების მიხედვით... სამხედრო დაკვლა არა თუ
დამსახურებულ ბრიწს შეადგენს, იგი ზოგჯერ გამარჯვების
ნიშანი და მამაცობის მაჩვენებელია, რომლითაც იგი ამა-
ყობს კიდეც“ [1].

კავკასიის ხელისუფლების ოფიციოზი ხშირად გადმოგვ-
ცემდა ჩოლოქის ბრძოლის ცალკეულ ეპიზოდებს რეპორ-

[1] Газ. „Кавказ“, 1854, № 65.

ტაეის ფორმით. გაზეთში მოთავსებული ქრონიკა, ფელეტონი თუ სტატია თანაბრად გამოხატავდა ქართველ შვილ-ძოლთა გმირობასა და მამაცობას, უანგარობასა და რაინდულ სულისკვეთებას. სახელდობრ, ეს მაღალი მორალური ღირსებანი განაპირობებდა ქართული მილიციის ძალას, მის დიდ უპირატესობას მოწინააღმდეგეზე. აი, რამდენიმე მაგალითიც: ტყვედ ჩავარდნილმა თურქმა მინბაშმა გენერალ გაგარინს უამბო: „რამდენიმე დღის წინ ჩვენს ბანაკში ხმა დაირხა, რომ თქვენთან ჩამოვიდა უშიშარ ცხენოსანთა რაზმი, რომელიც არავის არ ინდობს, ეს ხალხი კი არა, ნამდვილი კაცისჭამიებიაო. ჩვენ ამის შესახებ ბევრი ვიცინეთ. მაგრამ ახლა, როცა პირადად მე ბრძოლის მოწმე გავხდი, უნდა ვაღიარო, რომ თქვენი ცხენოსნები, რომელსაც ჩვენ წინდაწინვე დავსცინეთ, მაღალი ქება-დიდების ღირსნი არიან.

ჩვენ მხოლოდ გუშინ გავეცით განკარგულება, რომ როგორც კი თქვენი ცხენოსნები გამოჩნდებოდნენ, ექვსი ათასი რჩეული ჯარი გარს შემოერტყმოდა მათ და ყველანი ცოცხლად მოეყვანათ ჩვენთან. დღეს, გაჩაღებული ბრძოლის დროს, ჩვენ გადავწყვიტეთ გვესაუბნა, რადგან ვვარაუდობდით, რომ თქვენთან შედარებით ჩვენი ესოდენ მოჭარბებული ძალების შემწეობით ყოველგვარი დავიდარაბის გარეშე საქმე ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდებოდა... ამ დროს შემოგვესმა რაღაც უცნაური ყიჟინა და ცხენების ფეხების თქარა-თქური. მალე გამოჩნდნენ ამხედრებული თქვენი მუსიკოსები, რომლებიც მთელი ძალლონით მოაგელვებდნენ ცხენებს და თან ზურნას უკრავდნენ. მუსიკანტებს მოჰყვა თქვენი უშიშარი მხედრობა და... პირდაპირ ჩვენს ყარაულებზე!! გარწმუნებთ, რომ მათი დანახვისას ჩვენ პირდაპირ სულით და გულით ვხარხარებდით, — არაფერი გვესმოდა: საით და რისთვის მოძვრებიან, ან რა სურთ. ჩვენ ისინი პირდაპირ გიჟებად ჩავთვალეთ, ვერ გავითვალისწინეთ კი, რომ ეს „შეშლილები" თურმე ჩვენს სიცილს ტირილად აქცევდნენ, რომ ამ ერთ მუჭა ეაქაცებს შეუძლიათ უკუაგდონ ჩვენი გვარდიელები, წალეკონ ისინი, დაჭსაჭსონ და ხმლებით დაამთავრონ ის საქმე, რისი მოპოებასაც ჩვენ ხიშტებითა და ზარ-

ბაზნებით ეცდილობდით. მაგრამ ჩვენი ზარბაზნები, ძალიან ლოდ დამუხტულნი დარჩნენ, ისე სწრაფი და მოულოდნელი იყო თქვენი მხედრობის თავდასხმა"[1]. ეს სახელოვანი მხედრობა იყო სწორედ ის სახელგანთქმული ქართული დრუჟინა, რომელსაც მეთაურობდა უშიშარი გმირი თავადი ჯანდიერი — „დროშა-გიორგი". როგორც ცნობილია, ამ დრუჟინამ მტრის წინააღმდეგ თავისი შეუპოვარი და თავგანწირული ბრძოლებისათვის არაერთხელ მიიპყრო მთელი იმპერიის ყურადღება. დრუჟინის საბრძოლო ღვაწლი მთავრობის მიერ არაერთხელ იქნა აღნიშნული უმაღლესი ჯილდოებით.

ქართული დრუჟინის მეთაურმა თავ. ჯანდიერმა ბრძოლის დაწყების წინ გასცა ბრძანება: თუ მოწინააღმდეგე იარაღს დაჭერს, დანებდება და პატიებას ითხოვს — არ მოჰკლან, იგი ტყვედ წამოიყვანონ. „მაგრამ თუშებს, — წერდა კორესპონდენტი, — არ აქვთ ჩვეულება ტყვედ წამოიყვანონ მოწინააღმდეგე... თუშები ყველას თავებს აყრევინებდნენ". თუშების ასეულის მეთაური თავ. ერისთავი ამასთან დაკავშირებით ცდილობდა თავი შემდეგნაირად ემართლებინა უფროსის წინაშე: „რა უნდა გაეწყო თუშებთან. მე შევეცადე ამეკრძალა მათთვის იმათი მოკვლა, ვინც გვნებდება, მაგრამ თუშებმა, ისე მიპასუხეს: „სად შეგვიძლია ახლა მათ ესდიოთ? თვითეულ ტყვეს ბანაკამდე მისაცილებლად ორ-ორი კაცი ჭაინც დასჭირდებათ, ხოლო თუ ჩვენ ამას მოვუნდით, თურქების დიდი ნაწილი გაგვექცევა ან დაიმალება". თუშები მართალი იყვნენ, — დაუმატა თავ. ერისთავმა, — მაგრამ მე მაინც გავუმეორე მათ ჩემი განკარგულება. მაშინ მათ მართლაც დაიწყეს ტყვეების წამოყვანა, მაგრამ ამას მე კინაღამ თავი გადავაყოლე.

„საზიზღარი თურქი, — განაგრძობდა თუშების ასეულის მეთაური, — გადავწყვიტე მისთვის შუბლში ტყვია დამეხალა, იგი კი თოფზე დაყრდნობილი ამბობს, რომ დაჭრილია და მთხოვს შევიბრალო, ტყვედ წამოვიყვანო. მე მას დავეუფლეთ, რომ დაეგდო თოფი, მაგრამ იგი დაღრეჯით მთხოვს,

[1] Газ. „Кавказ", 1854, № 95.

რათა დავუტოვო მას საყრდენი, ამბობს: „ჭრილობისაგან დასუსტებული ვარ და უთუოდ დავეცემიო". და რას ფიქრობთ? იგი თურმე ეშმაკობდა. მე მსურდა მიესტლოუა ამ „დაუძლურებულ" თურქთან, რათა დავხმარებოდი მას, მაგრამ იქვე მყოფი თუში მიხვდა ჩემს განზრახვას და ცხენით გაექანა თურქისაკენ... უცებ ვგრძნობ სროლა და საწყალი ჩემი თუში აღარ იყო! თურქი უცებ მივარდა მის მიერ მოკლული ქართველი მხედრის ცხენს, მოასწრო კიდეც ზედ შეჯდომა და მზად იყო გამქრალიყო, მაგრამ ერთ-ერთმა მოხალისემ ესლა შესძახა: „დამიცადე, გეთაყვა! ჩემი ამხანაგი ხომ მოჰკალ, მის ცხენს რას ერჩი, ცხენი მაინც დაგვიტოვე!" ამ სიტყვებთან ერთად მივარდა თურქს და იგი ნაკუწნაკუწად აქცია". ამის შემდეგ ჩვენ რაღა დაგვრჩენოდა თუ არა დაგვეცხო მტრებისათვის". — დასძინა თავადმა [1].

თავადმა ამილახვარმა გვიამბო: „ერთ თურქს სურდა აგრეთვე ჩვენთანაც ასეთი ოინი ეთამაშა, მაგრამ არ გამოუვიდა. მივიჩქაროდი სიღნაღის ასეულისაკენ, რათა თვალყური მედევნებინა მისი მოქმედებისათვის. ვხედავ ერთმა მოხალისემ თურქს ხმალი მოუქნია, მაგრამ უკანასკნელი შეეეედრა სიცოცხლის შენარჩუნებას, თან ამბობდა, რომ მას დიდი ხანია ჩვენი რაზმის უფროსის თავად ანდრონიკაშვილის ნახვა სწადია. ამავე დროს შევნიშნე, რომ თურქი ჩახმახს აწვალებს... ჩვენი მოხალისე მიუხვდა რაშიც იყო საქმე და შესძახა თურქს: „არა, გეთაყვა! შენ არ გიწერია ჩვენი უფროსის ნახვა. უმჯობესია, შენი წინაპრების სანახავად გაეშურო". ამ სიტყვებთან ერთად მან ხმალი მოუქნია და ცულუტი თურქის თავი ჩემი ცხენის ფეხებისკენ დაგორდა".

თანამედროვენი სხვადასხვა კუთხის მილიციელთა ერთობ სახასიათო ცნობებს გვაწვდიან. დრუჟინის ერთ-ერთი ასეულის მეთაური ამბობდა: „ერთმა მოხალისემ საშინლად გამაცინა. მესმის ვილაცამ წარმოთქვა: „ხუთმეტი". მოვიხედე, ახალგაზრდა თუში მშვიდად აჭრის მის მიერ მოკლულ თურქს ხელის მტევანს! მთიელთა ჩვეულებისამებრ, ამით თუშს უნ-

---

[1] Газ. „Кавказ", 1854, № 95.

და დაემტკიცებინა თუ რამდენად სასარგებლო აღმოჩნდა ეგი ბრძოლაში. მე იგი დიდი გაჭირვებით დავარწმუნე, ასეთ ომებში ამის მსგავსი ამბები არ უნდა მოხდეს, მას შეეძლება ისიც დასწამონ, რომ მან სხვათა მიერ მოკლულებს დაჭრა ხელების მტვენები. ამის შემდეგ თუშმა გადაყარა თავისი ჩანთიდან მისი „ნადაელი“.

აღწერილია ასეთი შემთხვევაც. ჩოლოქის ბრძოლის დროს თუში მეტისმეტად წინ გაიჭრა, იგი გამოედევნა თურქს და აკუწა იგი. მაგრამ, სამწუხაროდ, თურქმა მოასწრო ხიშტის ჩაცემა თუშის ცხენისათვის. ამ უკანასკნელმა გულისტკენით მიატოვა თავისი ცხენი, შეჯდა თურქის ცხენზე და უკან გამოაქანა. გზაზე მას არავინ შეპყრია, მაგრამ ერთგან შენიშნა გაჩერებული ცხენი, რომელიც თურქისას არ ჰგავდა. თუშმა მოსახლეტით შეაჩერა გაქანებული ცხენი, შეაჩერა იმგვარად, რომ ცხენი უკანა ფეხებით ჩაჯდა. „შენ უვარგისი ცხენი ხარ, — ბუზღუნებდა თუში, — შენ მხოლოდ ისევ თურქს თუ გამოადგები. აბა მე რა მაქვს შენთან საერთო, ჩემი გული ახლოსაც არ გიკარებს. ან როგორ შეიძლება ჩვენებს შენზე მჯდარი ვეჩვენო, შენ უთუოდ ჩვენები ნაკუწ-ნაკუწად გაქცევენ. არა, არა, ძმაო, შენ შენთვის იარე... „თუშმა მოხსნა თავის ენაგირი თურქულ ცხენს, დაიჭირა მეორე, ქართული, შეკაზმა იგი, პირჯვარი გადაიწერა და თავის გზას გაუდგა. „ახლა შენ დაბრუნებაც ალარ მცხვენიან, — ჩაილაპარაკა მან. — თუმცა ჩემმა ძველმა და ერთგულმა ცხენმა მაინც გული მატკინა“ [1].

„ყველა მოხალისე გადაჭრით შესანიშნავად მოქმედებდა (ბრძოლაში — ე. ბ.), — წერს ომის მონაწილე. — ბევრი მათგანი დაჭრილობის მიუხედავად არ სტოვებდა ბრძოლის ველს ბრძოლის დამთავრებამდე. მილიციონერი ჩ... ძე მარცხენა მხარში დაჭრეს. მას ურჩევდნენ წასულიყო ჭრილობის შესახვევად. „არა! — პასუხობდა იგი. ვაქაცი ის არის, რომელიც დაჭრილია და კვლავ ბრძოლას განაგრძობს“. მას ჯერ კიდევ არ დავმთავრებია ამის თქმა, როცა მას მეორე ტყვიამ

[1] Газ. „Кавказ“, 1854, №№ 93, 94, 95.

კისერი გაუბერიტა, ოღონდ ყელს არ შეხებია. იგი ბრძოლად დამბლა დაცემულივით გაშეშდა, ჩაჯდა ორიოდე წუთით, კვლავ გონს მოვიდა, შემოახტა ცხენს და შეტაკების დასრულებამდე ყველგან წინ იდგა"[1].

როცა რეგულარულმა ჯარებმა და ქართველმა მოლაშქრეებმა განადგურებული მტრის დევნა დაამთავრეს და ის იყო გაიცა განკარგულება უკან, თბილისში გამობრუნების შესახებ, ამ დროს წარმოიშვა ერთი დიდი „სიძნელე". ხმა დაირხა, რომ თუშების ასეული ტყეში დარჩა და იქედან ფეხსაც არ იცელავენ. მალე მიზეზიც ცხადი გახდა: ისინი თურმე ტყეში ერთ-ერთ თავის უგზო-უკვლოდ დაკარგულ ამხანაგს ეძებდნენ. არავითარმა რჩევამ და თხოვნამ მათზე არ გასჭრა. თუშები განსაკუთრებით დიდად ალაშფოთა შენიშვნამ იმის შესახებ, რომ მათი ამხანაგი შესაძლოა თურქებმა ტყეედ წაიყვანესო. „არავითარ შემთხვევაში, — ამბობდნენ ისინი, — შეუძლებელია ჩვენებური კაცი ტყეედ დანებდეს, იგი უთუოდ მოკლულია". მათ კარგად დაზვერეს მთელი ტყე და, ბოლოს, როგორც იქნა იპოვეს დაკარგული ამხანაგის გვამი. თუშების ასეული ზეიმობდა, რადგან ადათის მიხედვით ბრძოლის ველზე ვაჟკაცის დაკარგვა სირცხვილში ჩააგდებდა მათ"[2].

ალმოსავლეთის ომის მთელ პერიოდში, განსაკუთრებით კი 1854 წლის საომარი კამპანიის დროს, ქართველი მოლაშქრეები საქართველოს ტერიტორიის გარდა წარმატებით იბრძოდნენ მოძმე აზერბაიჯანისა და სომხეთის მიწა-წყალზე. თბილისისა და გორის მრავალრიცხოვანი დრუჟინები თავგანწირვით ებრძოდნენ მტერს 1854 წლის 24 ივლისს კურიუკ-დარასთან განთქმულ შეტაკების დროს. ამ ბრძოლაში მონაწილე ქართველ გმირთა საკმაო რიცხვის ღვაწლი ალინიშნა მთავრობის მაღალი ჯილდოებით. დაჯილდოებულთა შორის გვხვდებიან თბილისის ცხენოსანთა დრუჟინიდან — გიორგი ნამგალაური, დათა გოდერძიშვილი, არტემ ბადალაშვილი და სხვები; გორის დრუჟინიდან — ივანე ქართველი-

---

[1] ЦГИАГ, ф. 118, д. 1934, л. 5.

[2] В. Потто, „Памяти старых Кавказцев", 1897.

შვილი, ზაალ მესხელიშვილი, სოლომონ იაშვილი, ალექსი დეკანოზაშვილი, გიორგი ორბელაძე, სიმონ გარიშვილი, შაქრო ეშიკაშვილი, იოსებ ხმიადაშვილი და ბევრი სხვ.[1].

ჩოლოქის გამარჯვების შემდეგ მთელი ზაფხულის, შემოდგომისა და ზამთრის თვეების განმავლობაში ქართული მილიცია განუწყვეტლივ და მნიშვნელოვან საომარ ოპერაციებს ატარებდა თურქთა ცალკეული რაზმების წინააღმდეგ, თავგამოდებით იცავდა თავისი ქვეყნის საზღვრების ხელშეუხებლობას. აღსანიშნავია, რომ ქართველი ვაჟკაცები ვერ ურიგდებოდნენ საომარი მოქმედების მიუჯრებას, ვიდრე თურქი დამპყრობლები ჩვენ საზღვრებთან იდგნენ. ქართველთა დრუჟინები და ასეულები შესჩიოდნენ უფროსებს თავიანთ „უმოქმედობას", ისინი საომარი მოქმედების განახლებას მოითხოვდნენ. თავის 1854 წლის 19 ივლისის პატაკში მთავარსარდლის სახელზე პოლკოვნიკი კოლუბაკინი წერდა: „რიონსა და ხონს შუა მდებარე გზების საშეთვალყურეოდ, რომლებიც ქვეყნის შუაგულისაკენ მიემართებიან, სოფ. ჭალადიდში ჩაყენებულია საშეგრელოს მილიცია ნიკო მიქელაძის მეთაურობით. მილიციონერებს პირდაპირ სტანჯავს უმოქმედობა, მათ სურთ შეური იძიონ მტრებზე იმ უბედურებისათვის, რაც მათ საშშობლოს მიაყენეს. ერთხელ თავ. მიქაძემ შეიტყო, რომ თურქთა ჯგუფს განზრახვა აქვს გაემართოს რედუტიდან ფოთისაკენ. მან გადასწყვიტა მცირედ მაინც „წაეხალისებინა" საომრად განწყობილი დრუჟინა. 16 ივლისს მან შეარჩია 120 მებრძოლი ვაჟკაცი, მოაწყო ჩასაფრება ჭაობიან მდინარე ნაბადას გადასასვლელთან, რომელიც გზას სჭრის. 17 ივლისს თურქებიც გამოჩნდნენ. მეგრელებმა მოუშვეს ისინი თოფის სროლის უახლოეს მანძილზე და შემდეგ ტყვია დაუყარეს. ადგილი შესანიშნავად იყო შერჩეული, სროლა ზუსტი იყო. თურქები გზაკვალაბნეულად უკუიქცნენ და ხლვისკენ გარბოდნენ. მეგრელები დაედევნენ, თურქები მთლიანად იჭნებოდნენ გაჟლეტილნი, რომ მოულოდნელად ნაპირთან არ გამოჩენილიყო გემი, რომელმაც

[1] ЦГИАГ, ф. 118, д. 1934, л. 1—41.

არტილერიის ცეცხლით დაიფარა გაქცეულები. ამ დროს გამოჩნდა ავრეთვე კოლონა, რომელიც მოისწრაფოდა რედუტიდან თურქების საშველად.

მოკლული იქნა 40 თურქი. ჩვენ დაგვრჩა თოფები, ხმლები, ხანჯლები" [1].

შტაბს-როტმისტრი გურიელი, პოლკოვნიკ კოლუბაკინის მსგავსად, თავის პატაკში გურიის რაზმის სარდლის გენერალ ბაგრატიონ-მუხრანსკის სახელზე წერდა მილიციის შენაერთების დაუცხრომელი მისწრაფების შესახებ: „გურიის საზღვრების დაცვასთან ერთად, ზიანი მიაყენონ მოწინააღმდეგეს, არ მოასვენონ იგი, მოაწყონ მტრის ავანპოსტებზე თავდასხმები". გურიელი აცნობებდა თავის უფროსს ლრმა რეიდის მოწყობის შესახებ ქობულეთის სანჯაყში, რათა გაენადგურებიათ უცხოელი ყაჩაღების, კონტრაბანდისტებისა და მკვლელების ბუდე, რომლებიც გურიიდან იტაცებენ ადამიანებს, ცხენებს, ძარცვავენ და ძალმომრეობენ მშვიდობიან მოსახლეობის მიმართ". რეიდი მოწინააღმდეგის ლრმა ზურგში, რომელიც მოაწყო ბახვის დრუჟინამ აზნაურ ნიკო ღლონტის მეთაურობით, წარმატებით ჩატარდა. „ღლონტი მშვიდობიანად დაბრუნდა უკან და თან მოიყვანა ტყვეები, რომლებიც მე წარმომიდგინია", — წერს გურიელი.

ნ. ნიკოლაძე თავის მოგონებებში მაღალ შეფასებას აძლევს გურიის მილიციის ბრძოლას თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ: „იმ ხანებში, — წერდა იგი, — გურულებმა თავი ისახელეს შემოსეული თათრების გამწარებული დევნილევან და მალაქია გურიელებმა შეკრიბეს ხალხი და თათრებზე ნადირობა გამართეს. როცა შემოსეულ მტერს ჩვენი საზღვრებიდან გარეკდნენ თვითონ გადაიჭრებოდნენ... და რაც შეეძლებოდათ უფრო მეტ ზიანს ატეხდნენ თავზე. შემოდგომაზე ჩვენი საზღვრები სულ გაწმენდილ იქნა მტრისაგან რუსის ჯარის დაუხმარებლად, მარტო ჩვენებური მილიციის მეოხებით" [2].

---

[1] ЦГИАГ, ф. 939, д. 5, л. 2—4.

[2] ნ. ნიკოლაძე, „რჩეული ნაწერები", ს. ხუნდაძის რედაქციით, ტ. I, გვ. 27.

საქართველოს საზღვრების გასწვრივ, განსაკუთრებით ქვეყნის დასავლეთით, სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთ ზოლში თითქმის მთელი წლის განმავლობაში არ წყდებოდა ქართული მილიციის აქტიური საომარი მოქმედება. სამეგრელოს, გურიისა და იმერეთის მილიციის შენაერთები, რაჭისა და ალმოსავლეთ საქართველოს მოლაშქრეები განუწყვეტლივ აყენებდნენ მტერს გამანადგურებელ დარტყმებს. თავისი მოულოდნელი და გაბედული დარტყმებით ქართული მილიცია აკნინებდა, სისხლიდან ცლიდა მტრის ძალებს, არევ-დარევა შეჰქონდა მის რიგებში, ძირს უთხრიდა მოწინააღმდეგე ძალების ბრძოლისუნარიანობას.

1854 წლის გვიან შემოდგომაზე, ზამთრის დასაწყისში დათხოვნილ იქნენ მხოლოდ ალმოსავლეთ საქართველოს — ქართლის, კახეთის, თუშების სამილიციო შენაერთები. განსაკუთრებით აღსანიშნავია კახეთის სახელგანთქმული ცხენოსანთა დრუჟინის დათხოვის სურათი, დრუჟინისა, რომელსაც ჩოლოქის გამოჩენილი რაინდი თავ. ჯანდიერი მეთაურობდა. გაზ. „კავკაზის" კორესპონდენტი ამის გამო წერდა: „დრუჟინის მეომრები მხოლოდ ერთ რასმე ითხოვდნენ მოწიწებით, არ ჩამოერთმიათ მათთვის საბრძოლო იარაღი, რათა პირველ მოწოდებისთანავე დაუყოვნებლივ გამოცხადებულიყვნენ საესებით მზადყოფნის მდგომარეობაში და გამგზავრებულიყვნენ იქ, საითკენაც უბრძანებდნენ"[1].

მომდევნო, 1855 წელი იყო საომარი მოქმედების გადამწყვეტი ეტაპი ამიერკავკასიის ფრონტზე.

1854 წლის 14 დეკემბერს გამოიცა იმპერატორ ნიკოლოზ I მანიფესტი, რომელმაც აუწყა რუსეთის იმპერიის ხალხებს რუსეთის საომარი მდგომარეობის შესახებ ინგლისთან და საფრანგეთთან. მეფის მანიფესტმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ახალი „პატრიოტული" აზვირთება გამოიწვია ქართველი თავადებისა და აზნაურთა რიგებში[2].

1855 წლის საომარი კამპანიის წინ კავკასიის ახალმა მეფისნაცვალმა და კორპუსის მთავარსარდალმა გენ. ნ. ნ.

---

[1] Газ. „Кавказ", 1854, № 84.

[2] ЦГИАЛ, ф. 1268, д. „Кавказского комитета", № 49, л. 7—10.

ძურავიოვმა განკარგულება გასცა — შეეკრიბათ მილიციის დრუჟინები და შეეერთებინათ ისინი მოქმედ [illegible] ამასთან აღსანიშნავია, რომ მილიციის შეკრებისა და ორგანიზაციის საქმეში ახალი მეფისნაცვალი პირველად შეეცადა განსაზღვრული რეგლამენტაცია დაეწესებია. მისი მითითების საფუძველზე, თავადაზნაურობის საგუბერნიო წინამძღოლებს დაეგზავნათ ინსტრუქცია, რომელიც შეიცავდა განმარტებებს, სამილიციო შენაერთების დაკომპლექტების წესებს, განსაზღვრავდა შენაერთების ფორმის, შემადგენლობას, დაქვემდებარებას, რაზმის მეთაურების დანიშვნისა და დამტკიცების პირობებს. მეფისნაცვლის დირექტივაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მილიციის რაზმებში საბატონო გლეხების მონაწილეობის მოწესრიგებას, სახელდობრ იმ უბანს, სადაც ამ დრომდე ბატონ-მემამულეების თვითნებობას და ბოროტმოქმედებებს ყველაზე დიდი გასავალი ჰქონდა.

ახალ ინსტრუქციაში მითითებული იყო, რომ თავადებს და აზნაურებს ევალებათ მომავალი საომარი კამპანიისათვის, ნებაყოფლობითი მოხალისე მებრძოლთა შეგროვების გარდა, უზრუნველყონ საკუთარი ყმა გლეხების ჩაბმა რიგითი მილიციელებად. თვით მებატონეები უნდა დაინიშნონ ამ შენაერთების მეთაურებად. ინსტრუქცია ავალებდა საოლქო და სამაზრო უფროსებს მოეწვიათ თავადები და აზნაურები, რათა მათ ეკისრათ სათანადო შენაერთების ხელმძღვანელობა, ამავე დროს ოფიციალურად ეუწყებია თავადაზნაურობის წინამძღოლებისათვის, რათა მათ უზრუნველყოთ თვითეულ საბატონოდან განსაზღვრული რიცხვის მილიციელთა გამოყვანა. „მაზრისა და საოლქო უფროსების მოთხოვნილება მემამულეთა გლეხების გამოყვანის შესახებ, — ვკითხულობთ ინსტრუქციაში, — ყოველ მიზეზს გარეშე უნდა იქნას შესრულებული. თავადები და აზნაურები მოწვეულნი მილიციის ნაწილების მისალებად არ უნდა ამბობდნენ ეარს თავიანთ მოვალეობის შესრულებაზე. ისინი დროუ-

ლად უნდა ცხადდებოდნენ მათ გამწევად პირებთან ერთად. დოკუმენტი, მოწმობს როგორც მილიციის შენაერთების შექმნის საქმეში გამეფებულ უწესრიგობას, ისე მემამულე — თავადაზნაურთა სრულ თვითნებობას. იგივე საბუთი იმასაც ადასტურებს, რომ ადგილობრივი მთავრობის ორგანოებმა გადადგეს პირველი ნაბიჯი არსებული მდგომარეობის მოსაწესრიგებლად, დაიწყეს უშუალოდ ჩარევა ადგილობრივი მილიციის ფორმირების საქმეში.

ასეთი ღონისძიება შეიძლება სერიოზულ ნაბიჯად ჩაითვალოს. როგორც ითქვა, ორი ათეული წლის წინათ, გრაფ პასკევიჩის დროს, მსგავსმა ღონისძიებამ მარცხი განიცადა. მაგრამ ამჟამად სულ სხვაგვარი სიტუაცია არსებობდა, იმ დროიდან ბევრი რამ შეიცვალა. მთავრობის უშუალო ჩარევა მილიციის შექმნის საქმეში, მისი რეგლამენტაციის საჭიროება ამ დროს ნაკარნახევი იყო იმ დაძაბული ვითარებით, რომელიც შეიქმნა საქართველოში და მთელს ამიერკავკასიაში 1855 წელს. მომენტი ითხოვდა მილიციის საორგანიზაციო ბაზის კიდევ შეტად გაფართოებას, მისი ბრძოლის უნარიანობის კიდევ უფრო ამაღლებას. კავკასიის კორპუსის სარდლობამ კარგად შეიგნო სახალხო მილიციის სერიოზული როლი მომავალ 1855 წლის კამპანიაში, მან გაითვალისწინა ადგილობრივი შეიარაღებული ძალების მნიშვნელობა არა მარტო თავდაცვით ბრძოლებში, არამედ გაშლილ შეტევით ოპერაციებშიც.

მორიგი საომარი კამპანიის დაწყებისას დასავლეთ საქართველოს სასაზღვრო ზოლში განლაგებული იყვნენ სახალხო მილიციის 88 ქვეითი და 44 ცხენოსანთა ასეული. ოფიციალური მონაცემების მიხედვით მოქმედ რეგულარულ ნაწილებთან შეერთებულად მხოლოდ „რიონის მხარის" საომარ ასპარეზზე მოქმედებდნენ იმერეთის 28 ქვეითი და 21 ცხენოსანთა ასეული; გურიის 28 ასეული; სამეგრელოს 17 ასეული; სამურზაყანოს 4 ასეული და სხვ.[2]. გარდა ჩამოთვლი-

---

[1] ЦГИАГ, ф. 214, д. 1312, л. 1.

[2] ЦГИАГ, ф. 12, д. 105, л. 116—117.

ლი შენაერთებისა, დღესასწაულის ხაზის დასაცავად აღმოსავლეთ საქართველოს მაზრებში ჩამოყალიბებული იყო რამდენიმე საკმაოდ ძლიერი და დამოუკიდებლად მოქმედი მილიციის დრუჟინა 85 ასეულის შემადგენლობით. ლეკეთის საკორდონო ხაზზე თითქმის შეუცვლელად იდგა, აგრეთვე, რამდენიმე მუდმივი სამსახურის სამილიციო დრუჟინა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დრუჟინების უპირატესობა თავისი ძირითადი შემადგენლობით თავადაზნაურული იყო. მილიციის ძირითადი ნაწილი გათვალისწინებული იყო იმამ შამილის რაზმების ხელახალი შემოჭრის აღსაკვეთად. კახეთის დაცვის მიზნით, 1855 წლის გაზაფხულ-ზაფხულზე დამატებით იქნა ჩამოყალიბებული თბილისის მაზრის ქვეითი დრუჟინა, მოხალისე ცხენოსანთა 6 ასეული, თელავისა და სიღნაღის მაზრების მილიციის 32 ასეული, თუშ-ფშავ-ხევსურეთის 14 ასეული და სხვ. საქართველოს სახალხო ლაშქრის მთელი შენაერთი განლაგებული იყო კახეთში ლეკეთის ხაზზე, მდინარე არაგვიდან ნუხამდე, რომელსაც სათავეში ედგა ჩოლოქის გამარჯვების ორგანიზატორი თავადი ანდრონიკაშვილი[1].

დიდი თხოვნა-მუდარის შემდეგ კავკასიის კორპუსის სარდალმა გენ. მურავიოვმა თბილისის და გორის თავადებსა და აზნაურებს დართო ნება შეედგინათ თავადაზნაურთა დამკვრელი დრუჟინა ალექსანდროპოლის ფრონტზე მოქმედი რეგულარული ნაწილების დასახმარებლად. აღმოჩნდა, რომ დრუჟინაში შესვლის მსურველთა რიცხვმა რამდენჯერმე გადააჭარბა დადგენილ კონტინგენტს. მთავარსარდალი იძულებული გახდა დაემტკიცებინა მაღალ ბრძოლისუნარიანი — დრუჟინა — 300 თავადისა და აზნაურის შემადგენლობით[2], თავად ივანე ორბელიანის მეთაურობით. თბილისის ასეულს სათავეში ედგა თავ. ალ. ორბელიანი, გორისას — თავ. ალ. ერისთავი. გაზ. „კავკაზი" ჭება-დიდებას ასხამდა თბილისისა და გორის მაღალწოდებათა წარმომადგენლების ინიციატივას, რომლებიც „სარწმუნოების, მეფისა და მამულისათვის არ

---

[1] АКАК, т. 12, стр. 193.

[2] ЦГИАГ, ф. 214, д. 1312 (განსაკუთრებული საქმე დრუჟინის შექმნისა და შემადგენლობის შესახებ).

ზოგავენ თავიანთ ქონებას და სიცოცხლესაც კი", რომლებმაც" გამოიჩინეს ესოდენ საანაქებო პატრიოტიზმი, ... კეთილშობილი მზადყოფნა", უმოკლეს ვადაში შეადგინეს ... ცხენოსანთა დრუჟინა და ჩადგნენ კავკასია-თურქეთის საზღვრებზე მოქმედი კორპუსის რიგებში. ეს ფაქტი, ვკითხულობთ საგაზეთო სტატიაში, ერთხელ კიდევ ლაპარაკობს იმ მხურვალე ერთგულებაზე, რომლითაც გაჟღენთილია ადგილობრივი მოსახლეობა დიდი რუსეთისადმი[1].

ქალაქ თბილისის დაცვის მიზნით, ისევე როგორც 1854 წელს, კვლავ ჩამოყალიბებულ იქნა ე. წ. „თბილისის საქალაქო ლაშქარი". საქალაქო დრუჟინა სოციალური, ეროვნული და სარწმუნოებრივი შემადგენლობის მხრივ ერთობ ჭრელი იყო. საკმარისია აღინიშნოს, რომ ლაშქრის დრუჟინებში თავადაზნაურობასთან ერთად შედიოდნენ ამქრის ოსტატები და ვაჭრებიც. ქართველებთან ერთად მასში ირიცხებოდნენ რუსები და სომხები, აზერბაიჯანელი მუსულმანები და მოქალაქეთა სხვა ფენები განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა. „ლაშქარი" იყოფოდა თორმეტ 5—5 ასეულიან დრუჟინად, რომელთაგან ნახევარი ითვლებოდა „მუდმივ სამსახურში", ნახევარი კი — რეზერვში. ლაშქრის სარდლად დაინიშნა გენერალ-მაიორი გრიგოლ ივანეს-ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი, რომელიც ამავე დროს მთავარსარდლის შტაბთან განსაკუთრებულ დავალებათა შემსრულებლადაც ითვლებოდა. ინსტრუქციის მიხედვით ამ შესანიშნავად ჩამოყალიბებულსა და მკვრივად შეკრულ საქალაქო ლაშქარს ევალებოდა უზრუნველეყო ქალ. თბილისის დაცვა „თურქეთის მოკავშირეთაგან, რომლებიც მიისწრაფვოდნენ გადმომხდარიყვნენ აფხაზეთისა და სამეგრელოს სანაპიროზე, ბრძოლით გაეკაფათ გზა აღმოსავლეთ საქართველოში და ალყა შემოერტყათ მისი დედაქალაქისათვის"[2]. ქართველ მოლაშქრეებს კარგად ესმოდათ მოვალეობა და ამაყობდნენ კიდეც თავიანთი მაღალი მოწოდებით.

---

[1] Газ. „Кавказ", 1855, № 54.

[2] ЦГИАГ, ф. 12, д. 1312, л. 8—9; АКАК, т. XI, стр. 205—207.

1855 წლის 8 მაისს კავკასიის კორპუსის მთავარსარდალმა მოაწყო თბილისის საქალაქო ლაშქრის ყოველმხრივი დათვალიერება. შემოწმების შედეგებით გენერალ-ადიუტანტი მურავიოვი დიდად კმაყოფილი დარჩა. „ამ ლაშქარს, — წერდა იგი, — რომელიც აღსავსეა მაღალი სულისკვეთებით და საშშობლოსადმი ერთგულებით, რამდენიმე ზარბაზნისა და თბილისის გარნიზონის სამი ბატალიონის დახმარებით, შეუძლია გაუმკლავდეს და მოიგერიოს მოწინააღმდეგის დიდად მოჭარბებული ძალები... ამ მხრივ თბილისი შეიძლება უხრწნველყოფილად ჩავთვალოთ"[1].

მთავრობის ადგილობრივი ორგანოების ღონისძიებები, სახალხო მილიციის შეგროვებისა და მისი შენაერთების დაკომპლექტების მიმართულებით, ეფექტური აღმოჩნდა. 1855 წლის განმავლობაში ქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილი იარაღის ქვეშ დადგა და რეგულარულ ჯარებთან ერთად მოეშზადა მტრის შესახვედრად. საზოგადოების ზედაფენა — საგვარეულო არისტოკრატია კვლავინდებურად განაგრძობდა თავის „მაღალპატრიოტული" გრძნობების გადმოღვრას რუსეთის გვირგვინოსნისა და ტახტის ადგილობრივ მსახურთა წინაშე. ჭაბუკობის ასაკიდან ღრმა მოხუცობამდე ქართველი თავადები თითქოს ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ „მეფისა და საშშობლოს" უსაზღვრო ერთგულებაში.

99 წლის ღრმა მოხუცი გენერალი ერისთავი, გრაფი პასკევიჩის ექსპედიციის გამოჩენილი მონაწილე სპარსეთში, რომელიც ახლა ხანდაზმულობის გამო, სამსახურიდან გადამდგარი იყო და უმთავრესად გორში საკუთარ მამულში ატარებდა სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს, პირდაპირ ევედრებოდა გენ. მურავიოვს ჩაერიცხა იგი მოქმედ კორპუსში. „თქვენმა მაღალმა აღმატებულობამ შეუძლებელია არ იცოდეს, — სწერდა ერისთავი, — რომ მე ერთგულად ვემსახურებოდი ჩვენს დიდ ხელმწიფე იმპერატორსა და საშშობლოს და სიცოცხლეს არ ვზოგავდი. მსურს ახლაც საშშობლოს გულისათვის ვიმყოფებოდე ჩვენი მამაც რუს მებრძოლთა

---

[1] Н. Н. Муравьов, „Война за Кавказом", т. I, стр. 27; тоже: АКАК, т. XI, стр. 193.

რიგებში და დაეღვარო სისხლი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. მაგრამ მე როდი მსურს ვმეთაურობდე კორპუსს, დივიზიას ან ბრიგადას, მე მსურს ვიდგე ჯარისკაცებს შორის ახლოს და სიტყვებით გავაძხნევო რუსი მებრძოლები"[1]. გენერალი მურავიოვი, თავ. ერისთავის მიმართვის გამო, სთხოვდა გენ. ვ. ო. ბებუთოვს, გამოეყენებინა ყოველგვარი საშუალება და მოტივი, რათა „გადაათქმევინოს მოხუც თავადს თავისი უცნაური განზრახვა". პირად წერილში თავ. ერისთავისადმი გენ. მურავიოვი ცდილობდა მორიდებით და თავაზიანი სიტყვებით დაეშვიდებინა ხანდაზმული და სასოწარკვეთილი გენერალი.

„მე კარგად მესმის, — სწერს იგი თავ. ერისთავს, — თქვენი ბრწყინვალების გრძნობები და სურვილი საქმის ახლანდელი ვითარების დროს ემსახუროთ მეფესა და სამშობლოს... მაგრამ, ვიცნობ რა თქვენს საპატიო ასაკს და სუსტ ჯანმრთელობას, მე თავს დიდ დამნაშავედ ჩავთვლიდი, რომ არ მეთხოვა თქვენთვის, რათა ხელი აგეღოთ თქვენს განზრახვაზე". გენ. მურავიოვი შემდეგ ეხება თავად ერისთავის ღვაწლმოსილებას და აღწერს მას, რომ „მისი დიდებული სახელი უკვე ჩაიწერა კავკასიის მატიანეში"[2].

ქართველი მაღალი წოდების ძველ თაობას ქართველი ახალგაზრდობაც არ ჩამორჩებოდა. მაღალი წრის ახალგაზრდები, რომლებიც სწავლის მისაღებად გაგზავნილი იყვნენ მოსკოვსა და პეტერბურგს, ომის კრიტიკულ მომენტში უკლებლივ ყველა ისწრაფვოდა სამშობლოში დაბრუნებას, იძენდა იარაღს, ეწერებოდა ლაშქარში და ჩქარობდა სამშობლოს მტრებთან შებრძოლებას. ლენინგრადის ისტორიული არქივის „კავკასიის კომიტეტის" საქმეებში შენახულია შეადგენილობანი საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა მხარეთა მცხოვრებ ახალგაზრდებისა, რომლებიც ენერგიულად ითხოვდნენ უნივერსიტეტებიდან და სხვა სასწავლებლებიდან ამორიცხვას, რათა მათ მისცემოდათ შესაძლებლობა ჩარიცხულიყვნენ სამხედრო სამსახურში და ებრძოლნათ

---

[1] АКАК. т. XI, стр. 402.
[2] АКАК. т. XI, стр. 412.

თურქების წინააღმდეგ. ჭაბუკი თავადიშვილები ალექსანდრე ბაგრატიონ-მუხრანსკი, ჭავჭავაძე, ანდრონიკაშვილი, ჭავჭავაძ[illegible]ლი, ჯაყელი, მამულოვი და სხვები თავიანთ განცხადებებს თავ. ა. ჩერნიშევის სახელზე ერთსულოვნად აცხადებდნენ თბილისში გამგზავრების სურვილს, რათა „განსაცდელის ჟამს“ მიეცეთ მათ ბედნიერება ჩადგნენ საშშობლოს დამცველთა რიგებში[1].

თავისთავად ცხადია, რომ პატრიოტული ენთუზიაზმის, თავის ქვეყნის მტრებთან თავგანწირული ბრძოლისა და რუსებთან ღრმა ერთგულების გრძნობა სრულიადაც არ წარმოადგენდა ქართველი თავადაზნაურობის მონოპოლიას. ყველა ეს კეთილშობილური თვისება, მთელი თავისი სიღრმით, უწინარეს ყოველისა, თავის ჭეშმარიტ გამოხატულებას სწორედ საქართველოს შშრომელ მოსახლეობაში ნახულობდა. ეს კეთილშობილური განწყობილება იქცა დაუშრეტელი საბრძოლო ენთუზიაზმის, მძაბრივი გმირობისა და მამაცობის მამოძრავებელ ძალად მტრებთან ბრძოლის დროს. ეს ჭეშმარიტება თვით გარეშე მაყურებლებმაც კარგად შენიშნეს. „ზარბაზნების გრიალმა, — წერდა რუსი ოფიცერი, — თბილისის საზოგადოებაში გადამწყვეტი რეაქცია გამოიწვია. პოლიტიკა ხელმისაწვდომი გახდა არა მარტო განათლებული კლასისათვის, არამედ მდაბიოთათვისაც. უბრალო ხალხი საომარი ამბებით შეგულიანებული და ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი ხარბად ისმენდა ყოველგვარ საგაზეთო სტატიას, ყოველგვარ განცხადებას...“

„ამიერკავკასიის მცხოვრებნი, — განაგრძობდა ავტორი, — ტახტისადმი (რუსეთის სახელმწიფოსადმი — ე. ბ.) ერთგულებაში არ ჩამორჩებიან ძირითადი რუსეთის გუბერნიების მცხოვრებლებს. როგორი სიხარულით, როგორი ენთუზიაზმით შეხვდნენ ადგილობრივი მცხოვრებნი ცნობას თურქების დამარცხებების შესახებ, რომლებმაც თავხედურად გადმოლახეს ჩვენი საზღვრები“. ხსენებული ავტორი შემდეგ მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ თბილისის ერთ-ერთ ქუ-

---

[1] ЦГИАЛ. оп. 8, ф. 1268, д. д. №№ 83, 191, 270, 325.

ჩაზე, მას, როგორც რუს ოფიცერს, გარს შემოეხვია ფერთოვანებული ბავშვთა გუნდი, რომელიც მის პატივსაცემად რალაცას მხიარულად მღეროდა. „მე გავიგე, — წერს იგი, — რომ ეს სიმღერა შეეთხზათ თვით მოსწავლეებს თურქების წინააღმდეგ. როგორც ჩანს პატრიოტიზმი თვით თბილისის ბიჭებისათვისაც კი უცხო არ ყოფილა"[1].

საზღვარზე მოქმედ კორპუსში გამგზავრების წინ 1855 წლის ადრე გაზაფხულზე გენ. მურავიოვმა მოახდინა დასავლეთ საქართველოს სათმარი ასპარეზის საინსპექციო დათვალიერება. თავის სპეციალურ მოხსენებაში, რომელიც მთავარსარდალმა ქუთაისში იმავე წლის 21 აპრილს შეადგინა, იგი სამხედრო მინისტრს მოახსენებდა თავის შთაბეჭდილებებს გურიის რაზმის შესახებ. მთავარსარდალი, უწინარეს ყოვლისა, ჩიოდა მოხერხებული და კეთილმოწყობილი გზების უქონლობის გამო. „გზას სურამსა და ქუთაისს შორის, — წერდა იგი, — ოდნავ თუ შეიძლება გზა ეწოდოს. იგი თითქმის გაუვალია ცუდი ამინდის დროს". შემდეგ გენ. მურავიოვი აღნიშნავდა უაღრესად ცუდ კლიმატისა და სურსათ-საბინაოების ნაკლებობის შესახებ, რაც დამღუპველ გავლენას ახდენდა იქ განლაგებულ რუსთა ჯარებზე. მისი გადმოცემით, რუსეთის რეგულარულ ჯარებს მკაფიოდ უტყობოდათ „დასუსტების აშკარა ნიშანი" იქ არსებულ არახელსაყრელ პირობათა გამო. მაგრამ, გენ. მურავიოვის აზრით, იმ მხარეში არსებობს მეორე ძალა, რომლის როლი და მნიშვნელობა ადგილობრივ პირობებში ერთობ დიდია და უდაოდ „განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს". მთავარსარდალი მეტად მაღალ შეფასებას აძლევს ადგილობრივი მოსახლეობისა და მისი მილიციის სათმარ განწყობილებას. „განსაკუთრებით გამოირჩევიან გურულები, — წერს იგი, — რომლებიც მზად არიან ღირსეულად შეხვდნენ მოწინააღმდეგეს. არჩეულია ენერგიული ხელმძღვანელობა; მილიციელები თავის მოვალეობას ხალისით ასრულებენ, საგუშაგოებს წესიერად უვლიან და ეს მილიცია, რომელიც

[1] „Воспоминание офицера Кавказской Армии", стр. 21—23.

ოზურგეთის იქეთ არის წაწეული, წარმატებით იცავს ძველ საზღვრებს, არ აძლევს შესაძლებლობას თურქებს დაიმრავნ თავიანთ ადგილებიდან... ამრიგად დაცულია ჩვენს მიერ მიტოვებული მხარე, რადგან იქ ჩვენი ჯარები არ იმყოფებიან". შემდეგ იგი ეხება გურიის საერთო მდგომარეობას, რომელმაც უდიდესი ზარალი განიცადა უშუალოდ მის ტერიტორიაზე წარმოებულ ომისაგან, და წერს: „ეს მხარე თურქეთის საზღვრებიდან მდ. სუფსამდე ჭეშმარიტად საცოდავ მდგომარეობაშია. სახლები გაპარტახებული ან დამწვარია... ბევრია ქვრივები, ობლები, დაჭრილები და ხეიბრები, მაგრამ ყოველივე ამან ოდნავ ვერ შეასუსტა თავისი მამაცობით განთქმული და ბრძოლებში გამობრძმედილი გურულების საბრძოლო სულისკვეთება. რომლებისთვისაც უცხოა ანგარება"[1].

გაზ. „კავკაზის" კორესპონდენტი დუნკელ-ველინგი წერს, რომ გურულები შესანიშნავი მსროლელები არიან, რომ ისინი თავიანთ „ორიგინალურ კოსტუმებში იპყრობენ ყველას ყურადღებას, განსაკუთრებით ახლანდელ ვითარებაში, როდესაც კარგავენ რა თავიანთ ქონებასა და სიცოცხლეს, ამხედრდნენ თავიანთი ძველისძველი მტრების — თურქების წინააღმდეგ. გურულები უდრტვინველად იტანენ საბრძოლო ცხოვრების სიძნელეებს, სიღარიბეს და ყოველგვარ ნაკლოვანებებს, გმირობა-მამაცობაში მეტოქეობას უწევენ თავიანთ ძმებს — რუსებს და მზად არიან მტლად დაედონ თავიანთ შმვენიერ სამშობლოს. ვერაფერმა, ვერც თურქებისაგან მოგზავნილ ბრწყინვალე დაპირებებმა, ვერც საკუთარი სახლებისა და ყანების გაპარტახებამ თუ სხვა უბედურებამ, ვერ შეარყია ბუნების ეს ალალმართალი შვილები, ვერ აღალატებინა მათ თავისი მოვალეობისა და ფიცისადმი". დუნკელ-ველინგი იქვე გურიის მილიციელთა ორიგინალურ „საპარადო" ჩაცმულობის აღწერასაც იძლევა[2]. გურიის მილიციის რაზმს, რომელიც კავკასიის მეფისნაცვალს ბადრაგობდა, —

---

[1] ЦГРИАМ. л. 59—63. л. 41—53. VI 1855.

[2] საერთო წარმოდგენას ქართველ სათავად-აზნაურო დრუჟინის მებრძოლის ჩაცმულობისა და შეიარაღების შესახებ იძლევა იმ ქონების სია, რომელიც დარჩა 1855 წლის 25 ოქტომბერს ბრძოლაში დაღუპულ მილი-

წერს იგი, — ეროვნული ტანსაცმელი ეცვა. ვიწრო, მჭიდროდ ტანს შემოსალტული, უპირატესად წითელი ფერისა, ლამაზად გამოყვანილი კურტაკი; აბრეშუმის სარტყელი, შემოხვეული რამდენიმე იარუსად, რომელზედაც ეკიდა ყველაფერი, რაც კი მებრძოლსა და მონადირეს ესაჭიროება; უკან ტეტრისა ან მგლის ტყავი ჰქონდა გადაკიდებული, რითაც ფარავდა ძველებურ ვარაყიან ნაჭდევ მძიმე თოფს, რომელსაც გურული ხელიდან არ იშორებს. სარტყელში კი მთელი არსენალი იყო მოთავსებული: დამბაჩები, ვეებერთელა ხანჯალი, რომელსაც თავისი სიდიდით ხმლის ადგილი უკავია. დასასრულ, მათ ხუჭუჭა და გრუზა თმებზე ხურავთ ლამაზად აშოქარგული ფაფანაკი, რომელიც სხვა არაფერია თუ არა დროთა მიერ შეცვლილი შურდულის გამოხატულება, რომელიც ლაზების ხელში საშიშ იარაღს წარმოადგენდა"[1].

როგორც ცნობილია ომერ-ფაშას არმიის ექსპედიცია აფხაზეთსა და სამეგრელოში ყოფნა-არყოფნით დაემუქრა

ციელს სიმონ ქარუმიძეს. გვეცნოთ ქონების ამ სიის ცალკე ნიეთების იმდროინდელ ღირებულებასთან ერთად: აბიური თოფი ვერცხლის მოჭედილობით, სტამბოლის ლულით (260 ვერცხლის მან.). აბიური დამბაჩა (პისტოლეტი) ვერცხლის მოჭედილობით, მოოქროვილი (160 მან.); ქართული ხმალი ვერცხლით მოჭედილი, ვერცხლის ჭამრით (250 მან.); ვერცხლის ფალასკა (საეზნე) გაწყობილი (50 მან.); ვერცხლის საპირისწამლე (25 მან.); აბიური ხანჯალი ვერცხლის მოჭედილობით (25 მან.); ვერცხლის ჭამარი მოოქროვილი (150 მან.); ყალიონი (ჩიბუხი) ორთავიანი ლეკური, წმინდა ვერცხლისა, მოოქროვილი (180 მან.); ყალიონი მცირე, ერთთავიანი, წმინდა ვერცხლისა (35 მან.); ცხენი უნაგირით (180 მან); მაუდის ნერეტეული ჩოხა-ახალუხი ყაითან-ბეზმენტებით გაწყობილი (20 მან.); ორი ქართული ჩოხა შავი მაუდისაგან (50 მან.); შავი მაუდის ორი შარვალი (10 მან.); ქართული ქელაფა წითელი ხავერდისაგან (40 მან.); სამი აბრეშუმის ახალუხი (45 მან.); ორი ქართული შავი ბეხარის ფაფახი (ბოხოხი) (30 მან.); ექვსი თეთრი პერანგი (18 მან.); ექვსი ქვედა საცვალი (6 მან.); ზარდახშა (ყოლოფი) რკინით შეჭედილი (3 მან.); ქოლგა (2 მან.); ბეჭედი ბწკვანე თვალით (10 მან.); შემდეგ სიაში ჩამოთვლილია სხვადასხვა ჭილდოები, საჩუქრები და ნიშნები მიღებულები დაღუპულ დრუჟინელის მიერ საბრძოლო დამსახურებისათვის, ЦГИАГ, ф. 214/118, д. 1380, лл 1, 6, 21.

[1] Газ. „Кавказ", 1855, № 35.

მთელს ქართველ ხალხს. განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს პროვინციები თითქოს გარდუვალი კატასტროფის მოლოდინს ელოდნენ. საქმე იმაში, რომ გურიის მოქმედი რეგულარული რაზმი თავისი რიცხობრივი შემადგენლობით სრულიადაც არ შეეფერებოდა თავის დანიშნულებას. გურიის რაზმის სარდლის გენერალ ბაგრატიონ-მუხრანსკის განკარგულებაში მთლიანად ალმოჩნდა რეგულარული ჯარების მხოლოდ 17 ბატალიონი და ისიც ფრიად სუსტი შემადგენლობისა. ამიტომ ადგილობრივი სარდლობა თავის მოქმედებაში ძირითადად ადგილობრივ მილიციის უნდა დაყრდნობოდა. სახალხო მილიციის შენაერთები „რიონის მხარის" საომარ ასპარეზზე მოწოდებულნი იყვნენ მნიშვნელოვანი დახმარება ალმოეჩინათ რეგულარული ჯარებისათვის და უზრუნველეყოთ გარეშე მტრების განადგურება. რაზმის სარდალს გენ. ბაგრატიონ-მუხრანსკის კარგად ჰქონდა შეგნებული შექმნილი ვითარება და მისგან გამომდინარე ამოცანებიც, მაგრამ მან ვერ შესძლო ყველა შესაძლებლობის გამოყენება. „ფრიად ვრცელ მანძილზე გაფანტული გურიის რაზმი, — წერდა ამბების მონაწილე, მეფის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი, — თავისთავად შეტად მკაცრიცხოვანი იყო. ამიტომ თავად მუხრანსკის მთელი გეგმა დამყარებული იყო იმაზე, რომ შეძლებისდაგვარად თავი აერიდებინა მოწინააღმდეგის ჭარბ ძალებთან პირდაპირი შეხვედრისათვის, ამავე დროს არ მიეცა მისთვისაც საშუალება გადამწყვეტად ემოქმედნა... ამის გამო თავადი თავის რაზმისათვის დახმარებასა და შველას ეძებდა სახალხო ომში, რომლის გაჩაღებასა და ორგანიზაციასაც ცდილობდნენ ამ მხარეში"[1].

თურქეთის საექსპედიციო კორპუსის ოპერაციების დაწყებამ დიდად გაამხნევა და გააქტიურა მოწინააღმდეგის სხვა რაზმებიც, რომლებიც საომოქმედოდ ხელსაყრელ მომენტს ელოდებოდნენ. განსაკუთრებით გამოცოცხლდა და გახალისდა ჭობულეთის სანჯაყში დაბანაკებული თურქეთის რაზმი შუსტაფა-ფაშას მეთაურობით. ახალი მნიშვნელოვანი შევსე-

[1] კ. ა. ბორობდინი, „ამიერკავკასიის მოგონებანი", გვ. 12 — 19.

ბის მილების შემდეგ გურიის საზღვრებთან მდგარი მოწინააღმ-
მდეგის კორპუსი თავის რიგებში უკვე ითვლიდა რეგულარულ-
ლი ქვეითი არმიის 15 ათასზე მეტ მებრძოლს და 5 ათასზე
მეტ ცხენოსანს, 14 ზარბაზნით. არმიის რეგულარულ ნაწი-
ლებს ზურგს უმაგრებდა 20 ათასამდე ბაშიბუზუკი. თურქები
გამაგრდნენ ლელვასა და ოჩხამურის საკმაოდ მოხერხებულ
პოზიციებზე და 1855 წლის შემოდგომაზე გაშალეს საომარი
მზადება შეტევითი მოქმედებისათვის. გურიის მდგომარეობა
მეტისმეტად მძიმე იყო.

1855 წლის 29 ოქტომბერს მოწინააღმდეგის საკმაოდ ძლი-
ერი რაზმი გამოვიდა შეკვეთილიდან და გაემართა ქართველთა
მიერ განადგურებულ ჭახათას ხიდისაკენ. თურქებს გადაწყვეტ-
ილი ჰქონდათ ხიდის აღდგენა, რათა შემდგომი წინსვლისა-
თვის გზა გაეხსნათ. გურიის მილიციის დრუჟინა 30 ოქტომ-
ბერს გაბედულად წინააღუდგა გათავხედებულ მტერს და
თვალსაჩინო ზარალის მიყენებით შესძლო მისი უკანვე გან-
დევნა. „30 ოქტომბერს, — ეკითხულობთ გაზ. „კავკაზში" —
მოწინააღმდეგის ქვეითი და ცხენოსანთა შეიარაღებული ძა-
ლების მრავალრიცხოვანი მასები გაემართნენ სოფ. ლიხაური-
საკენ (ოხურგეთის სამხრეთით), მაგრამ... ერთი საათის ბრძო-
ლის შემდეგ იძულებულნი გახდნენ უკან დაბრუნებულ-
ყოფილნენ" [1].

გურიის მილიციას მანამდეც მრავალჯერ ჰქონდა გმირული
შეტაკებანი თურქეთის ჯარებთან. განსაკუთრებით საჭიროა
აღინიშნოს, გურიის დრუჟინების მონაწილეობა ქობულეთის
სანჯაყში მრავალი დივერსიის მოწყობაში, რომელიც დაგვირ-
გვინდა მალაქია გურიელის მიერ გამანადგურებელი დარტყ-
მებით თურქების კორპუსის შენაერთებზე [2]. როგორც საარ-
ქივო დოკუმენტებში, ისე გაზ. „კავკაზის" გვერდებზე შეიძ-
ლება წაიკითხო მრავალისაგან მრავალი კორესპონდენციები
და რეპორტაჟი, რომლებიც მოგვითხრობენ გურიის მილიცი-
ის მეტად გაბედული და ეფექტური დივერსიების მოწყობის

---

[1] Газ. „Кавказ", 1855, № 99.
[2] АКАК, т. XI, стр. 185—187.

შესახებ მოწინააღმდეგის ზურგში. მილიციის ცალკეულმა შენაერთებმა თავადების: მიხეილ ნაკაშიძის, ერისთავის, იაშვილის, გურიელებისა და სხვათა მეთაურობით არა ერთი გამანადგურებელი დარტყმა მიაყენეს თურქეთის ავანპოსტებზე განლაგებულ რეგულარულ ჯარებსა და ბაშიბუზუკებს. ამ ოპერაციებში განსაკუთრებით გამოირჩეოდა გურიისა და სამეგრელოს მილიციის გაერთიანებული რაზმების გაბედული რეიდი რედუტ-ყალეში მოკალათებული მტრის საოპერაციო პლაცდარმებზე [1]. მილიციის განუწყვეტელი თავდასხმები მტრის შენაერთებზე მოსვენებას უკარგავდა მათ, მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს აყენებდა, დეზორგანიზაცია შეჰქონდა თურქების საავანპოსტო განლაგებაში, აქვეითებდა მათ მორალურ დონეს.

მიუხედავად ადგილობრივი მილიციის აქტიური მოქმედებისა, მოწინააღმდეგის ძალთა განუსაზღვრელმა სიჭარბემ მაინც საგონებელში ჩააგდო გენერალ-მაიორი ბრუნერი, რომელიც იმ დროს გურიაში განლაგებულ რეგულარულ ჯარებს მეთაურობდა. თავის 1 ნოემბრის პატაკში შიშით შეპყრობილი გენერალი ბრუნერი მოახსენებდა თავ. ბაგრატიონ-მუხრანსკის, რომ ჩოლოქთან დაგროვებული მრავალრიცხოვანი თურქთა ჯარები უთუოდ უმოკლეს ვადაში შეტევაზე გადმოელენ, ხოლო ჩვენ მცირერიცხოვანი და სუსტი შენაერთებით გამკლავებას ვერ შეეძლებთო. ამიტომ, გენ. ბრუნერი წინადადებას იძლეოდა აკეთ-ნიგოითის პოზიციების დატოვებისა და რეგულარული ნაწილების მდ. ცხენისწყალთან გადაყვანის აუცილებლობის შესახებ. გენერალ ბრუნერის წინადადება არა თუ აროფრით არ იყო გამართლებული, იგი ფრიად საეჭვოდაც გამოიყურებოდა. ერთი კი მაინც აშკარა იყო: თავისი მოქმედებით გენ. ბრუნერი სრულიად უთანაბწორო და გამანადგურებელი დარტყმის ქვეშ აყენებდა მთელ გურიას, მის მილიციას. აკეთის თითქმის მიუვალი პოზიციების დაცლის შემდეგ გურიის მთელი მოსახლეობა ნებით თუ უნებლიეთ შესაჭმელად ეძლეოდა გურიის მოსისხლე მტრებს — თურქ-

[1] АКАК, т. XI, стр. 140.

თა ბაშიბუზუკებს. გენ. ბრუნერი არ დაელოდა პასუხის მიღებას და შეუდგა მისი განზრახულობის სისრულეში მოყვანას.

მომხდარი ფაქტის წინაშე მყოფი გურიის რაზმის უფროსი ბაგრატიონ-მუხრანსკი იძულებული გახდა დაედასტურებინა სასახლის წრეების გაბღენძილ და თვითნება წარმომადგენლის გადაწყვეტილება. ბაგრატიონ-მუხრანსკი, თავის 1855 წლის 15 ნოემბერს გენ. ბებუთოვისადმი გაგზავნილ წერილში, ცდილობდა გასამართლებელი არგუმენტი მოეძებნა ბრუნერის მოქმედებისათვის. „გენერალი ბრუნერი, — წერდა იგი, — გადმოყვანილია გურიიდან ცხენისწყლის ნაპირებზე. ეს აუცილებელი იყო“ [1]. მაგრამ სხვაგვარად ფიქრობდა კავკასიის კორპუსის მთავარსარდლობა. ბრუნერისა და ბაგრატიონ-მუხრანსკის „არგუმენტაციები“ გურიის გამაგრებული პოზიციების დატოვების „აუცილებლობის“ შესახებ გენ. მურავიოვმა სრულიად უსუსურად და უმართებულოდ ჩათვალა. „ეს უკანდახევა, — წერდა იგი, — შეიძლებოდა თავიდან აგვეცილებინაო“ [2], დამახასიათებელია, რომ თვით ბაგრატიონ-მუხრანსკის განცხადებით გენ. ბრუნერის მეთაურობით რეგულარული ჯარების გურიიდან წასვლის შემდეგაც ადგილობრივი მოსახლეობა განუსაზღვრელ ერთგულებას იჩენდა რუსეთისადმი და თავგანწირვით იბრძოდა თავისი ქვეყნის საზღვრების დაცვისათვის. „ახლა მოწინააღმდეგე ვერ შესძლებს მათთან შემოჭრას, — წერდა გურიის რაზმის მეთაური, — ამ მხარისათვის მე არ მეშინია, გურულები ჩეჩნურად ესვრიან მოწინააღმდეგეს“ [3].

ისტორიული ფაქტები მკაფიოდ ადასტურებენ ადგილობრივი მოსახლეობისა და მისი გმირული მილიციის იშვიათ სიმტკიცესა და ამტანობას. უაღრესად მძიმე ვითარებაში, როცა მარცხიანი გენერლების მიერ, უმაღლესი სარდლობის სურვილის საწინააღმდეგოდ, გურია საკუთარი ბედის ანაბარად

---

[1] იხ. მიმოწერა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. АКАК, т. XI, стр. 141, 151.

[2] ЦГВИАМ, ф. ВУА, д. 5963, л. 49.

[3] АКАК, т. XI, стр. 151.

იქნა მიტოვებული, მოსახლეობამ საკუთარ ხელში აიღო თავისი კერისა და ოჯახის, თავისი ქვეყნის საზღვრების დაცვის საქმე. არაჩვეულებრივი ტანჯვისა და უსაზღვრო ზარალის ვითარებაშიც კი არ მოუხრია ქედი საქართველოს მოსახლეობას, არ შეუცვლია მის მიერ არჩეული სწორი გზა, არ უღალატნია მოძმე რუსი ხალხისათვის.

აღმოსავლეთის ომის დასრულებამდე გურიის მილიციას, ისევე, როგორც საქართველოს ყველა კუთხის სახალხო ლაშქარს, ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია თავდადებული ბრძოლა თურქების წინააღმდეგ, მთელ ქართველ ხალხთან ერთად მილიცია იღებდა მძიმე მსხვერპლს საზღვრების დაცვის საქმეში. კავკასიის სარდლობა ობიექტურ შეფასებას აძლევდა ჩვენი საზღვრების მამაც დამცველებს. 1855 წლის 23 დეკემბერს გენ. ბებუთოვი მეფისნაცვალს სწერდა: „გურიაში ჩემი მოგზაურობის დროს მე დავათვალიერე გურიის მილიცია ოზურგეთში... გურიის ხალხი ძველებურადვე აღტკინებულია საბრძოლო სულისკვეთებით, აღფრთოვანებულია ყარსის დაცემით და ოწვის სურვილით კვლავაც ეძვეთოს მოწინააღმდეგეს. მილიცია მე ვნახე ძლიერი შემადგენლობით და შესანიშნავ წესრიგში“ [1].

თავისი საინსპექციო მოგზაურობის შემდეგ გენ. ბებუთოვის განკარგულებით აკეთის პოზიციაზე კვლავ დაწინაურებულ იქნა შავი ზღვის ორი სახალხო ბატალიონი. მისი მტკიცებით, ასეთი ღონისძიება რამდენადმე მაინც „დაამშვიდებდა გურულებს, რომლებიც შეშფოთებულნი იყვნენ ამ კუთხიდან ყველა ჩვენი ჯარების გამოყვანით“. გენ. ბებუთოვმა აგრეთვე განკარგულება გასცა ესარგებლათ გენ. ბრუნერის მიერ აკეთში მიტოვებული სურსათ-სანოვაგით. საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ გურიის მოსახლეობამ ხელუხლებლად დაიცვა ყველა საწყობი თვალსაჩინო მარაგით, რომელიც გენ. ბრუნერმა თავის ბედის ანაბარად მიატოვა აკეთის პოზიციიდან მისი პანიკურად უკანდახევის დროს. აკეთის პოზიციაზე ორი სახალხო ბატალიონის გადანაცვლებით გურიაში შექმნილი

[1] АКАК, т. XI, стр. 197.

მდგომარეობა ოდნავადაც არ იცვლებოდა. გენ. ბებუთოვის განკარგულება არსებითად „ქეთილშობილური ქესტსა“ [illegible] მიაგავდა, ვიდრე რეალურ დახმარებას. ამას ადასტურებს გენ. [illegible] მურავიოვის 1856 წლის დასაწყისში შედგენილი მოხსენება სამხედრო მინისტრის სახელზე, სადაც სხვათა შორის ვკითხულობთ: „გურიის სასაზღვრო პუნქტების დაცვა კვლავინდებურად გურიის მილიციას ევალებათ“ [1].

ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე დიმ. ყიფიანი წერს: „მე ვიყავი გურიაში თავ. ვასილ ოსიპის ძე ბებუთოვთან ერთად, როგორც მისი საველე კანცელარიის დირექტორი და ხაზინადარი. გურიაში იმ დროს არცერთი ჯარისკაცი არ იყო. გურულები იცავდნენ თავის თავსაც და ჩვენი რაზმის ზურგსაც თურქების დაწოლისაგან“ [2].

ენგურთან 1855 წლის 25 ოქტომბერს გმირული, მაგრამ წარუმატებელი ბრძოლისა და გენ. ბაგრატიონ-მუხრანსკის უკანდახევის შემდეგ მთელი სამეგრელო ომერ-ფაშას საექსპედიციო არმიის ხელში აღმოჩნდა, დასავლეთ საქართველო ანექსიის საფრთხის წინაშე დადგა. ფრიად სახიფათო ვითარება შეიქმნა საერთოდ მთელი საქართველოსათვისაც, რადგან ომერ-ფაშას განზრახვა ჰქონდა სამეგრელო-გურიაიმერეთის დაპყრობის შემდეგ გზა გაეკაფა სურამის უღელტეხილისაკენ და პირდაპირ თბილისის კარიბჭეს მიდგომოდა. ერთობ მძიმე და რთულმა მდგომარეობამ, რომელშიც ძველი ოდიში აღმოჩნდა, ღრმად შეაძრწუნა ადგილობრივი მოსახლეობა. მაგრამ შიში და აბნეულობა მალე გაიფანტა. სამეგრელოს ხალხმა მოუხმო მთელ თავის სასიცოცხლო ძალებს და ფართო პარტიზანული ბრძოლა გაიჩაღა დუპატიქებელი „სტუმრების“ წინააღმდეგ. საარქივო მასალის გარდა, რომელსაც მკითხველი უკვე გაეცნო, სამეგრელოს მოსახლეობის შეურიგებლობას თურქ ოკუპანტებისადმი მკაფიოდ ადასტურებს დამპყრობლების„ მათ შორის თვით ომერ-ფაშას ალიარება. თავის წერილებში ეკატერინე დადიანისადმი საექსპე-

---

[1] АКАК, т. XI, стр. 197.

[2] „Русская старина“, 1880, № 5, стр. 271.

დიცეთ კორპუსის მთავარსარდალი, სხვათა შორის, წერდა: „ჩემს არმიას სამეგრელოში შემოსვლისას მოსახლეობის ნაწილი ხელში იარაღით დახვდა, დანარჩენმა ნაწილმა დასტოვა სახლები და ჭონები და გადაიხვეწა“ [1].

ლაურენს ოლიფანტი, თავის ჩანაწერებში ხაზგასმით აღნიშნავს ადგილობრივი მოსახლეობის უსაზღვრო სიძულვილსა და შეურიგებლობას თურქ დამპყრობლებისადმი, უსაზღვრო სიყვარულს, ნდობასა და ერთგულებას რუსებისადმი [2].

გმირი რუსი ჯარების გამარჯვებებმა და ყარსის ციხე-სიმაგრის აღებამ ფრთები შეასხა ქართველ ხალხს და მის მილიციას. საისტორიო დოკუმენტები მოგვითხრობს, რომ ყარსის გარემოცვასა და მის აღებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართულმა სათავადაზნაურო დრუჟინამ. კავკასიის მოქმედი კორპუსის მთავარსარდლის სპეციალურ ბრძანებაში, რომელიც გამოცემულ იქნა 1855 წლის 26 ოქტომბერს, ვრცლად არის აღწერილი ყარსის დრუჟინის რიგითი მებრძოლებისა და შეთაურების საბრძოლო ღვაწლი, იქვე მოყვანილია ქართული მამაცი დრუჟინის მონაწილეთა დაჯილდოების გრძელი სია [3].

ყარსის ციხე-სიმაგრის, თურქების ამ პირველხარისხოვან ციტადელის, რუსეთის არმიის ხელში გადასვლამ კიდევ უფრო გააძლიერა სამეგრელოს მოსახლეობის წინააღმდეგობა ოკუპანტების წინააღმდეგ. ომერ-ფაშას ინგლისელი მრჩეველი ფ. ლონგვორტი დიდად შეაძრწუნა ერთის მხრით ომერ-ფაშას გადაწყვეტილებამ სამეგრელოდან უკანდახევის შესახებ, მეორე მხრით, ადგილობრივი მილიციის გააქტიურებამ, რომელიც ამიერკავკასიაში ექსპანსიის ინგლისურ გეგმებს სრული ჩაშლით ემუქრებოდა. ფ. ლონგვორტი მოუწოდებდა ეკატერინე დიდიანს „შეენარჩუნებინა კეთილგონიერება“ და ბოლო მოეღო სამეგრელოში გამეფებულ „უწესრიგობისათვის, რამაც თავის უკიდურეს საზღვარს მიაღწია“, წინააღმდეგ შემთხვევაში „კეთილშობილი“ ლორდი იმუქრებოდა, რომ ომერ-ფაშა იძულებული გახდება უსასტიკეს ზომებს მიმარ-

---

[1] АКАК, т. XI, стр. 112.

[2] L. Oliffant Jbidem. p. 146, 118, 182—183.

[3] Газ. „Кавказ“, 1855, № 89.

თოსო. მაგრამ ყველა ამ ინგლისური ყაიდის მუქარისა და თურქთა მტარვალობის მიუხედავად, რომელიც მთელი თავისი სისასტიკით დაატყდა თავს ქართველ მოსახლეობას, ყველაფრიდან სჩანდა, რომ საქართველოს მიწაწყალზე ეცხოელ დამპყრობთა თარეშის დღეები დათვლილი იყო.

თურქეთის საექსპედიციო არმია უბადალებული „გენერალისიმუსის" ომერ-ფაშას მთავარსარდლობით განაგრძობდა უკანდახევას. მოწინააღმდეგეს ბრძოლით კვალდაკვალ მისდევდა საქართველოს მილიცია, სახალხო პარტიზანები, მფრინავი რაზმები თავისი ელვისებური თავდასხმებით გამანადგურებელ დარტყმებს აყენებდა მტრის შენაერთებს. ამ გარემოებას კავკასიის მთავარსარდლობა კარგად ხედავდა. 1855 წლის 6 თებერვალს გენ. მურავიოვი სამხედრო მინისტრს პეტერბურგში შემდეგს სწერდა: „მტრის წინააღმდეგ მოქმედება მხოლოდ ერთადერთი მილიციით შეიძლება, რადგან ტყიანი და ჭაობიანი ადგილები არ გვაძლევენ საშუალებას გავატაროთ რეგულარული ჯარები საანაპირო ზოლში მოწინააღმდეგის ფლანგზე. მილიცია კი მისი გაწვრთნილობისა და ჩვევების წყალობით შესძლებს გაიღწიოს ჭაობებში და იბრძოს თითქმის გაუვალი ბილიკებით" [1].

გაზ. „კავკაზის" კორესპონდენტი ამის გამო წერდა: „არ არსებობს სხვა რომელიმე არე უფრო მოხერხებული პარტიზანული ომისათვის, როგორც ამერეთი და სამეგრელო. ჭანჭრობები და ჭაობები, ნაკადულები, რომლებიც რამდენიმე საათში მქუხარე ნიაღვრებად იქცევა, ტყეები, ჩაგრეხილ-გადაწნული ხეებისა მცენარეებით, რომლებიც უძნელებენ სიარულს ქვეითად მოსიარულეებს, რომ ცხენოსნებზე არაფერი ითქვას, მიუვალს ხდიან ამ მხარეს იმათთვის, ვინც კარგად არ იცნობს ადგილმდებარეობას, ხოლო მოსახლეობის წინააღმდეგობისა და მფრინავი რაზმების განუწყვეტელი თავდასხმების ვითარებაში, ეს ადგილები ადვილად შეიძლება მტრის ერცელ სასაფლაოებად გადაიქცნენ... სანოვაგისა და ფურაჟის ნაკლებობაც აგრეთვე დაძლეველია დატპატიჟებელი სტუმრებისათვის, მით უფრო იმათთვის, ვის მიმართაც სი-

[1] АКАК, т. XI, стр. 259; Тоже: ЦГВИАМ. д. 5886, л. 40.

ძულვილით არის გამსჭვალული მთელი მოსახლეობა"[1]. ...ბების შემდგომმა განვითარებამ საფუძვლით დაადასტურა ...ტიმისტურად განწყობილი მეთვალყურის წინასწარმეტყველება. ადგილობრივი მოსახლეობისა და მისი მილიციის დაუცხრომელი მოქმედების წყალობით ოდიშისა და კოლხიდის გაუვალი ტყეები, ჭაობები და ველები მართლაც გადაიქცნენ უცხო ოკუპანტების ვრცელ სასაფლაოებად. საქმე იქამდე მივიდა, რომ თავისი პანიკური უკანდახევის დროს „სარდარ-ეკრემი" — ომერ-ფაშა ლაბის თვით საქართველოს პარტიზანის ტყვის სამიზნე გახდა.

თურქეთის ჯარების დევნის დროს მთელი სანაპირო და სასახლერო ზოლი რამდენიმე ცალკე საომარ უბნად იქნა განაწილებული. თვითეულ საბრძოლო უბანზე განპიროვნებული იყო განსაკუთრებული რაზმეული თავისი მებრძოლი მეთაურით. ასე მაგალითად, მიქაძეს მინდობილი ჰქონდა თვით საქართველოს ტერიტორიის დაცვა და მოსახლეობის ორგანიზაცია ომერ-ფაშას თავგზააბნეული შეუიარაღებლობის დევნისათვის; მაიორ მაჭავარიანს, რომელიც სათავეში ედგა ჩოჩხათის, გოგორეთის, გურიანთისა და ნაგომარის ოთხ დრუჟინას, ევალებოდა სანაპირო ხაზის დაცვა მალთაყვასა და შეკვეთილს შორის, მასვე დაეკისრეს აქტიური ოპერაციების წარმოება მტრის ურდოების წინააღმდეგ. თვით შეკვეთილსა და ჩოლოქის ხაზის გასწვრივ იდგნენ მილიციის ძლიერი და ბრძოლისუნარიანი დრუჟინები მალაქია გურიელის, მიხეილ ნაკაშიძისა და სხვა თავადების მეთაურობით[2].

საქართველოს მილიციის მფრინავი დრუჟინები გრიგალისებურად ატყდებოდნენ თავს თურქთა საოკუპაციო ჯარებს და ულმობლად ანადგურებდნენ მათ. ომერ-ფაშამ კარგად შეიგნო თავისი გამოუვალი მდგომარეობა, საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მისი საქმე წაგებულია და სრული კატასტროფის მოლოდინში დაიჩქარა თავისი ჯარების ევაკუაცია. საქართველოდან წასვლის წინ თურქებმა ხანძარს მისცეს მთელი ზეგ-

---

[1] Газ. „Кавказ", 1856, № 17.

[2] ЦГВИАМ, д. 5966, л. 41—43.

დიდი. წინასწარ გაძარცვეს ეკატერინე დადიანის მდიდარი სასახლე და შემდეგ ნაცრად აქციეს იგი. აჩეხეს სამეგრელოს ბატონის შესანიშნავი ბოტანიკური ბაღი[1]. ოკუპანტებმა გაუგონარმა მხეცობამ და გულქვაობამ, მოსახლეობისადმი ბარბაროსულმა მოპყრობამ კიდევ უფრო გააძვინვარა მცხოვრებნი. ისინი ერთსულოვნად აღდგნენ სასტიკი და დაუნდობელი მტრის წინააღმდეგ და გააფთრებით იწყეს მისი შევიწროება. „მოსახლეობა, რომელმაც კარგად იცის ტყის ყველა ბილიკი, ამხედრდა მტრის განდევნისა და გაქცევისათვის. თურქი ჯარები, რომლებიც ქვეყნის დასაპყრობად მოვიდნენ, იღუპებიან საშარკვინოდ, როგორც გარეული მხეცები ტყეებსა და ჭაობებში"[2].

ქართული სახალხო ლაშქრის მრავალრიცხოვან გმირულ საბრძოლო ეპიზოდებიდან მიზანშეწონილი იქნებოდა მხოლოდ რამდენიმე, უფრო მკაფიო ფაქტი მოგვეყვანა.

1856 წლის 1 თებერვალს გურია-სამეგრელოს გაერთიანებული რაზმების დაზვერვამ აღმოაჩინა თურქების მნიშვნელოვანი ძალები, რომლებიც განლაგებული იყვნენ ძლიერ გამაგრებულ სამ პუნქტში მდ. ხოფის ნაპირზე. აღნიშნული პუნქტებისაკენ სწრაფად დაიძრნენ სამეგრელოსა და გურიის შეერთებული რაზმები მიქაძისა და მაჭუტაძის მეთაურობით. მიქაძეს, რომელიც შესანიშნავად ერკვეოდა ადგილმდებარეობაში და კარგად იცოდა თითქმის ყველა ბილიკი, ყოველი ბუჩქი, მეგზურობა იკისრა. მისი რჩევით რაზმი მტერს ფრიად მოხერხებულ ადგილას ჩაუსაფრდა. სულ მალე მტრის ბანაკიდან გამოვიდა თურქთა ორი ქვეითი ბატალიონი, რომლებიც, როგორც ჩანდა, ყულევში მიდიოდნენ. გაუსწორდნენ თუ არა მოწინააღმდეგის ბატალიონები ჩასაფრებულ ქართველთა მილიციის რაზმებს, ამ უკანასკნელთა ერთობლივი ზალპით მოსპობილ იქნა 50 თურქი ჯარისკაცი. მათ შორის მოკლული აღმოჩნდა ორივე ბატალიონის მეთაური, რომლე-

---

[1] AKAK, т. XI, стр. 259 (კონკრეტული ცნობები ომერ-ფაშას მიერ მიყენებული ზარალის შესახებ ზუგდიდის მოსახლეობისადმი იხ. ნ. ბეიშვილის სადოქტორო დისერტაციაში).

[2] Газ. „Кавказ", 1856, № 17.

ბიც თავიანთ კოლონებს ცხენებით მიუძღვებოდნენ წინ. მოულოდნელი თავდასხმით თავგზააბნეული, ცოცხლად დარჩენილი თურქები უწესრიგოდ გაბრუნდნენ უკან გამაგრებული ბანაკისაკენ და იქიდან ასტეხეს ქვემეხების ხშირი სროლა. ჩვენმა რაზმებმა შეაგროვეს მტრისაგან გადაყრილი იარაღი, სხვადასხვა ალაფი და სასწრაფოდ გამოეშურნენ უკან მათთვის ნაცნობი ბილიკებით.

იმავე დღეს ორივე რაზმი მიადგა მდ. ნაბადას. აქ მათ შემოუერთდა მილიციის რამდენიმე ასეული გუგუნავას რაზმის შემადგენლობიდან. რაზმთა გაძლიერებულ შენაერთს შესაძლებლობა მიეცა შეტი გაბედულობით შებრძოლებოდა მტერს. მეორე დღეს ეს შენაერთი ეკვეთა იქვე მახლობლად განლაგებულ თურქთა კოლონას. ამ შეტაკების დროს გაერთიანებულმა რაზმებმა ამოწყვიტეს რამდენიმე თურქი ჯარისკაცი, ხელთ იგდეს დიდძალი იარაღი და უკან დაიხიეს მხოლოდ მას შემდეგ, როცა განგაშის ხმაზე ყულევიდან გამოვიდა მტრის დამხმარე რამდენიმე კოლონა [1].

დიდი წარმატებით მოქმედებდა თავ. მიხეილ ნაკაშიძის სახელგანთქმული რაზმიც, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა შეკვეთილში დაბანაკებულ მტრის ჯარებს. ამ რაზმის მამაცობა და საგმირო საქმეები ამშვენებენ იმ დროის საბრძოლო მოქმედების ამსახველ ფურცლებს [2].

6 თებერვალს განთიადისას 200 გურული და 150 მეგრელი ხორგის მახლობლად თავს დაესხა მოწინააღმდეგის 2 ქვეით ბატალიონს და ზუსტი სროლით დახოცეს მოწინააღმდეგის ბატალიონისა და ასეულის მეთაურები და 30 რიგითი ჯარისკაცი. თურქები ისე საშინლად აირიენენ, რომ ბევრი მათგანი წყალში გადაიჭრა, დანარჩენები უწესრიგოდ გაიქცნენ უკან ბანაკში. ჩვენმა მილიციონერებმა ხელთ იგდეს დიდძალი იარაღი და დაიხიეს უკან თავიანთი ბანაკისაკენ [3].

თურქებმა, რომლებიც ფანიცდიდნენ ქართული მილიციის

---

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 449, л. 114—115.

[2] იქვე.

[3] Газ. „Кавказ", 1856, от 26 февраля.

რაზმების განუწყვეტელ თავდასხმებს. მწარე გაკვეთილებსა
საფუძველზე გააკეთეს ზოგიერთი დასკვნა. შემდეგში
გაცილებით მეტ სიფრთხილეს იჩენდნენ და ყოველნაირად
ცდილობდნენ თავი აერიდებინათ ჩვენი რაზმების გამანადგურებელი თავდასხმებისათვის. ეს გარემოება მხედველობიდან არ გამოეპარა ქართველ მებრძოლებს, თურქეთის თავდაცვის შეცვლილ სისტემას ქართული რაზმების სარდლებმაც მოქმედების ტაქტიკის შეცვლით უპასუხეს. რაზმების უფროსებმა განიზრახეს თავიანთი დარტყმა მიეგმართათ ბდ. ნაბადასაკენ. ამისათვის ცივის არხთან დატოვებულ იქნა 150 გურული და 150 მეგრელი, ხოლო დანარჩენები მაშუტაძის, მიქაძისა და გუგუნავას წინამძღოლობით, რომელიც თავისი რაზმის ორი ასეულით არაჩვეულებრივი სისწრაფით მოვიდა მაკვანეთიდან, ჭალადიდის მცხოვრებთა მიერ ნაჩვენები სამი ბილიკით გეგმარონენ 11 თებერვალს ნაბადასაკენ. მას შემდეგ, რაც ამ მდინარეს მიუახლოვდნენ და მოწინააღმდეგე დაზვერეს, მაგაცი გურულები და მეგრელები... უკვეთნენ ნაბადასთან განლაგებულ თურქებს, ადგილზეევე მოსპეს 40 კაცი და დაედევნენ გაქცეულებს თითქმის თეით ბანაკამდე [1].

მუსტაფა-ფაშა, რომლის ძლიერი კორპუსი გურიის საზღვრებს უტევდა, ომის ამ კრიზისულ მომენტში განსაკუთრებით გააქტიურდა. ქობულეთის ყარების სარდალს ჰქონდა განზრახვა ჩაეშალა გურიისა და სამეგრელოს მილიციის ერთობლივი მოქმედება და შეემუსვრეებინა ომერ-ფაშას ხვედრი. მაგრამ მისმა გეგმამ მარცხი განიცადა. „უკანასკნელ დროს, — ვკითხულობთ საგაზეთო ქრონიკაში, — მოწინააღმდეგემ თავისი ბაშიბუზუკები ქობულეთიდან გურიის საზღვრებისაკენ წასწია. 11 თებერვალს 200 ბაშიბუზუკმა გადალახა ჩოლოქი გოგორეთის მახლობლად და მიიწევდა ბდ. ნატანებისაკენ. შტაბს კაპიტანმა მ. გურიელმა შეიტყო რა ეს, მათ წინააღმდეგ გაგზავნა ორი ასეული მიხ. ნაკაშიძის სარდლობით. ნაკაშიძემ მოწინააღმდეგე შენიშნა ჩოჩიების გადასასვლელზე და ფარულად გაგზავნა თავისი მილიციონერთა ნაწილი ბაშიბუზუკე-

[1] Газ. „Кавказ", 1850 г. от 28 февраля.

ბის ზურგში ორი მხრიდან, თვითონ მან კი მტერს ფრონტიდან შეუტია. თურქებმა იწყეს უკან დახევა სროლით, მაგრამ წააწყდნენ ჩასაფრებულთ და უკანდახევიდან სირბილზე გადაეიდნენ. ჩვენ ზარალი არ მოგვესელია. თურქებმა ადგილზე დატოვეს მრავალი გვამი და იარაღი...[1].

ანალოგიური ფაქტები და მაგალითები ბევრია. მაგრამ ისინი, ეფიქრობთ, მეტის-მეტად ამძიმებენ წიგნს. შეიძლება მხოლოდ აღინიშნოს, რომ მილიციის რაზმები მოსახლე მტრებთან ბრძოლაში იჩენდნენ არა მარტო გმირობასა და თავგანწირულობას, არამედ მოქნილი ტაქტიკის, ინიციატივისა და მანევრირების გასაოცარ უნარსაც. ეტყუარი ფაქტები და მაგალითები თვალწინ გვიშლიან საქართველოს ყველა კუთხის სალაშქრო შენაერთების ურთიერთ მჭიდრო საბრძოლო თანამშრომლობისა და შეთანხმებული მოქმედების შესანიშნავ სურათებს. ქართული შენაერთები საერთო ძალით ებრძოდნენ გარეშე მტერს, მტკიცედ იცავდნენ თავიანთ კერას, თავიანთ ღირსებას, მშობლიური ქვეყნის ყოველ მტკაველ მიწას. ომის უკანასკნელ აკორდად გაისმა ქართველთა ლაშქრის გაერთიანებული რაზმების ბათუმები ხორგასა და ყულევს შორის. სამეგრელოს რაზმი ჯაიანისა და საგუბერნიო მდივნის გაბუნიას მეთაურობით, გურიის ასეულები ჯაყელის სარდლობით, 1856 წლის 25 თებერვალს მეხივით დაატყდნენ თავს თურქეთის საკმაოდ მრავალრიცხოვან რაზმს, რომელიც კარჩაპებში ისხდა. ერთიანად გაავლეს მას მუსრი და მდიდარი ნადავლით (რომელშიაც სხვათა შორის, შედიოდა თურქების მიერ სამეგრელოს მოსახლეობისაგან ნაძარცვი ოჯახური ნივთები), დაბრუნდნენ უკან[2].

თურქებთან ომის დამთავრებამდე, ყირიმის ომის მთელ პერიოდში, გურიისა და სამეგრელო-იმერეთის მილიცია მუდმივად იდგა საზღვრების გასწვრივ და გამანადგურებლად ერტყამდა თურქ დამპყრობლებს.

კავკასიის მოქმედი კორპუსის სახელოვანი გამარჯვებანი,

---

[1] Газ. „Кавказ", 1856, от 28 февраля.

[2] Газ. „Кавказ", 1856 г., № 19; შდრ.: კ. ბოროზდინი, მოგონებანი ამიერკავკასიაზე", გვ. 65.

საქართველოს მილიციისა და პარტიზანთა რაზმების გაბედული თავდასხმები მტრის ურდოებზე, მათი ოსტატური ... ქა და მარჯვე მოქმედება 1855 — 1856 წლების ზამთრის თვეებში თითქოს მთელი აღმოსავლეთის ომის ჭეშმარიტ აპოთეოზს წარმოადგენდა. ამ პერიოდში სდუმდა ყირიმი, არ ისმოდა სამხედრო ყიჟინა გმირულ ბრძოლაში დაცემულ სევასტოპოლის კორიბჭესთან, მოწინააღმდეგის ჭაჭანება არ იყო ბალტიის სანაპიროებთან და თვალუწვდენი იმპერიის სხვა რომელიმე პუნქტში. ცოცხლობდა და აქტიურად მოქმედებდა მხოლოდ კავკასია-თურქეთის ბრძოლის ველის ერთი პატარა სექტორი. აქ, დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე, რუსთა სახელოვანი რეგულარული ჯარებისა და ქართველთა ლაშქრის რკინის სალტეში მოქცეული ომერ-ფაშას 50 ათასიანი კორპუსი სიცხლისაგან იცლებოდა და სულს ლაფავდა.

ყირიმში დროებითი საზავო პირობების მიღებისა და პარიზის მოლაპარაკების დაწყების (1856 წ. მარტი) შემდეგ საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის სახლვრების გასწვრივ შეწყდა საომარი მოქმედება. გაჩაღდა ოფიციალური დიპლომატიური და საშშვიდობო შეხვედრები მხარეთა სარდლობას შორის. ახალი ვითარების პირობებში მოახსნა სახალხო ლაშქრის შენახვის საჭიროებაც. ხელისუფლების ორგანოები და ადგილობრივი სარდლობა შეუდგნენ საქართველოს ლაშქრის მონაწილეთა (მილიციის) მასობრივად განთავისუფლებას. „იმ მიზნით, რომ მოსახლეობას საშუალება მიეცეს დაუბრუნდეს სასოფლო-საშეურნეო საქმეებს, — წერდა გენ. მურავიოვი სამხედრო მინისტრს დოლგორუკოვს 1856 წლის აპრილის დასაწყისს, — გენერალ-ლეიტენანტმა ეიგნერმა გასცა განკარგულება როგორც გურიის, ისე სამეგრელოს მილიციის შემადგენლობის მნიშვნელოვნად შემცირების შესახებ. სამეგრელოში დათხოვნილი იქნებიან ფალავას და ჩიქოვანის ცხენოსანთა რაზმები“ [1]. შემდგომ პატაკებშიც კავკასიის არმიის მთავარსარდალი კვლავ აცნობებს სამხედრო მინისტრს, რომ პარიზის ზავის დადების გამო გრძელდება გურიისა და სამეგ-

[1] ЦГВИАМ, ф. 69, д. 5966, л. 94 – 95.

რელოს მილიციის რიცხვის შემცირებაო[1]. ამრიგად, საქართველოს ლაშქარი (მილიცია) საომარი მოქმედების დაწყების პირველივე დღეებიდან ომის დამთავრებამდე განუწყვეტლად და მამაცურად იმყოფებოდა თავის საბრძოლო პოსტზე. ჩვენი ლაშქრის მამაცი მებრძოლები ომის სამი წლის განმავლობაში ლირსეულად უდგნენ მხარდამხარ რუსეთის სახელოვანი არმიის მხედრობას და მათთან ერთად იზიარებდნენ როგორც ხანგრძლივი სისხლისმღვრელი ომის უდიდეს მსხვერპლსა და სიძნელეებს, ისე სიხარულსა და დიდებას მტერზე მოპოებულ გამარჯვებათა გამო.

ქართველ ხალხს, ამიერკავკასიის ყველა ხალხთან ერთად, რუსეთის არმიის ხელმძღვანელობით თურქებზე მოპოებული გამარჯვება თავისი მრავალ საუკეთესო შვილების სისხლის ფასად დაუჯდა. მან გადაიტანა არაჩვეულებრივი გაჭირვება და გაპარტახება, მაგრამ მიაღწია მთავარ მიზანს: გადაარჩინა თავისი ქვეყანა, თავისი კერა უცხო დამპყრობთაგან და კიდევ უფრო განამტკიცა კავშირი და მეგობრობა დიდ რუს ხალხთან.

ყირიმის ომში ქართველთა ლაშქარმა, შეინარჩუნა რა ძირითადად საშხედრო ორგანიზაციის სპეციფიკური ფეოდალურ-წოდებრივი ფორმა, შეიძინა ახალი ნიშნები და თვისებანი, რომლებიც მას ტაქტიკის, დისციპლინის, საშხედრო ჩვევა-ოსტატობის მხრივ უახლოვებდნენ რეგულარული არმიის შენაერთებს.

ისეთი სასტიკი და „მიუკერძოებელი" სალდაფონიც კი, როგორიც იყო გენერალი მურავიოვი, ერთ-ერთ თავის რელაციაში წერდა, რომ ქართველი მოლაშქრეები „არ კმაყოფილდებიან მარტოოდენ მამაცობით და გმირობით, ისინი ამავე დროს ასრულებენ ყველაზე მკაცრი საშხედრო დისციპლინის მოთხოვნებსაც: მათი რიგების სიმწყობრე აძლევს მათ გაბოლდილი რეგულარული ჯარების მრისხანე სახეს"[2]. ამასვე აღნიშნავს თავის პატაკში პოტუჩიკი მახოტინიც, რომელმაც არმიის

---

[1] ЦГВИАМ, ф. 69, д. 5966, л. 95.

[2] ЦГВИАМ, ф. ф., д. 28, л. 7266

მთავარი შტაბის დავალებით 1855 წლის ოქტომბერში მოახდინა საქართველოს მილიციის შეუერთების ინსპექტირება „გურიის, სამეგრელოს და სამურზაყანოს მილიციის რაზმებში,— წერს იგი თავის მოხსენებაში, — შემოღებულია მტკიცე წესრიგი: საავანსპოსტო სამსახური მოწყობილია ჩვენი (იგულისხმება რეგულარული ჯარი — ე. ბ.) საწესდებო შინაგანაწესის მიხედვით; სხვადასხვა ნაწილების უფროსებს ეძლევათ წერილობითი ინსტრუქციები; თვითეული რაზმისა და დრუჟინის მიხედვით ყოველდღიურად ინიშნებიან განსაკუთრებული მორიგეები; ადგილმდებარეობის დათვალიერების მიზნით მწყობრის წინ დღეგამოშვებით იგზავნებიან რაზმები 60 — 100 კაცის შემადგენლობით, რომლებიც ამოწმებენ მთელს არემარეს. უკან დაბრუნების შემდეგ რაზმის უფროსი მოახსენებს მეთაურს ყველაფერს, რაც მათ შენიშნეს ან შეიტყვეს. ამასვე აკეთებენ მორიგეებიც...

ჩვენს მიერ შენიშნულია, რომ სხვა დრუჟინებშიც არსებობს მისწრაფება მსგავსი წესრიგი და სამხედრო დისციპლინა თავიანთ ნაწილებშიც შემოიღონ"[1]. სწორედ ქართული მილიციის ამ თავისებურებებით უნდა აიხსნას ის ფრიადმნიშვნელოვანი და უპრეცედენტო ღონისძიება, რომელიც მეფისნაცვალმა თავ. ვორონცოვმა ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე განახორციელა. მისი შეამდგომლობის საფუძველზე 1850 წელს მთავრობის მიერ დამტკიცებულ იქნა „დებულება იმ ახალგაზრდების დაჯილდოების შესახებ, რომლებსაც არ აქვთ ოფიცრის წოდება და კავკასიაში მილიციებში მსახურობენ"[2]. ომის წლებში აღნიშნული „დებულება" ფართო მასშტაბით იყო გამოყენებული, თუმცა, ცხადია, დაჯილდოების პრაქტიკა, როგორც წესი, კლასობრივსა და წოდებრივ პრინციპზე იყო დამყარებული. ჯილდოები, უწინარეს ყოვლისა, უხვად ცვიოდა „კეთილშობილთათვის"—ქართველი თავადებისა და აზნაურებისათვის. ასე იყო ვორონცოვის დროს, ასევე გრძელდებოდა გენ. რეადის მმართველობის პერიოდშიც.

---

[1] ЦГИАГ, ф. 12, д. 806, л. 88.

[2] Там же.

ახალმა მეფისნაცვალმა გენ. ნ. ნ. მურავიოვმა, შესაბრძოლ-ად შეცვალა „ვორონცოვის ტრადიციები", მაგრამ შესცვალა მათი გაუარესების მიმართულებით. ამიერიდან მნიშვნელოვ-ნად შეიკვეცა ჯილდოების გაცემა ადგილობრივ მკვიდრთა-თვის, განურჩევლად მათი წოდებრივი მდგომარეობისა. ამ გა-რემოებამ თავადაზნაურობის სერიოზული უკმაყოფილება გა-მოიწვია. საქმე იქამდე მივიდა, რომ დიმიტრი გურიელმა ქარ-თველი არისტოკრატიის სახელით ამის გამო მტკიცე პროტეს-ტი განუცხადა გენ. მურავიოვს. თავის 1855 წლის 20 დეკემ-ბრის პატაკში გურიელი ხაზგასმით აღნიშნავდა თავადებისა და აზნაურების უკმაყოფილებას იმის გამო, რომ „ისინი ყო-ველგვარ საქმეში ასეთი ერთგულებით გამოირჩევიან, მათ გა-დაიქეთ მრავალგვარი სიძნელეები, ხოლო ჯილდოებს კი არ ღებულობენ" [1]. ყოველგვარი პროტესტი და საჩივარი ისეთი მმართველის დროს, როგორიც ნ. ნ. მურავიოვი იყო, მიზანს ვერ აღწევდა.

მილიციის სოციალური შემადგენლობის დასახასიათებ-ლად საარქივო დოკუმენტები ერთობ შეზღუდულია. შემონა-ხული მცირეოდენი ცნობები მაინც იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ მილიციის რაზმები ძირითადად სახაზინო და საბატონო გლეხთაგან შედგებოდა. რაზმის მეთაურები კი, როგორც წესი, თავადაზნაურობისაგან ინიშნებოდა. ოხურგე-თის მაზრის ერთ-ერთი საშილიციო დრუჟინის უფროსს, ნი-კოლოზ ღლონტს თავის პატაკში მოჰყავს მებრძოლთა სია, რომლებმაც თავი გამოიჩინეს საგმირო საქმეებით. აღსანიშ-ნავია, რომ დაჯილდოებულთა სიაში დიდად ჭარბობს საბა-ტონო გლეხთა გვარები (სიმონ სიხარულიძე, გაბრიელ ხვთა-სი, სპირიდონ ქაქაბაძე, სიმონიკა პინიში და სხვ.).

პარტიზანულ ბრძოლას თურქების წინააღმდეგ ხელმძღვა-ნელობდნენ ყმა გლეხები სოფელ მაკვანეთიდან — ლევან ერ-ქომაიშვილი და მაქსიმე პაპუნაშვილი. გლეხთა გვარებთან ერ-

---

[1] АКАК, т. XI, стр. 196.

თად სიაში დასახელებულია გურიის აზნაურებიც (ლეონტიანეული, მამულაშვილი და სხვ.)[1].

მთავრობის მიერ დაჯილდოვებულთა შორის ვხვდებით თბილისისა და გორის ლაშქრის სახელოვან მეომრებს: გიორგი ნამგალაურს, დავით გოდერძიშვილს, ირტემ ბადალაშვილს, ივანე ქართველიშვილს, ალექსი დურუზაშვილს, სოლომონ იკაშვილს, ზაალ მუსხელიშვილს, გიორგი არჩვაძეს, სიმონ გარიშვილს, მაქრო უმიკაშვილს, იოსებ ხმიადაშვილს და სხვ.[2].

თავისი შემადგენლობით და ორგანიზაციის თავისებურებით ყირიმის ომის წლებში გვხვდებიან საკმაოდ მრავალფეროვანი სამილიციო შენაერთები, ძეულები, რაზმები, ლაშქრეული („დრუჟინა"). მილიციის რაზმები იყვნენ ქვეითი და ცხენოსანი, წვრილი და მსხვილი შემადგენლობის შენაერთები, ნაკრები, დროებითი და მუდმივი. გვხვდებიან გლეხური, თავადაზნაურული და შერეული შემადგენლობის რაზმები. სამილიციო ბეგარა ვრცელდებოდა მოსახლეობის თითქმის ყველა წოდებაზე. მაგრამ საზოგადოების ზედაფენები, თავადები და აზნაურები, უმთავრესად რაზმის მეთაურების მოვალეობას ასრულებდნენ.

ჩვენს განკარგულებაში არსებული მასალების საფუძველზე ძნელია ომში მონაწილე ქართველების რიცხვობრივი და წოდებრივი შემადგენლობის ზუსტი პროცენტული განსაზღვრა, მაგრამ ეს დოკუმენტები დაახლოებით მაინც სწორად

---

[1] **ЦГИАГ, ф. 1087, л. 172, л. 5.** იხ. ავრეთვე ს. ი. ყობიძის დისერტაცია „გურიის გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა" (1954 წ.).

[2] იქვე.

უნდა აღინიშნოს, როგორც აღნიშნული ეპოქის დამახასიათებელი მოვლენა, რომ იმ საბუღრო ორდენით, რომელიც ბრძოლაში მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის მილიციის რიგითი სახელოვან მზედარს მიანიჭეს, ოდესაც „სასწაულის" ძალით თბილისის „საპატიო" მოქალაქემ აბულოვმა დაიმშვენა მკერდი, გამორკვეულია, რომ — ეს უკანასკნელი არასოდეს ახლოს არ გაკარებია ბრძოლის ველს და არ ეუნოსია თოფის წაბლის სუნი. მსგავსი „გაუგებრობანი" იმ დროს ერთეულს როდი წარმოადგენდა (იხ. ე. პოტო, „ძველი ქაქაბიელების ხსოვნას", თბილისი, 1897).

წარმოგვიდგენს ქართველი ხალხის ღვაწლსა და კოლოსალურ მსხვერპლს, რაც ადგილობრივმა მოსახლეობამ გაიღო ომში.

ოფიციალური, თუმცა არა ზუსტი, ცნობებით 1854 წლის საომარი კამპანიის პერიოდში ამიერკავკასიის მთელმა მოსახლეობამ ფრონტს მიაწოდა:

მილიციელები (ცხენოსნები)	— 98026 კაცი,
მილიციელები (ქვეითი)	— 33916 კაცი,
მოხალისე (ცხენოსნები)	— 9406 კაცი,
ყარაულები ლეკეთის ხაზისათვის	— 27068 „
სულ	168416 კაცი[1].

შეიარაღებული ადამიანების მთელი ეს უზარმაზარი მასა ამა თუ იმ ფორმით უშუალო მონაწილეობას ღებულობდა თურქებთან ბრძოლაში, მხარში ედგა რუსეთის რეგულარული არმიის შენაერთებს. ამასთან მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ მოტანილი ციფრების მეტად საგრძნობი ნაწილი სწორედ საქართველოზე მოდიოდა. „განსაკუთრებული საერობო საკრებულო“ თავის 1855 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „საქართველოში მილიციელთა გამოყვანა და ამას გარდა, ადამიანების დანიშვნა სამინაო ყარაულობისა და საგზათ საამუშაოებისათვის, საზიდი ვალდებულებათა გადაჭარბებულად დიდი ზომით დაკისრება, მეტისმეტად დამამძიმებელი იყო მცხოვრებთათვის“. იმავე ოქმში აღნიშნულია, რომ „ხაერთო ცნობებით მილიციის გამოყვანის შესახებ ამიერკავკასიის სხვა გუბერნიების მიხედვით წინა წლებში (ლაპარაკია 1853, 1854 და 1855 წლების შესახებ — ე. ბ.) ირკვევა, რომ თბილისის გუბერნიას გამოპყავდა მილიციის გაკოლებით მეტი რიცხვი, ვიდრე მეზობელ გუბერნიების მცხოვრებლებს“[2].

ადგილობრივ მოსახლეობას ომის წლებში დაკისრებული

---

[1] ЦГИА.I, ф. 1268, дело „Кавказского Комитета“, № 25; тоже; АКАК, т. X, стр. 107; АКАК, т. XI, стр. 672—673, იხ. ცნობები მილიციის შენაერთების ფორმირების შესახებ აღმოსავლეთ, საქართველოში 1853, 1854, 1855 წლებში.

[2] АКАК, т. XI, стр. 673.

ჰქონდა მრავალი სახის უაღრესად მძიმე, მაგრამ დიდად საპატიო ვალდებულება. მტრის წინააღმდეგ უშუალო ბრძოლებში ერთად, ქართული მილიციის შეუცველელ ვალდებულებას შეადგენდა ქვეყნის მთელი „საშინაო წესრიგისა და მყუდროების დაცვა, საგუშაგო სამსახურის განუწყვეტელი შესრულება". მოსახლეობა ასრულებდა აგრეთვე მთელ რიგ ნატურალურ და სამხედრო დროის სხვა სახის ვალდებულებებს, კერძოდ, მოსახლეობა გამოყოფდა შეიარაღებულ ბადრაგს დატყვევებული თურქებისათვის, სოფლის გზაჯვარედინებზე საყარაულოდ, ჯარების „საულუფო სახორცე პირუტყვის" მოსავლელად და სხვ. ოფიციალური დოკუმენტები ცოტად თუ ბევრად იმის ნათელ სურათს იძლევიან, თუ რა ვალდებულებებს იხდიდა საქართველოს და მთელი ამიერკავკასიის მოსახლეობა. მოვიყვანოთ ისევე 1854 წლის მონაცემები:

1. „გამოყვანილია რაზმების გასაცილებლად, ტყვეებისა და პატიმრების საბადრაგო და სხვა საჭიროებისათვის:

საზიდები — 108502; საპალნე (საკიდარი) — 10217;

შეიარაღებული ადამიანები — ქვეითი და ცხენოსანი — 139328.

2. „გამოწვეულია გზების, ბოგირების, წყალგამტარი არხების შესაკეთებლად, ფოსტის გასაყოლად და სხვა შემთხვევებისათვის: ადამიანები ქვეითი 296810; ადამიანები ცხენებით — 11518. მიცემულია საზიდები — 20346; საპალნე (საკიდარი) — 37673.

3. „მიცემულია ხორაგისა და საკვების გადასაზიდად ჯარების განლაგების ადგილებში: საზიდრები — 53643; საპალნე (საკიდარი) — 43163; ადამიანები ქვეითი — 3242.

4. გამოყვანილია ცხენოსნები (მხედრები) ფოსტისა და მგზავრების გასაცილებლად — 31773; მძარცველებისა და ავაზაკების წინააღმდეგ და თურქეთის საზღვრების დასაცავად შეიარაღებული მხედრები — 92663»[1].

ეს მონაცემები მეტყველებენ იმის შესახებ, რომ ამიერკავკასიის, კერძოდ საქართველოს მამაცკაცთა თითქმის მთელი

---

[1] ЦГИАЛ, дело „Кавказского Комитета", № 1268, л. 25; тоже: АКАК, т. X, стр. 407.

მოსახლეობა ამა თუ იმ სახით ომის ამოცანებს ემსახურებოდა. ეს ფაქტი უფრო თვალსაჩინო ხდება ომის საჭიროებებსა და მოთხოვნილებებზე მომუშავე ადამიანთა რიცხვის შეფარდებისას ამიერკავკასიის მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან.

იმ არა ზუსტი ცნობებით, რომელსაც ცნობილი სტატისტიკოსი ო. ევეცკი გვაწვდის, გასული საუკუნის 30-იან წლებში საქართველოს მოსახლეობა 615 ათას სულს შეადგენდა. ამათგან აღმოსავლეთ საქართველოში ცხოვრობდა 380 ათასი სული, იმერეთში — 100 ათასი, სამეგრელოში — 68 ათასი, გურიაში — 36 ათასი, სვანეთში — 30 ათასი, აბხაზეთში — 52300, ახალციხის პროვინციაში — 70 ათასი სული[1]. რაც შეეხება მამრობითი სქესის რაოდენობას, ამის შესახებ მოგვეპოვება ცნობა, რომელსაც გვაწვდის ამიერკავკასიის მხარის სახელმწიფო ქონებათა უწყება. ამ ცნობით 1854 წლის 1 იანვრისათვის ამიერკავკასიაში, ანუ თბილისის, ქუთაისის, ერევნის გუბერნიებში, შემახის, დერბენდისა და ჭარ-ბელაქნის ოლქებში მამაკაცთა რიცხვი 637732 სულს შეადგენდა[2].

ომში უდიდეს დამსახურებასა და გაღებულ მსხვერპლთან შედარებით, სრულიად უმნიშვნელოდ მოჩანს ის სახსრები, რომელიც მეფის მთავრობამ დახარჯა ადგილობრივ შეიარაღებულ ძალთა (მილიციის) შესანახად. კავკასიის არმიის საინტენდანტოს ოფიციალური ანგარიშების მიხედვით 1852 წელს ადგილობრივი მილიციის შესანახი ხარჯები 272601 მანეთს შეადგენდა, 1853 წელს — 883035 მანეთს, 1854 წელს — 1.300.000 მანეთს, 1855 წელს — 2.998.125 მანეთს, 1856 წელს — 3273230 მანეთს, ხოლო 1857 წელს 745 428 მანეთამდე დავიდა[3].

მილიციის შესანახად მთავრობის ასიგნობათა ხასიათისა და მისი გამოყენების ანალიზის დროს, ყურადღებას იპყრობს

---

[1] О. Евецкий, „Статистич. опис Закавказского Края", СПБ, 1885, т. V, стр. 27.

[2] „Обзор Российских владений за Кавказом", СПБ, 1836, ч. 1, стр. 18—23.

[3] АКАК, т. XI, стр. 490.

ხარჯთაღრიცხვის წლითიწლობით აუთვისებლობა და ხაზინაში შექმნილი თვალსაჩინო ნაშთები. ეს გარემოება უნდა აიხსნას, ერთი მხრით, იმით, რომ სახალხო ლაშქრის (მილიციის) სამსახურის ფაქტიური ხანგრძლივობა წელიწადში 9 — 10 თვეს არ აღემატებოდა, ხოლო მეორე მხრით, მილიციის მთელი რიგი დრუჟინები, რაზმები და ცალკეული მოლაშქრეები ნებაყოფლობით უარს აცხადებდნენ კუთვნილი თანხების მიღებაზე. ამავე დროს, წყაროების გაცნობა ნათელს მფენს მეთაურებისა და მოხელეების მრავალ ბოროტმოქმედებას, რომლებიც განუკითხავად ითვისებდნენ მილიციისათვის გამიზნულ სახსრებს. მთავრობის ასიგნობათა სისტემატური მატება მკაფიოდ ადასტურებს ქართული „სახალხო ლაშქრის" მუდმივ მზარდ როლსა და მნიშვნელობას.

საქართველოს ცალკეული პროვინციებისა და კუთხეების მილიციის შენაერთთა საბრძოლო ერთსულოვნება და მონოლითობა, მათ შორის ურთიერთკავშირი და ურთიერთდახმარება მკაფიოდ ასახავდა ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის პროცესს, მათს მჭიდრო კავშირს, ნდობასა და რწმენას რუსეთის არმიის განმათავისუფლებელი როლისადმი. ამაზე მიგვითითებს, როგორც მაშინდელი დოკუმენტები აღნიშნავენ, „ყრმა" და „მოხუც" მილიციონერთა მასობრივი გმირობა. ეს ფაქტი უკვე იმ დროს ითქვებდა როგორც ომის მონაწილეებს, ისე ამ საქმის მცოდნე სხვა ადამიანებსაც. მამების, ძმების, ქმრებისა და შვილების გვერდით, ისტორიის მატიანეში მრავალი ბრწყინვალე ფურცელი ჩასწერეს ქართველმა ქალებმაც. თურქეთის ჯარებთან შედარებით ქართულ მილიციას ჰქონდა ზნეობრივ-პოლიტიკური უპირატესობა, რამაც მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში ფრიადღირსშენელოვანი როლი შეასრულა.

უნდა აღინიშნოს, რომ ომში ქართული მილიციის უდიდესი საბრძოლო დამსახურების მიუხედავად, მეთაურები უდიერად ეპყრობოდნენ და სასტიკად ამცირებდნენ რიგით მოლაშქრეებს. გლეხი მილიციონერი დაკინვის, ცემა-ტყეპისა და ექსპლოატაციის ობიექტს წარმოადგენდა. თავადაზნაურობა უსირცხვილოდ ითვისებდა იმ მცირე თანხებსაც კი, რასაც სა-

ხელმწიფო ითვალისწინებდა მილიციის შესანახად. ხოლო პროტესტის შემთხვევაში მწყობრის მილიციელებს ბატონებზე ბარბაროსულად უსწორდებოდნენ.

დამახასიათებელია, რომ თვით გურიის რაზმის სარდალმა გენ. ანდრონიკაშვილმაც კი ვერ აუხვია გვერდი მილიციის ნაწილებში ფართოდ გავრცელებულ დანაშაულებრივ ბოროტმოქმედებებს. ის გენ. რეადს მოახსენებდა, რომ ქუთაისის გუბერნიის საშილიციო ნაწილებში ფართოდ არის გავრცელებული ქრთამი და სხვა უზნეობა, რომ „ეფროსები თვითნებურად ითვისებენ მილიციელთა ხელფასებს", რიგითი მებრძოლებს მეთაურები ართმევენ ცხენებს და თვითონ ეპატრონებიან მას. გენ. ანდრონიკაშვილი ამხილებს დამნაშავე პირებსაც. ასე მაგალითად, იგი მიუთითებს, რომ „ჯილდოების განაწილებაც კი სრულიად არამართებულად ხდება და ასეთებს ღებულობენ მხოლოდ ისინი, ვისგანაც პოლკოვნიკი ყორლანოვი ხელის გამოელისო". დასასრულ, ანდრონიკაშვილი აღნიშნავდა, რომ ყველა ეს ბოროტმოქმედება და დანაშაული ხალხის თვალში სახელს უტეხს სახელმწიფო დაწესებულებებს და ჩინოვნიკებს. ყოველივე ამან 1853 — 1856 წლების საომარი კამპანიის პერიოდში სრულიად თავისებური იერი მისცა კლასობრივ წინააღმდეგობებსა და კლასთა ბრძოლას მთელს იმპერიაში. მწვავე კლასობრივი ანტაგონიზმი ამიერკავკასიის სინამდვილეში ორგანულად გადაეწყვა ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას.

1854 წლის 23 ივლისს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი თავის მოხსენებაში კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობის დროებით აღმასრულებელს გენ. რეადს ატყობინებდა, რომ ხერთვისის უბნის მთელი მოსახლეობა 27 სოფლის რაოდენობით „ერთსულოვნად გამოვიდა მორჩილებიდან და არავითარ ვალდებულებასა და ბეგარას არ ასრულებსო". ამავე დროს იგი აღნიშნავდა, რომ გლეხები გაბოროტებულნი არიან ადგილობრივ მემამულეებზე. უკანასკნელნი სარგებლობენ რა ომის ვითარებით, კიდევ უფრო აძლიერებენ ხალხის შევიწროებას. ქუთაისის გუბერნატორი ენერგიულად თხოვდა მთავრობის ადგილობრივ ორგანოებს გამოეგზავნათ საჭირო

რაოდენობით კაზაკობა საეგზეკუციოთ და ხერთვისის სოფლებში გამწყვეტელი სოციალური ექსცესების ჩასაქრობად.

ომის სიტუაციის გამომხატველი და მომენტის დამახასიათებელია ცენტრალური მთავრობის ერთგვარად ლიბერალური დამოკიდებულება ამ მოვლენებისადმი. ამიერკავკასიის მხარის მთავარი მმართველობის საბჭომ, განიხილა რა ხერთვისის მცხოვრებთა მოქმედება, აღიარა, რომ „სასურველი შედეგების მიღწევისათვის საჭიროა არა მკაცრი და გამაღიზიანებელი ზომების გატარება, არამედ მოსახლეობაზე მორალური ძალით ზემოქმედება“ [2].

ასეთივე მოტივებით ამიერკავკასიის მთავრობის ორგანოებმა ამავე პერიოდში არ დააკმაყოფილეს ერევნის სამხედრო გუბერნატორის შეამდგომლობა, რათა „ძალდატანებითი ზომებით და კაზაკების გამოყენებით“ ჩაეხშოთ კრამოლა და ჭკუაზე მოეყვანათ „ხარკისა და გადასახადების ურჩი გადამხდელნი“.

1854 წლის შემოდგომაზე ამიერკავკასიის მთელ რიგ პროვინციებში ზოგჯერ შეინიშნებოდა გლეხობის სტრიოზული მღელვარება მილიციის შეგროვების საქმესთან დაკავშირებით თავდაზნაურებისა და მეთაურების მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებათა გამო. 1854 წლის ოქტომბერში გენ. რეადი აფრთხილებდა ქუთაისის გუბერნიის მმართველს, რომ მან შორაპნის მაზრიდან მიიღო ცნობა ადგილობრივ მცხოვრებთა თვითნებობის შესახებ. შორაპნის მოსახლეობა, გენ. რეადის ცნობით, „არა თუ არ ემორჩილება ეფროსებს... არამედ არის მაგალითები, როცა მცხოვრებნი შეიარაღებულ წინააღმდეგობასაც კი უწევენ. ერთხელ მათ დასჭრეს ორი ხბაური და მოჰკლეს ერთი“ [3]. ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი გნილოსაროვი თავის პატაკში გენ. რეადის სახელზე ადასტურებს რა შორაპნის მაზრაში მომხდარ ექსცესებს, ამავე დროს დამატებით აცნობებს მეფისნაცვლის მოვალეობის შემ-

---

[1] ЦГИАЛ, дело „Кавказского Комитета“ № 167, л. 12.
[2] ЦГИАЛ, дело „Кавказского Комитета“ № 167, л. 12.
[3] АКАК, т. XI, стр. 628—629.

სრულებელს, რომ ანალოგიურ ამბებს სხვა ადგილებშიაც აქვს ადგილი. მისი ცნობით, მოსახლეობის ნაწილი ეუბნება ადმინისტრაციულ ორგანოებს, ხშირია სისხლისმღვრელ შეტაკებათა შემთხვევები წოდებებს შორის და სხვ.[1].

გლეხთა მასების გამოფხიზლებასთან ერთად მოძრაობაში თანდათან ებმება ქალაქის მოსახლეობაც. იგივე გნილოსაროვი 1854 წლის ოქტომბერში ქალ. ჭუთაისში მომხდარი მნიშვნელოვანი „არეულობის" გამო წერდა, რომ ქალაქის მდაბიო ხალხის უზარმაზარი გროვა გამოცხადდა მასთან და მოითხოვა „ყარაულში განწესებისა და მისი შენახვის საკითხის მოწესრიგება. ამავე დროს, წერს იგი, შეკრებილთა რიცხვიდან „ზოგიერთი გარს შემოერტყა პოლიცმეისტერს, დაავლეს ხელი ჭვებს და აიძულეს იგი ხმლით დაეცა თავისი თავი"[2]. ამ შემთხვევის გამო ხელისუფლებამ ჩაატარა სათანადო კვლევა-ძიება, ხოლო „დამნაშავე პირები" სათანადოდ იქნენ დასჯილნი.

1855 წლის 7 ივნისს, გენ. ბებუთოვი გენ. მურავიოვს სწერდა: „თბილისში ჩემი დაბრუნების უმალ გავრცელდა ხმები, რომ სილნაღის მაზრის მილიციელებმა წინააღმდეგობა გაუწიეს თავიანთ უფროსებს. როგორც ამბობენ ისინი დიდად უხეშობდნენ და თავხედობდნენ თავ. ივანე მალხაზისძის (ანდრონიკაშვილის — ე. ბ.) თანდასწრებით"[3]. ხანგრძლივმა კვლევა-ძიებამ, რომელიც ამ საქმის გამო ჩატარდა, გამოარკვია, რომ მღელვარება და „უწესრიგობა" კახეთის მილიციაში გამოიწვია იმან, რომ მეთაურები სისტემატურად არ აძლევდნენ რიგით მილიციელებს მათ კუთვნილ ხელფასს და პირადად ითვისებდნენ თანხებს. ამავე დროს, ცალკეული შენაერთის მეთაური არაადამიანურად სტანჯავდა და ავიწროებდა მებრძოლებს, დასცინოდა და აბუჩად იგდებდა მათ[4].

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია 1855 წლის მარტ-

---

[1] АКАК, т. XI, стр. 628—629.
[2] АКАК, т. XI, стр. 629—634.
[3] АКАК, т. XI, стр. 35.
[4] АКАК, т. XI, стр. 356, 364, 413.

ში სუჯუნაში (სამეგრელო) მომხდარი ამბები. სუჯუნის აჯანყებულ მეელი გლეხობის გამოსვლებმა ერთიან მქუხარე ხასიათი ეიღო. — გარეგნულად ეს მოძრაობა თითქოს დაკავშირებული იყო ისეთ „უწყინარ და უმნიშვნელო საქმესთან, როგორიცაა „მარტვილის სასწაულმოქმედი ხატი", რომელსაც „სამეგრელოში მორწმუნენი განსაკუთრებულ თაყვანს სცემდნენ". ნამდვილად „სასწაულმოქმედი ხატის" ინციდენტი გლეხობის გამოსვლების საბაბს, მხოლოდ გარეგან მხარეს წარმოადგენდა, თვით მოძრაობის ფესვები კი ღრმად მიდიოდა ხალხის სოციალურ ცხოვრებაში. საგულისხმოა, რომ ეს გარემოება მეფის თვითმპყრობელობის ზოგიერთ გონებამახვილ საოქალაქო და სამხედრო წარმომადგენლებსაც კი არ გამოეპარა მხედველობიდან. გენ. ბრიმერი თავის 1855 წლის 17 მარტის ბატაკში, რომელიც მეფისნაცვალს გენ. ბურავოვს გაუგზავნა, ადასტურებდა იმ ფაქტს, რომ სამეგრელოს მთელი მოსახლეობა, განსაკუთრებით კი მეგრელი გლეხები უდიდესი სიხარულითა და ენთუზიაზმით ასრულებენ ყველა თავიანთ ვალდებულებას რუსეთის ჯარის სასარგებლოდ, აქტიურად ეხმარებიან მათ, თვით მონაწილეობენ სახალხო მილიციაში და თავდადებით ებრძვიან თურქებს. ეხება რა სუჯუნის გლეხობის გამოსვლების საკითხს, გენ. ბრიმერი ამართლებს მათ მოქმედებას, რადგან მისი სიტყვებით, „სამეგრელოს დედოფალმა არაქათი გამოაცალა მათ შეტისმეტად მძიმე გადასახადებით და გადაჭარბებული ბეგარით"[1]. შემდეგ, გენერალი აღნიშნავს „ადგილობრივი პოლიციის თვითნებობას", რომელმაც უკანონოდ დააპატიმრა ის დეპუტაცია, რომელიც გლეხებმა გაგზავნეს თბილისში მეფისნაცვალთან. გენ. ბრიმერი განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ სამეგრელოს დედოფალი და მისი ხალხი უსაზღვროდ ყვლეფდნენ და ავიწროვებდნენ სამეგრელოს გლეხობას, ტვირთავდნენ მათ უსაზღვრო ფეოლადი და ნატურალური გადასახადებით.

---

[1] АКАК, т. XI, стр. 34—35.

ფ. ენგელსი „ლუდვიგ ფეიერბახში“ აღნიშნავდა, რომ შუა საუკუნეებში ყველა საზოგადოებრივი ისტორიული მოძრაობა რელიგიურ ელფერს ატარებდა, რადგან მასში იდეოლოგიის მხოლოდ ერთი ფორმა არსებობდა — რელიგია და ღვთის მსახურება. თავის ნაშრომში „გლეხთა ომი გერმანიაში“ ფ. ენგელსი მიუთითებდა, რომ ფეოდალიზმის წინააღმდეგ რევოლუციური ოპოზიცია, გარემოებისა და ვითარების შესაბამისად, ან მისტიკის, ან ბოშკარა ერესის, ან შეიარაღებული აჯანყების სახით გვევლინებოთ[1]. განსაზღვრული აზრით, ენგელსის ეს მითითებანი შეიძლება გამოვიყენოთ საქართველოს გლეხთა მოძრაობის ანალიზისათვის. მშრომელი გლეხობა აქ იმ დროს მისტიკური საბურველით გამოდიოდა, რათა დაეცვა თავისი ელემენტარული უფლებები, თავისი ადამიანური ღირსებანი.

გენერალ-მაიორი იურიევი კავკასიის მეფისნაცვალსა და მთავარსარდალს მოახსენებდა, რომ „საქართველოს დედოფალმა და მის დასახმარებლად დაწესებულ საბჭოს უთავბოლო მართვა-გამგეობამ მეგრელები მიიყვანა ისეთ მდგომარეობამდე, რომ 15 ოჯახი თურქეთში გადაიხვეწა“. გენ. იურიევი გადმოგვცემს აგრეთვე, რომ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა „მათთვის საძულველი თავადებისა და მემამულეების შევიწროებისა და აბუჩად აგდების საპასუხოდ ატეხეს განგაში, შეიკრიბნენ ერთად 1500 კაცამდე, ალყა შემოარტყეს კონსტანტინე დადიანის სასახლეს და ჩაჭკეტეს იგი მასთან მყოფ ადამიანებთან ერთად“[2].

მეფის ხელისუფლებისა და პოლიციის დახმარებით ადგილობრივმა თავადებმა და მემამულეებმა შესძლეს გლეხთა აჯანყების ჩაქრობა, მაგრამ მათი გამარჯვება ხანმოკლე აღმოჩნდა. სუჯუნის მშრომელი გლეხობის გამოსვლა აღმოჩნდა ახალი მრისხანე რევოლუციური ქარიშხლის წინამორბედი, რომელმაც 1857 წელს გიგანტურ მასშტაბებს მიაღწია. გლეხობის ექსპლუატაცია და შევიწროება მემამულე-ბატონების

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. VIII, стр. 128—129.
[2] АКАК, т. XI, стр. 34—35.

მხრივ ყირიმის ომის დროს და ომის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა, ბატონ-მემამულეთა ბარბაროსობამ ეაღრეკილ-მწეველ ფორმები მიიღო. მეფის მთავრობა და მისი სატრაპები, ცხადია, თავადაზნაურთა ინტერესების სადარაჯოზე იდგნენ და სასტიკად უსწორდებოდნენ სისხლისაგან დაცლილ, შევიწროებულსა და გაყვლეფილ ყმა-გლეხობას, არ ზოგავდნენ მათ. უკანასკნელნი უსამართლობის წინააღმდეგ ხმას იმაღლებდნენ.

სამეგრელოს აჯანყებული გლეხობის შეუპოვარმა წინამძღოლმა უტუ მიქავამ 1857 წელს გლეხურად უბრალო, მაგრამ გაბედული და მართალი სიტყვებით ამხილა თავადებისა და აზნაურების არაადამიანური მოქმედება გლეხობის მიმართ თურქების ოკუპაციის მძიმე წლებში: „ერთ წელზე ცოტა მეტი დრო გავიდა მას შემდეგ, — განაცხადა მან, — რაც ჩვენი საამბობლო წალეკილ იქნა ოსმანთა ჯარების მიერ. მტერი ანადგურებდა ყველაფერს, რაც მას ხელში ჩაუვარდებოდა. შველას ჩვენ არსაიდან არ მოველოდით. რუსი ჯარი წავიდა ჩვენგან, ხოლო ჩვენმა ბატონებმა, დახმარების ნაცვლად, იწყეს ჩვენი ბავშვების — გოგონებისა და ბიჭების — მოტაცება და მათი გაყიდვა ოსმანებზე... წავიდნენ ოსმანებიც და ჩვენი ბატონები მოგვადგნენ ჩვენ უწინდელზე უარესად, თვით ოსმანებზე უარესადაც....[1].

ამაღლებისა და ბაღდადის უბნების (იმერეთი) აჯანყებული გლეხები 1857 წლის ნოემბერში გამოძიების პროცესის დროს გაბედულად ამხილებდნენ თავიანთი ბატონების აღვირახსნილობას, ლაპარაკობდნენ იმ მხეცურ შევიწროებასა და ტანჯვაზე, რასაც ისინი განიცდიდნენ ადგილობრივი თავადაზნაურებისაგან. გლეხები ასახელებდნენ კიდეც მათ აწიოკებაში და შევიწროებაში მონაწილე კონკრეტულ პირებს (მათ შორის, თავადებიდან: ჩიჯავაძეს, ერისთავს, ლორთქიფანიძეს, ჩხეიძეს, აზნაურებიდან: გოცირიძეს, ერისთავს, ლაშიშვილს, ახვლედიანს, ლორთქიფანიძეს და სხვებს). „სახალხო მილიციის დროს, — ამბობდა აჯანყების ერთი მონაწილე-

[1] ЦГИАГ, ф. 28, д. 4889, л. 257—260.

თაგანი, — გლეხებს ვალდებულად გვხდიდნენ სალაშქროთ საკუთარი ცხენებით გავმგზავრებულიყავით; გარდა ამისა, ლაშქარში მონაწილე გლეხს თვითეული ლაშქრობისას დამატებით ვერცხლის ათ მანეთს გვახდევინებდნენ. ამავე დროს ჩვენი მემამულე-ბატონები თავისთვის იტოვებდნენ იმ თითო ჩერვონეცსაც, რომელიც მთავრობის მიერ დაწესებული იყო მილიციონერთა ყოველთვიურ ხელფასად[1].

სამეგრელოსა და იმერეთის აჯანყებული გლეხობის მგზნებარე სიტყვებში მთელი საქართველოს აღშფოთებულ მშრომელთა ფართო მასების მრისხანე ხმა ისმოდა.

აღსანიშნავია, რომ ქართველი მემამულეები უბოდიშოდ არღვევდნენ მთავარმართებლობის ინსტრუქციას, რომლის მიხედვით მებატონე ვალდებული იყო ლაშქარში მონაწილე გლეხი საკუთარი ხარჯით უზრუნველეყო ცხენით და საჭირო იარაღით. ამის ნაცვლად ქართველი არისტოკრატები პირადად ითვისებდნენ სახელმწიფოს მიერ მილიციისათვის გადებულ გროშებს. ამავე დროს მოლაშქრე გლეხს მემამულის სასარგებლოდ ახდევინებდნენ 10 მანეთს თვითეული ლაშქრობისათვის, ხოლო ბრძოლის ველიდან დაბრუნებულ ომგადახდილ გლეხს ართმევდნენ საკუთარ ცხენს და საჭურველს და ცემა-ტყეპითაც უმასპინძლდებოდნენ. ტირანიის თავაშვებულობა და ცინიზმი ამაზე შორს ვერ წავიდოდა. დამახასიათებელია, რომ ქართველმა მემამულე-არისტოკრატებმა, თავადებმა და აზნაურებმა ქვეყნის ამ მძიმე განსაცდელის ჟამსაც კი მოახერხეს გამოენახათ თავიანთი შემოსავლის გადიდების წყარო და ომი, გარეშე მტრების წინააღმდეგ, თავისი ანგარებიანი მიზნებისათვის გამოიყენეს.

თავიანთი მჩაგვრელების წინააღმდეგ გლეხთა მასების მრისხანებისა და აღშფოთების აქტიური გამოხატულება ომის წლებში და ომის შემდეგ მკაფიოდ მოწმობდა იმ დროის სოციალური სისტემის მთელ სიდამპლეს, ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების კრიზისის მომწიფებას, იგი მოასწავებდა იმას, რომ სოციალური კონფლიქტები მთელი თავისი

---

[1] ЦГИАГ, ф. 28, д. 4889, л. 257—260; იხ. აგრეთვე: სსრ არქიოს ისტორიული ცნობა, ტ. I, 1946 წ..

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლუციური ძალით უნდა აბრბოქრებულიყო ომის [illegible] ლოეს მომდევნო პერიოდში.

„ოსმალეთის 1853 — 56 წლების ომის შემდეგ, — წერდა ნ. ნიკოლაძე „კოლოკოლის" ფურცლებზე, — გლეხთა განთავისუფლების საკითხი საქართველოში საზოგადოებრივი წყობილების ყველა ელემენტს აღელვებდა და მან, დამოუკიდებლად თავისი სოციალური ხასიათისა, თავიდანვე მიიღო პოლიტიკური ბალანსის ხასიათი. ამ საკითხის წამოყენებას არ შეეძლო არ გაეღვიძებია ქართველი ხალხის პოლიტიკური ინსტინქტები, და რადგან გლეხთა საკითხი... იზრდებოდა საქართველოში არა დღეობით, არამედ საათობით, ამიტომ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება დაუკავშირდა გლეხთა საკითხის ამა თუ იმ გადაწყვეტას და რაღაც ათი წლის განმავლობაში წარმოუდგენელი სისწრაფით განვითარდა"[1].

ნიკოლაძის ეარაუდი საკმაოდ საფუძვლიანი აღმოჩნდა. აღმოსავლეთის ომის შემდეგ ფეოდალურ-ბატონყმური სისტემამ ჩვენს ქვეყანაში თავისი არსებობის კრიზისულ ეტაპს მიაღწია. დადგა მისი აღსასრულის ხანა. გლეხობა აქტიურად ჩაება ბრძოლაში მჩაგვრელთა წინააღმდეგ. მშრომელი ხალხის რევოლუციურმა მოძრაობამ მემამულე-თავადაზნაურთა წინააღმდეგ თავდაპირველად მწვავე ხასიათი მიიღო სამეგრელოსა და იმერეთში. მალე იგი მოედო აფხაზეთს, გურიას, ბელაქნის პროვინციას და საქართველოს სხვა რაიონებს.

გლეხთა მჭეხარე რევოლუციური გამოსვლები საქართველოში, ისე როგორც მთელ რუსეთში, 1853 — 1856 წლების აღმოსავლეთის (ყირიმის) ომის უშუალო გამოძახილს წარმოადგენდა. ფართოდ გაჩაღებული ბრძოლები ახალი ერის მოახლოებაზე ღაღადებდა. აშკარად იგრძნობოდა თვითმპყრობელურ-ბატონყმური სისტემის რღვევის გარდუვალობა. შეუსაუკუნეობრივი ტირანიის თვითნებობას, მთელი თავისი ისტორიული გარდუვალობით, ბოლო უნდა მოღებოდა.

---

[1] „Колокол", 1865, г. № 198, იხ. რაიონელის (ნ. ნიკოლაძის ფსევდონიმი) სტატია: „გლეხთა განთავისუფლება საქართველოში".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დასკვნის მაგივრ

თუ ძლიერ მოკლედ, სქემატურად გამოესახავთ წინამდებარე ნაშრომის დედააზრს, ზოგადად შევაჯამებთ და შეეფასებთ ამიერკავკასიის ფრონტზე სამხედრო-პოლიტიკურ შედეგთა მნიშვნელობას, შეიძლება შემდეგი ძირითადი დასკვნები გავაკეთოთ:

პირველი, 1853 — 1856 წლებში საქართველოსა და ამიერკავკასიის საზღვრებთან მიმდინარე საომარ კამპანიას, რომელიც ატარებდა დაქვემდებარებულ ხასიათს, უდიდესი მნიშვნელობა და გავლენა ჰქონდა ყირიმის ომის მთელ მსვლელობაზე. ქართველმა ხალხმა და მისმა სახელოვანმა მილიციამ, რომელიც ასრულებდა რუსეთის რეგულარული არმიის დამხმარე ძალის როლს, თავის თავზე გადაიტანა მრისხანე ომის დიდი სიძნელეები და ითამაშეს ფრიად მნიშვნელოვანი როლი მტრებზე გამარჯვებაში.

მეორე, 1853 — 1856 წლების აღმოსავლეთის ანუ ყირიმის ომი თავისი წარმოშობით, ხასიათითა და მიზანსწრაფვით ორივე მეომარი ბანაკის მხრივ მტაცებლური, უსამართლო ომი იყო. მაგრამ ინგლის-საფრანგეთის სახელმწიფოების ომში ჩაბმის შემდეგ ამ ომმა რუსეთის მხრივ სამართლიანი შინაარსი მიიღო. ამავე დროს რუსი ხალხის დახმარებით ქართველი ხალხის გრძოლა თურქეთისა და ყველა სხვა გარეშე დამპყრობთა წინააღმდეგ ომის დაწყებიდან მის დამთავრებამდე სამართლიან და განმათავისუფლებელ ხასიათს ატარებდა. ამ თავისებურებამ განსაზღვრა საომარი კამპანიის ფორმისა და შინაარსის, ომის წარმოების საშუალებათა

და მეთოდის სპეციფიკა ამიერკავკასიის ასპარეზზე. ამავე გარემოებამ განაპირობა ქართველი ხალხის დიდმნიშვნელოვანი როლი ომის საერთო მსვლელობასა და დამთავრებაში.

მესამე, აღმოსავლეთის ომმა ნათელჰყო ქართველი ხალხის მტკიცე ორიენტაცია რუსეთის მოძმე ხალხისაკენ. ქართველობა განუსაზღვრელი სიყვარულით და ნდობით იყო გამსჭვალული დიდი რუსი ხალხისადმი, მხურვალედ მიესალმებოდა მის განმათავისუფლებელ სახელოვან არმიას, მასთან ერთად ეწეოდა ბრძოლას საერთო მტრის წინააღმდეგ. რუსეთთან თანამეგობრობამ და ურღვევმა კავშირმა განაპირობა ქართველი ხალხის მტკიცე დარაზმულობა, მისი დაუცხრომელი ბრძოლის უნარიანობა, გაუტეხელი ნებისყოფა და მორალური უპირატესობა.

საბარცხვინოდ ჩაიფუშა თურქი, ინგლისელი და ფრანგი დამპყრობლების ყველა და ყოველგვარი ინსპირაცია, თავის მხარეზე მიეზიდა ქართველი ხალხი, აემხედრებინათ იგი რუსების წინააღმდეგ. საერთო მტრებთან ბრძოლამ სისხლით შეკრა და შეადუღლა რუსეთის, საქართველოს, უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანისა და ომში მონაწილე ყველა მოძმე ხალხის ურღვევი კავშირი და მეგობრობა.

მეოთხე, აღმოსავლეთის ომი საქართველოსათვის, ისევე როგორც რუსეთის ყველა ხალხისათვის, ფრიად მნიშვნელოვან ისტორიულ ეტაპს წარმოადგენდა. ომმა გიგანტური ძალით დაარჩქარა ქვეყნის წიაღში მიმდინარე სოციალ-პოლიტიკური კრიზისი, გამოაცალინა გაბატონებული რეჟიმის მთელი უხამსობა, გადააჭეშეა კლასობრივი ძალები და უდიდესი ბიძგი მისცა განმათავისუფლებელ მოძრაობას მთელს ქვეყანაში. აღმოსავლეთის ომი გახდა დროგადასული საზოგადოების, პოლიტიკური და სამეურნეო ურთიერთობის ფორმათა მსხვრევის მაუწყებელი, ისტორიული განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლის პროლოგი.

ყირიმის ომის მომზადებასა და გაჩაღებაში მთავარი დამნაშავენი იყვნენ, ერთი მხრივ, სულთანის თურქეთი და მის

ზურგს უკან ამოფარებული მისივე მოკავშირეები — [illegible] ინგლისი და საფრანგეთი, ხოლო მეორე მხრივ [illegible] ოდალურ-ბატონყმური მეფის რუსეთის მთავრობა. მაგრამ ეს ჭეშმარიტება არ გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ 1854 წლის აპრილიდან, ე. ი. მას შემდეგ, რაც ინგლისი და საფრანგეთი ოფიციალურად ჩაებნენ რუსეთის წინააღმდეგ ომში, რუსი ხალხის მხრივ ომმა სამართლიანი, თავდაცვითი ხასიათი მიიღო. როგორც ცნობილია, ინგლის-საფრანგეთის არმიები ყირიმის ნახევარკუნძულზე გადმოსხდნენ და უშუალო საფრთხე შეუქმნეს რუსი და უკრაინელი ხალხების არსებობას. ეს ორი მოძმე ხალხი ერთსულოვნად აღსდგა ოკუპანტების წინააღმდეგ საბრძოლველად. რუსეთისა და უკრაინის სახალხო გმირებმა თავიანთი თავგანწირული ბრძოლებით, რუსი ჯარისკაცებისა და მეზღვაურების მხარდამხარ, ბრწყინვალე ფურცლები ჩასწერეს სევასტოპოლის სახელოვანი დაცვის ანალებში.

იგივე უნდა ითქვას ქართველი ხალხის შესახებ, რომელმაც საკუთარ მიწაწყალზე განიცადა თურქი დამპყრობლების სისხლიანი აგრესია, ომით გამოწვეული ნგრევა და გაპარტახება. მთელი ქართველი ხალხი გმირულად აღსდგა საკუთარი ქვეყნის, ღირსების დასაცავად და რუსეთის არმიის მხარდამხარ, სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაება მოსისხლე მტრის წინააღმდეგ. ამდენად ქართველი ხალხის ეს სახელოვანი ბრძოლა მისი დაწყებიდან დამთავრებამდე ჭეშმარიტად სახალხო, სამართლიანი და განმათავისუფლებელი იყო. ბრძოლებში ქართული სახალხო მილიციის გმირულმა მონაწილეობამ, რომელიც არსებითად რეგულარული ჯარის თანაშემწის როლს ასრულებდა, უფრო ცხადჰყო ომის სამართლიანი და განმათავისუფლებელი ხასიათი.

თურქეთის მთავრობა, მისი ევროპელი მოკავშირეების წაქეზებით, ამზადებდა ომს შორსდამიზნებული დაპყრობითი გეგმებით. თურქი რევანშისტები, უწინარეს ყოვლისა, მიისწრაფოდნენ „დაებრუნებიათ" შავი ზღვის მთელი ჩრდილოეთი სანაპირო. გადაწყვეტილი ჰქონდათ მოეწყვიტათ რუსეთისაგან და მიეტაცათ საქართველო, ყუბანი, ყირიმი და სხვ.

აღმოსავლეთის ომის გაჩაღებაში არანაკლები როლი ითამაშა ბურჟუაზიული ინგლისისა და საფრანგეთის დიპლომატიამ. რუსეთ-თურქეთის ომის საერთო-ევროპულ ომად გადაქცევაში სრული პასუხისმგებლობა სწორედ ამ ორი ქვეყნის პოლიტიკურ მესვეურებს ეკისრებოდათ. ინგლისელი და ფრანგი დიპლომატები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ოცნებობდნენ, რათა დაეწყვეტინათ რუსეთი, ჩამოეგლიჯათ მისგან განაპირა ქვეყნები კავკასია, ყირიმი, სამხრეთ-დასავლეთი უკრაინა, ბელორუსია, პოლონეთი, ლიტვა, ფინეთი და სხვ. ი. ბ. სტალინმა, როგორც ცნობილია, სასტიკად ამხილა ევროპელ აგრესორთა ოინბაზური პოლიტიკის ქვესკნელი. „დაპყრობითი პოლიტიკა ყველა მისი უხამსობითა და ბუჩქით", — წერდა იგი ფ. ენგელსის ერთ-ერთი სტატიის გამო, — სრულიადაც არ შეადგენდა რუსეთის მეფეთა მონოპოლიას. ყველასათვის ცნობილია, რომ დაპყრობითი პოლიტიკა ახასიათებდა აგრეთვე არა ნაკლებ, თუ უფრო მეტად არა, ევროპის ყველა ქვეყნის მეფეებსა და დიპლომატებსაც"[1].

ინგლისისა და საფრანგეთის ბურჟუაზია ცდილობდნენ თაღლითური ექსტაზებითა და დეკლარაციებით მიეჩქმალათ „ოტომანთა მემკვიდრეობის" მითვისების თავიანთი ავაზაკური მისწრაფება. „ავადმყოფი ადამიანის" მფარველობის ლოზუნგით სურდათ დაეწყვეტინათ თურქეთი და თავიანთ ვასალურ მორჩილებაში მოექციათ იგი. ინგლისელი დამპყრობლები უფრო შორს უმიზნებდნენ. „აღმოსავლეთის საკითხის" გადაწყვეტის საბაბით მათ სურდათ გზა დაეხშოთ აღმავალი რუსეთისათვის, მისწრაფვოდნენ ეზრუნველეყოთ თავიანთი განუყოფელი ბატონობა შავსა და კასპიის ზღვებზე, სრული ბეგემონობა მოეპოვებინათ ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონში, განეხორციელებინათ კონტროლი აღმოსავლეთისაკენ მიმავალ ყველა შაგისტრალურ გზაზე. იმ მიზნით, რომ შეენიღბათ და მიეფუჩეჩებინათ საკუთარი აგრესიული მისწრაფებანი, ინგლისელმა დამპყრობლებმა შეთხზეს და შემდეგ უსაზღვროდ გააზვიადეს კოლონიური ინგლისის

---

[1] Журн. „Большевик", 1941 г., № 9, стр. 3.

„სასიცოცხლო ცენტრის“ — ინდოეთისათვის „რუსეთის საფრთხის“ ვერსია.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი თავიანთ სტატიებში დაუნდობლად ამხილებდნენ ინგლისისა და საფრანგეთის ბურჟუაზიულ მთავრობებს, ააშკარავებდნენ მათი დიპლომატიის ორჭოფულ, მუხანათურსა და რეაქციულ პოლიტიკას. ისინი მოუწოდებდნენ ინგლისის მუშათა კლასს გამოსულიყვნენ არა მარტო მეფის რუსეთის მიდრეკილებების წინააღმდეგ, არამედ რევოლუციურად გასწორებოდნენ ინგლისის ოლიგარქიასაც. „უწინარეს ყოვლისა, — მოუწოდებდნენ ისინი მუშებს ინგლისის გამცემელი მთავრობის მისამართით, — საჭიროა დამხობილ იქნას ოქროს კერპის ეს ფლიდი, პირმოთნე და უნამუსო თაყვანისმცემელთა ბატონობა“ [1].

ამავე დროს ისინი თანმიმდევრობით ამხილებდნენ „ჩაგრულ ხალხთა დაცვის“ ეგრეთ წოდებულ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული დეკლარაციების სრულ თვალთმაქცობას, დასცინოდნენ „თურქეთის დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა“ და საერთაშორისო ხელშეკრულებების „უმწიკვლობას“.

მეცხრამეტე კომუნიზმის ფუძემდებლები ებრძოდნენ რა რუსეთის ცარიზმის ექსპანსიონისტურ პოლიტიკას, დაუზოგავად ამათრახებდნენ ოტომანთა იმპერიის შინაგან წესწყობილებას, მის ჩამორჩენილობას, გაბატონებული კლასების ბარბაროსობას და აღვირახსნილ ტირანიას. „თურქეთი იხრწნება და კიდევ უფრო გაიხრწნება“, — ასეთია ისტორიის განაჩენი“, — წერდა კ. მარქსი. მისი სიტყვებით თურქეთის ხელისუფალნი სპობენ“ ყოველგვარ ცდას პროგრესისაკენ“. „თურქეთის ბატონობის დასაყრდენს, — მიუთითებდა მარქსი, — წარმოადგენს დიდი ქალაქების თავაწყვეტილი, ფანატიკური და მოსყიდული ბრბო“. ითვალისწინებდა რა თურქი ასიმილატორების მიერ ბალკანეთსა და რიგ სხვა ადგილებში მცხოვრები სლავი ხალხების ბარბაროსულ ჩაგვრას, კ. მარქ-

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. 11, стр. 474.

სი წერდა: „თურქებს, ყოველ შემთხვევაში, ასე თუ ისე [illegible] და გაესწორდეს ანგარიში"[1].

შახის სპარსეთის დამპყრობლებთან ერთად, სულთანის თურქეთის ასიმილატორები მრავალი საუკუნის განმავლობაში ეპოტინებოდნენ ქართველი ხალხის დამონების იდეას, ცეცხლითა და მახვილით არბევდნენ, აწიოკებდნენ, ქლეტდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, ცდილობდნენ მოესპოთ, აღმოეფხვრათ ჩვენი უძველესი და უმდიდრესი კულტურა, დაეხშოთ გზა და შესაძლებლობანი ქართველი ხალხისათვის დიდ რუს ხალხთან დაახლოებისა და მეგობრობისა. „სპარსელი და თურქი ასიმილატორები, — მიუთითებდა ი. ბ. სტალინი, — ასეულ წლების განმავლობაში ფლეთდნენ, აწამებდნენ და ქლეტდნენ სომეხ და ქართველ ერებს, მაგრამ არა თუ ვერ მიაღწიეს ამ ერების მოსპობას, არამედ — პირიქით — იძულებული გახდნენ ავრეთვე კაპიტულაცია მოეხდინათ"[2]. რუსეთთან შეერთებამ იხსნა საქართველო და ამიერკავკასიის ყველა ხალხი სულთანის თურქეთისა და შაჰის სპარსეთის მხრივ შთანთქმისაგან, რომლებიც განვითარების მეტად დაბალ საფეხურზე იდგნენ.

1853 — 1856 წლებში თურქეთის წინააღმდეგ წარმოებულ ომში რუსეთი დადებით და პროგრესულ როლს ასრულებდა ამიერკავკასიისა და ბალკანეთის ხალხთა ცხოვრებაში. თურქეთის მორჩილებაში მყოფ ხალხებს არ მოეპოვებოდათ სხვა გამოსავალი, თუ არა ის, რომ მიემართათ რუსეთისათვის მფარველობისა და დახმარებისათვის. თავისი მნიშვნელობით ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან ის ომები, რომელთაც მეფის რუსეთი მცირე აზიაში აწარმოებდა. ამ ომების მეოხებით რუსეთის ჯარების დახმარებით ქართველებმა, სომხებმა და ამიერკავკასიის მთელმა მოსახლეობამ შეინარჩუნეს თავიანთი ფიზიკური არსებობა, ძირითადად აღადგინეს და შემოიმტკიცეს თავიანთი ისტორიული საზღვრები, იხსნეს თავიანთი უძველესი და უმდიდრესი კულტურა ყველაზე სასტიკ და ბარბაროს დამპყრობთაგან, შექმნეს წინსელისა და

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. 11, стр. 372, 374, 392.
[2] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 11, გვ. 385.

განვითარების ძლავრი შესაძლებლობანი. ცარიზმის ეკონომიკურ-ნიურ-ანექსიონისტური პოლიტიკის მიუხედავად, რუსეთი მუდამ ასრულებდა პროგრესულსა და განმათავისუფლებელ როლს არა მარტო საქართველოსა და ამიერკავკასიის ყველა ხალხის მიმართ, არამედ მთელი აღმოსავლეთისათვის. სწორედ ამიტომ წერდა ფ. ენგელსი 1857 წელს, რომ „რუსეთი ნამდვილად ასრულებს პროგრესულ როლს აღმოსავლეთის მიმართ... რუსეთის ბატონობა ცივილიზატორულ როლს ასრულებს შავი და კასპიის ზღვებისა და ცენტრალური აზიისათვის, ბაშკირებისა და თათრებისათვის“ [1]. სრულ იზოლაციაში მყოფმა ბატონყმურმა რუსეთმა ყირიმის ომში სასტიკი მარცხი განიცადა. ამათ აღმოჩნდა ომში რუსი ჯარისკაცის, დიდი რუსი ხალხის გმირობა, გაუგონარი თავდადება და მსხვერპლი, რომელიც მან გაიღო თავის ქვეყნის ღირსებისა და დიდებისათვის. მარცხი განიცადა არა რუსმა ხალხმა, არა რუსმა ჯარისკაცმა, რომლის სახელიც ისტორიაში მუდამ შეუდარებელი გმირობის, მამაცობისა და გამძლეობის შარავანდედით იყო და არის შემოსილი, არამედ თვითმპყრობელობის ძირმომპალმა სისტემამ, ნიკოლაევშჩინის რეჟიმის მმართველობის დამახასიათებელმა რუტინამ და დესპოტურმა რეჟიმმა. „ჩვენ ქედი მოვიდრიკეთ არა გარეშე ძალების მიმართ, — სწერდა ომის რუსი თანამედროვე, — არამედ ჩვენი შინაგანი უძლურების წინაშე“ [2].

„არა მოწინააღმდეგის ხმალმა და სროლამ, — წერდა ფ. ენგელსი, — არა ავადმყოფობამ, რომლიდანაც შეუძლებელია თავი დაიხსნა სამხრეთ რუსეთის ბევრ ადგილას, არამედ... იმ განსაკუთრებულმა პირობებმა, რომლებშიც ხდება რუს ჯარისკაცთა შეკრება, გაწვრთნა, მარშირება, სწავლება, ყვება, ჩაცმა-დახურვა, დაბინავება, მართვა და ბრძოლა, განაპირობა ის შემაძრწუნებელი ფაქტი, რომ თითქმის რუსეთის მთელი არმია, რომელიც არსებობდა 1853 წელს „აღგვილია

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 21, стр. 211.
[2] Н. Ф. Самарин, соч., Москва, 1878, т. II, стр. 18.

პირისაგან მიწისა"[1]. სხვა ადგილას ფ. ენგელსი აღნიშნავდა, რომ „ცარიზმმა სასტიკი მარცხი განიცადა... მან რუსეთის ხელი გაუტეხა მთელი მსოფლიოს წინაშე და ამავე დროს თავისთავსაც — რუსეთის წინაშე. დაიწყო არაჩვეულებრივი გამოფხიზლება"[2].

ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის კრიზისმა, რომელიც მწიფდებოდა ქვეყნის ეკონომიური განვითარების შედეგად, თავის უმაღლეს წერტილს მიაღწია. განვითარების ობიექტური მსვლელობა გარდუვალობით ამზადებდა პირობებს ბატონყმობის მოსპობისათვის. ჯერ კიდევ ომის მსვლელობაში გაშლილი გლეხთა მღელვარებანი მკაფიოდ მოწმობდნენ დაძაბულ ვითარებას. „ყველაზე უფრო ბატონყმობის უნდა გვეშინოდესო", — წერდა ლენინი 1855 წელს.

ვ. ი. ლენინი თავის სტატიაში „ბატონყმობის გადავარდნის 50 წლისთავი" მიუთითებდა, რომ მეფის მთავრობამ ყირიმის ომში დამარცხების შემდეგ დაინახა ბატონყმური წესწყობილების შენარჩუნების შეუძლებლობა[3]. ლენინი, აღნიშნავდა რა ქვეყნის ეკონომიური განვითარების ძალას, რომელმაც ბატონყმური სისტემა გამოუვალ ჩიხში მოაქცია და კრიზისამდი მიიყვანა, წერდა: „მემამულე-მებატონეთ არ შეეძლოთ ხელი შეეშალნათ სასაქონლო გაცვლა-გამოცვლის ზრდისათვის რუსეთსა და ევროპას შორის, არ შეეძლოთ შეენარჩუნებინათ დაშლის პროცესში მყოფი მეურნეობის ძველი ფორმები. ყირიმის ომმა ცხალმყო ბატონყმური რუსეთის სიდამპლე და უძლურება. გლეხთა „ამბოხებებმა", რომლებიც განთავისუფლებამდე ფართოვდებოდა ყოველ ათწლედში, აიძულა პირველი მემამულე, ალექსანდრე II ელიარებინა, სჯობს გლეხობა „გავათავისუფლოთ ზევიდან, ვიდრე ქვევიდან დაგვამხობდნენო"[4].

მეფის მთავრობა ყირიმის ომში დამარცხებისა და მემამულეთა წინააღმდეგ მოწყობილი გლეხთა „ბუნტების" გამო, იძულებული გახდა ბატონყმობა გაეუქმებინა.

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. X, стр. 546.

[2] იქვე, თხზ., ტ. XVI, ნაწ. II, გვ. 22.

[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. XVII, გვ. 87.

[4] იქვე, გვ. 127.

1861 წლის მანიფესტის გამოცემისა და რუსეთში რეფორმების გატარების მიუხედავად, მეფის მთავრობა ჯიუტად ეწინააღმდეგებოდა საქართველოსა და ამიერკავკასიაში ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობათა ლიკვიდაციას. „კავკასიის კომიტეტი" პეტერბურგიდან თავის 1861 წლის 5 მარტის კონფიდენციურ წერილში კავკასიის მეფისნაცვალს თავ. ბარიატინსკის სწერდა: „ხელმწიფე იმპერატორმა... უბრძანა რა საბატონო გლეხებს თავისუფალი სოფლის ობივატელის უფლებანი, საჭიროდ სცნო, ამავე დროს ბატონყმური მდგომარეობა დასტოვოს მხოლოდ ამიერკავკასიის მხარეში" [1]. ალექსანდრე II-ის რესკრიპტი მოითხოვდა ამ მიმართულებით „თანდათან მოქმედებასა" და „სათანადო სიფრთხილის გამოჩენას". ქართველი ხალხი, ამიერკავკასიის სხვა მოძმე ხალხებთან ერთად, ვერ ელირსა იმ უბადრუკ „რეფორმებსაც", რომელიც რუსეთში 1861 წელს გატარდა. მსგავსი კანონი გამოიცა საქართველოსათვის მხოლოდ 4—5 წლის შემდეგ, სომხეთსა და აზერბაიჯანში კი მხოლოდ 1870 წლის 14 მაისს. ამის გამო 1861 წელს უცნობი ავტორი თბილისიდან „კოლოკოლში" წერდა: „საკითხი განთავისუფლების შესახებ კავკასიაში საკვლევით ხელუხლებელი დასტოვეს, რადგან ბარიატინსკი კავკასიის თავადაზნაურობის გალიზიანებას უფრთხის" [2]. ანონიმური წერილის ავტორის მოსაზრება ჭეშმარიტებას შეესაბამებოდა. ქართველმა მებატონეებმა, როგორც ცნობილია, საშინელი ალიაქოთი ასტეხეს ბატონყმობის გაუქმების მოლოდინში. თბილისის საგუბერნატორო ორლოვსკი უსაზღვროდ შეაშფოთა ქართველ თავადთა „უიმედო" პერსპექტივამ. თავის მოხსენებაში ცენტრალურ მთავრობას გულისტკივილით აუწყებდა, რომ ბატონყმობის გაუქმებით მემამულეებს ყოველგვარი საარსებო საშუალება ესპობათ. იგი ცდილობდა ქართველ თავადაზნაურთა მცონარობა და მიდრეკილება უქმი, ფუფუნებითი ცხოვრებისაკენ იმით გაემართლებინა, რომ მათ მთელი თავისი ცხოვრება

---

[1] АКАК, т. XII, стр. 196.
[2] „Колокол", 1861 г., № 93.

„სამხედრო საქმეს და მეფის სამსახურს" შეესწორეს, ამის [illegible] ასინი „ჩამოშორდნენ ზრუნვას მეურნეობაზე და ხელმწიფ[illegible] სადმი სამსახურში პოულობდნენ არსებობის წყაროს"[1].

ნ. ნიკოლაძე, მისთვის ჩვეული პირდაპირობით, ამხილებდა ქართველი ხალხის მიმართ მეფის მთავრობის სრულ სიყალბეს, მისი პოლიტიკის რეაქციულ ქვესარჩულს. ეხებოდა რა მეფის მთავრობის მითითებას იმის შესახებ, თითქოს ამიერკავკასიაში ბატონყმობის გაუქმება — „საპატიო მიზეზებმა" შეაფერხეს, ნიკოლაძე წერდა: „ეს უაზეგუსტოესი სიცრუეა. 1861 წლის 19 თებერვლის მანიფესტი გამოჩნდა იმავე წლის მარტში. 1861 წლის სექტემბერში, იმპერატორი ჩავიდა ქუთაისში და ადგილობრივ თავადაზნაურობასთან წარმოსთქვა სიტყვა იმის შესახებ, რომ მას არა აქვს განზრახვა მოახდინოს რაიმე ცვლილება საქართველოში არსებულ წესებში, ამისათვის დრო ჯერ კიდევ არ დამდგარაო"[2]. დამახასიათებელია, რომ იმპერატორის მიერ ქუთაისში წარმოთქმულ სიტყვასთან დაკავშირებით, რომელშიც გამოვლინდა ტახტის მპყრობელისათვის სრულიად „შეუფერებელი" სიცრუე, თვალთმაქცობა და პირმოთნეობა, საქართველოში ერთბაშად გავრცელდა ცნობილი ხალხური პოპულარული სახუმარო სიმღერა „მეგონა"[3].

ყირიმის ომის საერთო არსისა და მნიშვნელობის ზოგადი შეფასების დროს დაუშვებელია დაიჩრდილოს ცალკეულ საომარ ასპარეზთა კონკრეტული ვითარება, მიიჩქმალოს ძალთა განლაგებისა და ომის წარმოების საშუალებათა ხასიათი, საომარი ამბების განვითარებისა და დასასრულის სპეციფიკა. ამ თვალსაზრისით უნდა იქნეს განხილული საომარი კამპანიის ისტორია ამიერკავკასია-თურქეთის საზღვრებზე.

---

[1] ЦГИАГ, ф. 1087, д. 997, л. 110.

[2] „Колокол", 1861, № 93.

[3] სიმღერას „მეგონა" მხიარული დიალოგისა და გადაკრული სიტყვების თამაშის ფორმით წარმოსთქვამდნენ: „მეგონა!" — რა გეგონა? გენდერი მიმღერება რამდენჯერმე: „ყველაფერი მეგონა და თუ მეფე იცრუებდა, ეს კი ალარ მეგონა". სიმღერა თავდება სიტყვებით: „იქნება!" — რა იქნება? გენდერი მიმღერება: „ძმის ხელშეწყობა, მაღლა ხალხი იქნება".

√ რუსეთის იმპერიის ეროველი საზღვრების არეულობა სექტორში საომარი ოპერაციები ისე ახლოს, ისე უშუალოდ ეხება შეხებია ხალხთა ცხოვრებას და მის კეთილდღეობას, როგორც საქართველოში. სამი წლის გამანადგურებელი ომის განმავლობაში ადგილობრივი მოსახლეობის ყოფნა-არყოფნა ალალბედზე ეკიდა. სადაც კი ხელი მიუწვდებოდათ, თურქი დამპყრობლები არ ზოგავდნენ მშვიდობიან მცხოვრებლებს: მტრები სწვავდნენ მთელ სოფლებს, ყლეტდნენ ან იტაცებდნენ ადამიანებს, მიჰქონდათ ქონება, ნამდვილ ნადირობას აწყობდნენ ვაჟებსა და გოგონებზე, რომელნიც ინგლისური შეიპერების ხელშეწყობით, დიდი პარტიობით გაჰყავდათ გასასყიდად „მსოფლიო ბაზარზე". ამით უნდა აიხსნას ადგილობრივი მოსახლეობის განუსაზღვრელი მძვინვარება შემოსეული ბარბაროსების წინააღმდეგ, მისი ზიზღი და ულმობელობა თურქი დამპყრობლებისადმი. ამითვე უნდა აიხსნას აქ წარმოებული ომის მკვეთრად გამოსახული საახალხო-განმათავისუფლებელი ხასიათიც. √

საქართველოს და ამიერკავკასიის ხალხებმა ბრძოლის ველზე დაღვრილ უსაზღვრო სისხლთან ერთად, არაბუნებრივი ქონებრივ-მატერიალური მსხვერპლი გაიღეს და აუნაზღაურებელი ზარალი განიცადეს. გურიის მოსახლეობის განადგურებისა და გაპარტახების ნათელ სურათს რამდენადმე იძლევა გენ. მურავიოვის 1855 წლის 21 სექტემბრის მოხსენებითი ბარათი სამხედრო მინისტრისადმი. „ეს მხარე თურქეთის საზღვრიდან მდ. სუფსამდე, — წერდა კავკასიის კორპუსის მთავარსარდალი, — ჭეშმარიტად საცოდავ მდგომარეობაშია: სოფლები დარბეული, გატიალებული და გადამწვარია, მცხოვრებნი უკიდურესად გაჭირვებულნი და გალატაკებულნი არიან. ბევრმა ოჯახმა დაჰკარგა მამა, ძმები. დარჩნენ ქვრივები და ობლები. ბევრია დაჭრილნი და დასახიჩრებულნი. მაგრამ ყოველივე ამან ოდნავადაც ვერ შეარყია ბრძოლაში გამობრძმედილი გურულების სულისკვეთება, რომლებისთვისაც უცხოა ანგარება. გურია მეტისმეტად დაზარალდა. მცხოვრებლებმა მითხრეს, რომ ამის შემდეგ მათთვის ერთობ ძნე-

ლი იქნება თავიანთი ადრინდელი საცხოვრებელი ბინების აღ-
დგენით" [1].

1855 წლის 30 დეკემბრის პატაკში თავ. ბებუთოვი წერ-
და: „გურიაში ჩემი ყოფნის დროს მე პირადად დავრწმუნდი,
თუ როგორ უკიდურეს სიღატაკეში ჩავარდნილან თურქეთის
მოსაზღვრე სოფლების მცხოვრებნი... მათ დაღუპვიათ თავიან-
თი ქონება და არ გააჩნიათ შესაძლებლობა დაამუშავონ თა-
ვიანთი მინდვრები და ბაღები, რომლებიც მათი არსებობის
ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს. ისინი ესახლებიან სა-
ზღვრებიდან უფრო დაშორებულ ადგილებში, ან უცხო სოფ-
ლებში ეძებენ თავშესაფარს. ერთგული გურულები, რომლებ-
საც სამი წლის განმავლობაში არ ჩამოუხსნიათ იარაღი, იტა-
ნენ მცირე ომის ყველა სიძნელეს და მამაცურად იცავენ თა-
ვიანთ გაპარტახებულ მიდამოებს. მათ საკუთრებით დაიმსახუ-
რეს, რომ მათი მდგომარეობა მოხსენდეს ყოვლადმოწყალე
ხელმწიფე იმპერატორს" [2].

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს აგრეთვე ის უსაზღვრო უბე-
დურება, ზარალი და მსხვერპლი, რომელიც ომმა, განსაკუთ-
რებით 1855 წლის თურქეთის ოკუპაციამ, თავს დაატეხა აფხა-
ზეთისა და სამეგრელოს მოსახლეობას. სამეგრელოს დედო-
ფლის ეკატერინე დადიანის მოხსენებით ბარათში მთავრობა-
სადმი აღნიშნულია, რომ ომერ-ფაშას შემოჭრის დროს მხო-
ლოდ მარტო ზუგდიდის მაზრაში 22 სოფელი იქნა საკუთრებით
განადგურებული და აღგვილი პირიდან მიწისა. მარტოოდენ
სოფ. თეკლათში თურქებმა წინასწარ გაძარცვეს და შემდეგ
ხანძარს მისცეს ორასზე მეტი სახლი, სენაკში — 300-ზე მეტი
სახლი და ა. შ. [3].

ომის გამანადგურებელი გავლენა როდი შეზღუდულა და-
საკლეთ საქართველოს ჩარჩოებით. ომმა თავისი მსახვრალი
ხელი დაარია აღმოსავლეთ საქართველოს ბევრ სასაზღვრო რა-
ონსაც. ომისაგან დიდად დაზარალდნენ ახალციხისა და ახალ-

---

[1] ЦГВИАМ, ф. ВУА, д. 5963, л. 41—63; ср., АКАК, т. XI, стр. 330—331.

[2] АКАК, т. XI, стр. 691.

[3] ЦГИАЛ, опись 8, ф. 1268, д. 99 (1857).

ქალაქის მაზრის ათასობით მცხოვრებნი, სომხეთისა და აზერ-ბაიჯანის მთელი რიგი რაიონების მოსახლეობა. „თურქეთთან გაჩაღებულმა ომმა, — წერდა თავ. ბებუთოვი გენ. მურავიოვს, — უბედურებაში მარტოოდენ გურულები როდი ჩააგდო. ფრიადმნიშვნელოვანი ზარალი ნახეს აგრეთვე ახალქალაქის უბნის, ახალციხის, ალექსანდროპოლისა და ერევნის მაზრების მოსახლეობამ, რომლებიდანაც მე მივიღე ბევრი თხოვნა დახმარების შესახებ“ [1].

ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი პოლკ. კოლუბაკინი 1856 წლის 23 იანვარს იტყობინებოდა, რომ ახალციხის მაზრაში ბევრმა კერძო მცხოვრებმა, ზოგჯერ კი მოსახლეობის მთელმა ჯგუფებმა თურქეთის შემოჭრის შედეგად დაკარგეს მთელი სამეურნეო და სხვა საშინაო მოწყობილობანი. გუბერნატორი შიშს გამოთქვამდა, რომ თურქების მიერ მუშა-საქონლის გაწყვეტა და მთელი სამეურნეო ინვენტარის განადგურება დამლუპველ გავლენას მოახდენს მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაზე, დააბრკოლებს ხვნა-თესვას და სხვა [2].

ადგილობრივი ხელისუფლების წინასწარი გამოანგარიშებით გურიის მხოლოდ სასაზღვრო ზოლში დასახლებულ მცხოვრებთათვის ომისაგან მიყენებული მატერიალური ზარალი, იმ დროის ღირებულების მიხედვით, სულ მცირე ნახევარ მილიონს აღემატებოდა; ახალციხის მაზრის მოსახლეობის ზარალი, ოფიციალური ცნობებით, — 247.479 მანეთს, ერევნის მაზრისა — 300 ათას მანეთს; ალექსანდროპოლის მაზრისა — 200 ათას მანეთს [3].

ომისაგან განადგურებულმა, სასხლდაცლილმა და არაქათგამოლეულმა ხალხმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ომის დამთავრებისას თავისი ანგარიში წაუყენა მეფის მთავრობას და ქვეყნის გამატონებულ კლასებს. მრავალრიცხოვანი თხოვნები და შუამდგომლობანი, პატაკები და მოხსენებანი მოედი-

---

[1] АКАК, т. XI, стр. 691; АКАК, т. XII, стр. 5.

[2] Там же, т. XI, стр. 693.

[3] ЦГВИАМ, ф. ВУА, д. 5963, л. 82; АКАК, т. XII, стр. 5—6.

ნებოდა ცენტრისაკენ საქართველოს და ამიერკავკასიის სასაზღვრო ზოლში მდებარე მაზრების, უბნების და სოფლების მოსახლეობისაგან ომისაგან მიყენებული ზარალის თუნდაც ნაწილობრივი ანაზღაურების შესახებ[1], მაგრამ, ამაოდ. ხანგრძლივი თვეების განმავლობაში და შემდეგ წლების მანძილზე ადგილობრივი ორგანოები ადგენდნენ ათასგვარ ანგარიშებს, წარმოებდა რაღაც უაზრო აღრიცხვები, გაანგარიშებანი და შეჯამებანი სოფლების, უბნების, მაზრებისა და გუბერნიების მიხედვით, დგებოდა სიები ცალ-ცალკე და შეერთებულად მოსახლეობის წოდებრივი, კლასობრივი, რელიგიური, ასაკობრივი, სქესობრივი და სხვა ნიშნების მიხედვით. ატყუებდნენ მცხოვრებთ, ილუზიებით კვებავდნენ ხალხს და მთელი ეს ორომტრიალი გათავდა იმით, რომ... მთელი ფულადი „დახმარება" და მაღალი პრემიები მარტოოდენ თავადაზნაურობის წარმომადგენლებს ერგოთ. საგულისხმოა, როგორც ეპოქის დამახასიათებელი ფაქტი, რომ ომერ-ფაშას მიერ თეკლათისა და სენაკის გლეხობისათვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებელი თანხები თვით ეკატერინე დიდიანს გადასცეს.

უშედეგოდ დარჩა სწორედ იმ გაძვალტყავებული და სისხლისაგან დაცლილი უბრალო ხალხის თხოვნა-მუდარა და პრეტენზიები, რომელმაც თავის ზურგზე გადაიტანეს საუწყლიანი ომის მთელი სამინელებანი. აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ ერევნისა და ალექსანდროპოლის მდაბიო ხალხს ასეთი „უმაღლესი შეღავათი" მიანიჭეს. ორივე მაზრის გადასახადის გადამხდელთ 1853 წლის 26 აგვისტოს „უზენაესი მანიფესტის" ძალით შეუმცირეს საერობო ანარიცხები და გასული წლების გადასახადების ნარჩენები სულ 8268 მანეთის რაოდენობით. ეს იყო და ეს. ხანგრძლივი ომისაგან უსაზღვროდ გაპარტახებული და გაუბედურებული მშრომელი და ბეჩავი ხალხი ჩიხში მოქცეული აღმოჩნდა. არავინ აღმოჩნდა მათი მოსარჩლე და გამკითხავი. მათ არ გააჩნდათ საშუალებანი და

---

[1] АКАК, т. XI, стр. 691—693; АКАК, т. XII, стр. 4—5, 11—12, ქუთაისის ყოფ. საგუბ. არქივი, საქმე 528 (1),578 (866), 608 და სხვ.

ინვენტარი აღედგინათ სამეურნეო საქმიანობა, ისინი პირდაპირ სულს ღაფავდნენ კარს მომდგარი შიმშილისაგან. შეგანერნე-თავადაზნაურები, რომლებიც ყოველგვარი ხრიკებით ცდილობდნენ აენაზღაურებინათ ომისაგან მიყენებული ზარალი და ერთი დაკერით აღედგინათ თავისი შერყეული მეურნეობა, მთელი სისტემაკით დაიწვნენ ისედაც გაძვალტყავებულ ყმა-გლეხებს. მემამულეებმა ბევრად გაადიდეს გლეხთა ექსპლოატაცია, უსაზღვროდ გაზარდეს ყოველგვარი ფეოდალი და ნატურალური გადასახადები.

ომის შემდეგ საქართველოში, ისევე, როგორც რუსეთის მთელ იმპერიაში, ფეოდალურ-ბატონყმური სისტემა თავის არსებობის კრიტიკულ ეტაპს მიადგა. შევიწროებულ, დამცირებულ, გაძვალტყავებულ გლეხთა მასების მოთმინების ფიალა პირამდე აივსო. კლასობრივმა ბრძოლამ სოფლად გააფთრებული ხასიათი მიიღო. ამოქმედდა მშრომელი ხალხი. გლეხთა რევოლუციურმა მოძრაობამ მემამულე თავადაზნაურობის წინააღმდეგ ომის დამთავრების შემდეგ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო სამეგრელოში, აბხაზეთში, გურიაში, ბელაქანში და საქართველოს სხვა რაიონებში.

1853 — 1856 წლების ომს უდიდესი გავლენა ჰქონდა ქართველი ხალხის ცხოვრების შემდგომ განვითარებაზე. მან მძლავრი ბიძგი მისცა ქვეყნის სოციალ-პოლიტიკურ, კულტურულ და სამეურნეო-ეკონომიურ პროგრესს, საწარმოო ძალთა განვითარებას. ფართოდ გაიშალა ახალი ნაგსადგურების (ფოთის) მშენებლობა, ახალი მაგისტრალური გზების გაყვანა და ქეთილმოწყობა, ახალი ხიდების აგება; გაფართოვდა საზღვაო და სამდინარო მიმოსვლა. 1857 წელს საქართველოში დაარსებულ იქნა „გემთა და ვაჭრობის რუსული საზოგადოება", თვალსაჩინოდ გაიზარდა სასაქონლო-ფეოდალი ბრუნვის მასშტაბები ქვეყნის შიგნით [1].

ომის ვითარებამ ხელი შეუწყო ადგილობრივი მოსახლეობისათვის მანამდე თითქმის უცნობი სამეურნეო ფორმის მოღვაწეობის დანერგვას: კომერციას და მოიჯარადრეობას. თუ

[1] Н. Шавров, „Обзор производственных сил Кавказского Наместничества", 1880 г., стр. 336.

სულ ცოტა ხნის წინათ საქართველოში ჩვეულებრივი, ყოველ-
გაყიდვაც კი დიდ სამარცხვინო საქმედ ითვლებოდა. ...
ლაქებსა და სოფლებში გაცხოველებული ვაჭრობა იყო გა-
ჩაღებული.

*

საერთაშორისო-ეკონომიურ და სოციალ-პოლიტიკურ ცვლილებებთან ერთად, ქართველ ხალხში ფეხს იკიდებდა და ყალიბდებოდა ახალი სულიერი ცხოვრება, ახალი დემოკრატიული იდეოლოგია, საცნობიერ გამოდიოდნენ რაზნოჩინური (ეაზნო) ინტელიგენციის პირველი წარმომადგენლები. ცარიზმის დამარცხებამ ყირიმის ომში და სახალხო მღელვარების გაძლიერებამ ომის შემდეგ აიძულა მეფის მთავრობა იმპერიის მოლიტიკური მართვის სისტემაში ზოგიერთი ცვლილება შეეტანა. ამავე გარემოებებმა და მოწინავე ინტელიგენციის პროტესტებმა გამოიწვია ავრეთვე თვითმპყრობელობის საცენზურო რეჟიმის ნაწილობრივი შესუსტებაც. გ. ვ. პლეხანოვი ამის გამო წერდა: „ყირიმის ომის ბედუკულმართობამ აიძულა მთავრობა გაეკეთებინა რამდენიმე დათმობა განათლებული საზოგადოებისათვის და, ყოველ შემთხვევაში, გაეტარებინა ყველაზე საარსებო და საჭირბოროტო,

ლოეთისაკენ ორიენტაციამ" ქართველ ხალხში უკვე საბოლოოდ სძლია ყოველგვარ სხვა არჩევანსა და მიდრეკილებას. საზოგადოების ყველა ფენაში მტკიცედ და სამუდამოდ დამკვიდრდა უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება რუს მოძმეებისადმი. ქართველი სწავლისმოყვარე ახალგაზრდობა მხურვალედ მიისწრაფოდა რუსეთის მეცნიერებისა და კულტურის კერებისაკენ — მოსკოვსა და პეტერბურგს, ღებულობდა უმაღლეს განათლებას, ტრიალებდა მოწინავე რუს ადამიანთა წრეებში, ხარბად ითვისებდა დიდ რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა რევოლუციონურ-პროგრესულ იდეებს. ეს დიადი დემოკრატიული და ჰუმანიტარული პრინციპები, გადმონერგილი საქართველოს სინამდვილეში, ანაყოფიერებდა, ამდიდრებდა ქართველი ხალხის უძველეს თვითმყობად კულტურას. მთელი რიგი წლების განმავლობაში შეგროვილი საქართველოს კულტურული ცხოვრება, რუსეთის მოწინავე კულტურის ცხოველმყოფელი ზეგავლენით, იწყებს ადორძინებას სრულიად ახალ და პროგრესიულ საწყისებზე. ქართველი ხალხის წინაშე დაისახა გაცისკროვნებული პერსპექტივა — ევლო წინ და ებრძოლა რუსი ხალხის მოწინავე წარმომადგენლებთან ხელიხელ ჩაკიდებული სოციალურ, პოლიტიკურ და ეროვნულ მონობისაგან საბოლოო განთავისუფლებისათვის. მოწინავე ქართველობა ალლოთი მიხვდა იმ ჭეშმარიტებას, რაც ასე გენიალურად განსჭვრიტა ჯერ კიდევ ბესარიონ ბელინსკიმ: „რუსეთი ევროპაზე გაცილებით უკეთესად შესძლებს სოციალური საკითხის გადაჭრას და ბოლოს მოუღებს კაპიტალისა და საკუთრების მტრობას შრომასთან" [1].

1853 — 1856 წლების ომის ერთ-ერთ დირსშესანიშნავ შედეგს წარმოადგენდა საქართველოს რაიონებსა და პროვინციებს შორის ურთიერთ დამოკიდებულების ინტენსიფიკაცია: დაირღვა ცალკეულ კუთხეებს შორის წინათ გამეფებული კარჩაკეტილობა და ერთმანეთისაგან გათიშულობა, გახშირდა ურთიერთ დაახლოება და კავშირი. ეს მოვლენა ქვეყნის ეკონომიური პროგრესის უშუალო შედეგი იყო. სამეურ-

[1] Газ. „Правда" от 24 мая 1948 г.

ნეო და ფეოდალ-სასაქონლო ურთიერთობათა განვითარება, დეე უფრო აძლიერებდა შრომის საზოგადოებრივ განაწილებას, ხელს უწყობდა ნაციონალურ-პატრიარქალური მეურნეობის შემდგომ გახრწნასა და დაშლას.

ომმა უფრო ინტენსიური გახადა წინათ ერთმანეთისაგან მოწყვეტილი ტომების, თემებისა და სამთავროების ურთიერთ კავშირი, ბიძგი მისცა მთელი ქართველი ხალხის გაერთიანებას ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ზრდის საფუძველზე, მისი ერად ჩამოყალიბების პროცესს. თავისთავად ცხადია, რომ ეს რთული ისტორიული პროცესი შეუძლებელია ყოფილიყო უეცარი და ანაზდეული მოვლენა. „საქართველო, როგორც ერი, მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა, როცა ბატონყმობის გაუქმებამ და ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ზრდამ, გზების განვითარებამ და კაპიტალიზმის წარმოშობამ დაამყარა შრომის განაწილება საქართველოს ოლქებს შორის, საბოლოოდ შეარყია სამთავროთა სამეურნეო კარჩაკეტილობა და ერთ მთელად შეაკავშირა ისინი"[1]. ი. ბ. სტალინის ამ მითითებაში მკაფიოდ მოჩანს ქართველი ხალხის ერთიან ერად ჩამოყალიბების ხანგრძლივი და რთული ისტორიული პროცესი. ასე მაგალითად, თუ არც ისე დიდი ხნის წინ თუშები, ფშაველები, ხევსურები და მთიანეთის სხვა ტომები ძალიან უხალისოდ სტოვებდნენ თავიანთ „არწივის ბუდეებს" მშობლიურ მთებში და მომხდურ მტრებს უპირატესად თავისი კუთხის ქარიბჭეებთან უმკლავდებოდნენ, ყირიმის ომის დროს მათ გამოავლინეს გასაოცარი ერთსულოვნება და თანამშრომლობის სურვილი დახმარებოდნენ ბიფათში ჩავარდნილ სხვა კუთხის ქართველ მოძმეებს. თურქ დამპყრობლებთან ბრძოლის დროს იქ „შორეული გურიის საზღვრებთან" თუშ-ფშავ-ხევსურეთის ქედმოუხრელმა ვაჟკაცებმა ჭეშმარიტი თავგანწირულობის, გმირობისა და მამაცობის იშვიათი ნიმუშები გვიჩვენეს. 1853 — 1856 წლების ომში შემჭიდროებული რიგებით იბრძოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ იმერლები და გურულები, მეგრელები და კახელები,

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 2, გვ. 318.

ქართლისა და მთის რაიონების სხვა ეკეკაცები. რუსეთის საბელოვან მხედრებთან ერთად, რუსი სარდლობის წინამძღოლობით, ყველა ისინი მომხდურ მტრებთან ბრძოლაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ გულადობასა და საშშობლოსათვის თავდადებაში. თუშეთის მოლაშქრეთა საბრძოლო სელისკვეთება, ჭეშმარიტი გულადობა და თავისი პატრიოტული მოვალეობის მაღალი შეგნება მკაფიოდ გამოვლინდა იმ იმპროვიზირებულ რაფსოდიაში, რომელიც ნიჭიერმა და მამაცმა ხალხმა შექმნა 1854 წელს ჩოლოქთან ბრძოლის დღეებში. „თუშთაგან გურიის ლექსად თქმულ" ერთობ ვრცელ რაფსოდიიდან მხოლოდ დამახასიათებელ ნაწყვეტებს მოვიყვანთ:

„არამც დამძრახთ ბიჭებო, სიტყვანი გითხრათ ძმურია,
ვაქო, სადა ვართ, ალვანზე დიდად შორს არის გურია...
„აქ მოდით, შეიკრიბენით, გვმართებს საქმისა რჩეობა,
სახელი დაგვრჩეს გურიას: თუშებთა ქმნესთ მხნეობა".

ანგლია ერთად ფრანკეთით ოსმალთან გაერთებულნი,
საბოა მეფეთა თვის პაპრნი ბუკეს ერთად შაერთებულნი,
იარაღითა აღძრულნი რუსეთზე აშხედრებულნი,
ხალხის სისხლისა მთხეველნი, ჩვენზედა შემართებულნი...

ბრძოლის დრო არის ეკეკაცნო, ცხენთა დავაკრათ ხალია,
ადექით, მოემზადენით, ყველამ გავჩარხოთ ხმალია,
ვინც უკან დარჩეს ამხანაგს, იყოს ახმეტის ქალია,
თუ მოკვდეს ქვაზედ დავწეროთ: სიცოცხლით იყო ფრთხალია.

ეაეი ვაეგზავნოთ სარდალთან, უთხრად ყოფნა გვწყინდება,
თუ არ გვაჩუბებ თითართან თუშნი აქ რალად ვინდება.
შორით მოვსულვართ, რიგია პირველ გაცნობოთ ძალია —
თუ ვარგა შენი თუშები ან მათი გორდა ხმალია.

ვითხოვთ პირველად მიეიდეთ, ეს არის ჩვენი თხოვანი,
მოვსულვართ ალვანთ თუშები ქაზმულ-იარაღოვანი,
თუში თუ ცუდად მოკვდება ვისლან ელირსოს გლოვანი,
მკვდარსაც დაგვრახავს მოსამძღვრე — ფშავნი, ხევსურნი, ფოვანი...

. . . . . .

ყველად ივნისის თვეშია რაბამი სისხლი დაიქცა,
ოთხი ათასი ოსმალო ჩვენის ხახვილთ წაიქცა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტერთა ეჩვენა იმ დღესა მათ ზედან ცეი დაიქცა,
ოცდა ოთხმეტი ათასი ჩოლოქის გაღმა გაიქცა.

რუსეთის გმირი ჯარები თავგანწირულად ომობდნენ;
თუშებიც იმერლებთანა თამამად ხმალდახმალობდნენ,
მათ შორის ყახთა ვაჟკაცნი ლომებივითა ძალობდნენ,
ამის მეამსწრენი ოსმალნი აქეთ მოსვლასა ნანობდნენ".

მაღალი ეპიური შემართებით და დარბაისლური პათოსით გადმოგვცემს თუშთაგან თქმული სიმღერა-რაფსოდია მთის ვაჟკაცთა საბრძოლო განწყობილებას.

მძიმე ომის ქარცეცხლმა საკვლევით ცხადყო დიდი ვახუშტის სიტყვების მთელი ძალა და სიმართლე: „თუშნი სარწმუნოებით და ენით არიან ქართველთა, ბრძოლასა შემმართებულნი, მხნენი, ძლიერნი, მხედარნი წარმატებულნი".

თუშების, ისევე როგორც ყველა ქართველი მთიელის, მაღალ პატრიოტიზმს თურქებთან ომის დროს თვალსაჩინოდ მოწმობს ის ფაქტიც, რომ ოფიციალური ცნობებით მათ შორის ფართოდ დაინერგა ურთიერთ დახმარებისა და მხარდაჭერის პრაქტიკა. ასე მაგალითად, ომის დროს უფრო შეძლებული მეზობელი მთაში კისრულობდა ვალდებულებას დახმარებოდა მასზე ხელმოკლე მეზობელს იარაღის, ცხენისა და საალაშქრო ტანსაცმელის შეძენაში. ურთიერთ დახმარებისა და მხარდაჭერის შესანიშნავი მაგალითებით აღსავსეა საომარი კამპანიის მთელი ისტორია.

ომის პერიოდში საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივი, შეთანხმებული ბრძოლით, მოძმე სომხეთისა და აზერბაიჯანის ხალხებთან ერთად, ქართველ ხალხს არა ერთხელ უსახელებია თავი. ქართული სახელგანთქმული დროქიანებისა და ქართველ მხედართმთავართა სასახელო გმირობა და თავგანწირულება საუდამოდ აღიბეჭდა ბაშკადიკლარისა და კურიუკდარასთან, ჩინგილის მაღლობებსა და ყარსის ციხე-სიმაგრის კარიბჭესთან წარმოებული ისტორიული ბრძოლების ანალებში. აქ, მოსისხარი მტრისაგან მოძმე ხალხების მშობლიური მიწის დაცვის დროს, დაღვრილი სისხლით კიდევ უფრო განმტკიცდა და შედუღაბდა ამიერკავკასიის ხალხების მრავალსაუკუნოვანი ძმობა და მეგობრობა.

აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის სამყაროს ორნაგარი დამპყრობლები საუკუნეების განმავლობაში მიაპყრობდნენ თვალებს ორ ზღვას შუა გაშლილ მადლიან ქვეყანას — საქართველოს. ათასგვარი ხრიკებით და მაქინაციებით, ინტრიგებით თუ დიპლომატიური ინბაზობით მიისწრაფოდნენ გარეშე მტრები ხელთ ჩაეგდოთ იგი, გამოეყენებინათ მისი ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობა თავიანთი სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიური მიზნებისათვის. მტრების მეზღანათური ვარაუდები ყოველთვის აწყდებოდა თავისუფლებისმოყვარე ხალხის მტკიცე კედელს. ევროპისა და ოკეანისგადმელი იმპერიალისტების და კოლონიზატორების ინტერესი საქართველოს და მთელი ამიერკავკასიის მიმართ განსაკუთრებით გაძლიერდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. რევოლუციისა და პროგრესის მოსისხლე მტრებს გადაწყვეტილი ჰქონდათ ჩვენი სამშობლო ექცეათ ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ ომის პლაცდარმად. ქართველი ხალხის მეხსიერებიდან არასოდეს წაიშლება 1918 — 1920 წლების შავბნელი პერიოდი, როდესაც მენშევიკების ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობის ლოცვა-კურთხევით საქართველო თავდაპირველად გერმანია-თურქეთისა, ხოლო შემდეგ ინგლის-ამერიკის იმპერიალისტთა სათარეშო ასპარეზს წარმოადგენდა.

გერმანიის, თურქეთის, ინგლისისა და ამერიკის იმპერიალისტთა მტაცებლური გეგმები საქართველოსა და ამიერკავკასიაში განწირული აღმოჩნდა ჩასაფუშავად. ძლევამოსილმა საბჭოთა ხალხმა, მისმა გმირულმა არმიამ გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა საერთაშორისო იმპერიალისტურ ინტერვენციას და უკუაგდო პირსისხლიან მტაცებელთა ხროვა საბჭოთა მიწა-წყლიდან.

იმპერიალისტურ მტაცებლებს და კოლონიზატორებს შემდეგშიაც არ დაუგდიათ აგრესიისა და პროვოკაციების ტრადიციული გზა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს წინააღმდეგ. ისინი ცდილობენ მოამზადონ ნიადაგი ახალი სისხლის-

მღვრელი ომისათვის შრომისმოყვარე და შშვიდობისმოყვარე ხალხების წინააღმდეგ.

საბჭოთა ადამიანები, ფხიზლად ადევნებენ თვალყურს იმპერიალისტურ კაცობრიობის ალეირახსნილობას, იმ ფაქტს, რომ „კაპიტალისტური მონოპოლისტები ქმნიან თავიანთ საერთაშორისო აგრესიულ გაერთიანებებსა და ბლოკებს... რომლებიც მიმართულია შშვიდობისმოყვარე ხალხების წინააღმდეგ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ, მუშათა კლასის წინააღმდეგ, შშრომელთა სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ“ [1].

შშობლიური კომუნისტური პარტია მოგვიწოდებს ქმედითი წინააღმდეგობა გავუწიოთ სოციალიზმის, შშვიდობისა და დემოკრატიის მტრებს, სისტემატურად ვამხილოთ ახალი მსოფლიო ომის პროვოკატორები.

საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის განუყრელი ძმობა, მეგობრობა და ურთიერთ მჭიდრო კავშირი, დიდი რუსი ხალხის ხელმძღვანელობა ამ კავშირში, თავისუფლებისმოყვარე ხალხების თანაგრძნობა და აქტიური მხარდაჭერა მუდამ იყო, არის და იქნება ჩვენი დიდი საშშობლოს ძალისა და უძლეველობის უშრეტი წყარო, ახალ მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა საწინდარი კომუნისტური საზოგადოების შშენებლობაში.

---

[1] სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1956 წლის 30 ივნისის დადგენილებიდან. „ბოლ. კომ. 3 ივლისი, გვ. 3.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

	გვ.
შესავალი	3
თავი პირველი. დამპყრობთა გეგმები და ვირეულები საქართველოში	33
თავი მეორე. საქართველო ყირიმის ომის პერიოდში . . .	85
თავი მესამე. საომარი მოქმედების დასაწყისი	160
თავი მეოთხე. ომის კრიტიკული ეტაპი და რუსული იერიშის ტრიუმფი	250
თავი მეხუთე. ომერ-ფაშას საექსპედიციო კორპუსის განადგურება და საომარი კამპანიის დასასრული	323
თავი მეექვსე. ქართული სახალხო ლაშქარი (მილიცია) . . .	426
დასკვნის მაგივრ	518

250

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი ბ. გულბანი
ტექრედაქტორი ზ. ხუნდაძე
კორექტორი ნ. აფხაზავა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/IV-60 წ.
ქაღალდის ზომა 84×108 1/32.
სააღრ.-საგამომც. თაბახი 25.
სააღრიცხვო თაბახი 24,5.
ნაბეჭდი თაბახი 27,88.
ფფ 00183. ტირაჟი 2000. შეკვ. № 319.
ფასი 8 მან. 25 კაპ.

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარმოლიტგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.

1-я типография Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Орджоникидзе, 50.